

რაჭილ გელაშვილ

აფხაზეთი, საქართველო

**პოსტკონფლიქტური
ლაბირინტი**

თბილისი
2011

კულტურის თანამედროვებს,
რომლების კერძო მოქმედნენ
აფხაზეთში დაბრუნებას

რედაქტორი:

ბადრი ცირამუა

საგამომცემლო ჯგუფი:

რიტა ცინდელიანი
ქეთევან ხეტეშვილი
ლაშა გელანტია

კომპიუტერულ უზრუნველყოფაში
თანადგომისოვის ავტორი მადლობას
უხდის მონიკა ჭანიას და სალომე კილასონიას.

© რაფიელ გელანტია
© საგამომცემლო სახლი „ინგაცია“

ISBN 978-9941-9212-7-8

საჭირო, ძალზე საჭირო ნიგნი

შემძრა რაფიელ გელანტიას მეორე წიგნმაც!

წინ მიდევს და ვფიქრობ:

ნუთუ სამშობლოს გასაკვირველი გრძნობა დაიღია, დაშრა, დაინწრიტა, გამოფუტუროვდა მისი სადინარი, ნუთუ ქართველი კაცის სახელმწიფოებრივ შეგნებას დამბლა დაეცა, ნუთუ ოდენ საშოვარი ახსოვს და ქვეყანა არა?!

ავტორი ფაქტებს გვაწვდის, ვითარებას აღწერს და გვიხატავს, ასევა საქმეო გვეუბნება, არავისთან დავობს, საკუთარი თავის გარდა, მაგრამ... წიგნი ყველას გვედავება!

ავტორი სახრეს არ გვიღერებს, მაგრამ წიგნი სახრეა, სამხრეთის ქარსა და წვიმაში გვერეკება ცუდად გაწვრთნილებს, მამულის წინაშე უთავბოლოდ ენალაქარდიანებსა და გულებზე მჯიდის მოპრაგუნეთ, უპირველესის, სამარადჟამოს ვერშემსმენელებს!...

ეს წიგნი ჩვენი თაობის გაფრთხილებაა.

ვინც კარგად წაიკითხავს, – საკუთარ გულისგულში ჩაიხედავს და დაფანტული საზრისის ძებნას დაიწყებს, ვინც ზერელედ–ისევ იმ გუბეში დარჩება, რომელსაც გუშინაც ცხოვრებას ეძახდა და დღესაც ეძახის!

ეს წიგნი მომავალი თაობის გაფრთხილებაა, შემოძახილია, რომ, არ ვარგა ასე,... ცოტა ხანიც და, იქნებ, არც არაფერი დაგვრჩეს დასაკარგი!

მახსენდება პოეტის სიტყვები:

– რაა გზიანი? – მეტყვიან და ვპასუხობ უმალ

ჩემსკენ მოლრეჯილ კისერს დათვისას:

მაგ უმაქნისი ქედის ყურებას,

რომელიც ძალზე მექართულება,

გაუძლოს გულმა!...

ეს წიგნი, ამ განსაცდელზეა და იმავდროულად:

– ქვეყნის უკეთეს მომავალზე ფიქრითაა დამძიმებული;

– სისასტიკის, უგულობის, უთავმოუყვარეობის მაგალითე-

ბით აღსავსე და მრავალთა უსულგულო ზედაობით გაძეძგილი;

– მამულის უსაშველო ტკივილებით გათანგული და ქვეყნის უანგარო სიყვარულით გაცის კროვნებული;

– დიდი შერიგებისა და გამთლიანების გზების მაძიებელი და ქართველთა და აფხაზთა გონიერების გამარჯვების რწმენით განათებული!

იგი რაფიელ გელანტიამ გვიალავერდა და მოაყოლა:

– შე, ჩემთავმკვდარო, გაიღვიძე, გაიღვიძე, რაა ამდენი ძილი! გაიზმორე მაინც, იქნებ ერთი ნერგი მაინც შეგერხეს ამ წევარამსა და გოდებაში, იქნებ შეტოკდე, გაიზმორო, გვერდი შეიცვალო!...

ავტორს სჯერა და გვამხნევებს, რომ თუ ძალიან მოვინდომებთ და შევიცვლით მხარს, გავიალმასებთ ჭკუას და გონებას:

– უსათუოდ გავითავისებთ სამშობლოს პირველადობასა და უზენაესობას;

– სოხუმი უსათუოდ იქნება ქართულ-აფხაზური ქალაქი და აფხაზები მტრულად და ზიზღით არ გამოიხედავენ ენგურს გამოღმა;

– უსათუოდ აღდგება ჩვენი სისხლისმიერი, ნათესაური, სამორდუო კავშირები და სინანულის ცრემლებს შევაშრობთ ერთმანეთს.

კრებულში შესული წერილები და ნარკვევები წლების განმავლობაში იძეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გადაიცემოდა რადიოთი და ტელევიზიოთ. მათ თავი მოუყარა და აკინძა ავტორ-მა ისე, როგორც ეს არის დალაგებული წიგნში, ისე, როგორც ეს იყო საქართველოში, საკუთრივ აფხაზეთში, ისე, როგორც ამას ითხოვდა და თხოულობს სინდისიერი უურნალისტიკა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ნარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

ბადრი ცირამუა

რამდენიმე სიტყვა ავტორისგან

1993 წლის 30 სექტემბერს, მოულოდნელობისგან თავზარდაცემულმა და გაოგნებულმა, ჩემს ათეულობით ათას თანამემაულესთან ერთად დაუტოვე ცეცხლმოდებული აფხაზეთი.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ დღემდე ვერ გავექცი ჩემს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას – ადამიანურ ტკივილს და თანაგრძნობას საკუთარი ოჯახის, მეზობლების, ახლობლების, აფხაზეთის ყველა მკვიდრის მიმართ იქ, – ენგურგალმა და აქ, – ენგურგამოლმა.

წიგნში შესული სტატიები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში („საქართველოს რესპუბლიკა“, „დილის გაზეთი“ და „სათანჯო“, „აფხაზეთის ხმა“, „ახალი აფხაზეთის ხმა“, „ჩვენი გაზეთი“, „24 საათი“, „რეგიონის დროით“, „უურნალები „პოლიტიკა“, „რინა“ და სხვა), რომელთა რედაქტორებისა და თანამშრომლების ღვანლი დაუკინკარია ჩემთვის და დევნილებისთვის, რომლებიც ღამის უსაშველო რიგებში ერთნაირად ველოდებოდით უფასო პურს და ახალ გაზეთებს; გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა ნომერი კი მთიანი ბილიკებით გადადიოდა აფხაზეთში.

ამ წიგნით მინდოდა მკითხველისთვის, პირველ რიგში დევნილობაში გაზრდილი თაობისათვის, გამეზიარებინა ჩემი მთაბეჭდილებები 90-იანი წლების (მათთვის ახლა უკვე შორეული) ეპოქის მოვლენების შესახებ, როდესაც ჩამოყალიბდა ამჟამინდელი რეალობა და რომლებმაც დიდწილად განსაზღვრა, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე თითოეული ჩვენგანის ბედი თუ უბედობა; გამეცნო კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე ქართული საზოგადოების წიაღში შემუშავებული სამშვიდობო გზავნილები; გამომეხატა წუხილი და შეშფოთება იმაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ აფხაზეთის პრობლემა უკიდურესად დამძიმდა და აუ-

ცილებელია საერთოეროვნული განგაშის ზარების ახლებური დარისხება, რადგან რეალური დაკარგვის საფრთხის წინაშეა საქართველოს თვალმარგალიტი – აფხაზეთი; რომ დადგა უამი, როცა თითოეული ჩვენთაგანი მოვალეა იმგვარად დაიცვას აფხაზეთი და აფხაზები, როგორც საკუთარი სიცოცხლე და კე-თილდღეობა.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენების ეპოქაში, ჩვენი თაობა წარსულსა და აწმყოს შორის აღმოჩნდა გამომწყვდეული. უარი ვთქვით წყნარ, მშვიდ, უსაფრთხო ყოფაზე და თავისუფლებისა და დემოკრატიის უინით შეპყრობილებმა უმრავლესობისთვის გაუცნობიერებელ მომავალს დავუჭირეთ მხარი. უთუოდ იყო ბევრი გამარჯვება და სიხარული, გვაქვს ახალი ქვეყანა, რომელიც უთოდ გახდება ბევრად უკეთესი. ამასთან, გვქონდა სამარცხვინო ძმათამკვლელი შინაომები, დავკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეხუთედი (იმედია, დროებით!), მდინარე ენგურთან ვიხილეთ რუსეთისაგან ზურგამაგრებულთა მიერ ჩვენზე ძლევის დამაცირებელი ფეიერვერკი, აფხაზეთიდან ოტებული ასეულ ათასობით ქართველი, რომელთაც დღემდე უმძიმეს პირობებში უწევთ არსებობისთვის ბრძოლა.

რა გამოგვივიდა და რა არა, ამას დრო და ისტორია განსჯის. კანონზომიერებაა, რომ ახალი, უფრო გონიერი და განათლებული თაობები მომავალშიც შეცვლიან ხელისუფლებას და წეს-წყობილებას. ეს არის, რომ მანამდე მიწა და მამული არ გაგვისხვისდეს, ჩვენი ბედის გამგებლად ჩვენვე დავრჩეთ, უცხოთა მოიმდე და ხელებში შემყურე მანქურთები არ გავხდეთ, რადგან ამით და აქედან იწყება ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცება, ერის გადაგვარება, მსოფლიოს მბრძანებელთა ჩრდილში უჩინარი გაუჩინარება.

ჩვენ მორწმუნე, ნიჭიერი და შრომისმოყვარე, მაგრამ ობოლი ერი ვართ, ამიტომაც ბევრჯერ გავმხდარვართ მრისხანე იმპერიების ძალმომრეობის მსხვერპლი. ძველი მაგალითების მოხ-

მობა რად არის საჭირო, – რუსეთის იმპერიამ, აი, თითქმის ახლახან, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მახვილით და თაფლაკვერით აფხაზებისგან განმინდა აფხაზეთი, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კი ქართველებისგან. არ მეტვება, რომ ჩვენს თანამედროვე მსოფლიოსაც განაგებს ძალის სამართალი, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ და გადარჩენის ერთადერთ გზად შიდა ერთობა დავისახოთ, მივუტევოთ ერთმანეთს და ჩატეხილი ხიდები აღვადგინოთ აფხაზებთან, მამულში დავბრუნდეთ. ეს სავსებით რეალურია, თუ ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი გადარჩენისთვის წინაპართა ადათ-წესებსა და ტრადიციებს არ ვუღალატებთ და უფრო მოქნილი პოლიტიკის გზას დავადგებით.

საზოგადოებრივი პრაქტიკის (ექსპერიმენტის) საზომი, ცხადია, მისი ისტორიული ალტერნატივაა; ჩვენ გულწრფელად, ლამის გულუბრყვილოდ ვინამეთ დემოკრატია, როგორც თავისუფალ ადამიანთა საერთო ნება, სამართლიანი კანონების უზენაესობა, ზოგადსაკაცობრიო უფლებებით აღჭურვილი და რეალურად დაცული ადამიანი. ახლა ვხვდებით, რომ, თურმე, ასე მარტივად არ ყოფილა საქმე; გაგვიჭირდა, ძალიან გაგვიჭირდა, ამიტომაც გასაგებია კეთილშობილი ამბოხი არსებული რეალობის წინააღმდეგ, რომლის ერთადერთი წამალი ისევ დემოკრატია – ხელისუფლებაზე ხალხის, დემოსის, ლეგიტიმური ბატონობის დამყარება. ეს შეძლეს ბევრგან, უთუოდ შევძლებთ ჩვენც, თუ სახელმწიფო, როგორც ფრანგი განმანათლებლები ბრძანებენ, შეძლებულთა დარაჯის მოვალეობისგან განთავისუფლდება.

ესაა ამ წიგნის მთავარი სათქმელი, – რეალური, კონკრეტული, ხშირად მეტისმეტად მძიმე, მაგრამ, უტყუარი და ფაქტებით გაჯერებული. მიხარია, რომ ამ წლებში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ, ქართული სახელმწიფო, საზოგადოება, უურნალისტიკა კვლავაც ძიებაშია, ცდილობს უჭირისუფლოს ხალხს და ქვეყანას, თუმცა ლია ჭრილობა – ოკუპირებული ტერიტორიები,

იქ დარჩენილი მოსახლეობა ჯერაც ამაოდ ელოდება შვებას და შველას – მეტისმეტად გაჭინურდა შეიარაღებული კონფლი-
ქტის შედეგების დაძლევა, პოსტკონფლიქტური ლაბირინთიდან
თავის დაღწევა.

მირჩევდნენ წიგნის გარეკანზე ჩემი ყრმობის ფოტოსურათი
გამომეტანა, რათა მოძლვრის როლში არ გამოვსულიყავი. არ
დავეთანხმე. ასე მგონია, რომ მამულზე უსაშველო ფიქრის, ბრა-
ზის და დარდისგან ქანცგაცლილი ახალგაზრდა მამულიშვილიც
გულიანი, მაგრამ უძალო მოხუცივითაა, რომელიც ვერა და ვერ
შელევია დამწვარ და გაველურებულ ქალაქებსა და სოფლებს,
წინაპართა გავერანებულ საფლავებს, მრავალი თაობის ნალო-
ლიავებ ეზო-ყურეებში დასადგურებულ თავზარდამცემ მარ-
ტოობას.

რაფიელ გელანტია

ჩართული სკოლის პედი აზხაზეთში

სკოლა ისეთივე წმინდაა ერისა და
ქვეყნისთვის, როგორც ლვის სახლი.
ილია

იღუპებოდა ის ერი, ქვეყანა, სახელმწიფო, რო-
მელსაც ავინყდებოდა საკუთარი სკოლა და ბრძან-
ბაძავდა ან ქედს უხრიდა სხვათა სკოლას, უცხო სტან-
დარტებსა და ღირებულებებს.

ყველა გონიერი მმართველი, ჯანსაღი საზოგადოება
სკოლას უქმნიდა განვითარების ხელსაყრელ პირობებს
და ამისთვის ძალას არ ზოგავდა. ჭეშმარიტებაა, რომ
სკოლის განვითარებაში, განათლებაში ჩადებული კა-
პიტალი დღესაც ყველაზე მომგებიანია, თანაც, აქსიო-
მატურია ფორმულა – ასწავლე მშობლიურ ენაზე!

უეჭველია, ადამიანის თვითგამორკვევა და იდენ-
ტიფიკაცია, მისი კუთვნილება ამა თუ იმ ერისადმი
მოლიანად დამოკიდებულია იმაზე თუ რომელ ენაზე
იწყებს მოზარდი სწავლას, როგორ აითვისებს ამ ენა-
ში განვთებულ ცნებებსა და კატეგორიებს, რომლის
გარეშეც ერი არ არის ერი. ყველა ქართველი, როგორც
წესი, „აი ია“-დან მოდის, ეზიარება ცივილიზაციას,
მდიდრდება და ამდიდრებს სხვა ენებს, სხვა კულტუ-
რებს. ახლა, როცა ახალ საქართველოს ვაშენებთ და
მეტად გვიჭირს ყველაგან და ყველაფერში, დროებით
დავკარგეთ ტერიტორიები და პატრიოტობა ლამის სა-
ლანძღვავ სიტყვად გვექცა (სანაცვლოდ მოდური გახდა
ფრაზა – სადაც ფულია, იქაა ჩემი სამშობლო), დროა
სკოლას და მასწავლებელს მივხედოთ და ამით საქართ-
ველოს მომავალი გადავარჩინოთ.

აფხაზეთში, სამურზაყანოში, ოქუმში 1851 წელს პირველი
სკოლა გაიხსნა. იმ დროისთვის ეს იყო ერთადერთი საგანმა-
ნათლებლო დაწესებულება აფხაზეთში. ქართველი საზოგა-

დოებრიობისა და ადგილობრივი მოსახლეობის კატეგორიული მოთხოვნით სკოლა გახსნა განათლების საკითხებში აფხაზეთში თბილისიდან მივლენილმა უაღრესად განათლებულმა ადამიანმა, მისიონერმა დავით მაჭავარიანმა.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში სამურზაყანოს ტერიტორიაზე, ბედიაში, დიხაზურგაში, ნაბაკევში, ჩხორთოლში, გუდავასა და საბერიოში თანმიმდევრობით გაიხსნა ქართულენოვანი სკოლები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს წიგნისა და ცოდნის სიყვარულს, ქართული გენისა და ეროვნული სულის განმტკიცებას, რითაც დღესაც, აფხაზეთისთვის ამ უმძიმეს ჟამს, გამორჩეულია ეს მხარე, მისი მრავალტანჯული მოსახლეობა.

განათლების ინსპექტორთა ადრეული, 1864-1867 წლების ანგარიშები ადასტურებენ, რომ სამურზაყანოს სკოლებში სწავლება, ძირითადად ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, თუმცა ასწავლიდნენ შერეულად და რუსულ ენაზეც.

საინტერესოა, რომ 70-ანი წლების დასაწყისიდან ასწავლიდნენ იაკობ გოგებაშვილის „ქართულ ანბანს“, „დედა ენას“, „ბუნების კარს“, „კალანდარიშვილის „რუსული ენის დამწყებ კურსს ქართველთათვის“, დიდებულიძის „არითმეტიკულ ცნობარს, „უშინსკის „ბავშვთა სამყაროს.“

ხელფასის სიმცირე და მის მიღებაში არსებული პრობლემები მასწავლებელს მაშინაც გამოუვალი პრობლემების წინაშე აყენებდა (როგორ მეორდება დროდადრო ისტორია!), მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი ახერხებდა ნაყოფიერად, კეთილსინდისიერად ემუშავა, არც თავს ვინმეს აჩაგვრინებდა და არც ბავშვებს, მოსახლეობაში ნერგავდა სიკეთეს, ზნეობას, კაცომოყვარეობას, სამშობლოს და მამულის ერთგულებას.

ადსანიშნავია, რომ სამურზაყანოელ, და საერთოდ, აფხაზეთის მასწავლებლებს, რითაც და როგორც შეეძლოთ, ებმარებოდნენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. უტყუარი წყაროები მოწმობს, რომ დღევანდელობისგან განსხვავებით, აფხაზეთის მოსახლეობაში სწავლა-განათლების განვითარება

საზოგადოების და ქვეყნის შეძლებული ადამიანების ერთერთი უპირველესი საზრუნავი იყო.

პირველი სამრევლო სკოლა გუდაუთაში 1884 გაიხსნა. 1884-1898 წლებში სამურზაყანოს თემებსა და სოფლებში უკვე არ-სებობდა 22 სკოლა, კერძოდ ოქუმში, ბედიაში, დიხაზურგაში, საბერიოში, გუდავაში, ოტობაიაში, ბარლებში, ცხირში, წარჩე-მუხურში, რეჩხში, პირველ ბედიაში, ჭუბურხინჯში, თაგილონში, რეფი-შეშელეთში, ხუმუშქურში, ჩხორთოლში და ქვემო ცხირში.

ნიშანდობლივია, რომ მე-19 საუკუნის ბოლოსთვის სკოლების შენახვის ხარჯები სხვადასხვა საქველმოქმედო დახმარებებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შენატანების ხარჯზე სისტემა-ტურად იზრდებოდა. საქართველოს ინტელიგენცია, უდიდესი გულისყურით ადევნებდა თვალყურს აფხაზეთში განათლების განვითარებას, განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ იყო სამურზაყანოს სკოლები, რომლებმაც რუსიფიკაციის შავბეჭლ დროშიც შეინახეს და მოუარეს, არ დათმეს ქართული ენა და ქარ-თული ცნობიერება.

აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, 1993 წლიდან სეპარატისტულმა ხელისუფლებამ აფხაზეთში გააუქმა ქართუ-ლი ენის სტატუსი, ქართული ენა აიკრძალა სახელმწიფო დაწე-სებულებებსა და ორგანიზაციებში, საყოფაცხოვრებო ურთიერ-თობაშიც კი. დაიწვა, დაიხურა, გაიძარცვა ქართული სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები, განადგურდა ქართული წიგნები, ბიბლიოთეკები, სასკოლო სახელმძღვანელოები.

აღსანიშნავია, რომ 1991-1992 სასწავლო წელს აფხაზეთ-ში არსებობდა 235 ქართული და შერეული ზოგადსაგანმანათ-ლებლო საშუალო, არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლა და რამდენიმე ასეული სკოლამდელი დაწესებულება.

1992-1993 სასწავლო წელს გალის რაიონში იყო 58 საშუალო სკოლა, მათ შორის 5 სრული და არასრული რუსული სკოლა, ერთი შერეული ქართულ-აფხაზური სკოლა, 42 სკოლამდელი დაწესე-ბულება. პრაქტიკულად მონოეთნიკურ – ქართულ რაიონში, ყვე-ლა ეროვნული უმცირესობის და ჯგუფის წარმომადგენელს ჰქონ-

და საშუალება ესწავლა მშობლიურ ან მისთვის სასურველ ენაზე. გალის სკოლები ყოველთვის მზად იყვნენ ესწავლებინათ აფხაზური ენა, სასკოლო საგნებში შეიტანეს კიდეც აფხაზური ენის სწავლება, მაგრამ აფხაზურენოვანი კადრების დეფიციტის გამო მისი ორგანიზაცია მხოლოდ ჩხორთოლის სკოლაში მოხერხდა.

1993-1994 წლებში, სეპარატისტული რეჟიმის ინიციატივით დახურეს, დაწვეს და გაანადგურეს ყველა ქართული სკოლა, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულება, ბიბლიოთეკა, დახოცეს ოცნებეტი ქართველი მასწავლებელი.

საყურადღებოა, რომ სოხუმის რეჟიმმა სცადა მეგრული (ადგილობრივი ქართული) დაეპირისპირებინა ქართული ენისთვის. ამით იყო განპირობებული გალის რაიონული გაზეთის სახელის შეცვლა და მისი რუსულ-აფხაზურ-მეგრულად გამოცემის დაწყება, მეგრულ-აფხაზური სასაუბროს და ლექსიკონის გამოცემის მცდელობა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთებას წააწყდა და ჩაიფუძა.

1994 წლიდან აფხაზურმა ადმინისტრაციამ ყველა ღონეს მიმართა აფხაზეთის სკოლებიდან ქართული ენის გასადევნად და რუსულ და აფხაზური ენებზე სწავლების დასამკვიდრებლად. გალში არც ერთ პირველკლასელს ქართულ ენაზე განათლების მიღების საშუალებას არ აძლევენ. აკრძალეს საქართველოს ისტორია, საქართველოს გეოგრაფია, საზოგადოებათმცოდნეობა. ქართული ენა ერთ-ერთი რიგითი საგანი გახდა.

1995 წლიდან გალის რაიონში დარჩენილი, დაბრუნებული პედაგოგები და მშობლები შეუდგნენ ქართული სკოლების აღდგენას, რა თქმა უნდა, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად. ცალკეულ ზღვისპირა სოფლებში უკვე აღდგენილია ქართული სკოლები. კვლავ სახეზეა უნიკალური ტრიადა-სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, ანუ აფხაზეთში ქართული ენისა და ერთიანი სამშობლოს ბედი ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მოსახლეობა შეეგუა ყოველგვარ უბედურებას, განსაცდელსა და შიშს, მაგრამ არა სკოლის გაქრობას, ქართული ენისა და ქართული სკოლის სიკვდილ!

1998 წლის ტრაგიკული მოვლენების დროს ხელისუფლების ხელშეწყობით, სკოლების უმეტესობა გადმოვიდა ენგურს გამოლმა, მაგრამ იქ დარჩენილებმა, ვითარების ერთგვარი სტაპი-ლიზაციის კვალდაკვალ, კვლავ განაგრძეს საქმიანობა. სკოლების გარკვეული ნაწილი უბრუნდება მშობლიურ ადგილებს. ეს პროცესი გრძელდება. თავის დროზე ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის ქართველ მასწავლებელთა გმირობას, ალბათ, იშვიათად თუ მოენახება ანალოგი. ყოველდღიურობაში, როგორც წესი, ეს ნიშნავს დილის ექვს საათზე ადგომას, შეიარაღებული საგუშაგოებისა და ბლოკ-პოსტების გავლას, 10–12 კილომეტრი მანძილის ქვეითად გადაადგილებას, ყოველწუთიერ შიშს.

რატომ წავართვით გალელ ბავშვებს უფლისგან ბოძებული უფლება ისწავლონ ქართულ ენაზე?—კითხვას სვამს აფხაზი ქალბატონი მანანა ბჟანია.

მანანა ბჟანიას პოლიტიკური მიზანი ნათელია (ყოველ შემთხვევაში ფორმალურად) და კომენტარის აუცილებლობა არ არის, მაგრამ მისი პუბლიკაცია (ქალაქ სოხუმში გამოცემული ჟურნალი „სამოქალაქო საზოგადოება“, „სექტემბერი, №2, 2000წ.) ყურადღებას იმსახურებს ბევრ საკითხში, მათ მორის გალში არსებული ვითარებისა და განათლების პრობლემების თვალსაზრისით.

„საინფორმაციო ომი გალში წავაგეთ – აღნიშნავს იგი. გალში არ ჩააქვთ სოხუმში გამოცემული არცერთი გაზეთი და ჟურნალი. სამწუხაროდ, შეაქვთ მხოლოდ ქართული გაზეთები. გალში არ გამოდის გაზეთი, თუმცა არიან კვალიფიციური კადრები. როგორ ვაპირებთ აფხაზეთში გალის რაიონის ინტეგრირებას, თუ ადამიანებს ვტოვებთ სასურველი და ჩვენთვის სასარგებლო ინფორმაციის გარეშე? – სვამს კითხვას შეწუხებული ავტორი და იქვე აგრძელებს: „ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ჰქონდეს არჩევანი, რომელ ენაზე ისწავლოს და ილაპარაკოს. ადამიანის უფლების უხეშ დარღვევად მიმართია, რომ გალელ ბავშვებს არა აქვთ უფლება საშუალო განათლება მიიღონ ქართულ ენაზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იძულებით

შემოვილოთ აფხაზური ენის სწავლება, ეს მხოლოდ მის უკუგ-დებას გამოიწვევს. . . გალელებს წავართვათ უფლება ისწავლონ ქართულ სკოლაში, იგივეა, რაც იყო 50-იან წლებში, როცა დახუ-რეს აფხაზური სკოლები. ძალზე შემაშფოთებელია სახელმწიფო ჩინოვნიკების პოზიცია, რომლებიც უკიდურესად ნეგატიურად აღიქვამენ ამ თემაზე საუბრის წამოწყებასაც კი. ეს საკითხი გა-დასაწყვეტია ძალზე ოპერატიულად, სხვანაირად ჩვენ დიდხანს არ გვექნება გალის რაიონის მოსახლეობის მხარდაჭერა.“

რას მოთხოვენ გალელი პედაგოგები ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან?

1. აფხაზეთის პრობლემის საბოლოო მოწესრიგებამდე ქვეყ-ნის ხელისუფლებამ უფრო ენერგიულად დაუჭიროს მხარი აფხა-ზეთში მცხოვრები მოსახლეობის მოთხოვნას ქართული ენის სტატუსის აღდგენისა და მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების (ამ ეტაპზე გალის რაიონში მაინც) უზრუნველსაყოფად.

2. საქართველოს ხელისუფლებამ უფრო კატეგორიულად დასვას გაეროს, ეუთოს, კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართული სახელმწიფოების, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების წინაშე განათლების დარგში აფხაზეთში არსებული დისკრიმი-ნაციის, ინტელექტუალური გენოციდისა და ეთნიკური წმენდის აღკვეთის საკითხი.

3. ენგურს გაღმა სკოლებს მეტი მორალური და მატერიალური დახმარება, ყურადღება და თანადგომა გაუწიონ გამოჩენილმა ადამიანებმა, მწერლებმა, პოეტებმა, პოლიტიკოსებმა, საქართ-ველოს საზოგადოებრიობამ, სახელმწიფომ.

გულწრფელი არ ვიქნებით, თუ არ აღვნიშნავთ იმას, რაც ამ მიმართულებით კეთდება.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საკითხთა დროებითმა კომისიამ (თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია), ყვე-ლა კომპეტენტური სამინისტროსა და უწყების, საერთაშორი-სო ორგანიზაციების მონაწილეობით სპეციალურად განიხილა გალის რაიონში სწავლა-განათლებისა და ქართული ენის დევნის საკითხი და მიიღო სათანადო რეკომენდაციები. გალში

განათლების მდგომარეობის თაობაზე საქმის კურსში ჩაყენებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციები, მეგობარი ქვეყნები. კომისიამ შესაბამისი მასალები წარუდგინა გაეროს, ეუთოს, ევროკავშირის ადამიანის უფლება და მცველ სამსახურებს, ასევე, გაეროსა და ეუთოს გალში მდგომარეობის შემფასებელ კომისიას. აღნიშნულმა კომისიამ ადგილზე შემოწმებით დაადასტურა წარდგენილი მასალების ობიექტურობა და ვითარების სიმძიმე.

ყოველივე ამის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს რამდენიმე რეზოლუციაში ჩაიწერა აფხაზეთში ქართული ენისა და ქართული სკოლის დევნის თაობაზე, თუმცა მდგომარეობა რამდენადმე არ შეცვლილა.

მარტივი გადასაწყვეტი არ აღმოჩნდა ენგურს გალმა სკოლების დაფინანსების და ხელფასების სისტემატურად გაცემის საკითხი, თუმცა ქვეყნის პრეზიდენტმა სათანადო ინსტანციებს მოსთხოვა პრობლემის მოგვარება და ენგურსგაღმა სკოლების პედაგოგებმა გარკვეული ფინანსური დახმარება მიიღეს.

სამწუხაროდ, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გამო, 2001 წლის ბიუჯეტში გალის სკოლების დაფინანსება არ ქნა გათვალისწინებული.

უეჭველია, რომ გალის რაიონი მანამდე იქნება ქართული, სანამ იქ ისწავლიან და გაუფრთხილდებიან ქართულ ენას, შეინახავენ და განავითარებენ ქართულ სკოლას.

„დილის გაზეთი“,
4 მაისი, 2001წ.

გალელები მაისის ტრაგედიამაც ვერ გატეხა

მუდმივი შიში, ძალადობა, განუკითხაობა, აუტანელი სიდუხჭირე, გაურკვევლობა, ცხადია, ფიზიკურად და სულიერად ფიტავს ადამიანებს.

სულისხმეულობრივი ოკუპაციისა და ანექსიის ატანა. წარმოუდგენელია იმ მდგომარეობის შეგნება, როცა გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე უკეთურები (თანაც შეიარაღებული) ზემოდან გიყურებენ, აბუჩად გიგლებენ, ხმას არ ამოგალებინებენ, არარაობად მიგიჩნევენ.

გალის რაიონში, ფაქტიურად არ არსებობს ხელი-სუფლება. გამეფებულია კრიმინალური განუკითხაობა, თარეშობენ დსტ-ს ქვეყნებიდან, საქართველოს და საკუთრივ აფხაზეთის ქალაქებიდან გადმოხვეწილი კრიმინალური ბანდები. ისინი ძარცვავენ მოსახლეობას, ართმევენ ლუკმაპურს, შლიან შემორჩენილი შენობა-ნაგებობებს, რკინიგზის, ელექტრო უზრუნველყოფის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებს, ჯართად გააქვთ უნიკალური მოწყობილობანი და დანადგარები, ჩეხავენ ენდემურ ტყეებს და ქარსაფარ ზოლებს.

აფხაზეთში დღემდე გრძელდება ეთნიკური წმენდა. სისტემური ხასიათი აქვს შეიარაღებულ დაპირისპირებებს, მძევლად აყვანას, დაშინებას, ტერორს, ადამიანებით ვაჭრობას, იღუბებიან ქართველებიც და აფხაზებიც.

ბოლო დროს გალის რაიონში დაუფარავად ავრცელებენ ნარკოტიკებს, ამკვიდრებენ იარაღის კულტს, პროსტიტუციას, ძალადობას, ცდილობენ გააუფასურონ ტრადიციული ადათნესები, ებრძვიან ქართულ სკოლას, მშობლიურ ენას, ქმნიან მოსახლეობის გარუსების გარემოს, ადგილობრივ მცხოვრებლებში თესენ ეჭვსა და უნდობლობას, შულლისა და მტრობას.

აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ გალში უფრო მძიმე მდგომარეობაა, ვიდ-

რე მთლიანად აფხაზეთში. მათი დაკვირვებით, გალში გამოიკვეთა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მთელი სპექტრი, რაც განაპირობებს მოსახლეობის გაუსაძლის ყოფას; გალის რაიონში გამეფებულია ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური უუფლებობა, წარმეული აქვთ ეროვნული თვითმმართველობა – მშობლიური ენა. ბავშვებს უკრძალავენ ისწავლონ ქართულ ენაზე და დაამთავრონ სკოლა, აიძულებენ ისწავლონ აფხაზური ენა; მოსახლეობა საინფორმაციო ვაკუუმშია. არალეგალურად და კანტი-კუნტად შეაქვთ ქართული გაზეთები თბილისიდან, შეფერხებულია საქართველოს რადიო და ტელემაუნიკომუნიკაციების გავრცელება. ტექნიკური მიზეზით შეზღუდულია რუსულენოვანი საინფორმაციო არხებიც. სოხუმის ხელშეწყობით ქალაქ გალში გახსნილი ორი კომერციული საკაბელო ტელევიზია სადღელამისო რეჟიმში ქადაგებს ძალადობას, უზნეობასა და გარყვნილებას.

გალში არცერთი საწარმო და დაწესებულება არ მუშაობს, დაბრუნებული მოსახლეობა პრაქტიკულად დაუსაქმებელია. ადრე გახსნილი სავაჭრო ჯიხურები იხურება. აფხაზები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი სავაჭრო ობიექტები, სადაც დასაქმებული ჰქონდება სოხუმიდან და აფხაზეთის სხვა რეგიონებიდან ჩამოყალიბების ახლობლები.

საღამოობით რაიონში სიცოცხლე კვდება კომენდანტის საათის გამო.

ერთადერთი, რასაც გალელები კვლავაც წმინდადად ინახავენ, ესაა გარდაცვლილთა გადასვენება მშობლიურ ადგილებში, მიცვალებულთა გაპატიოსნება და საკრალურად მიჩნეული რიტუალის აღსრულება.

მოსახლეობა წლების განმავლობაში ითხოვს ეკლესიების ამოქმედებას, მაგრამ უშედეგოდ. საამისო საბაბი ყოველთვის გამოინახა; ჯერ იყო სოფელ ჭუბურხინჯში გზისპირა მდებარე ეკლესიის შენობის აღდგენის შეუძლებლობა, შემდგომ რუსული ენის მცოდნე მღვდლის პოვნა, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, სხვა არგუმენტი გამოინახა უარის სათქმელად. ეს საკითხი

აფხაზებსაც აწუხებთ, ვინაიდან ბევრ მათგანს ბავშვი მოსანათ-ლად ენგურს გამოლმა გადმოჰყავს, თანაც ფარულად და შიშის ქვეშ. სოხუმისა და აფხაზეთის ე.ნ. მღვდელმთავარი აფლია (ფილია) გალის მოსახლეობას ჰპირდება ეკლესიის გახსნას თუ და-თანხმდებიან მღვდელმსახურების რუსულ და აფხაზურ ენებზე აღსრულებას.

გალში ავტოტრანსპორტი არსებითად არ არის, ცხენი და ურე-მი ტრანსპორტის ძირითადი სახეა.

სასოფლო საავადმყოფოები, როგორც წესი, განადგურებუ-ლია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამი-ნისტრომ რამდენიმე თემში აღადგინა ოტობაიის, ოქუმისა და სა-ბერიოს საავადმყოფოები, ასე ხუთიოდე სასოფლო ამბულატო-რია, რომელთაც ამარაგებს მედიკამენტებით, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. რაიონის გაძარცულ ცენტრალურ საავადმყოფოს წითე-ლი ჯვარი და რიგი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია ინახავს, მაგრამ იქ პაციენტის გამოკვლევა და სერიოზულ სამედიცინო ჩარევა შეუძლებელია. ადგილობრივი მოსახლეობის შევბა იყო ექიმთა ბრიგადების ჩასვლა თბილისიდან, რომლებმაც ორასამ-დე გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია ჩაატარეს, ასობით ადამიანს გაუწიეს დახმარება.

ღვთის ანაბარადაა მიტოვებული ინვალიდები, ხეიბრები, მოხუცები, ფეხმძიმე ქალები, ბავშვები, განსაკუთრებით, ჩვილე-ბი, რომელთა შორის სიკვდილიანობა ათჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. სიძვირის გამო ხელმიუნვდომელია წამ-ლები, მედიკამენტები, უამრავი უმწეო და ტანჯული ადამიანი ელოდება თავის ბუნებრივ აღსასრულს.

გალში დაბრუნებულად მიიჩნევენ 35-45 ათას დევნილს. რე-ალურად დაბრუნებულთა მაქსიმალური რაოდენობა ფიქსირდე-ბა სასოფლო-სამეურნეო სეზონის პერიოდში. დაბრუნებისთვის ე.ნ. საზღვრის გადაკვეთის მოსაკრებელი და ბაჟია გადასახდე-ლი. ენგურის პირველად გადალახვის შემთხვევაში აფხაზური უშიშროების სამსახური ატარებს მოკვლევას ნებართვის დოკუ-მენტის გასაცემად.

უმთავრესი პრობლემა დაბრუნებულთა უსაფრთხოებაა. აქ მოულიდნელობისგან არავინაა დაზღვეული. აფხაზური პოლიცია დანაშაულის შესახებ შეტყობინებაზე, როგორც წესი, ვერ რეაგირებს, განსაკუთრებით ლამის საათებში. გაეროს დამკვირვებლებიც თავს არიდებენ შემთხვევის ადგილზე გასვლას. რაიონში ქართული პოლიციის აღდგენაზე საუბარი უშედეგოდ დასრულდა. ევროპელ პოლიციელებს (გერმანული) კი კარგი ხანია ელოდებიან, მაგრამ ამაოდ.

საქრთაშორისო ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს გალში გაეროს და ეუთოს ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის ან მისი სოხუმის ფილიალის გახსნა. აფხაზური მხარე აღნიშნული ოფისის გახსნის კატეგორიული წინააღმდეგია.

რაიონში აკრძალულია პოლიტიკური პარტიების ან მათი ფილიალების შექმნა. დაუშვებელია მიტინგები, დემონსტრაციები, პროტესტის გამოხატვის ნებისმიერი სხვა ფორმა. დაუშვებელია ნებისმიერი დემოკრატიული ინსტიტუტის შექმნა. ეგრეთნოდებული ადგილობრივი, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება ამომრჩეველთა მონაწილეობის გარეშე.

მიუხედავად ამისა აფხაზეთის ქართველებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი სამშობლოს, მამულის, ეროვნული თვითმყოფადობის უპირობო შენარჩუნების, წინაპართა საფლავებისთვის პატივის მიგების რწმენა, რაც მათთვის სიკვდილის შიშიუც ძლიერია. ეს ადამიანები მზად არიან ყველა საშუალებებით იბრძოლონ და დაიცვან საკუთარი მიწა-წყალი. სოხუმის რეჟიმი უამრავ გალელს პარტიზანებად მოიხსენიებს. სინამდვილეში ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, – ქალები, კაცები, მოზარდები, რომელთაც სხვა არჩევანი არ დაუტოვეს. მათ იურიდიული ნორმებით ვერავინ გაასამართლებს, რადგან აქვთ სრულიად ნათელი მიზანი – დაუბრუნდნენ საკუთარ ეზო-კარსა და ადამიანურ ცხოვრებას.

სამწხაროდ, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა ბედი მეტად მძიმეა საქართველოს რევიონებშიც. მაისის მოვლენების შემდეგ მრავალი ხელახლა დევნილი ჩამოვიდა საქართ-

ველოს დედაქალაქში. მათ აქაც უამრავი პრობლემა დახვდათ, თუმცა აქ მეტი გასაქანია დასაქმებისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად;

არც “ძველ” და არც ხელახლად დევნილს თბილისშიც არ აქვს ელემენტარული საშუალება პირველად ჯანდაცვას მიმართოს. თუ ფეხი მოგტყდა ან სხვა ორგანო დაგიზიანდა, სენი შეგეყარა, სახელისუფლებო დერეფნებში რამდენიმე კვირა უნდა იტრიალო, გავლენიანი ადამიანები მონახო, რათა ე.წ. საგარანტიო წერილი მიიღო და “გარანტირებულთა” რიგში ჩადგე. დევნილების კანონი ითვალისწინებს სამედიცინო დახმარებას, მაგრამ მასზე რეალურად მხოლოდ გამონაკლისებს მიუწვდებათ ხელი. არანაკლებ რთულია საცხოვრებელი ფართის გამონახვა. სკოლებსა და საავადმყოფოებში ადრე ბევრი ჩასახლდა უპრობლემოდ, მაგრამ იქ ელემენტარული საარსებო პირობები არ არსებობს. რაც შეეხება საცხოვრებლად შედარებით ადატტირებულ სახელმწიფო შენობებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, თუმცა უმოქმედოს, ახლა არავინ გაგაკარებს ე.წ. შეჭრის გარეშე. ეტყობა, სახელმწიფო საკუთრებაში ჯერ კიდევ აღრიცხულ შენობა-ნაგებობებს თურმე ჰყავთ უჩინმაჩინი (მაგრამ რეალური) პატრონები, რომელთა ემისრები მაშინათვე თავზე დაგაყენებენ სამართალდამცავებს, ან “შავი ბიჭებით” დაგაშინებენ, უკეთეს შემთხვევაში, ხელსაყრელ გარიგებას შემოგთავაზებენ. დევნილთა სამინისტრო და ხელისუფლება, როგორც წესი, უძლურია და ამ მოვლების მიჩურათებით შემოიფარგლება. ერთი სიტყვით, აფხაზეთელებს არც დედაქალაქში აქვთ დალხენილი ცხოვრება და ყველაფრის თავიდან დაწყება უხდებათ. სხვებს სხვაგან წასასვლელი არა აქვთ, ამიტომაც რჩებიან ენგურგამოლმა, გალელების დიდი ნაწილი კი კვლავ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და უბრუნდება დღემდე.

1998 წლის მაისში ახალი ტრაგედია დაატეხეს თავს გალელებს. ხელისუფლებისა და ცალკეულ ავანტიურისტთა უაზრო და უთავბოლო მოქმედების შედეგად სოხუმის რეჟიმმა და მისმა მხარდამჭერებმა ხელახლა გაძარცვეს და გადაწვეს გალის რა-

იონი, გაულიტეს მშვიდობიანი ადამიანები, კვლავ დევნილად აქ-ციეს დაბრუნებული ქართული მოსახლეობა.

სამწუხაროდ, მაისის ტრაგედიის მიზეზები დღემდე უცნობია, არც ორგანიზატორებსა და პროვოკატორებს დაკისრებიათ პასუხისმგებლობა.

ცხადია, რომ ახალმა ტრაგედიამ შეარყია, მაგრამ ვერ გატეხა გალელები, მათი მეობა, სიმტკიცე, მარად ქართველად დარჩენის ურყევი ნება.

დრო და ისტორია, ალბათ, იმათ წვლილსაც შეაფასებს, ვინც უბიძგა გალის ტრაგედიას, ვინც იკისრა შედეგებისთვის პასუხისმგებლობა, მაგრამ ვერ ან არ გააკეთა თავისი საკეთებელი, ვინც იდედლა და იორგულა.

„დილის გაზეთი“,
26 მაისი, 2001წ.

პოლიტიკურანთები აზრაზეთში

აფხაზეთის 1992-1993 წლების მოვლენებში რუსეთის მოქალაქეების, მათს შორის, ჩრდილოეთ კავკასიელთა მონაწილეობის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ზოგი მათ ვოლონტერებად მოიხსენიებს, ზოგიც კონფედერანტებად, სხვებიც დაქირავებულ თუ მოხალისე მეომრებად, თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავება, აღბათ, არც არის.

მიუხედავად აფხაზეთის ძმათამკვლელ ომში ჩრდილო კავკასიელ მებრძოლთა დაუფარავი მონაწილეობისა, ქართველობას, როგორც წესი, აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგაც მიაჩნია, რომ ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხები არიან საქართველოს ისტორიული მეზობლები და ახლობლები, თუმცა, აფხაზეთის ძმათამკვლელ ომში მოხალისედ ჩასული ბევრი კავკასიელი გამორჩეული სისასტიკით ხოცავდა ქართველებს, ძარცვავდა ადგილობრივ მოსახლეობას, გაჰქონდა ქონება, წვავდა ქალაქებსა და სოფლებს.

ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში ეს სამარცხვინო ლაქაა, რომლის დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ მისი ნეგატიური შედეგების დაძლევა და ტრადიციული კეთილმეზობლობის აღდგენა აუცილებელია. ეს საჭიროა ჩვენი და მომავალი თაობებისთვის, რადგან ძნელად მისატევებელი ცოდვების განმეორების აღბათობა კვლავაც მაღალია.

დასტურად მრავალი არგუმენტი არსებობს, მათ შორის, თუნდაც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრად ყაბარდოელის, კავკასიის ე.ნ. მთიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერის, კავკასიელ მოხალისეთა მთავარსარდლის, აფხაზეთის ომის გმირის, რუსეთის მოქალაქის გენერალ-ლეიტენანტ რუსლან სოსლანალიევის დანიშვნა, რაც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს რატომღაც ნიშნავს დე-ფაქტო აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯინბა და არა პრეზიდენტი სერგეი ბალაფში.

აფხაზეთის ომში მოხალისეთა როლისა და ადგილის თაობაზე ისტორია თავისი დროზე იტყვის სათქმელს, თუმცა არც ახლა არის ზედმეტი საზოგადოების ყურადღების მიშენება იმაზე თუ ვისი დახმარებით და ხელშეწყობით შეიარაღდნენ კონფედერანტები, რა ფუნქცია დაეკისრათ მათ დიდი პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე და რანაირი იქნებოდა მათი პოზიცია მოვლენათა სხვაგვარი განვითარების შემთხვევაში. იქნებ, დადგა დრო, მსოფლიოში ამჟამად არსებული რეალობის გათვალისწინებით, ახლებურად იქნას გააზრებული მთიელ ხალხთა ტრაგიკული ისტორია, მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი მთლიანობაში და განსაკუთრებით XVI–XX საუკუნეებში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, კერძოდ, 1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში ჩატარდა ე.ნ. კავკასიის მთიელ ხალხთა პირველი ყრილობა, რომელმაც შექმნა მთიელ ხალხთა ასამბლეა; მოგვიანებით, 1991 წლის 1-2 ნოემბერს, კვლავ სოხუმში ჩატარდა კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის III ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ აბაზი, აფხაზი, ადილი, ჩეჩენი, ყაბარდოელი, ოსი, ჩერქეზი და სხვა ხალხთა წარმომადგენლები და მიიღეს გადაწყვეტილება ასამბლეის კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციად (კმხ) გარდაქმნის თაობაზე, შეიმუშავეს სათანადო დეკლარაცია. ყრილობამ კმხ-ს დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადა.

მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადი გახადა, რომ იმ ეტაპზე კონფედერანტთა მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს დაშინება, მის კისერზე ყულფის ჩამოცმა, აფხაზეთის ჩამოცილება, რასაც ათასობით მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე შეენირა და კიდევ უფრო ჩაიხლართა კავკასიური გორდიას კვანძი.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების ერთი კვირის თავზე, 1992 წლის 21 აგვისტოს, კონფედერაციის პრეზიდენტმა შანიბოვმა და პარლამენტის თავმჯდომარემ სოსლანბეკოვმა გამოაქვეყნეს ბრძანებულება და კონფედერაციის ყველა

შტაბს და შეიარაღებულ რაზმებს დაავალეს აფხაზეთში მოხალისეთა შეუფერხებელი გადასვლის უზრუნველყოფა, უფრო მეტიც, ქართველთა მიერ წინააღმდეგობის განვითარების შემთხვევაში, ბრძოლებში ჩაბმა.

ფაქტია, რომ კონფედერანტთა მოწოდებით და დახმარებით უამრავი მოხალისე, კარგად შეიარაღებული და განვრთნილი კმხკ-ს მებრძოლი, თავგადასავლების მაძიებელი კაზაკი თუ სხვა უცხოქვეყნების მთელი საომარი პერიოდი შედიოდა აფხაზეთში. მათ არ აკლდათ ფული, იარაღი, საომარი დისციპლინა, ფანატიზმი.

15 აგვისტოს, დაბა „განთიადში“ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს საზღვაო დესანტის გადასხმის დღესვე, კონფედერანტთა პირველი რაზმი სულთან სოსლანალიერის მეთაურობით შევიდა გუდაუთაში და განახორციელეს ქალაქის გამაგრების ღონისძიებანი.

16 აგვისტოს სოხუმზე პირველი იერიში მიიტანა ყაბარდოელთა რაზმა.

იმდროინდელი მედიის ინფორმაციით (ქართული და ჩრდილოეთკავკასიური), ომის პირველი დღებიდანვე აფხაზეთში მასობრივად აღნევდნენ მოხალისეები საბრძოლო იარაღითა და აღჭურვილობით; აგვისტოს ბოლოსთვის ჩეჩენებმა გროზნოში შექმნეს ძლიერი შეიარაღებული დაჯგუფება და გადაისროლეს აფხაზეთში.

19 აგვისტოს ტყვარჩელის მოსახლეობამ დანებება მოითხოვა და თეთრი ბაირაღი აღმართა. პოლიტიკური და პუმანიტარული მოტივით ქართული ჯარი ტყვარჩელში არ იქნა შეყვანილი; ეს სამხედრო-სტრატეგიული შეცდომა იყო, რითაც, შემდგომში შესანიშნავად ისარგებლეს კონფედერანტებმა ე.ნ. აფხაზეთის აღმოსავლეთის ფრონტის შესაქმნელად; ბზიფის ხეობა, რომელიც ომის პირველ ეტაპზე, დაქირავებულთა აფხაზეთში შეღწევის მთავარი გზა იყო, მოგვიანებით გაფართოვდა და შეიცსო ტყვარჩელის მეტად მოხერხებული სტრატეგიული პლაცდარმით.

კონფლიქტის პირველ დღეებში მოხალისეები რუსების მხრი-

დან თითქოსდა გარკვეულ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, რეალურად კი მათი ტრანსპორტირება ზღვიდან და ჰაერიდან რუსეთის სატრანსპორტო საშუალებებით ხდებოდა. 21 აგვისტოდან კი, ანუ აფხაზეთის დატოვების შესახებ საქართველოს ხელისუფლებისადმი გამოცხადებული ულტიმატუმის ვადის ამონურვის დღიდან, მოხალისეებს წება დართეს ყოველგვარი საშუალებით შეეღწიათ აფხაზეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ყველა ქართველი მძევლად გამოაცხადეს, თბილისი კი უბედურების ზონად.

იმავე დღეს, 21 აგვისტოს, კონფედერანტებმა ეშერის დასახლებაში ჩამოაგდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ვერტმფრენი, ბიჭვინთიდან გაიტაცეს სამხედრო კატარლა.

25 აგვისტოს აფხაზთა რაზმებმა და კონფედერანტებმა პირველი შეტევა წამოიწყეს მდინარე გუმისთაზე ქართული პოზიციების დასაძლევად, მაგრამ ბევრი მებრძოლი დაკარგეს და უკუიქცნენ. ამიერიდან მათს საომარ ტაქტიკაში უმთავრესი გახდა მოულოდნელი თავდასხმა და სწრაფი უკანდახევა.

26 აგვისტოს, იმისთვის, რომ ქართველთა მიმართ ლოიალურად განწყობილი აფხაზებისთვის „მამაცობის“ გაკვეთილები ჩაეტარებინათ, კონფედერანტები მოულოდნელად თავს დაესხნენ სოხუმს და რკინიგზის ვაკისამდე შესძლეს გასვლა, თუმცა დიდი დანაკარგი ნახეს და ქალაქი დატოვეს; უახლოეს დღეებში იგივე გამეორეს გაგრაში.

რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა იმ დღეებში ფარისევლურად განაცხადა, რომ „მთლიანად მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიღებული იქნება ყველა ზომა, რათა ჩრდილოეთ კავკასიამ მხარი არ დაუჭიროს სეპარატისტებს.“

3 სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა უმაღლესი დონის შეხვედრა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძესა და რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის მონაწილეობით. შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური და სეპარატისტი ლიდერები, ჩრდი-

ლოეთ კავკასიის რესპუბლიკების, რუსეთის სამხრეთის მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელები. შეხვედრის ოფიციალური ჩანაწერები ადასტურებს, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადის-ლავ არძინბა და თამაზ ნადარეიშვილი აიძულა მოლაპარაკების მაგიდასთან დამსხდარიყვნენ და ხელი მოეწერათ შეთანხმებისთვის. ქართული მხარის ინიციატივით ამ შეხვედრაზე დაედო სათავე მართებულ ტერმინს „კონფლიქტი აფხაზეთში“, და არა „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე შემორჩია საერთაშორისო დოკუმენტებს.

შეხვედრის ყველა მონაწილემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ;“ ამ დოკუმენტის მიხედვით 5 სექტემბრიდან უნდა შეწყვეტილიყო ყოველგვარი საომარი მოქმედება, უკანონო შეიარაღებული ფორმირებები დაშლილიყო და დაეტოვებინათ აფხაზეთის ტერიტორია, რუსეთის გენერალურ პროკურატურაში კი აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმეები რუსეთის მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც იბრძოდნენ აფხაზეთში.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის შეხვედრამდე, მხარეთა შორის სოჭის 29 აგვისტოს მორიგებით, გამოცხადებული იყო მორატორიუმი აქტიური საომარი მოქმედებების წარმოებაზე, მაგრამ 31 აგვისტოს კონფედერანტებმა და სეპარატისტთა რაზმებმა ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედება წამოიწყეს ქვემო ეშერაში, რათა ეჩვენებინათ აფხაზური მხარის ძლიერების „კოზირი“ მოსკოვის მოლაპარაკებებში, თუმცა მტერმა უმძიმესი დანაკარგი განიცადა, დაკარგა მრავალი დაქირავებული მებრძოლი და მოხალისე.

მოსკოვის შეთანხმებით დეკლარირებული ვალდებულებები არ შესრულებულა, ე.წ. შესვენების პერიოდი კარგად გამოიყენეს კონფედერანტებმა; უღელტეხილებიდან გრძელდებოდა დაქირავებულთა ახალი რაზმების გადმოსვლა აფხაზეთში, იარაღის და აღჭურვილობის შემოზიდვა.

1992 წლის სექტემბრის დასაწყისში კონფედერანტები ტყვარჩელშიც გამოჩნდნენ და აქტიური საბრძოლო მოქმედება წა-

მოიწყეს; მათ მიერ ამ ქალაქში ორგანიზებულ იქნა იარაღის წარმოება, მოეწყო სამხედრო ვერტმფრენების ასაფრენ-დასაფრენი მოედანი. ე.წ. აფხაზეთის აღმოსავლეთის ფრონტს განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა.

27 სექტემბრიდან, კონფედერანტთა მოწოდებით, დაქირავებულთა ახალი რაზმები გუდაუთისკენ დაიძრნენ. დაიწყო სამზადისი ბზიფის ფრონტზე გარღვევისთვის.

1 ოქტომბერს მამზიშხას მთაზე გამაგრებულმა კონფედერანტებმა და აფხაზებმა, უახლესი რუსული მძიმე ტექნიკის მხარდაჭერით, დაიწყეს შეტევა ზღვაზე გასასვლელად. უტევდნენ ზღვიდანაც. საღამოს აიღეს სოფელი კოლხიდა და ლამით გაგრის გარეუბნებში შეაღწიეს.

2 ოქტომბერს გაგრა დაეცა. გაგრაში, ასევე, კოლხიდაში და სხვა დასახლებულ პუნქტებში გაულიტეს უმწეო ქართველი მოსახლეობა. ქალაქი გაგრა სისხლში აბანავეს. მსგავსი რამ ქართველთა და აფხაზთა ისტორიაში არასდროს ყოფილა, ვინაიდან ველურობის სინდრომი, როგორც წესი, აფხაზებს, თუნდაც ომში, არ ახასიათებთ.

ექსპერტებში მიჩნეულია, რომ კონფედერანტთა საქციელის ისტორიას ახსნა აქვს. საქართველოსა და ჩრდილოეთკავკასიელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის მანძილზე იყო პარტნიორული და ვასალური ურთიერთობები, მაგრამ იყო პერიოდები, როცა მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ყაჩაღურ თარეშებს, გაუგონარ სისასტიკეს, ადამიანებისა და საქონლის გატაცებას, ძალის გამოყენებით ბარში ჩამოსახლების უამრავ მცდელობას და სხვა.

მსგავსი მოვლენები კიდევ უფრო გვარწმუნებს კულტურის ე.წ. აქსელოგიური, ანუ ღირებულებით კრიტერიუმებზე დაყრდნობილი განსაზღვრებების უზუსტონბაში, როცა კულტურის მახასიათებლად მიიჩნევა მხოლოდ დადებითი, პროგრესის ხელშემწყობი, ჰუმანური მოვლენები ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში. გარკვეულ სიტუაციებსა და ვითარებაში ხდება ხოლმე, რომ ამჟამად ანაქრონიზმად მიჩნეული სადიზმი, სისასტიკე „მათი

ისტორიული მეხსიერებიდან გამოცოცხლდება“ და ე.წ. სასი-ცოცხლო უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტად იქცევა.

3 ოქტომბერს, გროზნოში ჩატარებულ მორიგ ყრილობაზე, კმხკ-მ სახელი შეიცვალა და დაირქვა კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია (კხკ); ყრილობამ მოითხოვა კავკასიელ ხალხთა შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირების დამყარება, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და ჩეჩენეთის დამოუკიდებლობა. რუსეთმა, როგორც ყოველთვის, ამ ფაქტს წაუყრუა, თუმცა ეს იყო ღია და სერიოზული ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში. ამიერიდან მოხალისები შეუფერხებლად შედიოდნენ აფხაზეთში, „კრასნაია პოლიანის“ ბაზებიდან გადაჰქონდათ იარაღი და აღჭურვილობა. კონფედერანტთა და სეპარატისტთა სტრატეგიაში ახალი მოწოდება გაჩნდა: „ჩვენ უნდა ავიღოთ სოხუმი, მერე გავისეირნოთ მდინარე ენგურამდე, არსად შევჩერდეთ, „რაც შეასრულეს კიდეც.“

ამ სტრატეგიით იყო ნაკარნახევი საბრძოლო მოქმედების ახალი ფრონტის გახსნა ოჩამჩირის რაიონში. ამ მიზნის მისაღწევად კონფედერანტებმა სერიოზული სამზადისი დაიწყეს. გუდაუთაში განათავსეს კხკ-ს სამხედრო საბჭო და შტაბი, რომელიც გახდა ყველა სამხედრო მოქმედების საკოორდინაციო ცენტრი.

რუსეთის პირდაპირი დახმარებით მოკლე დროში საბოლოოდ ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის ფრონტი. გავრცელდა ხმა, რომ ფრონტის არაფორმალური მეთაური გახდა იმუამად საკმაოდ ცნობილი ჩეჩენი ბოევიკი, რუსეთში ტერაქტების ორგანიზატორი, სასტიკი და დაუნდობელი შამილ ბასაევი.

29-30 ნოემბერს კონფედერანტებმა და სეპარატისტებმა ოჩამჩირის რაიონში ქართულ პოზიციებს შეუტიეს, მაგრამ წააწყდნენ რა მოულოდნელ წინააღმდეგობას, უკუიქცნენ. მიუხედავად ამისა, მათ მოახერხეს აფხაზეთის ერთერთი უდიდესი და უმდიდრესი, ძირითადად ქართველებით დასახლებული სოფელ კოჩარას ალება, მოსახლეობის გაულეტა, სახლების გადაწვა და მოხერხებული სამხედრო პლაცდარმის დაკავება.

1992 წლის ბოლოსთვის, გარედან ძლიერი მატერიალური და

ტექნიკური დახმარებით, მოწინააღმდეგები მოახერხა ტყვარჩელის გამაგრება და ყველა მიმართულებით შეტევაზე გადასვლა. დამკვრელი პირთვი კონფედერანტები იყვნენ, როლებიც, როგორც წესი, ადგილობრივ აფხაზებს არ ენდობოდნენ; ცნობილია, რომ კონფედერანტთა სარდლობამ ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე სასტიკი ტერორი გააჩალა, ყველა აფხაზი, ქალი თუ კაცი, ვალდებული გახდა მონაწილეობა მიეღო ომში, წინააღმდეგობა უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა.

აფხაზური არმია არ განიცდიდა შეიარაღების და ცოცხალი ძალის ნაკლებობას; ისინი იარაღს ღებულობდნენ რუსული ბაზებიდან, დღეში რამდენიმე ვერტმფრენი (ე.ნ. ჰუმანიტარული მისია) ეშვებოდა ტყვარჩელში. აფხაზეთში თავმოყრილ მებრძოლთა რაოდენობა უკვე დიდად აღემატებოდა სახელმწიფო საბჭოს ჯარისა და ადგილობრივ მოლამქრეთა რაოდენობას.

1993 წლის 5 იანვარს კონფედერანტებმა და აფხაზებმა გუმისთასთან წამოიწყეს შეტევა, მაგრამ დიდი დანაკარგების გამო მპერაცია შეწყვიტეს.

1993 წლის 15 მარტს კონფედერანტებმა და სეპარატისტებმა კარგად დაგეგმილი და მომზადებული სამხედრო ოპერაცია დაიწყეს გუმისთის ფრონტზე. მიზანი სოხუმის აღება იყო. შეტევაში რჩეული, თავიდან ფეხამდე შეჯავშნული რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმებიც მონაწილეობდნენ. მტერმა ქართველთა თავდაცვა გაარღვია აჩადარასთან.

ქართველთა მხრიდან ჯერ თავდაცვითი, შემდეგ შეტევის ოპერაცია ბრწყინვალედ განხორციელდა. ბრძოლა ე.ნ. აფხაზური არმიის და მათი მხარდამჭერების სრული კრახით დასრულდა, მათი ასეულობით მებრძოლი და საბრძოლო ტექნიკა ბრძოლის ველზე დარჩა. 18 მარტს გაწმენდის ოპერაცია დამთავრდა. ქართველებმაც ასზე მეტი მეომარი დაკარგეს. გუდაუთაში ერთკვირიანი გლოვა გამოცხადდა.

ცხადი გახდა, რომ ქართველებზე რიცხობრივად მეტი კონფედერანტები და სეპარატისტები უძლური იყვნენ პირისპირ ბრძოლებში დაემარცხებინათ ქართველები. კონფედერანტთა

სარდლობამ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, დაიწყო ახალი ტაქტიკის რეალიზაცია; სოხუმს თანდათანობით აქცევდნენ ალყაში, იღებდნენ ქალაქის ირგვლივ მდებარე სტრატეგიულ სიმაღლეებს, უმოწყალოდ ბომბავდნენ საცხოვრებელ უბნებს. პარალელურად პარტიზანული ბრძოლები გააჩადეს ოჩამჩირის ტერიტორიაზე და მიმდებარე რაიონებში. E მოსკოვში გადაწყვეტილი იყო სოხუმის და აფხაზეთის აღება.

მოხალისეებმა და აფხაზებმა, რუსეთის გენერალიტეტის დახმარებით და უმძიმესი მსხვერპლის ფასად, ხელში ჩაიგდეს სოხუმის გარეუბნის მაღლობები. იმავდროულად აღმოსავლეთის ფრონტმა დაიწყო მზადება, რათა გადაეჭრა სენაკი—ლესელიძის მთავარი გზატკეცილი და რკინიგზა.

1 ივლისს, გამთენისას, სეპარატისტებმა და მათმა მხარდამჭერებმა კბილებამდე შეიარაღებული 300 მებრძოლი გადასხეს ზღვიდან. მედესანტეები რუსეთის არმიის ელიტარული ნაწილების ოფიცრები, ბრძოლებში გამოცდილი კაზაკები და ჩრდილოეთ კავკასიელები იყვნენ. მათ უნდა შეერთებოდა აღმოსავლეთის ფრონტის რჩეული ნაწილები. ქართველებმა უმძიმეს ბრძოლაში და მნიშვნელოვანი დანაკლისის ფასად შესძლეს დესანტის ლიკვიდაცია, აღმოსავლეთის ფრონტის მოწინავე რაზმებს არ მისცეს დესანტთან შეერთების საშუალება.

კავ-მ კვლავ გამოაცხადა მობილიზაცია. არც რუსები იშურებდნენ ფულს და დაპირებებს. მდინარე ფსოუზე არავინ აკონტროლებდა ვოლონტერთა გადმოსვლას, შეიარაღებისა და მძიმე ტექნიკის გადმოტანას.

აფხაზეთში კონფედერანტთა მთელი ძალების ფაქტიურ მეთაურად შამილ ბასაევი დაინიშნა.

5 ივლისს, მტრის გაერთიანებულმა რაზებმა დიდი დანაკარგის ფასად შესძლეს ახალშენის და კამანის აღება. სოფელი შრომა, რამდენიმე დღე ხელიდან ხელში გადადიოდა. კონფედერანტები და სეპარატისტები უკვე სოხუმის „სახურავზე“ ისხდნენ. სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა ქალაქს.

14 ივლისს დაქირავებულთა რაზმებმა სამთო ნაწილების

მონაწილეობით გალის და ოჩამჩირეს რაიონების საზღვარზე მდებარე ყველაზე სტრატეგიული სიმაღლე „მეშვეობი“, აიღეს. ოპერაცია ჩეჩენთა სამთო რაზმით ღამით განახორციელა და მაღლობის ტაფობზე ახალშეყვანილი კასპის ბატალიონის მებრძოლები ამოხოცა. ქართველებმა დაკარგეს ტყვარჩელის და მის გარეუბნების იარაღით გაკონტროლების შესაძლებლობა, თუმცა ამ ქალაქში ამის შემდეგაც არ შენელებულა ე.წ. ზვიადისტთა წარმომადგენლების ვიზიტები.

1993 წლის 27 ივლისს სოჭში ხელი მოეწერა კაბალურ შეთანხმებას ქართველთა და აფხაზთა დაზავების შესახებ; საქართველოს ხელისუფლებას მძიმე ტექნიკა უნდა გაეტანა აფხაზეთის ტერიტორიიდან, კონფედერანტებსა და დაქირავებულებს კი აფხაზეთის ტერიტორია უნდა დაეტოვებინათ; შეთანხმების შესაბამისად უნდა შექმნილიყო შინაგანი ჯარების ქართული და აფხაზური ბატალიონები, რომლებიც უზრუნველყოფნებ წესრიგს და არ დაუშვებდნენ საომარი ოპერაციების განახლებას; გუდაუთაში მყოფი სეპარატისტული ხელისუფლება სოხუმში უნდა დაბრუნებულიყო. შექმნილი მდგომარეობის გამო ეს იყო იძულებითი და რუსეთის უპირობო ნდობაზე დამყარებული ზავი.

16 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებამ მძიმე ტექნიკა ფოთში გადაიტანა. შემდგომა მოვლენებმა დაადასტურა, რომ აფხაზურმა მხარემ თავისი მძიმე ტექნიკის დიდი ნაწილი გადამალა, კონფედერანტები და მოხალისები კი აფხაზეთიდან არ გასულან.

16 სექტემბერს, აფხაზთა და კონფედერანტთა გაერთიანებულმა ძალებმა, ისარგებლეს რა სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის რეგიონებში ცნობილი გართულებებით, ასევე, და უპირველესად იმით, რომ ქართველები ფაქტობრივად განიარაღებული იყვნენ, ტანკებითა და სხვა მძიმე ტექნიკით შეუტიეს სოხუმის უიარაღო მოსახლეობას.

ეს იყო ვერაგობის იშვიათი მაგალითი ომების ისტორიაში.

აღმოსავლეთის ფრონტის ძალებმა გადაკვეთეს ცენტრალური საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალი, ალყაში მოაქციეს ზღვისპირა ქართული სოფლები.

ე.წ. აფხაზთა სამხედრო ფლოტი, რომლის შტაბის მეთაურად დაინიშნა დაღესტნელი ალი ალიევი, დღედაღამ რაკეტებს უშენდა ბაბუშერის აეროპორტს, ჩამოაგდეს საქართველოს რამდენიმე სამოქალაქო თვითმფრინავი; დაიღუპა ასეულობით მშვიდობიანი მგზავრი, ძირითადად ბავშვები, ქალები და მოხუცები.

ქალაქში ხელჩართული, მაგრამ მეტისმეტად უთანასწორო ბრძოლები გაიმართა. თითქმის უიარაღო სოხუმელები და დარჩენილი ჯარისკაცები მკერდით იცავდნენ თითოეულ კვარტალს, ქუჩას, სახლს. ქალაქმა იცოდა, რომ ჟოული შარტავა თავის რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად საბრძოლო პოსტზე იყო და სჯეროდა, რომ გამოსავალს იპოვიდა.

27 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შენობა, რომელიც მძიმე ტექნიკით იყო გარშემორტყმული და ცეცხლის ალში გახვეული, შტურმით აიღეს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დაცვამ, პირველად არ შეასრულა ჟოული შარტავას არც ბრძანება, არც ხვეწნა-მუდარა დაეტოვებინათ იგი და გასულიყვნენ ქალაქიდან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მან, როგორც ქართველმა და და ქართველთა და აფხაზთა მთავრობის მეთაურმა, აფხაზეთიდან გაქცევა არ იკადრა.

შემაზრზენია, აფხაზთა, კონფედერანტთა და დაქირავებულთა გამარჯვების ზეიმის ამსახველი ვიდეოფირები, რომელიც მთელმა მსოფლიომ ნახა.

29-30 სექტემბერს ვოლონტერთა გაერთიანებულმა რაზმებმა და აფხაზმა მებრძოლებმა დაიკავეს გულირიფშის, ოჩამჩირის და გალის რაიონები და საღამოს მდინარე ენგურზე, სამეგრელო-სა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე გავიდნენ.

მოხალისეთა ცალკეული რაზები სამეგრელოს რეგიონში გადავიდნენ, შემდგომ მათ შეუერთდნენ კონფედერანტთა და კაზაკთა ჯგუფები. მათი რამდენიმე რაზმი მდინარე ცხენისწყალთანაც დააფიქსირეს, მაგრამ, ეტყობა, ომის მთავარმა რეჟისორმა მოგვიანებით შეცვალა გეგმა და ისინი აფხაზეთში დააბრუნა.

სამი დღე ოფიციალურად და შემდგომ რამდენიმე კვირა

თვითნებურად ალაფობდნენ კონფედერანტები, მოხალისეები, აფხაზი ბოევიკები და ურიცხვი საშოვარზე ჩამოსულები ოკუპირებული აფხაზეთის უპირატესად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე; ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ უმნეო მოსახლეობას, უპირატესად და გამორჩეულად აფხაზეთში დარჩენილ ქართველებს, წვავდნენ მათს საცხოვრებელ სახლებს, განსაკუთრებით გალის და ოჩამჩირეს რაიონებში. ჩრდილოეთისკენ უწყვეტ ნაკადად მიემართებოდნენ ნაძარცვი ქონებით დატვირთული ავტოკოლონები.

სოხუმის ხელისუფლებამ ღირსეულად დაუფასა ამაგი კონფედერანტებს და მოხალისეებს; მრავალი მათგანი აფხაზეთის გმირი გახდა, მიიღეს თანამდებობები აფხაზურ შეიარაღებულ ძალებში, ჩაასახლეს ქართველთა სახლებში, მათი სახელები შეარქეს სოხუმის ქუჩებს, სკვერებს და მოედნებს, დაუდგეს ძეგლები. აფხაზებიც აღიარებენ, რომ ქართველთა მიმართ ძალადობის ინიციატორები და შემსრულებლები, როგორც წესი, მოხალისეები იყვნენ.

სამხედრო ექსპერტებს და ბრძოლების უშუალო მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ აფხაზეთის ოკუპაცია, აფხაზეთში ქართველთა სამხედრო დამარცხება განაპირობა კონფლიქტში რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურმა მონაწილეობამ, ასევე და მნიშვნელოვანნილად კონფედერანტთა ორგანიზებულობამ, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ მოხალისეთა მხეცობამ და სისასტიკემ. რაღა თქმა უნდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა მრავალი სერიოზული და უპატიებელი სამხედრო-პოლიტიკური შეცდომა.

აფხაზეთში სამარე პპოვა ათასობით გადამთიელმა, როლებმაც ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს ქართველი და კავკასიელი ხალხების ისტორიული მეგობრობა, ნათესაობა, ჩვენი საერთო სახლის, კავკასიური ოჯახის წევრობის ღირსება და სიამაყე.

კავკასიის კონფლიქტები კონფედერანტებისა და მათი პატრონების პოლიტიკურ მიზნები, დაქირავებულ მოხალისეთა დანაშაულობანი სერიოზულ შესწავლას და შეფასებას მოით-

ხოვს. ცხადია, რომ მოხალისეებმა ცოდვის მძიმე ჯვარი დაიდეს მხრებზე და, როგორც ახლა ამბობენ, განგებამ მათ ღირსი სას-ჯელიც მოუვლინა; კერძოდ, მათი დიდი ნაწილი იმ ურჩებულის ხელით დაიღუპა, ვისთანაც მათ ფარული გარიგება დადეს, მათი სახლ-კარი და ქონება იმ მბრძანებელთა ბრძანებით განადგურდა, ვინც ისინი აღჭურვა და აფხაზეთში გააგზავნა საომრად.

ერთი რამაა უეჭველი: ჩვენ აფხაზეთის ურთულესი პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი, რაც, ჩემი აზრით, წარმოუდგენელია ჩრდილოეთკავკასიელთა ფაქტორის და მათი სამართლიანი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. ამ მიმართულებით ძველი მთავრობის საქმიანობა (ახლანდელი გადასახედიდან) უნიათოდ მოჩანს, თუმცა, თავის დროზე საქართველოს პარლამენტმა და ხელისუფლებამ რიგი საინტერესო ღონისძიებები განახორციელეს.

აფხაზეთის 1992-1993 წლების შეიარაღებულ კონფლიქტში ჩრდილოეთ კავკასია აქტიური კომპონენტი იყო, რომელიც ნებით თუ უნებლიერთ საქართველოს ოკუპაციის პროცესში მონაწილეობდა.

ეს მონაწილეობა რეალურად გულისხმობდა ინტენსიურ სამხედრო და შედარებით უმნიშვნელო ჰუმანიტარულ კომპონენტს. საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა ათასობით ჩრილო-კავკასიელი მოხალისე. კონფლიქტის ზონებიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რესპუბლიკაში გადავიდა. ამ უკანასკნელ ფაქტს, რუსული მედია მასშტაბურად აშუქებდა და დიდი საქართველოს მიერ „პატარა ხალხების“, გენოციდის თაობაზე მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შესაყვანად იყენებდა. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსულ-ქართული სამხედრო დაპირისპირებაში ჩრდილოკავკასიელთა მონაწილეობა ახალი მოვლენა არ არის. ეს უკვე ტრადიციაა.

ცხადია, რომ დღემდე ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი რესპუბლიკებიდან რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული ლოიალობით მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთი

გამოირჩევა. თუმცა მოსკოვისადმი ჩრდილოეთ ოსეთის გამორჩეული ლოიალობა რუსეთის სამხრეთში განსაკუთრებულ შედეგებს ვერ იძლევა, მაგრამ ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით ჩრდილოეთ ოსეთის მნიშვნელობა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხასიათის მატარებელია. ამდენად, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით ჩრდილოეთ ოსეთთან (ალანია) საქართველოს ტრადიციული ურთიერთობის აღდგენა გადაუდებელია და ალტერნატივა არა აქვს. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ.

ფაქტია ისიც, რომ რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება ჩრდილოეთდაკავკასიის მიმართ ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება უცვლელი, ამიტომაც საქართველოს ჩრდილოეთკავკასიური პოლიტიკური ვექტორის მოდუნება დაუშვებელია. უფრო მეტიც, რუსეთის სამხრეთის მიმართ თბილისის ყურადღების გააქტიურება გადაუდებელი საქმეა. ეჭვს გარეშეა, რომ საქართველომ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თავისი ისტორიული ფუნქცია უნდა დაიბრუნოს.

ერთიანი კავკასია, საერთო კავკასიური სახლი, კავკასიური კავშირი თუ კავკასიური ფედერაცია არის გაუხუნარი თემა, რომელსაც უთუოდ აქვს პოზიტიური მომავალი.

„დილის გაზეთი,
15 აგვისტო, 2001წ.

აფხაზური მხარის სამიზნედ ქცეული ერთი ღოკუმენტი

(თვალსაზრისი 1994 წლის 4 აპრილის განცხადების თაობაზე)

დოკუმენტი მოსკოვში, 1994 წლის 4 აპრილს მიიღეს. ქართული და აფხაზური მხარეების მიერ შეთანხმებული ტექსტის ხელმოწერას ესწრებოდა გაეროდან – ე. ბრუნერი, რუსეთის ფედერაციიდან – პ. პასტუხოვი, ეუთოდან – ვ. მანო.

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე ათწლიან მარათონში არც ერთ დოკუმენტს (რანგით გაცილებით უფრო მაღალს) სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლებიდან არ მოჰყოლია ისეთი აუიოტაჟი, ვიდრე ამ განცხადებას.

აფხაზური მხარე ბოლო პერიოდში შეტევაზეა გადმოსული. მიაჩინია, რომ საქართველომ ფაქტიურად ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე ორი თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოს – დამოუკიდებელი საქართველოსა და დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობას.

უკანასკნელ წლებში სეპარატისტთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა და მისი გარემოცვა სისტემატურად მიმართავს გაეროს გენერალურ მდივანს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოს მიერ ამ “ხელშეკრულების” დარღვევის შესახებ და ადანაშაულებს შუამავალ ქვეყნებს პროქართულ განწყობილებაში, მოითხოვს საქართველოს და აფხაზეთს შორის სახელმწიფოებრივ—სამართლებრივი ურთიერთობების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებას.

საზოგადოებას, საქმეში ჩახედულ პოლიტიკოსებს და დიპლომატებს კარგად მოეხსენებათ, რომ გაეროს ხელმძღვანელობამ, გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში დიტერ ბოდენმა, ასევე, ბატონებმა ლევან ალე-

ქსიძემ, ჯონი ხეცურიანმა, სხვებმა ამომწურავი პასუხი გასცეს აფხაზური მხარის პრეტენზიებს.

მიუხედავად ამისა, აფხაზური რეჟიმი კვლავ ავრცელებს ახალ-ახალ ვერსიებს, ქართულ მხარეს კი, კვლავ უწევს აქსიო-მატური ჭეშმარიტების ათასჯერ განმარტება, რომ განცხადების პატიოსანი წაკითხვაა საჭირო.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაინც რა არის ამ დოკუმენტში ისეთი, რომ კონფლიქტის მოწესრიგებასთან და-კავშირებით არსებული მრავალტომეულიდან სეპარატისტთა სა-მიზნედ მაინცდამაინც ეს დოკუმენტია ამოჩემებული?

მთლიანობაში პასუხი ცნობილია და ეს აფხაზეთში კარგად იციან. კერძოდ, პროფესორ ვ. არძინბასადმი პასუხში (გაე-როს 2000 წლის 31 მარტის წერილი) ხაზგასმულია, რომ: “თქვენ წერილში დაფიქსირებულ პოზიციას არ უჭერენ მხარს არც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და არც მისი წევრი ცალ-კეული ქვეყნები. მოლაპარაკებების ხანგრძლივი პროცესის მან-ძილზე ისინი გამუდმებით აღნიშნავენ, რომ აფხაზეთში (საქართ-ველო) კონფლიქტის გადაჭრა უნდა ემყარებოდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპებს, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლე-ბებს დაუბრუნდნენ აფხაზეთს (საქართველოს შემადგენლობაში) უსაფრთხოდ და ნებაყოფლობით.”

აფხაზეთში, ჯერკიდევსაომარიმოქმედებებისდამთავრებამ-დე, შესანიშნავად უწუყოდათ გაეროს უშიშროების საბჭოს თავმ-ჯდომარის 1992 წლის 10 სექტემბრის განცხადება, მიმართული მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებებისადმი, სადაც პირვე-ლად საჯაროდ და კატეგორიულად ითქვა, რომ “ნებისმიერი მო-ქმედება, რომელიც ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთ-ლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მიუღებე-ლია” (ს/24542).

ახლა უშუალოდ განცხადებასთან დაკავშირებით.

მის მიღებას წინ უძლოდა 1994 წლის 22–25 თებერვალს უე-ნევაში გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით, ეუთოს წარმომადგენელთა მონაწილეობით და გაეროს ლტოლ-

ვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის თანდასწრებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის (ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში ტერმინი “აფხაზეთში კონფლიქტი”) სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისთვის მოლაპარაკების მესამე რაუნდი, რაც დაფიქსირებულია კიდევაც განცხადების პირველ პუნქტში.

ინტერესმოკლებული არ იქნება, ალბათ, ამ პუნქტის დოკუმენტში შეტანის აუცილებლობის ახსნა.

პირველი. რა თქმა უნდა, ამით ხაზი გაესვა უაღრესად რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკების ფაქტს, სადაც მხარეებს ჰქონდათ საშუალება გულდასმით განეხილათ აფხაზეთთან დაკავშირებით შექმნილი ჩიხური (უფრო ზუსტად, კატასტროფული) ვითარებიდან თეორიული და რეალური გამოსვლის მრავალი ვარიანტი.

და, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღების თვალსაზრისით. მხედველობაშია სეპარატისტული რეჟიმის მიერ 5-6 თებერვლიდან გალის რაიონში (სადაც სამხედრო დაპირისპირება არ ყოფილა) ბოევიკა მორიგი ექსპედიცია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომლებმაც თვის ბოლომდე მთლიანად გადაწვეს გალის რაიონის ზედა და ქვედა ზონის სოფლები, დახოცეს რვაასზე მეტი ქართველი, გამოაძევეს ათასობით უმწეო ადამიანი (მათ შორის, ოქუმის მაღალმთიანებით, სადაც დიდოვლობაში გაიყინა და დაიხოცა ასობით ქალი და ბავშვი).

განცხადების მეორე მუხლში დაფიქსირებულია მოლაპარაკებათა სამართლებრივი საფუძვლები, ამოსავალი დოკუმენტები, რომელთა ჩარჩოებში და მათზე დაყრდნობით გაფორმდა დოკუმენტის ყველა პუნქტი. კერძოდ, ესაა გაეროს უშიშროების საბჭოს 849 (1993 წლის 9 ივნისი), 854 (1993 წლის 6 აგვისტო), 858 (1993 წლის 24 აგვისტო), 876 (1993 წლის 19 ოქტომბერი), 881 (1993 წლის 4 ნოემბერი), 892 (1993 წლის 22 დეკემბერი), 896 (1994 წლის 31 იანვარი), 901 (1994 წლის 4 მარტი) და 906 (1994 წლის 25 მარტი) რეზოლუციები.

ამ დოკუმენტების შინაარსზე არ შევჩერდები, ისინი ტყუპი-სცალებივით ჰგვანან ერთმანეთს მთავარში: ყველა მათგანი

აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ბრივ სუვერენიტეტს, საზღვრების ხელშეუხებლობას, დევნილთა უპირობო დაბრუნების უფლებას მშობლიურ ადგილებში.

არ იციან ეს აფხაზეთში? არ იციან, რომ ამ დოკუმენტში არავითარი ლოგიკით არ იქნებოდა მიღებული პუნქტი საქართველოს დაქუცმაცებისა და ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარების შესახებ, რომლებიც შემდგომ კვლავ გაერთიანდებიან (ან არ გაერთიანდებიან რაიმე სახის კავშირში, ასოციაციაში და ა.შ. ? იციან, მაგრამ ყველა საშუალებით ცდილობენ რაიმე ხელშესახები იპოვონ ამ პუნქტებში, რადგანაც ასე სურთ მათ მფარველებს.

რას იზამ, ასეთია უკომპრომისო პოლიტიკური ბრძოლის ტექნოლოგია, თამაშის წესი.

მესამე პუნქტით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას არ მიმართონ ძალის გამოყენებას ან ძალის მუქარას. თუმცა, ცნობილია (სამშვიდობო ძალების შესვლის შემდეგაც) 1994-1998 წლებში და შემდგომ კვლავ ჰქონდა ადგილი ძალის გამოყენებას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ, დახოცეს 5 ასეულზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, მრავალჯერ გაძარცვეს და გადაწვეს გალის რაიონი. ეს საკითხი, კერძოდ, ძალის გამოყენებლობა და ნდობის განმტკიცება დღემდე რჩება უმთავრეს პრობლემად.

მეოთხე პუნქტი ითვალისწინებს ოთხმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე დევნილთა ნებაყოფლობით დაბრუნებას (პირველ ეტაპზე გალის რაიონში) საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, თუმცა ამ დოკუმენტში ბევრი რამ არის სადაცო და ქართული მხარისათვის მიუღებელი.

ცხადია, რომ ამ ხელშეკრულებამ პრაქტიკულად არ იმუშავა (1994 წელს გალში საერთაშორისო მეურვეობით დაბრუნებული 311 მშვიდობიანი მცხოვრებიდან ორასამდე ხელახლა გამოიცა, რამდენიმე დაიღუპა, ზოგი მათგანი მძევლად იქნა აყვანილი).

არსებითად შესრულდა კონფლიქტი ზონაში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების შესახებ მეხუთე პუნქტი (რუსეთის ფედერაციის სამხედრო კონტინგენტის მეშვეობით), ასევე გაე-

როს სამხედრო მეთვალყურეთა მისის მანდატის გაფართოების თაობაზე. საკითხი კარგად არის გაშექებული ყველა დონეზე. ფაქტია, რომ მოქმედი მანდატით სამშენებლობი ძალები სასაზღვრო ნაწილებად იქცნენ, რომლებიც რეჟიმის ინტერესებს გამოხატავენ და არსებითად ვერ უზრუნველყოფენ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების პირობების შექმნას.

აფხაზურ მხარეს განსაკუთრებული პრეტენზიები აქვს განცხადების მე-6, მე-7 მუხლებისადმი, აგრეთვე მე-8 მუხლის მიმართ.

მე-6 პუნქტში დაფიქსირებულია, რომ “აფხაზეთს აქვს თავისი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, შესაბამისი სახელმწიფო ატრიბუტიკა-ჰიმნი დერბი, დროშა.”

რა არის აქ განსაკუთრებული და ახალი, ნიშნავს თუ არა ეს დამოუკიდებლობის აღიარებას?

ავტონომიურ ერთეულებს (სახელმწიფო წარმონაქმნებს) საბჭოების დროსაც კი გააჩნდათ თავისი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, ღერბი, ჰიმნი, მათ შორის აფხაზეთსაც, რაც შესაბამისობაში იყო საქართველოს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან. ამგვარი უფლებამოსილებები ჰქონდა, აქვს და ექნება აფხაზეთს. მათი ფორმისა და შინაარსის შეთანხმება, მხარეთა პოლიტიკური ნების შემთხვევაში, პრობლემა არ უნდა იყოს. საკითხის რაციონალური გადაწყვეტა უმტკიცნეულოდ შესაძლებელია აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების აღდგენის, დემოკრატიული პროცესების განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების კვალობაზე. ეტყობა, ამ საკითხით უნგალიორობა რეჟიმის შიდა იდეოლოგიურ ინტერესებში შედის.

საჭიროდ მიმაჩნია მე-7 პუნქტი მკითხველის სამსჯავროზე დედნიდან ზუსტად გადმოვიტანო:

“7. стороны провели консультации о разграничении полномочий при понимании, что любое соглашение по этому вопросу является частью общего урегулирования и будет достигнуто только тогда, когда будет найдено окончательное решение конфликта.”

სანამ შემდგომ აბზაცზე გადავიდოდე, მინდა კიდევ ერთ-

ხელ მივაპყრო მკითხველის (ოპონენტის) ყურადღება, რომ, რაც შემდგომ აბზაცშია დაფიქსირებული, ზემოთ მოყვანილი აბზაცის მოთხოვნებით გადაულახავ ჩარჩოებშია მოქცეული, უმიმე-სი პირობებითაა შებორკილი და თუ ამ შეზუდვებიდან რომელიმე (თუნდაც ერთი) არ შესრულდა, შემდგომი ფორმულირებები (ანუ “общего понимания”) ყოველგვარ აზრს კარგავს და არარაობად იქცევა.

შემდგომ:

“на этом этапе (მიაქციეთ ყურადღება—“ამ ეტაპზე”) стороны достигли общего понимания (კვლავ ყურადღებით დაუკვირდით—“საერთო გაგებას” და არა ხელშეკრულებას ან მორიგებას) относительно полномочий для совместной деятельности в следующих областях:

- а) внешняя политика, внешэкономические связи;
- б) пограничная служба;
- в) таможенная служба;
- г) энергетика, транспорт, связь;
- д) экология и ликвидация последствий стихийных бедствий;
- е) обеспечение прав и свобод человека и гражданина, прав национальных меньшинств.”

თუ განცხადების ტექსტში ამ აბზაცის სხვანაირი ფორმულირება იქნებოდა, ვთქვათ:

стороны достигли договоренности для общего понимания совместной деятельности в следующих областях და შემდეგ როგორც ჩამონათვალშია, რასაც აფხაზური მხარე ამჟამად ცდილობს, შეიძლება შესაძლებლად მიგვეჩნია, რომ ქართული მხარე დაეთანხმა იმ უფლებათა საერთო გამგებლობაში შეყვანას, რაც კლასიკური გაგებით, დამახასიათებელია საკავშირო სახელმწიფოსათვის ანკონფედერაციისათვის და ხორციელდება ამგვარ სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის.

რა თქმა უნდა, ეს შეიძლება ჩათვლილიყო ბრალდებად ქართული მხარის ნარმომადგენლებისთვის (ვინც ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს), მაგრამ უეჭველია, რომ ეს ასე არ არის.

ამ უხერხულობას (ფალსიფიკაციას) კარგად აცნობიერებს აფხაზური მხარე და ცდილობს მოიშველიოს განცხადების მე-8 პუნქტი:

“стороны согласились продолжить энергичные усилия по достижению полномасштабного урегулирования. Стороны образуют соответствующий Комитет, который будет работать на постоянной основе с учетом решений СБ ООН под председательством ООН, с участием представителей СБСЕ и РФ, с привлечением международных экспертов. Комитет будет заседать поочередно в Москве и Женеве. Первое заседание состоится в Женеве 19 апреля 1994 г. Будет разработана поэтапная программа действий, выработаны предложения по воссозданию государственно-правовых отношений.”

რაც შეეხება პირველ აბზაცს, კარგადაა ცნობილი “ენერგიული ძალისხმევა კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისათვის”, რაც დღემდე გრძელდება, მაგრამ პროგრესი არ შეიმჩნევა აფხაზური მხარის არაკონსტრუქციულობის გამო.

საყოველთაოდ ცნობილია მე-8 პუნქტის ბედის შესახებ (პრაქტიკულად არ ამოქმედებულა), შემდგომ შეიქმნა სხვა ფუნქციონალური დატვირთვის ორმხრივი საკოორდინაციო კომისია, სამუშაო ჯგუფები, მაგრამ არასაკმარისი ეფექტურობის გამო, უფრო გვიან (1997წ.), კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი გარდაიქმნა უენევის ფორმატად, რომელსაც ამჟამად მთავარი ადგილი უკავია.

რაც შეეხება “დე-იურ” სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების აღდგენის შესახებ ნინადადებათა შემუშავების მცდელობას, რამდენადაც ცნობილია, არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, იმ უპრალო მიზეზის გამო, რომ სამხედრო კონფლიქტის პერიოდში მექანიკურად გაწყდა საქართველოსა და საკუთრივ აფხაზეთს შორის კონსტიტუციით განსაზღვრული “დე-იურ” და არა “დე-ფაქტო” ურთიერთობები. სწორედ ამიტომ, ექსპერტებმა და ხელმომწერებმა არც კი ჩათვალეს საჭიროდ სიტყვათა კომპლექსში – “სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების აღდგენა,” ჩაემატებინათ “დე-ფა-

ქტო” (აღდგენა), როგორც ზედმეტი, თავისთავად ნაგულისხმევი და აქსიომატური.

შემდგომ გახდა ცნობილი, რომ ამ სიტყვის გამო აფხაზურმა რეჟიმმა მთელი პოლიტიკური კონსტრუქციის აგება წამოიწყო და დღემდე ცდილობს ზემოაღნიშნული განცხადება ჩათვალის “საერთაშორისო ხელშეკრულებად” აფხაზეთის დამოუკიდებლად ცნობად, მისი საქართველოსთან თანასწორუფლებიან სუბიექტად აღიარებად.

რეალურად და დოკუმენტურად მრავალგზის დადასტურებულია, რომ საქართველოს არასოდეს გაუუქმებია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, არ შეუზღუდავს მისი უფლებამოსილებანი. აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება თბილისში არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელსაც იმავე კონსტიტუციური, სახელმწიფოებრივი და იურიდიული უფლებამოსილება აქვს, რაც ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებას სოხუმში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სეპარატისტული რეჟიმის მცდელობა ცალმხრივად ხელეყო საქართველოს რესპუბლიკის მთლიანობა, საქართველოსა და საკუთრივ აფხაზეთის კონსტიტუციები, ჩათვლილია უკანონოდ, ბათილად, იურიდიული ძალის არმქონედ.

აფხაზეთში ყოველგვარი არჩევნები, რეფერენდუმები, დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი (2000 წლის 8 ოქტომბერი) და სხვა საქართველოს პარლამენტის, გაეროს, ეუთოს დოკუმენტებით მიჩნეულია უკანონოდ.

რეჟიმმა მიაღწია “დე-ფაქტოდ” საქართველოდან გამოსვლას, მაგრამ “დე-იურედ” საქართველოს შემადგენლობაშია. სხვაგვარ მტკიცებას არა აქვს არგუმენტი და არც ლოგიკა, მანიპულირება ყოფილი სსრ კავშირის კანონებით, რეფერენდუმებით და ა.შ. ფუჭი და უაზრო წყლის ნაყვაა.

2000 წლის 14 თებერვალს აფხაზთა ლიდერი ვლადისლავ არძინბა გაეროს გენერალურ მდივანს კოფი ანანს წერს: „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე 1994 წლის 4 აპრილის განცხადებაში აღიარებული იყო საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთო-

ბის არარსებობა და, რომ აფხაზეთს გააჩნია სუვერენული სახელმწიფოს ყველა უფლებამოსილება. განცხადებაში ასევე განიხილებოდა თანასწორუფლებიან საფუძველზე კონფლიქტის მხარეებს შორის “სახელმწიფო და სამართლებრივი ურთიერთობების შესაძლო აღდგენის პრინციპები.”

ამ თვალსაზრისს შემდგომ კიდევ ერთი არგუმენტით „ამაგრებს,“ კერძოდ, „დასკვნით, რომელიც, მისი აზრით, დაფიქსირებულია გაეროს გენერალური მდივნის 3 მაისის და მის მეორე დანართში.“

გენერალური მდივნი თავის მოხსენებაში (3 მაისი, 1999 წელი) აღნიშნავს, რომ 4 აპრილის განცხადებით, როგორც ადრე სხვა დოკუმენტებში, იგულისხმება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და ერთიანი სახელმწიფო, სადაც აფხაზეთს ექნება უფართოესი ავტონომიური (თვითმმართველი) უფლებები.

ასევე, საინტერესოა გენერალური მდივნის ამავე მოხსენების (აფხაზური მხარისთვის პანაცეად მიჩნეული) მეორე დანართი-დან ციტატა: „აფხაზეთი იქნება სუბიექტი, რომელსაც ექნება სუვერენული უფლებები საკავშირო სახელმწიფოში, რომელიც შეიქმნება სადაც საკითხების დარეგულირების შემდეგ, საკავშირო სახელმწიფოს სახელწიფება განისაზღვრება მხარეთა მიერ შემდგომი მოლაპარაკებების საფუძველზე.“

რას გულისხმობდა გენერალური მდივანი?

ექსპერტთა, მათ შორის გაეროს ექსპერტთა აზრით, ტერმინში—„საკავშირო სახელმწიფო,“ ნაგულისხმევია აფხაზეთის განსაკუთრებული მდგომარეობის აღიარება საქართველოს შემადგენლობაში (საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთი გამოცდილება არსებობს) და გულისხმობს ერთიანი სახელმწიფოს შიგნით სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას და სახელმწიფოებრივი ნარმონაქმნის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის ხელშეკრულებით კავშირს გარკვეულ უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე.

მართლაც, 1995 წლის ივლისში, მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს, აფხაზური მხარის დელეგაციის ხელმძღვა-

ნელმა ანრი ჯერგენიამ (სოხუმთან კონსულტაციების შემდეგ) გააკეთა განცხადება, რომ აფხაზური მხარე ეთანხმება ხელშე-კრულების პროექტის ფორმულირებას „ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო.“ 25 ივლისს მხარეების მიერ ოფიციალურად პარ-აფირებულ იქნა ხელშეკრულების ტექსტი, მაგრამ დოკუმენტის ხელმოწერამდე არძინბაშ შეცვალა აფხაზური მხარის დელეგა-ცის ხელმძღვანელობა და უარი განაცხადა მოლაპარაკებების გაგრძელებაზე „სუვერენული აფხაზეთის აღიარებამდე.“

საგულისხმოა ისიც, რომ გაეროს გენერალური მდივნის მოხ-სენების დანართში აღნიშნულმა „საკავშირო ხელშეკრულების“ იდეამ გაგრძელება ვერ ჰპოვა გაეროს უშიშროების საბჭოს ვერც ერთ შემდგომ დოკუმენტში.

არსად და არავის გაუხდია საეჭვოდ, რომ გაეროს გენერალუ-რი მდივანი 3 მაისის მოხსენებაში გულისხმობდა ავტონომიურ ერთეულს (სახელმწიფო წარმონაქმნს), რომელსაც აქვს გარკ-ვეული გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის სუვერენული უფლებებიც, მაგრამ ეს არ ნიშნავს მის სა-ხელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და სრულ სუვერენიტეტს. თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში, ფართოდ გავრცელებულია სახელმწიფოებრივი მოწყობის პრაქტიკა, რო-მელშიც ფედერალურ სახელმწიფოს შემადგენელ ერთეულებს გარკვეული საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური უფლება-მოსილებანი, ასევე, საკუთარი კომპეტენციები აქვთ ენერგეტი-კის, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და სხვა დარგებში. რაც შეეხება სასაზღვრო სამსახურს, სახელმწიფო საზღვრების კონკრეტულ მონაკვეთზე სასაზღვრო რაზმების ადგილობრივი კადრებით და-კომპლექტების პრინციპი ერთ-ერთი ძირითადია მრავალ ქვეყანა-ში. იგივე შეიძლება ითქვას საბაჟო სამსახურზეც.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

1. 1994 წლის 4 აპრილის განცხადებაში ქართულმა მხარემ, ფაქტობრივად, დააფიქსირა საქართველოს სახელმწიფოს ახალი პოლიტიკური კურსი და კეთილი ნება აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების უზრუნველსაყოფად, რომ-ლის რეალიზაციის ერთერთ უმთავრეს პირობად მოიაზრებო-

და (სახელწოდების გარეშე) ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში, საქართველოს სახელმწიფოს ურყევი სუვერენიტეტის პირობებში, აფხაზეთის უფართოესი ავტონომია, თბილისა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა კონსტიტუციური გამიჯვნა თანამედროვე მსოფლიოს სტანდარტების შესაბამისად. რეალურად საკითხი შეეხებოდა საქართველოს ტრანსფორმირებას ფედერალურ სახელმწიფოდ, სადაც აფხაზეთს ექნებოდა ფედერაციის სუბიექტის სტატუსი და უფლებამოსილებანი საერთო ცენტრის მიერ დელეგირებული კომპეტენციების ფარგლებში.

2. მხარეები გაგებით მოეკიდნენ თბილისა და სოხუმს შორის ომით გაწყვეტილი სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა დე-ფაქტო აღდგენას, საქართველოს ფედერალურ მოწყობას, უფლებამოსილებათა გამიჯვნას კონსტიტუციური პრინციპის საფუძველზე და სქემატურად მოხაზეს განვითარებული ფედერალიზმის ქვეყნებში ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული სფეროთა კონტურები.

3. 4 აპრილის განცხადებით, ჩანასახის დონეზე, მხარეებმა მიაღწიეს მორიგებას ფედერაციული საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის, თბილისა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის საფუძვლების შესახებ, რომლის ლოგიურად განვითარებული ვარიანტია უენევის ფორმატით შესაბამისი დოკუმენტის პროექტის შემუშავება.

მოვლენათა შემდგომი განვითარება, კერძოდ, საქართველოს ახალი კონსტიტუციის დებულებები, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს ახალი სახელწოდება „საქართველო“ (ნაცვლად საქართველოს რესპუბლიკისა), სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოწყობის საკითხების გადადება ქვეყნის მთლიანობის სრულ აღდგენამდე, უენევის ფორმატის ფარგლებში „აფაზზე-თის სტატუსის, თბილისა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ პროექტზე მუშაობა ადასტურებს, რომ 4 აპრილის განცხადებით, საჯაროდ გაცხადდა საქართველოს, როგორც შემდგარი სახელმწიფოს გულწრფელი და ურყევი კურსი აფხაზეთში კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების უზრუნველსაყოფად ქვეყნის ფედერალიზაციის გზით.

ინალ კაზანი, ამერიკის შეერთებულ შტატებში აფხაზური დიასპორის თავმჯდომარე, აფხაზი ხალხისადმი მიმართვაში კატეგორიულად აცხადებს: „ბოლო შვიდი წლის მანძილზე თავი-სუფლები ვიყავით ჩვენს საპყრობილები. დარწმუნებული ვარ, რომ საკავშირო სახელმწიფო ჩვენ ხელს არ გვაძლევს...“ და „აბ-სოლუტური ავტონომია უზრუნველყოფს ჩვენს სუვერენიტეტს, უშიშროებას, ნარმატებულ ეკონომიკურ არსებობას, კულტურულ და ეროვნულ თავისთავადობას, ენას, ტრადიციებს“...კაზანის აზრით, ამჟამად... „თუ ხელიდან გავუშვით მოქმედების მომენტი, ჩვენი სამშობლოს ბედს გადაწყვეტენ ისინი, ვისაც ჩვენთან არაფერი ესაქმება და არც ჩვენი ბედი ენაღვლებათ.“

ვერაფერს დაამატებ!

აფხაზეთში მთავარ საკითხად უსაფრთხოება მიაჩნიათ. ფედერაციულ საქართველოში აფხაზეთის სუბიექტის უსაფრთხოების გარანტია იქნება სამართლებრივი სახელმწიფო, უფლებამოსილებათა გამიჯვნის სახელმწიფო მექანიზმები, აფხაზი ხალხის წარმომადგენლობა პარლამენტში, მთავრობაში, სასამართლო სისტემაში; გარკვეულ პერიოდში ასეთი გარანტია შეიძლება იყოს იალტის განცხადებაში დაფიქსირებული ჟენევის ფორმატის ქვეყნები, გაერო, უუთო, ევროკავშირი. აფხაზეთის უშიშროების უპირველესი გარანტი იქნება იქ დაბრუნებული დევნილი მოსახლეობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, სამოქალაქო სექტორი.

ამგვარად, 1994 წლის 4 აპრილის განცხადებაში აისახა არა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, არამედ კონფლიქტის მოწესრიგების, ქვეყნის მოწყობის ახალი მოდელი, რომელშიც აფხაზეთს ექნებოდა მყარად გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები, რაც აფხაზეთში ომამდე მცხოვრებ ქართველ და სხვა ხალხებთან ერთად საერთო თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების გათვალისწინებით, აფხაზეთის აყვა-ვებასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფდა.

„დილის გაზეთი,“
9 აგვისტო, 2001წ.

18-ას თვალით დანახული გალის რაიონი

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების გაჭიან-ურებამ, დევნილთა უმძიმესმა ხვედრმა, უბინაობამ, შიმშილმა, და, რაც მთავარია, შელახული ღირსების გრძნობამ აიძულა ბევრი ქართველი მშობლიურ ადგი-ლებს დაბრუნებოდა.

მემატიანე თავის დროზე დაწერს და ყოველივეს ჯეროვანი შეფასება მიეცემა, მაგრამ დღეს აფხაზეთში, განსაკუთრებით გალში, დევნილთა დაბრუნებასთან დაკავშირებით აზრთა სხვა-დასხვაობაა.

ერთნი ამტკიცებენ, რომ გალში დაბრუნებული მოსახლეობა იქ მონად დაბრუნდა და განწირულია უფლებობის, თანდათანო-ბით გადაგვარებისა და ხელზე მოსამსახურედ ყოფნისთვის.

მეორენი ამბობენ, რომ ხალხს აქვს არჩევანის უფლება (ხე-ლისუფლებას არასოდეს მოუწოდებია მოსახლეობისთვის აფხა-ზეთში დაბრუნებას იქ საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე და უსაფრთხოების გარანტიების გარეშე), არ მიატოვოს საკუ-თარი ეზო-კარი, სიცოცხლის რისკით განაგოს თავისი ბედი. მათ პოზიციას განამტკიცებს სოციოლოგებისა და დემოგრაფების დასკვნა, რომ ეთნიკურად ერთგვაროვან და კომპაქტურად და-სახლებულ ადამიანთა დიდ მასას (როგორიც გალის რაიონია) აქვს საკმაო იმუნიტეტი, რათა გაუძლოს ყოველგვარ სიძნელეს, აწარმოოს რეგერენაცია და შეინარჩუნოს ეროვნული სახე, ენა, ტრადიციები, ადათ-წესები.

მოპყავთ მესამე მოსაზრებაც: გალელებს სხვა გზა არა აქვთ, ვინაიდან შიდა და გარე დაპირისპირებებით დაქანცულ ქართულ სახელმწიფოს ძალზე გაუჭირდა ასეულ ათასობით დევნილის ფიზიკური შენახვა და გადარჩენა. ვთიქრობ, სამივე პოზიცია მეტ-ნაკლებად შეიცავს სიმართლის ელემენტებს.

იარსებებდა კი საქართველო, გადარჩებოდა კი ქართველი

ერი, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ უამიანობად წოდებულ დროს (არაბთა, მონღოლთა, თურქთა, სპარსთა და ათას სხვათა შემოსევები და ბატონობა) მოსახლეობას დაეტოვებინა თავისი ისტორიული განსახლების ადგილები, მიმოფანტულიყო უცხო ქვეყნებში? ისინი ხომ დაკარგავდნენ თვითმყოფადობას, განადგურდებოდა ერთიანი სოციალური და ეთნოკულტურული ქსოვილი, ფიზიკურად გაქრებოდა ერი.

დრომ და ისტორიამ ინება, რომ გალის რაიონი, ადრე სამურზაყანოდ წოდებული, უფრო ადრე ჩრდილო-დასავლეთი (ზემო) სამეგრელო, უხსოვარი დროიდან ყოფილიყო ქართველთა მყარი საცხოვრისი.

ვის სჭირდება იმისი შეხსენება, რომ ერთიანი საქართველოსთვის უმძიმესი დღეებში და მაშინაც, როცა ფაქტიურად არც არსებობდა ერთიანი ქვეყანა, საქართველოს ბევრი სხვა კუთხის დარად, ამ მხარის საუკეთესო შვილებიც გამორჩეულად ედგნენ მხარში ცენტრალურ ხელისუფლებას (თუნდაც გიორგი „ბრწყინვალის“ პერიოდი ან 1921 წლის მარტში ბათუმისათვის ბრძოლები გავიხსენოთ). ცნობილია ისიც, რომ გალის რაიონში ბატონყმობამ ფეხი ვერ მოიკიდა და იგი საუკუნეთა განმავლობაში თავისუფლების კუნძულად დარჩა.

თუნდაც ის, რომ გალელები თავის მიცვალებულებს მათთვის და ქვეყნისთვის ამ გაუსაძლის დღეებშიც წინაპართა საძვალეში მიასვენებენ, დასტურია იმისა, რომ ეს პატარა მიწა (ისევე, როგორც მთელი აფხაზეთი) მათთვის ბიბლიური „აღთქმული ქვეყანაა,“ დღემდე უწმინდესი სავანეა. აფხაზეთის ქართველობას კვლავაც აქვს აურაცხელ პრობლემასთან გამკლავების ძალა და უნარი.

ეს კარგად იციან არა მარტო ჩვენში, არამედ კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართულმა მხარეებმაც, რომელთა აზრითაც, გალის პრობლემის მოგვარებით სათავე დაედება აფხაზეთის საკითხის საბოლოო მოწესრიგებას. სწორედ ამიტომ, ეუთოს სტამბულის სამიტმა (19 ნოემბერი, 1999წ.) მიზანშეწონილად მიიჩნია, გაეროსა და ეუთოს მონაწილეობით, ფაქტების დამდგენი

მისიის გაგზავნა. 2000 წლის 20-24 ნოემბერს გაეროს და ეუთოს ერთობლივმა შემფასებელმა მისიამ (ეშმა) გალის რაიონის ყველა სოფელი და დასახლებული პუნქტი მოიარა და დაბრუნებულ მოსახლეობას შეხვდა.

მიუხედავად გარკვეული ორმაგი სტანდარტებისა და ვითარების შელაპაზებისა (რაც დამახასიათებელია მედიატორებისთვის). ეშმ-ას ანგარიში და დასკვნა საკმაოდ რეალურად ასახავს რაიონში არსებულ ვითარებას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლების, საერთაშორისო თანამეგობრობის, უწნევის ფორმატის პროცესის მონაწილეთა ადეკვატური რეაგირება უნდა მოჰყვეს. ამიტომაც ვთავაზობ საზოგადოებას აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების დასრულების შემდეგ გალის რაიონში განვითარებული მოვლენების თაობაზე უცხოელთა თვალით დანახული რეალობის მოკლე ანალიზს და შეფასებას, რომლის ერთ-ერთი ხელმომწერი აფხაზური მხარის ოფიციალური წარმომადგენელიცაა.

გალის რაიონი, სადაც ამჟამად, სხვადასხვა წყაროს მონაცემებით 34-45 ათასი დევნილია დაბრუნებული, დაპირისპირების ეპიცენტრია. დსთ-ს სამშვიდობო ძალები, გაეროს მეთვალყურეები, აფხაზური მხარე (რომელმაც აიღო პასუხისმგებლობა რაიონის ადმინისტრაციულ კონტროლზე), ვერ უზრუნველყოფენ დევნილთა დაბრუნებისთვის პირობების შექმნას, დაბრუნებული მოსახლეობის უსაფრთხოებას. წლების განმავლობაში მასობრივი ხასიათი აქვს ყაჩალობას, ძარცვას, ადამიანთა გატაცებას, იარაღით ვაჭრობას, ნარკოტიკების წარმოებას და გავრცელებას, სხვა კრიმინალურ ქმედებებს.

ვითარება რაიონში არასტაბილურია, სიტუაცია დაძაბული. ქართული და აფხაზური მხარეების არაკონსტრუქციული დამოკიდებულებების გამო, კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების, დევნილთა რეალური დაბრუნების საკითხებზე ვერ იქნა ხელმოწერილი სტაბილურობის უზრუნველყოფი, თუნდაც შუალედური დოკუმენტი,

ვერ შედგა მხარეთა დიალოგი უნევის ფორმატით შემუშავებულ მოწესრიგების პროექტზე – „აფხაზეთის სტატუსის, თბილისა და სოხუმის შორის უფლებამოსილება გამიჯვნის საფუძვლების შესახებ.“ არ სრულდება „აფხაზეთში დევნილთა ნებაყოფილებითი დაბრუნების შესახებ“ ოთხმხრივი ხელშეკრულება. სახეზეა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ელემენტარული პირობების არარსებობა, ყოვლისმომცველი შიში და განუკითხაობა. ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის ფილიალის გახსნა, აფხაზური მხარის მიზეზით, მრავალი წელია ჭიანურდება.

აფხაზური მხარე ყველა დაბრუნებულზე ადგენს პირად ბარათს და აფიქსირებს ჩანაწერს დაბრუნებულთა მოქალაქეობის შესახებ, თანაც ცდილობს ხელოვნურად გაზარდოს მათი რიცხვი, ახდენს ორმაგ აღრიცხვას, რის გამოც დაბრუნებულთა რაოდენობა სადაცოა.

სოფელ „პრიმორსკის“ დასახლება (სოფელი გინძე ენერი), სადაც ადრე ძირითადად ცხოვრობდა რუსული მოსახლეობა, დანალემულია, მოსახლეობა ბედის ანაბარაა მიტოვებული (ძირითადად უმწეო მოხუცები). დასახლებაში თავს იყრიან შეიარაღებული კრიმინალები, იქ ვერ შედიან სამშვიდობო ძალები და გაეროს მეთვალყურეები. ასეთივე მდგომარეობაა რიგ სხვა დასახლებებში.

რაიონის ადმინისტრაცია მთლიანად აფხაზურია და არ შეესაბამება მოსახლეობის დემოგრაფიულ შემადგენლობას. ადმინისტრაციის მეთაურის და სხვა წამყვანი თანამდებობები ეთნიკურ აფხაზებს უკავიათ. მხოლოდ აფხაზურია სამართალდამცავი და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა, პირადი შემადგენლობა (რამდენიმე გამონაკლისის გარდა).

რესპონდენტთა აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გალის რაიონში ჩატარდა ფორმალურად, ამომრჩეველთა გარეშე (1997წ.). ფაქტოურად აფხაზურმა ადმინისტრაციამ დეპუტატები დანიშნა.

აფხაზური ადმინისტრაცია უძლურია წინ აღუდგეს ე.წ. კრი-

მინალურ ავტორიტეტებს, რომელთაც გავლენის სფეროები გადანაწილებული აქვთ. მოსაკრებლები და გადასახდელები დგინდება მათ მიერ.

კანონიერების არარსებობითაა განპირობებული ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევები, განსაკუთრებით სიცოცხლის უფლების ხელყოფა, თავისუფლების თვითნებური შეზღუდვა, მძღვანელობის გატაცება, ყაჩაღობა, ძარცვა, გაუპატიურება და სხვა, რასაც მზარდი ხასიათი აქვს.

რაიონში არ არის სასამართლო, ე.წ. სამართალწარმოება და მართლმსაჯულება ხორციელდება მეზობელ ტყვარჩელისა და ოჩამჩირის რაიონებში.

გამოკითხულთა აზრით, მოსახლეობის წინააღმდეგ ძალადობაში (ყაჩაღობა, ადამიანის გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, თავისუფლების თვითნებური აღკვეთა და სხვა) მონაწილეობენ აფხაზი, ქართველი, რუსი, ჩეჩენი და სხვა ეროვნების კრიმინალები, რომლებიც ხშირად მოქმედებენ შეთანხმებით.

განსაკუთრებით მწვავდება წინააღმდეგობა კრიმინალურ დაჯალუფებებს შორის თხილისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სეზონში, რაც ხშირად შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადადის.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ბოლო პერიოდში შესუსტდა პარტიზანების აქტიურობა. პარტიზანთა სახელით არც თუ იშვიათად მოქმედებენ კრიმინალები, რომლებიც აყაჩაღებენ მოსახლეობას, ავრცელებენ ნარკოტიკებს, ვაჭრობენ იარაღით, იტაცებენ და ყიდიან ავტომანქანებს.

კომუნალური საცხოვრებელი ფონდის 65-70 პროცენტზე მეტი დამწვარი და გაძარცულია აფხაზური მხარის ხელშეწყობით. მოსახლეობას, როგორც წესი, ცხოვრება უხდება დროებით თავშესაფრებში (ავტომანქანის გარაჟი, პირუტყვის საფლოები, სამუშაოების ნაგებობა, მინური).

სკოლების მდგომარეობა უმძიმესია (უმეტესობა დამწვარი და გაძარცულია), აღდგენის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია იქ საქმიანობა, რაიონში აიკრძალა მშობლიურ ენაზე სწავლება,

რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დევნილთა დაბრუნების ინტენსივობა.

მხოლოდ ქართული და აფხაზური მხარეების ერთობლივი ეკონომიკური ინტერესების გამო შესაძლებელი გახდა ენგურ-ჰესის (აფხაზეთში ელექტროენერგიის ფაქტიურად ერთადერთი წყაროს) შენარჩუნება, რაც შესაძლებელია პრეცედენტი გახდეს სხვა დარგებშიც თანამშრომლობის განვითარებისთვის.

სატელეფონო კავშირის სისტემა არ არსებობს (განადგურებული და გაძარცულია), ტელევიზორები და რადიომიმღებები მოსახლეობას არ გააჩნია. მეტად შეზღუდულია სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, გადაადგილების საშუალება ცხენი, ხარ-კამეჩი და საზიდროებია. მოსახლეობის 90% ქვეითად გადადგილდება.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები – მეჩაიეობა და მეციტრუსეობა გაჩანაგებულია. ინფრასტრუქტურა მოშლილია. სოციალური დაცვის სისტემა არ არსებობს, პენსიები არ გაიცემა, მოსახლეობა ცხოვრობს უმძიმეს ყოფაში. დე-ფაქტო ხელისუფლებას არ შეუძლია ადამიანთა ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილება. დაუსაქმებელია შრომისუნარიანი მოსახლეობის 90-97 პროცენტი.

საქართველოსა და აფხაზეთის ჯანდაცვის ორგანოების, ასევე, რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ერთობლივი ზრუნვის შედეგად ჯანდაცვის სისტემა გარკვეულწილად შენარჩუნებულია ქალაქ გალში და რამდენიმე დასახლებულ პუნქტში. არ ჰყოფნით ექიმები, ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოში ვერ ხერხდება მარტივი ქირურგიული ოპერაციების ჩატარება.

არაორდინარულ პირობებში ცხოვრების გამო მოსახლეობაში მასობრივად არის გავრცელებული ტუბერკულოზი, შაქრიანი დიაბეტი, ასთმა, გულ-სისახლძარღვთა, ფილტვების, ნერვული სისტემის დაავადებები, ძალზე მაღალია ქალთა დაავადებების ხვედრითი წილი, განსაკუთრებით მძიმეა ჩვილთა და მოზარდთა ჯანმრთელობის რისკები, უკიდურესად მაღალია სიკვდილიანობა.

გალის რაიონში არ ვრცელდება სოხუმსა და თბილისში გამოცემული გაზეთები, რეალურად მოსახლეობა მოწყვეტილია გარე სამყაროს.

გალში კადრების დეფიციტის (რუსულ და აფხაზურ ენაზე მოთხოვნა არ არსებობს) გამო ადგილობრივი გაზეთი არ გამოდის.

გალის რაიონში არ არის პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო მოძრაობის ფილიალები, აკრძალულია პოლიტიკური საქმიანობა, მოსახლეობა იმყოფება შიდა იზოლაციაში, მოცულია აპათიით, მათი ერთადერთი საზრუნავია ყოველდღიური ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისთვის.

გალის რაიონში არ არის მოქმედი ეკლესია, ამიტომ სულიერი და რელიგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოსახლეობის ნაწილი (მონათლოს ბავშვები, მიიღოს ზიარება, გადაიხადოს პარაკლისი და ასე შემდეგ) იძულებულია გაემგზავროს ქალაქ ზუგდიდში ან ოჩამჩირის რაიონში.

მდგომარეობა მეტად მძიმეა, გალის რაიონი გადაქცეულია უფლება აყრილ ადამიანთა რეზერვაციად.

ამასვე, ადასტურებდა 1994 წლის 6 დეკემბრის ეუთოს ბუდაპეშტის სამიტზე მიღებული დოკუმენტი აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შესახებ, უპირატესად ქართული მოსახლეობის მიმართ. იგივე დასკვნა უფრო კატეგორიულად განმეორდა ეუთოს ლისაბონის 1996 წლის და სტამბულის 1999 ნოემბრის სამიტებზე.

და ყოველივე ეს ხდება მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების, თვალწინ.

სწორედ ამით არის განპირობებული, ალბათ, რომ თავის ბედსა და სამშობლოს მომავალზე მოფიქრალი გალელებისგან გასაოცარ, გონით ძნელად მისაწვდომ ამბებსაც გაიგონებ ხოლმე. უძლურებისგან სასონარკვეთილ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ მსოფლიოს განაგებს არა საერთაშორისო გაერთიანებები და მსოფლიო თანამეგობრობა, არამედ უსაშველოდ მდიდარი რამდენიმე კაცი, რომლებიც დროდადრო ფინჯან ყავასთან მოიყ

რიან თავს და ცივი ანგარიშით წყვეტენ ყველას და თითოეულის ბედს; ანაწილებენ პლანეტის დიდი და პატარა ქვეყნების ტერიტორიებს და მათ ბუნებრივ რესურსებს, განაგებენ მსოფლიო ბაზრებს, ადგენენ საქონლისა და მომსახურების ფასებს, მოსახლეთა რაოდენობას და შემადგენლობას, მდიდართა და ღარიბთა თანაფარდობას, უმუშევართა ოპტიმალურ ოდენობას, ეკონომიკური საქმიანობისგან მოგებისა და ნილების ნორმებს; თავისუფლების მხარდაჭერის ძველი ლოზუნგით („დემოკრატიული“, აჯანყებების მხარდაჭერა) თუ უხეში ძალის ჩარეცით ნიშნავენ და ათავისუფლებენ სახელმწიფოთა მეთაურებს, ანყობენ რევოლუციებს და კონტრევოლუციებს, სახელმწიფოთა თუ ხალხებს შორის დიდ თუ პატარა ომებსა და კონფლიქტებს, რათა კიდევ უფრო გაამრავლონ თავიანთი სიმდიდრე და ძალაუფლება, ზეგავლენა მთელ მსოფლიოზე. მათი ძალაა ფული, სხვათა ძარცვით ნაშოვნი ოქროს საწყობები, რასაც არასდროს შეელევიან და არავის აზიარებენ. მათივე ხელშია ყველაზე ძლიერი შეიარაღებული ძალები და უშიშროების სამსახურები, რადიო, გაზეთი და უურნალი, ტელევიზია, ინტერნეტის მსოფლიო ქსელი, სიცრუისა და დემაგოგის ყველაზე დახვეწილი საშუალებები. მათივე ხელშია ნარკოტიკების წარმოება და განანილება, ტერორისტების შერჩევის, გამოზრდისა და გამოყენების მექანიზმები, გართობისა და სიამოვნების ყოველგვარი წყარო, ადამიანური თუ სატანური ცოდვის თუ ცოუნების ყველა ძველი თუ ახალი გამოგონება. ესენი XXI საუკუნის ბატონებია, გლობალური მსოფლიოს გამგებლები, სხვა ყველა კი მათი ვასალი და მონაა.

გააწყობს კი რამეს საქართველოსთანა პატარა ქვეყანა ამ გველებაპეტბთან დაპირისპირებაში, რომელთა გარეშე არც ათხაზეთში მომხდარა ძმათამკვლელი ომი და საყოველთაო უბედურება, ნაღვლიანად და უიმედოდ კითხულობენ დევნილები და ადვილი არ არის გადაარნმუნო ისინი.

როგორც ეშმას საერთაშორისო დოკუმენტიდან ჩანს, აფხაზეთში არაფერი შეცვლილა. უფრო მეტიც, მისიის დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში ჭუბურსინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე

რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა გენერალ სიდორე-ვიჩმა აღნიშნა, რომ განვლილი ნახევარი წლის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში მოხდა 39 მკვლელობა, გამოსასყიდის მიღების მიზნით გატაცების – 17, ყაჩაღობის – 42 ფაქტი, ცეცხლ-სასროლი იარაღით ინციდენტის 52 შემთხვევა, ნაღმზე აფეთქებით დაიღუპა 6 კაცი, მძევლად აყვანილია 16 ადამიანი.

ასეთია ეშმას დასკვნა, თუმცა ეშმა კონფლიქტის მხარეებს ერთობლივი ძალისხმევისკენ მოუწოდებს და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში რაიონის სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის მრავალი მილიონი დოლარის ღირებულების პროექტს სთავაზობს.

ზემოაღნიშნული ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც რეალურად ხდება გალის რაიონში, აფხაზეთში და რომელთა მოთმენა და წაყრუება, სხვა თუ არა, სირცხვილია თავმოყვარე ერისა და სახელმწიფოსთვის.

საზოგადოება მოელის, რომ ეშმას დასკვნას უენევის ფორმატის ფარგლებში, ასევე გაეროში მოჰყვება ადეკვატური სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება, ჩვენი ხელისუფლების ჯეროვანი რეაგირება.

„**ურნალი „რინა“, №3-4, 2001წ.
„დილის გაზეთი,“ 5 სექტემბერი, 2001წ.**

ტერორიზმი – მსოფლიოს შავი ჭირი

სიტყვა „ტერორიზმი,“ თანამედროვე შინაარსით, პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა ბურკმა გამოიყენა და დაახლოებით, შიშის დანერგვას, დაშინებას ნიშნავს.

წარსულში ტერორიზმი იყო ცალკეული ადამიანების თუ ადამიანთა ვინწრო ჯგუფის საქმე, რომლებიც ხოცავდნენ სახელმწიფოს მეთაურებს, თანამდებობის პირებს, წარჩინებულ ადამიანებს, მაგრამ, მათ ნაცვლად, როგორც წესი, სხვები მოდიოდნენ და ამდენად, ტერორისტული აქტები ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებიდან არ გადიოდა, მით უფრო, მსოფლიო განვითარებაზე გავლენას თითქმის არ ახდენდა.

ამჟამად ტერორისტებს გაუჩნდათ განუსაზღვრელი მატერიალური და ტექნიკური, საინფორმაციო და ფინანსური შესაძლებლობანი, რომ გამოიწვიონ ქაოსი, არასტაბილურობა და მკვეთრად შეცვალონ ვითარება ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონებში. ტერორისტულ დაჯგუფებებს აქვთ უამრავი საშუალება გამოიწვიონ უზარმაზარი ნერევა, შიში, პანიკა, ომებიც კი. არსებობს საფრთხე მათ ხელში აღმოჩნდეს მასობრივი განადგურების იარაღი.

ტერორიზმი განსაკუთრებით მე-19 საუკუნიდან სახეს იცვლის და მეტად მრავალფეროვანი ხდება; ანარქისტები შეცვალეს უკიდურესად მემარცხენე ტერორისტებმა, რომლებმაც საყრდენი იპოვეს გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში, იაპონიაში, მოგვიანებით ინიციატივა აიღეს მემარჯვენებმა. 2000 წლის ბოლოსთვის ძალზე დაზარალდა რუსეთი, რომელიც, ანტიტერორისტულ ოპერაციას ახორციელებს თავის ქვეყანაში და დსთ-ს სივრცეში. სადღეისოდ ტერორიზმის მიზანი შესაძლებელია იყოს დიდი მატერიალური დაინტერესება, უცხო ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა, სახელმწიფო წყობილების შეცვლა, ვრცელ ტერიტორიებზე გავლენის მოპოვება, სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდება, ეგრეთწოდებული დამოუკიდებელი, სუვერენული

სახელმწიფობის შექმნა, ტერიტორიული თუ პოლიტიკურ უფლებამოსილებათა ხელყოფა და ასე შემდეგ.

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმი უპირატესად მკაფიოდ გამოკვეთილ რელიგიურ და ეთნიკურ ხასიათს ატარებს, თანაც თავისი მიზნის მისაღწევად მაქსიმალურად იყენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კომპიუტერს, ინტერნეტის გლობალური ქსელის შესაძლებლობებს.

მე-20 საუკუნეში ტერორისტული აქტების შედეგად დაიღუპა 70-ზე მეტი სახელმწიფოს მეთაური, 600-მდე სახელმწიფო მოღვაწე.

1992 წელს მსოფლიოში აღინუსხა 364 ტერორისტული აქტი, 1993 წელს – 428, 1994 წელს – 1508, 1995 წელს – 1800-ზე მეტი. ბოლო წლებში ტერორისტული აქტების მსხვერპლი რამდენჯერ-მე გაიზარდა. შექმნილია შეკვეთილ მკვლელთა მთელი სინდიკატები, ბევრგან, უპირატესად არაბულ ქვეყნების სპეციალურ სკოლებში ამზადებენ ტერორისტ- თვითმკვლელებს, რომელთა გამოვლენა მეტად ძნელია.

სამწუხაროდ, ტერორისტული აქტებით ცნობილი ქვეყნების რიცხვში შესულია საქართველოც. ქვეყანაში განხორციელებულ ტერაქტებში მოიაზრება ცნობილი თავდასხმები პრეზიდენტის მიმართ, მრავალი გამოჩენილი ადამიანის, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის დაღუპვა. სულ ახლახან საქართველო შეძრა ტელეურნალისტის გიორგი სანაიას ტრაგიკულად დაღუპვამ. საქართველოში დაფიქსირდა გაეროს და ეუთოს დამკვირვებლების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების მძევლად აყვანის ფაქტები.

განასხვავებენ ტერორისტული აქტების რამდენიმე სახეობას. მათ შორის უპირატესად გავრცელებულია სისხლის სამართლის ხასიათის შიზოიდური და იდეოლოგიური ხასიათის ტერაქტები (რევოლუციური, რელიგიურ-ფანატიკური და სხვა).

ტერორიზმის განსაკუთრებული სახეა პარტიზანული ტერორიზმი, ანუ მათი აზრით, სადამსჯელო ზომები სამართლიანობის აღდგენის, კანონიერების დამყარების, თავისი საცხოვრებელი

ადგილებიდან ადამიანების გაძევების დაუშვებლობის, საკუთარ მამულში ცხოვრების წართმეული უფლების აღდგენის უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო და რიგი ცალკეული ქვეყნის სამართალშიც ძნელად მოიპოვება ტერორიზმის ამ ფორმის კატეგორიული დაგმობა, თუმცა იგი მიჩნეულია არასახელმწიფოებრივი მოქმედების ფორმად, ანუ კანონგარეშედ.

ტერორიზმის ყველაზე მძიმე და საშიში ფორმაა სახელმწიფო ტერორიზმი, რადგან ჯერ ერთი, მეტად მასშტაბურია, ამასთან მასობრივად ხელყოფს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მსოფლიო მართლწესრიგს.

თანამედროვე მსოფლიოში გამოყოფენ სახელმწიფოებს, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორიზმს, ტერორისტებს ეხმარებიან ფინანსურად, მატერიალურად, ტექნიკურად. თანამედროვე მსოფლიოში არიან შეძლებულ ადამიანთა ჯგუფები, მათ შორის ქარიზმატული ნიშნებით, რომელთა ლიდერობით და გარემოცვაში იგეგმება ტერორისტული აქტები, მათ შორის ყველაზე მასშტაბური, ბარბაროსული, საზარელი და ძნელად წარმოსადგენი. ექსპერტთა აზრით, მათ უკვეთავენ, მოქმედების არეალს და პირობებს უქმნიან ცალკეული სახელმწიფოები, რომელთაც ესა თუ ის გეოპოლიტიკური ინტერესები ამოძრავებთ.

1991-1993 წლებში აფხაზეთში შეიქმნა პირობები ტერორისტული მოქმედებების განსახორციელებლად, პირველ რიგში ქართველი მოსახლეობის, ქართველი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. რუსეთის დახმარებით მონოეთნიკური აფხაზური არმიის შექმნა სხვა არა იყო რა, თუ არა ტერორის იარაღი, რომელმაც თავისი როლი შეასრულა აფხაზეთში ქართველთა დამარცხებაში. ტერორისტული მიზნების სამსახურში იყო ვოლონტერთა (უპირატესად რუსეთის მოქალაქეებისგან შემდგარი) ორგანიზებული რაზმები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს ებრძოდნენ, უბედურების ზონად აცხადებდნენ საქართველოს დედაქალაქს და სხვა რეგიონებს.

ტერორიზმის პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგია ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა აფხაზეთში, ასეულ ათასობით ადამიანის გაძევება მშობლიური ადგილებიდან, მასობრივი მკვლელობები იმ რეგიონებში, სადაც საომარი მოქმედებები არ ყოფილა. ტერორისტული აქტია აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს პარლამენტის წევრის უიული შარტავას მკვლელობა და მისი გარემოცვის დახოცვა, აფხაზეთში თანამდებობის პირთა სხვა გახმაურებული მკვლელობები.

ტერორისტულ მოქმედებად უნდა შეფასდეს გაეროს სანქციის გარეშე წებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა ძალისმიერი საშუალებით, მით უფრო, როცა იგი პროვოცირებული და ორგანიზებულია ქვეყნის გარედან.

პრაქტიკულად შეუძლებელია გამყოფი ხაზის გავლება სეპარატისტულ ტერორიზმსა და ტერორიზმს შორის. როგორ წესი, გარედან წახალისებულ შეთქმულთა მცირე ჯგუფი იწყებს სახელმწიფოს რღვევის მზადებას. ისინი სახავენ მიზანს, სამოქმედო გეგმას, იდეოლოგიურ პლატფორმას, ტერორიზმი განხორციელების საშუალებაა. სეპარატისტული რეჟიმები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ, როგორც იტყვიან, „ომის ველზე“, ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზანს, ერთიანდებიან და აკონინებენ ძალებსა და საშუალებებს, ამზადებენ ტერორისტულ აქტებს.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობამ, თანამედროვეობის პოლიტიკურმა ლიდერებმა ბოლომდე ვერ გაიცნობიერეს აგრესიული სეპარატიზმისა და ტერორიზმის ინტეგრირების საშიშროება.

ტერორიზმის ბუდეა უკონტროლო ტერიტორიები, კონფლიქტური და სეცესირებული რეგიონები. აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში დაფიქსირებულია დიდი რაოდენობის უკანონო იარაღის საცავები, ნარკოტიკული საშუალებები, კონგრაბანდული საქონლის საწყობები, საერთაშორისო მასშტაბის კრიმინალური ავტორიტეტების შეკრებები, დამნაშავეთა საერთაშორისო მასშტაბის თავყრილობები.

ბოლო რამოდენიმე წელიწადია აფხაზეთში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ნარკომაფიის მასშტაბები, გაიზარდა ნარკოტიკულ ნივთიერებების პრუნვა, ნარკოტიკების შემცველი მცენარეების ნათესი ფართობები. თავის მხრივ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამუშაო ადგილების უქონლობა და ცხოვრების დაბალი დონე, მუდმივი შიში და სტრესული სიტუაციები ხელს უწყობენ ნარკობიზნესის განვითარებას, მოპოვებას, მოხმარებას, შენახვას, რეალიზაციას. პრაქტიკულად აფხაზეთის მთელი ტერიტორია დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ გაყოფილი გავლენის ზონებად. დასავლეთ აფხაზეთის დაჯგუფება აკონტროლებს საწვავის, სურსათის და თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვას, ნაწილობრივ მონაბილეობს რუსეთის ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალებების გატანაში. გაგრის დაჯგუფება (სომხური დიასპორა) უმეტესწილად დაკავებულია ნარკოტიკების წარმოებით. გუდაუთის დაჯგუფება (აფხაზები) ნარკოტიკების იმპორტს და ექსპორტს ზედამხედველობს. ჩეჩენების დაჯგუფება აკონტროლებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის აღმოსავლეთ ნაწილს, სოხუმის რკინიგზის სადგურს და ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალებს, მენარმეების საქმიანობას და ტვირთების გადაზიდვას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამყოფ ზოლზე. ნარკონივთიერებების ექსპორტი ხორციელდება აფხაზეთის პორტებით თევზსარენი გემების მეშვეობით, აგრეთვე იყენებენ საავტომობილო და სარკინიგზზო ტრანსპორტს, კავკასიონის ულელტეხნილებს, რასაც ხელს უწყობს სუსატად დაცული სასაზღვრო მონაკვეთების არსებობა. ექსპორტის ბოლო პუნქტებია კრასნოდარის მხარე, როსტოკის, ვოლგოგრადის, ოდესის ოლქები და მოლდოვა. არსებობს საკმაოდ საფუძვლიანი ვარაუდი ნარკონივთიერებების შეუა აზიიდან აფხაზეთის გავლით ევროპაში გატანის შესახებ.

აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება უძლურია გაუმკლავდეს ნარკომაფიის ბოსებს, რადგან მათ (კრიმინალებს) თავისი ხალხი ჰყავთ ამავე ხელისუფლების ყველა შტოში. აფხაზეთში ნარკომაფიის მასშტაბების ზრდის გამო შემფოთებას გამოხა-

ტავენ საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებიც, ვინაიდან ტრასეკას ჩარჩოში საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბებით იქმნება მაღალი ალბათობა საქართველოს სატრანსპორტო ქსელი გამოყენებულ იქნას ნარკოტიკების ექსპორტისა და გავრცელებისთვის.

აფხაზეთში შესაძლებელია ყოველგვარი ცეცხლსასროლი იარაღის ყიდვა და გაყიდვა გაცილებით იაფად, ვიდრე დანარჩენ საქართველოში და ოუსეთში. სოხუმის რეზიმი იარაღის ბრუნვას ვერ აკონტროლებს. აუარებელი ალურიცხავი იარაღია ბოევიკების და კერძო პირების ხელში, კრიმინალების კუთვნილ სარეალიზაციო საცავებში. იარაღის ბიზნესით დაკავებულ ადამიანებს საიმედო კავშირები აქვთ რუსთის სამხედრო ბაზებთან, იარაღის მწარმოებლებთან, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მიმოფანტულ ყოფილ თანამებრძოლებათან.

ჭერიმინალური ბიზნესის ერთერთი გავრცელებული ფორმაა საქართველოს ტერიტორიიდან (ძირითადად თბილისიდან და ქუთაისიდან) ავტომანქანების გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით. 2001 წელს ოფიციალურად დაფიქსირებულია 206 ფაქტი, თუმცა რეალურად გატაცებული მანქანების რაოდენობა რამდენჯერმე მეტია. მათი უმეტესობა გადაჰყავთ აფხაზეთში და სამაჩაბლოში, იქიდან კი რუსეთში. უპირატესობას ანიჭებენ უცხოური წარმოების თანამედროვე მსუბუქ ავტომანქანებს და ავტოსატრანსპორტო საშუალებებს. გატაცებული ავტომანქანების ნაწილი გამოსასყიდის გადახდის შემდეგ კვლავ საქართველოში ბრუნდება.

ტერორიზმი უნდა მოსპონ და მოისპობა კიდეც, მაგრამ უდიდესი შრომის გაწევა მოუწევთ პოლიტიკოსებს, სამართალდამცავებს, ეკონომისტებს, პოლიტოლოგებს, სოციოლოგებს, ფსიქოლოგებს, იმის გასარკვევად თუ რა ხდება იმ ადამიანების თავებში, რომლებიც მზად არიან საკუთარი სიცოცხლის ფასად გაწირონ ათასობით, ათეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. რა არის ეს? ადამიანის, როგორც უფლის მსგავსისა და ხატის გადაგვარება თუ სხვა რამ ახალი, ჯერ კიდევ

შეუცნობი ფენომენი, რომლის გამოვლენა და განკურნებაა საჭირო.

ამ კითხვაზე მსოფლიო პასუხს ელოდება.

არ იქნებოდა ამ საკითხზე მსჯელობა სრული და სამართლიანი, თუ არ დავამატებდით იმას, რომ მსოფლიო გაერთიანებებმა, მდიდარმა ქვეყნებმა სერიოზულად უნდა განიხილონ და რეალურად მოჰკიდონ ხელი ადამიანთა (ადამიანთა ჯგუფების, გაერთიანებების) ასეთი ქცევის მიზეზებისა და გარემოებების შესწავლას და მათი აღმოფხვრის ორნისძიების გატარებას.

ბოლო დროს მსოფლიოში იყო რამდენიმე მოვლენა (მათ შორის, ეგრეთ წოდებული, გლობალისტების მრავალი ღია საპროტესტო აქცია, ე.წ. ვაჰაბიტთა მომძლავრება ეკროპისა და აზის სტაბილურობით გამორჩეულ დიდ თუ პატარა სახელმწიფოებში და სხვა), რაც ყურადღებით შესწავლას (და არა ხელკეტებით გარეკვესა) მოითხოვს, ასევე გაჭიანურებული ან ათწლეულებით დაკონსერვებული კონფლიქტები, მათ შორის, აფხაზეთში, სამარიაბლოში, რომლებიც გარემოებათა საბედისწერო გადაკვეთის ვითარებაში შეიძლება ფანატიკური ძალების ხელში, დიდი აფეთქებებისა და სხვა უმძიმესი გართულებების ეპიცენტრები გახდნენ.

ტერორიზმი შავი ჭირი, ავთვისებიანი მეტასტაზია კაცობრიობის სხეულზე, რომლისგანაც არც ერთი ქვეყანა და ადამიანი არ არის დაცული.

„დილის გაზეთი,“
14 სექტემბერი, 2001წ.

ტერორიზმთან ბრძოლა უკონფიროლო ტერიტორიის მოცესრიგებით უდია დაიცყოს

**ინტერვიუ გაზეთ „დილის გაზეთის“ კორესპონდენტთან
ქალბატონ თამარ სუჯაშვილთან**

რაფიელ გელანტია წლების მანძილზე ეწეოდა სა-
ზოგადოებრივ, სამწერლო და პუბლიცისტურ საქმი-
ანობას. იყო რაიონული გაზეთ „გალის“ რედაქტორი.
არის აფხაზეთის მტკიცნეულ პრობლემებზე რამდენიმე
წიგნის ავტორი და თანაავტორი, გამოქვეყნებული აქვს
ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი. მიუხედავად იმისა,
რომ, როგორც იტყვიან, ხშირად „კადრს მიღმა“ იდგა,
იგი არის აფხაზეთის ერთერთი მემატიანე და ექსპერტი
კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში.

რაფიელ გელანტია ამჟამად არის პარლამენტის
თანამშრომელი და საზოგადოება „სამურზაყანოს“ ერ-
თერთი ლიდერი. ჩვენთან საუბარში იგი აფხაზეთის სა-
კითხს მსოფლიოს ბოლოდროინდელ გეოპოლიტიკური
მოვლენების ჭრილში განიხილავს.

**– რა სიტუაციაა ამჟამად აფხაზეთში და დღევანდელი ვი-
თარებიდან გამომდინარე, რას უნდა ველოდოთ?**

– ვითარება მძიმეა. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის ზონაში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები და გაეროს სამხედრო მეთვალყურეებია განლაგებული, გალის რაიონი კონ-
ფლიქტის ეპიცენტრია, სადაც მოსალოდნელია აფეთქება. პო-
ლიტიკოსებიც და მასმედიაც იქ არსებულ ვითარებას, ძირითა-
დად აღწერილობით შეფასებას აძლევენ, მაგრამ არსებობს მრა-
ვალი ფაქტორი, რაც დაძაბულობას განაპირობებს. კერძოდ, გა-
ლის რაიონი ოკუპირებულია უცხო ძალის მიერ. ადმინისტრაცია
ეთნიკურად აფხაზურია, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. რაიონი მთლიანად ქართული კულტურისა და ტრადი-

ციების მქონე რაიონია, ამიტომ მოსახლეობისთვის მიუღებელია უცხო ენა და მმართველობის ის ფორმები, რომლებიც აფხაზური ადმინისტრაციის ვიწრო წრემ დანერგა. ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზული უკმაყოფილების მიზეზი ის არის, რომ ყველა სკოლაში სწავლება ოფიციალურად რუსულად ენაზე მიმდინარეობს. არის სხვა მიზეზიც, კერძოდ, აფხაზური ადმინისტრაცია გალის რაიონს განიხილავს, როგორც გამორჩენის საშუალებას, პირადი გამდიდრების ადგილს; აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების დასრულების შემდგომ წლებში გალში არავითარი სოციალური და ეკონომიკური ღონისძიებები არ განხორციელებულა, ადამიანებზე არავინ არ ზრუნავს.

– „ტყის ძების“ მეთაური დათო შენგელია იმუქრებოდა, თუ გალის სკოლებში ქართულად სწავლა არ აღდგება, სკოლებს ავაფეთქებოთ. მოჰყვა თუ არა ამ მუქარას რაიმე კონკრეტული შედეგი?

– გალის რაიონში სწავლა-განათლებას ოდითგანვე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. პირველი ქართული სკოლა გალის რაიონის სოფელ ოქუმში გაიხსნა ჯერ კიდევ 1851 წელს, მოგვიანებით, ამავე საუკუნის ბოლომდე რაიონის 22 სოფელში ფუნქციონირებდა რუსულ-ქართული სკოლები. ასეთი დამოკიდებულება დღემდე შემორჩა. ყოველთვის მჯეროდა, და მჯერა, რომ ბიჭები სკოლებს, რომლებშიც აღიზარდნენ, არ ააფეთქებდნენ. სეპარატისტების მიზანი გალის რაიონის მოსახლეობის გარუსებაა, რაც შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქართული სკოლები დაიხურება და კონფლიქტი გაჭიანურდება.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ სოხუმის რეჟიმმა ოფიციალურად დაადასტურა გალის რაიონში ათი ქართული სკოლის არსებობა. მსგავსი განცხადება ადრე არ გაკეთებულა.

გალში უმძიმესი კრიმინოგენური ვითარებაა. სამართალდამცავი ორგანოები მხოლოდ (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა) აფხაზებით არის დაკომპლექტებული. ისინი ანგარიშს არ უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას. არ არსებობს სასამართლო, პროკურატურა, სავექილო სამსახური. გალელებს ასამართლებენ სხვა რაიონებში, უპირატესად ქალაქ სოხუმში. ახლა კონკრეტულად

გალზე ვსაუბრობთ, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მსგავსი ვითარებაა მთელს აფხაზეთში. აფხაზები წინააღმდეგნი არიან გალში გაიხსნას ადამიანის უფლებათა დაცვის გაეროს და ეუ-თოს სოხუმის ოფისის ფილიალი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იქ კვლავ გრძელდება ეთნიკური წმენდა და ამ ნიშნით ადგი-ლობრივი მოსახლეობის დევნა.

- ზოგიერთი ცნობით, პანიკური შიშის გამო, აფხაზეთს მო-სახლეობა ტოვებს... .

- საქართველომ არ უნდა მოიჭრას გზა თავის უპირველესი სახელმწიფოებრივი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ამასთან საჭიროა ხელი შეუწყოს აფხაზეთის სახელმწიფოე-ბრივი წარმონაქმნის კონსტიტუციური უფლებამოსილებების დაცვას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენმა ხე-ლისუფლებამ აფხაზებთან პრობლემის მოგვარების ოპტიმალუ-რი გზა უნდა გამონახოს; მომავალ თაობებს არ უნდა დაუვუტო-ვოთ უფრო რთულად გადასაწყვეტი პრობლემები. სამწუხაროდ, ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლე-ბისაგან და რიგი პოლიტიკოსებისაგან ხშირად გაიგონებთ, რომ დე-იურე აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეული ნაწილი (ვთქვათ, მდინარე გუმისთას იქეთ) დაეთმოს აფხაზებს და ამ ტერიტო-რიაზე თბილისმა აღიაროს აფხაზეთს დამოუკიდებლობა. ეს არ უნდა დავუშვათ. აჭარა 300 წელი სხვა სახელმწიფოს შემადგენ-ლობაში იყო და მსგავს დოკუმენტზე ხელი რომ მოგვენერა, აჭა-რა საქართველოს აღარასოდეს დაუბრუნდებოდა.

რეალურად მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს; ისე არ უნდა მოხდეს, ვინმეს, თუნდაც მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს სამეცნიერო სუბიექტად ვიქცეთ და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ეჭვის ქვეშ დად-გეს. ასეთი საფრთხე კი არსებობს.

დღეს უმთავრესია საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის, თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გა-მიჯვნის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა. თუ ეს ვერ მოხერ-ხდება, მთელი სამშვიდობო კონსტიტუცია დაინგრევა და უფრო გაგვიჭირდება, მაგრამ არასოდეს უნდა მოვიჭრათ უკანდასახევი

და დასახული მიზნის სხვა გზებით მიღწევის არჩევანის საშუალება.

დააკვირდით, 11 სექტემბერს აშშ-ში მომხდარი ტერაქტის შემდეგ შესაძლებელი გახდა ძლიერი კოალიციის შექმნა, რომელიც ტერორიზმს შეებრძოლება. ტერორისტები შემთხვევით არ ჩნდებიან. ისინი, როგორც წესი, გამოხატავენ დიდი სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ინტერესებს. მათი თავშესაფარი, როგორც წესი, უკონტროლო ტერიტორიებია, მათ შორის და უპირატესად სეცესიონებული ტერიტორიები.

რუსეთი ჩვენ გვადანაშაულებს ტერორისტების მფარველობაში, ავიწყდება, რომ თავად არის არაერთი ტერორისტის მფარველი, თუნდაც მათი, ვინც აფხაზეთის ომის დროს ქართველებს ხოცავდა. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერორისტებად გამოცხადებულ ადამიანებზე, რომელებიც რუსეთში განსაკუთრებული პატივით სარგებლობენ.

– **საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ყველა დიდი მტერი თავს აფარებდა უცხო ქვეყანას, რომელიც მას, როგორც წესი, საკუთარი გეოპოლიტიკური თუ სხვა მიზნების რეალიზაციისთვის იყენებდა.**

– წინა წლებში საქართველომ საკუთარ თავზე იწვნია ტერაქტების მთელი წელი, მათ შორის, პრეზიდენტზე, პოლიტიკურ მოღვაწეებზე თავდასხმები, პოლიტიკური მოღვაწეების და უურნალისტების მკვლელობები. საქართველოს ხელისუფლებამ მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ უნდა შეიქმნას ტერორიზმთან ბრძოლის ყოვლისმომცველი და მოქნილი მექანიზმი. ასეთი განვაში აფხაზეთის ომის და სოხუმის დაცემის შემდეგ რომ ატეხილიყო, დარწმუნებული ვარ, არც ეს პრობლემა და, შესაძლოა, არც ამერიკის ბოლო დროინდელი მოვლენები ყოფილიყო. კოალიციის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ შექმნილ პროგრამაში უნდა ჩაიწეროს, რომ დადგა დრო მსოფლიოს ცხელი (უკონტროლო) წერტილები მოწესრიგდეს. მათ შორის აფხაზეთშიც, რადგან ტერორისტები იქაც აფარებენ თავს.

ტერორისტობა არ წიპავს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ შპაჰიდის ქამარი შემოირტყა, თავი აიფეთქო და სხვები ააფეთქო. ტერორიულობით ფართო რამეა, არსებითად შიშით და ძალადობით ბატო-

ნობა, რაც აფხაზეთში დაინერგა და დღემდე გრძელდება. ტერო-
რიზმი უპირველესად და უმთავრესად შიშის დანერგვით პოლიტი-
კური, ეკონომიკური, კომერციული თუ სხვა მიზნის მიღწევის საშუ-
ალებაა. აფხაზეთში არსებული განუკითხაობა და ძალადობა მეტად
ხელსაყრელი გარემოა ზნედაკარგული და თავზე ხელაღებული
ადამიანების, მკვლელების და მძარცველების გამოსაზრდებად.
აი, ეს-ეს არის გავრცელდა ინფორმაცია, რომ გუშინ გალში კიდევ
ერთი ადამიანი გაიტაცეს გამოსასყიდის მიღების მოთხოვნით. ფა-
ქტია, რომ აფხაზეთში უკიდურესად საშიში სახე მიიღო ადამიანთა
გატაცებამ. უკონტროლო ტერიტორიები (პანკისის ხეობა, აფხაზე-
თი, ყოფილი სამხრეთ ოსეთი) გადაიქცა გატაცებულ ადამიანთა გა-
დამალვის ადგილად. გახმირდა უცხოელი მოქალაქეების, ძირითა-
დად ბიზნესმენების გატაცების შემთხვევებიც. 1999 წელს სოხუმის
მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გატაცებულია 71 ადამიანი,
2000 წელს – 99, 2001 წელს – 98. ამავე პერიოდში მოკლულია 203
ადამიანი. ერთი სიტყვით, აფხაზეთში არსებობს ყველა პირობა
ტერორისტი მკვლელების შესარჩევად და მოსამზადებლად.

– აფხაზეთის საკითხი ჩიხშია, სამშვიდობო მოლაპარა-
კებამ დღემდე შედეგი ვერ გამოიღო... .

– აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით,
ჯერ კიდევ არ ამოუწურავთ თავიანთი შესაძლებლობები გაე-
როს, ეუთოს, კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩაბმული შხარების
საკოორდინაციო საბჭოს. მიმდინარეობს მუშაობა აფხაზეთის
სტატუსის, თბილისა და სოხუმს შორის უფლებამოსილების გა-
მიჯვნის დოკუმენტზე.

დრო თავისას აკეთებს. აფხაზებსა და დევნილებს შორის ურ-
თიერთობები თანდათან იცვლება, აგრესია და რადიკალიზმი
თანდათანობით უთმობს ადგილს გონიერებას და მიმტევებლო-
ბას. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ ამჟამად თბილისი-
დან სოხუმს და აფხაზეთის რაიონებს უამრავი ადამიანი უკავ-
შირდება ტელეფონით და პირიქით. ალდგა სავაჭრო ურთიერ-
თობებიც, ადამიანები საყოფაცხოვრებო საქონლის შესაძენად
თუ სამკურნალოდ აფხაზეთიდან (მათ შორის გაგრა, სოხუმი)
თბილისშიც ჩამოდიან. ხალხის ერთმანეთისკენ სწრაფვამ გაუს-

წრო პოლიტიკოსების ხშირად უსაგნო და უნაყოფო მსჯელობებს და განხილვებს. შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში აფხაზეთის მკვიდრი ადამიანების ჩაბმაა საჭირო და ხალხი ამისთვის მზად არის. ინალ კაზანი, აფხაზების წარმომადგენელი იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, 2001 წლის 23 აგვისტოს „სკობოდნაია გრუზიაში“ წერდა: „ისინი, რომლებიც არიან ხელისუფლებაში აფხაზეთში და იზიარებენ დღევანდელი ადმინისტრაციის აზრს, მისდევენ ფანტასტიკურ გეგმას, რომელიც არასდროს არ იქნება მიღებული, როგორც პოლიტიკური მოწესრიგების ნაწილი. აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო შეუძლებელია.... რისი უფრო უნდა გეშინოდეთ აფხაზებო, საქართველოსთან მშვიდობის თუ გაურკვეველი მომავლისა!“

– გია ნოდიამ ჩემთან ინტერვიუში ამერიკის 11 სექტემბრის მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე, განაცხადა, რომ შესაძლოა, აფხაზეთის კონფლიქტი უახლოეს 10 წელშიც არ მოგვარდეს. მას შემდეგ მსოფლიოში ბევრი რამ ელვის სისწრაფით შეიცვალა...

– მე სასწაულების არ მჯერა, მაგრამ მჯერა სამართლიანობის გარდუვალობისა. საერთაშორისო თანამეგობრობას აგრესიულ სეპარატიზმზე ზემოქმედების ბევრი მექანიზმი აქვს და თუ იგი ამ მექანიზმებს გამოიყენებს, შედეგი უთუოდ დადგება. მათ შორის ეფექტური მექანიზმია იძულება მშვიდობისთვის. აფხაზეთში კარგად იციან, რომ საქართველოსაგან ძალით გამოყოფილი აფხაზეთი არასდროს არ გახდება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა და საქართველოს გარეშე აფხაზეთს მომავალი არა აქვს.

ამით არის განპირობებული ჩემი ოპტიმიზმიც, რასაც ობიექტური წანამდლავრი აქვს, უპირველესად ქართველი ერის ტრადიციულად უტეხი ხასიათი და ნება ქვეყნის გასამთლიანებლად, გონიერებამახვილობა და მოხერხებულობა, ამოუწურავი სულიერი პოტენციალი.

„დილის გაზეთი.“
11 ოქტომბერი, 2001.

ადამიანის უფლებათა დაცვა აუცხაზეთში

რამდენიმე წელია გაეროს რეზოლუციებში იწერება მოთხოვნა გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ფილიალის ოფისის გახსნის შესახებ. ამ საკითხს ქართული მხარე თითქმის ყველა მოლაპარაკებაზე აყენებს. გალის რაიონში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შემფასებელმა გაეროს მისიამაც აუცილებლად მიიჩნია ოფისის გახსნა, მაგრამ აფხაზური მხარის დესტრუქციული პოზიციის გამო, ვითარება არ შეცვლილა.

გაეროს და ეუთოს ადამიანის უფლებათა დამცველებს მიაჩნიათ, რომ სოხუმის წარმომადგენლები პერიოდულად ჩადიან გალის რაიონში, აღნუსხავენ ფაქტებს, მაგრამ უძლურები არიან რამე შეცვალონ.

ცხადია, ჩნდება კითხვა, რატომ არიან წინააღმდეგნი სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, გალის რაიონში ასეთი ოფისი არსებობდეს?

პასუხი მარტივია – მათზე უკეთესად ვინ იცის, თუ როგორ არის დაუცველი ადამიანი აფხაზეთში. ცნობილი ფაქტი, რომ სოხუმის ოფისის წარმომადგენლები 17 საათიდან სოხუმის ქუჩებში ვერ ბედავენ გასვლას (შარშან მოკლეს ამ ოფისის თანამშრომელი ზურაბ აჩბა და სხვა) მეტყველებს, რომ აფხაზეთის ტოტალიტარული და კრიმინალური მმართველებისა და მათი მფარველებისთვის საერთაშორისო სამართლის ნორმები, დემოკრატიული ფასეულობები, ადამიანი როგორც თავისთავად ღირებული, უცხო და მიუღებელია.

1999 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დაისის“ მიერ ფონდის „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, რომელშიც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ტერმინებისა და ცნებების განმარტებებია მოცემული. ლექსიკონში 400-მდე

ტერმინია შეტანილი. ექსპერტების საქმეა, ალბათ, გულდასმით გააანალიზონ აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის მდგომარეობა ამ ლექსიკონის მიხედვით, მაგრამ ზერელე შედარებებიც თვალნათლივ ადასტურებს უბედურების ტრაგიულ განზომილებებს.

უფრო ზუსტად, არ არის ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლება (მხედველობაშია ამ ლექსიკონში შეტანილი), რომლის დარღვევაც არ ხდებოდეს აფხაზეთში და, რა თქმა უნდა, გალის რაიონში, რომელიც დაპირისპირებათა ეპიცენტრია და ეთნიკურად ქართული რეგიონია. ჩვეულებრივ ენაზე ეს არის მოსახლეობის მიმართ თოლიტიკური, ეკონომიკური სოციალური თუ სხვა მოტივით უყანონო ზემოქმედება (რეპრესია), რომელსაც ახლავს გენოციდის თუ ეთნიკური წმენდის ყველა ნიშანი, შერწყმული ჩვეულებრივ კრიმინალურ დანაშაულობებთან, სიცოცხლის, პატიოსნებისა და ღირსების ხელყოფასთან.

ბოლო დროს (მიუხედავად უსაფრთხოების ზონაში სამშვიდობო ძალებისა და გაეროს მეთვალყურეთა ყოფნისა) მასობრივი ხასიათი აქვს აფხაზი „ბოევიკების“ (მათ შორის მილიციელების), ასევე დაუდგენელი პირების მიერ (ნიღბოსნები და უნიღბოები) სოფლებში შეჭრას, ჩხრეკას თვითნებობას, ძარცვას, რომელსაც არც ისე იშვიათად ახლავს ფიზიკური შეურაცხყოფა. მარტო მიმდინარე წელს, დაზუსტებული მონაცემებით გალის რაიონის ძველ საზღვრებში დაფიქსირებულია 991 მკვლეობა, საცხოვრებელი სახლების დაწვა, ყაჩაღობა და ნამება. ბოლო თვეებში 31 სახლი და ნაგებობა გაძარცვეს და დაანგრიეს.

შეწყვეტილია რაიონული გაზეთის გამოცემა, აკრძალულია ქართულენოვანი პრესის შეტანა, ადგილობრივი საკაბელო ტელევიზია მხოლოდ რუსულ-აფხაზურია და მთლიანად ანტიქართული. გალის რაიონში არ ფუნქციონირებს არც ერთი ეკლესია, ადგილობრივი მოსახლეობის მრავალი თხოვნა-მუდარის მიუხედავად ვერ მოხერხდა ეკლესის გახსნა ჭუბურხინჯში.

1993-2001 წლებში აფხაზმა „ბოევკებმა“ გალის რაიონში დახოცეს 1553 მშვიდობიანი მოსახლე, ანამეს 2730-ზე მეტი

ადამიანი, უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება 133, მიმდინარე წელს გაუჩინარდა 11 ადამიანი. აფხაზური მხარე გაზაფხულსა და ზაფხულის პერიოდში ადგილობრივ მოსახლეობას მონებივით ამუშავებს ადგილზე და აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში. სისტემატურად ინაღმება რაიონის ტერიტორიები, შარაგზები, მდინარეებზე გადასასვლელები. ნაღმზეა აფეთქებული 137 ადამიანი, მათ შორის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები, აფხაზები, ასევე ბავშვები, ქალები და მოხუცები.

26 ოქტომბერს აფხაზების კრიმინალურმა ჯგუფმა სოფელ ოტობაიაში აიყვანა 5 ადამიანი და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანა. მომდევნო დღეს თამაზ ქულავა (ერთ-ერთი დაკავებული) მოკლული და დასახიჩრებული იპოვეს სოფელ აჩიგვარაში.

11 ოქტომბერს აფხაზმა „ბოვიკებმა“ ბიძაშვილი გადელიები დააკავეს და მოკვლის მუქარით აიძულეს ენგურის არხის ერთ-ერთ კაშხალზე ასულიყვნენ და წყალში გადამხტარიყვნენ. შემდგომ (10 დღეში) გაირკვა, რომ ერთი მათგანი დაიხრიო, მეთევზეებმა ზღვიდან გამორიყული გვამი იპოვნეს.

რა სახელიც არ უნდა დაარქვა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობას, ეს არის იმ ადამიანთა ბუნებრივი რეაქცია, რომელთაც უწვავენ სახლ-კარს, უხოცავენ ნათესავებსა და ახლობლებს, ართმევენ სიცოცხლეს. გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ ეთნიკური წმენდის გაგრძელება, უმძიმესი სოციალური ფონი, მასობრივად დამწვარი სახლები, ცხოვრების ელემენტარული პირობების არარსებობა აიძულებს მოსახლეობას გამოხატოს უკმაყოფილება სოხუმის რეჟიმის მიმართ. ვიდრე ასე გაგრძელდება, ვიდრე დევნილთა დაბრუნების საკითხი არ გადაწყდება, ყოველგვარი მოლაპარაკება და ხელშეკრულება ვულკანზე დგას. უფრო მეტიც, ასეთ ვითარებაში აფხაზეთში ვერასდროს მიიღწევა თანხმობა და პროგრესი კონფლიქტის მონესრიგებაში. სამწუხაროდ, ვერც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, გაერომ, ეუთომ, მსოფლიო თანამეგობრობამ ვერ შეძლეს აფხაზური მხარის თვითნებობის აღკვეთა.

გასაოცარია თბილისში მოქმედი მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია; ისინი ტომებს ქმნიან თავიანთ აფხაზ კოლეგებთან მოლაპარაკებების შედეგებზე, მაგრამ საჯაროდ ერთხელაც არ წამოსწოებს აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის (დაუცველობის) პრობლემები. იქნება, ეს საკითხი არც ისე მნიშვნელოვანია და სხვა უფრო საინტერესო პრობლემებით დაკავებულებს არ ჩაუხდავთ სიკვდილისა და ადამიანებზე ნადირობის სტატისტიკაში, მით უფრო ზემოაღნიშნულ ლექსიკონში.

აფხაზეთის სეპარატისტულმა რეჟიმმა უნდა გაიგოს, რომ სანამ არ შეწყდება აფხაზეთში მოსახლეობის დევნა და შევინროება, არ იქნება თანხმობა, არ იქნება მშვიდობა. ეტყობა, რომ ენგურს გამოღმაც ბევრმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ აფხაზურმა მხარემ 1995 წელს მიიღო დადგენილება „ქართველთა მიერ აფხაზეთში განხორციელებული გენოციდის შესახებ,“ რომელშიც გვარ-სახელებითა აღნიშნული „გენოციდის ქართველი ავტორები“ და მათ აფხაზეთში შესვლა და მოლაპარაკებებში მონაწილეობა აკრძალული აქვთ. აფხაზურმა საინფორმაციო საშუალებებმა ეს დოკუმენტი დიდი ხანია გაავრცელეს ინტერნეტით და მას წარმატებულ იდეოლოგიურ ფუნქციას აკისრებენ, რაც, ბუნებრივია, ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს.

გულდასაწყვეტია, რომ აფხაზეთში გენოციდი და ეთნიკური წმენდა, ქართველთა ულეტა კვლავაც გრძელდება, მაგრამ ამ დღეებში რუსთაველის პროსპექტზე გამართულ მრავალთასიან მიტინგზე აფხაზეთის პრობლემა და სეცესირებული ტერიტორიები არავის გახსენებია.

„დილის გაზეთი,
19 ნოემბერი, 2001წ.

ქლიკი აღმასრულებელი ხელისუფლება-პრიზისიდან გამოსვლის მთავარი ფაქტორი

არასოდეს ინანო წარსულზე, იარე წინ, იფიქრე მო-
გავალზე. ბევრი ადამიანი უზომო დროს უთმობს წარ-
სულზე ფიქრს, იმის ნაცვლად, რომ ენერგია წარმარ-
თოს ახალი საქმეების დასაწყებად. წარუმატებლობის-
გან არ უნდა შექმნა ტრაგედია, ისინი უნდა განიხილო,
როგორც ეტაპი რაიმე სიახლის ძიებასა და სწავლაში.

დეილი კარხიგი

საქართველოს მოსახლეობა დიდხანს ვერ შეეგუება მკაფიოდ
გამოხატულ ქონებრივ პოლარიზაციას, სახელმწიფო (სახალ-
ხო) ქონების ველურ გადანაწილებაში არსებულ თვითნებობას
და მიკერძოებას, ეროვნული ქონების უთავბოლო გასხვისებას,
მოსახლობის თვალის ასახვევად გათამაშებულ ე.ნ. სახალხო
ვაუჩერიზაციას, გასამდიდრებელი ელიტის კლანური ნიშნით
შერჩევას. მოსახლეობის მასობრივმა გაღატაკებამ ლოგიკურად
წარმოშვა უკმაყოფილების გრძნობა და საპროტესტო მუხტი.

შეიძლებოდა კი სხვა გზით წასვლა, სხვა კურსის არჩევა?

ალბათ, შეიძლებოდა. ამას ადასტურებს რიგი ქვეყნების (ჩინე-
თი, ვიეტნამი, ინდოეთი, ბრაზილია, არგენტინა, ტაივანი, ბალტი-
ისპირეთის ქვეყნები, ცალკეული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოე-
ბი, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკია და სხვა) გამოცდილება.
სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება თვალდახუჭულად
მიენდო დასავლეთიდან ნაკარნახევ პრივატიზაციის დირექტი-
ვას, პრინციპით, –გაასხვისეთ ყველაფერი, როგორც შეძლებთ,
თანაც, ისე და იმგვარად, როგორც მოახერხებთ! ამასთან, სა-
ქართველოშიც უპირატესობა მიენიჭა პოლონური პრივატიზა-
ციის მამის (ბალცეროვიჩი) ე.ნ შოკურ თერაპიას (იქ ყველა დამშ-
ეულს შეეძლო მიეღო ერთი მოხარშული კვერცხის თუნდაც ნახე-
ვარი!), რაც ჩვენთან ძალზე გაჭიანურდა და სხვა თვისებრიობაში

გადავიდა. და მაინც, ამ გადასახედიდან კარგად ჩანს (რასაც სხვა ქვეყნების გამოცდილებაც ადასტურებს), რომ შეცდომა იყო გარდამავალ პერიოდში ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთლიანი დემონტაჟი, მაკროეკონომიკის, სოციალური ინფრასტრუქტურის, ადგილობრივ მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებათა მექანიკური გაუქმება.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ქმედითი მთავრობისა და შესაბამისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის სტრუქტურების არსებობის პირობებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების პრივატიზაცია შეიძლებოდა განხორციელებულიყო მიზანდასახულად და სამართლიანად, თავიდან აგვეცილებინა დანაშაულებრივი „პრიხვატიზაცია.“

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სავსებით ბუნებრივია ექსპერტების კამათი თუ რა ბედი ენია ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწას და ქონებას, ვის ხელში და როგორ გადავიდა საქართველოს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი აგრარული აქტივები, რომლის რეალური ფასი (დოლარზე გადაყვანით) ასეულობით მილიარდია, მათ შორისა საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და სავარგულები, მრავალწლიანი ნარგავები.

პირდაპირ თუ ვიტყვით, მთავრობამ, როგორც პრეზიდენტის სათათბირო ორგანომ, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების სიღრმისული განვითარება, პერსპექტივის პროგნოზირება და, რაც მთავარია, ახალი ეკონომიკური რეალობის ადეკვატური კონკრეტული რეფორმების ორგანიზაცია ვერ შეძლო. ბლეფია, რომ საბაზრო ეკონომიკა და კერძო ინიციატივა, თავისუფალი კონკურენცია განვითარებული საბაზრო ინფრასტუქტურის და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის გარეშე ავტომატურად უზრუნველყოფენ ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყნის თვითგანვითარებას და საყოველთაო კეთილდღეობას. აქსიომატური ჭეშმარიტებაა, რომ ეკონომიკის პირდაპირ თუ ირიბ მართვაში სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ქვეყანა მყარად და სტაბილურად ვერ განვითარდება.

ცნობილია, რომ მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოში, რომლებიც მეტნაკლებად წარმატებით ვითარდებიან, აღმასრულებელ ხელისუფლებას გადამწყვეტი ადგილი უკავია და მისი როლი განუხრელად იზრდება. აღმასრულებელი ხელისუფლების სიძლიერე ნიშნავს მის უნარს, ფლობდეს ქვეყნის წინაშე მდგარ უპირველეს ამოცანებს, განსაზღვროს პრიორიტეტები და უზრუნველყოს შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელება, საკუთარი გადაწყვეტილებების უთუოდ შესრულება, კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოიაზრება კონსტიტუციით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები (მინისტრთა კაბინეტი, მინისტრთა საბჭო თუ მთავრობა, სამინისტროები, უწყებები და დაწესებულებები), რომლებიც ახორციელებენ კანონმდებლობით განსაზღვრულ სახელმწიფო პოლიტიკას დარგების მიხედვით და აღჭურვილი არიან სათანადო მექანიზმებით, ასევე აღმასრულებელ სისტემაში შემავალი სხვა უწყებები და დაწესებულებები.

მოსახლეობა მოელის, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ შემუშავებული პოლიტიკური კურსის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკური დაწინაურება, მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება. უფრო მეტიც, საქართველოს მოხერხებული გეოპლოტიკური მდგომარეობის და კავკასიაში მისი ღიდერის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებელია საქართველოს დაწინაურება პერსპექტიულ რეგიონალურ სახელმწიფოდ.

საქმეში ჩახედულ ადამიანებს მიაჩინიათ, რომ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციით განსაზღვრული სახელმწიფო მინისტრის, როგორც მთავრობის საქმიანობის კოორდინატორის, უფლებამოსილებანი საკმარისი არ აღმოჩენდა ყოფილი მინისტრთა საბჭოს ეფექტური ჩანაცვლების უზრუნველსაყოფად; ძლიერი პარლამენტისა და სათანადო უფლებამოსილი მინი-

სტრთა კაბინეტის (საბჭოს) არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყო ქვეყანას თავიდან აეცილებინა ეკონომიკური კრიზისები და სხვა მრავალი გართულებები. თავიდანვე ცხადი იყო, რომ არაკოორდინირებული სამინისტროები და უწყებები ვერ აიცილებდნენ უწყებრივ დაქსაქსულობას, სუბიექტივიზმსა და ვოლუნტარიზმს, ასევე უწყებრივ დაპირისპირებას და თვითნებობას.

უეჭველია, რომ ნებისმიერი სისტემა ადამიანის გარეშე მკვდარია. ცალკეული ქვეყნების მთავრობაში უმაღლესი თანამდებობის პირებსაც კი არჩევენ მხოლოდ და მხოლოდ კონკურსის წესით, გამოცდების ეტაპების გავლით, ამასთან მხოლოდ ისეთებს, რომელთაც აქვთ საზოგადოებრივი ნდობის მაღალი რეიტინგი. დიდი დემოკრატიის ქვეყნებში ჩამოყალიბდა აღმასრულებელი თანამდებობის პირების შერჩევის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც გამორიცხავს ე.წ. არაკომისეტენტური, მაგრამ ეფექტური მუშაკების დაწინაურებას. დასავლეთის ქვეყნებშიც სავსებით ბუნებრივია პარტიული აქტივისტების მოსვლა ხელისუფლებაში (ძირითადად პოლიტიკურ თანამდებობებზე), მაგრამ ძალზე იშვიათად აღმასრულებელ სტრუქტურებში.

მინისტრთა კაბინეტი შესაბამის სამინისტროებთან ერთად უნდა იყოს პროგნოზირებისა და განვითარების გენერატორი. ცხადია, რომ უნდა ვისწავლოთ და ქვეყანაში დავამკვიდროთ დასავლური საბაზრო ეკონომიკის საუკეთესო გამოცდილება, მაგრამ არა საკუთარი ისტორიული გამოცდილების ხელალებით უარყოფის, არსებულის განადგურების ხარჯზე. უეჭველია, რომ სიღარიბის დაძლევის სხვა გზა არ გვაქვს, გარდა მცირე და საშუალო ბიზნესის და ფერმერული (გლეხური) მეურნეობის განვითარებისა, რაზედაც თავის დროზე ოცნებობდა და საფუძველსაც უყრიდა ილია ჭავჭავაძე.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ისტორიულად ოჯახურ მეურნეობას ეფუძნებოდა. ეკონომიკის ამ ფორმის ეფექტიანი ამოქმედება არ არის დაკავშირებული განსაკუთრებით მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებთან და სწრაფად იძლევა უკუგებას.

ხელი უნდა შეეწყოს გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, რათა ეროვნული საქონელი და პროდუქტი ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის ქვეყნის შიდა ბაზარზე და შეიქმნას საექსპორტო რესურსი. არსებობს საინტერესო სტატისტიკა. საქართველოს ქალაქებში მცხოვრებთა 55-60 პროცენტს თურმე აქვს მიწის ნაკვეთი და კარ-მიდამო სოფლებში, მათ შორის თბილისელებსაც, რაც სურსათით თვითუზრუნველყოფის მნიშვნელოვანი რესურსია. ჩვენს ქვეყანას ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტუქტურის განვითარების თვალსაზრისითაც შეუძლია გახდეს ერთერთი საუკეთესო მსოფლიოში, რაც უთოდ გულისხმობს ეკონომიკის ამ სფეროში მსხვილი თუ მცირე კერძო სექტორისა და საოჯახო მეურნეობის განვითარებას მთაში, ბარში თუ ზღვისპირეთში.

გადახედვას მოითხოვს კერძო და სახელმწიფო საკუთრების თანაფარდობა. მიჩნეულია, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ომი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ, ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის სერიოზული შეცდომაა. უეჭველია, რომ ქვეყანა დამოუკიდებელი ვერ გახდება მანამ, სანამ, სახელმწიფო ბიუჯეტი სამომხმარებლო ბიუჯეტიდან არ გადაიქცევა განვითარების ბიუჯეტად.

მინისტრთა კაბინეტს, როგორც ეკონომიკურ ტვინს, ევალება საგადასახადო სისტემის სრულყოფა. გადასახადების ამოღებაში ადმინისტრირებისა და პარტნიორობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა. ცნობილია, რომ განვითარებული საბაზრო ურთიერთობის ქვეყნებში მოგების ნორმა (მარჟა) ოპტიმალურია და, როგორც წესი, მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსის ადეკვატურია. ამაზეა დამოკიდებული დაქირავებულებთან ურთიერთობა, მათ შორის სამუშაო ძალის განწყობილება და ურთიერთობა არა მხოლოდ მეწარმესთან, არამედ, სახელმწიფოსთანაც. დაქირავებულთა ინტერესების დაცვა ამჟამად, თვითდინებაზეა მიშვებული. შრომის კანონმდებლობა კი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების მოტივით მთლიანად დამქირავებელთა მხარეზეა, რაც წინააღმდეგობაშია

საერთაშორისოდ აღიარებულ ნორმებთან და პრინციპებთან. ეს საკითხი კი, შეიძლება ითქვას, ქვეყანაში ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დაცვის მდგომარეობის უმთავრესი პარომეტრია.

განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილება გვასწავლის, რომ აუცილებელია აღმასრულებელ უწყებათა დეპოლიტიზება. მინისტრის, მისი მოადგილეების, აპარატის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა ეკონომიკის, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების, ბიზნესის ხელშეწყობის პირობების შექმნა, დარგობრივი და რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტაზე მუშაობა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. უნდა დამთავრდეს ის პრაქტიკა, როცა სამინისტროები და უწყებები ე.წ. ერთი გუნდის – საძმაკაცოსა და თანაპარტიელთა თავშესაფარია. ალბათ, არც ისაა სწორი, როცა მინისტრი თავის შრომის წიგნაკის გახსნას მინისტრის სავარძლიდან იწყებს. დასავლეთის გამოცდილება გვასწავლის, პიარკომპანიები აღმასრულებელთა საქმე არ არის.

ვფიქრობ, არაა სწორი, როცა მინისტრის გათავისუფლება (გადაყენება), ავტომატურად გულისხმობს მისი მოადგილეების მიერ თანამდებობის დატოვებას. კიდევ უარესია, როცა ახალი ხელმძღვანელი აიძულებს მთელ აპარატს ე.წ. საკუთარი განცხადებით დატოვონ სამუშაო. ეს შეცდომა კი არა, დანაშაულია. ცხადია, რომ ფაქტობრივად ადგილი აქვს მთელი სამინისტროს (უწყების) დემონტაჟს, პროფესიონალების განდევნას, სამინისტროს ფაქტობრივი კვდომას, მისი ფუნქციონალური და პროფესიული მემკვიდრეობის გაუქმებას, სამსახურეობრივი დოკუმენტაციის განადგურებას.

მოქმედი კანონმდებლობით ახლად დანიშნულ მინისტრს სამსახურში მოჰყავს ახალი მოადგილეები, ანუ გუნდი (ძირითადად ძმაბიჭობის, ერთგულებისა და სხვა ნიშნებით), რომლებიც მხოლოდ, რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება გახდნენ პროფესიონალები, ესეც მაშინ, თუ მინისტრს 3-5 წელიწადი დასცალდა მინისტრობა. იგივე შეეხება აპარატის მუშაკებსაც. საქმე იქამდე

მისულა, რომ ზოგ-ზოგებს თანამდებობაზე დანიშვნის შემდგომ უხდებათ რუკითა და კომპასით ეძებონ საქართველოს რაიონები, ქალაქები და სოფლები, რათა მცირედი წარმოდგენა მაინც ჰქონდეთ იმ დარგზე, რომელიც სამართავად ჩააბარეს. ამ მოვლენას ადრე ავადსახსენებელი ნათლიმამობა ერქვა, ახლა კი თანამდებობებსა და სამსახურში გუნდური პრინციპით შერჩევა. მოარული ანეკდოტი გვასწავლის, რომ ერთმა ახალგაზრდამ, შემდგომში გენიოსად წოდებულმა, (ჩვენებურად, – ჩვეულებრივმა გიუმა) სქელტანიანი წიგნი დაწერა, რომლის პირველ გვერდზე ეწერა: წავედი სოფელში მამასთან ცხენით, ბოლო გვერდზე – ჩავედი მამასთან ცხენით, დანარჩენი ფურცლებზე კი მხოლოდ აჩუ-აჩუ იყო. ხდება ასეც, როცა ვინმეს ან რამეს აიკვიატებენ. ეს ხუმრობით, მაგრამ უფრო სერიოზულად, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მალე ჩვენთანაც დადგება დრო, როცა მესაფლავედაც დასავლეთში ნამყოფ და იქვე ლიცენზირებულ თოთო ახალგაზრდებს დანიშნავენ.

მინისტრთა კაბინეტის კიდევ ერთი ფუნქცია უნდა იყოს ქვეყანაში არსებული ტრადიციული აგრარული დარგების აღდგენა და გასაღების ბაზრების გამონახვა. ასეთი ბაზრები არსებობს და ეს რუსეთის, უკრაინის ბაზრებია, რომელთა სხვა ქვეყნის ბაზრებით ჩანაცვლება პრაქტიკულად შეუძლებელია. ჩვენს ეკოლოგიურად სუფთა ჩაის, ციტრუსებს, ღვინოს, ხილს, ეგზოტიკურ კულტურებს, სათანადო გადამუშავებისა და სასაქონლო ფორმების მიცემის შემდეგ, მომხმარებელი ჰყავს რუსეთში, უკრაინაში, შუა აზიაში და სხვაგან. ამჟამად ამ კულტურების სხვა, უფრო ეფექტიანი კულტურებით შეცვალა დიდი კაპიტალდაბანდების გარეშე შეუძლებელია. ასე, რომ აუცილებელია მოინახოს სოფლის მეურნეობის კერძო, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სექტორის ახალი ორგანიზაციული ფორმები, რომლის ბირთვი შეიძლება იყოს საოჯახო, ფერმერული და კოოპერატიული მეურნეობები.

სამწუხაროდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მხარდაჭერა წლიდან-წლამდე კლებულობს.

მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობას გამოეყო სიმბოლური თანხა. ასე თუ გაგრძელდა, სოფელი გაჩანაგდება, საქართველოს დაკარგავს თავის ფუნქციას, როგორც აგრარულ-სამრეწველო ქვეყანა; დაგვიდგება დრო, როცა საქართველოში შემოსატანი გვექნება ნიორი, ხახვი, პამიდორი, კარტოფილიც კი. მე არ ვლა-პარაკობ სხვა აუცილებელ პროდუქტებზე და პირადი მოხმარე-ბის საგნებზე, რომელთა წარმოება და მწარმოებელთა დასაქმება სხვა ქვეყნებს გადავულოცეთ.

ესპერტებს მიაჩნიათ, რომ საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა და აგრარული სექტორი არის ის მიმართულება, სა-დაც უნდა შეიქმნას თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი გადამშავებელი საწარმოები და ინფრასტრუქტურა, დაინერ-გოს ნიადაგის დამუშავების, უხვი სასაქონლო პროდუქციის შე-ქმნისა და შენახვის, მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდ-ხერხე-ბი. ამ მხრივ კარგი მაგალითია ჩვენი მეზობელი და კონკურენტი თურქეთი და ისრაელი.

ასეა თუ ისე, საქართველო უარს ვერ იტყვის თავის უნი-კალურ, ისტორიულად ნაცად აგრარულ ეკონომიკაზე. ჩვენ ძა-ლიან დიდი რესურსი გვაქვს სოფლის მეურნეობაში და შეიძლება შევქმნათ განვითარებული აგროსამრეწველო კომპლექსი. თუ ჩვენ ვერ შევძელით თვითონვე გამოვიკვებოთ ჩვენი თავი, რო-გორც ამას ჩვენი წინაპრები ახერხებდნენ ისტორიულად და კონ-კურნტუნარიანი საქონელი არ გავიტანეთ საზღვარგარეთ, ეჭვის ქვეშ დადგება საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის დამოუკიდე-ბლობა. ჩვენს აგრარულ სექტორს აქვს ისეთი რესურსები, რაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას არა აქვს, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია მსოფლიო ბაზარზე მასშტაბური ადგილი დავიკავოთ.

მნიშვნელოვანი საკითხია მთავრობის (მინისტრთა კაბინე-ტის) ადგილი სახელისუფლებო სტრუქტურაში, მისი უფლებები და მოვალეობები, რაც ქვეყნის კონსტიტუციითა და კანონით უნდა განისაზღვროს. მთავრობას უნდა მიენიჭოს საკანონ-მდებლო ფუნქცია, და არა მარტო ეკონომიკურ და სამეურნეო საკითხებში. უკვე სერიოზული პრობლემებია ჯანდაცვის და

სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში. აქედანვეა დასაწყი-
ები თითოეული დასაქმებული ადამიანისთვის სადაზღვევო ბა-
რათების გახსნა და მათი აღრიცხვის მოწესრიგება. სწორედ ამ
სადაზღვევო ბარათებზე, როგორც ეს ევროპის მრავალ ქვეყა-
ნაშია, უნდა აისახოს როგორც დასაქმებული ადამიანის, ასევე
დამსაქმებლის შენატანები სადაზღვევო ფონდში, რათა შემდ-
გომში მათი პენსიის დანიშვნის საფუძველი გახდეს გადახდი-
ლი თანხები. უნდა შემცირდეს საშემოსავლო გადასახადი და
დასაქმებულს უნდა მიეცეს საშუალება თავად შექმნას თავისი
სოციალური, ჯანმრთელობის თუ საპენსიო დაცვის გარანტია.
სიტყვამ მოიტანა, ამჟამად არანაირი საკანონმდებლო ბაზა და
პერსპექტივა არ არსებობს, რომ პენსიები მივიღოთ შრომითი
სტაჟისა და შესაბამისად გადახდილი შენატანების მიხედვით. თუ
არ დავიწყეთ დღესვე, ხვალ გვიან იქნება.

აუჩქარებელი, მაგრამ მეტად სილრმისეული რეფორმები
უნდა განხორციელდეს განათლების, კულტურის და ჯანდაცვის
სფეროებში, სადაც უკვე სახეზეა კრიზისის პირველი ნიშნები.

მინისტრთა კაბინეტი (იქნებ მინისტრთა საბჭო, საქართ-
ველოს მთავრობა) უნდა გახდეს განახლებული სახელმწიფოს,
ხალხის და საზოგადოების ინტერესების ერთიანობის გამომხატ-
ველი და დასაყრდენი.

„დილის გაზეთი,
12 დეკემბერი, 2001წ.

მიზანი – აფხაზეთის აღიარება

**მტერს სიმხევეე და
შემართება
თუ არ აჩვენე –
უაფხაზეთო საქართველოს
სალხნო, გვაჩვევენ!**

**არ შველის, ოდენ მოლალატე
თუ შეაჩვენე –
უაფხაზეთო საქართველოს
მაინც გვაჩვევენ!**

**დამლუპველია დღეს,
ქართველო,
მშვიდად გაჩერდე –
უაფხაზეთო საქართველოს
როცა გაჩვევენ!**

**რიცოს პარაცხელია
(ნალენჯიხა)**

წერილის სათაური აღებულია „რესპუბლიკა აბხაზიას“ 2001 წლის (№102) 4-5 სექტემბრის ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული სტატიდან. ამ სათაურმა შემთხვევით არ მიიპყრო ჩვენი ყურადღება, თუმცა „რესპუბლიკა აბხაზიას“ თითქმის არც ერთი ნომერი არ გამოსულა, რომელშიც ხაზგასმული არ იყოს აფხაზეთის სწრაფვა გამოეყოს საქართველოს, გახდეს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება ოფიციალური თუ არაოფიციალური, მათ შორის არა-სამთავრობო ორგანიზაციების დონეზე, მხოლოდ და მხოლოდ, ერთ მიზანს – აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ხელშეწყობას ემსახურება.

სოხუმის რაჭიმს არც არასდროს დაუმალავს, რომ თბილის-სა და სოხუმს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების ერთადერთი

მიზანია, რომ დამოუკიდებელმა (სეცესირებულმა) აფხაზეთმა დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა თავის ერთერთ მეზობელთან-საქართველოსთან, მიიღოს მისგან ცეცხლის განუახლებლობის და სამარადუამო მშვიდობის გარანტიები, შეწყდეს ე.ნ. ქართველი ტერორისტების და დივერსანტების დაბრუნება მშობლიურ მიწაზე, აფხაზეთის სახელმწიფოს არ შეეშალოს ხელი განახორციელოს, ვთქვათ, გაღის რაიონის ანექსია, აუკრძალოს ადამიანებს მშობლიურ ენაზე სწავლა და ლაპარაკი.

კარგადა ცნობილი, რომ, ქართველთა და საქართველოს სახელმწიფოს მიმართ აუტანელი ზიზღი და ცილისწამება გადმოცემულია ამ გაზეთის მრავალ პუბლიკაციაში.

სანამ ჩვენთვის საინტერესო საკითხებს შევეხებოდეთ, გვინდა 4-5 სექტემბრის ზემოაღნიშნული შინაარსის წერილი გავაცნოთ მკითხველს: „31 აგვისტოს, აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „აღორძინების“ ინიციატივით, აფხაზეთის საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში გაიმართა „მრგვალი მაგიდა.“ შეხვედრაში მონანილეობდნენ აფხაზეთის პრეზიდენტის თანაშემწე ა. ტანია საგარეო საქმეთა მინისტრი ს. შამბა, იუსტიციის მინისტრი გ. ტაბალუა, პარტიებისა და პოლიტიკური მოძრაობების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. „მრგვალ მაგიდაზე“ ხაზი გაესვა, რომ – „ჩვენი საერთო ამოცანაა დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი საგარეო პოლიტიკა, უფრო ზუსტად, აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებას, როგორი რთული უნდა იყოს მისი მიღწევა.“ სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ „ხელისუფლებას, ოპოზიციას და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის სტრატეგიულ საკითხებზე აზრთა სერიოზული განსხვავება მთლიანობაში და კერძოდ, აფხაზეთის სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში არ არსებობს.“

აქ კომენტარებისაგან თავს შევიკავებთ, ეს მკითხველისთვის მიგვინდია, მხოლოდ დავძენთ, რომ ჩვენი მხრიდან დიალოგებში სისტემატურად მონაწილე ჩვენებურ, მეტისმეტად „გადე-

მოკრატებულ და გაკოსმპოლიტებულ მშვიდობისმყოფელებს, “რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით ხვდებიან თავიან აფხაზ კოლეგებს, ასეთი რამ და გაცილებით უარესი, არაერთხელ მოუსმენიათ, დოკუმენტებში დაუფიქსირებიათ, მაგრამ (არის ცალკეული პერსონალური გამონაკლისი), თავიანთი პრინციპული პოზიცია არ გამოუხატავთ.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს “მშვიდობის მაძიებელთა” კასტად ქცეულ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც შეგუებულია აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფას, გატაცებულია ქართული მხარის „დანაშაულობათა“ მხილებით, ამასთან, არც კი ახსენდება (ეუ-თოს სამი უახლოესი სამიტის მიერ აფხაზეთში აღიარებული გენოციდი და ეთნიკური წმენდა), რომ არსებობს ასეულ ათასობით დევნილი, მათი ტკივილი, გაჭირვება. და რაც ყველაზე უარესია, შეგუებულია იმ აზრს, რომ დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენას აფხაზური რეჟიმი არასოდეს დაუშვებს.

თავს უფლებას ვაძლევთ, საქართველოს კონსტიტუციიდან მოვიხმოთ ერთი მუხლი (მუხლი 24):

„1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებებით;

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ცენზურა დაუშვებელია;“

და იქვე, ქვემუხლი 4. „ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამუღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“

იქნებ კონსტიტუციის პირველი მუხლის შესხენებაც იყოს სა-

ჭირო, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ „საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო....“ აგრეთვე ის, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 8 ივლისიდან აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საომარი მდგრადი გორმარეობაა გამოცხადებული და დღემდე არავის შეუცვლია.

ბედნიერებაა ქვეყნისთვის სიტყვის თავისუფლება, მაგრამ არსებობს წმიდა და ხელუხლებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომლის დაცვა არა მარტო კონსტიტუციური მოთხოვნაა, არამედ მოქალაქეობრივი ვალიცაა.

აფხაზეთში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, 2001 წლის 5 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციების (ძირითადად „კავკასიური“ ინსტიტუტი და „კავკასიური სახლი“) ცალკეულმა წარმომადგენლებმა გააგზავნეს მიმართვა თავიანთი აფხაზი კოლეგებისადმი „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამწვავების თაობაზე“ (32 ხელმოწერით გაზიომა „რეზონანსმა“ გამოაქვეყნა 11 ოქტომბერს და საპასუხო განცხადებასთან ერთად დაბეჭდა „რესპუბლიკა აბხაზიამ.“

აღნიშნული მიმართვა ტრადიციულ სტილშია შედგენილი (რა თქმა უნდა, უპირატესად საკუთარი მხარისადმი პირდაპირი და ირიბი ბრალდებებით), თუმცა ის შეიცავს პოზიტიურ მომენტებსა და გაფრთხილებებსაც მოვლენათა ტრაგიკული შედეგების თაობაზე.

პარადოქსია, რომ ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში, მათ შორის ამ მიმართვაში, არ მოინახა ადგილი აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებისთვის. ეს აფხაზური მხარის კაპრიზებია, რასაც ცენტრი დიდსულოვნად ეთანხმება და ამით განაპირობებს კიდეც სახალხო დიპლომატიის ტრადიციული მოდელის უშედეგობას.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს ბედზე, ჩვენს მომავალზე მსჯელობენ ისე (როგორც ადრე მრავალჯერ), რომ ჩვენ არაფერს გვეკითხებიან.

საგანგაშოდ გვეჩვენება ისიც, რომ ჩვენი ზოგიერთი „დემოკრატის“ აზროვნების სტილი, სულისკვეთება, განწყობილება

თითქმის მთლიანად იდენტურია აფხაზი კოლეგების პოზიციისა, კერძოდ, რომ აფხაზეთის კონფლიქტში ჩვენ ყველა ვართ ყველა-აფერში დამნაშავე, თანაც ხელისუფლებიდან დაწყებული და რიგითი ქართველით დამთავრებული.

მკითხველს ისევ მოვუხდით ბოდიშს და დასტურად იმისა, თუ როგორი რეაქცია აქვთ ჩვენი მშვიდობის მაძიებლების პოლიტიკურად საეჭვო ღირებულებების მიმართვაზე მათ აფხაზ კოლეგებს, თითქმის მთლიანად მოგვყავს ბატალ კობახიას, ნათელა აკაბას და სხვათა საპასუხო განცხადებების ტექსტი.

„ბოლო დღეებში მდგომარეობა აფხაზეთში ვითარდება დრა-მატული სცენარით, რომელიც გვაგონებს 1992 წლის აგვისტოს სიტუაციას... ის გარემოება, რომ აფხაზეთსა და საქართველოს შორის შეთანხმება ცეცხლის განუახლებლობისა და მშვიდობის შესახებ სხვადასხვა მიზეზით არ იქნა ხელმოწერილი, ერთმნიშვ-ნელოვნად ადასტურებს, რომ საქართველოში პოლიტიკურ ამბი-ციებს ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა აყენებენ. საქართველოს აგრძესიული პოზიცია გაახმოვანა საქართველოს „ომის პარტი-ამ,“ რომლის მთავარი ფიგურაა შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე, მიზნად დაისახა რთული საერთაშორისო ვითარება გამოყენებულ იქნას იმისთვის, რომ დაწყებულ იქნას ახალი საო-მარი კამპანია აფხაზეთის წინააღმდეგ. . . ჩვენ სიამოვნებით აღ-ვიქვით საქართველოს საზოგადოების განცხადება, რომელმაც დაგმო შეიარაღებული ავანტიურა აფხაზეთის ტერიტორიაზე და მოითხოვა ინიციატივრებისა და ხელშემწყობების პასუხისმგებაში გადაცემა. ჩვენ ვგმობთ საქართველოს ხელისუფლების უპასუ-ხისმგებლო მოქმედებას, რომელიც არა მარტო აფხაზეთსა და საქართველოს, არამედ მთელს კავკასიას ახალი მსხვილმასშტა-ბიანი ომის ზღვარზე აყენებს. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვერავითარი ძალისმიერი მეთოდი, როგორი ვერაგულიც არ უნდა იყოს იგი, ვერ შეძლებს დაძლიოს აფხაზი ხალხის ერთიანობა და სიმტკიცე საკუთარი სახელმწიფოს დასაცავად.“

ბუნებრივად იბადება კითხვები, რაზეც დევნილი საზოგა-დოება პასუხს მოელის, კერძოდ:

რატომ არ მონაწილეობენ დევნილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ქართულ-აფხაზურ დიალოგებში, როცა მათი როცხვი 200-ზე მეტია ქვეყანაში და თავიანთი ინტელექტუალური პოტენციალით არავის უდებენ ტოლს, სხვებზე (ვინც წიგნებითა და სტატიებით სწავლობენ ამჟამად აფხაზეთს) უკეთ იციან რეალობა აფხაზეთში და მათთან არგუმენტებით საუბარი არ შეუძლიათ რეაქიმის მესვეურებს და არასამთავრობო ორგანიზაციების ენაგანაფულ წარმომადგენლებსაც კი?

რამდენად მისალებია ქვეყნის ეროვნული სახელმწიფო ორგანიზერების წესების გათვალისწინებით ქართულ-აფხაზურ შეხვედრებში დომინირებდეს „ყველაფერში დამნაშავე“ საქართველოს სინდრომი და ხსენებაც არ იყოს მეორე მხარეზე, რომელსაც, რბილად თუ ვიტყვით, ლომის წილი მიუძღვის აფხაზეთში კონფლიქტის გაჩაღებაში?

ვის მივანდეთ 300 ათასი დენილისა და ლტოლვილის ინტერესების დაცვა, იგპ-თა ბედზე მსჯელობა, როცა ყველამ კარგად იცის, რომ მათი მშობლიურ ადგილებში დაბრუნების გარეშე არასოდეს მოგვარდება კონფლიქტი აფხაზეთში და არ იქნება მშვიდობა და სტაბილურობა მთლიანად ქვეყანაში, საკუთრივ აფხაზეთში?

როგორ ხდება რომ, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში იშვიათად თუ გამოჩნდება აფხაზეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის თემა, მაშინ, როცა აფხაზეთში მცხოვრებთა (ძირითადად ქართველთა) უფლებების ხელყოფის უამრავი ფაქტი აქვთ დაფიქსირებული საერთაშორისო მეთვალყურეებს—ყაჩაღობით დაწყებული და სიცოცხლის წართმევით დამთავრებული?

რატომ არავინ არ ცდილობს (მხედველობაშია ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, დონორები) ელემენტარული საქმიანობის პირობები შეუქმნან დევნილ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ შემდგომ თავადვე გაიკაფონ გზა?

კარგი საქმე კეთდება (ერთი შეხედვით) „ქართულ-აფხაზური კონფლიქტების ასპექტების“ (ქართულ-აფხაზური დიალოგე-

ბის მასალათა კრებულების) გამოცემით, მაგარამ მას მკითხველი არა ჰყავს (სამწუხაროდ, დევნილებს ხელი არ მიუწვდებათ!), გარდა სპეციალისტთა და პოლიტიკოსთა ვიწრო წრისა.

ბედნიერებაა, ალბათ, რომ დევნილთა და ლტოლვილთა 99,9 პროცენტი არ იცნობს ამ კრებულში ქართული მხარის წარმომადგენელთა ცალკეულ წინადაღებებს, სადაც დასაშვებადაა მიჩნეული საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოცილება, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობა, თორემ, ადეკვატური რეაგირება, ეჭვი არ შეგეპაროთ, არ დაყოვნდება!

ვფიქრობ, ბევრი რამ უნდა შევცვალოთ, ჩვენც უნდა შევიცვალოთ. ბედკრული საქართველოს შვილები ვართ ჩვენც და აფხაზებიც, ამიტომ ქართულ-აფხაზური დიალოგების პრინციპი უნდა იყოს, ვთქვათ, „სოხუმი-სოხუმი“, რომელშიც პარიტეტულ ფორმატში უნდა მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები და დევნილი ორგანიზაციები, როგორც ამას ბოლო დროს საერთაშორისო ორგანიზაციებიც მოითხოვენ.

იქნებ დროა დავფიქრდეთ, რომ ჩვენს გვერდით მამულიდან გამოძევებული ხალხია, რომელიც ამდენი გაჭირების შემდეგ შესაძლოა სტიქიად იქცეს და არავის არაფერი აპატიოს.

ლამარა ჩხეიძე-ნაჭყებია, რაფიელ გელანტია, მურმან ყოლბაია, რაუდენ ქარდავა – საზოგადოება „სამურზაყანო,“ გურამ კვარაცხელია – „გზა შერიგებისკენ,“ გივი გაგუა, ნუგზარ დუდუჩავა – საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აფხაზეთის ორგანიზაცია.

„დილის გაზეთი,“
7 ნოემბერი, 2001წ.

აფხაზეთის დაპრუცეპა ჩვენს ხელშია

ძნელია, საქართველოში მოინახოს ქართველი, რომელიც შეშფოთებული არ იყოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობით და ვითარების შეცვლის რამენაირ, თუნდაც გულუბრყვილო გეგმას, არ თხზავდეს. შესაძლოა ეს ბედნიერებაც იყოს და უბედურებაც.

ბედნიერება იმიტომ, რომ დემოკრატიამ ხალხი შიშის ბორკილებისაგან გაათავისულა, ადამიანს აგრძნობინა, რომ ის დაპადებიდან თავისუფალი პიროვნებაა, აქვს არჩევანის საშუალება და პასუხისმგებელია თავისი ქვეყნის, საკუთარი თავისა და ოჯახის წინაშე;

უბედურება იმიტომ, რომ უამრავი ფსევდოპარტია (200-ზე მეტი), მოძრაობა, ორგანიზაცია, ადამიანთა ფორმალური და არაფორმალური ჯგუფი იმდენ არარეალურ გეგმას და მოქმედების გზას სახავს (დემოკრატიული რომანტიზმი), რომ ხშირად ისინი, ხელშემწყობის ნაცვლად, რეალობის ადეკვატურად შემუშავებული პროექტებისა და პროგრამების განხორციელებას უშლიან ხელს.

სხვა საკითხია, იყო თუ არა შესაძლებელი ქვეყანაში განვითარებული ნეგატიური პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული პროცესების თავიდან აცილება იმ მსოფლიო-ისტორიული მოვლენების ფონზე, რაც გასული საუკუნის ბოლო წლებში განვითარდა.

ხალხისთვის, რომელიც მზად იყო თავი გაეწირა სამშობლოს თავისუფლებისთვის და გაიღო თავისი წილი სისხლი, არავის უთქვაში ის „წვრილმანი“, რომ ჩვენი მომავალი უთუოდ განვითარდებოდა ველური კაპიტალიზმის, აგრძესიული საბაზრო ეკონომიკის, სახელმწიფო საკუთრების იმ ხარისხით დენაციონალიზაციის გზით, რასაც მოყვებოდა სახელმწიფო (ხალხის) საკუთრების საწარმოთა და დაწესებულებათა ამ ფორმით და მასშტაბით გასხვისება (უმეტესწილად გაჩანაგება), საყოველთაო უმუშევრობა, ცხოვრების დონის უსაშველო დაცემა, გაღატაკება, საზოგადოების უკიდურესი პოლარიზაცია „ცოტა“ მდიდრებად და

„ბევრ“ ღარიბებად, მაძლრებად და მათხოვრებად; ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების ნიველირება.

სახეზეა ის ვითარება, როცა ხალხი (ფემოსი) ამოვარდა პოლიტიკური ლექსიკონიდან და რეალურადაც, კონსტიტუციაში მისი ადგილი მხოლოდ რამდენიმე ადგილას შემორჩა, თანაც, მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებით.

დასავლური განათლებით ყოყოჩიობა თუ უცხოური ლექსიკით მანიპულირება, ვერ გადაფარავს იმ ტრაგიკულ მატერიალურ და მორალურ დანაკარგს, რაც საქართველოს ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში მიადგა და რისი გამოსწორებისთვის, სამწუხაოდ, არგუმენტად კვლავ დაპირისპირება და გარე თუ შიგა მტრების ხატის ძებნა გვიხდება.

სამწუხაო ისტორია მეორდება. კითხულობ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარლამენტის დოკუმენტებს და გრძნობ, რომ, თუ არა გვარსა და სახელებში განსხვავება, ყველაფერი ან თითქმის ყველაფერი მეორდება. უფრო ზუსტად, ვიღაცის მამობრივი ზრუნვა, მამაშვილური რუდუნება ქვეყნის გადასარჩენად და ძველებურადგვე ვიღაცის მხრიდან შური, ჩვეული ანტაგონიზმი, თავშეკავებული თუ თავშეუკავებელი ლანძღვა-გინება საქართველოს ბედნიერების სახელით.

80 ნელინადი ნუთუ არაფერი შეცვლილა? ნუთუ, ილუზიაა ჩვენი განათლების მაღალი დონე, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის გულში მჯიდების ცემა?

მეტად საშიში თამაშია, უფრო სერიოზულად კი, საეჭვო მიზანსწრაფვა, რომელიც შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქვეყანას.

გარე მტრებს ომს ვუცხადებთ და სამართლიანადაც (თუმცა, მეეჭვება, რომ კარგად გავთვალეთ ყველაფერი!), მაგრამ ფიცხ ქართველებს ზოგჯერ გვავიწყდება, რომ სანამ ერთმანეთში საერთო ენას არ გამოვნახავთ, სანამ ფრონტის ერთიან ხაზს არ გავმართავთ, როგორც წესი, დამარცხებისთვის ან კიდევ უარესისთვის, განწირულები ვართ.

მოვახერხებთ კი ამას, როცა სამხრეთული ტემპერამენტითა და სისასტიკით თვით უმაღლესი სახელისუფლებო ტრიბუნები-

დან ომი გამოვუცხადეთ ერთმანეთს მოსახლეობისთვის საკუთარი პატიოსნების და სახელმწიფოს ერთგულების დასამტკიციცებლად და ამას მთელი ქვეყანა უყურებს. მით უფრო, რომ პირადი მტრობა და დაუნდობლობა უფროა სახეზე, ვიდრე რეალური მოღვაწეობისა და საქვეყნო საქმეების კეთების სურვილი. იქმნება შთაპეჭდილება, რომ ამ ადამიანებმა რაღაც ვერ გაიყვეს და ერთმანეთში ომობენ, იქნებ, სამომავლო წილებისა და პრივილეგიების მოსაპოვებლად.

სახიფათო ვითარებაა, რომლის მიზეზი ხელისუფლების ყველა შტოა და ამის აღიარება მამულიშვილმა პოლიტიკოსებმა უნდა შეძლონ.

ვინც საქართველოს კონსტიტუციაში ჩახედულია, შესანიშნავად იცის თუ ვინ რაზეა პასუხისმგებელი. ცუდი კანონებისა და მათ შესრულებაზე ცუდი კონტროლის პირობებში სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი. კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ გლობალიზაციის და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პირობებში ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მეტად პირობითი და ეიფორიულია, თუმცა გამოსავალი შეიძლება იყოს მოქნილი მანევრირების დიპლომატია, მტკიცე ეროვნული პოლიტიკა და რაც მთავარია, ჩვენი უძველესი სახელმწიფოებრივი გამოცდილებისა და ქვეყნის ბუნებრივი პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედება. ასე რომ, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის.

ქართველთა შორის დაპირისპირების გაღრმავება უთუოდ მიგვიყვანს მონურ ულელში ხელახლა თავის გამოყოფამდე; თუ მორატორიუმი ვერ დავაწესეთ დაპირისპირებაზე და სახელმწიფო ინტერესები საკუთარ ამბიციებზე მაღლა არ დავაყენეთ, კატასტროფა გარდაუვალია. ეჭვი არავის არ უნდა ეპარებოდეს, რომ ქართველთა დაპირისპირებაში ქართველი არასოდეს ყოფილა გამარჯვებული და დრამატულ ვითარებაში ავანტიურისტები, უნიგნურები და ფარისევლები მოახერხებენ ხელისუფლებაში უკანა კარებიდან შეღწევას.

ქართველთა შორის დაპირისპირების დამღუპველობის ერ-

თერთი თვალსაჩინო მაგალითია აფხაზეთის ტრაგედია და შემდგომი მოვლენები. წარმოუდგენელია იმ რეალობასთან შეეუება, რაც ახლა აფხაზეთში ხდება: გამარჯვებულებს ზეიმი მართებთ და სეპარატისტები ზეიმობენ, თანაც ძლიერი პატრონის მეოხებით არაფერი ეძლებათდა პოლიტიკურ თამაშებშიც ერთმანეთს უფრთხილდებიან. ჩვენთან კი, ნაცვლად დიდი გაერთიანებისა და სამასი ათასი დევნილის ერთ მუშტად შეკვრისა, დევნილი პოლიტიკური ლიდერები ერთმანეთან ქანცგამცლელ ბრძოლებში არიან ჩაბმულები. აღმფოთებული და ნირნამხდარი ტოვებ იმ შეხვედრებსა და თავყრილობებს, სადაც, ვთქვათ, აფხაზეთის პრობლემის ომით თუ მშვიდობით მოგვარების საკითხებზე, გაუთავებელი კამათი და შეხლა-შემოხლა მიმდინარეობს, თანაც წლებია გრძელდება ასე. ან კიდევ, ვიღაცისთვის, როგორც ადრე აფხაზეთში, კვლავაც მთავარია საკუთარი სავარძელი და თანამდებობა, პატივმოყვარეობის დაკამაყოფილება. გვონია, რომ თითქოსდა ამა წლებში მათ თუნდაც ერთი ახალი, გონივრული აზრი არ გასჩენიათ, თითქოსდა არც არაფერი მომხდარა აფხაზეთში! და ეს მაშინ, როცა დევნილობაში იზრდება თაობა, რომლისთვისაც უფროსი თაობის წარმომადგენელთა ამ უსაშველო ორომტრიალსა და უძლურებაში სამშობლოს განცდა კნინდება, მამულის კონტურები უჩინარდება.

აფხაზეთის დეპუტაციის გახლეჩა ორ ფრაქციად არის ის ფაქტი, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ სეპარატისტული რეჟიმი გაახარა. არა და, განა ნორმალურია აფხაზეთში განცდილი მარცხის შემდეგაც არ ვაღიარებდეთ ჩვენს შეცდომებს, თუ გნებავთ, დანაშაულებრივ დაუდევრობას და კვლავაც პრეტენზიულები ვიყოთ ყველას მიმართ, გარდა საკუთარი თავისა.

საქმეიქამდემივიდა, რომ ვიღაც-ვიღაცებს ძალიან უნდათ (და ამას არ მაღავენ!) გალის მოსახლეობას რაღაცაში დასდონ ბრალი, სოხუმელებს და გაგრელებს დაუპირისპირონ, მოღალატის იარლიყი მიაკერონ აფხაზეთში, კერძოდ, გალში დაბრუნებულ მოსახლეობას. რა არის ეს, ამდაგვარი უმეცარი და წინდაუხედავი ადამიანების თანამდებობაზე ყოფნას შეიძლება რამენაირი

გამართლება პქონდეს? ან კიდევ, რამდენად გონივრულია, რომ აფხაზეთიდან დევნილები დაფანტული ვართ სხვადასხვა პარტიებსა და მოძრაობებში, რომლებიც თავიანთ პლატფორმებსა და პოზიციებს კონიუნქტურის მიხედვით იცვლიან და აფხაზეთის საკითხი სააგიტაციო სამკაულად სჭირდებათ მხოლოდ.

ვინ იღებს კისრად აფხაზეთის განთავისუფლების ერთპიროვნულ ლიდერობას და ვის შეუძლია აკეთოს ეს საქმე გაზეთებსა და ტელეეკრანებზე კოპნიაობის გარეშე, როგორც ეს ახლა ხდება? ღმერთმა დაგვიფაროს იმისგან, რომ ასეთი ადამიანები არ იყვნენ საქართველოში, ისინი არიან! დევნილთა რიგებშიც არიან ნამდვილი ლიდერები, მაგრამ მათ ძალიან უჭირთ მავანთა ზურგით თანამდებობებს ჩაბლაუჭებულ თავისივე მოძმეთა ამ-პარტავნობის დაძლევა. იქნებ სწორია ვარაუდი, რომ აფხაზეთში ჩვენი მტერი, ჩვენი ერთობის მტერი დევნილობაშიც გადმოგვყვა და აქაც ცდილობს დაგვაქუცმაცოს, რათა ანგარიშგასაწევი ძალა არ გავხდეთ.

აფხაზების დაბრუნება, უპირველეს ყოვლისა ჩვენს ხელშია, აფხაზეთის მოსახლეობის ხელშია და ვინც ქვეყნის გაერთიანებასა და ხსნას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს გარეთ დაექცეს ან სახელისუფლო სასწაულის მოლოდინშია, ვერ იქნება ჩვენი კეთილი მეგზური. ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილებს, გვაქვს საამისო მორალური უფლება გაერთიანების და ერთსულოვნების მაგალითი მივცეთ ქვეყანას და მოვახდინოთ იმგვარი კანონიერი ზენოლა ხელისუფლებაზე, რომ აფხაზეთი და დაკარგული ტერიტორიები გახდეს საქართველოს ხელისუფლების უპირველესი საზრუნავი, მიუხედავად იმისა, რომ მას ისედაც უამრავი საშინაო პრობლემა აქვს, თუნდაც, ვთქვათ, კორუფცია თუ განუკითხაობა.

კორუფცია მეტნაკლებად ყველა ქვეყანაში მძვინვარებს. საქართველოშიც მეტად მძიმეა მდგომარეობაა, იქამდე მისულა ლპობის პროცესი, რომ 12 ლარის შემწეობის იმედად მყოფ დევნილს, რაღაც დოკუმენტისთვის 2-3 ლარს ქრთამად ართმევენ. რეალურად ეს გამოუცხადებელი ომია, ომი ყველას წინააღმდეგ,

რაც ანგრევს ქვეყანას, სამოქალაქო ერთობას, ასუსტებს ისე-დაც არშემდგარ სახელმწიფოს, რომელიც სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკის პატრონებზეა ჩამოკიდებული. ძნელია ასე-თი სახელმწიფო მიიჩნიონ დამოუკიდებელ და ანგარიშგასაწევ ძალად, თუნდაც განვითარებად ქვეყნად, რომელიც იმსახურებს სერიოზულ საგარეო მხარდაჭერას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.

მიუხედავად ამისა, გამოსავალი უნდა მოინახოს, უპირველე-სად, საკუთარი რესურსების ამოქმედებით, რათა არ გაგეხადონ დაქუცმაცებულ სავაჭრო მოედნად, სადაც მხოლოდ უსახო, უეროვნო მოსამსახურის, ღატაკი მომხმარებლის, იაფი სამუშაო ძალისა და ქორვაჭარისა და გადამყიდველის ფუნქცია დაგვეკის-რება.

ვინც მასის ფსიქოლოგიას იცნობს, არ ეეჭვება, რომ არსებულ სიტუაციაში ხალხის ქუჩაში გამოყვანა ძნელია არ არის. არც ჩვენთვის არის სიახლე ბუნტისა და მთავრობის ძალით გადაგ-დების ცდუნება, რომელიც იმუამად რუსთაველის პროსპექტით შემოიფარგლა და არ გახდა რევოლუცია კლასიკური გაებით, მაგრამ დაგვიტოვა სამოქალაქო დაპირისპირების ტრაგიკული შედეგები, მათ შორის, საყოველთაო გაჭირვება, დიდი მსხვერპ-ლი და დაკარგული ტერიტორიები. გავიარეთ რა ეს გაკვეთილი, ეტყობა, რომ კვლავ საეჭვო და სახიფათო თამაშია წამოწყებული. ჩვენ ეს უბედურება გამოვიარეთ, ეს უკვე იყო.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ უარი ვთქვათ მრავალპარტიიულობაზე, კონსტრუქციულ ოპოზიციაზე, ხელისუფლების, მთავრობის, თანამდებობის პირთა კრიტიკაზე, მედიის თავი-სუფლებაზე, კანონიერ სასამართლოზე, თავისუფლებასა თუ დემოკრატიის სხვა ფასეულობებზე? სრულიადაც არა. პირიქით, ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების, რადიკალური ცვ-ლილებების დიდი მოლოდინია, ადამიანები დაიღალნენ ქვეყნის პერსპექტივის დაკარგვით, ეკონომიკური და სოციალური სი-დუსტარით, უნესრიგობითა და დაუსჯელობის სინდრომით. მა-გრამ ხელისუფლების შესაცვლელად და ქვეყნის პოლიტიკური

და ეკონომიკური რეფორმირებისთვის ჩვენ გვაქვს კონსტიტუცია, ცივილური კანონმდებლობა, რასაც უნდა დავემორჩილოთ და დავიცვათ.

ჩვენი უპირველესი ამოცანა არის ქვეყნის გამთლიანება, ეროვნული აღორძინება, თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნება და განვითარება. ამისთვის ქართველთა დაპირისპირება კი არა, ცივილიზებული თანხმობა, გონიერი კურსის შემუშავებაა საჭირო. მერწმუნეთ, რომ მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ დიალოგით და სამოქალაქო შეთანხმების მიღწევით არის შესაძლებელი აგრესიული დაპირისპირების დაძლევა, ჭეშმარიტად დემოკრატიული და სამართლიანი სახელმწიფოს აშენება, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დედა საქართველოს წიაღში დაბრუნება.

„დილის გაზეთი,“
12 დეკემბერი, 2001წ.

„ვერასა გეთივი, ენა სდუმს...“

ნუხელ, ალბათ, არ უძინია ნახევარ საქართველოს. დიდგორი, ჩვენი სიამაყე, ღირსება, ქართველი ერის უძლეველობის დასტური, გაუძარცვავთ!

დავით ალმაშენებლის უკვდავი გმირობის სიმპოლოს, ქართველთა ჯიშისა და ჯილაგის მხედრული მამაცობის, მამულისთვის ხალხის თავგანწირვის, გაერთიანებული ერის დაუმარცხებლობის კიდევ ერთი ძეგლის წაშლა განუზრახავთ ჩვენს მტრებს, თანაც ჩვენი ხელით!

ეჭვს დიდი თვალები აქვს; იქნებ ეს სულაც არაა ჩვენეულ არამზადათა და დღის ყაჩალთა (ე.ნ. ახალ ქართველთა) მიერ ჯართის დამზადების „ჩვეულებრივი საქმე“, რაც რამდენიმე წელინადია ქართული ბიზნესის სარფიანი საქმე გახდა და ქვეყნის ავისმოსურნეთა შორს გამიზნული მზაკვრული ჩანაფიქრიც გახლავთ.

ჭეშმარიტი ეროვნული ცნობიერების უგულებელყოფა (ერისა და ეროვნულობის მსოფლიო ადამიანის საეჭვო სუროგატით შეცვლის მცდელობა!) და ეროვნული სულის იგნორირება, ანუ მისი ჩანაცვლება (უფრო ზუსტად, დაპირისპირება) ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ ალიარებული დეკლარაციის მოხვენებით, იქნებ თავის მიზანს იმათი ხელითაც აღწევს, ვინც დიდგორზე აღმართა ხელი.

აფხაზეთში ჩვენი ბიჭები საქართველოს მთლიანობის, ქართველი ერის ღირსებისა და თავისთავადობის გადასარჩენად დაიხოცნენ, ისევე როგორც თავის დროზე ჯვარს ეცვა ათასობით და ათეულ ათასობით მამულიშვილი აღმაშენებლის, თამარის, პატარა კახის, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის საქმისთვის დაიღუპნენ თუმცა სიკვდილი არავის უნდოდა არც მაშინ და არც ახლა. მამა-პაპათა დარად, მათაც იცოდნენ, რომ არის ვითარება, როცა სიკვდილი აუცილებელია საკუთარი ქვეყნის მომავლის გადასარჩენად. XX და XXI საუკუნეთა გასაყარზე ჯინსიანმა ბიჭებმა თავისი სიკვდილით სიკვდილზე გაიმარჯვეს.

ახალ საქართველოში, დიდგორის ამ სირცხვილის შემდეგ როგორ შევხედოთ თვალებში ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს, რევაზ მიშ-

ველაძეს, მრავალ სხვას, რომლებმაც აფხაზეთში, ადამიანისთვის ყველაზე, ყველაზე ძვირფასი – საკუთარი შვილების სიცოცხლე, საქართველოს საკურთხეველზე მიტანეს მსხვერპლად.

რა ვუთხრათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის შეწირული ვაჟკაცთა სულებს, მათს ახლობლებს, ნათესავებს; ბოლო წლებში ეროვნულ სიწმინდეთა ამდენ ხელყოფას შეიძლება ვინმერ მოუნახოს რამენაირი ახსნა ან გამართლება? კიდევ მერამდენე სირცხვილს გვიმზადებს მომავალი?

ნებისმიერი თავმოყვარე ერი, ხალხი უთუოდ ყალყზე შედგებოდა თუნდაც ერთ ასეთ ფაქტზე, ჩვენთან კი? კიდევ რა დარჩა გასაძარცვი და დასანგრევი?

თუმცა არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ თუ ფაქტის გამო სამართალდამცველები დაინყებენ მოკვლევას, ჩვენი ადამიანის უფლებათა დამცველები კი, როგორც იტყვიან, შესძრავენ მსოფლიოს სახელმწიფოს უთავბოლობით მშიერ-მწყურვალთა და ქეგლების ბიზნესმენ-მნგრეველთა უფლებების დასაცავად!

ჩემთვის (ისევე, როგორც ბევრი სხვა პატრიოტისთვის) ათას-ჯერ უფრო პატივსაცემი და მონინების ღირსი გახდა მართლაც უკიდურესად გაჭირვებული, შიმშილისგან სიკედილის პირას მისული ადამიანი (მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა!), ვინც ალიონიდან სანავის ყუთებთან რიგში დგება ოჯახის ფიზიკური გადარჩენისთვის ლუქმა-პურის საშოვნელად, მაგრამ საერთოეროვნულ, სახალხო სიწმინდეებში ხელის ფათურს კი არა, იქაურ ჭიანჭველას არ დააბიჯებს ფეხს.

მდიდარი ერი, შეძლებული ერი, მებრძოლი ერი, სწორედ, რომ ადამიანის თვისებების, ეროვნებების ახლებური განვითარების, სახელმწიფოს ძლიერების, ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნების უეჭველი გარანტია, მაგრამ როცა ქვეყნის იდეოლოგია იცვლება და შიშველი საბაზრო ურთიერთობა, როგორც პანაცეა გარედან ინერგება, რომლის ერთადერთი ლოზუნგია ფული, ფული და მოგება, სხვა ყოველივე კი მისი დანამატია, ჩვენი, როგორც ქართველების, უნიკალური თავისებურებების გაქრობამდე დათვლილი დღეები დაგვრჩენია ალბათ. ყოველივე ეს, ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერებს კი არა გიგანტებსაც

აწუხებთ და შესაბამისი იმუნიტეტი აქვთ შემუშავებული. საფრთხეს ისიც აძლიერებს, რომ ჩვენთანაც მოამრავლეს ფსევდო ეროვნული კონფორმისტები და ნიპილისტები, რომელთაც ერთ დროს საშინლად სძულდათ მდიდრები, ახლა კი ასჯერ და უფრო მეტად სძულთ საკუთარი ლარიბ-ლატაკი ერი და ქვეყანა. ჩვენი ტელეარხების ღამის ეთერი გულმოდგინედ გვასწავლის სექსსა და აღვირახსნილობას, ძალადობას და ელიტართა კასტის ბედნიერ ცხოვრებას, როგორც დასავლეთის ცივილიზაციის ბოლო მონაპოვარს, ეს მაშინ, როცა იქ, დასავლეთში, სულაც არ არის ასე და ვისაც ასეთი სანახაობა აინტერესებს, იხდის ფულს და ყიდულობს მას კომერციული ტელეარხებიდან.

ბრძებიც ხვდებიან, რომ საქართველოში ძალაუფლება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ასცდა ერთმანეთს, ერი გათითოკაცდა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტა, რამაც იოლი გახადა ნამდვილი თავისუფლების (მარადიული ეროვნული იდეალის და ოცნების!) შეცვლა თვითნებობით, თავაშვებულობით, დაუდევრობით, განუკითხაობით, ბიო-ანატომიური სიშიშვლით, რომელიც ასევე ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს.

ნუთუ დადგა ის დრო, რაზედაც ტატო ბარათაშვილი გვაფრთხილებდა: „ჯანი გავარდდეს ან შვილსაც, მამულს, ოლონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს; რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?“

იქნებ არც ახალი დიდგორი სჭირდება ვინმეს, არც აფხაზეთი, არც სამაჩაბლო და არც ერთიანი ქვეყანა და ყველგან და ყველაფერში ხელის ასაწევად გვამზადებენ? იყიდება ყველაფერი, უფრო ზუსტად, „ნითელმა დირქეტორებმა,“ მხედრიონელებმა, პოლიტიკანებმა, ავანტიურისტებმა თუ ე.ნ. ახალმა ქართველებმა ხელი დაავლეს და იტაცებენ მიწას, შენობებს, ნაგებობებს, ტყეებს, ტბებსა და წყალსაცავებს, რომლის ერთადერთი მესაკუთრე საქართველოს მოსახლეობაა. თითქოსდა საკომპენსაციოდ 150 მილიონი დოლარის ვაუჩერების დარიგება, ცინიზმი და ფარსია მხოლოდ (ხალხის თვალში) მავანთა მიერ ქონების გადანაწილების და მოსახლეობის მასობრივი ძარცვის შესანიღბავად. ეტყობა, საქართველო დასავლური დემოკრატიის გუ-

ლუბრყვილო გერი შვილია მხოლოდ.

ასეთ ვითარებაში კიდევ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ერის პოლიტიკური აბერაცია?

1945 წელს აპრილსა და მაისში ბერლინის სანგრებში ჩახოცილ პირტიტველა გერმანელი ბიჭები კანტის, გოეთეს, შილერის, ძველი გერმანიის სახელოვანი ისტორიის სახელმძღვანელოებს კითხულობდნენ თურმე. რუსებსაც ჰქონდათ ის დრო, როცა მათ მამებს თავად გენიალურ შექსპირს, შექსპირის ჩექმები ერჩივნათ, მაგრამ შემდგომ მათი შვილები და შვილიშვილები პუშკინის და დოსტოევსკის საფლავებს და ძეგლებს უთენებდნენ ღამეებს.

ჩვენ კი რა დრო დაგვიდგა: კარგს ვაკეთებთ ძალიან ცუდად, ცუდ კი – ძალიან კარგად. აი, სანამდე მიგვიყვანა ობსკურიამ-ბნელ კამერაში ნებაყოფლობით შესვლამ. ბნელში გაზრდილებმა თუ ოქროთი დაბრმავებულმა უმეცრებმა იქნებ არც იციან დიდგორი, არც საქართველო, იქნებ არც სჭირდებათ ქართველობა?

რა გვაქვს? – სამართლებრივი, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სოციალური სახელმწიფო თუ უზნეო, სამათხოვროდ ხელგაწვდილი ქვეყანა, რომლის ხელისუფლებისაგან მოვითხოვთ არჩევნების ღირსეულად ჩატარებას, გამორჩეულ მამულიშვილთა არჩევას. მოხდება კი ასე?

„ვერასა გეტყვი, ენა დუმს,
თავზე დაგვჩხავის ყორანი,
გაღმა გასვლისა მსურველთა
უკულმა მიგვყავს ბორანი.
გაგვიბატონდა მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი“...

ცრემლი ვერ შეიკავა დიდმა ვაჟამ ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობის გამო. ნეტავი ახლა რას გვეტყოდა ყველა დროის გენიოსი მგოსანი?

ძალიან მინდა დავიჯერო, რომ დიდგორის ინციდენტი გახდება დიდი ეროვნული გამოფხიზლების დასაწყისი.

„საქართველოს რესპუბლიკა,“
14 იანვარი, 2002წ.

რამდენი ცლის შეიძლება იყოს პრეზიდენტი?

მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციაში პრეზიდენტის მინიმალური ასაკი ქვეყანაში არსებული ტრადიციების, ახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების, ხალხის მორალური და ფსიქოლოგიური მენტალოტეტის და სხვა მრავალი თავისებურების გათვალისწინებით, სხვადასხვანაირად არის განსაზღვრული.

მოქმედი კონსტიტუციების შესაბამისად ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტად შეიძლება აირჩიონ არანაკლებ – 35, იტალიაში – 50, ეგვიპტეში – 50, რუსეთში – 35, ტაჯიკეთში – 35, ყაზახეთში – 40, საქართველოში – 35 წლის ადამიანი.

პოლიტოლოგების და ისტორიის მკვლევართა უმეტესობას მიაჩინა, რომ საპრეზიდენტო ასაკად 35 წლის დადგენა არსებითად მონარქიული ტრადიციის ინერციასა და ადამიანი, როგორი ნიჭითა და ორგანიზატორული თვისებებითაც არ უნდა იყოს დაჯილდოვებული, მას გაუჭირდება სახელმწიფოს რაციონალური მართვა.

ამა თუ იმ ქვეყანაში ნამოჭრილი უამრავი პრობლემა, ცხადია, მოითხოვს ქვეყნის მართვის უმთავრესი პრინციპებისა და საკითხების ცოდნას და, რაც მთავარია, ექსტრემალურ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მათ შორის ყველაზე მთავარია პოლიტიკური მართვის ხელოვნება, გამჭრიახობა, კონსტიტუციისა და კანონების ზედმინევნით ცოდნა, ტიტანური შრომისმოყვარეობა, პირადი მამაცობა და საკმაო ცხოვრების-ეული გამოცდილება.

ბევრგან მიჩნეულია, რომ დალაგებულ (სტაბილურ) ქვეყანაში, მართავს არა პერსონიფიცირებული პრეზიდენტი, მთავრობა, არამედ სისტემა, დემოკრატიული ინსტიტუტები, თანაშემწეთა და მრჩეველთა უნივერსალურად შერჩეული კონტინგენტი, საზოგადოების კანონმორჩილების კულტურა და ხალხის მენტალი-

ტეტი. მკვეთრად განსხვავებული მდგომარეობაა განვითარებად, ახალი დემოკრატიის სახელმწიფოებში, ნაკლებად სტაბილურ ქვეყნებში, სადაც მაღალია ალბათობა იმისა, რომ ყველაფერი ყირაზე დადგეს პირველი მმართველის მცირედი გადაცდომის პირობებშიც კი.

მსოფლიო ისტორიის გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მეთაურად არჩევის ოპტიმალური ასაკია ადამიანის სიცოცხლის საშუალო ასაკი, ანუ 40-50 წელი და მეტი.

დავით აღმაშენებელი (ისევე როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში) სრულიად ახალგაზრდა გახდა საქართველოს მეფე და შეძლო უძლიერესი ქართული სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ ეს გამონაკლისი არსებითად დაკავშირებული იყო იმ დროის მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან, ისტორიულ პარადოქსებთან, დროსა და იმჟამინდელ მსოფლიოში პოლიტიკური ვითარების ხასიათთან.

სახელმწიფოს ახალგაზრდა მეთაურების მოსვლას ხელისუფლებაში ხშირად განაპირობებდა კარის ინტრიგები, სამხედრო გადატრიალებები, რევოლუციები და სხვა, რომელებიც ხშირად მოითხოვდნენ კარიერისტი, ავანტიურისტი ახალგაზრდა ლიდერის რისკს, თავზეხელადებულობას.

მიუხედავად ამისა, ისტორიაში ზერელე ჩახედვაც ადასტურებს, რომ უძველესი დროიდან დღემდე წარმატებულ თუ განსაკუთრებით გამორჩეულ ხელმძღვანელად ხდებოდნენ ადამიანები მონიფულ ასაკში, ამასთან, ყველა სხვა პოზიტიურ თვისებებთან ერთად, მათ ჰქონდათ უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ფართო ერუდიცია მრავალ დარგში, დიპლომატიის გამორჩეული უნარი და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის განუზომელი სიყვარული, თავგანწირვისთვის მზადყოფნა.

იქნებ, საინტერესო იყოს რამდენიმე ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მაგალითის მოყვანა ქვეყნის პირველი პირის ასაკთან დაკავშირებით.

გაიუს დიოკლინტიანე, რომის იმპერატორი, მხედართმთა-

ვარი და მწერალი, ერთპიროვნული მმართველი გახდა 41 წლის ასაკში; აბლუ მუჰამედი, მონღოლთა დიდი იმპერიის შემქმნელი 47 წლის ასაკში ავიდა ტახტზე; ბათუ ყაენი, ოქროს ურდოს შემქმნელი – 41 წლისა, დაიპყრო თითქმის მთელი ევრაზია (ავსტრიის კარებთან შეჩერდა ჯარების ქანცგაცლის გამო); 30 წლის ნაპოლეონ ბონაპარტი საფრანგეთის იმპერატორი გახდა (სამხედრო გადატრიალების შემდეგ); ეკატერინე მეორე, რუსეთის იმპერატორი, სახელმწიფო მეთაური გახდა მეუღლის გარდაცვალების შემდეგ – 32 წლის ასაკში.

დემოკრატიის განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფის კვალობაზე ერთგვარად სტაბილური ხდებოდა სახელმწიფო მოღვაწეთა ასარჩევი ასაკი. 55 წლის რიჩარდ ნიქსონი ამერიკის პრეზიდენტი გახდა; ჯონ კენედი – 44 წლის; კონრად ადენტჰაუერი (გფრ-ის პირველი კანცლერი) – 73 წლის; ჩილეს სოციალისტი პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე – 65 წლის; ბენ გურიონი, ისრაელის პრემიერ-მინისრტი – 87 წლის, მარგაერეთ ტეტჩერი – 54 წლის; სულფიკარ ბჟუტო, პაკისტანის მეთაური – 51 წლის; პოლონეთის პრეზიდენტი ლებ ვალენსა – 47 წლის; (შემდეგში კენჭი არ იყარა და პრეზიდენტობას თავისი პროფესია – ელექტრიკოსობა არჩია), ვაცლავ ჰაველი, ჩეხეთის პრეზიდენტი – 53 წლის; ჯონ მეიჯორი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი – 47 წლის.

ფაქტია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება, სამოქალაქო სექტორის განვითარება, კანონის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზენაესობა ართულებს სახელმწიფოს მართვას. შეძლებს კი 35 წლის ახალგაზრდა კაცი (რომელსაც, ბუნებრივია, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება არა აქვს), სახელმწიფოს პირველი წინამდღოლის უმძიმესი ტვირთის აწევას, ურთულეს სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას?

ხშირად ახალგაზრდა ლიდერის უმაღლეს პოსტზე დაწინაურებას რეფორმის განხორციელებას უკავშირებენ. რა თქმა უნდა, ამაში არის სიმართლე, მაგრამ არის ისიც, რომ რეფორმატორთა

დროშის ქვეშ უმეტეს წილად ქაოსს ღებულობენ, რომლის ფინალია დიქტატურა ან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფა.

რეფორმატორობა ასაკის პრეროგატივა არა არის. ამის საუკეთესო დასტურია დენ სიაოპინის, რეიგანის, მიხეილ გორბაჩოვის და მრავალთა სხვათა პოლიტიკა. მათ ჩვენს თვალწინ სახე უცვალეს ქვეყნებს, შეცვალეს მსოფლიოს რუკა.

ჩვენ, ქართველებსაც, გვაქვს საფიქრალი ამ თვალსაზრისით. როგორიც არ უნდა იყოს ნამდვილად ნიჭიერ, მაგრამ გამოუცდელ პოლიტიკოსთა ახალგაზრდული ხიბლი და მგზნებარება, მონიდებათა პათოსი, თუ პოლიტიკოსი საქმეში ნაწრთობი არ არის და თანამდებობრივი საფეხურები ეტაპობრივად არ აქვს გავლილი, შეცდომა, როგორც წესი, გარდუვალია.

ბოლო ათ წელიწადში საქართველოში ამ მხრივ დიდი გამოცდილება დაგროვდა. გვყავდა წარმატებული ახალგაზრდები და უმაქნისი ასაკოვანებიც და, პირიქით. ერთი რამ ცხადია: ქვეყნის, ხალხის ბედს უნდა განაგებდნენ სამშობლოზე შეყვარებული, ნიჭიერი, ძლიერი, მებრძოლი, პატიოსანი, მაგრამ უთუოდ გამოცდილი და მაღალი პასუხისმგებლობის ადამიანები, რათა ახლო წარსულის ტრაგიკული შეცდომები არ განმეორდეს.

„დილის გაზეთი“ („სათანჯო“).
7 მარტი, 2002წ.

306 დებს არჩევნები ფულს?

არჩევნები პოლიტიკური სისტემისა და სამოქალა-
ქო საზოგადოების მშვიდობიანი განახლების პოლიტი-
კური ტექნოლოგიაა.

ჩვენ არჩევნების ჩატარების არც თუ ისე ძველთაძ-
ველი, მაგრამ მრავალი თვალსაზრისო, უნიკალური
გამოცდილება გვაქვს.

ნო ჟორდანია

საზღვარგარეთის რიგ დემოკრატიულ ქვეყანაში საარჩევ-
ნო თანხას, როგორც წესი, სახელმწიფო ბიუჯეტი იხდის. ამა-
სთან ერთად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კანონით უზრუნ-
ველყოფილია საარჩევნო კომპანიების დაფინანსებაში მოქა-
ლაქეთა მონაწილეობა. ამასთან, საიდუმლო არაა, რომ არჩევ-
ნებში ფულს დებენ ისინი, რომელთაც აქვთ თავისი უახლოესი
და შორსგამიზნული ინტერესები. თეორიასა და პრაქტიკაში
მიჩნეულია, რომ ინტერესის საგანი შეიძლება იყოს სახელი-
სუფლებო სტრუქტურებში ადგილის მოპოვება, მაღალი სა-
ზოგადოებრივი მდგომარეობა, ე.ნ. ცნობად სახედ გახდომა და
სხვა.

გადახდილი ფულის რაოდენობა დამოკიდებულია არჩევნების
დონეზე (უმაღლესი, რეგიონული, ადგილობრივი), საარჩევნო
სუბიექტებზე (პრეზიდენტი, ნარმომადგენლობითი ორგანოს წე-
ვრი, რეგიონის ხელმძღვანელი, ქალაქის მერი), ამომრჩეველთა
მდგომარეობასა და განწყობაზე, „გავლენიანი“ ჯგუფის დაინტე-
რესების მოტივაციაზე, საგარეო ფაქტორებზე.

საარჩევნო ხარჯების სტრუქტურაში მოიაზრება: საინფორ-
მაციო-სარეკლამო უზრუნველყოფა; მოსახლეობის მოწყვლა-
დი ნაწილის სოციალური მხარდაჭერა, პონორარები; საარჩევნო
ადმინისტრაციის დამატებითი სტიმულირება და სხვა. სამწუ-
ხაროდ, „იდეალურად“ ჩატარებულ არჩევნებშიც კი, ძალზე დიდი
ხვედრითი წილი უკავია არალეგალურ და აღურიცხავ ფულს.

უფრო ზუსტად, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყოველგვარი არჩევნებისადმი ნიჰილისტურად არის განწყობილი, დიდი ფული და მოსყიდულები გადამწყვეტ როლს თამაშობს ამა თუ იმ ჯგუფის ხელისუფლებაში ე.ნ. ლეგიტიმური გზით მოსაყვანად, მათ შორის მოიაზრება ხავერდოვანი გადატრიალება თუ რევოლუცია.

დასავლეთის დიდი დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებაც (უკვე ჩვენიც) ადასტურებს, რომ საარჩევნო კამპანიების დაფინანსებაში გადამწყვეტ როლს „ზენოლის ჯგუფები“ თამაშობენ, რომლებიც ცდილობენ გავლენა მოიპოვონ მომავალ ხელისუფლებაზე, ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების მართვაზე.

ბევრი ფული იხარჯება პარტიულ სიებში ბიზნესმენებისა და ე.ნ. ცნობადი სახეებისთვის გამსვლელი ადგილის მოსაყიდად. რუსეთის და სხვა ტრადიციულად არადემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ დიდი ფულადი სახსრების ბრუნვა დაკავშირებულია მაჟორიტარული წესით დეპუტატების არჩევასთან. ადგილებზე, ლოკალური მასშტაბით ელექტორატის გადაბირება „ჩემი და ჩვენის“ პრინციპით შედარებით ადვილი მისაღწევია, თუმცა ჯანსაღ საარჩევნო გარემოში, მაჟორიტარული არჩევნები რეალური არჩევნებია და ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველი.

გაუკულმართებული საარჩევნო სისტემის პირობებში ამომრჩეველთა მოსყიდვის ერთ-ერთი საშუალებაა, „საზოგადოებრივი საარჩევნო“ და „პარტიული ფონდები“, ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი და კერძო შემოწირულობები, კარგად შენიდბული უცხოური დახმარებები. ცხადია, მსხვილი ეკონომიკური ჯგუფებისთვის არჩევნების დაფინანსება არის პოლიტიკური აუცილებლობა, რათა მოიპოვონ ზემოქმედების ბერკეტები სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაზე.

მოკლედ, დიდი დემოკრატიის ქვეყნებშიც კი ფული პოლიტიკური პროცესების ძირითად მამოძრავებელ ძალად გვევლინება.

ეს კი საკმაოდ ძვირ უჯდება ხალხს და ქვეყანას. ასე, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1986 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს რესპუბლიკელთა საარჩევნო ფონდმა შეადგინა 3,5 მილიონი დოლარი. ექსპერტთა აზრით, წინა საუკუნეებთან შედარებით საარჩევნო თანხამ მნიშვნელოვნად მოიმატა. რესპუბლიკელი ჯორჯ ბუშის (უმცროსი) საარჩევნო კაპიტალმა 44,3 მილიონ დოლარი შეადგინა, ხოლო დემოკრატი ელ გორისამ – 22,5 მილიონი.

რუსი უურნალისტების აზრით, ძალიან დიდი ფულის გარეშე წარმოუდგენელი იყო რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე ბორის ელცინის მეორედ მოსვლა. ბუნებრივია, არსებობს საშიშროება, რომ მალე არჩევნები ფინანსური შესაძლებლობების შეჯიბრებად გადაიქცევა და დაკარგავს თავის პრაქტიკულ დანიშნულებას, ანუ დემოკრატის, ანუ ხალხის წარმომადგენლების ხელისუფლებაში მოსვლის ამ უმნიშვნელოვანეს ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარს.

მსგავსი ტენდენციები საქართველოს სინამდვილეშიც შეინიშნება. ჩვენი ქვეყნის მოაზროვნე ადამიანები შეძრა „ახალ ქართველთა“ ერთ-ერთ შეკრებაზე ამას წინათ საჯაროდ გაცხადებულმა ფრაზამ: ჩვენ უნდა შევუკვეთოთ პოლიტიკა ხელისუფლებასო. თუ ამ გზით წავიდა საქმე და ეტყობა აქითკენ მიდის, ფული და ფულიანი მაგნატები, ოლიგარქები გადაწყვეტენ არჩევნების, უფრო ზუსტად ქვეყნის და ხალხის ბედს. ასეთ ვითარებაში აზრს დაკარგავს დემოკრატიის უმთავრესი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ხალხი არის ქვეყნის უზენაესი ბატონ-პატრონი, რომელიც ირჩევს ხელისუფლებას და კონსტიტუციით დადგენილი ვადით გადასცემს მას თავის უფლებამოსილებას; რა აზრი აქვს პარტიებისა და მათი წარმომადგენლების გულმხურვალე წინასაარჩევნო მოწოდებებს თუ უფულოებს არა აქვთ გამარჯვების არანაირი შანსი?

რა ქნან ნიჭიერმა მამულიშვილებმა, რომელთაც ყოველგვარი მონაცემები აქვთ გახდნენ ქვეყნის ღირსეული წინამძღვანები, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, სიკეთე მოუტანონ

საკუთარ ხალხს, მაგრამ დიდი ფული არა აქვთ და ასარჩევთა კანდიდატთა სიებშიც ვერ მოხვდებიან?

რა ქნან იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ჭეშმარიტად გამოხატავენ ხალხის ინტერესს, მზად არიან მისი სამსახურისთვის, აქვთ ახალი სახელმწიფოს აშენების რეალური პროექტები, მაგრამ არ აქვთ ფული და ვერ გაუწევენ კონკურენციას ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოსა და ხალხის ძარცვით, ათასგვარი მაქინაციებით იშოვეს დიდი ქონება და არჩევნებში გამარჯვებით ახალი სიმდიდრისა და გავლენის მოსახვეჭად იბრძვიან?

ბევრი ცნობილი პოლიტიკოსის, მეცნიერის და ექსპერტს აზრით, ეს არის დემოკრატიის ის დილემა, რომლის სამართლიანი გადაწყვეტა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა ფუნდამენტურ ცვლილებების აუცილებლობასთან არის დაკავშირებული. ცნობილია, რომ დიდი ჩერჩილის წუხილი დემოკრატიის „უვარგისობაზე,“ სწორედ ამ დილემით იყო განპირობებული.

ეს პრობლემა მეტ-ზაკლებად ამჟამადაც არის „ბებერი“ კონტინენტის განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში, თუმცა, ბოლო წლებში ევროპის ბევრ „ქველ“ და ახალ ქვეყნებში ხელისუფლებაში მემარცხენე ორიენტაციის ძალები მოდიან, რომელთაც სამართლიან არჩევნებში ხალხმა დაუჭირა მხარი. ეს იმის გამო მოხდა, რომ იქ მაღალია მოსახლეობის პოლიტიკური კულტურა, დამკვიდრდა კანონის უზენაესობა, გაჯანსაღდა საარჩევნო გარემო, სასამართლო გახდა სამართლიანი და მიუკერძოებელი, მოწესრიგდა არჩევნებზე საზოგადოებრივი დაკვირვების სისტემა.

ამ თვალსაზრისით, უნიკალურია ბოლო წლებში დიდი ბრიტანეთის „ახალი ლეიბორისტების“ გამოცდილება. ტონი ბლერის ხელმძღვანელობით, 1995 წელს გამოქვეყნდა პარტიის წესდების მე-4 სტატიის ახალი ვარიანტი. ლიდერთა განმარტებით, მათი არჩევის შემთხვევაში ბრიტანეთი გახდება ქვეყანა, სადაც „ხელისუფლება, ძალაუფლება, სიმდიდრე უნდა იყოს უმრავლესო-

ბის და არა უმცირესობის ხელში, სადაც უფლებები შეესაბამება მოვალეობებს, დამკვიდრდება კანონის უზენაესობა, სოლი-დარობა, ურთიერთპატივისცემა: „ერთი სიტყვით, ეს იყო „მესამე გზის“ არჩევანი, ანუ ის, რაც უძველესიც არის და ახალიც თანა-მედროვე ცივილიზაციაში.

დიდ ბრიტანეთში ხალხი ენდო ლეიბორისტებს. მათ პირნა-ათლად შეასრულეს წინასაარჩევნო მანიფესტის 177 დაპირება, ამიტომაც 2001 წელს მეორედ გაიმარჯვეს საყოველთაო არჩევ-ნებში. ბრიტანელთა აზრით, პარტიამ შექლო ხალხის დარწმუ-ნება. ამით, იმის თქმა მინდა, რომ ხალხს, რომელმაც იცის თავი-სუფლების ფასი, აქვს ლირსების გრძნობა და პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და საკუთარი ოჯახის წინაშე, შეუძლია არჩევნე-ბიდან გამარჯვებული გამოვიდეს.

პოლიტოლოგები არ ცდებიან, როცა ამბობენ, რომ არჩევნებს ქალები იგებენო. ეს ჩვენს დროში ქალთა ემანსიპაციის საუკეთე-სო დასტურია, გენდერული თანასწორობის მისაღწევად საერ-თაშორისო ძალისხმევის შედეგია. არჩევნებში, განსაკუთრებით ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, განუხრელად იზრდება ახალ-გაზრდების როლი და მნიშვნელობა. ასე იქნება ჩვენთანაც. წინა არჩევნების სტატისტიკაც ქალთა და ახლგაზრდების გააქტიუ-რების საინტერესო დინამიკას გვაძლევს.

ცხადია, არჩევნებში განსაკუთრებული როლი აკისრია მას-მედიას. მას ყველაფერი ან, თითქმის ყველაფერი შეუძლია ამომრჩეველთა დასარწმუნებლად და გადასარწმუნებლადაც. ამ თვალსაზრისითაც საყოველთაოდ არის ცნობილი „რუსთა-ვი-2“-ის გაკვეთილები. ფაქტია, რომ უცხოეთში და მეტ-ნაკლე-ბად ჩვენთანაც, მასმედია საარჩევნო ბიზნესის მნიშვნელოვანი მოთამაშე და მხარჯველი სუბიექტია.

საქართველოში ამჟამად არის თითქმის ყველა წინაპირო-ბა, ხალხმა, საკუთარ ათწლიან გამოცდილებაზე დაყრდნობით ობიექტური არჩევანი გააკეთოს. სამწუხაროა, რომ ჩვენში პარ-ტიათა უმეტესობამ ქუჩაში მოუმზადებელი გასვლით და ცი-ნიზმამდე მიყვანილი პოპულისტური დაპირებებით ისე გაიტება

სახელი, რომ, როგორც იტყვიან, რიგით და წესით, ვერც დიდი ფულით უნდა შეძლონ წარმატების მიღწევა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს საარჩევნო კოდექსი დაიხურება და მოქმედი საარჩევნო კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად, არჩევნები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დროა შეიქმნას საარჩევნო სუბიექტების ფონდი, რომელიც იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე. რაც შეეხება შემოწირულობის რაოდენობას, კოდექსში არანაირი შეზღუდვა არ არსებობს: კერძოდ, არ არის დადგენილი იმ თანხის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის გადაჭარბებაც აიკრძალებოდა კანონით, ეს მაინც არაფერს შეცვლიდაო, ითქვა მაშინ, თუმცა ადვილი შესაძლებელია, ნეგატიური მოვლენების სტიმული გახდეს და არჩევნებში უკანონოდ დიდი თანხის ჩადებას შეუწყოს ხელი.

„დილის გაზეთი“ („სათანჯო“),
17 მაისი, 2002წ.

306 უცდა მოვიდეს ხელისუფლებაში?

აშშ-ს ხელისუფლება შედარებით ახალგაზრდა ხელისუფლებაა, თუმცა სწორედ მათ შეიტანეს ყველაზე თვალსაჩინო წვლილი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთობაში დემოკრატიზმისა და პრაგმატიზმის დამკვიდრებაში. ამერიკელებს ბავშვობიდან აქვთ საკუთარი თავის იმედი, ახასიათებთ თავდაჯერებულობა. ამერიკელის ფილოსოფია მარტივია. მათი მიზანი მხოლოდ ერთია – რაც შეიძლება მეტი მოგება და თანაც სწრაფად. ამისთვის ისინი ბევრს შრომობენ და ძალაუფლებას (მათ შორის ფულის ძალაუფლებასაც) ღიად, დაუფარავად გამოხატავენ. კანონით მინიჭებული და დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებში ისინი დამოუკიდებელი და პირდაპირები არიან, აფასებენ ადამიანის პატიოსნებას და გულახდილობას, სწრაფად გადადიან საკითხის არსობრივ განხილვაზე და ნაკლებ დროს ხარჯავენ ფორმალობებზე.

დეილი კარნევი

დემოკრატიულ ქვეყნებში არჩევნებს თან ახლავს საზოგადოების დაძაბულობა, განსხვავებულ აზრთა და პოზიციათა დაუნდობელი ჭიდილი, თავიანთი პარტიული პლატფორმებისა და ლიდერების გაზვიადებული განდიდება, ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად ათასგვარი ხერხებისა და საშუალებების გამოყენება, ხშირად ძვირად ღირებული რიტუალების გამართვა; ამ ქვეყნების უმეტესობაში, როგორც წესი, საარჩევნო ბატალიებს აქვს ცივილური ფორმა და სრულიად თავსდება ტრადიციულად დადგენილ ე.წ. საარჩევნო კოდექსის მორალურ ნორმებში; თუმცა ხდება ისეც, რომ ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენაა მძიმე სიტყვიერი დაპირისპირება (ზოგან პირდაპირი დებატების ფორმატში), ხელისუფლებისა და მმართველი ძალების დისკრედიტაცია, თანამდებობის პირებისა და პარტიული ლიდერების „გაშავება,“ მაგრამ ძალზე იშვიათია პირადი შეურაცხყოფა, მით უმეტეს, ფიზიკური ხელყოფა.

დაუშვებელი გადამეტების შემთხვევაში, იქ კანონი კანონობს ყველასთვის და დადგენილი ზღვრის გადალახვის შემთხვევაში გარდუვალია მორკალური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ დაპირისპირებებში არასდროს მიჰყავთ დაპირისპირება იქამდე, რომ საფრთხე შეექმნას სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას, ჩირქი მოეცხოს ქვეყნის ავტორიტეტს, ეროვნულ ღირსებას, შეფერდეს სახელმწიფო ინსტიტუტების და კერძო დაწესებულების საქმიანობა, დაირღვეს მოქალაქეთა სიმშვიდე.

ჩვენი ნორჩი დემოკრატიის სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მხოლოდ ახლა ვსწავლობთ თვითგამოხატვის წესებსა და ნორმებს, საარჩევნო ტექნოლოგიებს, ამიტომაც, ალბათ, არ არის საჭირო განსაკუთრებული დრამატიზაცია მოვლენებისა, რაც ადრე და ახლაც ხდება ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით, მაგრამ უეჭველია, რომ ზომიერება და გონიერება ყველა საარჩევნო სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს მოეთხოვება.

რა სურთ პოლიტიკურ პარტიებს?

რაღა თქმა უნდა, ხელისუფლებაში მოსვლა; გამარჯვება თვითმმართველობის ორგანოებში, პარლამენტში (კონსტიტუციური უმრავლესობით), საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტის პოსტის მოპოვება. ამაში არაფერია გასაკვირი, სწორედ ესაა დემოკრატია (ასეა ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში), რათა მმართველობაში ხალხის ჭეშმარიტი რჩეულები, ახალი იდეები და ახალი ძალები მოვიდნენ, განახლდეს და განვითარდეს ქვეყანა.

რას მოელიან ამომრჩევლები?

ჩვენი მოსახლეობისთვის ჯერ კიდევ აქსიომადაა მიჩნეული, რომ ღვთის მიერ ადამიანები შექმნილნი არიან როგორც თანასწორი არსებანი და უფლისგან მინიჭებული აქვთ საყოველთაო და ხელშეუვალი უფლებები, მათ შორის და უმთავრესი – სიცოცხლე, თავისუფლება, გარანტირებული ადამიანური ცხოვრების უფლება, ბედნიერება. ჩვენ ვირწმუნეთ, რომ ამ უფლებათა უზრუნველსაყოფად აუცილებელია ეროვნული სახელმწიფო, რომლის ერთადერთი გამგებელი იქნება ხალხის ნებით და ხალხის თანხ-

მობით არჩეული ხელისუფლება, რომელიც მიიღებს და აღას-რულებს სამართლიან კანონებს, უზრუნველყოფს ობიექტურ მართლმსჯულობას; ჩვენ დასავლეთის დიდი დემოკრატიების ღირებულებებიც ვირწმუნეთ, მათ შორის ისც, რომ თუ რომელიმე ხელისუფლება ოდესმე ამ მიზნის შემლახველი გახდება, ხალხს აქვს კანონიერი უფლება შეცვალოს ან გააუქმოს იგი და შექმნას ახალი მთავრობა და აღჭურვოს ისეთი ძალაუფლებით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება ხალხის კეთილდღეობისა და ბედნიერებისთვის; ჩვენ ვირწმუნეთ, რომ ხალხს შეუძლია აიტანოს მოსათმენი სიდუხჭირე, მაგრამ ვერ აიტანს გაუთავებელ უსამართლობასა და ბოროტებას, ვინმეს მიერ ხელისუფლების მიტაცებას, დიქტატუა და ბატონობას; ჩვენ დავიჯერთ, რომ ხალხის უფლება და მოვალეობაა ბოლო მოუღოს ამგვარ ხელისუფლებას, აირჩიოს და დაამკვიდროს ახალი ხელისუფლება; ჩვენ ვირწმუნეთ, რომ ხელისუფლების შეფასების ერთ-ადერთი კრიტერიუმია ის, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი ხალხის (ქვეყნის თითოეული მოქალაქის) უკეთეს და უსაფრთხო ცხოვრებას წინა ხელისუფლებასთან შედარებით.

სამწუხაროდ, ბოლო დროს არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენი საინფორმაციო საშუალებების (ქართული დემოკრატიის ერთ-ერთი გამორჩეული მონაპოვარი!) ინფორმაციები საომარი მოქმედებებიდან რეპორტაჟებს უფრო ჰგავს; არავითარი კარგი, ლამაზი, ნათელი, სუფთა, ლირსეული, მხოლოდ საარჩევნო ციებ-ცხელების პრიზმაში დანახული შავი სამყარო, ავადმყოფი და მახინჯი სახეები, ამაზრზენი რეალობა და დრამატული ყოფითი კადრები; ტელეეკრანებს არ შორდება საბარიკადო ბატალიები, უხამისი დაპირისპირება და ძალადობა (ცემა-ტყეპის ჩათვლით), გაფიცვები, ქუჩის აქციები, კარების აჭედვის და უკმაყოფილო ადამიანების ე.ნ. შექრების ადრე ნაცადი პრაქტიკის რეამინაციის მცდელობა. არაფერს ვამბობ ზომბირების დონეზე ორგანიზებულ და მოდელირებულ ცნობებზე (ქვეყნის ამა თუ იმ ტერიტორიაზე თითქოსდა სამხედრო ოპერაციების მოსალოდნელ დროსა და ადგილებზე, უცხო ქვეყნების და მათი საიდუმლო

სამსახურების ხრიკებზე, სამხედრო შენაერთების გადაადგილების მარშრუტებზე და სხვა). თითქოსდა ყველას გამორჩა, რომ არ შეიძლება ვანგრევდეთ სახელმწიფოს, რომელიც დასაბამიდან იყო და არის საზოგადოების უმთავრესი სიკეთე და მართლწერიგის უპირველესი წყარო.

სამწუხაროდ, 90-ან წლებიდან ჩვენში სახელმწიფოს, როგორც ყველაზე დიდი ბოროტების ისეთი ხატი შეიქმნა, რომ საზოგადოების უდიდეს ნაწილში იგი დღემდე ასოცირდება მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის, ყოველგვარი უკულმართობის, ჩაგვრის და ძარცვის იარაღთან. უფრო მეტიც, ამ ბოროტების ბუნავში ხელალებით მოიაზრება მთელი ხელისუფლება (პარლამენტი, მთავრობა, პრეზიდენტი, სამართლის ინსტიტუტები), როგორც მძარცველთა და ლამის (ღმერთმა დაგვიფაროს!) ხალხის მტერთა კრაზანას ბუდე, კორუფციის სავანე.

პარადოქსია, მაგრამ ხელისუფლებას და მთავრობას უპირატესად ურცხვად ისინი აცვამენ ჯვარზე, რომლებიც ბოლო წლებში ქართულ სახელმწიფოს ედგნენ სათავეში, რეფორმებს მეთაურობდნენ, დასავლურ ყაიდაზე ქვეყნის გადაკეთების, საყოველთაო სიღატაკის დაძლევის პომპეზურ გეგმებს სთავაზობდნენ ხალხს და ქვეყანას. კაცმა რომ თქვას, მათ დაავიწყდათ, რომ მათი უმეტესობა ის ხალხია, ვინც პასუხს აგებდა ქვეყნის უახლოეს წარსულზე, დღევანდელ მდგომარეობაზე, მის მომავალზე.

დემოკრატია ჭეშმარიტად გულისხმობს აზრის თავისუფალ გამოხატვას, არსებული პრობლემების საჯაროდ გამოტანას, საზოგადოების ქვეყნის განვითარების უკეთესი გზების შემუშავებას. ბუნებრივია, რომ საქართველოში სამართლიან არჩევნებს, ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას ალტერნატივა არა აქვს, ვინაიდან ბოლო წლებში სახეზეა მოქმედი ხელისუფლების მრავალი ტრაგიკული შეცდომა, გაუგებრობებით აღსავსე პოლიტიკური ორიენტაცია, საყოველთაო კორუფცია, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, არნახული უმუშევრობა და სიღარიბე.

მაშტოთებს, რომ ქუჩაში გამოყვანილ ახალგაზრდებს (მათ შორის ბევრია სტუდენტი და მოზარდი) ახალი ქართული სახელმწიფო წარმოუდგენიათ ურჩებულად, რომელიც ვერ შედგა, მათთვის ის მახინჯი მონსტრია, რომელიც უნდა დაინგრეს; აქედან საყოველთაო ანარქიამდე, სამოქალაქო დაპირისპირებამდე და ქაოსამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია (ჩვენთან ეს უკვე იყო!). და რასაც შეიძლება მოჰყვეს საზოგადოების გათითოვაცება, საყოველთაო ნიჰილიზმის ფონზე კი ბელადის, სუპერმენის გამოჩენა და მისი, როგორც ხდება ხოლმე, 99,8% ხმით ერის წინამძღვალად არჩევა (სავარაუდოდ ერის გაერთვაცება!). მაიმედებს ის, რომ საქართველო გონიერი, ბრძენი, უაღრესად შორსმხედველი მოსახლეობის, ნიჭიერი ახალგაზრდების ქვეყანაა, რომელმაც 90-ან წლებში საკუთარ თავზე იწვნიეს ეროვნული უბედურება და უთუოდ ფიქრობენ იმაზე თუ რა ძალებმა არ უნდა გაიმარჯვონ არჩევნებში, ვის არ უნდა მიანდონ სახელმწიფოს საჭე და საკუთარი ბედი.

ცხადია, პოლიტიკურ პროცესებს პოლიტიკური პარტიები (ამ ეტაპზე არჩევნებში მონაწილე) უძლვებიან. ისინი ძალზე ბევრია, მათ შორის მრავალია (არ მეტვება) სულით და ხორცით მამულიშვილი, ლირსეული პატრიოტი, ბევრ მათგანს შესანიშნავი, საქმეში ნაცადი, გამოცდილი პოლიტიკური პიროვნებები ლიდერობენ, რომლებიც ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გონივრულ რეცეპტებს გვთავაზობენ. დიდი დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებით თუ ვიხელმძღვანელებთ, მრავალპარტიულობა ბედნიერებაა, მაგრამ პარტიათა შორის რადიკალური დაპირისპირების (და ყველგანმყოფი რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის) პირობებში, ძალზე მაღალია მოვლენათა ტრაგიკული განვითარებისა და ახალი ეროვნული კატასტროფის ალბათობა. აღნიშნულ საფრთხეს აძლიერებს ისიც, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიათა (მათს შორის საკმაოდ ხანგრძლივი ბიოგრაფიის და გამოცდილების მქონეთა) მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, პროგრამებს, წესდებებს, მიზანდასახულობას და სამოქმედო გეგმას ხალხი არ იცნობს, ან ძალზე ცუდად იცნობს. ამ თვალსაზრისით, საკსეპით

ლოგიკურია შეკითხვა,—საარჩევნო ყუთთან მისულმა ამომრჩეველმა საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად არ უნდა იცოდეს რატომ აძლევს ხმას ამა თუ იმ პარტიას და მის კანდიდატებს? არ უნდა ჰქონდეს საშუალება დაფიქრდეს იმაზე თუ რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ვთქვათ, ახალი მემარჯვენები თუ ლეიბორისტები, ეროვნულ-დემოკრატები თუ სოციალისტები, აღორძინება თუ ტრადიციონალისტები, მრეწველები თუ კომუნისტები?

სამწუხაროდ, ასეთი რამ არ ხდება, ან გამონაკლისი ფუფუნებაა. პარტიათა უმეტესობა ამჟამად გულუხვად პირდება ხალხს უზრუნველ ცხოვრებას, ანუ საარჩევნო კომუნიზმს (გზების დაგება, სახლების რემონტი, ბინები, დასაქმება, უფასო სამედიცინო მომსახურება, შეღავათიანი ელექტროენერგიით, აირით უზრუნველყოფა, იაფ პური, ფქვილი, დიდი პენსიები). ბევრს არც ქვრივ-ოხრები, შესაძლებლობა შეზღუდული ბავშვებისთვის საჩიუქრების დარიგება ავიწყდება და ასე შემდეგ. კარგია, რომ ახსოვთ ხალხი, ადამიანები, დაუცველი სოციალური ჯგუფები, მაგრამ რამდენად რეალურია ყოველივე ეს?

ძალიან ცდება ის, ვისაც მიაჩნია, რომ მხოლოდ საარჩევნო საეთერო დრო, კლიპები, მიტინგები, ხმაურიანი დაპირებები, მხარდამჭერი ტელევარსკვლავების სიუხვე, ე.ნ. „შავი ან თეთრი“ პიარები და ანტიპიარები, ცნობილ ადამიანთა სიმპათიები და ანტიპათიები საკმარისია გამარჯვებისთვის, თუ ქვეყნის მოუსყიდავმა ელექტორატმა თავად არ მიიღო ლოგიკური, საკუთარი ინტერესების ადეკვატური, შედეგზე გათვლილი და გააზრებული, შინაგანი მრჩამსის შესაბამისი გადაწყვეტილება.

პარტიამ, რომელსაც სურს გამარჯვება, აუცილებელია დასაბუთებულად განმარტოს, რომ ხელისუფლებისთვის ხალხი არის მიზანი და არა საშუალება, როგორც ეს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ირკვევა. მებრძოლი პარტიისთვის ეს თეორიის საკითხი არ არის, ისევე როგორც რეალური ვალდებულება ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წინაშე; აუცილებელია განგაში ქართველი ერისა და ქართული ენის პრო-

ბლემებზე, რადგან და მათი როლი და ადგილი, რბილად თუ ვიტყვი, შესაძლოა დაკინიდეს ქვეყნის ცხოვრებაში (როგორც ეს პოლო წლებში ბევრ სხვა სახელმწიფოში მოხდა); ამავე კონტექსტშია ჩემთვის სავსებით მისაღები „ახალი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ იდეა, თუმცა დასაფიქრებელია ამ ტერმინის გარშემო საზოგადოებასა და ქვეყანაში ატენილი აუიოტაჟი. (თუნდაც საქართველოს მოქალაქეობის საიდენტიფიკაციო დოკუმენტებში ისეთი ჩანაწერების შეტანა, სადაც „ნაციონალი“ იგივდება ხან მოქალაქეობასთან, ხან კიდევ ეროვნულობასთან). თუ „ნაციონალი“ ნამდვილად „მოქალაქეს“ გულისხმობს, ანუ ბურუუას (საფრანგეთში „ბურუუა“ ჯიხურის მფლობელს ნიშნავს) მოქალაქეთა მოძრაობას რატომ ვარქმევთ ნაციონალურ მოძრაობას? იქნებ ქართული ერი-სახელმწიფოს ახალი არქიტექტურა ყალიბდება?

საქართველოს ნამდვილად სჭირდება ეროვნული ბურუუა, პატიოსანი, მართალი ბურუუა, საქმის, ბიზნესის ადამიანები და რა არის ამაში სამარცხევინო, მით უფრო, რომ, როგორც ახლა ცალსახად მიაჩინათ ლიბერალ-დემოკრატებს, ეროვნული ბურუუაზის გარეშე არსად და არასოდეს ეროვნული სახელმწიფო არ აშენებულა!

ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ ბურუუას განსაკუთრებული საზრუნავი აქვს—ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ჩვენისთანა პატარა ქვეყნებმა შეინარჩუნონ თვითმყოფადობა, დიდმა სახელმწიფოებმა პატარა ქვეყნებისთვის უფლისგან ბოძებული საარსებოდ აუცილებელი ბუნებრივი რესურსები, ასწლეულებში შექმნილი ეროვნული სიმდიდრე და კულტურული ფასეულობანი არ გადაყლაპონ.

უფრო რთული საკითხია „მემარჯვენეთა“ და „მემარცხენეთა“ ისტორიული დაპირისპირება, დაწყებული მე-17 საუკუნიდან და სადაცო დღემდე (თუმცა სხვა სახელით იგი კერძო საკუთრების გაჩენიდან იღებს სათავეს), რამაც საქართველოს ისტორიაშიც დატოვა მნიშვნელოვანი კვალი. ჩვენთან ახლა მო-

დაშია მხოლოდ მემარჯვენეობა, როგორც ქვეყნის გადარჩენის პანაცეა, თუმცა არის მემერცხენეობის გადარჩენის მცდელობა ევროპული სოციალიზმის მყარი არგუმენტებისა და პოზიციების მაგალითად მოხმობის საფუძველზე. სახეზეა მათი ერთგვარი შერიგების მცდელობა, კერძოდ, მემარცხენე-ცენტრისტული თუ მემარჯვენე-ცენტრისტული პლატფორმების (ან პირიქით) სახით, რაც უპირატესად დამახასიათებელია ევროპული სახელწიფოებისთვის. ამ საკითხებთან მჭიდრო კავშირშია პოლიტიკური იდეოლოგიები. მათ შორის კი ამჟამად გამორჩეულია ობიერალიზმი და კონსერვატიზმი, თუმცა კაცობრიობამ საკმაოდ კარგად „გაუსინჯა გემო“ სოციალიზმს, ნაციონალიზმს, ანარქიზმს, ფაშიზმს, ფემინიზმს, ეკოლოგიზმს, რელიგიურ ფუნდამენტალიზმს. მარად ძველი და მარად ახალი იდეოლოგია და პრაქტიკაა მარად ცოცხალი დემოკრატია, ბოლო და უახლოესი კი დემოკრატიის გლობალიზაცია.

ქართული სინამდვილე ასეთია: საქართველო არის (ყოველ შემთხვევაში ცდილობს გახდეს) დამოუკიდებელი, სუვერენული თანამედროვე სახელმწიფო თავისუფალი კონკურენციის საბაზრო ეკონომიკით. თეორიაში, ეს ისეთი ურთიერთობაა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს სახელმწიფოს განვითარებაში, აქვს შრომის მაღალი სტიმულირება, უზრუნველყოფს ენერგიულ პიროვნებათა მოტივირებას მოგების (მაღალი შემოსავლების) მისაღებად, უშვებს შრომის და უშრომელი შემოსავლის თავისუფლებას (რადგან სამუშაო ძალაც საქონელია), დამქირავებელს და დაქირავებულს, ადამიანის ეკონომიკურ თავისუფლებას და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას. ბევრ ექსპერტს მიაჩინია, რომ ბაზარი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა კატეგორიას მიეკუთვნება და მსოფლიო ცივილიზაციის კუთვნილებას წარმოადგენს, და სხვა რამ, მასზე უკეთესი, კაცობრიობას დღემდე არ შეუქმნია, თუმცა უდიდეს მეცნიერ ეკონომისტთა აზრით, არც ასე მარტივადაა საქმე.

საქართველოში ბევრ მკვლევარს მიაჩინია, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა იდეალური ფორმით არსად შექმნილა და

არც შეიქმნება, მასაც აქვს თავისი უამრავი დეფექტი. კერძოდ, მონოპოლიზმისკენ მზარდი მისწრაფება, მოუთოკავი ინფლაცია, პერიოდული ეკონომიკური კრიზისები, დეპრესიები, მოსახლეობის დიდი ნაწილის უმუშევრობა და მრავალი სხვა, რომელთა დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს გონივრული ჩარევით.

ერთი რამ ცხადია, სამწუხაროდ, საქართველოშიც უთუოდ იქნებიან უკიდურესად მდიდრები და უკიდურესად ლარიბები, მაგრამ არასოდეს იქნება საქონლისა და მომსახურების დეფიციტი, სასაქონლო შიმშილი. ბაზარს აქვს თავისი სამართალი და სასტიკი წესები, რომელიც არ უნდა გაიგივდეს მორალის, სამართლიანობისა და თანასწორობის ხალხში დამკვიდრებულ ტრადიციულ გაგებასთან.

მემარჯვენებს, ბევრ სხვა მსგავს პარტიას (საქართველოში თითქმის არ არის პარტია, რომელიც საბაზრო ურთიერთობის უპირატესობას არ აღიარებდეს) მიაჩინათ, რომ ქვეყნის ხსნა და საშველი მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაშია, რომ ბევრი მდიდარი არ ნიშნავს ბევრ ღარიბს, მაგრამ რატომდაც ისანი ამას ამომრჩევლებს საჯაროდ, თანაც მარტივად და გასაგებად არ განუმარტავენ.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს (და ამაში ჩვენც მალე დავრწმუნდებით), რომ საბაზრო მექანიზმების შესაძლებლობები სრულიადაც არაა უსაზღვრო. მას არ შეუძლია საზოგადოების ყველა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა. ცხადია, იმ სფეროებზეა საუბარი, სადაც ბაზარი არ იძლევა შედეგს და სახელმწიფოს ჩარევაა აუცილებელი.

ბაზარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მექანიზმია, ამასთან არის რიგი მოთხოვნილებები, რომელთა ფულით გაზომვა შეუძლებელია. ლაპარაკია სახელმწიფოში ეროვნული მოხმარების ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთაც უკლებლივ მოიხმარს ყველა მოქალაქე (თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სახელმწიფო მმართველობა, ერთიანი ენერგოსისტემა, კომუნიკაციების ეროვნული ქსელი, სოციალუ-

რი დაცვა). ამ დოკუმენტს (მას საზოგადოებრივ საქონელს უწოდებენ) მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესების დაცვის ხასიათი აქვს; მაგალითად, პარლამენტი ემსახურება ქვეყნის ყველა მოქალაქეს, წყალგაყვანილობა – ქალაქის და სოფლის მოსახლეობას და ა.შ. საზოგადოებრივი საქონელი კერძოსგან იმით განსხვავდება, რომ ის ყველას ეძლევა თანაბრად, ერთნაირი მოცულობით. განვითარებულ ევროპულ სახელმწიფოებში საზოგადოებრივი საქონლის მომხმარებელია უმუშევართა უზარმაზარი არმია, უმწეო და დაუცველი მოსახლეობა, გარკვეული კატეგორიის ახალგაზრდობა, უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლები, მეცნიერება, განათლება, კულტურა და სხვა. ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი საქონლის დანიშნულებაა დააკმაყოფილოს სახელმწიფოს, ხალხის, მოსახლეობის მოთხოვნილებანი, რომელთა უზრუნველყოფა ბაზარს პირდაპირ არ შეუძლია და არც არის მისი ფუნქცია. მათ შორის ყველაზე რთულად გადასაწყვეტი და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთვის დღემდე დილემურია მოსახლეობის სოციალური დაცვა. როგორ ფერებშიც არ უნდა იყოს შეფუთული რევოლუცია (გადატრიალება), მისი რეალური საფუძველია სოციალური უკმაყოფილება, ანუ როგორც ხალხში ამბობენ, „მშივრებს კუჭი პირში აქვთ,“ აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. მსოფლიო (და ჩვენს ისტორიასაც) ახსოვს მაგალითები, როცა კონსტიტუცია, პარლამენტი, თეთრი თუ წითელი რესპუბლიკები, დემოკრატიები, თვალისმომჭრელი მედია, პოლიტიკური ავტორიტეტები და სამარადუამო გმირები, სამოქალაქო სამართალი თუ სისხლის სამართლის კოდექსი–ყველა ისინი „მშივრთა ბუნტის“ მიერ, თანაც არც თუ ისე ნიჭიერი რეჟისორის ხელის ერთი აქცევით აღვილა პირისაგან მიწისა.

საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების ოდენობა, დაფინანსების წყაროს გამონახვა, რაოდენობა და ხარისხი სახელმწიფოს პრეროგატივაა, სახელმწიფოს ბიუჯეტის ფუნქციაა. ბიუჯეტის ფორმირებასთან კი მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო და კერძო საკუთრების, შერეული საკუთრების თანაფარდობა, სახელმწიფო საკუთრების გასხვისების დონე,

რაციონალური პრივატიზება (და არა “პრიხვატიზაციის”), რა-ზედაც პირდაპირაა დამოკიდებული სახელმწიფოს ნორმალური განვითარება, მისი უსაფრთხოება, ხალხის ცხოვრების დონე და ხარისხი, დასაქმება, ღატაკი და ღარიბი ადამიანების ურთიერ-თობის მარადიული პრობლემის მოგვარება.

მემარცხენე პარტიები (მხედველობაშია თანამედროვე მე-მარცხენეები, მემარცხენე-ცენტრისტები თუ ლიბერალი მე-მარცხენეები), მიუხედავად მათი სარეგისტრაციო სახელწიფე-ბისა, სწორედ რომ, ჩემი აზრით, უპირველეს მიზნად ისახავენ სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივი საქონლის წარმოებასა და განაწილების სამართლიანი სისტემის შექმნას. სხვა სიტყვებით, ეს ნიშნავს მიზანს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში არა მხოლოდ საბაზრო სამართლიანო-ბის მიღწევა, თანასწორობა (ან თანასწორი განვითარების პირო-ბების შექმნა), არამედ საზოგადოებაში ჰუმანური ურთიერთო-ბების უზრუნველყოფა, საერთაშორისო დოკუმენტებით დეკლა-რირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა რეალური დაცვა. მათ შეუძლიათ უფრო მტკიცედ შეებრძოლონ კორუფ-ციას და კულუარულ გარიგებებს, ხელი შეუშალონ სახელმწიფო მმართველობაში გავლენიანი ჯგუფების (ოლიგარქების) მოსვ-ლას. დიდი ანგარიშით „მემარცხენეები“ მოითხოვენ სახელმწი-ფო რეგულირების ოპტიმალურ დონეს, სამაკაცო შავი კაპი-ტალის და ახალი ბობოლების დაუშვებლობას ხელისუფლებაში, გავლენიანი ჯგუფების შეზღუდვას, რომ ისინი პოლიტიკურ შეკ-ვეთებს არ აძლევდნენ პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტის წევრებს.

„მემარცხენეები,“ ისევე როგორც „მემარჯვენეები“ ხალხს უნდა ესაუბრონ უფრო გულწრფელად, დამაჯერებლად, მოაწყ-ონ დისკუსიები, სხვა პარტიათა ლიდერებთან პირდაპირი და სა-ჯარო დებატები. მსოფლიო ისტორიის ანალიზი ადასტურებს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ამა თუ იმ ორიენტაციის ორივე მოძ-რაობას ბევრჯერ ჰქონია წარმატება და წარუმატებლობა, რაც სავსებით ბუნებრივია და ნორმალური. ბოლო წლებში ბევრი საა-

მისო მაგალითია მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში.

ბუნებრივია, რომ ისტორიული დროის, ქვეყანაში არსებული რეალური მდგომარეობის, არჩევნებისთვის ფინანსების სიუხვის ან დეფიციტის გამო, (როგორც წესი, მემარცხენებს ყოველთვის აქვთ ეს პრობლემა) არჩევნებში ამა თუ იმ პარტიას მრავალჯერ უგემია გამარჯვება ან დამარცხება, ძალზე ხშირად კი, ამომრჩეველთა თანაბარი მხარდაჭერის გამო შეუქმნიათ კოალიციური მთავრობები. იქნებ ჩვენც ვერ ავცდეთ ამ გზას. მინდა ვირწმუნო, რომ საქართველოშიც შესაძლებელია პოლიტიკური სისტემის სრულყოფა და სარჩევნო გარემოს იმდენად გაჯანსაღება, რომ არჩევნები ჩატარდეს დიდი ფულისა და დიდი ტყუილის გარეშე.

ჩვენ უნდა შევძლოთ დავუმტკიცოთ ჩვენს ხალხს და გარესამყაროს, რომ არა მარტო ცივილიზაციული (და არა მხოლოდ ევროპული) ქვეყანა ვართ, არამედ გაჭირვების და უბედურების დროშიც ვინარჩუნებთ ეროვნულ ღირსებას, შეგვიძლია ე.წ. ცრუ წინასწარმეტყველების, მწიგნობრობის და ფარისევლებისგან გავარჩიოთ ჭეშმარიტად მოაზროვნე, პროფესიონალი და პატიოსანი მოღვაწეები, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ქვეყნის პროგრესი, მოსახლეობის კეთილდღეობა.

ვფიქრობ რა ამ ურთულეს საკითხზე და მაქვს მწარე გამოცდილება (ძალზე ადრეული, მოგვიანებით კი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის არჩევნებთან დაკავშირებით), მაგრამ ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია (რაზედაც ღიად ვიტყოდი), რომელ პარტიას მივცემ ხმას. თუმცა უეჭველია, რომ ხმას მივცემ და დაუფიქრებლად დავეხმარები იმ ძალების მოსვლას ქვეყნის სათავეში, რომლებიც ყველაფერს გააკეთებენ ქვეყნის გასამთლიანებლად, რომლის გარეშე არა მარტო არ დასრულდება ასეულ ათასობით დევნილის და ლტოლვილის ტანჯვა, არამედ საქართველოს არ ექნება მომავალი. ამ თვალსაზრისით ძალიან მოკლედ შევჩერდები აფხაზეთში ამჟამად არსებულ (პოსტკონფლიქტურ) ვითარებაზე, რომლის გამოც უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური ზარალი ადგას ქვეყანას, კერძოდ:

1. კონფლიქტური რეგიონების სოციალური და ეკონომიკური

უკუსვლა; ფისკალური პრობლემები (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დანაკარგები, იგპ-თა სოციალური დაცვის ხარჯები და სხვა); საზღვრების დაუცველობა და კონტრაბანდული ტვირთების (ნავთობპროდუქტები, სიგარეტი, შაქარი, ხორბალი და ფქვილი, ხე-ტყე, ჯართი და ა.შ.) მოძრაობა; კრიმინოგენური ვითარების გაუარესება რეგიონებში და მთლიანად ქვეყანაში (ნარკოტიკები, იარაღით ვაჭრობა, ავტომანქანების გატაცება, ადამიანებით ვაჭრობა); ქვეყანაში ერთიანი ფულადი, საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკის გატარების შეუძლებლობა; დემოგრაფიული პრობლემები.

2. დევნილთა პრობლემები, მათ შორის შენახვის ხარჯები, პოლიტიკური სტაბილურობის საფრთხეები, ჰუმანიტარული სირთულეები (დევნილთა ადაპტაცია და ინტეგრაცია, დასაქმება, შენახვის ხარჯები, განსახლება).

3. კონფლიქტის ზონებში დარჩენილი მოსახლეობის სოციალური და კულტურული დაცვის პრობლემები, ეკონომიკის რეაბილიტაციისა შეუძლებლობა, უფლებათა დაცვის მდგომარეობა, უსაფრთხოება.

4. არასტაბილური ვითარება გალის რაიონში, სადაც დაბრუნებული მოსახლეობის დაუცველობა ხელს უშლის უშლიან მოსახლეობას აღადგინონ და განავითარონ მეურნეობა, მათი უსაფრთხოება და დაუცველობა, მათ მიმართ სოხუმის რეჟიმის დისკრიმინაციული პოლიტიკა, ქართველი ბავშვების სწავლებისა და განათლების საკითხები, რთული მდგომარეობა კოდორის ხეობაში, სადაც მოსახლეობა მუდმივი საფრთხის წინაშე (ცხოვრობს).

5. ემიგრაციის დიდი მასშტაბები, კონფლიქტურ რეგიონებში დემოგრაფიული ბალანსის დარღვევა, ყველაზე შრომისუნარიანი ჯგუფების დაკარგვა.

6. მეზობელ სახელმწიფოებიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან და თურქეთიდან კონტრაბანდული, აღურიცხავი და დაუბეგრავი საქონლის დიდი მასების შემოდინება (საწვავი, სიგარეტი, სურსათი, ფართო მოხმარების ნაწარმი), რომელიც კონკურენ-

ციას უწევს კანონიერ იმპორტს, ანგრევს შიდა ბაზარს, საქმი-ანობის სტიმულს უკარგავს ეროვნულ ბიზნესს; საქართველოში შემოსული სიგარეტის 75% დაუბეგრავია, საწვავის 70-80%, რაც 30 პროცენტით აზარალებს სახელმწიფო ბიუჯეტს.

7. ჯართი საქართველოს უპირველესი საექსპორტო საქონე-ლია, რომელიც უკონტროლო ტერიტორიებიდან გადის რუსეთ-ში, ძირითადად თურქეთში; ამ მიზნით იძარცვება სახელმწიფო საწარმოები და დანესხულებები, პრივატიზებული და არაპრივა-ტიზებული ქარხნები და ფაბრიკები, რომელშიც აქტიურად არიან ჩაბმული კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები, აგრეთვე რიგი სახელმწიფო მოხელეები (მომავალი ოლიგარქები და პო-ლიტიკური ბიზნესის ბობოლები), ცალკეული სამართალდამცა-ვები; საქართველოში შეიქმნა და რეალურად ყველგან გაიდგა ფესვი ე.ნ. შავი და ფერადი მეტალის მოპოვებისა და დამზადე-ბის მეგაბიზნესმა (რასაც მონოპოლიურად განავებს კლანური გუნდი, მათ შორის დეპუტატობის კანდიდატები, რომელიც ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკას, განავებს საქართველოს ეროვ-ნული ეკონომიკისა და რესურსების გადანაწილებას; ჯართი და კონტრაბანდა ორგანიზებულად და უკანონოდ გააქვთ სოხუმისა და ოჩამჩირის, ასევე ფოთის და ბათუმის პორტებიდან).

8. საქართველოში იჩეხება და მორებად იყიდება (ძირითადად თურქეთში) ხე-ტყე, ნადგურდება ნაკრძალები, ეროვნული პარ-კები, დაცული ტერიტორიები. უმდიმესი მძიმე მდგომარეობა აფხაზეთში, სადაც განუკითხაობის გამო უმოწყალო იჩეხება ადრე ხელუხლებელი უნიკალური ტყეები და მწვანე საფარი, რე-კრაციული თუ სამკურნალო დანიშნულების ენდემური ტყეები, კორომები, ქარსაფარი ზოლები (საშუალოდ 50 ათასი კუბური მეტრი წელიწადში), რაც გამოუსწორებელ ზიანს აყენებს რეგიო-ნის პირველყოფილ ღანდშაფტს, ბუნებრივ გარემოს, შეუქცევა-დად ცვლის ეკოლოგიურ ბალანსს.

ერთი სიტყვით, კონფლიქტური და პრობლემური რეგიონე-ბის ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე მკვეთრად უა-რყოფითია. ამდენად, ქვეყნის გამთლიანებას ალტერნატივა არა

აქვს, ვინაიდან კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გარეშე საქართველოს დემოკრატიული განვითარება, ეკონომიკური ალორძინება, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება წარმოუდგენელია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, ძნელია ელექტორატის მხარდაჭერას მოელოდეს პარტია თუ პარტიული ბლოკი, რომელიც ამ მიზნის განხორციელების რეალური პროგრამის გარეშე ჩაებმება საარჩევნო მარათონში.

თვალწინ მიდგას ამერიკის ახლად არჩეული (1801 წელი) პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი; ახალ პრეზიდენტს, ქვეყნის თვის უმძიმეს დროში, სჯეროდა, რომ იქ ჯერ კიდევ არამდგრად დემოკრატიულ ინსტიტუტებს სასიკვდილო საფრთხე ელოდათ თუკი ოლიგარქების ხელში უფრო მეტი ძალაუფლება აღმოჩნდებოდა, ვიდრე ეს არჩევნებში გამარჯვებულ მთავრობას ექნებოდა. მაშინ იქ ცხადი იყო, რომ ან დემოკრატებს უნდა გაემარჯვათ, ან უკანონოდ გამდიდრებულ მძარცველებს. ცნობილია, რომ იმ წლებში ამერიკის მოსახლეობის 9% აკონტროლებდა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 72%-ს. ქვეყნის გადასაარჩენად, აშშ პრეზიდენტმა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციაზე, მწერლებზე, ჟურნალისტებზე, პროფესიონალ კანონმდებრებზე, ყველა ასაკის გამოცდილ, პატიოსან სახელმწიფო მოხელეებზე, იდეურ და მოაზროვნე პოლიტიკოსებზე გააკეთა არჩევანი. რუზველტმა კარგად უწყოდა, რომ ტომს უყვარდა და პატივს სცემდა ბელადს მისი დიდი ფიზიკური ძალის, გონიერებისა და მოხერხებულობის გამო, თავისი ტომის წევრების თვის თავგანწირვის თვის მზადყოფნის გამო. მთელი მოსახლეობისგან არჩეულ ლიდერს ფიზიკური ძლიერება არ მოეთხოვებოდა, რადგან ამ ამოცანას სახელმწიფო გადაწყვეტდა, აი, გონიერება, მოხერხებულობა და საჭიროების შემთხვევაში პირადი თავგანწირვა კი აუცილებელი იყო. პარტიებმა ხალხს ასეთი კანდიდატები წარუდგინეს არჩევნებში და ხალხმაც მოუსყიდავი არჩევანი გააკეთა.

ამ პოლიტიკით რუზველტმა არა მარტო გაიმარჯვა, არამედ, ისტორიული გაკვეთილი ჩაუტარა მთელ ამერიკას და მსოფლიო

დემოკრატიულ ინსტიტუტებს, რომ არ შეიძლება ეკონომიკური შესაძლებლობა წყვეტდეს ყველაფერს; ეკონომიკა ფეხზე უნდა დადგეს, მაგრამ პატიოსანი პიზნესით, ხალხის შრომით, სახელმწიფოს როლის და ადგილის პატივისცემით. გაუჭირდა რუზველტს, იმდროინდელ ამერიკასაც, მაგრამ სიმართლემ და სამართლიანობამ ხალხს შეუცვალა მენტალიტეტი, პრეზიდენტმა და ამერიკამ გაიმარჯვა. გაიმარჯვა არა მხოლოდ კანონის, არა-მედ სამართლიანობის უზენაესობამ!

თეოდორ რუზველტი ვაშინგტონის, ჯეფერსონის და ლინკოლნის გვერდით დაასაფლავეს.

ქართველი ხალხი მოელის ჭეშმარიტად სამართლიან, პატიოსან არჩევნებს და ქვეყნის სათავეში ნამდვილად სახალხო ხელისუფლების მოსვლას. მეც და სხვებიც ველოდებით ღირსეულ, გამორჩეულ, პროფესიონალ და ქვეყნისთვის თავდადებულ პოლიტიკოსთა საჯარო შერკვინებას, რათა საარჩევნო ყუთთან უყოყმანოდ მივიდე და ჩემს არჩევანზე მე თვითონ ვაგო პასუხი.

„დილის გაზეთი,“ 31 მაისი, 2002წ.

„სვობოდნაია გრუზია,“ 1 ივნისი, 2002წ.

ნუგზარ აშუბა – მთერი, მეგობარი თუ რეალისტი პოლიტიკოსი?

ნუგზარ აშუბა დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლვაცაში, გლეხის ავაცში. წარჩინებით დაამთავრა ჯგერდის საშუალო სკოლა, შემდგომ ტყვარჩელის პროფესიული სასწავლებელი. ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ელექტრონიკისა და კავშირგაბმულობის სპეციალობაზე. იქვე გახდა პარტიის წევრი. სამუშაოდ ტოვებდნენ კათედრაზე, მაგრამ დაბრუნდა აფხაზეთში, სადაც დიდხანს ვერ მოეწყო სამუშაოზე.

1976 წლიდან ერთხანს მუშაობდა ოჩამჩირის კავშირგაბმულობის კვანძის უფროს ინჟინრად, შემდეგ აფხაზეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტში ინსტრუქტორად, განყოფილების გამგედ. 1977 წელს აირჩიეს კომკავშირის ოჩამჩირის რაიონის პირველ მდივნად. 1986-1991 წლებში ეკავა აფხაზეთის კულტურის მინისტრის თანამდებობა.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს შექმნა რეპატრიაციის კომიტეტი. 1998 წელს მშობლიურ სოფელში გახსნა ჩაის მიკროფაბრიკა. კარგად იცის სადურგლო, სამჭედლო საქმე, ერკვევა მშენებლობის საკითხებში. 2002 წლის 2 მარტს აირჩიეს აფხაზეთის დე-ფაქტო სახალხო კრების წევრად, 2 აპრილს – პარლამენტის სპიკერად. ჰყავს მეულლე და ორი შვილი.

გაზეთმა „რესპუბლიკა აფხაზიამ“ 23-24 აპრილის ნომერში ნუგზარ აშუბასთან ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა. ინტერვიუში ნუგზარ აშუბა საუბრობს აფხაზეთის პარლამენტის საქმიანობის სრულყოფისა და აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე.

უკრნალისტის შეკითხვაზე, იქნებ, ღირდა გაეროს მიერ შემუშავებული „საქართველოსა და აფხაზეთს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ სამუშაო დოკუმენტი პარლამენტში განგეხილათ, ნუგზარ აშუბა პასუხობს:

– „1999 წლის რეფერენდუმზე აფხაზეთის მოსახლეობამ ხმა მისცა აფხაზეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და არანაირი სხვა წინადადება, ვინც არ უნდა შემოგვთავაზოს ის, პარლამენტი არ განიხილავს. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ხალხის ნების შემთხვევაში.“

უურნალისტი ნუგზარ აშუბას შეახსნებს, რომ იგი მისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში საქართველოს კომკავშირულ და პარტიულ სტრუქტურებში მუშაობდა და ურთიერთობა პქონ-და საქართველოს ბევრ ამჟამინდელ თანამდებობის პირთან. პა-სუხად აშუბა აღნიშნავს, რომ „ბევრი მათგანის თვისებაა განუ-სააზღვრელობა და არათანმიმდევრულობა მსჯელობაში. შეუძლია კი ასეთ ხალხს, გადაწყვიტოს ქართულ-აფხაზური კონფლი-ქტი მშვიდობიანი გზით?“

ნუგზარ აშუბა ადასტურებს, რომ მას თბილისში ბევრი მე-გობარი ჰყავდა, რომელთა შორის მრავალს დღესაც უკავია მა-ლალი თანამდებობები, მაგრამ, მისი აზრით, „სამწუხაროდ, ვამ-ბობ „იყვნენ“, რადგან, როგორ შეიძლება მეგობრად მიგაჩნდეს ადამიანი, რომელსაც უკავია საქართველოს თავდაცვის მინი-სტრის მოადგილის პოსტი და არ გაგაფრთხილოს აფხაზეთში შეიარაღებული ძალების შეყვანაზე, ომის დაწყებაზე?.. განა იმის შემდეგ, რაც აქ მოხდა შეიძლება ისინი იყვნენ ჩემი მეგობრები? ისინი დღემდე არ აღიარებენ თავის შეცდომებს.“

ეტყობა, ბატონ ნუგზარს მხედველობიდან გამორჩა საყო-ველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეზღუდული სამხედრო კონტინგენტის აფხაზეთში შეყ-ვანა შეთანხმებული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლი-კის მაშინდელ ხელმძღვანელობასთან, პირადად ვლადისლავ არძინბასთან, ხოლო მისი მეგობარი გენერალი მრავალი წელია საქართველოში არ იმყოფება.

„არსებობს ერთადერთი შანსი, – აღნიშნავს აშუბა, – რამენაი-რად შეამსუბუქონ მათ (მეგობრებმა) თავიანთი ბრალი ჩადენი-ლი ქმედებებისთვის, ანუ – „მსოფლიოში პირველებმა აღიარონ აფხაზეთის დამოუკიდებლობა.“

ქართულ-აფხაზურ ფოლკლორში არის ასეთი ანდაზა: მარჯვნივ წახვალ – მოკვდები, მარცხნივ წახვალ – მოკვდები, წინ წახვალ – გაიმარჯვებ! ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ნუგზარ აშუბა რეალისტი პოლიტიკოსია და წარმატებულ გზას აირჩევს.

ნუგზარის მეგობრებს გვჯერა მისი მტკიცე ხასიათის, პრაგმატიზმის და სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ, მისთვის წერილით მიგვემართა.

ნუგზარ ნურის ძევ!

აფხაზეთის ტრაგიკულმა მოვლენებმა ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ არა ყველაფერი.

უკეთესი მომავლის გულწრფელი იმედით შევხვდით აფხაზეთში ერთ-ერთ უმაღლეს პოსტზე თქვენს არჩევას. სხვა თემაა აფხაზეთის სახალხო კრების-პარლამენტის უეჭველი ლეგიტიმურობა, მაგრამ სჯობს, ამ საკითხზე მსჯელობა უკეთესი დროისთვის გადავდოთ.

პირდაპირ გეტყვით, თქვენ ახსოვხართ თქვენი ყრმობისა და სტუდენტობის, სამსახურის ქართველ მეგობრებს.

ჩვენთვის ადამიანურად გასაგებია (რბილად ვიტყვით) თქვენი ეჭვნარევი დამოკიდებულება თქვენი ყოფილი უახლოესი მეგობრებისა და თანამშრომლებისადმი, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ თქვენ სხვებზე ნაკლებად არ მოგეხსენებათ თუ ვინ და რატომ დაიწყო ომი, რათა ბოლო მოეღოთ არა მარტო ჩვენი მეგობრობისაათვის, არამედ ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობისაათვის, იქნებ აფხაზი ხალხისთვის. ამიტომაც ეს თემაც, სანამ პირისპირ არ ვისაუბრებთ, განზე გადავდოთ.

ჩვენ თბილისში ვუფრთხილდებით თქვენი მონაწილეობით აშენებულ ბავშვთა ქალაქ მზიურს, ყოფილი კომკავშირული ქალაქის აფხაზურ კუთხეს და საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმის აფხაზურ ეზო-კარს!

ჩვენ არასოდეს გვითქვამს უარი იმაზე, რაც ერთად შეგვიქმნია, არ შეგვიცვლია აფხაზეთთან დაკავშირებული მოედნებისა და ქუჩების სახელები, არ მოგვიშლია აფხაზ მოღვაწეთა ძეგლე-

ბი. ჩვენ არ გვინდა, დავიჯეროთ, რომ თქვენ უკვე არ გაწუხებთ იმ ათეულ და ასეულ ათასობით თანამემამულის ბედი, მათ შორის ბევრი აფხაზისაც, რომლებიც ენგურს და ფსოუს გამოლმი-დან შენატრიან იძულებით მიტოვებულ საკუთარ ეზო-კარს.

თქვენ და ჩვენ ვინ უნდა გვასწავლოს გამოსავალი იმ ტრაგი-კული ყოფილან, რაც გარედან თავს დაგვატეხეს და რამაც ძაე-ბით შემოსა ჩვენი სათაყვანო დედები? კიდევ რამდენ ხანს შეიძლება ასე ცხოვრება? – ცხოვრება შიშით, უნდობლობით, უერთ-მანეოთდ, გაურკვეველი მოლოდინით; კიდევ რამდენი ქართველი და აფხაზი უნდა ჩაწვეს სამარეში უაზრო გაუგებრობათა გამო?

ნუგზარ ნურის ძევ, თქვენ შესანიშნავად იცით, რომ ქართველები უშიშარნი არიან და მოძმე აფხაზთა დარად სისხ-ლის ბოლო წვეთამდე ომი შეუძლიათ. დღემდე არავის გაუხდია საეჭვოდ, რომ ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა ათეულობით ომი გადავიხადეთ ერთად და სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებებში გადავარჩინეთ საერთო ქვეყანა (რომელსაც მემატიანები „აფხაზთა, ქართველთა, ეგრთა, რანთა, კახთა, ჰერთა, სუანთა...“ ქვეყანას უწოდებენ ოდითგან). შუა საუკუნეებში მრავალ ქვეყა-ნაში და ჩვენთანაც ყოფილა სამთავროთა და ფეოდალთა შორის შეხლა-შემოხლა, მაგრამ ნიშნავს ეს ამჟამად რამეს? ნუთუ გვა-ქვს უფლება, რომ დავივინყოთ სამურზაყანოელი ხუტუნია შარ-ვაშიძე, რომელმაც ქართველებთან ერთად თურქ მომხდურებ-თან ბრძოლაში პირადად აკაფა 16 მტერი და თვითონაც შეაკლა თავი.

ნუთუ არ დადგა დრო, ახლებურად შევხედოთ ყველაფერს, მივიღოთ არაორდინარული გადაწყვეტილებები, სწორედ ისეთი, როგორსაც მიიღებდნენ ჩვენი დიდი წინაპრები ჩვენს ამჟამინ-დელ ყოფაში.

ესპანელები უძველესი კულტურისა და ტრადიციის ხალხია, მათ მსოფლიოს დასანახავად ცათამბჯენ ობელისკზე ოქროს ასოებით ამოკვეთეს სამოქალაქო დაპირისპირების ყველა მსხ-ვერპლის სახელი. მადლიერი ხალხისგან ეს ძეგლი სადღელამისო ყვავილების ზღვაშია ჩაფლული. ეს გაფრთხილებაა ყველასთვის,

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენც – ქართველებმაც და აფხაზებმაც ვერ ავიცილეთ თავიდან სამოქალაქო დაპირისპირება.

სამხრეთ კავკასიაში და, რა თქმა უნდა, საქართველომ (აფხაზეთმა), ახალი ისტორიული, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ფუნქცია შეიძინა; ტრანსკავკასიური დერეფანი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, წარმატებული მეწარმეობისა და ბიზნესის, დანგრეულის აღდგენის საშუალებას იძლევა თუ მას გონივრულად გამოვიყენებთ. მხოლოდ ყრუმუნჯებს შეიძლება არ სკეროდეთ, რომ მსოფლიოს დიდმა გეოპოლიტიკურმა მოთამაშებმა კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში ინტერესები შეათანხმეს და ყველა ჩვენგანს თავისი ადგილი განგვისაზღვრეს კავკასიის სუბრეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

კარგად მოგეხსენებათ, რომ მთლიანად საქართველო, მისი დასავლეთი ნაწილი, საკუთრივ აფხაზეთი ამ დიდი პროექტის საკვანძო რეგიონებია, რომლებმაც მდებარეობითა და დანიმუნჯლებით დიდი ევრაზიული კონტურები უნდა შეკრან. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ სანამ არსებობს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ოდნავი შანსიც, ომი არ დაიწყება (როგორი ძლიერიც არ უნდა გახდეს საქართველო), რამეთუ, რაც იყო, უგუნური თვითმკვლელობის ტოლფასია ორივე მხარისთვის და მისი ხელახლი განახლების ყოველგვარ მცდელობას, თუნდაც მსოფლიომ რომ თვალი დახუჭოს (რაც გამორიცხულია), ჩვენი ხალხები არ დაუშვებენ.

ამჟამად მოქმედ პოლიტიკოსებს (გარდა ცალკეული პიროვნებებისა) უძნელდებათ შერიგების ნაბიჯების გადადგმა. მიუხედავდა ამისა, არ გვეტვება, რომ არსებობენ ქართველები და აფხაზები, რომლებიც მზად არიან ასეთი ნაბიჯების გადასადგმელად.

ინტერვიუში თქვენ ბრძანებთ აფხაზეთის მოსახლეობის (იქ დარჩენილი) 1999 წლის რეფერენდუმის ნებაზე აფხაზეთის მომავლის შეახებ. ამჟამად თქვენი ნებაა, თუ რა ფორმით გაუწევთ ანგარიშს გაეროს გენერალური მდივნის, მეგობარი ქვეყნების

მიერ შემუშავებულ პროექტს ერთიან ქვეყანაში აფხაზეთის მომავლის თაობაზე, როგორც თქვენ აღნიშნავთ ინტერვიუში („ეთი მისამართი მოვალეობის და მისი გადაწყვეტის მისამართი“), რაც სრულიადაც არ გამოიყურება უიმედო განცხადებად.

ნუგზარ ნურის ძევ, დღეს თქვენზე და ჩვენზე ძალზე ბევრია დამოკიდებული. აფხაზეთის საკითხი ურთულესია, მაგრამ მისი გადაწყვეტა შეიძლება, ვიდრე ჩვენი თაობა ფეხზე დგას.

კონფლიქტის მოსაწესრიგებლად საერთაშორისო თანამეგობრობა მხარში დაგვიდგება, მაგრამ ფაქტია, რომ პროგრესის მისაღწევად ქართველთა და აფხაზთა უშუალო დაახლოვებას აღტერნატივა არა აქვს, მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი პრობლემის გონივრული გადაწყვეტა.

ნუთუ გულუბრყვილოდ არ გეჩვენებათ ინტერვიუს ბოლოში ნათქვამი, რომ საქართველომ პირველმა უნდა ცნოს აფხაზეთის დამოუკიდებლობა? ნუთუ მართლა ფიფქრობთ რომ, ყველაფერში აფხაზეთის ქართველობაა დამნაშავე და აფხაზეთში დატრიალებულ ცოდვის კალოში ყველა სხვა უცოდველია? ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება, არც აფხაზეთში მომხდარა!

სხვა საკითხია უფლებამოსილებათა გამიჯვნა, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხი, რაც დამახასიათებელია თანამედროვე დემოკრატიულ, ცივილიზებულ სახელმწიფოა უმეტესობისათვის.

მტრის ხატის შექმნის უამი თქვენთანაც და ჩვენთანაც უნდა დასრულდეს და ამაში თავისი სიტყვა მასმედიამაც უნდა თქვას. იქნებ გავიხსენოთ თქვენი საყვარელი გამოთქმა: „ენით დაკოდვას, ცულით დაკოდვა სჯობია.“

ზაფხულიც მოვიდა ნუგზარ ნურის ძევ, ზაფხული, რომლის მზის სხივებში კვლავაც აელვარდება გალისა და ოჩამჩირის, გულრიფშის და სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის, ბიჭვინთის და ეშერის ხიბლი, მათ წიაღში კი ჩვენთვის მარად დაუვინყარი ერთად გატარებული ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობისა და მონიფულობის წლები, დროსა და მეხსიერებაში მარად უჭკნობი სიყვარული და, რაც მთავარია, საქმე, რომელსაც ჩვენ ოდესლაც სოხუმსა და

თბილიში ერთად ვაკეთებდით. რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ თავს დამტყდარი საერთო უბედურების გამო ჩვენ ერთმანეთს გაზეთის ფურცლებიდან ვესაუბრებით. წარმოვიდგენდით ამას 20–25 წლის წინათ?

როგორც ერთი ძველი ფილოსოფოსი ბრძანებდა „ვაზროვნებთ, მაშასადამე ვარსებობთ“ და რაკი ვარსებობთ, გვინდა ვირწმუნოთ, რომ მივაღწევთ ნდობის აღდგენას, ურთიერთგაებას, თანადგომას ჩვენი საერთო მამულის, სამშობლოს, ჩვენი ხალხების, ჩვენი შვილების საკეთილდღეოდ.

**რაფიელ გელანტია, სულიკო ბეჟანიძე, მზია
ჭალალონია, სიმა ლატარია, მურად ანჯაფარიძე,
ელგუჯა ქავთარაძე, ოთარ ჩეხერია.**

„დილის გაზეთი,“
21 ივნისი, 2002წ.

ଓଡ଼ିଆ ପୋରାଣୀ ଗ୍ରାମୀନ „ରେସପ୍ତୁରୁକ୍ତିରୁପା ଆଶ୍ଵାଳିବାସ“ ରେଡାଇଫିରିଲ୍ ବିଭାଗୀୟ ନିର୍ମାଣିତା

პატონო ვიტალი,

გნერო როგორც კოლეგას და თანამემამულეს.

დიდი ინტერესით ვადევნებ თვალყურს გაზეთ „რე-სპუბლიკა ა პარაზიას“ ყველა ნომერს.

კიდევ კარგი, რომ პრესის საშუალებით მაინც ვა-
ხერხებით საუბარს ერთი მინაწყლის შვილები, ტრაგი-
კულ გაუგებრობათა გამო მიმოფანტულნი ენგურის
ორივე ნაპირზე.

უმძიმესი დრო გვიდგას, ეს ფაქტია, მაგრამ არის ურყევი რწმენაც, რომ თანდათანობით ყველაფერი მოგვარდება, რაკი ადამიანები ვართ და უფალმა ემო-ციებთან ერთად გონიერითაც დაგვაჯილდოვა.

დარნმუნებული ვარ, რომ შეძლებისდაგვარად ახერხებთ საქართველოს მასშტაბის (ტელეარხები, რადიო, გაზეთები) გაცნობას. დამეთანხმებით, ალბათ, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა, საქართველოს თავისუფალ მედიაში, ოფიციალურ საინფორმაციო არხებში არ მოიაზრება აფხაზი ხალხი, როგორც მტერი, არ არის მისი და ძალადობის პროპაგანდა. უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლება და ხალხი ერთიანია იმაში, რომ აფხაზეთში პრობლემა მშვიდობიანი საშუალებებით უნდა გადაწყვდეს.

გახსოვთ, ალბათ, რომ საქართველოს მასშედიამ მრავალ-ჯერ აიღო ინიციატივა და მოუწოდა მედიის მუშაკებს ენგურის ორივე მხარეზე დაწესებულიყო მორატორიუმი „მტრის ხატის“ შექმნაზე, ნამოგვენია ის საუკეთესო, რაც საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებულა და დღემდე არსებობს ჩვენს ხალხებს შორის. საჭიროა კი მეათასე ჯერ იმისი მტკიცება, რომ ჩვენ ნათესავები, ახლობლები, უმეტესწილად ერთიანი სისხლის მატარებლები და შერეული ოჯახების ნარმომადგენლები ვართ?

თქვენ და ჩვენ – უურნალისტები, შესანიშნავად ვიცნობთ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და ხალხის ისტორიას, უფრო უკეთ ერთიანი სამშობლოს – საქართველოს, აფხაზეთის შორეულ, საშუალო და ახლო წარსულს.

სად არ ყოფილა სამოქალაქო დაპირისპირება, სისხლისმ-ლვრელი ომები გვიანდელ ფეოდალურ ეპოქაში თუ უახლოეს თვალსაწიერში, მათ შორის ერთი ეროვნების წარმომადგენელთა შორის. თქვენც და ჩვენც გვჯერა მემატიანების, რომლებიც აღ-ნერენ დაპირისპირებებს საქართველოში, ასევე საკუთრივ აფხა-ზეთში ერთი ეთნოსის შიგნით.

იყო ყოველივე ეს, და სამწუხაროდ, გარკვეულმა საზოგადოე-ბრივმა ჯგუფებმა, მათმა მემკვიდრეებმა თუ მონაცემებმა, რა თქმა უნდა, ლიდერებმა არც არაფერი დაივიწყეს და ვერც ვერ-აფერი ისწავლეს. ასეთია, თურმე კაცობრიობის, ქვეყნების და მათი ნაწილების შინაგან წინააღმდეგობათა ლოგიკითა განპი-რობებული.

1991-1992 წლებში თბილისში დატრიალდა ძმათამკვლელი ომი, რომლის შედეგებსაც დღემდე ვიმკით.

სავსებით შესაძლებლად მეჩვენება, აფხაზეთში დაპირისპი-რება (მიუხედავად უძლიერესი გარეგანი დაწოლისა) შეგვეძლო თავიდან აგვეცილებინა, რომ ჩვენი თაობა, უფროს თაობასთან ერთად აღმოჩენილიყო საჭირო სიმაღლეზე!

იქნებ არც იყოს საჭირო ამ ტკივილის გახსენება, თუ არა იმე-დი იმისა (როგორც საზოგადოების განვითარების ისტორია ადა-სტურებს), რომ ყველა ომი მოლაპარაკების მაგიდასთან მთავრ-დება და მისი ფინალი სამართლიანი მშვიდობაა.

ჩემი აღმოჩენა არ არის, რომ არ არსებობს მშვიდობა შერი-გების გარეშე, არ არსებობს შერიგება დიალოგის გარეშე, არ არსებობს დიალოგი მხარეთა დაახლოების და თანდათანობითი აღიარების გარეშე.

შეიძლება კი თქვენ და ჩვენ ასეთი ურთიერთობის წინააღმდე-გი ვიყოთ?

ქართველებს და აფხაზებს საამისოდ ამჟამად შესანიშნავი

შანსი მოგვცა. გაეროს 2002 წლის 31 იანვრის რეზოლუციამ საქართველოს შემადგენლობაში თბილისა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის თაობაზე სამუშაო დოკუმენტის წარდგენით.

ეს დოკუმენტი, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, შემუშავებულია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, მათ შორის რუსეთის მონაწილეობით, რომელთაც აქვთ პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები კავკასიაში.

რუსეთის და ამერიკის ურთიერთობა ამჟამად საუკეთესო სტადიაშია, და ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს 2002 წლის 20 ივნისს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება აფხაზეთთან და კავშირებით, რაც წარმოუდგენელია დარჩენილიყო აფხაზეთის მოსახლეობის და სოხუმის ხელისუფლების ყურადღების მიღმა.

წინა წლებში აფხაზურმა და ქართულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს მტრული იდეოლოგიის და ომის პროპაგანდის დაუმვებლობის და ასეთი მოქმედებისთვის პასუხისმგებლობის შესახებ. დოკუმენტმა ნამდვილად წარმოშვა ბევრი გაუგებრობა ორივე მხარის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში, მაგრამ გარწმუნებთ, რომ საქართველოს მასმედია ამ დოკუმენტს პატივის-ცემით ეკიდება. რეციდივი არის, რეციდივი იქნება, მაგრამ ჩვენ, „კალმის რაინდებს,“ რომლებიც სამშვიდობო ფრონტის ავანგარდში ვართ, გვაქვს კი სხვა უფლება?

დიდხანს ვყოყმანობდი მომემართა თქვენთვის, რომ არა ერთი გარემოება, კერძოდ, თქვენი გაზეთის 20-21 ივნისის (№68) პუბლიკაცია, რომლის ავტორები, სამწუხაროდ, პედაგოგები არიან და რომლის ლექსიკა, ფორმა, შინაარსი, პათოსი, თავად განსაჯეთ, ძალზე რბილად თუ ვიტყვი, ამაზრზენია. განა შეიძლება ეს პასკვილი ემსახურებოდეს საყოველთაოდ აღიარებულ წარმოდგენას აფხაზი ერის, როგორც, თავაზიანი, კულტურული, თავდაჭრილი, ბუნებით მამაცი, მიმტევებელი ხალხის შესახებ?

მე პედაგოგთა დინასტიას წარმოვადგენ და მქონდა საშუალება ვყოფილიყავი გუდაუთაში, ოჩამჩირეში, ტყვარჩელში

თანაკურსელთა ცნობილ ოჯახებში, რომლებიც ძირითადში პე-დაგოგთა კლანებს წარმოადგენდნენ. წარმოვიდგინე მათი გან-ცდები ამ პუბლიკაციის წაკითხვისას, მით უფრო, როცა ისინი გაეცნობიან თუნდაც გალელი პედაგოგების წერილი “სკობოდ-ნაია გრუზიაში,” რომელიც მართლაც გამოხატავს პედაგოგთა აღშფოთებას იმათ მიმართ, ვინც მოითხოვს ქართველობას აეკრძალოს მშობლიურ ენაზე საუბარი აფხაზეთში, არ იქნას დაშვებული ქართული სკოლების აღდგენა.

ღმერთო ჩემო, როგორ მახსოვეს ჩვენი დროის სტუდენტების აღშფოთება იმისი გაგონებისას, როცა (ჩვენთვის და თქვენთვის უსასტიკეს დროში) აფხაზ ბავშვებს აკრძალული ჰქონიათ აფხა-ზურად სწავლა და საუბარი; რა დამავიწყებს აფხაზი ადამიანე-ბის, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ცნობილი პროფესორ-მასწავლებლების (აფხაზები, ქართველები, სომხები), მათ შორის ჩვენთვის საყვარელი ადამიანების მეჯით ხვარწკიას, რუფეტ ბუთბას, დამიანე გოგოხიას, მიხეილ ბლაჟბას, ალეკო გვარამიას, ვიაჩესლავ ცუგბას და მრავალ სხვათა განმარტებას, რომ ეს შეც-დომა იყო, რომელიც არასოდეს განმეორდებაო.

განმეორდა. ახლა ესაა სანაცვლო შურისძიება ქართველ ბავშ-ვებზე?

მე თავს არ მივცემ უფლებას მცირედი შენიშვნაც ვაკადრო დამსახურებულ მასწავლებელს, შრომის ვეტერანს, პერსო-ნალურ პენსიონერს ქალბატონ ანა გიცბას, რადგანაც მე დღესაც და მთელი ჩემი სიცოცხლე არა მგონია დედამიწის ზურგზე ვინმე იყო უფრო დიდი და სათაყვანებელი, ვიდრე მასწავლებელი, პედ-აგოგი, როგორი შეცდომაც არ უნდა დაუშვას მან.

ერთი წუთითაც არ შემიძლია იმის გაფიქრებაც კი, რომ მხცო-ვანი ქალბატონი უაღრესად შეწუხებული არ იყოს და არ ნანობ-დეს ამ წერილზე ხელმოწერას, არ აწუხებდეს გალელი ბავშვების ბედი, რომლებიც დღემდე იქ არსებულ ვითარებაში ყრუ-მუნჯე-ბად უნდა გაიზარდონ, რუსულ სკოლებში იარონ, სადაც პატარე-ბი ვერაფერს გაიგებენ, შესძულდებათ სკოლაც და მასწავლებ-ლებიც!

პუბლიკაციაში საუბარია ა. დუდკოსა და დ. მაჭავარიანზე. მეც კარგად ვიცნობ მათ მრავალ ნაშრომს, სხვათა შორის იმა-საც, რომ პირველი სკოლა აფხაზეთში, სწორედ სამურზაყანოში, ოქუმში, 1851 წელს გაიხსნა და სწავლების ენა ქართული, ასევე რუსული იყო. და ეს იყო ცარიზმის დროს, ქუთაისის გუბერნია-ში, რომელშიც შედიოდა აფხაზეთი. სწორედ, დუდკომ, მაჭავა-რიანმა, ა. ვეკუამ, ე. ნარსიამ და სხვებმა დაუტოვეს მომავალ თაობებს ნარკვევები და კვლევა-ძიება იმ თაობებზე, რომლებიც სამურზაყანოს სკოლებში გაიზარდნენ, პირველი მასწავლებლე-ბი გახდნენ და რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის სხვა რაიონებში განათლების სისტემის შექმნაში, მათ შორის გუდაუთაში. ამ მასწავლებელთა უმეტესობა ქართველები იყვნენ!

სულაც არ მეპარება ეჭვი, აფხაზეთში ქართული ენისადმი და-მოკიდებულების საქმეში თუ როგორ პოზიციას დაიკავებდნენ ჩვენი ქვეყნისა და აფხაზეთის გამოჩენილი შვილები დიმიტრი გულია, ზურაბ ანჩაბაძე, გიორგი ძიძარია, სიმონ ჯანაშია, მისი მამა ნიკოლოზ ჯანაშია, სხვები და სხვები.

ქალბატონ ანასთვის, ალბათ, ისიც არის ცნობილი სამურზა-ყანოსა და სამურზაყანოელთა ენის შესახებ თუ რას წერდა ცნო-ბილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, იმდროინდელი შეფასებითაც ანტიქართველობით გამორჩეული სიმონ ბასარია აფხაზეთის ისტორიის ნარკვევებში.

მე თუ მკითხავთ, არც სიმონ ბასარიას დავეთანხმები: არ არ-სებობენ კარგი და ცუდი ენები, ტკბილი და ავხმოვანი ენები! მშობლიური ენა განგებისგანა შექმნილია და მისი ხელყოფის უფლება ჩვეულებრივ მოკვდავებს არ გვაქვს.

ბატონო ვიტალი,

პუბლიკაციის გაცნობისთანავე ეჭვი დამებადა, რომ გაზე-თის ამ ნომრის ხელმომწერი თქვენ არ იქნებოდით და მართალიც აღმოვჩნდი. სამწუხაროდ, წერილი ანაქრონიზმია: 10-15 წლის შემდეგ ამ სტატიის წამკითხავი მკვლევარი (თუ რაიმე მიზეზით გაზეთის სატიტულო ნაწილი არ აღმოაჩნდება ხელში) უთუოდ

იფიქრებდა, რომ საქმე ჰქონდა XXI საუკუნეში დაბეჭდილ სტა-
ტიასთან, მაგრამ რომელიც, რაღაც სასწაულით, ასე ვთქვათ,
ძველ წელთაღრიცხვაში შეიქმნა!

დამეთანხმებით, რომ მსგავსი სტატიები და დამოკიდებუ-
ლება ეთნიკურად ქართველი ბავშვებისადმი, და საერთოდ, ყვე-
ლა ბავშვისადმი (არაფერს ვამბობ ქართველი მასწავლებლების
მიმართ), არამც და არამც არ შეუწყობს ხელს მშვიდობის მშე-
ნებლობას. არ დადგა დრო, თუნდაც უურნალისტები, როგორც
იტყვიან, ერის სინდისი, ნამუსი და პატიოსნება, მოუხედავად სხ-
ვადასხვა ბანაკში ყოფნისა, გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, სი-
ტყვას და არ გაუქროთ აფხაზებსა და ქართველებს დაახლოების
ისედაც მინავებული სურვილი?

„საქართველოს რესპუბლიკა,“
10 ივლისი, 2002წ.

სახალხო დიპლომატია

„გველსა ხვრელით ამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი.“

რუსთაველი

„ჩვენ შეგვეძლო და გადმოვედით ზუგდიდში, ქუთა-
სში, თბილისში, თელავში, მაგრამ მუდამ უნდა გვახ-
სოვდეს, რომ აფხაზებს არსად გასაქცევი არა აქვთ. ეს
მათი ერთადერთი ადგილია.“

ვენორ ახიპა – აფხაზეთიდან დევნილი აფხაზი.

ადამიანებს, საზოგადოებრივ ჯგუფებს და სახელმწიფოებს
შორის კონფლიქტების ძირითადი მიზეზი იყო და არის ინტე-
რესთა შეუთავსებლობა. მსოფლიო ომები დიდი გეოპოლიტი-
კური ინტერესების შეუთავსებლობის გამოხატულებაა და ამ
შეუთავსებლობის არაპოლიტიკური საშუალებებით გადაწყვე-
ტის მცდელობა მუდამ იყო, არის და იქნება მომავალშიც. სამ-
წუხაროდ, როგორც ხალხში იტყვიან, ვისაც აქვს ძალა, ის მუდამ
მართალია.

და მაინც, ყველა ომი, ყოველგვარი დაპირისპირება ადამიან-
თა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის საბოლოოდ მთავრდება
შერიგებით, უსამართლო ან სამართლიანი ზავით.

ჩემი აზრით, საყოველთაო დამკვიდრებული აზრი კავკასიის
(ამიერი თუ იმიერი) ისტორიული კონფლიქტურობის შესახებ,
მეტისმეტად გაზვიადებულია.

თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ისტორიის ექო განაპი-
რობებს კავკასიის რეგიონის უკურნებელ კონფლიქტებს, უკრი-
ტიკოდ არ უნდა გავიზიაროთ. ხანდახან ისტორია იმდენადაა
მნიშვნელოვანი, რამდენადაც მას ამის ნებას დართავენ მარად
ცვლადი გეოპოლიტიკური ინტერესები, მსოფლიოს ნამყვანი
აქტიორები. რაც უფრო ღრმად ჩავიხედავთ კავკასიის წარსულ-
ში, დავინახავთ, რომ კავკასიაში იყო ბევრი ომი, მაგრამ, ასევე

იყო ხანგრძლივი მშვიდობა, სტაბილურობა, ქვეყნებსა და ხალხებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობა. კავკასიის თავისთავადობა იმაშიც არის, რომ საუკუნეთა განმავლობაში აქვეშემუშავდა კავკასიის ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისა და სოლიდარობის უნიკალური მექანიზმები.

ახალი გამოკვლევები ადასტურებენ, რომ კავკასიის, როგორც ისტორიულად კონფლიქტური რეგიონის თაობაზე გაბატონებული თვალსაზრისი საეჭვოა. უფრო დასაჯერებელი ისაა, რომ კავკასიის ისტორია არის მსოფლიოს ისტორიული განვითარების ზოგადი პრინციპების ქვემდებარე, ბუნებრივია, საკუთარი თავისებურებებით. აი, რამდენიმე საინტერესო მაგალითი.

1820 წელს ომში, რომელსაც რუსეთი ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ ანარმობდა, სომხები და აზერბაიჯანელები რუსეთის არმიაში ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ. იმ ისტორიულ ეპოქაში შიიტურ-სუნიტურმა დაპირისპირებამ გადახაზა საყოველთაოდ გაბატონებული თურქული ძმობის იდეაც კი. თურმე ალექსანდრე პუშკინი გახდა მოწმე იმისა, თუ როგორ მოქმედებდა ყარსის მისადგომთან „ყარაბახის პოლკი“, რომელშიც აზერბაიჯანული კავალერია შედიოდა. მან ამ პოლკის ერთერთ ოფიცერს, ფართად-ბექს ალფროთოვანებული ლექსიც კი მიუძღვნა. არის უამრავი სხვა მაგალითიც. სწორედ, ამიტომ უნდა მოვეკიდოთ ფრთხილად ნებისმიერ ვარაუდს აზერბაიჯანისა და თურქეთის მარადიული მოკავშირეობის შესახებ, რაც ხშირად ამწვავებს პოლიტიკურ თვალხედვას ყარაბახთან დაკავშირებით.

ამჟამად დამკავიდრებულ ტენდენციას ეწინააღმდეგება ის ფაქტიც, თუ როგორ შეიცვალა აფხაზურ-ქართულ-რუსული ურთიერთობები 1850 წლის შემდეგ. ცნობილია, რომ 1801 წელს რუსეთმა საქართველოს ანექსია განახორციელდა და მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში, რუსეთის ხელისუფლება აფხაზებს ველურებად და პროთუქრული ტომის წევრებად და დაუძინებელ მტრებად მიიჩნევდა. ვინმე რუსი გენერალი გრიგორი ფილიპსონი 1852 წელს ჩიოდა, რომ მის სამხედროებს შავი ზღვის ციხე-

სიმაგრიდან შიშით ვერ გამოუდგამთ ფეხი, რადგან შიშობდნენ, რომ აფხაზი მეამბოხები სიცოცხლეს გამოასალმებდნენ.

მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში რუსების ინტერესები კავკასიაში რეალიზებულ იქნა (ქართველთა საკმაოდ აქტიური მონაწილეობით!) და აფხაზების მიმართ დამოკიდებულება სრულიად საპირისპიროდ შეიცვალა.

ეს და სხვა მრავალი ისტორიები ნამდვილად აჩენს კითხვებს კავკასიის მარადიული კონფლიქტურობის, აფხაზურ-რუსული ურთიერთობების ურყეობისა და პერმანენტული რუსულ-ქართული მტრობის შესახებ.

ამ თვალსაზრისით, არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი. შერიგების მიზნების (დღემდე ბოლომდე შეუსწავლელი ფენომენი!) გამოცდილება ისტორიულად ჩამოყალიბდა ჩვენს რეგიონში, სადაც საქართველოს სახელმწიფოებრივ ტრადიციებს და გარე სამყაროსთან ურთიერთობას მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. საქართველოს ხალხმა (მათ შორის და განსაკუთრებით აფხაზეთში) თავის წიაღში შეიმუშავა და დღემდე შემოინახა შერიგების, ანუ სახალხო დიპლომატიის, სტრატეგია და ტაქტიკა, რომელსაც საზოგადოებაში მაღალი ავტორიტეტის მქონე, განსაკუთრებული გონიერებითა და ნიჭიერებით გამორჩეული ადამიანები ახორციელებდნენ.

აფხაზეთში ჩასული უცხოელი ექსპერტები გაკვირვებული არიან იმით, რომ აფხაზებისთვის ქართველი ჯერ კიდევ რჩება საუკეთესო პარტნიორად. აფხაზურ ენას ფლობენ როგორც აფხაზები, ისექართველები, თუმცა, ქართული ენის ცოდნის დონე დაბალია შვილებში მათ მშობლებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ბევრ შერეულ ოჯახში ყველაზე ხშირად სწორედ ქართული გამოიყენება, შემდეგ რუსული, აფხაზურად კი ძალიან ცოტა ოჯახში თუ საუბრობენ აფხაზები ყველაზე ახლობელ ხალხად ქართველებს და რუსებს თვლიან. აფხაზებს არ სურთ, საერთაშორისო საზოგადოებამ და ორგანიზაციებმა ისინი სხვა საზოგადოებისგან გარიყენებულ და ეგზოტიკურ ხალხად მიიჩნიონ. უცხოელებმა ისიც შენიშნეს, რომ აფხაზი ოჯახიშვილის გამორჩეული

ლი თვისება ზრდილობა, წესიერება და სიტყვა გაუტეხლობაა.

ქართულმა ხალხურმა ფოლკლორმა შემოინახა გენიალური „ლექსი ვეფხისა და მოყმისა,“ როგორც სახალხო დიპლომატიის განზოგადებული სიმბოლო, მარადიული მტრობისგან თავის დაღწევის იმუნიტეტი და უნივერსალური ფორმულა. ვფიქრობ, ამ ფოლკლორული გენის გამოხატველი ანიმაციური ფილმი უთუოდ გაიმარჯვებდა მსოფლიოს საუკეთესო კინოფესტივა-ლებში.

დიპლომატია ფრანგული სიტყვაა და ორად გაკეცილ ქა-ლალდს ნიშნავს. მასზე ორი ტექსტი, ანუ ორივე მხარის ინტე-რესი იყო გამოხატული და დიპლომატების მისია ამ ინტერესებს შორის ბალანსის გამონახვა იყო. თუმცა ეს, როგორც წესი, ადვი-ლი საქმე არ იყო და დიდ დროს, მოთმინებას და ქანცგამცლელ განმარტებას მოითხოვდა. ცხადია, რომ ამ პროცესის წარმატება მედიატორზე მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვნად იყო დამოკი-დებული.

აფხაზეთში, პოსტკონფლიქტურ ადრეულ წლებში დასავლე-თელი ექსპერტები დიდი ეჭვით განიხილავდნენ სახალხო დი-პლომატიის რეალურ პოტენციალს, თუმცა, ამჟამად, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ეს აზრი რადიკალურად შეიცვალა. დონორები უამრავ ფულს ხარ-ჯავენ იმისთვის, რომ უშუალოდ ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით მომწიფდეს ურთიერთმისალები თვალსაზრისი.

დონორმა ორგანიზაციებმა სახალხო დიპლომატიის პირველი ფანჯრები აფხაზეთში საერთაშორისო და ადგილობრივი არა-სამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით გაჭრეს. ეს იყო ქართ-ველთა და აფხაზთა პირველი კონტაქტები უენევაში თუ ვენაში, სტამბულსა თუ ათენში, იალტასა თუ ნიუ-იორკში. ასე დაიწყო პირველი დიალოგები, პირველი შეხვედრები, – უმძიმესი, ურთუ-ლესი, მაგრამ მაინც კონტაქტები ბარიკადების ორივე მხარეზე მდგომ ადამიანთა შორის.

რა თქმა უნდა, იყო და არის შეცდომები, მატერიალური და ფინანსური რესურსების არაეფექტური ხარჯვის ფაქტები. უმ-

თავრეს ნაკლად გამოიკვეთა სახალხო დიპლომატიაში დევნილი მოსახლეობის უმნიშვნელო მონაწილეობა, ხშირად მათი მოთხოვნებისადმი ანგარიშგაუნევლობა აფხაზური მხარის პრეტენზიების საბაბით, დელეგაციების არამყარი შემადგენლობა, მოლაპარაკებებში ისეთი ადამიანების ჩართვა, რომლებიც არ იცნობენ აფხაზეთის პრობლემატიკას. არის სხვა გაუგებრობები; კერძოდ ის, რომ ცალკეული თანამდებობის პირისთვის ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ შეხვედრებში მონაწილეობა ტურისტული მოგზაურობის, ან პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების საშუალება გახდა.

სახალხო დიპლომატიის მეორე ნაკლი ის არის, რომ მოლაპარაკების პროცესში მონაწილეობა რაოდენობა მეტად შეზღუდულია. სინამდვილეში, საჭიროა გაცილებით მეტი ადამიანის ერთად თავმოყრა და ეს შესაძლებელი გახდება, თუ შეხვედრები უპირატესად ჩატარდება არა მხოლოდ მეტად ძვირ ქვეყნებსა და ქალაქებში, არამედ უშუალოდ კონფლიქტის სიახლოვეს და კონფლიქტურ რეგიონებში.

გადაუდებელი ამოცანაა სახალხო დიპლომატიის კოორდინირება. საამისოდ აუცილებელია წინადადებების შემუშავება, სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება, დიპლომატიის კოორდინაციის ერთიანი ცენტრის შექმნა. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეირჩეს სახალხო დიპლომატიის ლიდერები შესაბამისი ნიჭის, უნარისა და განათლების გათვალისწინებით. საჭიროა დაფუძნდეს სახალხო დიპლომატიის მონაწილეობა სწავლების ცენტრი, რომელიც აღიჭურვება საჭირო ლიტერატურით, კომპიუტერებით, ინტერნეტის ქსელით. აუცილებელია გამოიცეს ბიულეტენი ან გაზეთი „სახალხო დიპლომატი“ ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე და გავრცელდეს ენგურს გაღმადა გამოღმა, უპირატესად დევნილ მოსახლეობაში. დადგა დრო შეიქმნას და სისტემატიურად გამოიცეს პოსტკონფლიქტურ სინამდვილეში დაპირისპირებულ ადამიანებს შორის დადებითი ურთიერთობის ამსახველი მაგალითების კრებულები.

აფხაზეთში სახალხო დიპლომატიის წარმატებაში მნიშვნელოვა-

ნი როლის შესრულება შეუძლია ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის წარმომადგენელთა და აფხაზური დიასპონების ჩართვას.

სახალხო დიპლომატის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი უნდა გახდეს ომით გახლეჩილი ოჯახების გამთლიანება, ანუ შვილებისთვის დედ-მამის დაბრუნება, ოჯახების აღდგენა, ტყვეთა და დაღუპულთა მოძიება.

სახალხო დიპლომატიაში გარღვევისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენელთა კონტაქტების აღდგენას პროფესიული, ასაკობრივი, კონფესიური, ეთნიკური და სხვა ნიშნების მიხედვით პრინციპით—ადამიანი არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ მისი წარსულის მიხედვით, რადგან მან, შესაძლოა, მომავალში ბევრი სიკეთე ჩაიღინოს და საკუთარი შეცდომები გამოისყიდოს. სამწესაროდ, სამოქალაქო დაპირისპირებამ და ძმათამკვლელმა ომმა ბევრ ჩვენთაგანს პრაქტიკულად არ დაუტოვა არჩევანი და უმძიმესი განსაცდელის წინაშე დააყენა.

საგულისხმოა აფხაზეთში მცხოვრები და ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მომოფანტული მოგვარეების თავყრილობების მოწყობა, რომლის ტრადიცია დიდი ხანია არსებობს საქართველოს ყველა მხარეში. ადამიანთა შორის ახალი კავშირების ორგანიზაცია შესაძლებელია ტელეარხებით, რადიოგადაცემებით, საკაბელო ტელევიზიის, ინტერნეტის მეშვეობით, მობილური სატელეფონო კავშირებით. სიტყვამ მოიტანა, პრაქტიკულად ამოუწურავი რეზირვი აქვს მასმედიას. ამ მხრივ, იმედის თვალით ვუყურებთ ახლად შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციას „კონფლიქტები და მასმედია“, რომელსაც რეალური საქმიანობისა და მანევრირების დიდი შესაძლებლობები აქვს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, საკუთრივ აფხაზეთში.

ვიმედოვნებთ, რომ ამ ორგანიზაციის, და საერთოდ, დევნილთა ორგანიზაციების საქმიანობა ამ მიმართულებით გაეროს და ეუთოს მისიების, ევროკავშირის, დიპლომატიური კორპუსების ყურადღების ცენტრში მოექცევა.

პოსტკონფლიქტურ აფხაზეთში ვითარება პოზიტიურად იცვ-

ლება, ისევე, როგორც დევნილთა საზოგადოებაში.N მდინარე ენგურის ორივე მხარეზე ადამიანები დაიღალნენ გაჭირვებისა და უსასოობისგან, მოენატრათ ადამიანური ცხოვრება, რეალური საქმეების კეთება, ერთმანეთი.

უფრო და უფრო იჩენს თავს ეკონომიკური ინტერესები (აფხაზეთიდან უამრავ ჩამოსულს ნახავთ ლილოს პაზრობაზე, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში). ინდივიდუალურ, მცირე თუ საშუალო ბიზნესში ჩართულ ქართველებსა და აფხაზებს (ასე-ვე ქართველებსა და ოსებს) კონფლიქტის გახსენება არ სურთ, არა თუ ახალი ომი. ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა ეროვნების კრიმინალები, მათ შორის ქართველები და აფხაზები, შესანიშნავად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გადანაწილებული აქვთ ეკონომიკური და ფინანსური ინტერესები.

სახალხო დიპლომატებმა მშვიდობის აქტიური მშენებლობა, უნდა დაიწყონ, პირველ რიგში, ფსოუს მიდამოებში, გალისა და ოჩამჩირეს რაიონებში (გალის რაიონი თითქმის მთლიანად ქართულია, ოჩამჩირე ნახევრად აფხაზური, ფსოუს მიდამოები კი მრავალეროვანი).

შესაძლებელია ერთ-ერთ ამოსავალ ვარიანტად განხილულ იქნას, მაგალითად, გალისა და ოჩამჩირეს რაიონის მეზობელი სოფლები, სადაც კარგად იცნობენ ერთმანეთს, დღემდე აქვთ ნათესაური კავშირები. ფაქტია, რომ გარკვეულ ისტორიულ გარემოებათა გამოი იქ გვერდიგვერდ მდებარე სოფლებში ცხოვრობენ ე.წ. გააფხაზებული ქართველები და გაქართველებული აფხაზები. სახალხო დიპლომატთა ერთი-ორი ნარმატებული ნაბიჯების შემდეგ პროცესი თანდათან განვითარდება, აღდგება ნდობა სოფლებს, თემებს და დასახლებებს შორის, ადამიანები ივლიან ერთმანეთთან ჭირსა და ლხინში, აღორძინდება საქონლისა და მომსახურების გაცვლა, ტრადიციული მეზობლური თანადგომა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში და ა.შ.

მეტად მნიშვნელოვანი იქნება, რომ დონორებმა ხელი შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის განვითარებას

აფხაზეთში, რომლებიც კავშირში იქნებიან ენგურს გამოღმა არ-სებულ ორგანიზაციებთან, ქალთა ასოციაციებთან. აუცილებელია უპირატესად დაფინანსდეს ერთობლივი პროექტები.

მხოლოდ გულუბრყვილოებს შეიძლება სჯეროდეთ, რომ სა-სალხო დიპლომატია ყველა უბედურების პანაცეაა. სრულიადაც არა, ეს არის ადამიანთა კავშირების აღდგენა იმ ფესვების მეშვეობით, რომლებიც უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე ე.წ. ზედნაშენი—სახელმწიფო, ხელისუფლება, პოლიტიკური ინსტიტუტები და სხვა. ფაქტია, რომ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებიც ერთიანის და, მთლიანობაში ერთი მთელის – ხალხის ნაწილია, ხალხის შვილები არიან და ცნობიერად თუ არაცნობიერად ხალხის ზე-გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ადვილი არ არის, იყო სახალხო დიპლომატიის ლიდერი, თუმცა, არც შეუძლებელი. ლიდერობა მოწოდებაა და ხელოვნება. ყველაფერია შესაძლებელი, როცა ხალხს, ადამიანებს აქვთ საა-მისო სურვილი, როცა მათი გონება გაცისკროვნებულია უკეთესი ცხოვრების—ომზე და საკუთარ თავზე გამარჯვების, მშვიდობისა და თანხმობის მიღწევის, ნორმალური, ადამიანური ცხოვრების დაწყების გარდუვალობით.

ვფიქრობ, რომ კონფლიქტის მოწესრიგებაში სახალხო დი-პლომატიის მნიშვნელოვანი როლი და ადგილი ეჭვის გარეშეა, ვინაიდან:

– სახალხო დიპლომატები მუშაობენ ომით გახლეჩილი საზოგადოებების წარმომადგენლებთან დაპირისპირებულთა შორის ნდობის აღსადგენად, რომლის თანდათანობით გაღრმავებით შეიქმნება ფონი აფხაზეთის მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხებზე სოცემისა და თბილისის პოზიციათა დასაახლოებლებად. საწყის ეტაპზე სახალხო დიპლომატებს საქმიანობა გულისხმობს განკერძოებული საზოგადოებების თანამშრომლობის სტიმულირებას, ვთქვათ, უსაფრთხოების, ეკოლოგიურ, ჰუმანიტარულ, სოციალურ და სხვა ასპექტებზე, გარდა პრობლემური სტატუსის საკითხისა (თავის არიდებას სტატუსის საკითხებზე დისკუსიებისთვის, რომელიც სხვა დროს და სხვა საშუალებებით

წესრიგდება). გადამეტებული შიში აქ უსაფუძვლოა, ვინაიდან მონესრიგების პროცესში მხარეთა წარმომადგენლების ჩართულობა არანაირად არ გულისხმობს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ან აფხაზეთის ტერიტორიაზე თბილისის დე-ფაქტო იურისდიქციის აღდგენის მცდელობას. საუბარია მხოლოდ ნდობის აღდგენისა და ხალხებს შორის ურთიერთობების დამყარების ისეთი მეთოდ-ხერხების და გზების გამონახვაზე, რომელიც გადაუდებელი, აუცილებელი საჭიროებების საფუძველზე ადამიანებს ერთმანეთან დააახლოებს.

—გადადება არ შეიძლება, დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს. ცხოვრებიდან მიდიან ბიოლოგიური და სოციალური თაობები, რომლებიც ერთად ქმნიდნენ აფხაზეთის წარსულს და მყოფადს, ინახავდნენ საერთო ფესვებს და ღირებულებებს. ცხადია, რომ წარმოქმნილ ვაკუუმს ომისშემდგომი ახალი და გაუცხოებული თაობები შეავსებენ, რომელთაც ექნებათ სხვა მენტალიტეტი და სხვა მსოფლმხედველობა; საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის მეტად სახითათოა აფხაზეთში უცხო ქვეყნებიდან შესული არალეგალური კერძო კაპიტალი თუ მისი სუროგატი, რომელიც აფხაზეთში ამჟამად სავაჭრო, კომერციულ თუ ე.ნ. საქველმოქმედო საქმიანობას ხმარდება. გავლენ წლები და ამ ღია თუ ფარული ინვესტიციების მსახურები და „კანონიერი“ დამცველები გამოჩენდებიან და შეცდებიან აფხაზეთის აღიარების საკითხის წამოწევას. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ სეცესირებულ რეგიონებში, სადაც საზოგადოება დიდი ხნით გაიხლიჩა და გაუცხოვდა, დაიწყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი. როგორც იტყვიან, გაყინული კონფლიქტი მარადიული არ არის და „ყინულს“ ის მხარე გააღლობს, რომელსაც საამისოდ მეტი რესურსი და მოტივაცია აქვს.

„დილის გაზეთი,
13 სექტემბერი, 2002წ.

„ნავიდე, მეც იქ მივიდე...“

„ნავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც უთხრა ჩემი შვილისა“

„ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ ქართული ზოგადსაკაცობრიო ლირებულებაა.

ადვილი არ არის დასავლეთს, მსოფლიოს, ბოლო ათწლეულში კავკასიაში მრავალი ძმათამკვლელი ომების და სისასტიკის ფაქტების შემდეგ გააგებინო, რომ კავკასიური ფენომენი თავისთავშივე ქმნიდა და ახორციელებდა არა მტრისადმი მტრულად მოპყრობის თეორიას და პრაქტიკას, არამედ მტრობის, ომებისა და სისასტიკის უაზრობის ფილოსოფიას. მაგრამ დღეს, როცა ჩვენ ვდგავართ აგრესიული ნაციონალიზმის, სისასტიკის, ძალადობის, ტერორიზმის, კაცთმოძულების აღზევების წინაშე, საკუთარ ქვეყანაში გვყავს ასეულ ათასობით მამულიდან გამოძევებული, ვალდებული ვართ გავაგებინოთ შიდა და გარე სამყაროს ამ ლექსით გამოხატული ჩვენი ხალხის ხასიათის, ათასწლეულებში ჩამოყალიბებული ანტიკონფლიქტური იმუნიტეტის და კონფლიქტების დაძლევის უნიკალური გამოცდილების შესახებ. პირველ რიგში მხედველობაში მაქვს ლექსის (ბალადის) ხელახლა თარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ოსურ, აფხაზურ ენებზე და გავრცელება, რათა იგი გახდეს ერთგვარი სლოვანი კონფლიქტის მოწესრიგებაში ჩართული მხარეების და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, ყველასათვის, ვინც იტვირთა სახალხო დიპლომატიის პატიოსანი სამსახური.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, ვფიქრობ, რომ სწორედ საქართველოში და ქართველმა ხელოვანებმა ამ ლექსის მიხედვით უნდა შექმნან ანიმაციური თუ სხვა სახის ფილმი, რომელიც ნიჭიერი რეჟისორის და სცენარისტის ხელში მიიპყრობს მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას, წარმოაჩენს ჩვენს ეროვნულ სულს,

გახდება კიდევ ერთი კავკასიური წვლილი ზოგადსაკაცობრიო საგანძურში.

ახლახან დიდი ჰემინგუეის „მოხუცი მებადური“, გარდასახული ანიმაციურ ფილმში, უაღრესად ავტორიტეტულ კინოფესტივალზე პირველი პრიზის მფლობელი გახდა.

საეჭვოდ არ მიმაჩნია, რომ ჩვენი ბალადის მთავარი გმირი – შვილმოკლული დედა, გახდება სასიკვდილოდ გადამტერებული ხალხების, ეთნიკური ჯგუფების დიდი შერიგების, უფლისებან ქმნილი სიცოცხლის ყოველგვარი ხელყოფის დაუშვებლობის სიმბოლო.

ამჟამად ჩვენშიც, ჩვენს თაობებში, რომლებმაც გადავიტანეთ თავსმოხვეული სისხლისღვრა, ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის, მოყვასთა თავებით თამაშის კოშმარები, საჭიროა ახლებურად დავინახოთ და განვიცადოთ მონადირე, (მოყმე) და განყენებული მტერი – ვეფხვი, რომელთაც ჰქონდათ და აქვთ საკუთარი ინტერესები და ამ ინტერესთა შეუთავსებლობის გამო სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების მსხვერპლის არიან. სწორედ ახლა გვჭირდება იმისი გაცნობიერება, რაც ხალხის გენიამ მოყმის დედის ნაფიქრალსა და განზრახვებში გამოხატა შერიგების, მიმტევებლობის, უგუნურების მსხვერპლთა ერთობლივი ჭირისუფლობის გარდაუვალობა.

ქართველ დედებს დღემდე აცვიათ აფხაზეთში დაღუპული შვილების და ახლობლების ძაძები, ისევე როგორც აფხაზ დედებს გუდაუთაში, სოხუმისა თუ ოჩამჩირებში, ოს დედებს სამაჩაბლოში და მის ფარგლებს გარეთ.

მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე ტანჯული სულით და სხეულით იცხოვრებს ქართველი დედა, აფხაზი დედა, სხვა ერების შვილთა დედა, რომელთა შვილები შეენირნენ გარედან შემოგდებულ მტრობასა და გაუგებარ ომებს.

„ჩემ შვილს გზად ვეფხვი შეჰყრია
გაჯავრებული, ტიალი,
ჩემს შვილს - ხმლით, იმას ტოტითა

დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შეხვდა ჭკვიანი,
იმათ დახოცეს ერთურთი,
არ დარჩეს სირცხვილიანი“

მოსთქვამს ქართველი დედა. ზუსტად იმასვე, თავის ენაზე, ამბობს საფლავის ბორცვთან თვალამოლამებული აფხაზი დედა.

ამ ნათქვამში არის სიამაყე პირმშოს მიმართ, და იმავდროულად, უდიდესი სინანული ყრმათა, ახალგაზრდათა ბედის გამო, რომელთაც შეეძლოთ სხვაგვარად მოეგვარებინათ დაპირისპირება, მაგრამ ვერ შეძლეს.

1989 წლის 15-16 ივლისის მოვლენების შემდგომ, 18 ივლისს, იგივე, რაც ლექსშია თქმული, ერთ ქართულ-აფხაზურ ოჯახში ტირილით გამოიქვა აფხაზმა ქალბატონმა, რომლის ოჯახში სიყვარულით ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები. არასდროს დამავითყდება ამ ქალბატონის გაფრთხილება: „თქვენები, ამპარტავანი არიან და უშიშარნი, ჩემები, ფიცხნი და შეუპოვარნი, ჩვენებს და თქვენებს შორის, ღმერთმა დაგვითაროს, ომი იქნება ურთიერთ ამოხოცვამდე, რაზედაც შემდგომ შეგვრცხვება ჩვენი ობლების წინაშე!“

„იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უნყალოდ ხმლით დაჭრილისა.“

ასე ფიქრობენ (თუმცა, იქნებ, არ ამბობენ ხმამაღლა) ყოველდღე ენგურს გამოლმა და გაღმა შვილმოკლული დედები,

რომელთაც სძულთ, ეზიზლებათ, ვერ იტანენ ომს –ადამიანთა სასაკლაოს.

ფსიქოლოგებს კარგად აქვთ შესწავლილი: ომში გამარჯვებული ხალხის საერთო სიხარული, შვილმოკლული დედისთვის ვერავითარი ნუგეშია, დამარცხებული ხალხის დედებისთვის მით უფრო. ისინი შავებში, ყოველდღე ტირილში, მოთქმაში, სულიერ დეპრესიაში გაასრულებენ თავიანთ სიცოცხლეს ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხში.

ფსიქოლოგებმა ისიც დაამტკიცეს, რომ შვილმოკლულმა დედებმა ყველაზე უკეთ იციან მამულის, სამშობლოს სიყვარულის საზრისი, მისი დაცვის აუცილებლობა, მაგრამ შინაგანად ვერ ეგუებან ომს, როგორც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას, რადგანაც უფალმა ადამიანს არა მარტო ფიზიკური ძალა უბოძა, არამედ, გული და გონებაც.

დედები ყოველთვის მართლები არიან, რადგანაც, ისინი რეალურად დროისა და სივრცის მრავალგანზომილებიან შრეებში არიან ერთდროულად: ყოველდღიურ, ნარმავალ წუთისოფელში, რომელშიც ნებისმიერი პიროვნება თავის სახელმწიფოში, ქვეყანაში, ოჯახთან ერთად ცხოვრობს და ვალდებულია დაექვემდებაროს საერთო წესებს, ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს, ტრადიციებს, ზნეობრივ ნორმებს და, მეორე – მომავალში, ჩვენთვის ძნელად გასაჭვრეტ შორეულ, ჯერ არქმნილ სამყაროში: მათ მიერ მობილი, გაზრდილი შვილების და მათგან წარმოსაშობი ხალხის წარმოსახული ცხოვრებით.

ჩვეულ განზომილებებში დედა ჩვეულებრივი ადამიანია, თავისი ღირსებითა და ცოდვებით. შვილის დაღუპვით კი დედას ერთმევა ის განზომილება, ანუ ძირითადი ფუნქცია, რის გამოც იგი არის დედა, კაცთაგან განსხვავებული და განსაკუთრებული.

სხვა უამრავ ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ სიღრმესთან ერთად „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“ დედის, ანუ ჩვენი სიცოცხლის პირველყოფილი და მარად უშრეტი წყაროს მრავალ განზომილების რეალური და უნიკალური გამოხატულებაა, რომლის ბოლომდე გააზრებისკენ ათასწლეულებია ბორძიკით მიეშურება

კაცობრიობა. ეს უნიკალური ეროვნული მემკვიდრეობაა, რომელიც მსოფლიოს უნდა გავაცნოთ. იქნებ ნიჭიერმა ადამიანებმა ამ პალადის მიხედვით შექმნან ანიმაციური ან სხვა სახის ფილმი, რომელსაც უთუოდ შეამჩნევს გარესამყარო.

მჯერა, რომ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ეს საოცრება, მით უფრო ნიჭიერი ხელოვანის ხელში, მარტივად და გენიალურად ხატქმნილი, შეუმჩნეველი და დაუფასებელი არ დარჩება ჩვენს რთულ, კვლავაც კონფლიქტებით აღსავსე, მაგრამ მშვიდობის და მიტევების მაძიებელ დროში და მსოფლიოში.

„დილის გაზეთი,“
8 ნოემბერი, 2002წ.

ძვირფასო გალელებო!

სადაც არ უნდა იყოთ, ენგურს გაღმა თუ გამოღმა, რუსეთში თუ ეფრო შორს, ნათელ თუ ბნელ სადგომებში, კანონიერ თუ უკანონო თავშესაფრებში, ჭირსა თუ ლხინში, იმედსა თუ უიმე-დობაში, სიყვარულსა თუ სიძულვილში, ბედიანობასა თუ უბე-დობაში – გულითადად გილოცავთ შობა-ახალი წლის დღეების დადგომას!

ცოტაა გითხრათ, რომ მიყვარხართ; მე თქვენით ვამაყობ, მე თქვენით ვცოცხლობ, რადგან მეც თქვენი სულის და სხეულის ნაწილი ვარ, სამურზაყანოს უზადო ცისა და მიწის შვილი, რომლის გარეშე არსებობა ვერ წარმომიდგენია.

დაე, ჩვენი დროის „გმირებმა“ იქილიკონ გალელთა ლალატ-ზე მათი მშობლიურ ეზო-კარში დაბრუნების გამო; ნეტა რას დააკლებენ ბარჩხალა მზეს ციცქნა შავი ღრუბლები, – იფარფა-ტონ თავისთვის, დრო და ისტორია გამოუტანს განაჩენს სხვათა ხმასაყოლილ უმეცრებსა და ეშმაკისთვის სულმიყიდულ გადაგ-ვარებულებს.

ჩვენ, როგორც ადრე მრავალჯერ, დიდი საქმეები გვაქვს საკე-თებელი დედა სამშობლოს, დედა საქართველოსა და აფხაზეთის საკეთილდღეოდ. თქვენზე უკეთ ვინ იცის, რომ არ ყოფილა და არ არის აფხაზეთი გალელთა გარეშე და არ არის საქართველო აფხაზეთის გარეშე!

ქვეყანას, სადაც ერთგულება ვერ ფასდება და ორგულებს აქვთ დიდი გასაქანი, ძარცვა და მომხვეჭელობა გამხდარა მავან-თა უპირველესი საზრუნავი, გაუჭირდება ფეხზე წამოდგომა და მხრების გაშლა, ამიტომაც გეტყვით დაუფარავად – ცოცხალი მიცვალებულების გეშინოდეთ უფრო, რომლებიც უხვად არიან ჩვენს გარშემო და ჩვენს რიგებში.

გალში დახოცილ 1600-ზე მეტი ადგილობრივი ქართველის თვალის ჩინივით ნაფერები საფლავები გვიხმობენ ერთობისა და თანხმობისკენ, რათა აფხაზეთს დაპატრონებული გადამთიელები უფრო მეტად დარწმუნდნენ გალელთა ჭეშმარიტ როლსა და

ადგილზე აფხაზეთში, მათს ძალასა და ძლიერებაზე.

იქნებ სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლება მათივე სიმონ ბა-სარიას (ანტიქართველი აფხაზი ისტორიკოსი და პოლიტიკოსი) 1925 წლის შეგონებაზე დაფიქრდნენ, რომელიც მრავლისმეტყ-ველად ამბობდა და წერდა, რომ „გალში ჩასული გუდაუთელი აფხაზებიც რამდენიმე თვეში ქართველები (მეგრელები) ხდებიან სამურზაყანოს ამოუცნობი ძალმოსილების, უზომოდ ტკბილი და გასაოცრად მელოდიური ენის გამო“-ო.

ჩვენი და ქვეყნის უბედურება ჩვენი გათიშულობა, ქართველ-თა და აფხაზთა დაპირისპირებაა. ამას ჩვენმა მტრებმა მიაღწიეს; ენგურის ხეობით ქვეყნის გაყოფა და ადამიანების ერთმანეთის-გან დაშორიშორება არ მაქვს მხედველობაში მხოლოდ, არამედ, სხვა რამ, უფრო ვერაგული, უფრო საშიში და საშინელი აქაც და იქაც.

მერწმუნეთ, დროებითი და წარმავალია ყოველივე ეს! ჩვე-ნი საერთო მზე ისევ ამოვა ხვალ თუ ზეგ, რადგან ჩვენი ერთად ყოფნა უფლის ნებაა და ნაკლებად დამოკიდებული თბილისისა თუ სოხუმში მდგმურ ხელისუფალთა თვითნებობაზე.

ვიცი, რომ ჩვენ, ყველანი ერთად ვართ, ახალი წლის დამეს ერ-თიანობის და ერთად ყოფნის სადღეგრძელოს შევსვამთ, შობის დღეებში აქაც და იქაც ერთად მივუსხდებით უფლისა და მამა-პაპათა სახელით ნაკურთხ სუფრას და დილის მეკვლე რიხიანად გვიგალობს „კუჩხიბედნიერს.“

ჩვენ დიდი და წმინდა საქმეები გველოდება, ჩვენმა თაობამაც წინაპართა წესითა და რიგით უნდა აღვასრულოთ იგი ძველებუ-რად, რიგიანად და ღირსეულად.

ქვეყნის გამთლიანებას, ურყევ ჯანმრთელობას, ულევ სიყ-ვარულს, ბედნიერი ახლი წლისა და შობის გათენებას გისურვებთ ჩემო გალელებო, ჩემო ძვირფასო ადამიანებო!

გაზეთი „გალი,“
29 დეკემბერი, 2002წ.

ინფორმაციული გარემო: თავისუფალთა კოცეულების თუ გლადიატორთა ბრძოლა?

განუვითარებელი დემოკრატიის პირობებში ინფორმაცია (ცნობა ამა თუ იმ მოვლენის ან სუბიექტის შესახებ) წამალივთაა: ზომიერი და გონიერი კურნავს, ზედმეტი – ამახინჯებს, უარეს შემთხვევაში, კლავს კიდეც. ინფორმაცია (ობიექტური ცნობა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ), რომლის გარეშეც საზოგადოების დემოკრატიული განვითარება, სამოქალაქო სექტორის განვითარება შეუძლებელია, გამართიანებელიც არის და დამანგრეველიც; ფსევდოინფორმაციას შეუძლია ტრაგიული როლი ითამაშოს.

ჟურნალისტი ხშირად (განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდისა და არამყარი დემოკრატიის ქვეყანაში) უამრავი, ადამიანური განსაცდელის წინაშე დგება და, როგორც წესი, არჩევანის გაკეთება უხდება საკუთარ მოწოდებასა და პოლიტიკური პროპაგანდის რიგითი მსახურის მოვალეობას შორის, – კარგი ვქენი თუ ცუდი, სიმართლის მსახური ვარ თუ სიცრუის მადიდებელი?

საქართველოში ბობოქრობენ მიტინგები, გამოსვლები, აქციები, მათ შორის პარლამენტის წინ. ბევრისათვის ეს ახლო წარსულის ასოციაცია (თანამდევი სამართლიანი სიამაყით!) როცა მიზანი იყო იმპერიის ბორკილების გადაგდება და ნანატრი თავისუფლების მოახლოება; ბევრისათვის კი ავისმომასწავებლად უღერს ცალკეულ ორატორთა პათოსი, ტერმინოლოგია, როგორც ეროვნული კატასტროფის წინამორბედი. გაუგონრად გააქტიურდნენ უურნალისტები, ბევრმა მათგანმა თავისი საკეთებლი შეწყვიტა და, როგორც იტყვიან, მხოლოდ და მხოლოდ ავადსახსნებელი ვარლამის ამოთხრით და გადაგდებით არის დაკავებული (თენგიზ აბულაძის გენიალური ფილმის „მონანიების“ მთავარი გმირი).

ცხადია, რომ ყველა ქვეყანაში (არც საქართველოა გა-

მონაკლისი) ყოველთვის მოინახებიან ძალები, რომლებიც შეეც-დებიან აზრის თავისუფალი გამოხატვის უდიდეს მონაპოვარში აგრესიული, დამანგრეველი მუხტი შეიტანონ. ამასთან, როგორც ძველი ინდიელები ამბობდნენ თურმე, ყველაზე მეტს ახლა ისი-ნი ყვირიან, რომელთაც თავისი სათქმელის უფლება ადრე თავის ბელადს გადასცეს. ამ ვთარებაში, ცხადია, რომ ხალხის გონიერ მოქმედებას, პოლიტიკურ პარტიების და მასმედიის ზომიერებას ალტერნატივა არა აქვს.

ნებისმიერ ქვეყნაში, სადაც სახელმწიფო მანქანის ტრანს-ფორმაციას შეუდგნენ, ხელისუფლებისადმი უნდობლობა ჩვეუ-ლებრივი მოვლენაა. კონფუცი კითხვაზე, თუ რა სჭირდება ქვეყ-ნის მართვას, პასუხობს: სურსათი, იარაღი და მმართველობის-ადმი ნდობაო. მისივე აზრით, თუ დასათმობია რომელიმე მათგა-ნი, პირველ რიგში უარი უნდა ეთქვას იარაღს, შემდეგ სურსათს, მაგრამ მმართველის ნდობა თუ დაიკარგა ხალხში, ქვეყნა ვერ გადარჩება.

მეზობელ რუსეთში (ყოფილი სსრკ) 1991 წლის და შემდგომ მოვლენებში ამ ქვეყნის პროგრესულმა უურნალისტებმა ხელი შეუწყვეს ხელისუფლებისადმი უნდობლობის გაღვივებას და მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მქონე ცვლილებებს, მაგრამ მოგვიანებით, გადადგომის წინ ელცინის რამდენიმე ფრაზისაგან შემდგარმა განცხადებამ (რითაც გზა გაუხსნა ყვე-ლასთვის უცნობი პუტინის ხელისუფლებაში მოსვლას და გაპრე-ზიდენტებას), ბევრი უურნალისტი საგონებელში ჩააგდო და მიი-ყვანა დასკვნამდე, რომ მათ არ ჰქონდათ საკმარისი დრო ღრმად გაეაზრებინათ ფაქტები და მოვლენები, გადაიქცნენ პროპაგან-დისტებად და უნებურ მსაჯულებად გლადიატორთა არენაზე, სადაც ხალხისა და სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის ბედი წყდე-ბოდა. საგულისხმოა, რომ მათ დიდ ნაწილს შემდგომ ეჭვი შეე-პარა საკუთარ უურნალისტურ კეთილსინდისიერებაში, როცა: 1. 80-იანი წლების ბოლოს შეარყიეს საზოგადოებრივი ცნობიერება და შესაძლებელი გახადეს სსრკ-ს დაშლა; 2. 1993 წელს, პუტჩის დროს, ელცინის მხარეს დადგნენ და გაამართლეს პარლამენტის

დახვრეტის პრეცედენტი; 3. უსაშველოდ გააზვიადეს „უცნობი“ ელცინის რეიტინგი (პრაქტიკულად ნულიდან დაწყებული) და 1996 წლის გაუგონრად გაყალბებულ არჩევნებზე უზრუნველყვეს ელცინის და არა კომუნისტების ლიდერის ზიუგანვის გამარჯვება; 4. მონაწილეობა მიიღეს რუსეთის „ოლიგარქებს“ შორის გაჩალებულ საინფორმაციო ომებში და არა მხოლოდ საკუთარი სიმპათია-ანტიპატიის მიხედვით გამოაქვეყნეს შეკვეთილი „კომპრომატები.“

კარგად გვახსოვს გასული წლის ოქტომბერში „რუსთავი-2“-ის მიმართ დაშვებული პრეცედენტი, რომელსაც შემდეგში ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. ამასთან, იმავე დღეებში გამოიკვეთა დაპირისპირება თავისუფალ მასმედიასა და სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების გარკვეულ ჯგუფებს შორის, რაც სავსებით ნორმალურია თავისუფალი კონკურენციის ვითარებაში, მაგრამ რამდენად სასარგებლოა რადიკალური და აგრესიული ანტაგონიზმი ისედაც მყიფე, ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ადგილობრივი არჩევნების სააგიტაციო და პროპაგანდისტული მხარე ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ არ უნდა გახდეს წინასაარჩევნო კომპანია მტრობისა და შულლის გაღვივების, საზოგადოების გახლების კატალიზატორი. ეს რბილადაა ნათექვამი, რადგანაც ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოსტსაბჭოთა რეალობა გამძლეა, მყარია, ინერციის საშინელი ძალა აქვს, რაც ხელისუფლებას თუ მასმედიას კიდევ დიდ ხანს შეუქმნის უამრავ პრობლემას. სწორედ ამიტომ საზოგადოებაში კარგად უნდა გაცნობიერდეს, რომ ეს არის ჩვენი ობიექტური რეალობა, რომლის დაძლევას დრო და უდიდესი მოთმინება სჭირდება, რაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამჟამად ოპოზიციის რიგმა წარმომადგენლებმა, რომლებიც თავის დროზე იყვნენ მინისტრები, ქვეყნის წინამდლოლები, მაგრამ ძალზე გაუჭირდათ დანაპირების შესრულება. ცხოვრებამ გვასწავლა, რომ ადვილი არ არის იყო პოლიტიკოსი, მაგრამ ათასჯერ უფრო მძიმეა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და პრაგმატული პიროვნების

ბედი, რადგან, როგორც იტყვიან, პირველისთვის არჩევნებში გამარჯვებაა მთავარი, მეორისთვის კი ქვეყნის და ხალხის მომავალზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა.

უკიდურესად უჭირს გაღატაკებულ, სამუშაოსა და შემოსავლების უქონელ ხალხს, მცირედი ხელფასებისა და პენსიების მომლოდინე ადამიანებს. ხელში მხოლოდ უკეთესი მომავლის იმედილა შემოგვრჩა და თავს იმით ვიმშვიდებთ, რომ საქართველოს ისტორიაში უარესიც ყოფილა, მაგრამ დღემდე მოვედით, იმიტომ, რომ ჩვენმა წინაპრებმა იმედი არ დაკარგეს, ჩვენი მეფეები და წინამძლოლები საკუთარ ქვეყანას არ განუდგნენ, ხალხი გაჭირვებაში არ მიატოვეს.

ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება ხელშეუხებელია, პირიქით, იგი ხალხის მსახურია და მას ხალხი უნდა აკონტროლებდეს. მხედველობაში სხვა რამ მაქვს, კერძოდ, მთავრობის კრიტიკამ, თუნდაც „გაშავებამ,“ ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს ახალი სახელმწიფოს აშენებას, დემოკრატიის საფუძვლების ჩაყრას და განმტკიცებას, მსოფლიო საზოგადოების წინაშე ქართული სახელმწიფოს ახალი იმიჯის დამკვიდრებას.

თავისუფალმა მასმედიამ და სახელმწიფომ კარგად უნდა გაითავისონ, რომ არ შეიძლება ერთმანეთში აგრესიული, პროვოკაციული ომი, როცა საკითხი ქვეყნის ბედს, ჩვენს მომავალს ეხება. შეუძლებელია სახელმწიფო, მისი ხელისუფლება ან სულ „თე-თრი“ იყოს, ან სულაც „შავი.“ აუცილებელია ობიექტურობა და სამართლიანობა. როგორც იტყვიან, „საკუთარი ჭეშმარიტება,“ ანუ პიროვნული თუ სხვისი რჩევით დანახული და მოსმენილი „სიმართლე“ სამშობლოზე, საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა არ უნდა დადგეს.

თანამედროვე მასმედიას დასავლეთში „თავისუფლების ტექნოლოგიასაც“ უწოდებენ (ტელევიზია, კომპიუტერი, ინტერნეტი და სხვა), რომელიც მოქალაქეებს აძლევს საშუალებას გაავრცელონ ახალი ამბები, გამოავლინონ სამართალდარღვევები, გამოხატონ საკუთარი შეხედულებები, მოახდინონ საპრო-

ტესტო მოძრაობის მობილიზაცია, თვალი ადევნონ არჩევნებს, აკონტროლონ ხელისუფლება, გააღრმავონ ჩართულობა და გააფართოონ თავისუფლების თვალსაწიერი. მაგრამ, აუცილებელია კანონი, წესი, მხარეთა უფლებამოსილებების ზუსტი გამიჯვნა და პასუხისმგებლობა, რადგან შეკვეთილი, პოლიტიზებული მედია საშუალებები (მთი უფრო პრივატიზებული), შეიძლება დამანგრეველი სტიქია გახდეს განუჭვრეტელი შედეგებით.

შეიძლება თუ არა ამ საკითხში საერთო ენის გამონახვა ომისა და დაპირისპირების გარეშე? შეიძლება თუ არა მედიამ აკეთოს თავისი საკეთებელი ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით და იმგვარად, რომ ადამიანები თვითმკვლელობამდე არ მიიყვანის? შესაძლებელია თუ არა მედია არ იყოს იმდენად „ყვითელი“, რომ საქილიკო არ გახადოს საკუთარი ქვეყნის ისტორია, ადათ-წესები და ტრადიციები, ერის თავისთავადობა და სახელმწიფოებრივი ღირსება?

ჩვენი ერთ-ერთი უბედურება, ალბათ, არის ხელისუფლების მიმართ მეტისმეტად მაქსიმალური ნდობა ან უნდობლობა, რასაც აქტიურად უწყობს ხელს პოლიტიზებული მასმედია. ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა ბოლო ათ წელიწადში, განსაკუთრებით ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებში (სად, რომელ ქვეყანაში არ ყოფილა ასე, ვინაა დაზღვეული მსგავსი მოვლენებისგან), მაგრამ, უმთავრესი შეცდომა ისაა, რომ ხელისუფლებას და მის სამსახურში მყოფ მედიას არ ეყო გამბედაობა ხალხისათვის ეს ეთქვა. ამასთან, უმადურობა იქნებოდა არ დაგვენახა საქართველოს ტელერადიოკორპორაციის პირველი არხის, დამოუკიდებელი გაზეთების „ალიას“, „დილის გაზეთის“, „ახალი თაობის“, „რეზონანსის“, „საქართველოს რესპუბლიკის“ და სხვა მრავალთა კონსტრუქციული ჟურნალისტური საქმიანობა და მაღალი პროფესიონალიზმი.

მედიის თავისუფლების აღიარება და რეალური დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ქართული დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარია. ეს ხანგრძლივი პროცესია. ამ ფაქტია, რომ ამ ეტაპზე სახეზეა მწვავე საინფორმაციო კონფლიქტი, რასაც გარდა დემო-

კრატიული წარმომავლობისა, აქვს სხვა მიზეზებიც. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მწვავე და ქრონიკული საინფორმაციო კონფლი-ქტების მიზეზებია არა მხოლოდ ხელისუფლების შეცდომები და არაკომპეტენტურობა, პოლიტიკური მოტივით განპირობები სხვა მიზეზები, არამედ სიხარბე და ოქრომოყვარეობა, რაც სამ-ნუხაროდ, იშვიათობა არაა ბევრი უცხო ქვეყნის ერთი შეხედვით თავისუფალი, მაგრამ რეალურად გარკვეული ძალების სამსა-ხურში მყოფ მედია საშუალებებისთვისაც. ცხადია ისიც, რომ წარმოუდგენელია ღატაკ ქვეყანაში ამტკიცო ყველა უურნალი-სტის აბსოლუტური წესიერება.

საქართველოში საინფორმაციო პოლიტიკა საინფორმაციო გარემოს მონიკოლიზაციის დაუშვებლობის აღსაკვეთად, რაც სავსებით ნორმალური მოვლენაა თავისუფალ ქვეყანაში, ფა-ქტიურად სხვა გზით წავიდა. ახლა ძნელია იმის მტკიცება, სწორი იქნებოდა თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში ინფორმაციის სამინისტროს ან რამე სხვა სამსახურის შექმნა, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია. ასევე ძნელი სათქ-მელია რამდენად გადაჭარბებული იყო მოსაზრება, რომ ასეთი სამსახური არ იქნებოდა საინფორმაციო პოლიტიკის ნეიტრალუ-რი გამტარებელი და სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ობიექტური შუამავალი. არც იმისი მტკიცება შეიძლება ცალ-სახად, რომ ხელისუფლება და მედია მფლობელები არ გაერ-თიანდებიან და გაუსაძლის ტვირთად არ დააწვებიან ჭეშმარიტ პროფესიონალ და შინაგანად თავისუფალ უურნალისტებს. სამ-ნუხაროდ, ასეთ ვითარებაში არავის აინტერესებს უურნალისტის მიერ სიმართლის დადგენა, უურნალისტის ღირსება და მისი, რო-გორც მოქალაქისა და პიროვნების ფაქტორი!

უეჭველია, რომ ბოლო წლებში გახშირებულ „საგანგებო სი-ტუაციებში,“ ჩამოყალიბებული საინფორმაციო გარემო ქვეყნის ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ არ წარიმართება. 1992-1993 წლებში, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისა და მიმდინარეობის დროს, ადგილი ჰქონდა ხელისუფლებასთან თავისუფალი მედიის სერიოზულ, მაგრამ ერთი შეხედვით „უნყ-

ინარ“ კონფლიქტს, რომელმაც უაღრესად წეგატიური როლი შეასრულა ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. საქართველომ წააგო საინფორმაციო ომი, რომლის შედეგები დღემდე აღმოფხვრილი არ არის. ამის გამო საქართველოს შიდა კონფლიქტების ხასიათს საზღვარგარეთელი ობივატელი გულუბრყვილოდ და მარტივად ხსნიდა – „რიცხოპრივად ბევრი ხალხი ჩაგრავს მცირესა და უსუსურ ერს, რომელსაც დამოუკიდებლობა უნდა..“ უცხოეთში კი არა, საქართველოშიც ბევრისთვის დღემდე გაუგებარია ომის დაწყების მიზეზები და ცდილობენ „აფხაზეთის გაყიდვის“ ყბა-დაღებული ვერსიის დასაბუთებას. ამით არის განპირობებული, ალბათ, რომ თავისუფალი მედიის ბევრი წარმომადგენელი საკუთარ ხელისუფლებაში, საკუთარ სამხედრო ძალებში ახლაც დაეძებს მტერს და მოღალატებს.

მსგავსი ვითარება იყო 1998 წლის მაისის გალის ცნობილი მოვლენების დროს. შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც, სამწუხაროდ, შემდგომ ყველას გადაავინყდა, მაგრამ დროდა-დრო ახსენდებოდა ოპოზიციას, იმისდა მიხედვით თუ კული-სებში ვისი დისკრედიტაცია იყო გადაწყვეტილი; ამასწინათ სამეგრელოს რეგიონში ტარდებოდა სერიოზული ანტიტერორისტული ღონისძიება, ბუჩქებში ჩასაფრებული ჟურნალისტები კი მხოლოდ „სათავისო“ არგუმენტებს ეძებდნენ იმის გასაპათილებლად, რასაც საქართველოს ხელისუფლება მსოფლიოს გასა-გონად ამტკიცებდა.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს ხდება აფხაზეთში და აფხაზეთთან დაკავშირებით, სადაც 1993 წლის 8 ივლისიდან საგანგებო მდგო-მარეობაა გამოცხადებული; მეტად უცნაური სიტუაცია შეიქმნა ამერიკელ ინსტრუქტორთა შეზღუდული ჯგუფის საქართვე-ლოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, რომელთა კონკრეტული ფუნქცია და ამოცანა კარგად განიმარტა ხელისუფლებისა და სამხედრო უნიტების მიერ, მაგრამ ჟურნალისტებმა „მოახერხეს“ გამოენახათ საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც მოსახლეობა იმით „გაახარეს,“ რომ ამერიკელების მიზანი აფხაზეთში საომარი მოქმედების დაწყებაა. აღნიშნულ-

თან დაკავშირებით, ასევე გასაკვირია ჩვენი მასმედიის ინერტულობა აფხაზეთის თაობაზე აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 20 ივნისის განცხადებასთან დაკავშირებით. შეუწყო კი ყოველივე ამან ხელი ჩვენი ქვეყნის პრესტიუს უცხოეთში, რომ არაფერი ვთქვათ სეპარატისტებისათვის მირთმეულ იდეოლოგიურ საჩუქარზე?

11 სექტემბერს, აშშ ტერაქტების შემდეგ, ამერიკის ხელისუფლებამ მასმედიის თავისუფლებაზე გარკვეული მორატორიუმი დააწესა, ცხადია, კანონის შესაბამისად. ჩეჩჩენის რესპუბლიკის მეორე კამპანიის დროს რუსეთის ხელისუფლებამ სპეციალურად შეარჩია პასუხისმგებელი პირები ინფორმაციის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად. ავღანეთშიც ეს პრობლემა ცალსახად მოწესრიგდა. მიმაჩნია, რომ საომარ მდგომარეობაში მყოფ და ტერიტორიებნართმეულ ჩვენს ქვეყანას, სადაც აყვავებულია შიდასაზოგადოებრივი დაპირისპირება, სჭირდება შეთანხმებული, მოწესრიგებული საინფორმაციო გარემო სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანეს ცალკეულ საკითხებში მაინც.

საზოგადოება მოელის, რომ ამ საქმეში დემოკრატიული და ცივილური თანხმობის მიღწევის ინიციატორები ეროვნულ მასმედიაშიც გამოინახებიან. იქნებ თსუ-ს უურნალისტიკის ფაკულტეტი და მისი წინამდლოლი ბატონი ნუგზარ ფოფხაძე გამოვიდნენ თაოსნად? იქნებ დადგა იმის აუცილებლობა, რომ თავისუფალი და საზოგადოებრივი მასმედიის წარმომადგენლებმა შექმნან საკოორდინაციო თუ საკონსულტაციო საბჭო, რომელიც გამონახავს ყველასათვის მისაღებ სქემას და ურთიერთობის მოწესრიგების რაციონალურ მექანიზმებს. იქნებ მედიის მუშაკთა ეთიკის კოდექსია შესამუშავებელი? ამდაგვარი და მსგავსი საშუალებებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არამარტო ამხელენ ხელისუფალთა თვითნებობას, არამედ მასმედიით მანიპულატორებს, შეკვეთილ სტატიებსა და ტელეგადაცემებს. მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში უურნალისტის თავისუფლების პრობლემა მეტ-ნაკლებად იქნება ყოველთვის, სანამ ეროვნული საინფორმაციო საშუალებები და უურნალისტები არ

გაერთიანდებიან მედია საშუალებათა მსოფლიო თუ რეგიონულ ასოციაციებში, საერთაშორისო პოლდინგებში.

იქნებ საჭირო იყოს სახელმწიფო დაქმარის ცალკეულ საინ-ფორმაციო საშუალებებს, რომელთაც „სხვაგვარად არ ძალუდ“ გადარჩენა და სულს ღაფავენ უსახსრობის გამო. იქნებ სახელმწიფოს თაოსნობით შექმნას ეფექტური სამსახური მედიის მიერ წამოწეულ სერიოზული სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით განსჯისა და რეაგირებისთვის, რომელიც ასევე დააკმაყოფილებდა საზოგადოების დაინტერესებას, ვთქვათ, ე.ნ. გახმაურებულ საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობით და შედეგებით, მიფურჩეჩებული სკანდალების ხელისუფლებისთვის შეხსენებით. იქნებ ამ მიზნით სპეციალური საზოგადოებრივი გაზეთის გამოცემა, ტელეარხის შექმნა იყოს საჭირო (რომელიც პირველ ეტაპზე დაფინანსდებოდა უცხოელ დონორთა მიერ), რომელიც ჩემი აზრით, ობიექტური, მიუკერძოებელი, და აქედან გამომდინარე, მეტად პოპულარული იქნებოდა ქვეყანაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სხვა მედია მფლობელთა და ხელისუფლების აღიანსი არსებითად დაკარგავდა მნიშვნელობას.

ბოლოს, სახელმწიფო ვალდებულია მოსახლეობას ყველაზე ადრე უთხრას სრული სიმართლე, რაც ქვეყანაში ხდება და რაც შეიძლება მოხდეს. პირველწყაროს, ინიციატივის, შემტევის უფლება მისთვის არავის ნაუროტევია. თუ ასეთი უფლება სამოქალაქო საზოგადოებაში აქვთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რატომ უნდა მორცხვობდეს ხელისუფლება, თუ ის მართალია?

ცხადია ისიც, რომ ოპერატორების ინფორმაციის მოპოვების, დაზუსტების გავრცელების თვალსაზრისით ყველაზე ხელმისაწვდომი რესურსები სახელმწიფოს გააჩნია, თანაც დემოკრატიულად არჩეული (და არა „დემოკრატიულად დანიშნული“) ხელისუფლებისთვის აუცილებელია ობიექტური ინფორმაციის მოპოვება და ფლობა, რადგან, როგორც ძველი ლათინელები იტყოდნენ: „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის შეცდომებს არ უშვებს.“

დემოკრატია პროცესია, რომელიც თავისივე ფუნდამენტალური პრინციპების საფუძველზე ვითარდება, მაგრამ განსხვავებული ამა თუ იმ კონკრეტული ქვეყნის თავისებურებათა შესაბამისად. თავისუფალი ქართული მედია დემოკრატიის სადარაჯოზეც უნდა იდგეს, რადგან დემოკრატიას შეუძლია გააკეთოს ის, რასაც ვერ გატედავს ტირანია და ტოტალიტარიზმი, თუ დემოკრატია ბოროტების სამსახურში ჩადგა. ბოროტების სამსახურში ჩამდგარმა მედიამ იმდენი შეძლო, რომ თავის დროზე ფაშისტური იტალიის ხელისუფლებაში მოყვანა დუჩე (ნიჭიერი და დემაგოგი უურნალისტი), ნაცისტურ გერმანიაში კი ჰიტლერი!

ჩვენთვის ამჟამად უმთავრესია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, ქვეყნის გამთლიანება. ამბობენ, რომ ნაპოლეონმა საფრანგეთში აკრძალა სიტყვა „შეუძლებელია.“ ჩვენს ერს, ქვეყანას ყველაფრის მიღწევის უნარი აქვს, თუ გარე ძალებისადმი ქედმოხრის, დაუდევრობისა და ამპარტავნობის ლამის ისტორიულ ავადმყოფობას თავს დავაღწევთ. ჩვენთანაც ყველაფერი შესაძლებელია, თუ მასმედია, ხალხი და ხელისუფლება ერთად ჩავდგებით ობიექტურობისა და სამართლიანობის სამსახურში.

„**უურნალი „პოლიტიკა,“ №4, 2002წ.**

საქართველოს არჩევანია ნატო, რუსეთი?

მეზობელო კარისაო,
სინათლე ხარ თვალისაო!

საქართველომ ნატოსაკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. რუსეთი გაღიზიანებას ვერ მაღავს, რუბიკონი, როგორც იტყვიან, გადა-ლაბულია. პოლიტიკურ წრეებში მიაჩინათ, რომ პრალის სამიტზე საქართველოს განაცხადის დაჩქარებაში “ლომის წილი” თავისი აგრესიული პოლიტიკის გამო რუსეთმა შეიტანა.

კონფლიქტის მოწესრიგების გზების ძიების დროს ჩვენ სავსე-ბით ვენდეთ რუსეთს, მაგრამ მოსკოვსა და თბილის შორის მოს-კოვის 1992 წლის სექტემბრის ხელშეკრულებით აღებული ვალ-დებულებების რუსეთის სახელმწიფოს მიერ შეუსრულებლობის გამო დაეცა გაგრა, 1993 წლის ივლისის ხელშეკრულებით განი-არაღებული და დემორალიზებული აღმოჩნდა საქართველოს სამხედრო ძალები, რაც აფხაზეთის ტრაგედიით დასრულდა.

მიუხედავად ამისა, საქართველო მაინც გახდა დსთ-ს წევრი, მზად იყო აფხაზეთის პრობლემის რეალური გადაწყვეტის სანა-ცვლოდ კიდევ 25 წლიწადი დაეტოვებინა რუსეთის სამხედრო ბაზები საქართველოში, მაგრამ აქაც მოლოდინი არ გამართლდა.

1994 წლიდან დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ძალები (ფაქტიურად რუსეთის) გაეროს ეგიდით იმყოფებიან კონფლი-ქტის ზონაში (ესეც უპრეცედენტო გამონაკლისია საერთაშო-რისო პრაქტიკაში), მაგრამ, ნაცვლად თავდაპირველი გეგმით განსაზღვრული ეტაპობრივი გაფართოებისა, სამშვიდობო ოპე-რაცია დაკონსერვდა; მათ ვერ უზრუნველყვეს დევნილთა უსა-ფრთხო დაბრუნებისთვის საჭირო პირობების შექმნა და რეალუ-რად სასაზღვრო დაჯგუფებად გადაიქცნენ.

დასანანია რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეების მი-მართ დისკრიმინაციული სავიზო რეჟიმის შემოღება (იმავდროუ-ლად ფაქტიურად უვიზო რეჟიმი აფხაზეთში და ცხინვალის რე-

გიონში მცხოვრებლებისთვის), ასევე აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსული პასპორტების მასობრივი დარიგება, რაც საერთაშორისო სამართლის ენაზე არის იურიდიულ ექსპანსიას ნიშნავს.

რუსეთის სამხრეთ რეგიონების ურთიერთობა სოხუმის რეზიმთან უეჭველს ხდის, რომ სწორედ რუსეთის მიერ არის ხელყოფილი დსტ-ს მეთაურთა მოსკოვის სამიტის 1996 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება, აგრესიული სეპარატიზმის ე.წ. იზოლაციის შესახებ; მიმომხილველთა აზრით, რუსეთის გარკვეული ძალები აფხაზეთს განიხილავენ როგორც ფედერაციის ერთერთ გუბერნიას.

ფაქტობრივად არავითარი „ბლოკადა“ არ არსებობს, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ აფხაზური უკანონო შეიარაღებული ფორმირებები (150 ერთეული მძიმე ტექნიკა, სარაკეტო სისტემები, ავიაცია და ა.შ.) რუსეთიდან მარაგდებიან, ამასთანავე, რუსეთმა თავისი სამხედრო ბაზები გუდაუთიდან არ გაიყვანა.

ცხადია ისიც, რომ დასავლეთთან, აშშ-თან, ნატოსთან ურთიერთობაში საქართველო რამდენადმე შორს არ წასულა, ვიდრე თავად რუსეთი (რად ლირს თუნდაც ფორმულა „19+1“ ნატო-რუსეთის ურთიერთობაში); გლობალიზაცია და ინტეგრაცია თანამედროვე კაცობრიობის განვითარების მაგისტრალური გზადაა მიჩნეული და სავსებით ბუნებრივია, რომ ამ პროცესების-გან საქართველო განზე ვერ გადგება, მით უფრო, რომ კავკასია, ცენტრალური აზია და ევრაზიის დერეფანი უმნიშვნელოვანესი რეგიონია ენერგომატარებლების მოპოვებისა და ტრანსპორტირების თვალსაზრისით.

ქვეყნის ხელისუფლებას არასოდეს დაუმალავს, რომ მზად არის თანასწორუფლებიანობის პრინციპზე აგებული თანამშრომლობისათვის რუსეთის ფედერაციასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ამასთან საუბარი არ არის ერთმნიშვნელოვან არჩევანზე; გვინდა, რომ საქართველო გახდეს დიდ გეოპოლიტიურ მოთამაშეთა არა პაექრობის, არამედ პარტნიორობის ასპარეზი.

ჩვენი სახელმწიფო აცნობიერებს, რომ სსრკ-ს დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ ევროპამ რუსეთი აღიარა (რეალურად ასე იყო საუკუნეთა განმავლობაში), როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ახალი რუსეთი არ არის დასავლეთის მტერი. უფრო მეტიც, პრაქტიკულად ლაპარაკია იმაზე, რომ ალიანსის პროგრამა იცვლება და, ეს არის არა მხოლოდ ნატო, არამედ ნატოს პლუს რუსეთი. მოგვწონს თუ არა ეს ჩვენ, არის ყველა წინაპირობა იმისა, რომ ევროპა-რუსეთისა და ნატო-რუსეთის თანამშრომლობა გრძელვადიანი იყოს. პრინციპში, ბოლო წლებში აქეთკენაც მიდიოდა დიდი პოლიტიკური ცვლილებების მთელი ლოგიკა; მიჩნეულია, რომ თუ მე-20 საუკუნე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირების საუკუნე იყო, 21-ე საუკუნე არის ევრო-ამერიკული ცივილიზაციისა და აგრესიული ისლამის დაპირისპირების საუკუნე. აქ საუბარია, არა ისლამურ ცივილიზაციაზე, არამედ, რადიკალურ ისლამიზმზე, რომლისთვისაც რუსეთი, ამერიკა, ევროპა თუ ისრაელი, ერთნაირად მტერია.

როცა დაპირისპირების ხაზი სოციალიზმსა და კაპიტალიზმს (დასავლური ტიპის ლიბერალური დემოკრატია) შორის გადიოდა, მაშინ ყველაფერი სხვაგვარად იყო დალაგებული. საბჭოთა კავშირი განიხილებოდა ანტიქრისტიანულ ძალად და აქედან გამომდინარე, ისლამთან ერთგვარი იდეოლოგიური ერთობა ჰქონდა, ანუ, შეიძლება ითქვას, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირება იმავდროულად, ათეიისტურ საბჭოთა კომუნიზმთან დაპირისპირება იყო. ახლო მომავალში მაღალია აღბათობა იმისა, რომ რუსეთი აღმოჩნდეს ევროპის მოკავშირე და, აღბათ, ასეც უნდა იყოს; ერთხელ ადამ მიხნიკამა, რომლის ანტიკომუნისტობაში ეჭვის ვერ შევიტანთ, თქვა: „მე ვარ ანტისაბჭოელი, მაგრამ რუსეთის მოყვარული, ვინაიდან ტოლისტოის, შოსტაკოვიჩის, დოსტოევსკის და პროკოფიევის გარეშე ევროპა ვერ წარმომიდგენია. „ აქედან, გამომდინარე, ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ დასავლეთისთვის საბჭოთა კავშირი სხვა იყო და რუსეთი სხვაა. რუსეთი არ არის ძველებური დემონური ძალა, იგი კაპიტალისტური ქვეყანაა, რომელიც უცხოეთში გაზს და ნავთობს, სხვა

ნედლეულს ყიდის და დიდ ფულს შოულობს.

ჩვენი ქვეყანა და ხალხი მიესალმება რუსეთის, აშშ და საქართველოს დიალოგის დაწყებას აფხაზეთის, ასევე კავკასიაში სხვა კონფლიქტების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. საქართველოს პრეზიდენტმა ამასწინათ წამოაყენა ინიციატივა აფხაზეთის პრობლემების გადასაწყვეტად საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ რუსეთისა და აშშ თანათავმჯდომარეობით, უკრაინის, თურქეთის, სხვა ქვეყნების აქტიური მონაწილეობით, რასაც გაგებით შეხვდნენ აფხაზეთშიც.

აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის 10 წლიანმა მარათონმა ფუჭად ჩაიარა. კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. გაეროს გენერალური მდგრინის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის მიერ შემუშავებული სამუშაო დოკუმენტი – „საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსისა და უფლებათა გამიჯვნის შესახებ“, რომელიც არსებული მდგომარეობის შესაცვლელად ლამის ერთადერთი იმედი იყო, აფხაზურმა მხარემ არ მიიღო და ნიღბად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების ყბადალებული მოთხოვნა აიფარა.

ექსპერტთა აზრით, „მეგობართა ჯგუფის“ და რუსეთის ფედერაციის ძირითადი შეცდომა ისაა, რომ რუსეთისგან ზურგგა-მაგრებულ სოხუმს დაუსრულებული და აბსურდული დავის გაჭი-ანურების შესაძლებლობა მიეცა. სამწუხაროდ, საერთაშორისო საზოგადოება დაემორჩილა სეპარატისტ-ტერორისტთა ამბიციებს, რის გამოც პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი მათი განწყობილების მძევალია. მიჩნეულია, რომ რუსეთის მტკიცე ნების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა (კონფლიქტის ზონაში ნაცვლად ტექნიკური საკითხების მოგვარებისა), ყურადღების გადატანა პრობლემის მოწესრიგების ფუნდამენტალურ ასპექტებზე, კერძოდ:

1. რომ დარღვეულია საქართველოს, გაეროს და დსტ-ს წევრი ქვეყნის, ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთის ე.ნ. სახელმწიფოებრივ ხელისუფლებაზე პრეტენზია აქვს ძალადობით და ეთნიკური წმენდით ხელისუფლებაში მოსულ ფსევდო აფხაზურ

დაჯგუფებას, რომლის მართვის მეთოდია ტირანია, შიში, ადამიანთა მასობრივი უუფლებობა და ძალადობა;

2. რომ დღემდე გრძელდება ე.წ. იმ „ჭირვეულის მორჯულება,“ რომლის ფეხითაც გაითელა გაეროს 29 რეზოლუცია, ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონის, სტამბულის სამიტების გადაწყვეტილებები;

3. რომ 300 ათასზე მეტი მშობლიური ადგილებიდან გაძევებული ადამიანი სრულიად უუფლებობა და ფაქტიურად განწირული, უნაყოფოა მათ ბედზე საერთაშორისო ორგანიზაციების თითქმის ათწლიანი დისკუსია;

გაუგებარია თუ რატომ არ უნდა რუსეთის ხელისუფლებას გაიღოს, რომ საქართველოს მზადაა აფხაზურ მხარესთან პირდაპირი და მრავალმხრივი დიალოგისათვის, რომ სავსებით გაზიარებულია იალტის განცხადება ნდობის ფაქტორის უზრუნველსაყოფად გარანტი სახელმწიფოების ინსტიტუტის შექმნის შესახებ, რომ ჩვენი სახელმწიფო უზრუნველყოფს რუსეთის კანონიერი ინტერესები არ შეილახოს საქართველოში, რომ საქართველო ყველაფერს გააკეთებს აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის ინტერესების დაცვისთვის, აფხაზი ხალხის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ეკონომიკური აყვავებისთვის.

საქართველოს პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოწყობის ფედერაციული მოდელის შესახებ დევნილთა და ლტოლვილთა საყვაველთაო და ლირსეული დაბრუნების პირობით. თბილისში ასევე განიხილება სხვა მრავალი მოდიფიკაცია, მათ შორის ასიმეტრიული ფედერაცია, რომელიც განმტკიცებული იქნება უფლებათა და კომპეტენციათა გამიჯვნის თაობაზე ფედერაციის სუბიექტებთან კონსტიტუციური ხელშეკრულებით. აქ პირველ რიგში აფხაზეთი მოიაზრება. შექმნილია სათანადო სახელმწიფო კომისია. ამ მიმართულებით აქტიურად საქმიანობენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები შემზარავ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით ნიუ-იორკში (11

სექტემბერი, 2001წ.), მოსკოვში (23 ოქტომბერი, 2002წ.) თვალ-ნათლივ ადასტურებენ, რომ დაუშვებელია უკონტროლო ტერო-ტორიების არსებობა, საიდანაც წარმოიშობან და ვითარდებიან სისხლიანი ტერორისტული პროგრამები და პროექტები.

უეჭველია, რომ ტერორიზმის მკვებავი და მაცოცხლებელი ტერიტორიები უნდა „დაიხუროს“, „დაექვემდებაროს კონტროლს, სისხლითა და ძალადობით მოსული რეჟიმების მიმართ განხორ-ციელდეს საერთაშორისო სამართლებრივი დევნა, არაძალა-დობრივი იძულების თუ ძალის გამოყენებით იძულების სხვა ღო-ნისძიებები.

უბედურება იწყება მაშინ, როცა ყურადღების მიღმა რჩება „პატარ-პატარა“ კონფლიქტები თავისი ბელადებით, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ (ჩვენს შემთხვევაში, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება) აბუჩად აიგდონ მსოფლიო გაერთიანების რეკომენდაციები, მოთხოვნები, გაფრთხილებები. დაუშვებელია ორმაგი “თამაშის წესები“, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის, რაც აფხაზეთის მიმართ რუსეთის მხრიდან სამწუხარო გამონაკლისი არ არის.

სამწუხაროდ, ახალი მსოფლიოს თვალწინ ხდება სრულად მიუღებელი რამ – მსხვერპლის და მოძალადეს, მიზეზისა და შე-დეგის გაიგივება, ასეულ ათასობით დევნილის მშობლიურ ად-გილებში დაუბრუნებაზე უარის გამართლება იმ მოტივით, რომ ეროვნული უმცირესობის ან მცირე ეთნიკური ჯგუფების ინ-ტერესები არ შეიძლახოს. ბრძებიც კი ხედავენ, რომ ეს საპაპია, მიზანი კი სულ სხვაა, რასაც დემოკრატიულობის იმიჯს ამოფა-რებული მსოფლიოს დიდი აქტიორები თამაშობენ. აფხაზეთი, ამ თვალსაზრისით, როგორც იტყვიან, კლასიკური მაგალითია.

ერთი სიტყვით, როცა მსოფლიო ტერორიზმის უმაგალითო ზეობის პრობლემების წინაშე დგას, ახალი კუთხით უნდა იქნას დანახული უკონტროლო ტერიტორიები, ძალადობისა და უკანო-ნობის კუნძულები, რომელიც პოტენციურ საფრთხეს წარმოად-გენენ არა მარტო იმ სახელმწიფოებისთვის, რომლის ტერიტო-რიაზე ეს ხდება, არამედ პლანეტის უფართოესი რეგიონებისთ-

ვის. ჩვენს შემთხვევაში, აფხაზეთი შეიძლება გახდეს ის ნაპერწკალი, საიდანაც აინთება დიდი რეგიონული ხანძარი, ყველას ომი – ყველას წინააღმდეგ.

ცხადია, რომ აფხაზეთის საკითხში რუსეთის პოზიციის მიმართ იმედგაცრუება მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. სამშვიდობო ძალები, რომლებიც აღფრთოვანებითა და იმედით მივიღეთ აფხაზეთიდან დევნილებმა, ამჟამად აფხაზური რეჟიმის მხარდამჭერად და რეჟიმის შენარჩუნების გრანტად მოიაზრება. სხვა მოვლენებთან ერთად, სწორედ რომ აღნიშნულმა განაპირობა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება სამშვიდობო ძალების სხვა ძალებით ჩანაცვლების, ეუთოს სტამბულის გადაწყვეტილების შესაბამისად რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის, დსთ-დან საქართველოს გასვლის შესახებ, რომელთა რეალიზაცია, ბუნებრივია, მეტად რთული და მტკიცნეული იქნება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ფრთხილი პოზიცია განპირობებულია იმით, რომ წარმოუდგენელია კავკასიაში სტაბილურობა საქართველოსა და რუსეთის თანამშრომლობის გარეშე.

მომზიფებულია საკითხი აფხაზეთის გამჭოლი კომუნიკაციების აღდგენის თაობაზე (რკინიგზა, საგზაო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტი, ენერგომატარებლები), რაც პირდაპირ შედის რუსეთის, საქართველოს, სომხეთის, სხვა ქვეყნების ინტერესებში. ამ საკითხებზე საჭიროა მსჯელობა. უეჭველია, რომ რუსეთი დაინტერესებულია ნავთობსადენის აფხაზეთში გატარებით. ეს მისთვის არანაკლებ საინტერესო და სერიოზული ეკონომიკური საკითხია, ვიდრე პოლიტიკური. ამასთან, სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ საქართველოსთვის, როგორც მინიმუმი, კომუნიკაციების გახსნის წინაპირობა უნდა იყოს დიალოგის დაწყება, ვთქვათ, ე.ნ. ბოდენის დოკუმენტთან დაკავშირებით, დსთ-ს სამშვიდობო ძალების გაფართოება აფხაზეთის სილრმეში და მისი ფუნქციონალური ტრანსფორმაცია, პარალელურად, დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების დაწყება გალის რაიონში და მთლიანად

აფხაზეთში. მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია გაღის რაიონის გამოცხადება მშვიდობის მშენებლობისა და ნდობის ზონად.

მოლოდინი იმისა, საქართველოს დასავლური ორიენტაცია უმაღ გადაწყვეტს ყველა ჩვენს პრობლემას, ჩემი აზრით, გაზვიადებულია. მოსამზადებლად წლებია საჭირო; აუცილებელია ქვეყანაში დასავლეთის დემოკრატიული სტანდარტების დამკვიდრება, რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და მრავალი სხვა, რაც მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია; ბევრი დასავლეთელი ექსპერტის აზრით, საქართველო ჯერ კიდევ არის ქვეყანა, სადაც არის კერძო საკუთრება, მაგრამ არ არის კანონის უზენაესობა, თავისუფალი სასამართლო, ამიტომაც, ხელისუფლებაში მოსული ძალა შოულობს ძალიან ბევრ ფულს და მდგომარეობის დაკარგვა არ მოუნდებაო, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც კანონის უზენაესობა არ არსებობს, შესაძლოა ხელისუფლებაში მოვიდეს ყაჩაღების ბანდა და შედეგად, ნარმოუდგენელი გახდეს ხელისუფლების დემოკრატიული გზით შეცვლა. იქნებ არც ის ექსპერტები ცდებიან, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ნატო მრავალი თვალსაზრისით მეტად ფრთხილი და მგრძნობიარე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა და ნაკლებად სავარაუდოა თავის რიგებში მიიღოს სახელმწიფო, რომელსაც მოუგვარებელი აქვს ტერიტორიული მთლიანობისა და სასაზღვრო საკითხები.

ცხადია, ნატო ნატოა და ის მხოლოდ და მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც ნატოს უსაფრთხოებას არ შეუქმნის საფრთხეს. ჩვენ დიდხანს მოგვიწევს ნატოს კარებთან დგომა, თუმცა ქვეყანაში და მის გარეთ არიან რადიკალური ძალებიც, რომლებიც ყველაფერს გვპირდებიან და რუსეთთან მეტი კონფრონტაციისკენ გვაქეზებენ.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება სოკრატეს ერთ-ერთ მონაფე ანტისტენე; იგი ავადმყოფობით იტანჯებოდა და მოსანახულებლად მისულ მეგობრებს მიმართა, -ვინ გამათავისუფლებსო მე ტანჯვისგან; ერთერთმა მათგანმა ხანჯალი გაუწოდა. ანტისტენემ ხანჯალი უკან დაუბრუნა და ნაღვლიანად თქვა:

მე გთხოვეთ თქვენ ტანჯვისგან და არა სიცოცხლისგან განთავისუფლებაო. ხომ არ ხდება, ისე რომ, ახლა ბევრი ახლობელი თუ შორეული „მეგობარი“ საქართველოს მხოლოდ ხანჯალს აწვდის!

ნატოს წევრობა მარტივი საქმე არ იქნება, მით უფრო რუსეთის მეზობელი და მასთან კონფრონტაციაში მყოფი ქვეყნისთვის. როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ალბათ ამიტომაა, რომ რიგი ჩვენი და უცხოელი პოლიტიკოსები ხელისუფლებას აფრთხილებენ, რომ გაბეჭული სურვილია ნატოს წევრობა, მაგრამ მეტად შორეული, თანაც საფრთხეების შემცველი. მსოფლიოში ძალთა ბალანსი მეტად დინამიურად იცვლება და სულაც არ არის გამორიცხული, რომ ამა თუ იმ გლობალურ საკითხზე ამერიკამ სხვა დიდ ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთანაც კი გამონახოს საერთო ენა და აქედან გამომდინარე, ნატომ მისთვის ჩვეული თავაზიანობით გვითხრას, –ახლა ეს საკითხი გადავდოთ, ამჟამად ჩვენ ამას ვერაფერს მოვუხერხებთო; იქნებ უარესიც, – დიპლომატთა ენაზე გვაგრძნობინონ, რომ მსოფლიოში საქართველოზე გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს და მათთვის გვაქვს მისახედიო. იქნებ, ნატოს რომელიმე „შეშფოთებულ“ წევრს ჩვენს საყურადღებოდ ათქმევინონ, რომ თურმე ის ვერ ხედავს იმ გეოგრაფიული უპირატესობის, მოცულობისა და შესაძლებლობების განეიტრალების გზას, რომელიც რუსეთს აქვს.

საკუთარი ქვეყნის ისტორიაც გვასწავლის, რომ მსოფლიოში ყოველთვის არსებობს ისეთი პრობლემები, რომელთა მოგვარებისთვის დიდებს უფრო სჭირდებათ ერთმანეთი, ვიდრე დიდსა და პატარა პარტნიორებს. კარგადაა ცნობილი ისიც, რომ ძლიერთა თანამშრომლობა სუსტებისთვის სახითათოა. უახლოესი მსოფლიოს გამოცდილებაც გვარწმუნებს, – ნატოს რიგი წევრები სულ უფრო მეტად გრძნობენ, რომ ნატოში მათი წევრობა სამხედრო ბაზების ფიზიკური მხარდაჭერის გარეშე, უბრალოდ არაფერია. უცხო ქვეყნის ძალების ქვეყანაში განლაგება კი სხვა დამატებით პრობლემებთან არის დაკავშირებული და საეჭვოა,

ხელისუფლებამ ხალხის თანხმობის გარეშე მარტივად მიიღოს გადაწყვეტილება.

ასეა თუ ისე, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო ნატოს წევრად გახდომას ცდილობს, რაც სავსებით ლოგიკურია და სავარაუდოა, რომ რუსეთისთვის ახალი ბიძგი გახდეს სამხრეთ კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების პოლიტიკური საშუალებებით დაკმაყოფილების დასაჩქარებლად. რუსეთის ფედერაციას რეალურად შეუძლია და უნდა უზრუნველყოს კიდევაც სოხუმში მისი მაღალი ავტორიტეტის გამოყენება კონფლიქტის მოწესრიგებაში გარღვევის მისაღწევად.

არავის არ უნდა ეეჭვებოდეს, რომ ეს იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვეთრი გაუმჯობესების იმპულსი, რაც ჩვენს ქვეყნებს მტკიცე და ხანგრძლივ სტრატეგიულ პარტნიორობამდე მიიყვანს, რასაც დიდი ხანია ელოდებიან საქართველოში და რუსეთში.

„დილის გაზეთი,“
20 დეკემბერი, 2002წ.

იზოლაცია თუ დისტანცირებული თანამშრომავლობა?

აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ინტერნაციონალიზაციამ ნაკლებად სავარაუდოა მოკლე დროში სასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. გლობალიზაციის საჯაროდ გაცხადებულმა პრინციპმა – „მშვიდობა ტერიტორიების სანაცვლოდ“, როცა მსოფლიოს წამყვან მოთამაშეებს თითქოსდა განსაკუთრებული პოლიტიკური და ეკონომიკური მიზანსწრაფვა არ ამოძრავებთ, ბუნებრივად გულისხმობს ამ ეტაპზე (იქნებ დიდი ხნითაც!) და კონსერვებულ კონფლიქტებში ღია ჩაურევლობას. სპეციალისტების აზრით, არსებობს ყველა ნიშანი, რომ გარე სამყარო აფხაზეთის კონფლიქტს სწორედ ასეთად მოიაზრებს.

რადგანაც დრო და ადამიანები იცვლებიან, მაგრამ გეოპოლიტიკური ინტერესები საუკუნეთა განმავლობაში არსებით ცვლილებას არ განიცდიან, იქნებ, შექმნილი ჩიხიდან გამოსავალი იყოს საკუთრივ აფხაზეთსა და მთლიანად რეგიონში ამჟამად არსებული ვითარების ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა (ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით), ანუ სამშვიდობო ძალისხმევის კოორდინაცია აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ჩვენებური „საგზაო რუკის“ „შესამუშავებლად.“

ისტორია გვასწავლის, რომ XV–XVII საუკუნეებიდან აფხაზეთში მთის მოსახლეობის თანდათანობითი ჩამოსახლების გამო, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის გამაპტადიანებამ და სხვა ეპოქალურმა მოვლენებმა განაპირობა, საქართველოს ეს ძირდველი რეგიონი ნელ-ნელა კარგავდა პირვანდელ სოციალურ სახეს. ამ ვითარებაში, საკუთრივ აფხაზეთის გეოგრაფიული მეზობელი და ოდესალაც ერთიანი კოლხური სოციალური და ეთნოკულტურულ სივრცეში დომინანტი სამეგრელოს სამთავრო, იმერეთის სამეფოს მხარდაჭერით ასრულებდა მნიშვნელოვან შემაკავებელ ფუნქციას. მიჩნეულია, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში აფხაზეთის და სამეგრელოს სამთავროების დაპირისპი-

რება არ იყო მხოლოდ ტრადიციული ფეოდალური ერთეულების ქიშპობა. ამ დროიდან აფხაზეთში პირველი გაისმა განგაშის ხმა ისლამის მოძალებისა და ამ რელიგიის თავისებურებათა გამო (ისლამი ალაპისადმი ერთგულებას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეთნიკურ წარმომავლობას, ახასიათებდა სისასტიკე და მოქნილობა, გააჩნდა ადაპტაციის უნარი და ასიმილაციის დიდი შესაძლებლობა). უეჭველია, რომ შავ ზღვაზე გასასვლელით მეზობელი ჩრდილოეთელი ეთნოსების და მათ მფარველის დაინტერესება კიდევ უფრო ამნგვავებდა ამ პრობლემას.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ პერიოდის ახლებური პოლიტიკური შეფასება აუცილებელია, რათა აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს დიდი ისტორიული მეზობლების (რუსეთი, თურქეთი) გეოპოლიტიკური ინტერესებისადმი ცალმხრივ, ხშირად აკვიატებულ განსჯას წერტილი დაესვას.

ძლიერი მმართველობის დროს სამეგრელო, განსაკუთრებით ლევან II დადიანის პერიოდში, ენერგიულად უმკლავდებოდა აფხაზეთში უცხოტომელთა შემოსევებს. ამ მიზნით აიგო კიდეც კელასურის დიდი კედელი ჩრდილოეთელი ძალების შესაჩერებლად. სამეგრელოს მხარში ედგა სვანეთი, გურიის სამთავრო, იმერეთის სამეფო. ზემოაღნიშნული ქართული პოლიტიკური ერთეულები არსებითად ერთად უმკლავდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიელთა შემოტევებს.

1680 წლისათვის საქართველოში არსებული საერთო მდგომარეობის გამო (ლევან II დადიანის უეცარი გარდაცვალება, მისი მემკვიდრეების, როგორც პოლიტიკური ფიგურების სისუსტე, ასევე, დიდი არეულობა დასავლეთ საქართველოში) აფხაზებმა შეძლეს ჯერ მდინარე ლალიძგამდე გამოსვლა, შემდგომ მდინარე ენგურზე გამაგრება. უფრო მეტიც, ისარგებლეს რა დასავლეთ საქართველოში ძმათამკვლელი დაპირისპირებით და მართვადი ქაოსით, ენგურს გამოღმა ქართველ დიდებულთა შორის კონსოლიდაციის დეფიციტით, ცხენისწყლამდე მოახრეს სამეგრელო. ეს იყო უმძიმესი პერიოდი, ტრაგიკული წლები აფხაზეთისა და სამეგრელოს მოსახლეობის ცხოვრებაში. აფხაზეთიდან აჰყარეს

ქრისტიანული კოლხური (მეგრული) მოსახლეობა და გამოდევნეს მშობლიური ადგილებიდან, ათეულ ათასობით ადამიანი ტყვედ გაყიდეს ოსმალეთში; გაველურდა, გაუკაცრიელდა აფხაზეთი, კატასტროფულად შემცირდა ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობა. ამ პერიოდიდან ინტენსიური ხასიათი მიიღო იძულებითმა ასიმილაციამ, რასაც ხელს უწყობდა აფხაზ წარჩინებულთა კასტის ორიენტაციის შეცვლა.

ამ მოვლენას გვერდს ვერ უვლიან ობიექტური აფხაზი ისტორიკოსები, ვინაიდან აუარებელი უტყუარი დოკუმენტური მასალა არსებობს, თუმცა აფხაზეთის ახალი თაობის „მეცნიერთა“ დიდი ნაწილისათვის ფალსიფიკაცია პოლიტიკური დივიდენდებისა და „განსაკუთრებული აღმოჩენებით“ სამეცნიერო ხარისხის მოპოვების ძირითადი საშუალება გახდა. ოკუპირებულ აფხაზეთში ისინი ცდილობენ „სამეცნიერო“ ბრუნვაში შემოიტანონ და დაამკვიდრონ ტერმინები „წარმეულის დაბრუნება“, „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“ და სხვა.

ფაქტი ფაქტად რჩება (რაც კარგადაა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიაში, მაგრამ თავის დროზე უხერხულ თემად ითვლებოდა), რომ XVII საუკუნიდან დასასრულიდან ცხენისწყალს გამოლმა საქართველოს მრავალ ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიებზე მკვიდრდებოდა აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობა, ვრცელდებოდა აფხაზეთისათვის დამახასიათებელი ტოპონიმები; ძველი აფხაზეთის ქართული გვარ-სახელების მატარებელი ადამიანები დღემდე კომპაქტურად ბინადრობენ იქ, მეტნაკლებად ინახავენ აფხაზეთში მცხოვრებთათვის დამახასიათებელ ადათ-წესებსა და ტრადიციებს.

სამტრედიის რაიონში ცნობილი სოფლებია ილორი და ნაბაკევი თავისი აფხაზურ-კოლხური წარმომავლობის კომპაქტური მოსახლეობით. უამრავი ასეთი სოფელი და დასახლებაა ენგურს გამოლმა საქართველოს სხვა რეგიონში.

საიდუმლო არ არის, რომ მიუხედავად ათასი უბედურებისა, რაც რუსეთის იმპერიამ (შემდგომ მოდერნიზებულმა საბჭოთა)

თავს დაატეხა აფხაზეთს, მთლიანად საქართველოს, „ურჩი“ ჩრდილოეთ კავკასიის სრული დამორჩილების შემდეგ ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა კვლავ მოახერხა მშობლიური ადგილების ათვისება, ქართული სულის აღმორძინება აფხაზეთში. ცნობილია ისიც, რომ განსახლებისა და დემოგრაფიული პრობლემებისადმი საბჭოთა ხელისუფლების მიღვომა განსაკუთრებული იყო; მცოცავ რუსითიკაციას თანა ახლდა წონასწორობის გარკვეული ელემენტი, რაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშითდა ქართველი ერის შეუპოვრობა.

საქართველოს შემადგენლობაში ისტორიული აფხაზეთთან განუყოფელ კავშირ-ურთიერთობებს საუკუნეთა განმავლობაში უპირატესად უზრუნველყოფდა სამეგრელო და გურია, იმერეთი და სვანეთი. მოვიანებით, საბჭოთა პერიოდშიც, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ეს რეგიონები ახორციელებდნენ აფხაზეთის რეალურ ინტეგრაციას ერთიანი საქართველოს ქსოვილში ტრადიციული ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული, ეთნიკური კავშირების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულში ახალი არაფერია, გარდა იმისა, რომ ამჟამადაც არის მეტად დიდი შანსი და რეალურადაა მიჩნეული (როგორც ისტორიულად მრავალჯერ) იმერეთ-გურია-სამეგრელო-სვანეთის ისტორიული მხარეების ერთიანი, კოორდინირებული მოქმედების აუცილებლობა აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად; ამ მხარეებს გააჩნიათ არა მხოლოდ მორალური ვალდებულება აფხაზეთის წინაშე, არამედ თავადაც შეექმნათ უმძიმესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები აფხაზეთის მოუგვარებელი კონფლიქტის გამო. ამ პროცესის დაწყება და გაფართოება ხელს შეუწყობს პოსტკონფლიქტურ აფხაზეთში დარჩენილი და მეზობელ ტერიტორიების მოსახლეობას შორის დღემდე არსებული კავშირების შენარჩუნებასა და გაფართოებას, ვაჭრობის გამოცოცხლებას, ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას. პირდაპირ თუ ვიტყვით, საკითხი ეხება აფხაზეთის იზოლაციის კურსიდან ზომიერად დისტანცირებულ თანამშრომლობაზე გა-

დასვლას, ამ ეტაპზე, თუნდაც ზემოთ აღნიშნული და სხვა დაინტერესებული რეგიონების მონაწილეობით.

ჩიხიდან გამოსავალი აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენა-შია. ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი, მაგრამ იგი გარდუვალია, თუ ნამდვილად გვსურს კონფირონტაციული რეალობიდან მშვიდობიანი საშუალებებით გამოსვლა.

პროცესის დაწყება ადვილი არ იქნება, მაგრამ სრულიად შესაძლებელია ხელისუფლების პოზიტიური ნებისა და აჭარის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეებში შემავალი ქალაქების და რაიონების ხელმძღვანელების, იურიდიული და ფიზიკური პირების, ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა კოორდინირებული საქმიანობის პირობებში.

აფხაზეთისადმი ძველებური, განკერძოებული, იზოლაციონისტური (ფაქტიურად თვითიზოლაცია) დამოკიდებულების გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლება.

„საქართველოს რესპუბლიკა,“
23 სექტემბერი, 2003 წ.

სამშობლოზე მაღლა თვით ჯეშთარითებაც ვერ დადგება

ინფორმაცია, რომლის გარეშეც საზოგადოების დემოკრატიული განვითარება, სამოქალაქო სექტორის ფორმირება შეუძლებელია, შემაკავშირებელიც არის და დამანგრეველიც.

ხელისუფლებისადმი უნდობლობა ჩვეულებრივი მოვლენაა მსოფლიოში, მაგრამ მისი დრამატიზაციით, უსაშველო ლანდლავა-გინებით, საკრალურად მიჩნეული მიზნისთვის სახელის გატეხით, შესაძლებელია ქვეყანას უპედურება მოვუტანოთ. მით უფრო, როცა უნდობლობის სინდრომი ხალხში შეგნებულად ინერგება და მას მიზანდასახულად ხელს უწყობს და ამძაფრებს მასმედია. ხელისუფლების და პოლიტიკოსების ყველაზე დიდი დანაშაული საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ტყვიის გასროლაა, რაც არც საქართველოსთვისაა უცხო.

კონფუცი კითხვაზე, თუ რა სჭირდება ქვეყნის მართვას, უპასუხებს – სურსათი, იარაღი და მთავრის ნდობა. თუ დასათმობია რომელიმე მათგანი, უარი უნდა ეთქვას იარაღს, შემდეგ სურსათს, მაგრამ ხალხში მთავრის ნდობა თუ დაიკარგა, ვერ გადარჩება ეს ქვეყნა.

რამდენად მიზანშენონილია პოლიტიკური ძალების თუ ცალკეული პირების გლადიატორული შერკინება ისედაც მყიფე, ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ადგილობრივი არჩევნების (რომელიც დღემდე არ დამთავრებულა) სააგიტაციო მხარე ბრწყინვალე ნიმუში იყო იმისა, თუ როგორ არ უნდა გახდეს წინასაარჩევნო კამპანია მტრობისა და შუღლის გაღვივების, საზოგადოების გახლეჩის კატალიზატორი. ეს რბილადაა ნათქვამი. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავინყდეს, რომ კომუნისტური მენტალიტეტი გამძლეა, მყარია, ადრე სოციალურად დაცული ადამიანების ნოსტალგიას ინერციის საშინელი ძალა აქვს, რაც საკუთარ თავზე კარგად გამოსცადეს ამჟამად ოპოზიციის წარმომადგენლებმა, რომლებიც გახდნენ მინისტრები, ქვეყნის აღმშენებლობის

წინამდლოლები, მაგრამ ძალზე გაუჭირდათ, ბევრმა კი გადადგომა არჩია. ადვილი არ არის იყო პოლიტიკოსი, მაგრამ ათას-ჯერ მძიმეა სახელმწიფო ბრივად მოაზროვნე და პრაგმატული პიროვნების ბედი.

უკიდურესად უჭირს გაღატაკებულ, მყარი სამუშაოსა და შემოსავლების უქონელ, მცირედი ხელფასებისა და პენსიების მომლოდინე (თანაც ხშირად „გაყინულის“), დროებით ტერიტორიებდაკარგული სახელმწიფოს დევნილ მოსახლეობას. საქართველოს ისტორიაში უარესიც ყოფილა – 300-ზე მეტი სირცხვილი გვიჭამია თურმე, მაგრამ დღემდე მოვსულვართ და ხალხს (ვისი სახელითაც ახლა პარტიები და ლიდერები ყველაფრისთვის არიან მზად არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში), საკუთარი თავის იმედი არ დაუკარგავს.

ნიშნავს, თუ არა ეს, რომ ხელისუფლებას არ უნდა აკადრო კრიტიკა, ანდა ვინმე თავზე ხელს უსვამდეს? სრულიადაც არა!

ხელისუფლების კრიტიკამ, თუნდაც მისმა „გაშავებამ“, როგორც ახლა დამოუკიდებელი მასმედია აკეთებს, ხელი არ უნდა შეუშალოს საქართველოს სახელმწიფოს აშენებას, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძვლების ჩაყრას და განმტკიცებას; არა და, ისე ბევრი ვინმეა გატაცებული ამ ნორჩი სახელმწიფოს ძირის გამოთხრით, რომ ძნელია მსგავსი მაგალითის სხვაგან პოვნა.

ჩემი აზრით, მასმედიამ (დამოუკიდებელმა თუ სახელმწიფომ) ერთი რამ კარგად უნდა გაითავისოს – არ შეიძლება ერთ-მანეთში ომი, როცა საკითხი ქვეყნის ბედს, ჩვენი შვილების მომავალს ეხება. შეუძლებელია სახელმწიფო, მისი ხელისუფლება ან მთლად „თეთრი“ იყოს, ან მთლად „შავი“. „აუცილებელია ზომიერების დაცვა. როგორც იტყვიან, ცალკეული ჭეშმარიტებები სამშობლოზე მაღლა არ შეიძლება იდგეს, ასეთი რამ არსად არ ხდება!

არსებობს თუ არა ქვეყანაში წინაპირობები, რომ „არშემდგარი სახელმწიფო“ დაგვარქვან და უცხოეთში ენატანიობის გამოლამის აპარტეიზმი დაგვაძრალონ (ფართო გაგებით) ადამიანის

უფლებათა დაცვის, ეთნიკურ უმცირესობათა, კონფესიის და სხვა საკითხთან დაკავშირებით?

ჩვენს ისტორიაში ეს ყველაფერი იყო პირველ რესპუბლიკაში, შემდეგაც და თუ რითი დამთავრდა საზოგადოების გახლეჩა, საყოველთაოდ ცნობილია.

ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის შინაგანი განწყობა, თუ გნებავთ, გენეტიკური ინსტინქტმა, რომ ავაშენოთ თავისუფალი, დემოკრატიული, ახალი საქართველო, ამასთან, ხაზი არ გადაუსვათ არც თვითმყოფად წარსულს, არც ანტყოს (რა რთულიც არ უნდა იყოს იგი), არც მომავალს, ჩვენს შვილებს შევუქმნათ ღირსეულ, განათლებულ და ზნეობრივ ადამიანებად ჩამოყალიბების პირობები. როგორ მოვახერხოთ ეს, ვინ გვიჩვენებს საამისო გზას ქვენა აზრებისა და კანონიერ არჩევნებამდე სახელმწიფოს პირველ სავარძელში ჩაჯდომის მოთხოვნის გარეშე, აი, რა უნდათ ადამიანებს თავისუფალი თუ სახელმწიფო მასმედისაგან.

შეიძლება ამ საკითხში საერთო ენის გამონახვა ომის, დაპირისპირების გარეშე? შეიძლება და ეს ასეც უნდა მოხდეს!

სხვა საკითხია მედიის თავისუფლება. დაე, უურნალისტური გამოძიებები ჩატარდეს, ოლონდ ეს გაკეთდეს აწონილი სიტყვით, რკინის ლოგიკით, არგუმენტიბით. ჩემგან არავის ესწავლება, დეპუტატი ხალხის რჩეულია და მას ბევრ რამეს ჰპატიობენ საკუთარი ქვეყნის პრესტიულისათვის, პრეზიდენტს კი (ვინც არ უნდა იყოს ის, მათ შორის მოკლულებსაც) „ჩემს პრეზიდენტს“ ეძახიან აშშ-ში და დიდი დემოკრატიების სხვა ქვეყნებში. დასავლეთში უურნალისტი გაიგივებულია პოლიტიკოსთან, რომელიც ნელნელა ბურღავს მაგარ ქანებს, სახალხო საქმეში საკუთარი სიცოცხლის რისკით აქსოვს ვნებას და გონებას.

დღეს ჩვენი უწინარესი უბედურებაა შიშველი უნდობლობა ხელისუფლების მიმართ, რომელსაც აქტიურად უწყობს ხელს მეტად პოლიტიზირებული მასმედია, რომელიც ხშირად დაუმსახურებლად, ყოველგვარი არგუმენტის გარეშე უხამსად თათხავს ქვეყანას და ხელისუფლებას.

ბოლო 10 წელიწადში ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა. მხედველობაში მაქვს საშინაო პოლიტიკა, მათ შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხებში, მაგრამ საკითხავია თუ სად, რომელ ქვეყანაში არ ყოფილა ასე, ვინაა დაზღვეული მსგავსი მოვლენებისგან? საქართველოში საინფორმაციო პოლიტიკა დემოკრატიზმის გაფურჩქნის ჯანსაღი მოსაზრებით, საინფორმაციო გარემოში მონოპოლიზმის დაუშვებლობის მოტივით, სხვა გზით წავიდა. ახლა ძნელია იმის მტკიცება, სწორი იქნებოდა თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში ინფორმაციის სამინისტროს, დეპარტამენტის, ან რამე სხვა სამსახურის შექმნა, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია. რამდენად სწორი იყო უსაშეველო შიში იმისა, რომ ის არ იქნებოდა ქვეყანაში საინფორმაციო პოლიტიკის ნეიტრალური გამტკარებელი, ძნელი სათქმელია.

1992-1993 წლებში, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს სახელმწიფო და თავისუფალი მასმედიას შორის გაჩაღდა სერიოზული, მაგრამ, ერთი შეხედვით, „უნცინარი“ კონფლიქტი, რომელმაც უაღრესად ნებატიური როლი შეასრულა ქვეყნის შიგნით და მის გარეთაც. მაშინ საინფორმაციო ომი ქვეყანამ წააგო. რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა ლამის ნახევარი მსოფლიო დაარწმუნეს, რომ თბილისი მოძალადეა და მრავალმილიონიანი საქართველო მცირერიცხოვან აფხაზ ეთნოსს გენოციდს უწყობს!

ბევრისთვის დღესაც გაუგებარია იმის დაწყების მიზეზი, თუმცა ყველაფერს აქვს თავისი სახელი; სამწუხაროდ, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ზოგ-ზოგები ამჟამადაც მიმართავნ ხელისუფლების მიერ „აფხაზეთის გაყიდვის“ ყბა-დაღებულ ვერსიას.

გასაოცარია, რომ თავისუფალი მასმედიის ბევრი წარმომადგენელი ხშირად მტერში არ ეძებს მტერს, არამედ საკუთარ ხელისუფლებაში, საკუთარ სამხედრო ძალებში.

მსგავსი ვითარება იყო 1998 წლის მაისში გალის ცნობილი მოვლენების დროს. ტრაგედიის მიზეზების შესასწავლად სა-

ხელმწიფო კომისია შეიქმნა, რომელიც შემდგომ ყველას გადაა-ვიწყდა, რაც საბაბს აძლევს თავისუფალ მედიას და ოპოზიციას დამნაშავე ხან აქ ეძებოს, ხან იქ, იმისდა მიხედვით, თუ ვისი „გაშავებაა“ გადაწყვეტილი.

ამასწინათ სამეგრელოს რეგიონში ანტიტერორისტული პროფილაქტიკური ღონისძიებები ტარდებოდა, ბურქებში ჩა-საფრებული უურნალისტები მხოლოდ და მხოლოდ „არგუმენ-ტებს“ ეძებდნენ იმის გასაბათილებლად, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები მსოფლიოს გასაგონად ამტკიცებდნენ, ნორ-მალურია ეს?

არაფერს ვამბობ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდე-გობის მოძრაობის შესახებ, რომელთა ლიდერებს გამადიდე-ბელი შუშით დაეძებენ ჩვენი უურნალისტები, რათა, სოხუმის რეჟიმის ფანტაზია როგორმე გაამდიდრონ უსაფუძვლო მტკი-ცებებით.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს ხდება აფხაზეთში და აფხა-ზეთთან დაკავშირებით, სადაც 1993 წლის 8 ივლისიდან საგან-გებო მდგომარეობაა გამოცხადებული და დღემდე არავის გაუ-უქმებია.

მეტად უცნაური სიტუაცია შეიქმნა ამერიკელ ინსტრუქტორ-თა შეზღუდული ჯგუფის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავ-შირებით, რომელთა კონკრეტული ფუნქცია და ამოცანა კარგად განიმარტა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისა და სამხედრო უნიტების მიერ. უურნალისტებმა მაინც „მოახერხეს“ გამოენახათ საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც „მოსახლეობა გაახარეს“ იმით, რომ ამერიკელების მიზანი „აფხა-ზეთია“ და არა პანკისის ხეობა ან სხვა რამეო.

შეუწყო კი ყოველივე ამან ხელი ჩვენი ქვეყნის პრესტიუსის განმტკიცებას უცხოეთში, არაფერი რომ არ ვთქვათ სეპარა-ტისტებისათვის მირთმეულ იდეოლოგიურ საჩუქარზე? მაგა-ლითების გაგრძელება შეიძლება. გასაკვირია, ჩვენი მასმედიის ინერტულობა (გარდა „საქართველოს რესპუბლიკის“, „სდ“-სი და 2-3 სატელევიზიო არხისა, ისიც ერთჯერადი გადაცემებით)

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 20 ივნისის განცხადებასთან დაკავშირებით აფხაზეთის თაობაზე. გვქონდა კი ბოლო წლებში სოხუმის რეჟიმზე ზენოლის უფრო ძლიერი მაგალითი, ისიც მსოფლიოში უპირველესი და უძლიერესი ქვეყნისაგან?

11 სექტემბერს, აშშ-ში ტერაქტების შემდეგ, ხელისუფლებამ თავის ქვეყანაში გარკვეული მორატორიუმი დააწესა მასმედი-აზე, რა თქმა უნდა, კანონის შესაბამისად.

ჩეჩენეთში მეორე სამხედრო კამპანიის დროს რუსეთის ხელი-სუფლებამ სპეციალურად შეარჩია პასუხისმგებელი პირი საინ-ფორმაციო პოლიტიკის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად. ავღანეთშიც ეს საკითხი ცალსახად მოწესრიგდა.

ფაქტობრივად, ომში მყოფ და ტერიტორიებზე კარგულ ქვეყ-ანას, სადაც სახეზეა შიდა საზოგადოებრივი დაპირისპირებები, გვჭირდება თუ არა შეთანხმებული, მოწესრიგებული საინფორ-მაციო გარემო?

ცხადია, რომ ხელისუფლებისადმი უნდობლობის მიზეზი სა-ხელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის დეფიციტშია, რასაც კა-ნონი უნდა აწესრიგებდეს და არა ესა თუ ის თანამდებობის პირი, ცალკეული პატრიოტი უურნალისტი თუ მედიასაშუალებათა ხე-ლმძღვანელი.

საზოგადოება მოელის, რომ ამ საქმეში დემოკრატიული, ცი-ვილური თანხმობის მიღწევის ინიციატორები გამოინახებიან ჩვენი მასმედიის წიაღში.

იქნებ თსუ უურნალისტიკის ფაკულტეტი გამოვიდეს თაოს-ნად? იქნებ დადგა იმის აუცილებლობა, რომ თავისუფალი მე-დიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა შექმნან საკოორდინაციო თუ საკონსულტაციო საბჭო, რომელიც საზო-გადოებას შესთავაზებდა ამ სფეროსთან დაკავშირებით ქვეყა-ნაში არსებული მრავალმხრივი ინტერესების დარეგულირების გონივრულ გზას და საშუალებებს. საბჭო დაიცავდა უურნალი-სტებს და საზოგადოებას როგორც კორუმპირებული ჩინოვნიკე-ბის თვითნებობისგან, ასევე მასმედიის „კრიშებისგანაც“, „შეკვე-თილი სტატიებისა და ტელეგადაცემებისგან.“

და მაინც, სახელმწიფო ვალდებულია ყველაზე ადრე უთხრას სიმართლე მოსახლეობას. ცხადია ისიც, რომ ოპერატიოული თვალსაზრისით, ინფორმაციის მოპოვების, დაზუსტების, გავრცელების ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებები უთოდ მას უნდა გააჩნდეს. ლათინური შეგონებისა არ იყოს, „ვინც ფლობს ინფორმაციას, ის შეცდომებს არ უშვებს.“ საგულისხმოა ისიც, რომ დემოკრატიას შეუძლია გააკეთოს ის, რასაც ვერ გაბედავს ტირანია და ტოტალიტარიზმი, თუ დემოკრატია და მედია ბოროტებისა სამსახურში აღმოჩნდნენ. ისტორიას უამრავი ასეთი მაგალითი ახსოვს.

„საქართველოს რესპუბლიკა,“
13 თებერვალი, 2003წ.

ქართველები და აფხაზები ოსმალოთა ცინააღმდეგ

1992–1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ სოხუმში ბევრი ცდილობს ისტორიის ხელახლა გადაწერას. მიზანი ერთია, დამახინჯონ ნათესავი და მოძმე ქართველი და აფხაზი ხალხების თანაცხოვრების ისტორია.

ცნობილია, რომ XVI–XVII საუკუნეებში ოსმალეთის იმპერია მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური ერთეული გახდა და მისი გაფართოება დიდ საფრთხეს უქმნიდა მთელ ევროპას. ოსმალეთის არმია რამდენჯერმე ცენტრალურ ევროპაშიც შეიჭრა, 1683 წელს კი ვენის ხელახალი ალყით ჰაბსბურგთა სამფლობელოების დაპყრობაც სცადა. მათი განდევნა მხოლოდ ევროპისა და რუსეთის კოალიციური ძალებით გახდა შესაძლებელი. ეს ერთადერთი არაევროპული ძალა იყო, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთის ცივილიზაციის აღმავლობას XV–XIX საუკუნეებში. საბოლოოდ იგი ევროპის ძალთა დაბალანსების პოლიტიკის ინტეგრირებული ნაწილი გახდა.

საყოველთაოდ ცნობილია ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკა კავკასიაში და საქართველოში. ოსმალოთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს საიმედოდ ედგა მხარში აფხაზეთი და მისი სახელოვანი შეილები.

ცნობილმა პუბლიცისტმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, აფხაზეთის მკვიდრმა ვალერიან ზუბაიამ მრავალი ნარკვევი მიუძღვნა აფხაზეთის მთავარ შერვაშიძეთა გმირობას და თავდადებას საქართველოსა და საკუთრივ აფხაზეთის საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში; მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ისტორიული სამურზაყანოს მთავრის ხუგუნია შერვაშიძის გმირობის ამბავი. 1757 წელს ხუგუნია შარვაშიძე იყო სამურზაყანოს მთავარი. ოსმალოთა წინააღმდეგ ხრესილის ომში

იგი თავისი ლაშქრით (მისი სამეტკვიდროდან) იმერეთის მეფე სოლომონ პირველის ჯარის შემადგენლობაში იყო. ხუტუნია შარვაშიძემ ერთ-ერთ შეტაკებაში საკუთარი ხმლით თექვსმეტი თურქი განგმირა და თვითონაც დაიღუპა. პირისპირ შეტაკებაში ერთი მეომრის მიერ მტრის 16 მეტრძლის განგმირვა იშვიათობაა ომების ისტორიაში, არც საქართველოს ისტორიას ახსოვს სხვა ასეთი ფაქტი.

რუსეთ-ოსმალეთის 1877–1878 წლების ომი ტრაგედია იყო აფხაზი ხალხისთვის, და რა თქმა უნდა, საქართველოსთვის, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა საომარი მოქმედება და რასაც უამრავი ქართველის და აფხაზის სიცოცხლე შეეწირა, დაცარიელდა აფხაზეთის ცენტრალური ნაწილი, ქვეყნის-გარეთა წამქეზებლებმა მაჰაჯირად აქციეს ათეულ ათასობით ადამიანი.

125 წლის წინათ, როცა ტერმინი „აფხაზი“ ჯერ კიდევ არ გულისხმობდა არაქართველს (თუმცა უკვე არსებობდა ტერმინი „აფსუა“), აფხაზეთში იყვნენ ადამიანები, რომლებიც დაუფარავად მხარს უჭერდნენ ოსმალეთის იმპერიის ბატონობას აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში და იარაღით იბრძოდნენ საქართველოში უკვე ფეხმოკიდებული რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ორი მჩაგვრელი იმპერიული ძალიდან მათ, არა ერთმორწმუნე რუსეთს, არამედ მუსლიმანურ ოსმალეთს დაუჭირეს მხარი და ნებით თუ უნებლიერ საქართველოს გარეთ დაიყენეს თავი.

აფხაზეთის ისტორიის ამ პერიოდის გაუბრალოებული განხილვა დაუშვებელია. სამწუხაროდ, სოხუმის რეჟიმის დაკვეთით ბევრი ახალბედა ისტორიკოსი ცდილობს რაც შეიძლება გაზარდოს მოტყუებით თუ იძულებით ამ პერიოდში ოსმალეთში გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობა და მათი მემკვიდრეების რიცხვი. სოხუმელ მეცნიერთა აზრით, ამჟამად მათი რაოდენობა მარტო თურქეთში 600–700 ათასიდან 2 მილიონამდეა.

XX საუკუნის 80-ანი წლების ბოლომდე, ქართველ და აფხაზ

ისტორიკოსებს უეჭველად მიაჩნდათ, რომ ქართველები და აფხაზები 1877 წლის გაზაფხულზე (15 აპრილი) მედვრად დახვდნენ ოსმალთა პირველ სადესანტო შემოტევას და აფხაზეთის ზღვისპირეთის საარტილერიო დაბომბვას. დესანტი უპირატესად შედგებოდა კავკასიონი გადასახლებულებისა და მათი მემკვიდრეებისგან (მაპაჯირთა პირველი ტალღა), რომლებიც ოსმალეთის ინტერესების სამსახურში იყვნენ და აფხაზეთში მომხრეები ჰყავდათ ეთნიკური და რელიგიური ნიშნით.

ომის პირველსავე დღეებში დესანტმა წარუმატებლობა განიცადა და ოსმალეთი იძულებული გახდა აფხაზეთში თავისი რეგულარული ჯარის ნაწილები შეეყვანა. მათ შესძლეს სოხუმის აღება, აფხაზეთის ცენტრალური ნაწილის და მთელი სანაპიროს დაპყრობა; იმ დროისთვის უნახავი სისასტიკით აპყარეს მკვიდრი მოსახლეობა, მიწასთან გაასწორეს სოხუმი, სამაგალითოდ დასაჯეს ქართული და აფხაზური მოსახლეობის წარმომადგენლები.

პეტერბურგში გამომავალი გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი წერდა: „ბურებიდან დაწყებული ირგვლივ ყველაფერი დაცარიელებული და გავერანებულია... გაივლი უკიდეგანო სივრცეებს და ნახავ, რომ იქ, სადაც სულ ახლახან დასახლებული ადგილები იყო და სიცოცხლე ჩქეფდა, ახლა მხოლოდ ნანგრევებია და არც ერთი ცოცხალი არსება!“ (აფხაზეთის ისტორია, გამომცემლობა „ალაშარა“, 1986წ.).

1877 წლის 13 ივნისს ქართველთა და ადგილობრივი მოსახლეობის (ძირითადში სამურზაყანოელთა) შეიარაღებული რაზმები სოფელ ოქუმთან (ყოფილი სამურზაყანოს მაზრის ცენტრი) შეეტაკნენ ოსმალთა რაზმებს და ადგილობრივი რელიეფის მოხერხებული გამოყენებით სასტიკად დაამარცხეს ისინი. თავი გამოიჩინეს სამურზაყანოს თავად-აზნაურობამ და უბრალო გლეხებმა.

1 აგვისტოს ქართველთა და აფხაზთა გაერთიანებულმა რაზმებმა ოჩამჩირესთან ზღვიდან ზურგგამაგრებული ოსმალე-

ბი დაამარცხეს. ავანგარდში კვლავ სამურზაყანოელი მოლაშ-ქრები იდგნენ.

იმავე წლის 2 სექტემბერს, ადგილობრივი ქართველები რუსე-თის რეგულარული ნაწილების და ქართული მილიციის მხარდა-ჭერით ოსმალობისგან ათავისუფლებენ სოხუმს.

ოსმალთა პანიკურ გაქცევას თან ახლდა აფხაზეთიდან მოსახ-ლეობის გასვლა თურქეთში და ძალით გადასახლება; ოსმალებს მეომარი ძალა სჭირდებოდათ, რუსებსაც თავისი სამხედრო-პო-ლიტიკური მიზნები ჰქონდათ. დაცარიელებული მიწები რუსე-თის ხელისუფლებას სჭირდებოდა იმპერიაში მზარდი საბაზრო ეკონომიკისთვის ნედლეულის მარაგების მოსაპოვებლად, აფხა-ზეთის ზღვისპირეთში მომავალი საკურორტო მეურნეობის მო-საწყობად, ადგილობრივი მოსახლეობის (მათ შორის ქართველე-ბის) შესამცირებლად და ე.წ. კოლონისტების ჩასასახლებლად.

აფხაზეთის მოსახლეობის წინააღმდეგ ნეგატიური როლი ით-ამაშა ინგლისმაც, რომელსაც თავისი პოლიტიკური ინტერესები ჰქონდა აღმოსავლეთში.

ცნობილი აფხაზი და ქართველი ისტორიკოსების (გ. ძიძა-რია, ზ. ანჩაბაძე, ა. კუპრავა, სხვები) დოკუმენტური მასალების მიხედვით 1877 წელს აფხაზეთიდან გაასახლეს 50 ათასი კაცი. მათივე დასკვნით, 60–70-იან წლებში აფხაზ-აბაზინური კუთვ-ნილების მაჰაჯირთა საერთო რაოდენობამ 135 ათასი შეადგინა, უბისებთან და სხვა კავკასიელ ხალხებთან ერთად კი – 180 ათასი. ბევრი მათგანი შემდგომში კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ად-გილებს, ნაწილი აჭარაში დასახლდა. აღნიშნულ ისტორიკოსთა აზრით, 1986 წლისთვის მაჰაჯირთა 100 ათასზე მეტი მემკვიდრე ცხოვრობდა თურქეთში, 30 ათასზე მეტი სხვა ქვეყანაში.

1878 წელს სოხუმის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვა-ნელმა არაკინმა აფხაზეთის მთელი მოსახლეობა გამოაცხადა „დამნაშავე“ ხალხად, რასაც მხარი დაუჭირა მეფის რუსეთის ხე-ლისუფლებამ. ცნობილია, რომ აფხაზური მოსახლეობა „დამნა-შავე“ ხალხად ითვლებოდა 1907 წლამდე, სანამ რუსეთმა ანტი-

ქართული მიმართულებით რადიკალურად არ შეცვალა თავისი პოლიტიკა ამ რეგიონში.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, რომელსაც პირდაპირ არ შეხებია მაჲაჯირობა, დიდად დაზარალდა ოსმალთა ხან-მოკლე ბატონობის პერიოდში; მათი დიდი ნაწილი აყარეს მშობლიური ადგილებიდან, აიძულეს შეცვალათ საცხოვრებელი ტერიტორიები; აფხაზეთის ქართველობამ შეიფარა ათეულ ათასობით აფხაზი, მიუხედავად მათი რელიგიური მრნამსის და პოლიტიკური ორიენტაციისა, ლუკმა-პური, სარჩო-საბადებელი გაუყო და ტრადიციული სამოსახლო ადგილებიდან მიწები გამოუყო. ბევრმა ჩრდილოეთკავკასიელმა, რომლებიც კავკა-სის ტრაგიული მოვლენების გამო იძულებულნი გახდნენ შე-მოხიზულიყვნენ აფხაზეთში, მიიღეს ადგილობრივი გვარები და ამით თავი დაიხსნეს მაჲაჯირობისგან, გადარჩნენ დევნასა და შევიწროებას.

საქართველოს ინტელიგენცია, მისი გამოჩენილი წარმომადგენლები ყოველმხრივ უჭერდნენ მხარს მაჲაჯირობისგან ტან-ჯულ მოსახლეობას და ცდილობდნენ დახმარებოდნენ მათ აფხაზეთში დაბრუნებაში.

საქართველოს, აფხაზეთის ქართველი და აფხაზი თავადაზნაურობისა და ქვეყნის მოწინავე შვილების დამსახურებაა, რომ 1883 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილება გადაეცა სამოქალაქო უნიკებას და სოხუმის ოლქის სახელწოდებით დაბრუნდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში.

იმპერიის მოხელეთა მიერ აფხაზეთის ტერიტორია დაიყო გუდაუთის, გუმისთის, კოდორის და სამურზაყანოს ადმინისტრაციულ ერთეულებად. ამ დროიდან აფხაზეთში სახლდებიან რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, ესტონელები, მოგვიანებით სომხები და სხვა ერების წარმომადგენლები.

125 წლის წინათ, 1877-1878 წლების შავბნელ დროში, საერთო განსაცდელს, რაც მოჰყვა კავკასიის რეგიონში ორი უდიდესი იმპერიის ინტერესების შეჯახებას, ერთად დაუპირისპირდნენ

ძირძველი ქართველები და აფხაზები და შესძლეს ის, რასაც და-
ვიწყება არ უწერია.

უფალმა ინება ქართველთა და აფხაზთა ერთად ცხოვრება და
უფლის ნებას ვერვინ შეცვლის, თუნდაც უძლიერესი გეოპოლი-
ტიკური ძალები, რომლებსაც ახლაც უჭირავთ თვალი აფხაზეთ-
სა და საქართველოზე.

სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში
აფხაზეთში (მთელი აფხაზი ხალხისგან განსხვავებით) კვლავ
გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც ცდილობენ სრულიად საქართ-
ველოს მოსახლეობისგან განსხვავებული არჩევანის გაკეთებას
და საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი დაპირისპი-
რებას, რაც ეწინააღმდეგება ქართველი და აფხაზი ხალხების
ჭეშმარიტ სურვილებს და სამომავლო მისწრაფებებს.

გაზეთი „აფხაზეთის ხმა,“
14 თებერვალი, 2003წ.

„აფხაზეთის გზაც“ რომისკენ მიდის?

შაბათს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დელეგაცია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პაატა დავითაიას ხელმძღვანელობით, ჰააგაში გაემგზავრა. დელეგაციის მიზანია ჰააგის სასამართლოში აფხაზეთში ქართველთა გენოციდთან დაკავშირებით სარჩელის შეტანა და შესაბამისი პროცესუალური საკითხების გარკვევა.

ამერიკელებმა შექმნეს მოლაპარაკებათა წარმოების მთელი თეორია. იქ არსებობს კონფლიქტოლოგის სპეციალური თანამდებობა, რომელიც ყოველთვის მონაწილეობს მოლაპარაკებებში. კონფლიქტოლოგები ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებამდე ეცნობიან მხარეთა მდგომარეობას და პოზიციათა შეჯერების შესაძლო ალბათობებს, სვამენ დიაგნოზს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ოფიციალური მოლაპარაკებები. ამერიკული მხარე, ანალიზთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევს თამაშის გუნდურ წესს, ვალდებულებათა განაწილებას და კონტროლს მათ შესრულებაზე. მათი სტილი გამოირჩევა ძლიერი ზეწოლით, მათი ძალა დოკუმენტებითა და კონკრეტული წინადაღებებით მზადყოფნაში ვლინდება. უყვართ და შეუძლიათ ე.ნ. ვაჭრობა, პრობლემის გადაწყვეტისას ისინი მრავალი ვარიანტის ურთიერთდაკავშირებას ანიჭებენ უპირატესობას.

ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო საზოგადოების, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ძალისხმევა აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი და სრულმასშტაბიანი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად ჩიხში შევიდა. გაეროს სამუშაო დოკუმენტი „აფხაზეთის სტატუსისა და თბილისა და სოხუმის შორის შორის უფლებამოსილებათა გამოჯვენის ძირითადი პრინციპების შესახებ,“ აფხაზური მხარის მიერ იგნორირებულ იქნა.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს სოხუმის რეზიმისადმი რუსეთის მხარდაჭერის გააქტიურება, რამაც ახალი იმ-

პულსი შესძინა თვითმარქვია ხელისუფლების პრეტენზიებს.

ბოლო დროს აქტიურად იქნა წამონეული საკითხი აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მასალების ჰავაგის სასამართლოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით. ეს ინიციატივა ეკუთვნის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, რომელიც ამ დღეებში გენოციდის მასალებს ჰავაგის სასამართლოში წარადგენს. ამ თაოსნობას მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლება, ასევე რიგი პოლიტიკური ძალები, თუმცა ქვეყანაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც (მათ შორის სკეპტიკური) ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობისა და პერსპექტივასთან დაკავშირებით.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკური საკითხი საქართველოშიც თანდათანობით სამართლებრივ სფეროში ინაცვლებს, როგორც გარდაუვალი აუცილებლობა დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და კანონის უზენაესობის დასამკვიდრებლად.

სამართლის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ცჲპააგის ოთხი საერთაშორისო ტრიბუნალიდან, ჩვენთვის უფრო პერსპექტიულია მივმართოთ სასამართლოს „საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რომის სტატუით.“ უფრო ზუსტად, საჭიროა, რომ დადგენილი წესით, არსებული კონკრეტული ფაქტების საფუძველზე მოვითხოვოთ იმ პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში გადაცემა (ორივე მხრიდან), ვინც აფხაზეთში ჩაიდინა და ჩადის დანაშაულს კაცობრიობის და ადამიანურობის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ ბევრმა არ იცის, რომ აფხაზეთში განხორციელებულმა გენოციდმა და ეთნიკურმა წმენდამ თავისი „კლასიკური“ ფორმა მიიღო გალის რაიონში, რაც უტყუარი ფაქტებით არის დადასტურებული. ფაქტებისა და მოვლენების სრულყოფილი მოკვლევა და მტკიცებულებათა სისრულე უპირატესად განაპირობა იმან, რომ გალის რაიონი ტერიტორიულად ხელმისაწვდომია. ახლა მთავარია, რა ფორმით და როგორი სისრულით შევძლებთ ამ მასალების იურიდიულ-სამართლებრივ გაფორმე-

ბას და საერთაშორისო სასამართლოსთვის მიწოდებას.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია ენერგიულად გამოვყენოთ მშვიდობისა და კაცოპრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლებრივი ბრძოლის არსებული ფორმები და საშუალებები, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სამართლებრივ აქტებში ჩადებული შესაძლებლობები, ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივი საერთაშორისო მოქმედებისთვის ბოლო დროს გაეროს მიერ მიღებული ფუძემდებლური დოკუმენტები. თუ ამის საშუალება მოგვეცა, ჩვენ გაგვაჩნია უამრავი მასალა აფხაზეთში სოხუმის რეზიმისა და მათი მხარდამჭერების მიერ განხორციელებული გენოციდის და ეთნიკური წმენდის, ასევე, 1998 წელს და შემდგომ პერიოდში აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში, ადამიანის უფლებათა სისტემური ხელყოფის და სახელმწიფო ტერორიზმის ფაქტების სამხილად.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ბოლო პერიოდში შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტების მიმართ, როგორც პრეცედენტი, გაეროს ნება გამოყენებულ იქნა ხორვატიაში, ბოსნია-ჰერცოგოვინაში, სერბიაში.

გაეროს უშიშროების საბჭოს დოკუმენტების მიხედვით შესაძლებელია კონფლიქტის ინსპირატორ და მონაწილე სახელმწიფოებსაც დაეკისროთ ისეთი ვალდებულება, რომელიც უთანაბრდება სატისფაქციას, რაც გულისხმობს: ა) ბოდიშის მოხდას; ბ) ზიანის მინიმალურ ანაზღაურებას; გ) ზიანის ანაზღაურებას; დ) პასუხისმგებელ პირთა დასჯას (როცა საერთაშორისო სამართლდამცავი წარადგენს ამ სახელმწიფოს თანამდებობის პირთა სერიოზულ გადაცდომას ან მათ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულს).

მნიშვნელოვანი ფორმაა, აგრეთვე, საერთაშორისო მშვიდობის, სამხედრო და კაცოპრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულთა მიმართ საერთაშორისო სამართალში მოქმედი პრინციპის (აუტ დედერჯ აუტ ჯუდიცარე) გამოყენება. კერძოდ, ყველა სახელმწიფო, რომელიც თავის ტერიტორიაზე ან თავის იურის-

დიქციის ქვეშ აღმოჩენს ასეთი დანაშაულის ჩამდენს, ვალდებულია გაასამართლოს იგი ან გადასცეს სხვა სახელმწიფოს (ანუ, ჩვენს შემთხვევაში, საქართველო ვალდებულიც კია, ასე მოიქცეს). ვნახოთ, იქნებ, რუსეთი, როგორც მშვიდობისმყოფელი, ახალ მსოფლიოში თავისი პრესტიჟის გადასარჩენად არ დაუპირისპირდეს გაეროს წესდებით დადგენილ ამ საერთაშორისო ნორმას.

სატისფაქციის მაგალითია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილი იუგოსლავისა და რუსნდის ტრიბუნალები. თუ რუსეთის მოთხოვნით საქართველოს შეეზღუდება სისხლის სამართლებრივი იურისდიქცია, ჩვენ შეგვიძლია, დავეყრდნოთ ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონის, სტამბულის სამიტების გადაწყვეტილებებს, რაც დაფიქსირებულია გაეროს ათეულობით რეზოლუციაშიც და პირდაპირ ადასტურებს გენოციდისა და ეთნიკური წმენდის (დემოგრაფიული ვითარების შეცვლის) ფაქტებს. ხელსაყრელ ვითარებაში ჩვენთვის მისაღებია გაეროს ეგიდით შექმნილი ნებისმიერი სხვა ტრიბუნალიც.

გარდა ამის, აქვე მინდა ვთქვა (უკვე მერამდენედ!), რომ აფხაზეთში გენოციდისა და ეთნოწმენდის მასალები აუცილებელია განიხილოს საქართველოს სასამართლომ, პასუხი აგოს ყველამ, ვინც ჩაიდინა დანაშაული საქართველოს მოქალაქეთა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიუხედავად მათი ეთნიკური წარმომავლობისა და ამჟამინდელი თუ ყოფილი თანამდებობრივი მდგომარეობისა. სამართლიანი სასამართლო ვერდიქტი მოხსნიდა იმ პრეტეზიებისა და გაუგებრობათა უმრავლესობას, რასაც ქართული და აფხაზური მხარეები უყენებენ ერთმანეთს.

ცნობილია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 47-ე თავი „დანაშაულოებები კაცობრიობის მშვიდობის, უშიშროებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინააღმდეგ“, მოიცავს ისეთ დანაშაულობებს, როგორებიცაა: 1) აგრესიული ომის მომზადება ან წარმოება; 2) მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისკენ; 3) გენოციდი; 4) დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ; 5) ეთნოციდი; 6) დაქირავებული მონაწი-

ლეობა შეიარაღებულ კონფლიქტებშიან საომარ მოქმედებაში; 7) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს; 8) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდა სახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს ჯანმრთელობისთვის საფრთხის შექმნით ან ფიზიკური დასახიჩრებით; 9) საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების სხვა დარღვევა.

ჩემი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 408-ე მუხლი – დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ, ანუ ნებისმიერი ქმედება, ჩადენილი სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ, რაც გამოიხატება მკვლელობებით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, დეპორტაციითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რაც დღემდე გრძელდება.

აფხაზეთში დანაშაულებრივი კონფლიქტისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისთვის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის წამონევა კიდევ ერთხელ მიიპყრობს საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას იმის თაობაზე, რომ ჩვენ დეკლარირებული, არშემდგარი ქვეყანა კი არა, დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო გვაქვს, რომელიც ერთგულობს საერთაშორისო სამართლისა და საკუთარი ეროვნული სამართლის პრინციპებს, ამასთან, გვამოძრავებს არა შურისძიება, არამედ სამართლიანობის აღდგენა.

ეს საჭიროა. სასურველი შედეგი მოქმედებისა და ბრძოლის ყველა გზისა და საშუალების მოსინჯვის გარეშე არ დადგება!

„დილის გაზეთი,
10 მარტი, 2003წ.

„რელიგიის შესახებ“ კანონია მისაღები

„არ არსებობენ კარგი და ცუდი რელიგიები, თუ ისინი ჭეშმარიტად უფლისა და ხალხის სამსახურში არიან.“

ნაპოლეონ ბონაპარტი

„პირადი სარგებლობა იესოს არასოდეს კაცობრიობის სარგებელზე მაღლა არ დაუყენებია...“

ერნესტ რენანი

იესო იტყვის: „ესროლეთ, ოლონდ პირველი მან ეს-როლოს, ვინც თვითონაა უცოდველი.“

საქართველოს სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განსაზღვრულია კონსტიტუციური შეთანხმებით (კონკორდატი), რომელიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ამასთან ერთად, სოციოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოსათვის ეგრეთნოდებული არატრადიციული კონფესიური ორგანიზაციები და ჯგუფები, გარედან ძლიერი ეკონომიკური, ფინანსური და იდეოლოგიური მხარდაჭერით, ფართოდ იკიდებენ ფეხს. მათ შორის, და განსაკუთრებით, „იელოვას მიწმეებმა“ მოიცვეს ქვეყნის ყველა რეგიონი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების ჩათვლით.

ცნობილია, რომ ამჟამად მსოფლიოს 150 სახელმწიფო წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების კონვენციის მონაწილეს, მაგრამ რელიგიური თავისუფლების პრობლე-

მასთან დაკავშირებით თანამედროვე მსოფლიოში ერთგვაროვანი მიდგომა არ არსებობს; სამართლებრივი თვალსაზრისით, დომინირებს „ამერიკული მიდგომა“ და „ევროპული მიდგომა.“

აშშ რელიგიის თავისუფლების თაობაზე ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობებში აყალიბებს დამოუკიდებელ პოლიტიკას. აშშ-ში შექმნილია სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო რელიგიური თავისუფლების ბიურო, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა რელიგიის თავისუფლების ყოველმხრივი ხელშეწყობა. ამერიკული მოდელი საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში. ეს მოდელი დაეფუძნა ამერიკის პირველმოსახლეთა ემიგრანტულ გამოცდილებას, კერძოდ, რელიგიური ნიშნით მათ დევნილობას მშობლიური ქვეყნებიდან, რასაც არ გამოუწვევია (და არც შეეძლო გამოეწვია) მწვავე დაპირისპირება სჯულისა და რწმენის განსხვავებულობის საფუძველზე. შეერთებულ შტატებში რელიგიურ ორგანიზაციებს ოფიციალურად საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატუსი აქვთ მინიჭებული. თავიანთ საქმიანობაში ისინი მხოლოდ და მხოლოდ ფედერალურ კანონს ემორჩილებიან, თუმცა, დასაშვებადაა მიჩნეული რელიგიასთან დაკავშირებით ადგილობრივი კანონების მიღება.

მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კონსტიტუციით აღიარებულმა ე.ნ. სრულმა ნეიტრალიტეტმა ფაქტობრივად სხვაგვარი შეფერილობა მიიღო და ცალკეულ რელიგიურ გაერთიანებებზე გავრცელდა გარკვეული პრივილეგიები.

ევროპაში შეიქმნა სახელმწიფოსა და რელიგიურ გაერთიანებათა ურთიერთობის რამდენიმე მოდელი, რომელთა შორის თეორეტიკოსები გამოყოფენ სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნის, რელიგიური პრიორიტეტის და სახელმწიფო რელიგიის კონცეფციებს. ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში ჩამოყალიბდა რელიგიასთან ურთიერთობის სამსაფეხურიანი სისტემა:

1. კონკორდატის სისტემა, რომელიც კათოლიკურ (ზოგადად, ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული ისტორიული დამსახურებისა და ტრადიციების) ეკლესიასთან ურთიერთობაში გამოიყენება;

2. შეთანხმებები, რომელსაც ე.წ. „ძველი“ რელიგია და სახელმწიფო დებენ;

3. რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ექვემდებარებიან რეგისტრაციას.

პოსტკომუნისტური ქვეყნები, როგორც წესი, სამართლებრივად ევროპულ მოდელებს მისდევენ, ამასთან, ფაქტიურად მეტისმეტად ფრთხილად ეკიდებიან „ახალ“ კონფესიურ მიმდინარეობებს.

ცნობილია, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია და სხვა), დაიწყეს „ტოტალიტარული სექტების“ სოციალურ-ფსიქოლოგიური შესწავლა; როგორც ოფიციალური წყაროები ადასტურებენ, გამოიკვეთა ამ სექტების საქმიანობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

1. ტრადიციული რელიგიებისგან განსხვავებული მრწამსის ქადაგება;

2. სხვა რელიგიების მკვეთრი კრიტიკა;

3. ქარიზმატული ლიდერის არსებობა, რომელიც მქადაგებლად და ძირითად ადმინისტრატორად ითვლება;

4. აქტიური მისიონერული საქმიანობა, მათ შორის ქუჩაში, მოქალაქეთა სამუშაო და შეკრების ადგილებში, საცხოვრებელ სახლებში, რელიგიური ლიტერატურის უფასო გავრცელება;

5. მასობრივ ღონისძიებათა ჩატარება პოტენციურ მომხრეთა მიმხრობის მიზნით;

6. გამორჩეული მზრუნველობა სექტის ახალ წევრებზე;

7. განსაკუთრებული ფსიქო-ტრენინგის, ჰიპნოზის, ნარკოტიკებისა და სხვა მეთოდების გამოყენება;

8. მოდერნისტული მიდგომა (თანამედროვე მუსიკა, ცეკვები, დისკუსიები, უჩვეულო საკულტო რიტუალები, საკულტო საგნებისა და ტანსაცმლის ტარების მოთხოვნა);

9. რელიგიური დისციპლინის ზუსტად და მკაფირად დაცვის მოთხოვნა, მშობლებთან და ოჯახთან განშორების აუცილებლობის დეკლარირება, სწავლის ან სამუშაოს მიზოვების ვალდებულება;

10. სამოქალაქო და კონსტიტუციური ვალდებულებებისა და მოვალეობების შეუსრულებლობის მოწოდება (სამხედრო სამსახური, სასამართლო, სწავლა, ენა, სისხლის გადასხმისადმი დამოკიდებულება და სხვა);

11. კანონისა და ხელისუფლებისადმი ფორმალური მორჩილების საჯარო დეკლარირება;

12. სახელმწიფო მოხელეებთან კონტაქტი ხელისუფლებაში რელიგიური გაერთიანების თუ ჯგუფის ინტერესების ლობირებისათვის;

13. დედამინის მთელი მოსახლეობისათვის ერთი ხელისუფლების (მსოფლიო მთავრობის) შექმნის გარდუვალობის ქადაგება;

14. სექტიდან წასული პირების დევნა.

15. სექტის წევრის ოჯახისა და საზოგადოებისაგან მოწყვეტა, რეალური ინდივიდუალიზაცია.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული მეტნაკლებად დამახასიათებელია ჩვენში ტოტალურად განვითარებადი სექტებისათვის, კერძოდ, და განსაკუთრებით, „იელოვას მოწმეებისთვის.“

ნიშანდობლივია, რომ თეორიაში დღემდე არ არსებობს რელიგიური გაერთიანების ერთიანი დეფინიცია და შეფასების კრიტერიუმები; არეულია საყოველთაოდ აღიარებული ინდივიდუალური უფლებები საზოგადოების ან ჯგუფის უფლებებთან, პირადი თანასწორობა გაიგივებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თანასწორუფლებიანობასთან, რასაც, დაინტერესებული პირები პოტენციური მომხრეების მოსაპოვებლად მოხერხებულად იყენებენ.

ზოგადი განათლების დაბალი დონე ხშირად არის ის მკვებავი წყარო, რომელიც რიგით ადამიანს ადვილად აქცევს ამა თუ იმ მიმდინარეობის გავლენის ქვეშ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ზოგიერთი სექტის მიერ მრევლის გადაბირება მისი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რაც ბევრისთვის რეალური რწმენის „თავისუფალ“ გამოხატვა კი არა, ფიზიკური ხსნის გზაა.

აღნიშნული ეწინააღმდეგება მსოფლიოს წამყვან რელიგიათა საერთაშორისო შეთანხმებას პროზელიტიზმის დაუშვებლობის შესახებ, რაც საყოველთაოდ აღიარებული და მხარდაჭერილია.

სწორედ ამის გამოა, ალბათ, რომ ყველა სახელმწიფოს, მათ შორის იმათაც, რომელთაც აქვთ გარკვეული სირთულეები „რელიგიის შესახებ“ ყოვლისმომცველი კანონის მიღებასთან დაკავშირებით, გააჩნიათ კანონი „პროზელიტიზმის შესახებ“, რაც, ჩემის აზრით, ჩვენი ქვეყნისთვისაც საშური საქმეა.

იშვიათია სახელმწიფო, რომელსაც არ ჰქონდეს კანონი რელიგიის შესახებ და ეს საკითხი არ რეგულირდებოდეს კონსტიტუციის, კანონის და საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრაქტიკის საფუძველზე.

„რელიგიის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოსავალი პრინციპები, ჩემი აზრით, უნდა იყოს:

1. რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) ცნების განსაზღვრა;

2. ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ რელიგიურ თავისუფლებათა და უფლებათა, როგორც განსხვავებული რანგის უფლებათა და თავისუფლებათა ერთმანეთისაგან გამიჯვნა (ბუნებრივია, აქ შეიძლება დადგეს საკითხი გარკვეული სახელმწიფო რეგულირების (შეზღუდვების) გავრცელების თაობაზე რელიგიურ ორგანიზაციათა საზოგადოებრივ და არა ინდივიდუალურ უფლებაზე);

3. სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციათა კოოპერაციისა და საერთო სახალხო ინტერესებისათვის თანამშრომლობის კანონიერი უფლებებისა და პრინციპების განისაზღვრა, როგორც ორგანიზაციის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე განსხვავებული უფლების დაწესების საფუძველი;

4. არ არის გამორიცხული, კანონით დადგინდეს განსხვავებულ რელიგიურ გაერთიანებათა (როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კლასის ნაწილის) რეგისტრაციის წესი და პირობები.

5. საქართველოსთვის, რომელმაც კონსტიტუციით აღიარა

კანონის უზენაესობა, დაუშვებლობა იმისა, რომ ვინმე ან რამე იდგეს კანონსა და კანონიერებაზე მაღლა.

ცხადია, საკითხის თავისებურების, მასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი შეხედულებებისა და წარმოდგენების გარკვეული პოლარიზაციის გამო, რელიგიურ გაერთიანებათა თაობაზე კანონის მიღება ადვილი არ იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ კანონის ინიციატორებს მხარში ამოუდგებიან დარგის ცნობილი მკვლევარები, მეცნიერები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ცნობილი თუ საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი რელიგიური ლიდერები; კანონის ინიციატორები საჭირო დახმარებას მიიღებენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტებისგან.

ფაქტია, რომ გადაუდებელია საქართველოში რელიგიური მდგომარეობის სისტემური ანალიზი და კომპლექსური გამოკვლევის ჩატარება, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ მოსახლეობაში. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის მზად არიან აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, არასამთავრობო სექტორი, რომლებიც საქართველოს მთავრობასთან და პარლამენტთან მჭიდრო კავშირში ჯეროვან წვლილს შეიტანენ კანონპროექტის ოპტიმალური ვარიანტის შემუშავებაში.

ჟურნალი „პოლიტიკა“,
№4-5, 2003წ.

აქვს საქართველოს აფხაზეთში კონფლიქტის მოცესრიგების კონცეფცია?

ეს შეკითხვა, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით, საყოველთაო ხასიათს იძენს. პარადოქსია, როცა ოვით კონფლიქტის ზოგიერთი „მომწესრიგებელი“ ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლებას კონცეფცია არა აქვს, რომ ქართულ მხარეს სოხუმისთვის არავითარი კონკრეტული გეგმა არ შეუთავაზებია.

ეს ან გაუგებრობაა ან მიზანმიმართული წინასაარჩევნო პოლიტიკა.

რა თქმა უნდა, ხელისუფლებას აქვს ამგვარი გეგმა, სხვა საკითხია, რომელია პრიორიტეტულად მიჩნეული—სამშვიდობო თუ საომარი.

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა, მოსახლეობის უმეტესობა მართლმორწმუნე ქრისტიანია, ამიტომაც მიჩნეულია, რომ მოყვასთა შორის დაპირისპირებაში მტყუანსა და მართალს, ცოდვილსა და უცოდველს მხოლოდ უფალი განსჯის. ქვეყანაში კარგადა გაცნობიერებული ისიც, რომ შეუძლებელია ძმათა ომში რომელიმე მხარე იყოს მხოლოდ დამნაშავე ან მხოლოდ მართალი, ამიტომ პასუხისმგებლობა ორივე მხარეს აკისრია. საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ ომის დასაწყისში ქართველთა მოხალისე სამხედრო ფორმირებების მხრიდან ადგილი ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებელ და გაუმართლებელ ქმედებებს აფხაზეთის მოსახლეობის წინააღმდეგ (მათ შორის ქართველი მოსახლეობის მიმართაც), რაც არსებითად ძარცვასა და დარბევაში გამოიხატა. ამასთან ამდაგვარ ფაქტებს არ ჰქონდათ წინასწარ დაგეგმილი, ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი, მით უფრო, აფხაზი ან აფხაზეთში მოსახლე სხვა ხალხის მიმართ გენოციდის ან ეთ-

ნიკური წმენდის მიზანი. პირიქით, გარედან პროვოცირებული სამხედრო დაპირისპირების პირველი დღიდანვე საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობდა საომარი მოქმედებების ლოკალიზებას, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამხედრო-სტრატეგიული და ტაქტიკური თვალსაზრისით უპირატესობის დათმობა, მთლიანობაში კი, სამხედრო მოქმედებების გაჭიანურება და ისედაც შეზღუდული რესურსების დაქსაქსვა. საქართველოს სამხედრო საბჭოს შეიარაღებულ ძალებს და მოხალისებს შეეძლოთ დაუყონებლივ შესულიყვნენ სოხუმში, აეღოთ ქალაქი ტყვარჩელი და სხვა, რაც არ განხორციელდა თბილისის კატეგორიული მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ, მაშინ, საქართველოში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების და არეულობის, ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის არარსებობის პირობებში, ადვილი არ იყო ანტისეპარატისტულად განწყობილი შეიარაღებული ძალების, ცალკეული პატრიოტი მოლაშქრეებისა და მათთან მიტმასნილების კონტროლი და მართვა.

საჯაროდ გაცხადდა, კატეგორიულად და გულწრფელად ითქვა, რომ აფხაზი ხალხი, ჩვენი მოძმე და ნათესავი ხალხია, აფხაზეთის მოსახლეობა – საქართველოს მოსახლეობა, აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ნაწილი და ამიტომაც, აფხაზეთის პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური და სამშვიდობო საშუალებებით უნდა მოწესრიგდესო. ჩვენ ეს ვალდებულება მსოფლიოს წინაშეც ვიკისრეთ.

ჯერ კიდევ 1994 წლიდან შეიქმნა კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ყოველწლიურად იხვეწებოდა. უფრო მეტიც, მისი ცალკეული ფრაგმენტები, მათ შორის აფხაზეთის შიდა მოწყობის შესახებ, პერიოდულად ქვეყნდებოდა მსოფლიო და ადგილობრივი მედიაში.

1995 წლის 5 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაეგზავნა და გაეროში გავრცელდა საერთაშორისო ნორმების შესაბამისად შედგენილი საქართველოს მთავრობის წინადადებები აფხაზეთის სტატუსის შესახებ. ცხადია, რომ დო-

კუმენტი მაშინათვე გახდა ცნობილი აფხაზური მხარისთვის.

დოკუმენტი კომპრომისულია. ის ითვალისწინებდა, რომ საქართველო, როგორც ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო, შეიქმნებოდა ყოფილი საქართველოს სსრ საზღვრებში მისი 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. ამ დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთს, როგორც ფედერაციის სუბიექტს, ექნებოდა უფარ-თოესი უფლებამოსილებანი: საკუთარი დროშა, ჰიმნი, გერბი, ასევე, სახელმწიფოებრიობის სხვა ატრიბუტები, პარლამენტი, უმაღლესი აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, სამართალდამცავი სისტემა, რაც დაფიქსირდებოდა ერთიანი საქართველოს კონსტიტუციაში და აფხაზეთის კონსტიტუციაში.

აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად, ექნებოდა სახელმწიფო ენის სტატუსი. აფხაზეთის ხელისუფლებას ეძლეოდა აფხაზეთში სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმირების, ბიუჯეტის, საგადასახადო სისტემის და მოსაკრებლების განსაზღვრის, სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატურისა და ნოტარიული სამსახურების შექმნის შესაძლებლობა.

ფედერალური მთავრობის კომპეტენციაში იგულისხმებოდა საგარეო პოლიტიკა და საგარეო ეკონომიკური კავშირები, თავდაცვითი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, შეიარაღებული ძალები და უსაფრთხოება, ფულად-საკრედიტო სისტემა, საბაჟო სამსახური, ფედერაციული ბიუჯეტი, სახელმწიფო საზღვრის სტატუსის დაცვა, ენერგეტიკა, ეროვნული ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების, საბაჟო და სხვა ფუნქციების თაობაზე საკითხი მოგვარდებოდა მოლაპარაკებებით. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთისთვის შეთავაზებული იყო (მისი კომპეტენციის ფარგლებში) საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლება, შესაბამის ფედერაციულ უწყებებთან შეთანხმებით. ამასთან, მხოლოდ ფედერაციული საქართველო უნდა ყოფილიყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

ფედერაციულ საკანონმდებლო ორგანოში, მხარეთა შეთანხმებით, აფხაზეთის წარმომადგენლობისთვის განისაზღვრებოდა გარკვეული ადგილები. უმუალოდ აფხაზეთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები კი არ იქნებოდა მიღებული აფხაზეთის წარმომადგენლობის კვალიფიციურ უმრავლესობასთან შეთანხმების გარეშე. ამ დოკუმენტის მიხედვით უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხები, ასევე, ფედერალური ორგანოების ფუნქციები, ცალკე მოლაპარაკების საგანი გახდებოდა.

სამწუხაროდ, დავიწყებას მიეცა ქვეყანაში გაშლილი საყოველთაო დისკუსია საქართველოს ფედერალიზაციის შესახებ. ცნობილია, რომ ამ პრობლემასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრი ერთგვაროვანი არ ყოფილა. ცნობილია, რომ ქვეყნის მოწყობის საკითხებში არსებობს მრავალი საინტერესო წინადადება საქართველოს ფედერალიზაციის, ასიმეტრიული ფედერაციის, რაციონალიზაციის, დეცენტრალიზებული თუ უნიტარული სახელმწიფოს შესახებ. საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში, აფხაზეთის პრობლემების დროებით კომისიაში შემოვიდა მრავალი წინადადება (ოცამდე), მათ შორის, რადიკალურად განსხვავებული. მათი უმრავლესობის ავტორები პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მეცნიერები და ექსპერტები არიან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილმა ზემოხსენებულმა მოდელმა ოფიციალური სოხუმი არ დააკმაყოფილა, თუმცა, 1995 წლის 25 ივლისს, 12 საათზე, მხარეთა მოსკოვის მოლაპარაკებაზე, რომელსაც უძლვებოდა რუსეთის ვიცე-პრემიერი ბოლშაკოვი, აფხაზური მხარის ხელმძღვანელმა ჯგურენაიამ, სოხუმთან შეთანხმებით, მხარი დაუჭირა ფორმულირებას „ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს შესახებ“, “თუმცა, საღამოს 21 საათზე, სოხუმის მოთხოვნით მანვე განაცხადა უარი დოკუმენტის პარატირებაზე (სოხუმმა იგი გაათავისუფლა დელეგაციის ხელმძღვანელის მოვალეობისგან).

საქართველოს ხელისუფლება ამის შემდეგაც განაგრძობდა აფხაზური მხარისათვის ახალი წინადადებების შეთავაზებას.

1999 წლის 22 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ „აფხაზეთის სტატუსის ძირითადი პრინციპების შესახებ“ ახალი დოკუმენტი მფიციალურად გასავრცელებლად კვლავ გაუგზავნა გაეროს უშიშროების საბჭოს. დოკუმენტში შენარჩუნებულ იქნა 1995 წლის 5 მარტის დოკუმენტის ძირითადი წინადადებები; საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთს კვლავ სთავაზობდნენ: „საქართველოს საერთო სახელმწიფოში აფხაზეთის რესპუბლიკა იქნება სახელმწიფოებრივი ტერიტორიული წარმონაქმნი უფართოესი უფლებებით; იგი მაქსიმალურად განახორციელებს უფლებამოსილებებს, რომელიც განსაზღვრულ იქნება ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუციით; აფხაზეთის რესპუბლიკა განახორციელებს საკუთარ სუვერენულ უფლებებს—აფხაზეთის კონსტიტუციაში შეაქვს ცვლილებები, ამასთან, იმ პირობით, რომ ის არ ეწინააღმდეგება ფედერალურ კონსტიტუციას და მის პრინციპებს; განსაზღვრავს აფხაზეთის საკანონმდებლო, აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურასა და ორგანიზაციას, ქმნის რესპუბლიკურ მმართველობასა და სახელმწიფოებრივი მოწყობის შესაბამის მოდელს, ადგენს აფხაზეთის სიმბოლიკას, ამტკიცებს რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ახორციელებს საგარეო კავშირებს, მონაწილეობს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში, მონაწილეობს საერთაშორისო და რეგიონული ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში, მართავს მისთვის მიკუთვნებულ სახელმწიფო საკუთრებას, წყვეტს რესპუბლიკის მოქალაქეობის, სოციალური პოლიტიკის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, სოციალური დაცვის, პოსტკონფლიქტური მოწესრიგების საკითხებს, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს, ქმნის და განსაზღვრავს შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პოლიციის ფუნქციებს.“ საქართველოს ხელისუფლების ეს და სხვა წინადადებები აისახა საქართველოს პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა მინისტრის, სხვა ოფიციალური პირების გამოსვლებში გაეროს ასამბლეის და უშიშროების საბჭოს სხდომებზე, სხვა საერთაშორისო ფორუმებზე.

დოკუმენტი ხაზგასმულია, რომ ქართული მხარის ყველა

ეს წინადადება და პოზიცია, როგორც წინაპირობა, მოითხოვდა აფხაზეთში იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო დაბრუნებას, ომამდე არსებული დემოგრაფიული სტატუს-კვოს აღდგენას.

აფხაზური მხარისა და მისი მფარველისთვის საქართველოს ეს ინიციატივაც მიუღებელი აღმოჩნდა. სოხუმის რეჟიმის მხრიდან გაუთავებელი პრეტენზიების გამო კონფლიქტის მოწესრიგებაში გარღვევის მიღწევა ვერც ეგრეთწოდებულმა, ბოდენის დოკუმენტმა „საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსისა და თბილსა და სოხუმის შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ შეძლო.

საქართველოს პარლამენტმა თავისი 2002 წლის 20 მარტის დადგენილებით დაავალა აფხაზეთის საკითხთა დროებით საპარლამენტო კომისიას შეემუშავებინა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ძირითადი მიმართულებები. პარლამენტის ბიურომ დოკუმენტის პროექტი მოიწონა და განსახილველად გადაუგზვნა საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტის მიერ დოკუმენტი არსებითად მოწონებულ იქნა და მალე ეს დოკუმენტიც ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის.

ბუნებრივია, რომ კონფლიქტის მოწესრიგების კონცეფციების შემუშავება კვლავ გაგრძელდება. ამ დღეებში გამოქვეყნდა ეროვნული თანხმობის დარბაზის მიერ შემუშავებული მეტად საინტერესო ინიციატივა.

აფხაზური მხარისა და მსოფლიო თანამევობრობისთვის კარგად არის ცნობილი საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული და ოფიციალურად გაცხადებული ყველა პოზიცია აფხაზეთში კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოწესრიგებასთან დაკავშირებით, მაგრამ სოხუმის რეჟიმს და მის მფარველებს მათი გაზიარების სურვილი არა აქვთ.

გაზეთი „დილის გაზეთი“,
28 მარტი, 2003.

როგორი პარტია სჭირდება საქართველოს?

(თვალსაზრისი)

პოლიტიკური პარტიების არსებობა თანამედროვე დემოკრატიის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. პარტიული სისტემის ეფექტიანი ინსტიტუციონალური მოწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მრავალ ქვეყანაში და დემოკრატიის ხარისხის საზომად მოიაზრება.

პოლიტიკური პარტიები უმნიშვნელოვანესი შუამავალი და დამაკავშირებელი რგოლია სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის. ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კგანვითარებად და გარდამავალ ეტაპზე მყოფ სახელმწიფოებში, პოლიტიკური პარტიები სუსტია და ისინი ვერ ახერხებენ სრულად წარმოაჩინონ მოქალაქეების ინტერესები, ვერ უზრუნველყოფენ ხელისუფლებაში მოსახლეობის რეალური ინტერესების გამომხატველი ადამიანების მოსვლას.

საქართველოში მოღვაწე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები თანხმდებიან იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ძლიერი, ეფექტური ინსტიტუციური ბაზის მქონე პარტიული სისტემის ჩამოყალიბება აუცილებელია.

მეტად რიტორიკული კითხვაა, განსაკუთრებით ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებიდან მეთორმეტე წლისთავზე, საქართველოში 163 პარტიაა რეგისტრირებული.

სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ ეს ასეა, რადგანაც მრავალპარტიულობა ქვეყნის დემოკრატიულობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია, თუმცა პარტიათა სიმრავლე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კლასიკური გაგებით ახლა თავზე საყრელადაა (გარდა

რამდენიმე გამონაკლისისა) პარტიები, რომელთა პროგრამები, მსოფლიმედველობრივი პრინციპები, იდეოლოგია და ორგანიზაციული წყობა რეალურად ასახავდეს მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და ინტერესებს.

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური საქმიანობა ბიზნესია და არა ზენობრივი პოლიტიკა კლასიკური გაგებით. ეტყობა, ჩვენც არ ვიქენებით გამონაკლისებში და ეს სენი საქართველოშიც იჩენს თავს, საამისო ნიშნებიც სახეზეა.

საიდან დავიწყოთ ნამდვილად სახალხო პარტიის მშენებლობა, როგორი უნდა იყოს მისი მსოფლიმედველობრივი იდეალი და სამართლებრივი პრინციპები, რომ ენდოს მოსახლეობა, მისცეს მას ხმა ყველა დონის არჩევნებში, ირწმუნოს პარტიის ხალხურობა და გადასცეს მას კონსტიტუციით აღიარებული თავისი უფლებები და სახელისუფლო მოვალეობები?

არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ იდეალური პარტია არ არსებობს, ის ყოველთვის დროისა და ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური კლიმატის ანარეკლია, თუმცა ქვენისთვის უბედურებაა, როცა პოლიტიკური პარტია ბიზნესის, კომერციული საქმიანობის ნაირსახეობა, გავლენიანი, შეძლებული ფენის ყურმოქრილი ხელქვეითი, მათი პოლიტიკური ნების მძევალი და მლიქვნელი მსახურია. სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში ასეა და რიგი გავლენიანი ოპოზიციური პარტია ბიზნესია და არა პოლიტიკა.

ჩვენმა ახალმა ისტორიამ უკვე დაგვანახა რომ, პარტიათა უმრავლესობა არჩევნების წინ ცოცხლდება და თავისი „ჯადოქრი“ ლიდერების მგზნებარე მონოდებებით ხალხის მხსნელის, სახელმწიფოს გადამრჩენის მანტიით იმოსება. ცალკეული მათგანი არჩევნების წინ, კონიუნქტურის შესაბამისად, სახელსაც იცვლის და ცდილობს ხელისუფლებაში მოვიდეს, რათა დიდი თაფლაკვერი დაითრიოს ან რამდენიმე თბილი სკამი მაინც მოიპოვოს პარლამენტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

სტრატეგიული და ტაქტიკური თვალსაზრისით პარტიები, ბუნებრივია, მართლაც ჭრელია, მაგრამ ისტორიის სანაგვე ყუთისათვის განწირული არიან ის პარტიები, რომელთა დამფუძნებელი (ანუ თანამოაზრე ადამიანთა გუნდი) თავისი მსოფლმხედველობის ქვაკუთხედად არ გახდის საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდ გამოხატული ფუნდამენტური პრინციპების ერთგულებას, კერძოდ, რომ საქართველოს მოქალაქეთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წეს-წყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ეს ასეა და ესაა ქართველი ხალხის ნება და ისტორიული არჩევანი, რაც უნდა იყოს საფუძველი ნებისმიერი პარტიის პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული საქმიანობისთვის..

არის ასეთი პარტია? არის იდეურად და ორგანიზაციულად შეკრული ისეთი ძალა, ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული ლიდერები, რომლების იესირებენ ასეთი ეპოქალური ტვირთის ანევას?

იქნებ თქვას ვინმემ, ჩვენაო, მაგრამ საეჭვოა ამჟამად რომელიმე პარტია მზად იყოს ისეთი პასუხისმგებლობისთვის თეორიული თუ ორგანიზაციული თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში ამჟამად აქტიურმა რამდენიმე პარტიამ ასეთ გამოცდას ვერ გაუძლო ვერც პარლამენტში მოსვლით, ვერც აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობების მოპოვებით. გასაოცარი ის არის რომ, მათ უმეტესობას ხალხი მხოლოდ საარჩევნო ციებ-ცხელების პერიოდში ახსენდება და მალევე ავინწყდება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფო ტრანსფორმაციის ცალკეული მიმართულებით ფეხზე დადგა, საერთო მდგომარეობა მეტად კრიტიკულია, განსაკუთრებით რეფორმათა ყველაზე ფუნდამენტურ სფეროებში –სახელმწიფოებრივ მშენებლობაში, ეკონომიკაში, სამართლებრივი სისტემის გარდაქმ-

ნაში, კორუფციის დაძლევაში, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფაში. დაინტერესებულ მყითხველს შეუძლია გაეცნოს გასული წლის „საქართველოს სტატისტიკურ წელიწლეულს,“ რათა დარწმუნდეს ქვეყნის კატასტროფულ მდგომარეობაში.

საქართველოშიც ქვეყნის მთავარი მატერიალური რესურსი თავს იყრის ადამიანების უმცირესი ჯვეფის ხელში და საზოგადოების უდიდესი ნაწილი ღატაკდება. ყველაზე უხეში გათვლით მხოლოდ ქალაქ თბილისში უკვე 2 ათასამდე ოჯახია, რომელმაც დაკარგა ბინა და ახლა თავშესაფარს ეძებს. ქვეყანა სულ უფრო კარგავს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ხდება მსოფლიო ბაზრის დანამატი, ჭარბი უცხოური პროდუქციის გასაღების მოედანი. შრომისუნარიანი მოსახლეობის და სპეციალისტების აბსოლუტური უმრავლესობა დაუსაქმებელია. საქონელს თუ მომსახურებას, რომელიც ავად თუ კარგად ქვეყანაში იქმნებოდა, ახლა უცხო ქვეყნის მუშახელს ასაქმებს. სამწუხაროდ, ეს პროცესი ღრმავდება და არც ვითარების რამენაირად შეცვლას აპირებს ვინმე. უფრო მეტიც, გარედან შეკვეთილი უთავბოლო პრივატიზების შედეგად უცხოელებს და საქართველოს მოქალაქეთა მცირე ნაწილს, რომლებიც მართავენ ხელისუფლებას, მითვისებული აქვთ ქვეყნის მთელი სიმდიდრე და ეკონომიკური აქტივები. გამომდინარე აქედან სახეზეა საზოგადოებრივი პრეტენზიები, რომელიც დღითიდღე იზრდება და უკმაყოფილებაში გადადის რევოლუციური პერსპექტივით. ასეთი ალბათობის ხარისხი მაღალია, ვინაიდან დასავლეთის ქვეყნების გავლენით ჩვენმა მოსახლეობამაც დემოკრატია (თავისთვად პოლიტიკა და იდეოლოგია) გააიგივა თითოეულისა და ყველას რეალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებასთან, სამართლიან არჩევნებთან, მზარდ კეთილდღეობასთან. ცნობილია, რომ ჩვენი მაღმორწმუნე მოქალაქები ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-ანი წლებიდან მოელოდნენ მყისიერ ეკონომიკურ სასწაულს, მაგრამ, რადგანაც ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება, ახლა სხვა გზის ძიებაში არიან. ბევრი მათგანი, გულგატებილი იმით, რომ ცხოვრება დღითიდღე

აუტანელი ხდება, იქამდეც კი მივიდა, რომ მოითხოვს ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში ჩაიწეროს „ცხოვრების უფლება, როგორც უპირველესი და უპირობო ადამიანური უფლება“, და ყველა წევრმა სახელმწიფომ უზრუნველყოს ამ უფლების დაცვა, მათ შორის და უპირატესად საქართველომ, რომელსაც საამისოდ ყველა რესურსი გააჩინია.

ფაქტია, რომ ასეთი პარტია და ლიდერები ჯერჯერობით არ ჩანან, რადგან დღემდე ჩვენი მთავარი სენია დასავლეთის განვითარებული ქვეყნების პარტიული მოდელებისა და იდეების მიმბაძველობა და ადგილობრ თავისებურებათა გაუთვალისწინებლად ღარიბ და ღარიბა საქართველოში მათი დამკვიდრების იდეალისტური მცდელობა.

არის კი საქართველოში 2-3 ძლიერი, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის უზრუნველყოფი პარტიის ფორმირების რესურსი?

არის, ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ იყო. ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი სიმდიდრეა ათასეულებით გონიერი ადამიანი, ასეულობით სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება, რომელთაც შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ისინი არიან ხელისუფლებაში ხელისუფლების გარეთ, რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში, დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა შორის. ქვეყანას გააჩინია არსებული მძიმე რეალობის შეცვლისა და პროგრესის უზრუნველყოფის უნიკალური ბუნებრივი და მატერიალური რესურსი. საქართველოს შეუძლია ხელგანვდილ მათხოვრად არ იჯდეს კონტინენტებისა და ცივილიზაციების გზაჯვარედინზე და დასავლური მოწყალებით ირჩენდეს თავს!

რითი დავიწყოთ, რა გავაკეთოთ, როგორო პარტია გვინდა?

1) იმისი ანალიზით, რაც იყო, რა გზა გავიარეთ, საითკენ მივისწრაფით, როგორი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, ანუ შეიქმნას პარტიის ყოვლისმომცველი თეორიული პლატფორმა, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს მოწყობის მსოფლმხედველობა; უბრალოდ, ქვეყნის მოწყობის 10-15 წლიანი გეგმა, ისეთი გეგმა, რომელსაც ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებს, მე-

წარმეს, მუშას, ფერმერს თუ ინტელიგენტს დაარწმუნებს, რომ იგი, მიუხედავად თავის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესისა თუ რწმენისა, ადამიანურად იცხოვრებს თავისუფალ ქვეყანაში, რომ საქართველოშიც იქნებიან მდიდრები და ღარიბები, მაგრამ ყოველ ე.ნ. საშუალო ადამიანს ექნება დაცული საკუთრება, მყარი სამუშაო ადგილი, საკუთარი შრომით და მოწადინებით ნორმალური არსებობისა და განვითარების პირობები. ამდაგვარია ამჟამად დასავლეთის ქვეყნებში ლამის ერთადერთად მიჩნეული ლიბერალური დემოკრატიის, სხვანაირად თუ ვიტყვით, „ბატონებად“ და „მოწებად“ დაყოფის ნებაყოფლობითი აღიარების გზა. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა სინამდვილიდან მოვდივართ, სოციალურად დაცული საზოგადოებიდან მოვედით, ამიტომაც გვჭირდება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ადეკვატური ქართული მოდელი, რომლის პრიორიტეტი გახდება ეკონომიკურ თანასწორობა, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ქვეყნის გამთლიანება, მშობლიურ ადგილებში დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნება, სამართლის და სამართლიანობის გარემოს დამკევიდრება.

2) საკუთარი მედიის შექმნით, რომელიც თავისუფალი იქნება ზენოლისგან და ქვეყანას ეტყვის სიმართლეს საზოგადოებისთვის საინტერესო ყველა საკითხზე, დააკმაყოფილებს ადამიანთა ინტერესებს, საქართველოს მოქალაქეებს მისცემს საშუალებას გამოხატონ ყოველგვარი აზრი საჯაროდ, არგუმენტირებულად და უფასოდ.

3) გვინდა პარტია, რომელიც თავის რიგებში და გარშემო მოზიდავს ადამიანებს, რომელთაც ყოველგვარი ანგარების და გამორჩეული პირადი ამბიციების გარეშე სურთ თავიანთი ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება მოახმარონ XXI საუკუნის საქართველოს აღმშენებლობას, ქართველთა და არაქართველთა ნიჭისა და გენის რეალიზაციის პირობების შექმნა, საყოველთაო სიდუხჭირიდან ქვეყნის გამოყვანა და თანამედროვე მსოფლიოში მისი კუთვნილი ადგილის დაბრუნება.

4) გვინდა პარტია, რომელიც თავის გარშემო და რიგებში

თავს მოუყრის მოწოდებით და ხელობით პოლიტიკოსებს, სამართლის, ფინანსებისა და ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სოციალური და ჯანდაცვის, სპორტის, ვაჭრობისა და ბიზნესის, სახელმწიფოებრივი მოწყობის, საერთაშორისო ურთიერთობების, ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციალისტებს, რომლებიც ჩაერთვებიან თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროექტების შემუშავებაში.

5) გვინდა პარტია, რომელიც განსაზღვრავს თავის ოპტიმალურ სტრუქტურას ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებში შექმნის პირველად უჯრედებსა და მხარდამჭერთა კლუბებს, ლიდერებად წამოსწევს შესაბამისი უნარ-თვისებების მქონე ადამიანებს.

6) გვინდა მებრძოლი პარტია, რომელიც პრინციპულად გამოხატავს თავის პოზიციას ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით, მონაწილეობს არჩევნებში, მოღვაწეობს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით განსაზღვრული თამაშის წესების სრული დაცვით. იგი თავის რიგებს წვრთნის არა მხოლოდ ოპოზიციური ოპონენტობისთვის, არა-მედ ხელისუფლებაში მოსასვლელად; პარტია, რომელიც თავს შეიკავებს პომპეზური ღონისძიებების, პიარ-სანახაობების ჩატარებისა და პოპულისტური დაპირებებისგან, ქმედითუნარიანი პარტია, რომლის შემოსავლების ძირითადი წყაროა პარტიის წევრთა საწევრო შესატანები, აგრეთვე კანონით დადგენილი სხვა შემოსავლები; პარტია, რომელიც ამხელს და იბრძვის საარჩევნო ღონისძიებებში სახელმწიფო რესურსების გამოყენების აღსაკვეთად, მოითხოვს კანონის მიღებას პოლიტიკური პარტიების განვითარებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან რესურსების მისაღებად, როგორც ეს არის ბევრ ევროპულ სახელმწიფოში. პარტია ყველა მისი შემოსავლებითა და ხარჯებით სრულიად გამჭვირვალე უნდა იყოს პარტიის შიგნით და ხალხის წინაშე.

7) გვინდა პარტიის, რომლის უპირველესი მიზანია საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ხალხების რეალური პატივისცემა, ქვეყნის შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა კონსტიტუციური საშუალებე-

ბითა და სუვერენული სახელმწიფოსთვის თვისებრივად განუყოფელი სხვა უფლებებისა და მოვალეობების აღსრულებით.

8) გვინდა პარტია, რომელიც იღვანებს აღადგინოს ხიდი ქვეყნის სახელოვან წარსულს, მძიმე აწმყოსა და მომავალს შორის, თვალისჩინივით გაუფრთხილდება ქვეყნის უნიკალურ სულიერ ფასეულობებსა და ღირებულებებს, ყველა საშუალებით შეეცდება გამდიდროს იგი მსოფლიო ცივილიზაციის საკუთხესო მიღწევებით.

9) გვინდა პარტია, რომელიც იბრძოლებს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების არა დეკლარაციული, არამედ რეალური დაცვისთვის, ეროვნული, სიმდიდრის შექმნის, დაგროვებისა და სამართლიანი გადანაწილების თანაბარი წანამდღვრების შესაქმნელად, კანონისა და სამართლიანობის უზენაესობის პრინციპებისა და ნორმების განუხრელი დაცვისთვის.

10) გვინდა ბრძოლისუნარიანი პარტია, რომელიც ყველა ღონისძიებით განამტკიცებს და განავითარებს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს, მის ახალ სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ფუნქციას, უზრუნველყოფს ქვეყნის საიმედო თავდაცვისუნარიანობას და უსაფრთხოებას, საქართველოს ეროვნული ინტერესების უზენაესობას მსოფლიო გეოპოლიტიკურ ძალთა ბალანსში.

რაა ის რესურსი და საჯაროდ გაცხადებული მიზანი, რომ პარტია არ დაემსგავსოს იმ პარტიებს, რომლებმაც გაიტეხეს სახელი და დაიმსახურეს საზოგადოების ეჭვი და უნდობლობა?

1) რა თქმა უნდა, პარტიის საქმის ერთგული ადამიანები და უპირველესად ხალხი, როგორც პარტიის ძლიერების წყარო, მისი მიზანი და ამ მიზნის მიღწევის საშუალება.

2) ეროვნული ეკონომიკის აღორძინების უპირატესი პირობების შექმნა, მისი ტრანსფორმაცია უპირველესად საკუთარი შინაგანი შესაძლებლობებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვის საფუძველზე; ქვეყანაში კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამეწარმეო პოტენციალის განახლება, ახალი პროფესიის ადამიანების მომზადება და თანამედროვე ტექნიკურ ენერგო-ტევად დარგებში, აგრარულ სექტორში, ტურიზმის სფეროებში

დასაქმება, ინდივიდუალური და კოოპერაციული მეწარმეების ხელშეწყობა, პერსპექტიული საექსპორტო პროდუქციის შექმნა და საგარეო ბაზრის მოპოვება.

3) საკუთრების ყველა ფორმისადმი პატივისცემა, გარდა-
მავალ პერიოდში სახელმწიფო და სახალხო საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, თვითმიზნად ქცეული პრივატი-
ზების შეჩერება და სახელმწიფო საკუთრების გასხვისების ზო-
მიერი საკანონმდებლო რეგულაციის საფუძველზე წარმართვა,
რათა შეჩერდეს ქვეყნის მოსახლეობის გაღატაკება და მასობრი-
ვი უმუშევრობის ტრაგიკული პროცესი.

4) განათლების რეფორმის გარედან თავსმოხვეული სტანდარ-
ტიდან მისი ეროვნულ და ცივილიზებულ ნიადაგზე გადაყვანა, მშობლიური ენისა და კულტურის ფასეულობების შენახვასა და
განვითარებაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვა, ჯანსაღი ცხოვრე-
ბის წესის დამკვიდრება, ახალგაზრდა თაობის ახალი იდეების
და მიზნების მხარდაჭერა, სპორტის განვითარების ხელშეწყობა,
მოსახლეობისთვის ჯანდაცვის უმძიმესი ტვირთის შემსუბურება
პირველადი, გადაუდებელი და ალტერნატიული სამედიცინო სა-
ხელმწიფო სექტორის შექმნის ბაზაზე.

5) საქართველოს ყველა რეგიონის, მათ შორის მაღალმთია-
ნი რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების
პოტენციალის შესწავლა, რეგიონული განვითარების სტრატე-
გიის და კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება. ეკონო-
მიკის პერსპექტიული დარგების, უპირატესად საქართველოს
უმდიდრესი ჰიდროელექტრისტურის ბაზაზე ახალი ელექტროსადგუ-
რების მშენებლობა, ელექტროენერგიის უმთავრეს საექსპორტო
საქონლად გადაქცევა, გადამამუშავებელი სექტორის განვითა-
რება სახელმწიფო და გარე ინვესტიციების მოზიდვის საფუძ-
ველზე, ამ მიზნისთვის ადგილობრივი შესაძლებლობების ამო-
ქმედება სააქციო საზოგადოებებისა და საფონდო რესურსების
რაციონალურ დაბანდების გზით.

6) საგადასახადო და საშემოსავლო პოლიტიკის ოპტიმიზაცია,
ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის განაწილების შეჯე-

რებული საბაზრო და სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა. მონოპოლიზმისა და უკანონო გარიგებების აღკვეთის მძლავრი სახელმწიფო მექანიზმების შექმნა და საჯაროობის უზრუნველყოფა. ლიბერალიზმის ტენდენციის პირობებში ადმინისტრაციული რესურსების ადეკვატური ზომით გამოყენება.

7) კორუფციის რეალური აღმოფხვრის სახელმწიფო მექანიზმების შექმნა, ყველგანმყოფი ელიტარული კორუფციის დაძლევის საკანონმდებლო უზრუნველყოფა. სისხლი სამართლებრივი დევნის გაძლიერების ცივილური სამართლებრივი ბაზის შექმნა, მართლმსაჯულობის საჯაროობის პირობებში მართლწესრიგის განმტკიცების საგანგებო ღონისძიებების გატარება. სახელმწიფო მმართველობის პარატის გამარტივება, ყველა სახელმწიფო თანამდებობაზე ქვეყნისა და საქმის ერთგული, საზოგადოებრივი ავტორიტეტის მქონე პროფესიონალების შერჩევის და დანიშვნის გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა (გამჭვირვალე საკონკურსო წესი), მათ შორი რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, საკადრო საკითხებში პროტექციისა და ძმაკაცობის (ე.წ. გუნდურობის) ტრადიციული პრაქტიკის დაძლევა.

8) სახელმწიფო პოლიტიკური სისტემის რეფორმა, ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის, სამინისტროების, უწყებების), ასევე ევროპული ტიპის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირება, კონსტიტუციაში ადეკვატური ცვლილებების შეტანა, ხელისუფლების ყველა რგოლში პასუხისმგებლობისა და ანგარიშების სისტემის აღდგენა.

9) სახელმწიფოებრივი მმართველობის სტრუქტურებში ახალგაზრდების მოზიდვა და პატიოსანი სელექცია მათი საფეხურებრივი ზრდის ყველა ეტაპზე; დანინაურების უპირველესი პირობა უნდა გახდეს ცოდნა და უნარ-ჩვევები, ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება, თანმიმდევრულად გავლილი სამოხელო კლასი და ჩინი. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ სოციალურად ორიენტირებულ სახელმწიფოში ბიუჯეტის ფორმირება ხორციელდება ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 20-45%-ის მობილიზების ბაზაზე და არა 10-15%-ისა, რათა სახელმწიფო

ბიუჯეტი არ იყოს მუდმივად დეფიციტური და სოციალური პრო-
ბლემები ქრონიკულად მოუგვარებელი.

როგორი უნდა იყოს პარტიის მსოფლმხედველობრივი პრიო-
რიტეტი?

ევროპის მოწინავე სახელმწიფოების სინამდვილეში თავისი
ფუნქცია არ დაუკარგავს მემარჯვენეობას და მემარცხენეობას,
ცენტრიზმს მარჯვენა თუ მარცხენა ამპლიტუდით. ისტორიის
ავანსცენიდან არც ნეოფაშისტური და რადიკალურ-ფუნდამენტა-
ლი მემარცხენები წასულან, არც კონსერვატიზმი და ნაციონალიზ-
მი, არც ანარქიზმი და რელიგიური ფანატიზმი, არც რეალური სო-
ციალიზმის იდეა დამარცხებულა გლობალურად. ისინი არსებობენ
როგორც კაცობრიობის ისტორიული გამოცდილება და პრაქტიკა
და შეჭირვებულ, კორუმპირებულ, მეტისმეტად პოლარიზირებულ
და სოციალურად არამდგრად ქვეყნებში ხანდახან ზღაპრულ ურ-
ჩეულებად წამოყოფენ თავებს. შედარებით ახალი მოძრაობებია
ეკოლოგიზმი, ფემინიზმი, გლობალიზმი და ანტიგლობალიზმი, რო-
მელთაც, როგორც პოლიტიკურ მოძრაობებსა და იდეოლოგიებს
ჰყავთ თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგები.

მოსახლეობის შეკვეთა სახართველოს სახელმწიფოს სო-
ციალურ სახელმწიფოდ ტრანსფორმაციაზე ლოგიკურად უნდა
აისახოს პოსტკომუნისტურ სინამდვილეში შექმნილი პარტიე-
ბისა და მოძრაობების მსოფლმხედველობის ფილოსოფიაზე,
თუმცა, ჩვენს სინამდვილეში ამ ნიშნით პარტიათა კლასიფიკა-
ცია მეტად პირობითია. აშლარაა, რომ ქართული საზოგადოების
აზრი სულ უფრო მეტად იხრება სოციალური სახელმწიფოსკენ,
რომელშიც, როგორც წესი, მოიაზრება სახელმწიფო, რომელიც
მუდმივად გაჭირვებასა და სიღატაკეში არ ამყოფებს საკუთარ
მოქალაქეებს, ქმნის ოპტიმალურ პირობებს, რათა არ იყოს სა-
ზოგადოების უკიდურესი ქონებრივი პოლარიზაცია, მასობრივი
სიღატაკე და აუტანელი სიდუხჭირე დესტაბილიზაციის თანამ-
დევი საფრთხეებით.

საქართველოს მასშტაბის ომისშემდგომო ევროპული სო-
ციალური სახელმწიფოების გამოცდილება ადასტურებს, რომ
სოციალურად ორიენტირებული ორი-სამი ერთგვაროვანი

მსოფლმხედველობის და მყარი სტრუქტურის მქონე პარტია არის და იქნება სტაბილური საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მმართველობისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების სამედინო გარანტი. ხალხი ხელისუფლების წყაროა დემოკრატიის კლასი-კური გაგებით და იგი იმდენ უფლებამოსილებას უნდა აძლევდეს ხელისუფლებას, როგორც მას ამა თუ იმ ეტაპზე მიაჩინა საჭიროდ. სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში ამჟამად საყოველთაოდ ქებული ლიბერალური დემოკრატია და მისი პირმშო პარლამენტი გადაქცეულია ფორმალურ წარმომადგენლობით დემოკრატიად, ანუ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მონოპოლიად პარლამენტში თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ასეთ ვითარებაში ხალხი არსებითად მოწყვეტილია ხელისუფლებაზე რამენაირ გავლენას. უფრო მეტიც, სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების თანაფარდობა; მაურიტარული არჩევნებისადმი ეჭვის დათესვა რეალურად ნიშნავს დემოკრატიის უმთავრესი პრინციპისადმი უარის თქმას, პირდაპირი საარჩევნო უფლების დემონტაჟს არჩევით ორგანოში მდიდარი და გავლენიანი საძმაკაცოს მოსაყვანად, ანუ, როგორც იტყვიან, პოლიტიკაში ე.ნ. ნათლიმამათა საძმოს ტაქსით მოსაყვანად.

ქართველი ერის უპირველესი ამოცანაა საარჩევნო კანონმდებლობა და პროცესი გახდეს სამართლიანი, დაიძლიოს საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, რომ: „ვისაც აქვს ფული და გავლენა, მხოლოდ და მხოლოდ ისინი იგებს არჩევნებს.“ მიუღებელია და აბსურდული მტკიცება იმისა, რომ თავისი ბუნებით ხალხი პასიური მომხმარებელია და მისი მოსყიდვა ყოველთვის და ყველაფრით შეიძლება. სამართლიანი არჩევნების ერთადერთი გარანტი კი არის მიუკერძოებელი საარჩევნო გარემო და პარტიათა ჯანსაღი კონკურენცია, მათი არჩევნებით მონაცვლეობის ტრადიციის დამკვიდრება, რაც ჩვენთვის გასავლელი ეტაპია. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი არსებული ხელისუფლება იმ პოლიტიკურმა ძალებმა შეცვალონ, რომელთა უმთავრესი ღირებულება ქვეყანა და ადამიანია და არა ე.ნ. მდიდარი კატები, რომლებიც ისე

გალალდნენ, რომ არად მიაჩნიათ საკუთარი სახელმწიფო, ქვეყანა და ხალხი, არად დაგიდევენ კანონს და კანონიერებას. უფრო მეტიც, ხელისუფლება, როგორც ასეთი, მათი ძალაუფლების ინსტრუმენტია მათივე უსაფრთხოების, პრივილეგიებისა და ქონების დასაცავად, მოსახლეობის კიდევ მეტად საძარცვად.

საქართველოს სჭირდება პარტია, რომელიც მასიური სიღატაკისა და ცხოვრების დაბალი დონის პირობებში ელექტორატს მოიზიდავს ქვეყნის მომავლის დასაბუთებული ხედვით, მთელი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებით. გადასახედია კანონი „პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ და „საარჩევნო კოდექსი“ საარჩევნო გარემოს გაჯანსაღების, არჩევნებში ხელისუფლების მომგებიანი მდგომარეობის გაუქმების, სახელმწიფო რესურსების გამოყენების დაუშვებლობის, უკანონო და არალეგალური შემოსავლების მოპოვების აღკვეთის, შემოსავლების და ხარჯების საჯაროობის ნაწილში.

რა უშლის ხელს სოციალური ორიენტაციის ახალი ტიპის პარტიის მშენებლობას?

ძალიან მძიმე ვითარება გვაქვს, როგორც ეკონომიკურად, ისე მორალურად და ფსიქოლოგიურად. საქართველოს მოქალაქეთა უმეტესობას თავის რჩენის საშუალება არ აქვს. ქართველ კაცს ომი და შიმშილი კი არა, სასონარკვეთილება და მონურ რეჟიმში ცხოვრება ჰქონის მუხლებს. კატასტროფულია აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა, შეიარაღებული დაპირისპირების დამთავრებიდან ათი წლის შემდეგაც მათ ოჯახების ნახევარზე მეტი კერძო სექტორშია თავშეფარებული ან არალეგალად ირიცხება (ე.წ. შეჭრილი) სახელმწიფო საკუთრების შენობა-ნაგებობებში. ბევრი მათგანი, მშერი და მწყურვალი, მიეჩვია ერთი დღის მოვლენებით ცხოვრებას, გაუჩნდა არასრულფასოვნების კომპლექსი, ხელისუფლების ბატონად მაღიარებელი მონის ფსიქოლოგია, ეჭვი შეეპარა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ჭეშმარიტი დემოკრატიის არსებობაში.

ფაქტია, რომ მშიერი, ღატაკი ყველასა და ყველაფერზე გაბოროტებული მასა, მარგინალთა ფენა ვერასოდეს გააკეთებს სწორარჩევანს ვერც ქვეყნის და ვერც საკუთარი თავის სასარგებლოდ.

სამწუხაროდ, ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, როცა საზოგადოებრივი ნიჰილი ზმისა და საყოველთაო ისტერიის პირობებში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ადვილად წამოეგო გაქილი დემაგოგისა და ავანტიურისტის ანკესზე. ამ თვალსაზრისით ჩვენშიც არსებობს სერიოზული საფრთხე. მხედველობაშია უკიდურესად პოპულისტური (მესიანური) ოოზუნგებით და მოწოდებებით გაჭირვებული ხალხის გადაბარების მცდელობა. პარადოქსია, რომ ასეთი ოოზუნგები სწორედ იმათი იარაღი გახდა, ვინც სულ ახლახან დაუფიქრებლად ანგრევდა იმ წყობილებას, რომლის ნოსტალგია ჯერ კიდევ ცოცხლობს საზოგადოების დიდ ნაწილში და იქამდე არ გაქრება, სანამ ადამიანები უკეთესად არ იქნებიან უზრუნველყოფილი მატერიალურად და უფრო თავისუფალნი, ვიდრე ამ ოციოდე წლის წინათ.

ახალმა პარტიამ უნდა შესძლოს დაარწმუნოს ამომრჩეველი, რომ სანამ ქვეყანას თავისი ძლიერი ეკონომიკა და სამუშაო ადგილები, სოციალური განვითარების საკუთარი ბიუჯეტი არ ექნება, კარგი ცხოვრების დაპირება ავანტიურისტთა მორიგი სატყუარაა.

ახალ პარტია ახალი ლიდერები სჭირდება, ძლიერი, განათლებული, შორსმხედველი, სულით და ხორცით ეროვნული ადამიანები, პატრიოტები. ქვეყნის ევროპულ ორიენტაციაზე დღედაღამ გაიძახიან რიგი ჩვენი პარტიული ლიდერები, თუმცა დიდი ეჭვია, მხოლოდ რამდენიმეს თუ ჩაუხედია ევროპული კაპიტალიზმის (უფრო ზუსტად სოციალიზმის) პოლიტიკური სისტემის საფუძვლებში, განვითარებული ევროპის სოციალური სახელმწიფოების არსში, რეალური დემოკრატიის საფუძვლებში.

ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში ტყუილი, სიცრუე, თვალის ახვევა ხშირად ყოფილა ხელისუფლების მოპოვებისა და ქვეყნის მართვის იარაღი. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ტელევიზიას, სხვა საინფორმაციო საშუალებებს, უნივერსალური შესაძლებლობები გააჩნიათ აბსოლუტური სიმართლისა და აბსოლუ-

ტური სიცრუის თანაბარძალიანად წარმოსაჩენად. ფაქტია, რომ ვინც ფლობს ტელევიზიას (და შესაბამისად დიდ ფულს) მართავს ხალხს და ქვეყანას. ეს პრობლემა არ არის მარტივად მოსაგვარებელი, იგი წინააღმდეგობრივია დასავლეთის ქვეყნებშიც, თუმცა მათ შესძლეს ე.წ. პოზიტიური შეზღუდვის ქმედითი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. და მაინც, სიმართლე, მხოლოდ გულწრფელი, საჯარო სიმართლე, აი, რა უნდა იყოს ყოველი სიცოცხლისუნარიანი პარტიის უმთავრესი პრინციპი და საქმიანობის წესი.

ჩვენმა ხალხმა უნდა იცოდეს სრული სიმართლე პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის უდიდეს სირთულეთა შესახებ, რომელიც, მაგალითად, ჩინეთში სულ სხვა გზით წარიმართა, ჩვენთან კი ინდუსტრიული ეპოქის ველური კაპიტალიზმის ფორმა მიიღო. კომუნისტური საზოგადოების ტრანსფორმაციის გონივრული გეგმა ბუნებაში არ არსებობდა. 1991 წლის 22 ივნისს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა წამოაყენა ე.წ. კონვერგენციის თეორია (სოციალიზმისა და კაპიტალიზმის უპირატესობათა შერწყმა), მაგრამ მისი ეს იდეა და მოწოდება რითიც დამთავრდა, საყოველთაოდ ცნობილია. საქართველოს შემდგომმა ხელისუფლებამ უპირობოდ მიიღო პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების ბზეჟიზინკის სამფაზიანი განვითარების თხუთმეტწლიანი სქემა, რომელსაც დღემდე ყოველგვარი ეჭვის გარეშე ბრმად ახორციელებენ. ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც ეს თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, თუმცა ამისთვისაც ხელისუფლებას ყველაზე ხშირად ისინი აკრიტიკებენ, რომლებიც ამ სქემის განხორციელების ავანგარდში იყვნენ.

საქართველო, ბუნებრივია, გლობალიზაციის პროცესებს და გარედან დახმარებას ვერ გაექცევა, მაგრამ ცხადია, რომ იგი ქვეყნის კოლონიზაციის ნაირსახეობა არ უნდა გახდეს. საქართველომ განვითარების საკუთარი გზა უნდა გამონახოს, რაც საკუთარ ფესვებსა და ახალ რეალობაზე იქნება დაფუძნებული. ამ გზის ძიებაში ახალ პარტიას მოუწევს პასუხი გასცეს რიგ უხერხულ კითხვებს, კერძოდ, არიან საქართველოში კლასები? თუ არიან, როგორ შეიძლება მათ შორის ანტაგონიზმის დაძლევა;

კანონზომიერად ვითარდება საზოგადოება, თუ საბაზრო ქაოსიდან იქმნება საყოველთაო წესრიგი? რა ადგილს დაიკავებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზნეობის ნორმები და პრინციპები?

ახალი პარტია მზად უნდა იყოს მშვიდად შეხვდეს გამარჯვებასა და დამარცხებას, გამოიმუშავოს სათანადო იმუნიტეტი. კლასიკური გაგებით, როგორც ზემოთ აღნიშნა, მემარცხენები სოციალური ხარჯების ზრდას მოითხოვენ, მემარჯვენები კი მის შემცირებას. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბდა განსხვავებულ პარტიულ მსოფლმხედველობათა ამდაგვარი ბალანსის (მემარჯვენე-ცენტრისტული, მემარცხენე-ცენტრისტული), რომელიც მონაცვლეობით მოდიან ხელისუფლებაში, თუმცა საქართველოში მრავალ მიზეზთა გამო განსხვავებული ვითარებაა.

ახალმა პარტიამ უნდა შეძლოს, რომ ქვეყნის მოქალაქეებმა გაითავისონ თავისი როლი და ადგილი სახელმწიფოს მოწყობაში ყველა დონის არჩევნების და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით. ფუჭია ოცნება, რომ მთელი ქვეყანა ერთ ჭკუაზე ივლის. არც არის საჭირო და არც უნდა იყოს. სხვა საქმეა ქვეყანაში აქტიური, მასულიშვილურად განწყობილი და უშიშარი ნაწილის-ლიდერის ფაქტორი, რაც მუდამ იქნება საქართველოს ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

საქართველოს ახალ პარტიებს მოუწევთ საკუთარი ქვეყნის ისტორიული გადასახედიდან კრიტიკულად განიხილონ დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება, განაცალკეონ მითი და რეალობა, გააანალიზონ საქართველოს პირველი რესპუბლიკის პარტიული სისტემის პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. იტყვიან, რომ ახალი, კარგად დავიწყებული ძევლიაო, ამიტომაც მათრთხობს მოარული ხმები, რომ თითქოსდა პარტიული საქმიანობა ბიზნესი და გამდიდრების სამუალება გახდაო. გამორიცხული არაფერია, ამ საკითხში უდიდეს გერმანელ მოაზროვნეს და უნივერსალურად განსწავლული მაქს ვებერს (სამოქალაქო საზოგადოების, ანდა როგორც თვითონ უწოდებს საკუთარ თავს, კაპიტალიზმის თეორეტიკოსი, და ამავე დროს, მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიტიკოსი) ნამდვილად ვერ შევეკამათე-

ბი. სამწუხაროდ, ჩვენთანაც გაიგონებთ უკვე, –განა არის ვინმე დღევანდელ პოლიტიკაში ქალწული? პოლიტიკურ საქმიანობას, მით უმეტეს, აქციებს, ნინაალმდეგობის ფართო ფრონტის გაშლას ფული რომ სჭირდება, ახალი ამბავია? რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს, რომ პოლიტიკა უფულოდ კეთდება და პოლიტიკოსები ციური მანანათი იკვებებიან?

მიუხედავად ამისა, არც ერთ დროში და არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ სახელმწიფოში მებრძოლი თანამოაზრების გუნდისა და მოქმედი პარტიების გარეშე რამე სახელმწიფოებრივი და მნიშვნელოვანი არ შექმნილა და არც შეიქმნება.

და ბოლოს, ახალი პარტიის პროგრამასა და სამოქმედო გეგმებში განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს მოქნილი, მსოფლიო რეალობის ადეკვატური საგარეო და საშინაო პოლიტიკის პროგრამის შემუშავებას. რეალობაა, რომ ქვეყნის მოქმედმა ხელისუფლებამ ცალსახად გადაწყვიტა საქართველოს დასავლურ ორბიტაზე გაყვანა და საქართველო ნატოს ალიანსში გაწევრიანება. ამასთან ერთად, უეჭველია, რომ ტერიტორიებდაკარგული ქვეყანა ყოველთვის მზად უნდა იყოს საკუთარ საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ვითარების ადეკვატური ცვლილებების შესატანად. დიდი მიხევდრა არ სჭირდება იმას თუ კიდევ რა სიურპრიზებს გვიმზადებს რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. ამიტომაც აუცილებელია სტრატეგიულ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს მუდამ თან ახლდეს კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობასთან პარტიათა დიალოგი, იქ დარჩენილი მოსახლეობის მიმართ იმ სიკეთეთა გავრცელებაზე ზრუნვა, რაც დადგენილია მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის. ცალსახაა, რომ ნებისმიერი პარტიის ეფექტურობის საზომი არის და მომავალშიც იქნება ის, თუ რას გააკეთებს და როგორ იმოქმედებს იგი საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ქვეყნის გასამთლიანებლად.

ურნალი „პოლიტიკა“,
№4-5, 2003წ.

თავდადება თუ ღალატი?

აფხაზეთში შეიარაღებული დაპირისპირების და-სასრულისათვის (1993 წლის სექტემბრის ბოლო, ოქტომბრის დასაწყისი) გალის რაიონის მოსახლეობამ თითქმის მთლიანად (დარჩა რამდენიმე ასეული უმწეო ადამიანი) დატოვა მშობლიური ადგილები და ძირითა-დად ენგურს გამოღმა რაიონებს შეაფარა თავი.

ადგილობრივმა მოსახლეობამ გულთბილად მიიღო დევნილები, რომელიც ქვეყნისათვის იმ მძიმე დროში ისედაც მნირ ლუკმას უბედურებაში მყოფ ადამიანებს უნაწილებდა. დევნილი მოსახლეობის სამეურნეო ნა-გებობებში, სასტუმროებში, სკოლებში, საბავშვო ბა-ლებში, კერძო სახლებში დაბინავებისთვის ყველაფერი გააკეთა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშა, იმე-რეთმა, აჭარამ, გურიამ, მთელმა საქართველომ.

მრავალ მიზეზთა გამო (მათ შორის 1993-1994 წლების უმ-კაცრესი ზამთარი, ფაქტიური შიმშილობა, ელემენტარული საყოფაცხოვრებო მოუწყობლობა, შელახული თავმოყვარეობა) დევნილებმა 1994 წლის დასაწყისიდან უსაფრთხოების ყოველგ-ვარი გარანტიების გარეშე დაიწყეს მშობლიურ ადგილებში და-ბრუნება.

არსებული მონაცემებით, ამჟამად გალის რაიონში ომამდელი მოსახლეობის (თითქმის 100 ათასი ე.ნ. ძველ საზღვრებში) 45% დაბრუნებულია ან მიმოქცევაშია, განსაკუთრებით სეზონური სამუშაოების დროს. ქართული მოსახლეობის მცირედი ნაწილი, ასევე, დაბრუნდა, სოხუმში, გაგრაში, გუდაუთის, გულირიფშის, სოხუმის, ოჩამჩირის რაიონებში.

სამწუხაროდ, აფხაზეთში ქართველ დევნილთა სტიქიურ და-ბრუნებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა და დღემდე არსებობს, ზოგჯერ მეტად უარყოფითიც.

ნებისმიერი ხალხის ისტორიაში ოდნავ ჩახედულმა ადამიან-მა იცის, რომ საკუთარი ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ ადგი-ლობრივი მოსახლეობა თავად, საკუთარი სიცოცხლის რისკით

აკეთებდა არჩევანს დაბრუნებულიყო მშობლიურ ადგილებში და მეტ-ნაკლებად შეგუებოდა შეცვლილ რეალობას.

საქართველო მრავალჯერ დაუცურიათ უცხო ძალებს, ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილის მოსახლეობა ბევრჯერ გამხდარა შიდა დაპირისპირების მსხვერპლი. ქართული მოსახლეობა ფიზიკური გადარჩენისთვის ტოვებდა საცხოვრებელს, თავს აფარებდა უსაფრთხო ადგილებს, მოგვიანებით კი კვლავ ბრუნდებოდა მშობლიურ ადგილებში, ფერფლიდან აღადგენდა მამულს, აგრძელებდა ცხოვრებას.

შეგუების გარკვეული ელემენტებისა და თვითგადარჩენის ინსტინქტის გარეშე საქართველო დღემდე ვერ მოაღწევდა. ჩვენს ბედურულ ისტორიას უამრავი მსგავსი მაგალითი ახსოებს, თუნდაც აჭარა, რომელიც 300 წლიანი მონობის უღელქვეშ ნამყოფი, დაუბრუნდა დედასამშობლოს, სამხრეთ საქართველოს, ლაზეთისა და სხვა ტერიტორიები, რომელთა დაბრუნების იმედი დღემდე ბუუტავს ყველა ქართველის გულსა და სულში.

გალის მიწაზე და ამ მიწისთვის 1993-1998 წლებში ხუთ ე.წ. აფხაზურ წმენდას შეენირა (დახოცეს, ცოცხლად დაწვეს) უამრავი ადამიანი რაიონის ყველა სოფელში და ქალაქში (მონაცემები აღებულია ვლადიმერ ჭანტურიას წიგნიდან „სისხლიანი დღეები სამურზაყანოში“). ჩხორთოლიდან – 8; ბედიიდან – 6; სიდიდან – 16; რეჩხო ცხირიდან – 8; აჩიგვარიდან – 63 (მათ შორის ერთი ოჯახის სამი წევრი–დედა ნაზი, მამა კოლია და მათი ქალიშვილი ნინელი შაკაიები); რეფო–შეშელეთიდან – 48; ხუმუშქურიდან – 7; წარჩიდან – 49; ნაბაკევიდან – 32; ფიჩორიდან – 11; დიხაზურგიდან – 19; ზემო ბარღებიდან – 28; ქვემო ბარღებიდან – 29; ლეკუხონიდან – 6; ოტობაიიდან – 36; მუხურიდან – 32; შეშელეთიდან – 24; ღუმურიშიდან – 9; საბერიოდან – 5; თაგილონიდან – 23; მზიურიდან – 43; განახლებიდან – 40; პირველი გალიდან – 60; ჭუბურხინჯიდან – 49; გუდავიდან – 79; ოქუმიდან – 74 (ამავე სოფლიდან უგზო-უკვლოდ დაკარგულია ხუთი ადამიანი); ქალაქ გალიდან – 110 (მათ შორის უგზო უკვლოდ დაკარგულად ითვლება – 26).

ეს იყო უგუნური ნადირობა ადამიანებზე, რომელშიც მონაწილეობდნენ დაქირავებული მკვლელები რუსეთიდან, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, სამხრეთ რუსეთი მხარეებიდან, ასევე ურიცხვი მოალაფეები, თავგადასავლის მაძიებლები, საშოვარზე მოსულები, მანანნალები, შურისმაძიებელი აფხაზები (მათ შორის ქალებიც). დახოცილთა უმეტესობა ასაკოვანი ადამიანია (შუა ასაკს გადაცილებულები, ავადმყოფები, ლოგინად ჩავარდნილები, უმწეოები), აგრეთვე ახალგაზრდა კაცები და ქალები; დახოცილთა მიმართ იშვიათობა არ იყო სქესობრივი ძალადობის ფაქტები, მაგრამ თვითმხილველთა მიერ მიჩურანებული, რადგან ამ მხარეში ქალის პატიოსნება და ღირსება უფრო ღირებულია, ვიდრე თავად სიკედილის ფაქტი.

გალის რაიონში მასობრივ ხოცვა-ულეტასა და ადამიანებზე ნადირობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უპირატესი მონაწილეობის ერთ-ერთი სარწმუნო დასტურია 1994 წლის მაისში ბიძის დაკრძალვიდან შინ მიმავალი რაბო შონიას, კეთილშობილებით გამორჩეული ადამიანის, გალის რაიონული საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის და მისი შემთხვევითი თანამგზავრების (მათი უმეტესობა ქალი იყო) დახვრეტა ზემო ბარღები-მზიურის გზაზე ბოევიკების მიერ. მკვლელებმა მსხვერპლს განუცხადეს, რომ გალი ქართველებისგან ერთხელ უკვე გაიწმინდა და ვინც დაბრუნდება, თქვენსავით დაიხვრიტებაო. მსგავს ველურობას, თვითმხილველთა აზრით, როგორც წესი, აფხაზი ბოევიკები არ ჩადიოდნენ.

გალელები მაინც დაბრუნდნენ გალში მამულის, მშობლიურ ეზო-კარის ალსადგენად, წინაპართა და ახლობელთა საფლავების მოსავლელად.

აფხაზეთში დაბრუნდნენ სულით, სისხლით და ხორცით ქართველები, სიმამაცით გამორჩეული მამულიშვილები, რომელთა გარეშეც ძნელი წარმოსადგენია რა იქნებოდა გალი დღეს; გვექნებოდა კი აფხაზეთში მცირედი პლაცდარმი (კოდორის ხეობასთან ერთად), რომელიც არის და ყოველთვის იქნება ყველაზე დიდი თავსატეხი სოხუმის რეზიმისა და მათი მფარვე-

ლობისთვის? ვის უნდა მოუბრუნდეს ენა, რომ მოღალატედ შე-რაცხოს გალელები და სხვა ქართველები, რომლებმაც სხვადასხ-ვა გზებით ასევე მოახერხეს დაპრუნება ქართველებისგან დაც-ლილ სოხუმში, გაგრაში, ტყვარჩელში, გულრიფშის, სოხუმის თუ ოჩამჩირის რაიონებში.

მშობლიურ ადგილებში აპორიგენი მოსახლეობის დაპრუნება ბუნებრივი და შორსგამიზნული ქმედება თუმცა, ჩვენდა საუბე-დუროდ და სამარცხვინოდ, კვლავ გრძელდება მავანთა უგუნ-ური ავყიობა. შეუძლებელია არ გამოხატო შეშფოთება ამას წინათ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის მიმართ, რომლის სათაურშივე აღნიშნულია, რომ „აფხაზეთში მცხოვრე-ბი ქართველები არძინბას ხელისუფლებას აფხაზებზე უკეთ ემსახურებიან“-ო.

სჭირდება თუ არა ამ პასკვილს კომენტარი? – რა თქმა უნდა, არა, მაგრამ რითი ვანუგეშოთ გალში (არა მარტო გალში) და-ბრუნებული ათასობით ის ადამიანი, რომელიც უკიდურესად აღმფოთებულია ამ მეტად შეურაცხმყოფელი სტატიისა და შე-ფასებების გამო?

სოხუმის რეჟიმის მფარველებს განზრახული ჰქონდა არც ერთი ქართველი არ დარჩინილიყო გალის რაიონში, რათა ტყეს და ჭაობს დაეფარა (აფხაზებისა და მათი სტუმრებისთვის სა-ნადირო ადგილებად ექციათ!) ეს მთლიანად ქართველებით დასახლებული, უაღრესად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეგიონი, ისტორიული ხიდი სამეგრელო-აფხა-ზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. მათი მიზანი იყო რამ-დენიმე სანუკვარი კურდღლის ერთბაშად დაჭერა: აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების რადიკალურად შეცვლა („აფხაზე-თი ქართველების გარეშე“), დაცარიელებულ ტერიტორიებზე უცხოტომელთა ჩასახლება (ცარიზმის ცნობილი ისტორიული გეგმა), მხარდამჭერთა დახმარებით მდინარე ენგურზე ე.წ. აფხა-ზეთის სახელმწიფო საზღვრის მოწყობა და შეუვალი სამხედრო-სტრატეგიული ბარიერის ფორმირება.

აფხაზეთის დე ფაქტო რეჟიმი არ მოელოდა ქართველთა და-

ბრუნებას, ამიტომ უფრო მკაცრ ღონისძიებებს მიმართა; თე-ბერვალში ე.ნ. პარტიზანებისგან განმენდის საბაბით ბოევიკებმა მთლიანად გადაწვეს ქვედა და ზედა ზონის სოფლები, ცეცხლ-მა შთანთქა 5000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი და ეზო-კარი; 1993-1994 წლების სექტემბერ-თებერვალში გალის რაიონში სა-სტიკი წამებით დახოცეს 1200-მდე მშვიდობიანი მოსახლე. ამა-სთან, გალის რაიონის ერთი ნაწილი მიუერთეს ოჩამჩირის რაი-ონს, მეორე – ქ. ტყვარჩელს, რითაც შექმნეს დაბრუნებული მო-სახლეობის ასიმილაციის წინაპირობა.

მიუხედავად ამისა, გალში ბრუნდებოდნენ გალელები, მი-ჰყავდათ მიცვალებულები, აპატიოსნებდნენ წინაპართა საფლა-ვებს, თავიდან იწყებდნენ ცხოვრებას მიწურებში, ავტომანქანის ფარეხებში, კიბეების ქვეშ, საძროხეებში, საქათმეებში, ახერხებდ-ნენ ქოხმახების აშენებას, რამაც რეუიმი აიძულა შეეცვალა ტაქტი-კა; სოხუმის გადაწყვიტა „შუბლით“ არ დატაკებოდა ავტოქტონ მოსახლეობას (თუმცა არძინბას მოგვიანებითი განცხადებით, მან გალში უფრო მეტი აფხაზი მეომარი დაკარგა, ვიდრე მთელი კონფლიქტის პერიოდში) და შეეცადა გალის რაიონის უჩვეულიდ ტრადიციული, ამტანი და მშრომელი მოსახლეობა გამოეყენებინა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემქმნელად, რათა მოემარა-გებინა აფხაზეთის დედაქალაქის დამშეული მოსახლეობა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც შემცდარ-ან; გალის „საკოლმეურნეო ბაზარი“ დღემდე ყველზე მდიდარი და უხვია აფხაზეთში და მნიშვნელოვანი ამარავებს ზუგ-დიდის რაიონსაც. ფაქტია, რომ რაიონის მოსახლეობა სურსათ-სანოვაგეს აწვდის და ეხმარება ენგურს გამოლმა მყოფ დევნილ ოჯახებსა და ახლობლებს.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ქართველთა ნა-თესავი და ახლობელი აფხაზი მოსახლეობა, რომელსაც გულწრ-ფელად აფიქრებს დევნილი მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი უსამართლობა, შეძლებისდაგვარად ურჩევდა რეუიმს ხელი არ შეშლოდა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის დაბრუნებას, უპირველესად, გალის რაიონში.

რეჟიმს ეშინია ქართველების, ამიტომაც პერიოდულად მი-
მართავს ეთნიკური ნიშნით წმენდას; 1995 წლის მარტში, 1996
წლის ივნისში, 1997 წლის ივლისში, განსაკუთრებით, – 1998 წლის
მაისში, ხელახლა გადაწვეს გალის რაიონი, დახოცეს მშვიდობია-
ნი მოსახლეობა, პრაქტიკულად ხელახლა დევნილებად აქციეს
რაიონის მთელი მოსახლეობა.

დარჩებიან თუ არა გალელი ქართველები გალში, ეს მხოლოდ
და მხოლოდ მათი გადასაწყვეტია, პოზიტიურია, თუ ნეგატიური
მათი როლი და ადგილი, ესეც გონიერი მკითხველისა და სერიო-
ზული სახელმწიფო მოღვაწეების განსასჯელია. ამ მოვლენის
ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, ჰუმანი-
ტარულ თუ სხვა მიზეზთა ახსნა კი მეცნიერთა პრობლემაა.

ერთირამ კი დღესავით ნათელია: აფხაზეთში, გალის რაიონში
არიან ქართველები, ცხოვრობენ, მრავლდებიან, აგრძელებენ სი-
ცოცხლეს; გაუსაძლისია მათი ყოფა, მაგრამ ისინი იყვნენ, არიან
და იქნებიან საკუთარი მიწის, წინაპართა სამშობლოს, მამა-პაპა-
თა საფლავების ერთგულნი და უღალატონი. გავლენ წლები და
მოინახებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ სწორედ გალ-
ელთა შვილებმა გადაარჩინეს ენგურჲესი, ქვეყნის ენერგეტიკის
გიგანტი, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის ერთადერთი
ძაფი; იქნებ ბევრმა არ იცის, რომ ენგურჲესი, თუ არა მისი თავკა-
ცის, ან განსვენებული გიორგი მიქაელისა და მისი თანამოაზრეე-
ბის პირადი თავგანნირვა, დიდი ხნის წინათ იქნებოდა დაშლილი
და ჯართად გაყიდული.

თუ არა გალელები, ვინ იცის რამდენი ტურა და მგელი მოიწყ-
ობდა ბუნაგს ერთ დროს აყვავებულ გალის რაიონის სოფლებში,
რომელიც გაუცალ ტყედ და ჭაობად გადაიქცეოდა მშრომელი კა-
ცის თოხისა და ცელის გარეშე.

თუ არა გალელები, ვინ იცის, როგორი იქნებოდა აფხაზური
„რკინის ფარდა“ ენგურზე (გალელმა დევნილებმა 1994 წლის შე-
მოდგომაზე, ქალაქ ზუგდიდში მყოფი აშშ სახელმწიფო მდივანი
მადლენ ოლბრაიტი გავაფრთხილეთ „ახალი ბერლინის კედელის“
საფრთხეზე, რაც იმჟამად ფართოდ გააშუქა მსოფლიო მედიამ),

ვინ შეაკავებდა სხვათა მიწის მაძიებლებს თუ საქმოსნებს უცხო და მეზობელი ქვეყნებიდან, ვის ჩაასახლებდნენ გალში, იქნებოდა კი სკოლები და საავადმყოფოები, კლუბები, ქართული სიტყვა, სიმღერა თუ ჭირის მოთქმა, მშობლიური ზნე და წესი აფხაზეთში.

თუ ღმერთმა ინება (არ მეეჭვება, რომ ასე იქნება), გალის მოსახლეობა იქნება აფხაზ მოსახლეობასთან დიდი შერიგების ერთ-ერთი მთავარი ძალა, ვინაიდან აფხაზეთს მომავალი არა აქვს გალის მოსახლეობის გარეშე, რაც გუდაუთაშიც ძალიან კარგად მოეხსენებათ.

უცხოელ ექსპერტებს, რომლებიც ჩადიან აფხაზეთში, მიაჩნიათ, რომ თუ არა გალის მოსახლეობის დაბრუნება, აფხაზეთში საქართველოს არ ექნებოდა კომპაქტური ქართული დასახლება, სოციალური და კულტურული ერთობა, რომელიც უდრტვინველად ემსახურება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს აფხაზეთში.

გალსა და გალელებს კრიტიკა კი არა, ეფექტური თანადგომა, ყოველდღიური ყურადღება, ადეკვატური მატერიალური, ფინანსური, სოციალური, სამართლებრივი, მორალური თანადგომა სჭირდება, თუმცა კარგად ვიცით, რომ ამჟამად ეს არაა ადვილი, უფრო მეტიც, მეტად მძიმეა. მხედველობაში მაქვს ბოლო ათწლეულში საქართველოში განვითარებული მოვლენები, ეკონომიკური და სულიერი დაცემა. როგორც იტყვიან, აღმართი ჩამთავრდება და უთუოდ გავიგაკებთ; ჩვენს ისტორიას უარესიც ახსოვს, მაგრამ ღირსეულად გამოვსულვართ, თანაც უფრო ძლიერები. ამასწინაა უნმინდესმა და უნეტარესმა დაგვმოძღვრა – არ უნდა შევშინდეთ, უფლის მადლი, როგორც მოქმედებდა ქრისტეშობიდან, ისევე მოქმედებს XXI საუკუნეშიც.

უსც კარგად იციან გალში, იციან და ლოცულობენ დედა საქართველოსთვის, არავის განიკითხავენ განუკითხავად, არ კარგავენ სასოებას. მათ სჯერათ, რომ მტყუანსა და მართალს დრო და ისტორია განსჯის, ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

„საქართველოს რესპუბლკა“,
23 აგვისტო, 2003წ.

აფხაზეთის განსაკუთრებული რაიონი

ეს ახალი სახელწოდება სეპარატისტებისგან პოლონ დროს მიიღო მე-17 საუკუნის დასაწყისიდან აფხაზეთში შემავალმა და დიდი ხნით „სამურზაყანოდ მონათლულმა“ გალის რაიონმა.

საქართველოში და საკუთრივ აფხაზეთში ისტორიული ქარტების უამს გალის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები აბორიგენი ქართული მოსახლეობა ერთგვარი ბუფერისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის უპირველესი მომწესრიგებლის როლს ასრულებდა.

ხალხში და აკადემიურ წრეებშიც მიჩნეულია, რომ მდინარე ბზიფის აქეთა ტერიტორია, ძველი საბედიანო, მათ შორის გალის რაიონის მიწები, იყო უპირველესი აკვანი იმ ადამიანებისა (ადრე აფხაზეთის მეფების საგვარეულო, გიორგი ჭყონდიდელის დედულეთი, მოგვიანებით შერვაშიძეების, ემხვარების, მარშანიების, მარლანიების, ჩქოტულების და მრავალ სხვათა, ასევე გამოჩენილ ადგილობრივ ქართველ თავადაზნაურთა), რომლებიც ქმნიდნენ აფხაზეთის ისტორიას, ზიარ თვითმყოფად კულტურას, საუკუნეთა განმავლობაში აყალიბებდნენ ქართველთა და აფხაზთა ტრადიციულ ნდობასა და მეგობრობას, ანესრიგებდნენ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში დროდადრო თავჩენილ პრობლემებს.

სოხუმის რეჟიმმა ამ განსაკუთრებული პოლიტიკური მისიის გამო გალის რაიონი მიზანში ამოიღო და კლასიკური ფორმით განახორციელა ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა. სოხუმის საოკუპაციო რეჟიმი სათანადო ეთნიკური წარმომავლობით შერჩეული ადამიანების მეშვეობით (მხედველობაშია ქალაქ გალის და გალის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, სოფლების გამგებლები, მილიციის, უშიშროების სამსახურის რაიონული განყოფილების უფროსები და სხვა) გალელთა მიმართ დღემდე ახორციელებს ვერაგულ პოლიტიკას.

ვისაც აქვს საშუალება ხანდახან მაინც მიადევნოს თვალი სოხუმში გამომავალ სამთავრობო თუ ოპოზიციურ (მეტად პირობითია ეს ტერმინები) გაზეთებს, დარწმუნდება, რომ რეფიმი ცდილობს გალის რაიონი გადააქციოს ენგურგამოლმა საქართველოს მიმართ წარმოებული იდეოლოგიური ომის პლაცარმად.

მხედველობაში მაქვს პროვოკაციული და ცილისმწამებლური პუბლიკაციები სამეგრელოს ავტონომიის შექმნის აუცილებლობის, მეგრელებისა და სამეგრელოს მიმართ ცენტრალური ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულების, მეგრული ეთნოსის გენოციდის, მშობლიური ენის წართმევის შესახებ და მრავალი სხვა. პარადოქსია, რომ ამ პასკვილების ავტორებად, როგორც წესი, გვევლინებიან ჩვენი მოძმე სომები ერის წარმომადგენლები, მათ შორის და უპირატესად, სომებთა დიდი გენოციდის პერიოდში (1915-1916 წლები) აფხაზეთში გადმოსახლებულთა მემკვიდრეები. სამწუხაროდ, ისინი დაუფარავ ზიზღს ავლენენ ადგილობრივი ქართველების მიმართ. მათი „მტკიცებით“ ისინი დევნილები კი არ არიან, არამედ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის შედეგად თავიანთ სახლებში დაბრუნებულები.

ამას წინათ, გაზეთ „რესპუბლიკა აფხაზიაში“ (29-30 მარტი, №32) გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცზე“ დაყრდნობით და საკუთარი მიმომხილველის კომენტარით გამოქვეყნდა მორიგი ანტიქართული ნაყალბევი სათაურით – „ბერძენთა ეთნიკური წმენდა, ანუ ხალხთა მეგობრობა ქართულად.“ მიზანი კვლავ ვერაგულია: „ველური სვანები,“ თურმე, ბერძნებს ავიწროებდნენ აფხაზეთში და აიძულებდნენ მშობლიური ადგილების დატოვებას.“ ნიშანდობლივია, რომ გაზეთის ეს ნომერი მთლიანად დაარიგეს გალის რაიონში.

ბოლო დროს სოხუმის ოფიციალურ წრეებში გალის რაიონის მოსახლეობის „მეტისმეტი პროქართული განწყობის“ თაობაზე ლაპარაკს მოუხშირეს. ახალი ტერმინი – „აფხაზეთის განსაკუთრებული რაიონი,“ სწორედ ამ საკითხს უკავშირდება. ძნელია იმის განჭვრეტა, თუ კიდევ რას უპირებენ გალის მოსახლეობას, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც ახალია მოსალოდნელი, თუმცა, შე-

საძლოა, ეს არამარტო გალის მოსახლეობაზე იყოს გათვლილი.

გალში კი გრძელდება ოკუპაცია, სერიოზული ღია და ფარული მუშაობა ქართული სულის ჩასაკლავად, ადამიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ისეთი ჯგუფების შესაქმნელად, რომლებმაც რაიონის ქართული მოსახლეობის სულის გასატეხად დესტრუქციული როლი უნდა შეასრულონ. ამ მიზნით ქმნიან მუდმივი შიშის ატმოსფეროს, დასმენის სისტემას, ავრცელებენ გაუგონარ ჭორებს, ძლიერი და უდრევე ადამიანების წინააღმდეგ მიმართავენ სახელის გატეხას, დამცირებას, ლირსების შეღახვას, „მოუთვინიერებლებს“ კი ფიზიკურად უსწორდებიან.

ამ მიზანს ემსახურებოდა მიმდინარე წელს გალში რამდენიმე ნიჭიერი და უნარიანი ახალგაზრდას გატაცება და მოწამებრივი აღსასრული; აფეთქებები და მკვლელობები; გაეროსა და ეუთოს ერთობლივი შემმოწმებელი მისიის (ეშმა-ს) მიერ 2000 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგების უყურადლებოდ დატოვება; გალის რაიონში მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხის მოწერილების დაკონსერვება, ადამიანის უფლებათა დაცვის სოხუმის ოფისის გალის ფილიალის გახსნის მოთხოვნისადმი წაყრუება და სხვა. რეჟიმის მესვეურებს სასაცილოდ არ ყოფნით საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე მიღებული ერთობლივი დეკლარაციის შესრულება, რომელიც გულისხმობს სამშენებლო ძალების მანდატის შეცვლას, აფხაზეთში დევნილთა დაბრუნების დაწყებას, რაიონის მართვის გარდამავალი ორგანოს შექმნას. უფრო მეტიც, ერთგვარი სიამაყით ლაპარაკობენ რკინიგზის ცალმხრივად გახსნაზე, ბაბუშერას აეროპორტის აღდგენაზე და სხვა.

შემაშფოთებელია, რომ ეგრეთწოდებული აფხაზური მილიციის სახელით, ამჟამად გალის რაიონში მკვიდრად მოიკიდეს ფეხი აფხაზეთში ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტების – კირთაძის, ბუთბას, ტურანბას ჯგუფებმა, რომლებიც დაძრნიან სოფლებში, ადგილობრივ „ნიღბიანებთან“ ერთად აყაჩალებენ მოსახლეობას, იტაცებენ ავტომანქანებს, ფიზიკურად უსწორდებიან ავტორიტეტულ ადამიანებს. არსებობს ინფორმაცია,

რომ აფხაზური და რუსული სპეცსამსახურები რაიონის ყველა დასახლებაში ცდილობენ დასაყრდენის პოვნას.

რეჟიმი დემორალიზაციის ტრადიციულ ფორმებსაც მიმართავს. ფაქტიურად წახალისებულია ნარკოტიკული მცენარეების მოყვანა, წარმოება, გადამუშავება, რეალიზაცია და მოხმარება. სამწუხაროდ, მთლიანად აფხაზეთში და მათ შორის გალის რაიონში არსებული უმძიმესი სოციალური ფონი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ნარკოტიკული ნივთიერებების მასობრივი მოხმარებისთვის.

მოსახლეობაში მატულობს იელოვას მიმდევართა რაოდენობა. გაჭირვება და უიმედობა აიძულებს ადამიანებს იელოვას და სხვა სექტების „მხსნელად“ გამოცხადებული მიმდევრების (რომლებიც მატერიალურად ეხმარებიან მოსახლეობას) ქადაგებები ისმინონ. სამწუხაროდ, აფხაზეთში, გალში ვერ მოხერხდა მართლმადიდებელი ეკლესის გახსნა, რომლის კატეგორიული წინააღმდეგია სოხუმის რეჟიმი.

სეპარატისტები ხელს უშლიან რაიონში ავტორიტეტული და განათლებული ადამიანების დაბრუნებას.

გალში მოსახლეობა ხშირად შიმშილობს და ამისი უპირველესი მიზეზია სახნავ-სათესი ტექნიკის და სასუქების უქონლობა, მინების ხელახალი დაჭაობება. მეტად ძვირია შხამქიმიკატები, პირუტყვს მუსრს ავლებს ეპიდემია, ხელმიუნვდომელია ვეტერინარული საშუალებები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქვედა ზონის სოფლებში.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს „შეუმჩნეველი“ რჩებათ აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებს, „მშვიდობის მშენებლობისა და შერიგების ცალკეულ არქიტექტორებს,“ რომლებიც მრავალი წელია რეჟიმის მძევლები გახდნენ. ცხადია, ამგვარ „სახალხო“ დიპლომატიას არავითარი პოზიტიური შედეგი არ მოაქვს, პირიქით, თავისდაუნებურად ხელს უწყობს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ილუზიის განმტკიცებას.

მიუხედავად ამის, გალის მოსახლეობა მთლიანობაში მტკიცეა და სულიერად გაუტეხელი, თავისი გენეტიკური კოდისა

და ერთიანი სამშობლოს ერთგული. რეუიმი იძულებულია, რომ ამ ფაქტს ანგარიში გაუწიოს. ეს გამოიხატება ქართული ენის, თუნდაც ფარულ სწავლებაზე თვალის დახუჭვით, სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლის, ფეხბურთის, ძიუდოს, სხვა სპორტული ჯგუფების შექმნის დაშვებით.

გალი ცოცხლობს, გალი იბრძვის, გალელებს უნდათ დაიჯერონ, რომ მათთან არის მთელი საქართველო, მათთან არიან ქვეყნის გამოჩენილი შვილები და თუ კიდევ უფრო გაუჭირდებათ, მხოლოდ უფლის იმედით არ დარჩებიან.

გალის რაიონი ნამდვილად იყო და არის განსაკუთრებული თავისი როლით და ადგილით სრულიად საქართველოს ისტორიაში და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში. ამასწინაა საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტმა შეიმუშავეს და საზოგადოებას წარედგინა აფხაზეთში, პირველ ეტაპად გალის რაიონში, იგპ-თა ნებაყოფლობით და ეტაპობრივად დაბრუნების კონცეფცია, რაც მოიწონა საერთაშორისო თანამეგობრობამ, თუმცა ამ საკითხისადმი ქვეყნის შიგნით განსხვავებული მოსაზრება დღემდე არსებობს.

გალში მოსახლეობის დაბრუნებას ალტერნატივა არა აქვს, ვინაიდან რაიონის მოსახლეობის ეთნიკური ერთგვაროვნების გამო ნაკლებ სავარაუდოა კონფლიქტის განახლების რისკი; გალის რაიონი (რომელიც განფენილია ძველი სამურზაყანოს ტერიტორიაზე, ყოველთვის იყო აფხაზების და ქართველების გამაერთიანებელი რგოლი და ხიდი, სანათესავო, საძმო, საახლობლო არეალი, სადაც ქართველები და აფხაზები უხსოვარი დროიდან ათასი ადამიანური ძაფებით არიან გადაბმული ერთმანეთთან, წარსულთან და მომავალთან; რაიონის მოსახლეობის კულტურა და ყოფა წარმოადგენს საუკეთესო ქართული და აფხაზური ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების ურთიერთგავლენით და შერწყმით მიღებულ ორიგინალურ ნაზავს, უნიკალურ ფენომენს, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელია კონფლიქტის მოგვარების პოზიტიური ფონის შექმნა. სწორედ ამიტომ გალის რაიონმა უნდა შეასრულოს ის მისია, რომელიც მას ისტორიულად აკისრია

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საქმეში. ამ ოპტიმიზმის საფუძველია ადამიანური სიახლოვისა და ნდობის ფაქტორი, მეზობლობის და მეგობრობის ტრადიციული ინსტრუმენტები, ეკონომიკური სოლიდარობის ბერკეტები და ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის შეუცვლელი რესურსები. მიუხედავად ომისა და უბედურებისა, რაც თავს დაგვატყდა აფხაზებსა და ქართველებსა, ოპტიმიზმისა და დიდი შერიგების რწმენის საწინდარია ჩვენი ხალხების დიდსულოვნება და სიბრძნე, ქრისტიანული მიმტევებლობის ამოუწურავი უნარი, საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნა, დიდი საერთაშორისო თანადგომა.

„აფხაზეთის განსაკუთრებულ რაიონს“ ძალიან უნდა ირწმუნოს, რომ ხელისუფლებისთვის ერთმანეთთან ბრძოლაში ქანცგაცლილ პარტიებს აფხაზეთის და გალის მოსახლეობაზე ზრუნვასთან დაკავშირებით თავისი დაპირებები საარჩევნო ორომტრიალის დასრულებისთანავე არ დაავიწყდებათ.

ერთმა გალელმა ახლგაზრდამ გამოხატა თანატოლების აზრი და გვთხოვა ძველი ებრაელების დარად ერთმანეთი გავამხნევოთ შემოძახილით: „მალე იქ შეხვედრამდე!“

მართალია ეს ახალგაზრდა კაცი, სხვა გზა, ჯერჯერობით, არჩანს სოხუმის რეჟიმისთვის ე.წ. განსაკუთრებულ რაიონში და მთლიანად აფხაზეთში.

„დილის გაზეთი.“
12 მაისი, 2003.

საქართველოს პარლამენტი: როგორ გახდეს იგი უფრო ძმედითი?

(თვალსაზრისი)

„დღითიდებები მიძლიერდება რწმენა, რომ ჩვენი პოლიტიკური არისტოკრატია, ჩვენს პარაზიტულ ელემენტებთან ერთად, კლავს ინგლისს. იმედის მცირე ნაპერნკალსაც ვერ ვხედავ. რაც შეეხება ხალხს, მან ისე მკვეთრად აქცია ზურგი პარლამენტსაც, მთავრობასაც და ორივეს მიმართ ისეთი გულგრილია, რომ ეს მდგომარეობა მე ძალიან მაშფოთებს.“

ჩარლზ დიკენსი

საკითხი მეტად რთულია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ამოვიდეთ იქიდან, რომ იდეალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე და საპარლამენტო არჩევნებზე ხალხმა იმ პოლიტიკურ ძალას დაუჭირა მხარი, რომელსაც აქვს მყარი მსოფლმხედველობა, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის რეალური პროგრამა, ანუ ქვეყანას ჰყავს მრავალპარტიული სისტემით და სამართლიან საარჩევნო ვითარებაში არჩეული პარლამენტი.

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები საყოველთაოდ ცნობილია. მოსალოდნელია, რომ ჯერ კიდევ არსებული ვნებათაღელვა მაღე ჩაცხრება და არ იქნება დაშვებული სისხლანი კონფრონტაცია; როგორც საკუთარი ისტორიის მწარე გამოცდილებიდან ვიცით, ქვეყანაში მკვეთრი დაპირისპირება არავის მოუტანს სიკეთეს: 1918-1921 წლების, ასევე 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სასტიკი გაკვეთილები არ უნდა დაგვავიწყდეს!

როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დამოკიდებულება სხვადასხვა მოწვევის საქართველოს პარლამენტისადმი, საყოველთაო თვალსაზრისით, ქართული დემოკრატიის ეს ახალგაზრდა ინსტიტუტი შედგა და თავის მოვალეობას ასრულებს. პარლამენტარიზმის ხანგრძლივი პრაქტიკის მქონე

ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს პარლამენტმა ურთულეს პირობებში, როცა საპქოთა სახელმწიფო დაინგრა და დადგა გარდამავალი პერიოდი (ასეთ რადიკალურ ცვლილებებს ისტორიაში ანალოგი არა აქვს) პარლამენტმა, მისმა წევრებმა მეტნაკლებად გაართვეს თავი მათზე დაკისრებული მოვალეობას.

იყო პრობლემები, ნაკლოვანებები, ტრაგიკული შეცდომები, გაუგებრობანი, კრიზისები, მაგრამ იყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მცდელობა, რამაც საქართველოს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ გადაქცევაში, მის საერთაშორისო აღიარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ბუნებრივია, რომ მიუხედავად კონსტიტუციის შესაბამისად ხელისუფლების მკაცრი დანაწილების (გამიჯვნის) პრინციპის დეკლარირებისა, უზენაესი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ნებისმიერ ქვეყანაში ურთიერთგანონაწორობის, ურთიერთგანპირობების და ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლობის გარეშე (რაშიც უპირატესად ადამიანური ფაქტორია გადამწყვეტი) ხელისუფლების და სახელმწიფოს მდგრადობა და სტაბილურობა შეუძლებელია.

საქართველოს პარლამენტს უკვე აქვს თვითმყოფადი სახე, თვითმმართველობის ჩამოყალიბებული მექანიზმები, საპარლამენტო მოღვაწეობის საკუთარი ტრადიციები, რაც უნდა შენარჩუნდეს და განვითარდეს ქართველი ხალხის მენტალიტეტის და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ დიდი დემოკრატიების სახელმწიფოთა გამოცდილების გათვალისწინებით საქართველომ მოახერხა შეექმნა საკუთარი ხალხის, საკუთარი სინამდვილის ადეკვატური საპარლამენტო სისტემა, თუმცა ის ძალზე ნორჩია. მაგრამ ცხადია, რომ პარლამენტს, როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს, აქვს თავისი განვითარების ეტაპები, სტადიები, სრულყოფის ამოუწურავი პოტენციალი.

ხალხი, განსაკუთრებით მისი აქტიური ნაწილი ფიქრობს, რომ პარლამენტი მოწოდების სიმაღლეზე დადგება; მხედველობაში

მაქვს ამომრჩევლებისა და მოსახლეობისადმი, ერთგულება, სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ინტერესების სადარაჯოზე დგომა, პიროვნების თავისუფლების, წესრიგის, სამართლიანობის, კეთილდღეობის უზრუნველყოფა, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, სამართლებრივი, სოციალურად ორიენტირებული ახალი საქართველოს აღმშენებლობა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ამ დიდი მიზნის მისაღწევად ახალ (ამა თუ შემდგომი მოწვევის) პარლამენტს მოუწევს საქმიანობის შემდგომი სრულყოფა, ორგანიზაციული წყობისა და სტრუქტურის განვითარება (ტრანსფორმაცია), ახალი პოლიტიკური სპექტრის შესაბამისად მუშაობის ოპტიმიზაცია ისე, როგორც ყველა განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოშია აპრობირებული, მჭიდრო, არაფორმალური თანამშრომლობა აღმასრულებელი ხელისუფლებასთან, სადაც საკითხებზე კონსენსუსის მიღწევის ეფექტური ბერკეტების შექმნა.

ჩვენი ცამეტწლიანი საპარლამენტო გამოცდილების ანალიზი ადასტურებს, რომ პარლამენტის ეფექტური საქმიანობა შეუძლებელია პარლამენტის და მისი სტრუქტურის, ხელმძღვანელი ორგანოების იმგვარი ფორმირების გარეშე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხელისუფლების სხვა შტოებთან წონასწორობა, თანამშრომლობა, რაც ტრადიციული საპრეზიდენტო—საპარლამენტო წყობილების ქვეყნებშიც სრულიადაც არ გულისხმობს კოლიზიების, მწვავე დისკუსიების არარსებობას.

ნებისმიერი პარლამენტის საქმიანობაში გადამწყვეტია ფრაქციათა როლი და ადგილი. მეტ-ნაკლებად ასევეა ჩვენთანაც. ბუნებრივია, რომ არჩევნებში გამარჯვებული პარტიები ჩვენშიაც შექმნიან უმრავლესობას და უმცირესობას, სხვა ფრაქციებს, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ პარლამენტის საქმიანობაში, ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებასა და დემოკრატიული კულტურის დამკვიდრებაში.

ვფიქრობ, რომ ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა ამჟამად არსებული ბალანსის შესაბამისად ახალარჩეულ პარლამენტში

აუცილებელია ფრაქციათა როლის ახლებური გააზრება; ჩვენს სინამდვილეში საჭიროა ფრაქციათა დიდი სათათბიროს შექმნა, რომელიც, როგორც დასავლეთის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, ძირითად როლს ითამაშებს მთელი პარლამენტის სტაბილურ და ეფექტურ მუშაობაში, ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე შეჯერებული გადაწყვეტილების მიღებაში. ექსპერტთა მიერ პოზიტიურად არის მიჩნეული სათათბიროში ე.წ. უხუცესთა საბჭოს შექმნა გამოცდილი დეპუტატების მონაწილეობით.

მეტად მნიშვნელოვანია პარლამენტის მმართველი ორგანოს ფორმირება, როგორც მუშა ორგანოსი, რომელიც უნდა იყოს განხონაშორებული საპარლამენტო საქმიანობის კოლეგიური ლოკომოტივი. ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მმართველ ორგანოში დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე, გამჭრიანი, კონსენსუსის უნარის მქონე ადამიანების მონაწილეობას, რათა ნაკლები იყოს განხეთქილების ალბათობა.

პარლამენტის თავმჯდომარე გადამწყვეტი ფიგურაა. გამოცდილება ადასტურებს, რომ მის კომპეტენტურობაზე, ერუდიციასა და პიროვნულ თვისებებზეა ბევრი რამ არის დამოკიდებული. მრავალი ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ პარლამენტის ეფექტური საქმიანობა მნიშვნელოვანნილად განსაზღვრულია პარლამენტის თავმჯდომარის პროფესიული და პირადი ადამიანური თვისებებით.

ბუნებრივია, რომ მრავალპარტიულ, მით უფრო ჭრელი პოლიტიკური მოზაიკის პარლამენტში, თავმჯდომარის მოადგილეთა შერჩევაში თავისუფალი არჩევანი გარკვეულად შეზღუდულია, მაგრამ ყოველთვის არის შესაძლებელი ისეთი ადამიანების გამონახვა, რომელთაც აქვთ კარგად შერწყმული პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ნიჭი და უნარ-ჩვევები, კომუნიკაბელურობა, ადამიანებთან მუშაობის გამოცდილება, ამასთან, აუცილებელია პარლამენტის თავმჯდომარის ყველა მოადგილეს რეგლამენტმა მკაფიოდ განუსაზღვროს უფლებები და მოვალეობანი, ზუსტი კომპეტენციები და პასუხისმგებლობის უბნები.

ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით, წინა პარლამენტში ყველაფერი თავის ადგილზე არ იყო.

წინა მოწვევის პარლამენტში მმართველი ორგანო იყო პარლამენტის ბიურო საკმაოდ ფართო შემადგენლობით. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ მისთვის დამახასიათებელი პოზიტიურ მომენტებთან ერთად, რიცხობრივი და თვისობრივი პარამეტრები ყოველთვის არ იძლეოდა ოპტიმალური მართვის გარანტიას, მით უფრო, პარტიული დაპირისპირების ვითარებაში. რიგ ქვეყნებში, ჩვენი პარლამენტის ბიუროს ნაცვლად, მმართველ ორგანოდ მოიაზრება თავმჯდომარე და მოადგილეები, რომელებიც მჭიდროდ (ყოველდღიურად) ურთიერთობენ ფრაქციებთან და უხუცესთა საბჭოსთან. ეს საკითხიც განხილვას მოითხოვს.

ქართულ პარლამენტს ფრაქციათა მრავალრიცხოვნობის პირობებშიც მეტ-ნაკლებად აწყობილი საკომიტეტო სისტემა ჰქონდა, რომელიც პარტიათა მკეთრი დაპირისპირების წარმოშობამდე და დაპირისპირების პირობებშიც კარგად ართმევდა თავს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. ბზარი გაჩნდა, როცა წარმოშვა შეურიგებელი დაპირისპირება პარლამენტში წარმოდგენილ ფრაქციათა შორის. ცხადია, რომ ასეთი დაპირისპირება თითქმის ყოველთვის განაპირობებს შეუთანხმებლობას (კონფრონტაციას) აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, რამაც შეიძლება არა მარტო ხანგრძლივი ხასიათი მიიღოს, არა-მედ განაპირობოს პოლიტიკური კრიზისი, სათავე დაუდოს სამოქალაქო განხეთქილებასა და უკმაყოფილებას მოსახლეობაში შორსმიმავალი შედეგებით.

პარლამენტის თავმჯდომარეს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს კონსტიტუცია არ უკრძალავს იყოს ოპოზიციაში პრეზიდენტთან, იყოს პრეზიდენტობის კანდიდატი, მაგრამ ასეთ ვითარებაში, ლოგიკურია პოლიტიკური კრიზისის მაღალი ალბათობა, ხელისუფლების მთლიანობის შერყევა, ვაკუუმი მმართველობის გარკვეულ უბნებში. ასეთი მდგომარეობა დიდი დემოკრატიის ბევრ ქვეყანაშიც განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში. ხელისუფლებაში

მყარი სტაპილურობის შესანარჩუნებლად, იქნებ, საჭირო იყოს დაკანონება იმისა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ თავის მოვალეობათა გარკვეული ნაწილის (ან მთლიანად) შესრულება დადგენილი წესით და ვადით დაავალოს ერთ-ერთ პოლიტიკურად ნეიტრალურ მოადგილეს, რათა პარლამენტმა გააგრძელოს ნორმალური საქმიანობა. ამასთან დაკავშირებით ექსპერტები თვლიან, რომ პრეზიდენტისადმი ოპოზიციურად განწყობილი თავმჯდომარემ დროულად უნდა დატოვოს თანამდებობა. განსაკუთრებით მაღალია პარლამენტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობა, როცა მას უწევს ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება. პოლიტიკის ისტორიას მრავალი მაგალითი აქვს იმისა, როცა ქვეყნას არალეგიტიმურად (კანონგარეშე) მართავდა ე.ნ. დროებით გადამდგარი პრეზიდენტი და მისი გუნდი, საარჩევნო კომპანიაში შეუზღუდავად იყენებდა სახელმწიფო რესურსებს, გაქტიურად მიტაცებული ჰქონდა სახელმწიფო ხელისუფლება.

ეს საკითხები, ჩემი აზრით, იმდენად სერიოზული და პრობლემურია, რომ პოლიტიკური კრიზისისა დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად ახლებურად უნდა აისახოს კონსტიტუციაში.

პარლამენტის კომიტეტების ფუნქციები განისაზღვრება ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანებით, მაგრამ, რადგანაც კონსტიტუციით პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და, ამდენად, პარლამენტის კომიტეტების პოლიტიკური ფუნქციები მნიშვნელოვანნილად იდენტურია აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის), სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო დაწესებულებებისა კანონშემოქმედების და ზედამხედველობის თვალსაზრისით. ამით არის განპირობებული, რომ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში სახელისუფლებო შტოების საქმიანობის კოორდინაციისა და შეთანხმებული მუშაობის უზრუნველსაყოფად მათი სახელწოდებებიც, როგორც წესი, იდენტურია. აღნიშნული არ ნიშნავს მათ საქმიანობაში პარალელურობას, არამედ ჯანსაღ თანამშრომლობას კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი კომპეტენციების ფარგლებში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მე-14 მოწვევის ბუნდესტაგში 23 კომიტეტი იყო, კერძოდ, არჩევნების შედეგების შემოწმების; საპარლამენტო იმუნიტეტისა და რეგლამენტის; პეტიციების; საგარეო საქმეთა; საშინაო საქმეთა; სამართლისა და თავისუფლებათა საკითხების; ფინანსთა; ბიუჯეტის; ეკონომიკისა და ტექნოლოგიების; აგრარულ საკითხთა; ტყეთა და რესურსების; შრომისა და სოციალურ საკითხთა; თავდაცვის საკითხთა; ოჯახის, მოხუცთა, ქალთა და ახალგაზრდობის; ჯანდაცვის; ტრანსპორტის; მშენებლობის და სამშენებლო საქმის; გარემოს დაცვის საკითხთა; ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული საკითხების; განათლების; გამოკვლევების და ტექნიკური განვითარების; ტურიზმის; ევროკავშირთან ურთიერთობის; კულტურისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა. შესაბამისად თითქმის ამდენივე იყო თანამოსახელე ცენტრალური სამინისტროები, უწყებები და დაწესებულებები.

ჩვენს პარლამენტშიც შესაძლებელია მეტნაკლებად მსგავსი მოდელის შერჩევა და შეჯერება ისეთი კომიტეტებით, რომლებიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით. სწორი იქნებოდა კომიტეტებისა და სამინისტროების სახელწოდებები და პოლიტიკური უფლებამოსილებანი უახლოვდებოდნენ ან ემთხვეოდნენ ერთმანეთს, რათა უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული თანამშრომლობა, კოლეგიალური საქმიანობა, კონფრონტაციის აღბათობის შემცირება, საერთო ენის გამონახვის მაღალი აღბათობა ურთულეს საკითხებშიც კი. კომიტეტებისა და სამინისტროების „დაბალ დონეზე“ მიღწეული შეთანხმება შეარბილებს ორივე სახელისუფლო შტოს ზედა ეშელონებს შორის შესაძლო დაპირისპირებას, მით უფრო მწვავე კონფრონტაციის წარმოშობას.

გერმანიის ბუნდესტაგში ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კომიტეტებს აქვთ უფლებამოსილება ჩაატარონ ე.წ. გაფართოებული სხდომები, საჯარო მოსმენები, ანუ იქცნენ „მინი პარლამენტებად“, რომელიც შეიძლება ტრანსლირებულ იქნას ტელეარხებით ქვეყნის მასშტაბით. ამ გზით ძლიერი კომიტეტე-

ბი გაათავისუფლებენ პარლამენტს წვრილმანი, ყოველდღიური რუტინული პროცედურებისგან.

წინა მოწვევის პარლამენტში დეპუტატის იმუნიტეტთან და-კავშირებით აზრთა მრავალგვარობის გამო, საჭიროა მომზად-დეს კანონპროექტი „პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. დეპუტატი დაცული უნდა იყოს, მაგრამ იმდენად არა, რომ, როგორც ხალხში ამბობენ, პარლამენტი გახდეს საეჭვო რეპუტაციის ადამიანთა თავშესა-ფარი. საზოგადოებაში, როგორც იტყვიან, ბოლომდე გაცნობიე-რებული არის საკანონმდებლო ლობირების პრაქტიკა, რომელიც შეიძლება გახდეს საკანონმდებლო საქმიანობისა და დადგენილი პროცედურების გამრუდების წყარო.

კომიტეტში, ბუნებრივია, იქნებიან ქვეკომიტეტებიც. იქნებ დადგა დრო, ჩვენი პარლამენტის საგარეო საკითხთა კომიტეტ-შიც შეიქმნას ფართო უფლებების მქონე ქვეკომიტეტი, მაგა-ლითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ან რეგიო-ნალურ და სუბრეგიონალურ საერთაშორისო გაერთიანებებთან ურთიერთობის საკითხებზე, რათა ამ მიმართულებით საქმიანო-ბა ატარებდეს სისტემურ ხასიათს.

აშშ კონგრესში დამკიდრებულია კონგრესის მუდმივმოქმე-დი კომისიების შექმნის პრაქტიკა და თვით ეს კომისიები სენატსა და წარმომადგენლობით პალატებში, იდენტურია. მიჩნეულია, რომ ეს მეტად ეფექტურია და პოლიტიკურად მიზანშეწონილი. შედარებისთვის, საინტერესოა აშშ წარმომადგენელთა პალა-ტების მუდმივმოქმედი კომისიები: სოფლის მეურნეობის მიზ-ნობრივი დაფინანსების; სამხედრო სამსახურის; საბანკო, საფინ-ანსო და საქალაქო საკითხების; საბიუჯეტო; კოლუმბიის ოლქის; განათლების და შრომის; ენერგეტიკისა და ვაჭრობის; საგარეო საქმეთა; მთავრობის საქმიანობის; პალატის ადმინისტრაციის; შინაგან საქმეთა; იურიდიული; სავაჭრო ფლოტისა და თევზჭე-რის; საფოსტო და სამოქალაქო სამსახურის; საზოგადოებრივ სამსახურთა და ტრანზიტის წესების; მეცნიერების, კოსმოსისა და ტექნიკის; მცირე ბიზნესის; ქცევის ნორმების; ვეტერანთა სა-

ქმედის დაფინანსების; გზებისა და საშუალებების. იქნებ საჭირო იყოს ამ გამოცდილების თაობაზე დაფიქრება.

ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე, ალბათ, საჭიროა ფრაქციათა შორისი კომისიის შექმნა პარლამენტის სტრუქტურული რეფორმის თაობაზე.

მეტად საინტერესოა აშშ კონგრესის ორივე პალატაში სამთავრობო საქმეთა კომისიის არსებობის ფაქტი, რომელმაც ისტორიულად უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მთავრობისა და კონგრესის ნორმალური ურთიერთობის უზრუნველყოფაში. შესაბამისად, კონგრესთან ურთიერთობის სამსახური (სადაც რამდენიმე ასეული თანამშრომელი მუშაობს), არსებობს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში, რომელსაც თითქმის ყოველდღიური კავშირი აქვს კონგრესის შესაბამის კომიტეტებთან, ანეს-რიგებს ბუნებრივად ნარმოშობილ განსხვავებულ პოზიციებს და ახსენებს შესაბამის ხელმძღვანელებსა და სახელისუფლო შტოებს.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ბუნდესტაგში დაწესებულია შეიარაღებული ძალების საკითხში ბუნდესტაგის უფლებამოსილის თანამდებობა, რომელსაც სავსებით ზუსტად განსაზღვრული ფუნქცია აქვს. სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით ჩვენში არსებული პრობლემებისა და ნატოში განვერიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით, იქნებ მიზანშენონილი იყოს საქართველოს პარლამენტშიც შესაბამისი თანამდებობის არსებობა.

ხელისუფლების შტოებს შორის მოწესრიგებული ურთიერთობის უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ქვეყნის პრეზიდენტს. აშშ პრეზიდენტი (ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკების უმეტესობაში) ამა თუ იმ მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებთან დაკავშირებით ხვდება ფრაქციების ხელმძღვანელებს, წამყვან კომიტეტებს, დეპუტატთა ჯგუფებს. როგორც წესი, ეს ყველაზე მოკლე გზაა კონსენსუსის მისაღწევად.

მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო წინა მოწვევის პარლამენტებში ბევრი საკანონმდებლო აქტი მიიღე-

ბოდა ნაჩქარევად და ზერელედ. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ზოგიერთი კანონის მოცულობა მასში შეტანილი ცვლილებებით და დამატებებით 5-6 ჯერ აღემატება თავდაპირველ კანონს, ამასთან, ცვლილებების შეტანა ხდებოდა კანონის მიღებიდან რამდენიმე კვირაშიც კი. იმედია, რომ საქმე არ გვაქვს კანონპროექტების მორგებასთან გავლენიანი ჯგუფებისა და მსხვილი კაპიტალის ინტერესებთან (საკანონმდებლო კალკულაცია), რასაც თავის დროზე ამხელდა მაქს ვებერი და დღემდე აქვს ადგილი რიგი ახალი დემოკრატიის ქვეყნებში.

სამწუხაროდ, ჩვენი პარლამენტიც არც თუ ისე იშვიათად მიმართავს უცხო ქვეყნების კანონების მექანიკურ მორგებას საქართველოს განსხვავებულ რეალობასთან ან პირდაპირი გადმოწერას. ამ თვალსაზრისითაც პარლამენტისა და დეპუტატთა საქმიანობა მოითხოვს კარდინალურ გადახედვას. რიგ დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორც წესი, კანონპროექტი გადის საზოგადოებრივ ექსპერტიზას, რაც გამორიცხავს მის აღსრულებასთან დაკავშირებით შესაძლო გართულებებს და სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ზემოაღნიმნულთან მჭიდრო კავშირშია მიღებული კანონის აღსრულება, დაყვანა მოსახლეობამდე, საჯაროობის უზრუნველყოფა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სერიოზულ გადასინჯვას მოითხოვს საქართველოს პარლამენტის საკონტროლო და საზედამხედველო საქმიანობა.

ბოლო წლებში დიდი დემოკრატიის ქვეყნების პარლამენტების საქმიანობაში უჩვეულოდ გაიზარდა აპარატის როლი და, შესაბამისად, უფლებამოსილება. აპარატის მუშაკები წარმოადგენენ თავიანთი უფროსების ინტერესებს კანონპროექტების შემუშავებასა და განხილვაში. ერთმა ამერიკელმა მკვლევარმა შენიშნა, რომ „პერსონალიზებული, დახელოვნებული თანამშრომლების გამოყენებამ კონგრესს მისცა საშუალება შეენარჩუნებინა თავისი, როგორც ფედერალური პოლიტიკის უმთავრესი ინიციატორის პოზიცია, მიუხედავად აღმასრულებელი ხელისუფლების მზარდი გავლენისა.“

წინა წლებში საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობამ შეძლო თავი მოეყარა საქმის ერთგული, პროფესიონალი მუშაკებისთვის, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილი გადავიდა სხვა სამსახურში პარლამენტში შრომის დაბალი ანაზღაურების გამო. საკითხი სერიოზულია, ამიტომაც ახალ პარლამენტში ეს პრობლემაც ელოდება მოგვარებას კვალიფიციური მუშაკების შესანარჩუნებლად და ახლი ძალების მოსაზიდად. ცნობილია ისიც, რომ რიგი დიდი დემოკრატიის ქვეყნებში პარლამენტის აპარატის მუშაკის ხელფასი პარლამენტის წევრის შრომის ანაზღაურების 2/3-ზე ნაკლები არ არის, დადგენილია მრავალი სხვა შეღავათიც.

ურნალი „პოლიტიკა“, №12, 2003წ.

შემარიტება საეჭვო როდია

გაზეთ „აფხაზეთის ხმის“, 2003 წლის 19 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ოფიციალური პუბლიკაცია „ვიღვაწოთ მრუდე ისტორიის გაჭეშმარიტებისთვის.“

სტატია ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიმდინარე წლის 7 აგვისტოს დადგენილებას აფხაზეთის ტერიტორიაზე განხლაგებული ეკლესია-მონასტრების, მათ შორის ძველი საკულტო ნაგებობებისა და ნანგრევების საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მოქცევას. ამ დადგენილების მნიშვნელობას ამჟამად განხილვის საგნად არ ვხდი, რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის დადგებული ხელშეკრულების (კონკორდატის) შესაბამისად ეკლესიის საკუთრება მის კანონიერ მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს.

სავსებით ვეთანხმები სტატიის ავტორებს, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი, საშვილიშვილ საქმეა და აუცილებელია საზოგადოებას ხელშეწყობა ეკლესია-მონასტრების, მათი ნანგრევების და სხვა ისტორიული ძეგლების ნუსხის დაზუსტებაში.

მეც, როგორც გალის რაიონის მკვიდრი, მზად ვარ ხელი შევუწყო მათ ჭეშმარიტად პატრიოტული საქმის ბოლომდე მიყვანაში, მაგრამ თავიდანვე დამებადა რამდენიმე კითხვა, რომლებიც, ალბათ, სხვებსაც გაუჩნდებოდათ, მით უფრო სეპარატისტული იყო კატოლიკოთა წრეში:

1. იყო კი საჭირო ამ საკითხზე ამ ფორმით მსჯელობა, რითაც შესაძლოა ეჭვი გავუჩინოთ მავანს იმ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები, საკულტო ნაგებობანი, მათი ნანგრევები და სხვა ძეგლები ყოველთვის მოიაზრებოდა საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში (კუთვნილებაში).

2. იქნებ მხედველობაშია რამდენიმე მეჩეთი ან სხვა რელიგიური საკულტო ნაგებობა, რომლებიც, როგორც ამბობენ, აფხაზეთში კონფლიქტის შემდგომ აშენდა?

მომიტევონ დადგენილების პროექტის შემდგენლებმა, მაგრამ, მიმაჩნია, რომ რასაც ისინი ახლა ითხოვენ საზოგადოების-გან გადაწყვეტილების პროექტის მომზადების პერიოდში უნდა გაკეთებულიყო, რათა ხდომაზე განხილვისას აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრებისთვის ზედმეტი თავსატეხი არ გაეჩინათ.

აფხაზეთის, როგორც უძველესი ქრისტიანული მხარის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრები, სხვა საკულტო ნაგებობანი და ციხე-სიმაგრეთა ნანგრევები შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებს, გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევარებს, საეკლესიო მოღვაწეებს, ძეგლთა დაცვის უწყებებს თავის დროზე შესანიშნავად აქვთ შესწავლილი, აღრიცხული, დასურათებული და დადგენილი წესით არქივებში დაბინავებული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა ეს ხომ შესანიშნავად იციან, მით უფრო კონკრეტული ვითარება იმ ქალაქში, რაიონში, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ?

ჩემი მიზანი არაა ვინმეს მიმართ რამენაირი პრეტენზის გამოხატვა, მაგრამ საკითხთან დაკავშირებით მექმნება შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთის ქართველობა თითქოსდა მხოლოდ ახლა დავინტერესდით იმ ფასდაუდებელი კულტურული განძით, რაც უხსოვარი დროიდან ჩვენი წინაპრების ხელით შექმნილა აფხაზეთში.

ასეა თუ ისე, მე გალის რაიონზე შევეცდები საკმაოდ სრული (მაგრამ არა ყოვლისმომცველის პრეტენზის მქონე) ინფორმაცია მოგაწოდოთ, რადგან გაზეთში გამოქვეყნებულ ძეგლთა ნუსხაში, გალის რაიონი (მით უფრო სრულიად სამურზაყანო) თითქმის გამორჩენიათ. ულრმეს პატიებას ვთხოვ იმ თავდადებულ მეცნიერებს, მკვლევარებსა და მოღვაწეებს, უურნალისტებს, რომელთაც ძალ-ლონის დაუზოგავად ფეხდაფეხ მრავალგზის მოუვლიათ სამურზაყანო, მოუხილავთ და აღუნერიათ ის სიძველენი, რაც იქ დღემდე შემონახულა.

რა უფლება მაქვს მონიწება არ გამოვხატო პატივცემულ ბატონ

ანდრია აფაქიძისა და სხვა დიდი მეცნიერების მიმართ, რომლებმაც XX საუკუნის 70–80-იან წლებში თავად მოინახულეს გალის რაიონი, ასევე რჩეული მამულიშვილის ვალერიან ზუხბაისა, ცნობილი არქეოლოგის მალხაზ ბარამიძისა, ან განსვენებული ლეო შერვაშიძისა და სხვა მოღვაწეთა მიმართ, რომლებმაც უდიდესი ღვაწლი დასდეს ამ მართლაცდა საშვილიშვილ საქმის შესწავლას და გამოქვეყნებას; ვის აქვს უფლება დაივიწყოს ენთუზიასტი მკვლევარები, გალის რაიონის მკვიდრები ნოდარ შონია, გოგი ხუბუტია, რეზო ხვისტანი და სხვები, რომელთაც თავიანთი შეუპოვრობით, უანგარო შრომით შეუწყვეს ხელი მშობლიურ აფხაზეთში ქართველთა ისტორიული ნაღვანის შესწავლას და სათანადოდ ნარმოჩენას.

არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ევროპელმა საეკლესიო მოღვაწეებმა, კათოლიკე მისიონერებმა, რომლებმაც გალის რაიონში (წითურიას სამონასტრო კომპლექსი) ორი ათეული წელიწადი იცხოვრეს, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის შუა წლებში უნიკალური ნაბეჭდი და გრაფიკული მასალები დაგვიტოვეს (არქანჯელო ლამბერტი, კასტელი და სხვა) სამეგრელოსა და საკუთრივ აფხაზეთზე.

გაზეთის პუბლიკაციის მოთხოვნას, რა თქმა უნდა, პატივს ვცემ და შევეცდები გამოქვეყნებულ ნუსხაში გალის რაიონში დაფიქსირებულ ოთხი ეკლესის სია, შეძლებისდაგვარად შევავსო, რათა მკითხველი დარწმუნდეს, რომ გალის რაიონი ამ თვალსაზრისითაც არც ისე ღარიბია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩენოს მავანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჟული შარტავას ინიციატივის პასუხად წინა საუკუნის 80-იან წლებში გალის რაიონის მაშინდელი თავკაცების ბატონ ვახტანგ ყოლბაიას და ან განსვენებული შოთა შარანგიას თაოსნობით რაიონის ტერიტორიაზე არსებული თითქმის ყველა ეკლესია, მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი ეკალ-ბარდის-გან გაინმინდა, შეძლებისდაგვარად შეკეთდა და მოწესრიგდა.

გალის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების, საკულტო ნაგებობების, ისტორიული ძეგლებისა და შემორჩენილი ნანგრევების ნუსხა:

ბეგლის ადგილმდებ.	ბეგლის დასახელება	აშენების თარიღი
1. სოფელი გუდავა	ზიგანეოსი—რომის, შემდეგ ბიზანტიის საეპისკოპოსო კათედრა, ნანგრევები.	III-IX სს.
2. მეორე ბედია	საეპლესიო ქომპლექსი (ფშაური), იქვე სამჟანო (ეპიდერი), ნანგრევები.	XIV ს.
3. სოფელი წარჩე	„ფიჭერისთვეს“ ეპლესია.	XVI-XVII სს.
4. სოფელი წარჩე	დელოფლის ეპლესია („მაფაში ოხვამე“), იქვე მეორე ეპლესია.	XV ს.
5. სოფელი წარჩე	ეპლესია (მდინარის მარჯვენა ნაპირზე), კარგად შენახული, ირგვლივ გალავანი და ნანგრევები, სამსხვერპლო ქვა.	XVII-XVIII ს.
6. სოფელი წარჩე	დიდი ციხე-სიმაგრე ქოშკით, გალავანით, საყდრის ნანგრევებით, იქვე გალავანი და ქოშკები.	IX-XI სს.
7. სოფელი ლუმურიში	ეპლესია სოფლის ცენტრში, ნანგრევები მთათა ფერდო- ბეზზე, ციხე-კოშკები, გალავანის ნაშთები.	ადრეული, შუა და გვ. საუკუნეები
8. სოფელი ლუმურიში	კირილის მთაზე გრანდი- ოზული ციხე-სიმაგრე ქოშ- კებით (ნანგრევები).	ადრეული, შუა და გვ. საუკუნეები
9. სოფელი ჩხორთოლი	ეპლესია, იქვე, ახლოს ციხე-სიმაგრე, ქოშ- კებიანი „ჩხორთოლი.“	შუა საუკუნეები

10. სოფელი ჩხორთოლი	ციხე „ჯიხუ“ კოშკებით.	შუა საუკუნეები
11. სოფელი რეჩხი	წევდებარის ეძღვესია (ნაშთები)	X ს.
12. სოფელი დიხაზურგ	სათანაზოს კოშკი დიდი გა- ლავნით („სანტა ანჯელო“), ყველაზე მაღალი კოშკი აფხაზეთში, იქვე კარსტული მიწისქვეშა გასავლელი მდ. ენგურზე.	XII–XVსს.
13. სოფელი დიხაზურგა	ციხე „ოცარცე“, მდ. ენგურთან.	XIV-XV სს.
14. სოფელი დიხაზურგა	წმინდა ბარბალეს სასწაულმოქმედი ეძღუ- სია-მონასტერი, ნაშთები, გალავნის ნანგრევები.	ადრ. საუკუნეები
15. სოფელი პირვ. გალი	წარმართული სამლოცველო, ციხის ნანგრევები.	ადრ. პერიოდი
16. სოფელი ჭუბურხინჯი	ეპლესიები: „ჩე ოხვამე“, „ზენიშ ოხვამე“ (კარგად შენახული), „გეანათი“ (ნანგრევები), სამეთვალყ- ურო კოშკები, გალავანთა ნაშთები, „ოლაგვანე“ (შეუსწავლელი).	ადრ. საუკუნეები
17. სოფელი თაგილონი	წიფურიას სამონასტრო კომპლექსი (ნაშთები), ეპლესიები, კოშკები გალავნით, დიდი ბაზრობის ნაშთები.	XI-XVIII
18. ქ. გალი	ეპლესიათა ნაშთები, გალავნის ნანგრევები.	XVI- XVIII სს.
19. სოფელი მუხური	ეპლესია, ციხის ნანგრევები გორაკებზე.	XV-XVIII სს.
20. სოფელი ოქუმი	გვიანი პერიოდის ეპლესია, ციხე-კოშკების ნანგრევები, საყდრის ნაშთები.	შუა საუკუნეები

21. სოფელი რეჩხი-ცხირი	ეპლესიის ნანგრევები, სა- ძულტო შენობის ნაშთები.	ადრ. პერიოდი
22. სოფელი ფიჩორი	ეპლესია (ნაშთები), დიხ- აგუმუბათა უნიკალური სი- სტება.	ადრ. პერიოდი
23. სოფელი ნაბაკმი	ეპლესიათა ნაშთები.	შუა საუკუნეები
24. სოფელი ოქვინორე	ეპლესიის ნაშთები, XIX საუკ. 20-იან წლებში მარშანიათა ხის ეპლესია.	გვიანი საუკუნეები
25. სოფელი გაგიდა	საკულტო ნაგებობათა ნაშთები, შეუსწავლელი.	ადრ. პერიოდი
26. სოფელი საბერიო	ეპლესია (ნანგრევები), ციხ- ქოშები გალავნით.	შუა საუკუნეები

გალის რაიონში, განსაკუთრებით ზღვისპირეთში, მრავლად ყოფილა ქვითა და ხით ნაშენი ეკლესიები (ოტობაია, გუდავა, ბარლები, რეფი, ხუმუშქური და სხვა), თავდაცვითი ნაგებობანი, დიხაგუძები, სამლოცველოები.

მისიონერთა რუკებზე რაიონის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 28 ეკლესია-მონასტერი (ვალერიან ზუხბაია, „გალი“). აღნიშნულის უტყუარობაში ეჭვის შეტანა წარმოუდგენელია, ვინაიდან მისიონერები დიდხანს ცხოვრობდნენ სამეგრელოსა და აფხაზეთში და ბევრი რამ რუკებზე გადაჰქონდათ.

საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია I, მე-ოცე საუკუნის დასასრულს (ომისწინა პერიოდი) პირადად ჩავიდა გალის რაიონში და ქალაქ გალის ცენტრალურ ნაწილში, უმშვერიერეს გორაზე აკურთხა ეკლესის ასაშენებელი ადგილი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდებული უნდა ყოფილიყო აფხაზეთში.

ომის გამო, აღნიშნული ეკლესიის მშენებლობა შეუძლებელი გახდა, მაგრამ ახლო მომავალში, უფლის ნებით, უთოდ ააშენებენ გალელები.

„აფხაზეთის ხმა“, 7 ნოემბერი, 2003წ.

გამარჯვება თუ დამარცხება?

ვერც ჩვენ და ვერც აფხაზებმა ვერაფრი შევძელით, რათა არ მომხდარიყო ის, რაც აფხაზეთში მოხდა, რაც დღესაც ხდება და რომლის დაძლევას მრავალი ათწლეული დასჭირდება.

ვინც ბოლო პერიოდში აფხაზეთში ყოფილა, ვისაც უნახავს დანახშირებული, გაჩანაგებული, ტყეებითა და ეკალბარდებით დაფარული ჩაი და ციტრუსოვანები, გავერანებული დაწესებულებები, დაქცეული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, გაძარცული კერძო სახლები, ადამიანთა სასოწარკვეთილი სახეები, უცხო ქვეყნის ჯარისკაცები და ჯავშანტექნიკთ გადათხრილ გზებზე უვლია, უეჭველი გახდება აფხაზეთის ტრაგედიის ნამდვილი მასშტაბები და იმ ადამიანთა უგუნურება, რომლებმაც გადაწყვიტეს იზეიმონ საქართველოზე „გამარჯვების,, ათი წლისთავი.

რა გამარჯვებით, რითი ამაყობს სოხუმის რეჟიმი, რა აქვს საზეიმო?

რომელი აფხაზისთვის არ არის ცნობილი, რომ რუსეთიდან დაქირავებული და, ასევე, რუსეთის რეგულარული სამხედრო ნაწილების დახმარებით აფხაზეთში განხორციელდა იქ ისტორიულად მოსახლე ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რამაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე შეიწირა. დაიჭრა და დასახირდა 17 ათასამდე ადამიანი, მშვიდლიური ადგილებიდან გაძევებულ იქნა 240 ათასზე მეტი ქართველი, ლტოლვილად იქცა 30 ათასი რუსი, 35 ათასი აფხაზი, ათასობით სომები, ბერძენი, ებრაელი და სხვა ერის წარმომადგენელი.

საერთაშორისო თანამეგობრობისთვის კარგადაა ცნობილი, რომ 1990 წლის 25 აგვისტოდან აგრესიულმა სეპარატისტულმა ძალებმა, ისარგებლეს რა საქართველოს იმუამინდელი ცენტრალური ხელისუფლების უძლურებით, აფხაზეთში კონსტიტუციური გადატრიალება მოახდინეს და გამოაცხადეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, შექმნეს უკანონო სახელმწიფო სტრუქტურები, მიიტაცეს მართვის სადავეები.

ცნობილია, რომ ქართველთა და მათ თანამგრძნობთა დევნა და ფიზიკური განადგურება კონფლიქტის დაწყებამდეც ხორ-

ციელდებოდა გუდაუთის რაიონში, სოხუმში, გაგრაში, რამაც შეიარაღებული დაპირისპირების დაწყებისთანავე მასობრივი და სასტიკი ხასიათი მიიღო.

სოხუმში დაანგრიეს რუსთაველის, აკაკი წერეთლის, სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ძეგლები, გაძარცვეს ქართული თეატრი, ქუჩებს გადაარქვეს სახელები. გალის რაიონის სოფელ შეშელეთში დაწვეს აფხაზეთის საამაყო შვილის, მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსის ილია ვეკუას სახლ-მუზეუმი.

გალის რაიონში, სადაც 1994 წლის ივნისიდან განლაგებულია დსთ-ის სამშვიდობო ძალები და გაეროს დამკვირვებლები, დღემდე თარეშობენ კრიმინალური ბანდები, მძვინვარებს ძალადობა, განუკითხაობა, მრავლადა ადგილობრივი მოსახლეობის მონურ შრომაში გამოყენების ფაქტი. აუტანელია აფხაზეთში აფხაზთა და სხვა ეროვნების ადამიანთა მდგომარეობა.

აფხაზეთის უნიკალური საკურორტო დაწესებულებები, საწარმოები უცხოელებზე იყიდება. ცარიელდება ტრადიციული აფხაზური სოფლები, სულ უფრო რეალური ხდება აფხაზთა გარუსების საფრთხე, გარდაუვალია მათი შეუქცევადი ასიმილაცია. საამისო წინაპირობაა აფხაზეთის სკოლებში მშობლიური ენის სწავლების შეზღუდვა, ომისშემდგომ აფხაზეთში დარჩენილი 130 ათასი მოსახლისათვის რუსეთის მოქალაქის სტატუსის მინიჭება.

აფხაზეთი თანდათანობით კარგავს მსოფლიო მნიშვნელობის ტურისტულ და რეკრეაციულ დანიშნულებას. იჩენება და უცხოეთში გაედინება უნიკალური ხე-ტყე და ქარსაფარი ზოლები, ნადგურდება ზღვის ფაუნა, თევზის ძვირფასი ჯიშები, განუკითხავად იყიდება ძვირფასი ლითონის შემცველი მოწყობილობები და დანადგარები, საკომუნიკაციო საშუალებები, ჯართად გააქვთ რკინიგზის რელსები, ელექტრობორდები, ფერადი მეტალი.

კონტრაბანდა, კრიმინალური გარიგებები, მასობრივი კორუფცია ახრჩობს ადგილობრივ ეკონომიკას და ტრადიციულ მეურნეობას.

ბოლო დროს გამოჩნდა ცალკეული ნიშნები, რომ მამაცი, მაგრამ მოტყუებული, აფხაზი ხალხი ბედთან შეგუებას არ აპირებს. აფხაზეთის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი აცნობიერებს,

რომ აფხაზ ეთნოსს დიდი რუსულ ოკეანეში მოუწევთ დანთქმა და „უკანასკნელი უბისის“ ბედის გაზიარება.

არა მგონია, რომ სოხუმში არც ის ადარდებთ თუ როგორ აყალბებს სომხური მასმედია საქართველოს და საკუთრივ აფხაზეთის ისტორიას. არც ის, რომ ზოგი მათგანი უფრო შორს წავიდა და დღემდე გულმოდგინედ არკვევენ ნამდვილად ვისია აფხაზეთის მიწა-ნყალი-სომხების თუ რუსების (ანუ აფხაზებიც და ქართველებიც თამაშებარე მდგომარეობაში ვართ დატოვებული!). უფრო მეტიც, ისინი დროდადრო იმაზეც წერენ თუ როგორ გაერთიანდა მთელი სომხობა ბაგრამიანის ბატალიონში (1992-1993 წლების ომში) და რუსი ძმების დახმარებით როგორ გაათავისუფლა აფხაზეთი.

იციან ეს სოხუმში, კარგადაც იციან, ამიტომაც ეძებენ გამოსავალს თავს დატეხილი უბედურებიდან. როგორც არუნდა იყოს სოხუმის მიერ შეფასებული „ამცახარას, „აიტარას,“ სხვა პატრიოტული საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკა და მსოფლმხედველობა, ცხადია, რომ ესაა სტიქიური პროტესტი იმ ვითარების გამო, რაც „დამოუკიდებელად“ თვითგამოცხადებულ აფხაზეთშია.

აფხაზეთის, დამოუკიდებლობის 10 წლისთვის აღნიშვნის მც-დელობა სოხუმის მორიგი შეცდომაა, რომელიც არც აფხაზეთის მოსახლეობამ, არც საერთაშორისო თანამეგობრობამ არ უნდა დაუშვას, ვინაიდან იგი საქართველოს მოსახლეობაში, დევნილებში აღქმულ იქნება როგორც ტერორიზმის, ძალადობის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული ქმედების გამართლება, დესტაბილიზაციის დამატებითი ფაქტორი.

ჩვენ გვაქვს ჩვენი სიმართლე, ასევე, აფხაზებსაც.

„ქართველებზე გამარჯვების“ ათი წლისთავის სოხუმში ზეიმით აღნიშვნას მათთვის, ჩვენდა სამწუხაროდაც, ერთი პოზიტიური შედეგი ნამდვილად ექნება – ქუჩაში გამოყვანილი აფხაზები, მათი სტუმრები ირგვლივ მიმოიხდევენ და დაფიქრდებიან, – დავმარცხდით თუ გავიმარჯვეთ?!

„საქართველოს რესპუბლიკა,“
27 სექტემბერი, 2003წ.

თარსულის ლანდეპი „კმარას“ მოცვევით?

„რუსთავი-2“-ის შაბათის „ფსიქოში“ გასულმა დოკუმენტური ფილმმა, ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობას დიდ ნაწილს საკუთარ გულში ჩახედვისა და ბევრი რამის ხელახალი გააზრებისკენ უბიძგა.

ჩვენს ნიჭიერ, ძლიერ, თავისთავად ხალხს, რომელსაც სამი ათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვს, მრავალი რამ უნახავს, მაგრამ საკუთარი პრობლემები უპირატესად საკუთარი ძალებით გადაუწყვეტია, შეუძლებელია ამ ფილმის განსჯის შემდეგ დედაქალაქში მიმდინარე მოვლენებსა და მასში „კმარას“ როლისა და ადგილის თაობაზე არ დაფიქრებულიყო.

ამდენად, სავსებით ბუნებრივია, საზოგადოების პროტესტი „ოტპორის“ ტიპის „დემოკრატიის“ გარედან შემოტანის გამო, წუხილი იმ ხალხის მემკვიდრეებისა, რომელმაც ისტორიის ათასწლეულთა სიღრმეში შექმნა საკუთარი დემოკრატიის ორიგინალური მოდელი (რაც მრავალ, „ექსპორტირებული დემოკრატიით“ თავმომწონე ქვეყანასაც შეშურდებოდა), და რაც დღესაც ძალუმად ფეთქავს საქართველოს სოფლებში, ქალაქში, მთელ ქვეყანაში, როგორც ეროვნული და კულტურული თავისთავადობის განუყოფელი ნაწილი.

„კმარას“ გამოჩენას გარკვეული ახსნა აქვს, რადგანაც ქართველებსაც გვახასიათებს ერთგვარი „სულნასულობა“, ცნობილი წინმაპრძოლობა, რომელსაც, როგორც წესი, ბევრი უბედურება მოუტანია ქვეყნისთვის. დიდი ანგარიშით, ჩვენი ეს „ეროვნული ნაკლი“, სულაც არ იყო ეროვნული, მაგრამ იყო დრო და კონკრეტული ვითარება, როცა გარე ძალები საზოგადოების ნაწილს თავს ახვევდნენ საკუთარ ინტერესებს და და პოულობდნენ ადამიანებს, რომლებიც რაიმე მოტივით დგებოდნენ მათს სამსახურში.

ჩვენს ხალხს ძალიან უჭირს, ქვეყანაში ლამის მათხოვარ-

თა და გაჭირვებულთა საკრებულოდ იქცა, დამკვიდრდა განუკითხაობა, ზეობს კორუფცია, რასაც თან ახლავს საზოგადოების საყოველთაო უკმაყოფილება, ადამიანთა ღირსების შელახვა. ყოველივე ამან ისინი ქუჩაში გამოსასვლელად განაწყო; ამასთან, ფაქტია ისიც, რომ მათი მიზანი უფრო დიდი, უფრო სერიოზული, უფრო სახელმწიფოებრივია, ვიდრე ის, რაც „კმარას“ შემქმნელებს და დამფინანსებლებს აქვთ წარმოდგენილი.

იუგოსლავიასა და მილოშევიჩზე ისტორია თავის დროზე იტყვის სიმართლეს. ფაქტია რომ, მსოფლიოში ერთეულთი უმამაცესი სერბი ხალხი (რომელმაც ოსმალეთის იმპერიის სწრაფვა ევროპის დასაპყრობად ათეულ ათასი საკუთარი შვილის სისხლის ფასად ევროპის შუაგულში შეაჩერა, ბოლო მსოფლიო ომში კი მარტო უმკლავდებოდა ათეულობით ფაშისტურ დივიზიას), უმძიმეს განსაცდელში აღმოჩნდა. მხედველობაშია ამ ხალხის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა თავისი ტერიტორიული მთლიანობის, ძირძველი მიწების შესანარჩუნებლად (მათ შორის ისტორიული კოსოვოს გადასარჩენად). დიდი იყო დასავლეთის დაინტერესება, რაც წატოსა და მათი მხარდამჭერების მიერ სერბეთის (ბელგრადი და სხვა ქალაქების) დაბომბვით, სხვა სახის ზენოლით გამოიხატა, და რასაც ამ გმირმა და შეუპოვარმა ხალხმაც ვერ გაუძლო.

ჩვენებული „კმარას“ პროტომოდელმა („ოტპორი“) იქ არსებული წყობილება დაამხო, რაშიც უცხო სახელმწიფოებმა ასეულობით მილიონი დოლარი დახარჯეს, მაგრამ ძნელი სათქმელია ამით თუ რა მოიგო სერბმა ხალხმა. ქვეყანა უმნვავეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისშია. ხელისუფლებისადმი ნიჰილი-სტური დამოკიდებულებისა და საზოგადოების გახლეჩის პირობებში სერბეთის განუყოფელი ნაწილიდან—კოსოვოდან მთლიანად გამოაძევეს ადგილობრივი სერბი მოსახლეობა, სერბეთის სახელმწიფოსთვის ეს ტერიტორია ფაქტიურად დაკარგულია და როდის დაბრუნდება ის სერბეთის შემადგენლობაში და რა სტატუსით, ძნელი სათქმელია.

ფილმში დაუფარავადაა გამოხატული „ოტპორის“ შექმნის

ნამდვილი მიზანი, მის შემქმნელთა ვერაგობა ამა თუ იმ ხალხის ეროვნული მენტალიტეტის მიმართ; არასრულწლოვან ბავშვებს და ახალგაზრდებს იატაქვეშეთიდან აძლევენ დიდ ფულს, რათა აფრიალონ დროშები, აჩვენონ მუშტები, დაამცირონ, შეურაცხყონ უფროსი თაობა; მშიერ და მწყურვალ ახალგაზრდებს აქეიფებენ საუკეთესო რესტორნებში, უწყობენ ძვირად ღირებულ დისკონტეკებს, ხალხისთვის „თავდადებული ადამიანების“ იმიჯით „აკეთებებ“ პოლიტიკური ლიდერებს (როცა ისინი სულაც არ არიან ასეთები), რათა დაამხონ კონსტიტუციური წყობა და მიაღწიონ გარედან თავსმოხვეული მიზნების განხორციელებას. ეს მაშინ, როცა რეალურად „ხალხოსნობის“ და ნაციონალიზმის იდეოლოგია დასავლეთის დემოკრატიისთვის სრულიად მიუღებელია და ისინი ამ მიზნისთვის ერთ ცენტსაც არ დახარჯავენ.

საერთაშორისო სამართლის ენაზე, ამ მოვლენას ეწოდება ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, გარედან ინსპირირებული ანგისახელმწიფოებრივი მოქმედება, მისი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის ხელყოფა; ჩვეულებრივ ადამიანურ ენაზე კი ნიშნავს უკიდურესად გაჭირვებული და მარგინალური საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ადამიანების მოსყიდვას და მათ ბრძოლ გადაქცევის მცდელობას. ამ სპექტაკლებს, როგორც წესი, თან ახლავს მისი თავზარდამცემი აპოთეოზი – საყოველთაო ქაოსი, ვანდალიზმი და სისასტიკე, უმართავი სიტუაციები, რომელშიც იღუპებიან უმწეო და უდანაშაულო ადამიანები, ასევე მსოფლიოს სანახვად მიმართული მიზნიმიმართული საინფორმაციო და პროპაგანდისტული გაზვიადება.

ყველაფერი იცვლება, ახალი დრო ახალ ლიდერებს მოითხოვს, წასასვლელი უნდა წავიდეს, დამნაშავემ პასუხი უნდა ავოს, მაგრამ რატომ ძალადობით, ცინიკური და თვალთმაქცური მეთოდებით, კონსტიტუციის, კანონების, სამართლის ნორმების, ტრადიციული ადამიანური და ქრისტიანული ეთიკის ხელყოფით? ნუთუ არავინ აუხსნა „კმარელებს“ და ქვეყანას ახლო წარსულში თუ რა მოუტანა მშობლების, ახლობლების, უფროსი

თაობის სასტიკმა ლანძღვამ, გინებამ და ძალადობამ სერბეთის მეზობელ სახელმწიფო ორგანიზაციის, სხვა ქვეყნებს?

წესიერმა ქართველმა თუ არა ქართველმა შესანიშნავად იცის, რომ ბევრი რამე შესაცვლელია, თანაც რადიკალურად, გადასაკეთებელია, თავიდან დასაწყებია, რათა ადამიანებმა ადამიანურად იცხოვრონ, მაგრამ ამისთვის განა აუცილებელია ქვეყნის არევ-დარევა, ავად ნაცადი ქაოსი და დაუმორჩილებლობა, ყოველივეს უმონებულო ნგრევა და განიავება, ოჯახებში, სოფლებში, ქალაქებში, ადამიანთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება?

არაფერია საკამათო იმაში, რომ ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი პოლიტიკური პარტიების და მათი ლიდერების სრულიად ბუნებრივი მოთხოვნილებაა, მაგრამ საჭიროა კი ამისთვის „დემოკრატიული დიქტატურის“ ფარსი, კონსტიტუციასა და კანონიერებაზე ფეხის გადატიჯება, გაჭირვებულ ადამიანთა მოტყუება, მათი ხმოსან „ინსტრუმენტად“ გადაქცევა? ღმერთმა დაგვითაროს, პოლიტიკოსის ყველაზე დიდი დანაშაული საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ტყვიის გასროლაა, რაც საქართველოში უკვე იყო და მისი ტრაგიკული შედეგები კიდევ დიდხანს შეგვახსენებს თავს. მით უფრო, როცა ლამის ყველამ ვიცით, რომ საყოველთაო თანასწორობა ლამაზი მითია, ყველას თავისუფლება – კარგი ზღაპარი, ყველას კეთილდღეობა – ლამაზი ოცნება. ბევრმა „ურნებულო თმამაც“ ირნებუნა უკვე, რომ ეს ასეა ყველაზე განვითარებული ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებშიც კი.

ჩვენი „კმარა“ ახალგაზრდების ორგანიზაციაა და ვიმედოვნებ, რომ იქ არიან ქალიშვილები და ჭაბუკები, რომელთაც არა მარტო მოქმედება, არამედ ფიქრიც შეუძლიათ და აქვთ პასუხისმგებლობა ჩვენი და მათი მომავალი ქვეყნის წინაშე.

მინდა ვირნებულო, რომ „კმარას“ გულწრფელად პატრიოტი წევრები, ქვეყნის მოყვარული ახალგაზრდები, იმ სარკეში კარგად ჩაიხედავენ, იმ საფრთხეს გააცნობიერებენ, რაზედაც „ფსიქომ“ საქართველოს მოსახლეობა გააფრთხილა.

„კმარას“ ძალა, ენერგია, უშიშარი შემართება ნამდვილად სჭირდება ქვეყანას დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, მით უფრო, რომ ჩვენც გვაქვს ჩვენი კოსოვო – აფხაზეთი.

მინდა დავიჯერო, რომ „კმარა“ წარსულის აჩრდილთა გამოძახილი კი არა, ახალი საქართველოს წინამორბედია, თუმცა ბევრი რამ აქვს სასწავლი და ხელახა გასააზრებელი.

გაიხსენეთ შვილები „დათა თუთაშხიას“ მამის მკვლელი გუდუნა და საბედისწერო გასროლის წინ მამა-შვილის დიალოგი ბუხართან, სასიკვდილოდ განწირული დათას გაუჩინარება, რათა გუდუნას მამის მკვლელი შვილის უპატიებელი ცოდვით დამძიმებულს არ ევლო დედამიწაზე.

ჩვენ, მშობლები, ხელს არ შეგიშლით, თანაც ყველაფერს გაპატიებთ შვილებო, მაგრამ არის ცისა და მიწის უზენაესი მსაჯული, რომელსაც გამოაქვს ყველზე სამართლიანი განაჩენი თქვენთვის და ჩვენთვისაც.

გაზეთი „ახალი ერა“,
12 ნოემბერი, 2003წ.

მათთვის, ვისაც უკვე დაავიწყდა გალის 1994 წლის თებერვლის ტრაგედია

1994 წლის 6 თებერვალს აფხაზთა და ვოლონტერთა რაზმებმა გალის რაიონში დაიწყეს სამხედრო ოპერაცია კოდური სახელით – „წმენდა.“ სამხედრო მოქმედება (ჯავშანტექნიკის გამოყენებით) ოჩამჩირეს საზღვრებიდან წამოიწყეს და რამდენიმე დღეში გალის რაიონს მთლიანად გადაუარეს. ოპერაციას, უფრო ზუსტად, ადამიანებზე ნადირობას, შეენირა 841 მშვიდობიანი მცხოვრები (490 კაცი – 60 ნელს გადაცილებული, 102 – ოთხმოც ნელს მიღწეული, 172 ქალი, 27 მოზარდი).

ადამიანის უფლებათა ცალკეული დამცველები (მათ შორის ჩვენებურებიც) რატომძაც მიიჩნევენ, რომ ეს არ იყო გენოციდი და ეთნიკური წმენდა „კლასიკური გაგებით“ და შურისძიების მორიგ გამოვლინებად ჩათვალეს (აფხაზეთში საომარი მოქმედების დამთავრებიდან ოთხი თვის შემდეგ!).

როგორი სახელიც არ უნდა მოუნახონ საქართველოს ერთერთი უდიდესი და მთლიანად ქართველებით დასახლებული რაიონის აოხრებას, მოსახლეობის განურჩეველ ხოცვა-უდეტას, ერთი რამ უეჭველია, ეს იყო მშვიდობიანი და დაუცველი ქართველი მოსახლეობის მიმართ გაუგონარი ძალადობისა და ტერორის აქტი, რათა იქ დარჩენილებს საბოლოოდ დაეტოვებინათ აფხაზეთი, მშობლიური ადგილები, საკუთარი ეზო-კარი, წინაპართა საფლავები.

იმათ, ვისაც უკვე დაავიწყდა გალის თებერვლის ტრაგედია, შევახსენებ, რომ:

სოფელ ჩხორთოლში მოკლეს ამირან გამისონია (50 წლის), ჯერ კიდევ ცოცხალს მოაჭრეს ხელები, ამოთხარეს თვალები და ავტომატით დაცხრილეს;

სოფელ რეფში ბოევიქმა ჭიჭიკო სხულუხია (საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება, 726.) საკუთარ სახლში დახვრიტეს, მასვე მიაყოლეს მისი მეუღლე ძაბა სხულუხია (706.), შვილი ვენორი

(446.), რძალი იზოლდა (406.), შემდეგ სახლს ცეცხლი წაუკიდეს და დახოცილთა ცხედრები ჩანვეს;

სოფელ გუდავაში ცოცხლად დაწვეს ინდიკო ალანია (846.) და დათიკო ლატარია (656.). მათ რძლებს, მარგარიტასა და უულიას თავები ელექტრო ხერხით წააცალეს;

სოფელ ჭუბურხინჯის მკვიდრ ბოჩია ყოლბაიას (436.) ნაჯახით მოჩეხეს ხელ-ფეხი და დახვრიტეს;

სოფელ ლუმურიშში ცულით თავი მოჰკვეთეს 75 წლის ფიროხმან ზუხბაიას (ვაჟაპობითა და პირდაპირობით განთქმული კაცი) და ზედვე დააკლეს მისივე ბიძაშვილი დათიკო კაკუბავა;

სოფელ განახლებაში ერთ ეზოში 9 მოხუცი (ქალები და კაცები) დახვრიტეს, მათ შორის ცოლ-ქმარი სერაპიონ და ოლია ლაგვილავები, ასევე მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები გვანჯი რურუა და შოთა ახალაია. იმავე დღეებში ასეთივე ბედი აწიეს ამავე სოფლის 17 უმწეო ადამიანს, მათ შორის სოფლის 5 რჩეულ ახალგაზრდას, რომლებიც არ „გამოტყდნენ“ გალელ პარტიზანებთან კავშირში, მათ კიდურები გადაუმტვრიეს, აწამეს და ცოცხლად დამარხეს.

ეს სულ მცირე სიაა იმ 857 ადამიანისა და ოჯახებისა, რომელთაც 6-23 თებერვალს ძალადობით და წამებით წაართვეს სიცოცხლე. მათი უმეტესობის გამპატიონსნებელი და დამმარხველი რაიონში თითქმის არავინ იყო.

ბოევიკებმა (მათ შორის ქალებიც იყვნენ) ცოდვის კალო დაატრიალეს რაიონის ყველა სოფელში და ქალაქ გალში. განსაკუთრებული სისასტიკით გადაწვეს ქვედა ზონის სოფლები: რეფი, განახლება, გაგიდა, მზიური, ზემო ბარღები, ქვემო ბარღები, ოტობაია, ფიჩორი, ხუმუშქური, ნაბაკევი, თაგილონი, ჭუბურხინჯი. მთისპირა სოფლები—დიხაზურგა, საბერიო, ლეკუხონა, რეჩხი, აჩიგვარა, ლუმურიში, ჩხორთოლი, წარჩე, მუხური, შეშეღეთი, პირველი გალი.

ზედა ზონის და მთისპინეთის მოსახლეობა აიღულეს თოვლიანი მთებით (ოჭაკე, ოხაჩქუე, მიმდებარე ბორცვები) გადასულიყვნენ ენგურგალმა (ორ მეტრომდე თოვლსა და ყინვაში). გზა-

ში გაიყინა ვლადიმერ შარანგია (83წ.), გოჩა ხასაია (16წ.), ლუიზა დავითულიანი (50წ.), ალექსანდრე ჯგუბურია (60წ.).

ამ დღეებში ბოევიკებმა დაწვეს 4500 საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო შენობა-ნაგებობა, გაძარცვეს კერძო სახლები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი შენობები და ობიექტები.

გადარჩნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც ჩაის პლანტაციებს, ტყეებს, ეკალბარდებსა და მიწაყრილებს შეაფარეს თავი. ცოცხლები ღამით პოულობდნენ მიცვალებულებს, აპატიოსნებდნენ და ადგილზევე მარხავდნენ.

გვინდა ყველამ იცოდეს ენგურს გაღმა და გამოღმა, რომ გალის თებერვლის მოვლენები შურისძიება არ ყოფილა, რადგან ე.წ. აღმოსავლეთის ფრონტის ხაზზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს ლაშქარი, ადგილობრივი მოხალისეები აფხაზურ სოფლებში არ შესულან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გუდაუთის ტერიტორიაზე, სადაც არსებოთად მხოლოდ აფხაზები ცხოვრობენ, საომარი ოპერაციები არ განხორციელებულა, ქართველებს აფხაზური სოფლები არ გადაუწვავთ; და ეს მაშინ, როცა, აფხაზური სოფლებისა და დასახლებული პუნქტების უკონტროლოდ დატოვება დაუშვებელი იყო სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. აღნიშნულმა შეცდომამ კი სეპარატისტებს და მათ მხარდამჭერებს საშუალება მისცა საქართველოს შეიარაღებული ძალების ზურგში მძლავრი სამხედრო დაჯგუფებების შესაქმნელად.

ცნობილია, რომ „ამ წმენდას“ მოჰყვა სხვა წმენდები-მესამე (1995 წლის ივნის-ივლისი), მეოთხე (1997 წლის ზაფხული), მეხუთე (1998 წლის მაისი), რაც სხვადასხვა ინტენსივობით დღემდე გრძელდება.

გალის რაიონში მოსახლეობის ტრაგედიის ყოვლისმომცველი (თითქმის ყოველდღიური) მასალები თავმოყრილია გალის რაიონის ზუგდიდის გამგეობის (ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის) არქივებში, რომელიც აფხაზეთის ტრაგედიის პირველივე დღეებიდან რაიონის მოსახლეობის, ასევე იმ ადამიანთა პირველი მასპინძელი

და ჭირისუფალია, რომლებიც მდინარე ენგურის გადმოკვეთით ახერხებენ სამეცნიეროს ტერიტორიაზე გადმოსვლას.

აღსანიშნავია, რომ 1993 წლის ოქტომბრის პირველი დღებით დან (ფაქტიურად საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ძალების მიერ აფხაზეთის დატოვებისთანავე) გალელთა თაოსნობით ქ. ზუგდიდში შეიქმნა ე.წ. აფხაზეთის ხსნის კომიტეტი, რომელიც სადღელამისო საქმიანობას ეწეოდა დევნილი მოსახლეობის განსახლების, ფიზიკური გადარჩენისა და წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციისთვის, მაგრამ იმუამად მთლიანად რეგიონში არსებული რთული ვითარების გამო კომიტეტი იძულებული გახდა დატოვებინა ქალაქი. გალის რაიონის ოფიციალური გამგეობა (შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით) მუშაობას შეუდგა 1993 წლის ნოემბრში და დროებით განთავსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობაში (ქ. თბილისი, ინგოროვას ქუჩა). ჩგამგეობის ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს პარლამენტის წევრს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ყოლბაიას. 1994 წელს გალის რაიონის გამგეობა ფაქტიურად გადავიდა ზუგდიდში, ვინაიდან გალის რაიონიდან დევნილთა უმეტესობა თავმოყრილი იყო სამეცნიეროს რეგიონში.

რაიონის გამგეობას მისი შექმნის პირველივე დღიდან მრავალი ფუნქცია დაეკისრა. მათ შორის, დევნილთა დაბინავება, ჯანდაცვა, სურსათით უზრუნველყოფა, პირველადი აღრიცხვა, დაკარგული პირადობის მოწმობისა და სხვა დოკუმენტების აღდგენა, სეპარატისტების მიერ აფხაზეთში ქართული მოსახლეობის მიერ განხორციელებული გენოციდის, ეთნიკური წმენდის ფაქტების დამდგენი სამუშაო ჯგუფების კოორდინაცია. თვითმხილველთა ცნობების საფუძველზე შეიქმნა აფხაზეთში ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების ამსახველი მასალები. გალის რაიონის გამგეობა დღემდე მასპინძლობს კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით რეგიონში (ასევე აფხაზეთში) ჩასულ უცხოელ სტუმრებს (1994 წელს გამგეობა-

ში იმყოფებოდა აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი), საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, მაღალი რანგის პოლიტიკოსებს და სამხედრო მოღვაწეებს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს. ჩვამგებამ(ასევე აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების საინფორმაციურუნველყოფის ცენტრმა, რომელიც 1994 წლის ივნისში შეიქმნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით და გარკვეული პერიოდი ქ. ზუგდიდში ფუნქციონირებდა) მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენაში, დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების სამშვიდობო ძალების სარდლობასათან ურთიერთობის მოწესრიგებაში. პრაქტიკულად გალის რაიონის გამგეობაში უზრუნველყო აფხაზეთში დევნილების ეტაპობრივი დაბრუნების თაობაზე მხარეთა შეთანხმების შესაბამისად გალის რაიონის ეკონომიკური და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავება.

სამწუხაროდ, კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მხარეებს შორის 1995-1997 წლებში მიღწეული ერთგვარი პროგრესი უკუგდებულ იქნა გალის 1998 წლის მაისის მოვლენებით, როცა კვლავ აიძულეს 40 ათასამდე გალელი დაეტოვებინა მშობლიური ადგილები. ბევრი მათგანი განსახლდა საქართველოს დიდ ქალაქებში, მათ შორის დედაქალაქში, უმეტესობა ე.წ. კერძო სექტორში და ძალის დამდებარებულ ადგილებში.

გალის რაიონის მეორე წმენდიდან ათი წლის შემდეგაც სოხუმის რეჟიმი კატეგორიულად აცხადებს უარს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შემუშავებაზე, რომელიც უზრუნველყოფდა დევნილთა და ლტოლვილთა მშობლიურ ადგილებში ღირსეული დაბრუნების დაწყებას, აფხაზეთში აფხაზი ეთნოსის არსებობისა და განვითარების საერთაშორისო გარანტიების შექმნას, რომელიც დაეფუძნებოდა აფხაზეთის ომამდელი მოსახლეობის თანასწორუფლებიანობას.

„დილის გაზეთი.“
18 თებერვალი, 2004წ.

აქ ჩემი პრეზიდენტია

მადლიერმა ამერიკელმა ხალხმა ამერიკის ერთ-ერთ დამაარსებელს – თომას ჯეფერსონს მემორიალი დაუდგა. ქანდაკების ირგვლივ წარწერაა: “მე და-ვიფიცე უფლის საკურთხეველთან, რომ სამარადისო ბრძოლა გამოვუწხადო ადამიანის გონიერაზე ყოველგ-ვარ ტირანიას.”

ევეყნის, სახელმწიფოს ლიდერს და წინამძღოლს უძველე-სი დროიდან პატივს მიაგებს ხალხი და ქვეყანა. ყურადღება და პატივი განსაკუთრებულია ყველაზე გამორჩეულთა მიმართ, რომლებმაც შექმნეს ძლიერი სახელმწიფოები, გაიმარჯვეს დიდ ომებში, შეცვალეს ქვეყანა, უზრუნველყოფების თავისი ხალხის თა-ვისუფლება, უსაფრთხოება, კეთილდღეობა.

ისტორიას ტირანთა ბატონობის უამრავი მაგალითიც ახსოვს, მათ ხალხმა, დრომ და ისტორიამ გამოუტანა განაჩენი, მაგრამ ისინი იყვნენ, მათ ვერ წაშლი ისტორიიდან და მათი ხსოვნაც უნდა არსებობდეს როგორც გაფრთხილება ყველა თაობისთვის.

მრავალ სახელმწიფოში, განსხვავებულ კულტურულ, რელი-გიურ, ფსიქოლოგიურ თუ სხვა ფასეულობათა მიმდევარ ქვეყ-ნებსა და ხალხებში ტრადიციად იქცა პირველ პირთა პატივცე-მა მათივე სიცოცხლეში, გარდაცვლილ თანამდებობის პირთა რიტუალური დაკრძალვა, საამისოდ სამუდამო განსასვენებელი ადგილის შერჩევა და მისთვის კანონით განსაზღვრული სტატუ-სის მინიჭება.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში ამ საკითხისადმი ჩვენი ხალხის დამოკიდებულების არაერთგვაროვნება განაპირობა ბევრისთ-ვის ახლა ავადსახსენებელმა მავზოლეუმებმა მეზობელ ქვეყ-ანებში, ასევე ჩვენში საკმაოდ ფეხმოკიდებულმა ისტორიულმა ტრადიციამ, რომლის მიხედვით მეფე თუ გამორჩეული დიდგვა-როვანი თვითონ ირჩევდა თავის განსასვენებელ ადგილს (ანდერ-ძი) ან დინასტიური გვარი და ოჯახი წყვეტდა ამ საკითხს.

ცხადია, რომ ქვეყნის პირველი პირების სავანე, მათი ნეშტი

და საძვალე ყოველთვის განიხილებოდა, როგორც იმ დროისა და მომავალი თაობების წინაპრებთან უწყვეტი კავშირის მიწიერი სიმბოლო, ეროვნული კუთვნილების, ეროვნული და სახელმწიფოებრივი სიამაყისთვის თაობათა აღზრდის საშუალება.

ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში, აშშ-ში და სხვაგან, პირველ პირებზე, მით უფრო გარდაცვლილებზე, აუგს ვერავინ გეტყვით, რადგანაც არჩეული პირველი პირი პირადად მისი, ხალხის და სახელმწიფოს უმცდარობის ანარეკლია. განსხვავებას ვერ შენიშნავთ – ცოცხალია პრეზიდენტი, პოსტზე გარდაიცვალა, იმპიჩენტით გადააყენეს თუ მოკლულ იქნა. პრეზიდენტი ხალხის რჩეულია, და ამდენად, დაფასებულია სიცოცხლეში და სიცოცხლის შემდგომაც.

ამერიკელთა გულებს სიამაყით ავსებს ოულდ გრენერის სასაფლაო ბოსტონში, სადაც სხვებთან ერთად დასაფლავებული არიან ბოსტონის ხოცვა-ულეტის მსხვერპლნი და დამოუკიდებლობის დეკლარაციის სამი ხელმომწერი, მასაჩუსეტსის ექვსი გუბერნატორი, ასევე რიგი გამოჩენილი დისიდენტი დიდი ბრიტანეთიდან. ღვთისმოსავმა, ფხიზელმა, მკაცრმა პურიტანებმა და მათმა უფრო ზომიერმა შთამომავლებმა ამ დიდ ქვეყანაში დაამკვიდრეს თავისუფლების, მუყაითი შრომის, ინიციატივის, თვითგანვითარების და განათლების ტრადიციები, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამერიკის სახელმწიფოს შემდგომი განვითარება და თავისუფლებისკენ სწრაფვა.

სავსებით ბუნებრივია არსებობდეს აზრი, რომ დემოკრატიულ საქართველოშიც მოეწყოს პრეზიდენტთა (ასევე ერის სულიერ მამათა, სახელმწიფო მოღვაწეთა) სამუდამო სავანე, გაშენდეს ტყე-პარკი (იქნებ ე.ნ. დემოკრატიის ხეივანი), რომელიც მოეწყობა ქვეყანაში არსებული ადათ-წესებისა და ტრადიციათა გათვალისწინებით და გახდება ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული ღირსშესანიშნაობა.

იქნებ ეს თვალსაზრისი იმ ტკივილითაც არის ნაკარნახევი, რომ ქართველმა ხალხმა დღემდე არ იცის სადა საქართველოს

მეფეთ-მეფის თამარის, ერის რიგ სხვა წინამდლოლთა თუ გა-
მორჩეულ ადამიანთა ძვალშესალაგი.

უდავოდ სწორია ქვეყანაში მომწიფებული აზრი საქართვე-
ლოს ყოფილი პრეზიდენტების სამშობლოში გადმოსვენებისა
და მათი სახელების უკვდავყოფის შესახებ. საქართველოში ეს
პრობლემა ახლებურ გააზრებას მოითხოვს, რადგან დემოკრა-
ტიული სამყაროსთვის, საითკენაც ჩვენ მივისწრაფით, ხალხის
მიერ არჩეული პირველი პირი სიცოცხლეში და მის შემდგომაც
არის ხალხის და ქვეყნის კუთხით უგველა მისი ღირსებით და
ნაკლით. ბუნებრივია, ოჯახისა და ახლობლების აზრი ანგარიშ-
გასაწევია, მაგრამ გადამწყვეტი არ უნდა იყოს.

იქნებ დადგა დრო ქვეყნის დედაქალაქში (იქნებ სხვა ქალაქში,
რეგიონში) შეიქმნას პრეზიდენტთა (ასევე გამოჩენილ სახელმ-
წიფო მოღვაწეთა) პანთეონი, მემორიალი, რომელიც მომავალი
თაობებისთვის გახდება ხალხის ნებისა და არჩევანის პატივის-
ცემის წმინდა ადგილი.

ჩვენც უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ უნაკლო, უშეცდომო
ადამიანები არ არიან და არც იქნებიან, მით უფრო ხელისუფლე-
ბაში, რადგანაც პირველი პირი, როგორც წესი, განსხვავებული
პოლიტიკური ძალების ჭიდილის პროდუქტია და მხოლოდ დრო
და ისტორიაა უშეცდომო მსაჯული.

ლათინელებს დაეჯერებათ: „მიცვალებულებზე ან კარგს ამ-
ბობენ ან დუმილს არჩევენ“ იქნებ დადგა დრო, ჩვენც მივაგოთ
პატივი ჩვენი ხალხის ტრადიციას, გარდასულ ადამიანთა მიმართ
დიდსულოვანი მიმტევებლობის ღვთიურ ნიჭს და უზენაესი მი-
წიერი მსაჯულის-ხალხის არჩევანს, რათა საქართველოს ყველა
თაობამ სიამაყით თქვას: აქ ჩემი პრეზიდენტია!

„დილის გაზეთი,
17 აპრილი, 2004წ.

გალის მაისის ტრაგედია – უსახელო თავდადება?

„ქართველებმა აფხაზეთის ზღვისპირა სოფლებში, საბერიოში, დიხაზურგაში, სათანჯოს მთაზე ქართული დროშა ააფრიალეს, რომელიც რუსებმა ჩამოხსნეს. ეს ის დროშა იყო, ხუთი წელიწადი გულის გულში, რომ ინახავდა აფხაზეთის მრავალტანჯული ქართველობა. ქვეყნისთვის იმ მძიმე დროში შეუპოვარმა ქართველებმა ხუთი უმშვენიერესი დღე აჩუქეს საქართველოს, ეს ბრძოლის, იმედის, ქართული სულის ზეობა იყო. მათ ხუთი დღით წელში გამართეს აფხაზეთის ქართველობა, ხუთი დღით მოხსნეს გალელებს საკუთარი ეზო კარიდან გაძევებულის სამარცხვინო დამდა და ისევ გალებად, სოხუმელებად, გაგრელებად აქციეს.“

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა.“ მაისი, 2001წ.

გალის მაისი მოვლენები (მეხუთე წმენდა) ნამდვილად არის გაკვეთილი იმისა, თუ როგორ არ უნდა გაიმეტო საკუთარი ხალხი, არ ითამაშო ქვეყნისთვის გულანთებულ, მაგრამ მამულიდან გაძევებით ლირსებაშელაბული მამაცი მამულიშვილების გრძნობებზე, არ წამოიწყო ავანტიურა, წინდაუხედავი სამხედრო ოპერაცია მოხალისე მებრძოლების, მოხუცების, ქალებისა და ბავშვების იმედით. ეს არის იშვიათი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება უთავბოლო და მოთამაშე ხელისუფლების მიერ არჩეული მიზანი ჯოჯოხეთად გადაექცეთ იმათ, ვინც დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე ყოველთვის მზადაა პირნათლად მოხადოს თავის ადამიანური ვალი სამშობლოსა და მამულის წინაშე. ეს არის გაკვეთილი იმისა, თუ როგორ გადააქცია ხელისუფლების უგუნურებამ ოკუპირებულ აფხაზეთში, მის ზღვისპირა სოფლებში, მაღალმთანი საბერიოს ცენტრში თუ სათანჯოს მთაზე ამაყად მოფრიალე საქართველოს დროშა უსახელო დამარცხების და ლარიული დანებების სამარცხვინო ბაირალად.

ჩვენი ვალია მუდამ გვახსოვდეს 1998 წლის მაისის მოვლენე-

ბი ისეთად, როგორც ის თავს დაატეხეს გალის ისედაც გატან-ჯულ მოსახლეობას, არასოდეს დავივინწყოთ 76 გულანთებული ქართველი პატრიოტი, რომლებიც დაუფიქრებლად გადაეშვნენ უთავბოლო ორომტრიალის განწირულთა მორევში და თავისი უკანასკნელი ბრძოლა გადაიხადეს გალის მიწაზე საქართველოს სახელით და საქართველოსთვის.

ქართული საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, ძირითადად გალის რაიონული განყოფილების მუშაკებმა თავის თავზე მიიღეს აფხაზური ძალების მიერ გალის რაიონში (რუსეთის სამშვიდობო ძალების ვერაგობით) მძიმე ტე-ქნიკითა და შეიარაღებით შემოყვანილი სამხედრო შენაერთების ძირითადი დარტყებმა მთისწინეთის გორაკებში და ფეხი არ მოი-ცვალეს წინააღმდეგობის კერძიდან. მათ იომეს, მარტოდმარტო იბრძოლეს, არ დანებდნენ რიცხვით ათჯერ მეტ მოწინააღმდეგებს. როცა სათანაზოს ბრძოლების მონაწილე უკანასკნელი შოლიციელიც მწყობრიდან გამოვიდა, ადგილობრივმა ქალებმა თეთრი ბაირალი აღმართეს, რათა დაჭრილები და დახოცილები ენგურს გაღმა გამოეყვანათ.

მაინც ვინ და რატომ დაგეგმა და წამოიწყო გალის ე.წ. გალის განთავისუფლების ოპერაცია, რა გარიგება იყო ამ პროვოკაციის უკან და რა იყო ნამდვილი მიზანი, ვინ აგო ან აგებს პასუხს დახოცილი და დასახიჩრებული ადამიანების, ხელახლა გადამწვარი სახლების, ანიოკებული და ხელახლა დევნილად ქცეული ათასობით ადამიანის ტანჯვა-წამებისთვის?

ეს ის კითხვებია, რაზედაც პასუხი ტრაგედიიდან ხუთი წლის შემდეგაც არ გაცემულა. ამ „უხერხულობას“ არ იმჩნევენ ტრაგედიის ორგანიზატორები, „საავტორო“ უფლებები, როგორც ეტყობა, დღემდე მკაცრადაა დაცული.

* * *

1997-1998 წლებში გალის რაიონში, აფხაზეთის კონფლიქტის ეგრეთწოდებულ უსაფრთხოების ზონაში, შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. მიუხედავად არაერთგზის „წმენდისა“, მო-

სახლეობა მაინც უბრუნდებოდა გადამწვარ და გაპარტახებულ ეზო-კარს.

ხალხმა ნელ-ნელა ააღორძინა საოჯახო მეურნეობა, გაუმ-კლავდა შიმშილს, შეიქმნა პრიმიტიული საცხოვრებელი პირო-ბები. დევნილების ამ ნაკადს მხარში ამოუდგნენ პედაგოგები, შემორჩენილ სახლებში გახსნეს სკოლები, და ყოველივე ეს კეთ-დებოდა, როგორც ქართული, ისე აფხაზური ხელისუფლების პა-სიური დუმილის პირობებში, ყოველგვარი დახმარების გარეშე.

რაიონის ქვედა ზონის ზღვისპირა და ენგურისპირა სოფლე-ბის მოსახლეობა ნელ-ნელა აგრძელებდა ძველი, უბატონო სა-მურზაყანოს ტრადიციას, ანუ როდესაც ქართველ და აფხაზ თა-ვადთა გაუთავებელი ქიშპობით გადაღლილი ხალხი არ ემორჩი-ლებოდა არც შერვაშიძეებს და არც დადიანებს.

გალში ოფიციალურად შესვლის და უსაფრთხოების გარან-ტიას მოსახლეობას არავინ აძლევდა, შემოსულებს კი ვითომ იცავდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალები, რომელთა იმედი დიდი ხანია ამოენურა მოსახლეობას („მიროტვორცებს“ ხალხმა „ვორ-ტოვოცები“ შეარქვა). ამ წლებში, აფხაზურ მხარესთან ე.ნ. სტა-ტუს-კვოს ინარჩუნებდნენ პარტიზანები, რომლებიც უხმაუროდ აკეთებდნენ თავიანთ საქმეს და, რაც მთავარია, რამდენადაც შეეძლოთ იცავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ყოველ შემთხ-ვევაში, სწორედ მათი შიშით აფხაზური ადმინისტრაცია ცხვირს არ ჰყოფდა ქვედა ზონის სოფლებში.

1998 წლის გაზაფხულიდან ვითარება მკვეთრად შეიცვალა.

სოხუმის სეპარატისტულმა მთავრობამ ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში გალში შეიყვანა აფხაზური მილიციის 150 კაცის-გან შემდგარი რაზმი, რომელმაც მოსახლეობის დარბევა დაიწყო. ძალადობას წინ აღუდგნენ ადგილობრივი მოსახლეები. ცალ-კეულ სოფლებში მოხდა შეტაკებები, რის შედეგადაც აფხაზმა მილიციელებმა დანაკარგი განიცადეს და დატოვეს ზღვისპირა მხარე.

საქართველოს ხელისუფლებაში, როგორც ეტყობა, იყვნენ ძალები, რომელთაც გალში არსებული ვითარება გააზვიადეს და

თავის სასარგებლოდ გამოყენება განიზრახეს, მაგრამ მოვლენები სხვისი და სხვა სცენარით განვითარდა.

„მოქალაქეთა კავშირის“ მიერ ენგურის ხიდთან დაწყებული აქციები სოფელ ფიჩორში გამართულ მარულაში გადაიზარდა, რასაც აფხაზური მხარის გაღიზიანება მოჰყვა. 20 მაისს, გამთენისას, გალის რაიონში სადამსჯელო ოპერაციის ჩასატარებლად რუსეთის სამშვიდობო ჯარის ფორმაში გადაცმული აფხაზ ბოევიკთა რაზმები შეიყვანეს, რომლებმაც შეუტიეს სიდას, ხუმუშქურს, ზემო ბარღებს, რეფს, რაიონის სხვა სოფლებს. პროვოკატორები ადგილობრივ მოსახლეთა ეზოებში, გზებზე ყრიდნენ პროკლამაციებს: „სიკვდილი ქართველებს!“, „გაეცალეთ აქაურობას!“.

დაიწყო ქართველთა ფართომასშტაბიანი „წმენდა“, ხოცავდნენ ადამიანებს, იდევნებოდა მოსახლეობა, იწვოდა ასობით სახლი.

მოსახლეობის დაცვა პარტიზანებს დააკისრეს. კვლავ გაჩაღდა ბრძოლები ქვედა და ზედა ზონის სოფლებში, ზოგან აქტიური, ზოგან პოზიციური. რუსეთის სამშვიდობო ძალები ე.ნ. ნეიტრალიტეტის იცავდა და მოვლენებში ღიად არ ერეოდა, თუმცა აფხაზურ მხარეს ნება მისცეს შეზღუდული შეიარაღების ზონაში შეეტანათ ტანკები, არტილერია, ნაღმსატყორცნები და დაებომბათ გალის რაიონის ენგურჟესების არხის გამოლმა მდებარე ტერიტორიები, პარტიზანებისა და ადგილობრივ მოხალისეთა განლაგების ადგილები. გაუჭირდა აფხაზურ მხარეს და კვლავ უხმო საშველად კავკასიელ ვოლონტერებს, რუსული არმიის პროფესიონალებს.

მეტად გართულდა ვითარება და 24 მაისს გალის რაიონის დაბალ ზონაში შეყვანილ იქნა საქართველოს სამხედრო ძალებისა და პოლიციის შეზღუდული შენაერთი მძიმე ტექნიკის გარეშე. მათ გასასვლელი დერეფანი მოუწყვეს დევნილ მოსახლეობას, მაგრამ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

25 მაისს გაგრაში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელზეც ხელი მოეწერა ოქმს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

აფხაზურმა მხარემ გალის რაიონში ჩვეული ვერაგობით და სისასტიკით გააგრძელა სოფლების გადაწვა. ანამეს და დახოცეს ადგილობრივი მშვიდობისანი მცხოვრები, მათ შორის უურნალისტი გიორგი ჭანია. უგზო-უკვლოდ დაიკარგა ათეულობით ადამიანი, ენგურს გამოლმა გადმოვიდა 40 ათასამდე უსახლკარიდ ხელახალი დევნილი.

ბრძოლის ველიდან თეთრი ბაირალით გამოქცეული ხელი-სუფლება ათეულ ათასობით ახლად დევნილის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ადგილი არ იყო მათი პრობლემების მინიმალურად მოგვარება. ეს ტვირთი ისევ საკუთარ თავზე აიღო მხედრიონის მიერ მრავალჯერ დარბეულმა და ანიოკებულმა, თავადაც გაძვალტყავებულმა სამეგრელოს მოსახლეობამ და კიდევ ერთი წელი უყოფდა მათ თავის მწირ ლუკმაპურს.

ხელისუფლებამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ხალხის რისხვის შემარბილებლად ზუგდიდში, ასე ვთქვათ, მძევლად დატოვა სოფლის მეურნეობის მაშინდელი მინისტრი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბაკურ გულუა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია.

გამწარებული ხალხის მრისხანე შეტევებს იგერიებდნენ ისინი, ასევე სადღელამისო იგერიებდა აფხაზეთის ისინი თავჩაქინდრული უსმენდნენ და თავის თავზე იღებდნენ მეტად მწარე, მაგრამ ხელისუფლების მიერ დამსახურებულ, რბილად თუ ვიტყვით, საყვედურებს.

გამწარებული ხალხი მიმართვას მიმართვაზე უგზავნიდა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, გაეროს, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სამთავრობო კომისიამ და ზუგდიდის ადმინისტრაციამ მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს მოახერხა დროებითი თავშესაფრებიდან ხალხის გადაყვანა მიტოვებულ და გაძარცულ შენობებში.

ნათქვამია, გაჭირვებულს ლოდი აღმართზეც წამოეწვაო და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში დაუდგენელი პირებისგან დადებული ნაღმი აფეთქდა, რო-

მელმაც ერთი დევნილის სიცოცხლე შეიწირა და ასეულობით და-
შავდა.

გაერომ კვლავაც ჩვეული წესით დაგმო გალის მორიგი ტრა-
გედია, დაპირისპირების ახალი ესკალაცია და ეთნიკური წმენ-
დის რეციდივი, მაგრამ არავის გაუცია საქართველოს, საკუთრივ
აფხაზეთისა და გალის მოსახლეობისთვის პასუხი კითხვებზე:
„როგორ გაჩნდა საზენიტო დანადგარები, ე.წ. უსაფრთხოების
ზონაში, ვინ აგებს პასუხს დაღუპულ ხალხზე?“

საქართველოს 1999 წლის მოწვევის პარლამენტმა ისე დაას-
რულა საქმიანობა, რომ არც განუხილავს გალის ტრაგედიის მი-
ზეზები და არ დაუსახელებია მისი ორგანიზატორები.

უურნალისტებთან ერთერთ შეხვედრაზე ყოფილმა სახელმ-
წიფო მინისტრმა აფხაზეთის საკითხებში გიორგი ხაინდრავამ
განაცხადა, რომ აუცილებლად გამოვიძიებთ გალის ტრაგედიის
მიზეზებსო, მაგრამ, ასე არ მოხდა.

„აფხაზეთის ხმა,“
27 მაისი, 2004წ.

პესლანი ავთაზოთი

ბესლანის ტრაგედიამ უკიდურესად აღაშფოთა მსოფლიოს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი. ჩვენ ვიხილეთ ტერორიზმის ყველაზე ველური ფორმა რუსეთში – შიშველი ძალადობა ბავშვების მიმართ, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული.

ფაქტის მიმართ საქართველოს მტკიცე პოზიცია მსოფლიოს გასაგონად გაცხადდა. უფრო მეტიც, არ დარჩენილა საქართველოში ოჯახი, ადამიანი, რომელმაც საკუთარ ტკივილად არ აღიქვა ბესლანელი ბავშვების, მათი მშობლების, მასწავლებლების, და საერთოდ, ჩრდილოეთ ოსეთის (ალანია) უბედურება.

სამწუხაროდ, იმ დღეებში რუსეთის მედიაში დაიწყეს საუბარი ტერორისტთა შორის რაღაც ქართულ კვალზე, თუმცა მალევე უარყოფის. მაგრამ ამით „საქართველოს კვალის“ საკითხი არ ამონურულა. ქართული მედიის ინფორმაციით სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა იმ დღეებში განაცხადა: „მაქვს მტკიცება, რომ ბესლანში ბავშვებზე თავდამსხმელთა შორის იყო საქართველოს მოქალაქე. მისი დაღუპვის შემდეგ პანკისის ხეობაში, მშობლიურ სოფელში, პანაშვილი გადაიხადეს.“

ამ ინფორმაციამ საზოგადოების მოთმინების ფიალა აავსო. მასედია თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა, უეჭველი გახადა (რუსული გაზეთები, სხვა წყაროები), რომ ბესლანის ტერაქტში სხვადასხვა ეროვნების მოძალადეები მონაწილეობდნენ, მათ შორის რუსები და ოსიც კი. ძიებამ მართლაც დაადასტურა, რომ ბესლანის ტრაგედიაში მონაწილეობდნენ რამდენიმე ერის წარმომადგენლი, მაგრამ ქართველი – არა!

ვინაიდან ამდაგვარ დანაშაულს ხანდაზმულობა არა აქვს, მინდა ქართველი, აფხაზი, ოსი, ჩეჩენი, რუსი და სხვა მკითხველის ყურადღება მივაპყრო რეალურ ფაქტებზე თუ სად გაიარეს ბავშვებსა და ქალებზე ძალადობის პირველი წრთობა ბესლანის ტრაგედიის ორგანიზატორებმა და უშუალო შემსრულებლებმა.

* * *

1993 წლის 19 სექტემბერს აფხაზებმა და ექვსასამდე კონფედერანტმა ალყაში მოაქციეს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე მდებარე დიდი ქართული სოფელი ახალდაბა. ტყვედ აყვანილი ყველა მამაკაცი დახოცეს, ხოლო სამასამდე ქალი და ბავშვი საშუალო სკოლის შენობაში შერეეს.

ტყვე ქალთა ბანაკმა 25 დღე და ღამე იარსება. შედარებით ასაკოვანი ქალები შენობის პირველ სართულზე დატოვეს, ხოლო გოგონები – მეშვიდე და უფრო მაღალი კლასის მოსწავლეები და 25-30 წლამდე ასაკის მასწავლებლები ზედა სართულში გადაიყვანეს.

ამ დღიდან დაიწყო ბოევიკების მიერ მცირენლოვანი და უფრო მოწიფეული ასაკის გოგონების მასიური წამება: ინდივიდუალურად, ჯგუფურად, თანაც დღედამები რამდენჯერმე, ვისაც საამისო სურვილი ჰქონდა და არ ეზარებოდა; იყო სანაძლეოები მამაკაცურ სიძლიერეზე, წაგებულ ბანქოზე, მიზანში სროლაზე, არაყსა და ე.ნ. წარკონამლის ერთ წილზე. არსებული გადმოცემით, გალეშილი და წამლით გაბრუებული ბოევიკები ბავშვებს უკრძალავდნენ ჩაცმას, დაძინებას, გარე სამყაროსთან ურთიერთობას. არავინ აქცევდა ყურადღებას ბავშვების ცრემლებს, ხვეწნა-მუდარას, მამაშვილურ წამუსზე შეგდებას. ფიზიკურად გამორჩეულ ბავშვებს სხეულზე, რომლებზედაც „მოხხოვნილება“ მაღალი იყო, მომხმარებლები საკუთარ სახელსაც ასვირინგებდნენ. დადგენილია, რომ ბოევიკებმა წამუსი ახადეს იმ ოთხ არასრულნლოვან მოსწავლე გოგონასაც კი, რომელთა მამა წინა დღეს დახვრიტეს.

ქართველ ქალთა ბანაკის არსებობასა და იქ მიმდინარე საშინელებებზე ხმა პირველად აღუმაღლებიათ აფხაზ პედაგოგებს, რომელთაც მოუხერხებიათ ტყვეთა ბანაკის დაშლა, თუმცა ზოგიერთ ბოევიკს სხვაგან გადაუყვანია გამორჩეული ბავშვების ნაწილი, მათ შორის აფხაზეთის ფარგლებს გარეთ.

ფაქტის თაობაზე ქართველმა საზოგადოებამ განგაში ატეხა ქვეყნის შიგნით და გარეთ, მაგრა მაშინ ამ ამბის მომსმენი, მით

უფრო დამჯერებელი ცოტა ვინმე თუ იყო.

ჩატარდა სამართლებრივი მოკვლევა, არსებობს სათანადო საბუთები, მაგრამ ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ ამ მოკვლენას, ისევე, როგორც აფხაზეთში ჩადენილ სხვა დანაშაულობებს, დღემდე და სამართლებრივი შეფასება არ მოჰყოლია.

აღსანიშნავია, რომ მოძალადეთა აპსოლუტური უმრავლესობა დაქირავებული ბოევიკები იყვნენ, რომლებიც გოგონებს გამარჯვებული მეომრის ალაფად თვლიდნენ, თანაც, მხოლოდ ქართველებს!

ახალდაბის ამკლებ ბოევიკებს შორის, ამბობენ, იყვნენ ოსი ეროვნების მებრძოლები, მაგრამ ჩვენი ხალხების ისტორიული ძმობის, ნათესაობის, ოსი ხალხის ქრისტიანული კეთილსინდისიერების გათვალისწინებით, ქართულმა მასმედიამ მაშინ ამ თემაზე თავშეკავება არჩია. უფრო მეტიც, იქნებ ჩვენი ეროვნული ხასიათისა და გადაჭარბებული მიმტევებლობის გამო კონკრეტულად არც ერთი ხალხის წარმომადგენელი არ დადანაშაულებულა, რადგანაც ქართველები ვთვლით, რომ ბოროტმოქმედებს, ტერორისტებს, მოძალადეებს არც სამშობლო აქვთ და არც ეროვნება.

ომების ისტორიას ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის უამრავი ფაქტი ახსოვს. ცნობილია ისიც, რომ ომის მთელი სიმძიმე ქალების ზურგზე გადადიოდა ხოლმე, მაგრამ პედოფილია, ბავშვებზე ძალადობა, სხვა გაუგონარი სისასტიკე სპეციალისტებს ახალ მოვლენად მიაჩინათ.

ამიტომაც მიგვაჩინა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სისტემაში ბავშვთა დაცვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მიღებულ იქნას ყველა სახელმწიფოსთვის სავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები და გატარდეს პრევენციის განსაკუთრებული ღონისძიებები.

ბესლანის ტერაქტის დროს ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ჩადენილი დანაშაულით გამოწვეული ზიზლი და ზოგადსაკაცობრიო აღშფოთება შესაძლებელია წამოწეულ იქნას

ძლიერ იდეოლოგიურ ფაქტორად ტერორიზმის ნამდვილი ბუნების სამხელად, გამოყენებულ იქნას მოქნილ ინსტრუმენტად ტერორიზმში ჩათრეულ ადამიანთა რიგებში დაპირისპირების შესატანად.

უეჭველია, თავის დროზე სათანადო შეფასება და მსოფლიო რეზონანსი რომ მისცემოდა აფხაზეთში, კერძოდ ახალდაბაში, ქართველი ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულს, შესაძლებელია არ ყოფილიყო ბესლანის ტრაგედია, არ ყოფილიყვნენ მისი ინიციატორები და შემსრულებლები.

ბესლანის ტერაქტის შემდეგ, რომელსაც ამდენი მსხვერპლი და ადამიანური ტრაგედია მოჰყვა, სხვა თუ არაფერი, უბრალოდ უზნეობაა თითის გაშვერა რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეზე ან ეროვნული ნიშნით ტერორისტზე, როცა არავის და არასოდეს გაუხდია საეჭვოდ, რომ ტერორისტებს, ბავშვებზე მოძალადებს არა აქვთ, არც არასოდეს ჰქონიათ ლირსება, მით უფრო ადამიანობა.

ახალდაბამ და ბესლანმა უფრო მჭიდროდ უნდა დაგვაკავშიროს ქართველები და ოსები, სხვა ეროვნების ადამიანები კაცობრიობის ახალი „შავი ჭირის“ წინააღმდეგ საბრძოლველად, ამ საქმეში ყოველგვარ გაუგებრობათა ერთად დასაძლევად.

„აფხაზეთის ხმა,“
24 დეკემბერი, 2004წ.

მშვიდობა, დამოუკიდებლობა თუ კონსტიტუციური წასრიგის ძალით აღდგენა?

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი
და განუყოფელი სახელმწიფო.“

„არავის არა აქეს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ
მოიპოვოს ხელისუფლება.“

(საქართველოს კონსტიტუციიდან)

მშვიდობა ადამიანთა ყველა მოდგმის მარადიული ოცნებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, კაცობრიობის, სახელმწიფოების, ხალხების ისტორია, უპირველეს ყოვლისა, კონფლიქტების და ომების ისტორიაა.

ყველაზე დიდი უბედურება სამოქალაქო ომი და შიდა კონფლიქტებია, რომელიც ძმებს, ნათესავებს, მეზობლებს, მოხუცებს, ქალებს თუ ბავშვებს ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აყენებს.

აფხაზეთის ომმა დიდი უბედურება მოუტანა დამოუკიდებელ, მაგრამ უცხო ქვეყნის ბორკილებისგან ახლად განთავისუფლებულ და დემოკრატიის გზაზე შემდგარ სახელმწიფოს, სასიკვდილო დარტყმა მიაყენა ქვეყნის გარდამავალ ეკონომიკას; ომმა შეიწირა ქვეყნის საუკეთესო ადამიანები, განადგურდა აფხაზეთის ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალი, სახეზეა უზარმაზარი მატერიალური და ფინანსური დანახარჯები. ჩგაეროს მონაცემებით 2000 წლის ბოლოსთვის საქართველოში ცხოვრობდა 272 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთაგან 96% არის აფხაზეთიდან დევნილი. იძულებით გადაადგილებული პირები უმეტესად ცხოვრობენ სამეგრელოში (42%), თბილისში

(33%), იმერეთში (12%). უკანასკნელ წლებში მათი დიდი ნაწილი საცხოვრებლად გადავიდა ქალაქებში, სადაც დასაქმებისა და ფიზიკური გადარჩენის მეტი შესაძლებლობაა. ქალაქ თბილისში მათი რაოდენობა 40 ათასიდან (1997წ.) 2001 წლისთვის 90 ათა-სამდე გაიზარდა.

შიდა კონფლიქტებითა და აფხაზეთში დამარცხებით გაჩა-ნაგებული სახელმწიფოსთვის მეტად რთულია დევნილთა და ლტოლვილთა შენახვა. 2001 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა იგპ-თა შესანახად გაიღო 57,2 მილიონი ლარი, რაც მთელი ბიუჯე-ტის 6,4 პროცენტია, რაც უფრო მეტია, ვიდრე თავდაცვისთვის გამოყოფილი ხარჯები (4,1%), ასევე მეტი, ვიდრე განათლებისა და ჯანდაცვისთვის ერთად აღებული ხარჯები. გარდა ამისა, დევნილები გარკვეულ დახმარებას ღებულობენ ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მათი კომპაქტური დასახლების ადგილებში. ქა-ლაქ თბილისში დევნილთა ტრანსპორტით უფასო მომსახურება 8,2 მილიონი ლარის ჯდება, რაც დედაქალაქის ბიუჯეტის 5 პრო-ცენტია. მთავრობა აფინანსებს კოლექტური ჩასახლების ცენ-ტრებში ჩასახლებულ დევნილთა კომუნალურ ხარჯებს.

დევნილებისთვის გაიცემა ინდივიდუალური შემწეობა 14 ლა-რის ოდენობით. 2001 წლისთვის ამ სახის ფულადი დახმარების დანახარჯი შეადგენდა 44,3 მილიონ ლარს. დევნილი ბავშვები სახელმწიფო ხარჯზე სხავლობენ სკოლებსა და უმაღლეს სას-წავლებლებში. სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია აფინანსებს იგპ-თა გარკვეულ სამედიცინო დახმარებას. არის სხვა არა-პირდაპირი დანახარჯები. ეს კი ქვეყნის მწირი ბიუჯეტისთვის მეტად მძიმე ტვირთია, რის გამოც 2002 წლისთვის მთავრობის დავალიანებამ 25 მილიონ ლარს გადააჭარბა.

სახელმწიფო, ცხადია, ვერ შეძლებდა დევნილთა ფიზიკურ გადარჩენას მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარების გარეშე (გაერო, ეუთო, დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორ-განიზაციები, სამოქალაქო სექტორი). უცხოეთიდან უწყვეტ ნა-კადად მოდიოდა ჰუმანიტარული დახმარება, ძირითადად სურ-სათი, ტანსაცმელი, საყოფაცხოვრებო ნივთები. საერთაშორისო

ჰუმანიტარული დახმარება შემდგომში შეიცვალა ე.წ. დახმარებით განვითარებისთვის, რაც გულისხმობდა ყოველწლიურად სახსრების გამოყოფას სახელმწიფოსთვის, რაც პროგრამული წესით განაწილდებოდა და მოხმარდებოდა დევნილთა დასაქმებას, ჯანდაცვას, საცხოვრებელი პირობების შექმნას, განსახლების ობიექტების რეაბილიტაციას. ამ ფორმით საერთაშორისო დახმარება დღემდე გრძელდება, მაგრამ ძნელი სათქმელია თუ რამდენად ხმარდება იგი დევნილთა უშუალო საჭიროებებს; დევნილთა უბედურებასა და გაჭირებაზე, სამწუხაროდ, ბევრი დღემდე ითბობს ხელს, მდიდრდებიან ცალკეული სახელმწიფო მოხელეები თუ სამოქალაქო სექტორის მესვეურები.

ასეა თუ ისე, საქართველოს სახელმწიფოს იგპ-თა სახით აკისრია უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და მორალური პასუხის მგელობა და მოვალეობა, რომლის გამკლავება გაუჭირდებოდა ევროპისა თუ აზიის ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოსაც კი.

ასეთია ვისთვეს გამარჯვებული თუ ვისთვის მარცხიანი ომების შედევი, რაც კარგად იცის მსოფლიო ისტორიამ, მაგრამ, ეტყობა, ომებს კიდევ დიდხანს ვერ შეელევა ადამიანთა მოდგმა, რადგან მარადიულია ის ინტერესები, რომლებიც „რჩეულ“ ადამიანთა ყველაზე სასიცოცხლო და თიმოსური მისწრაფებების დაკმაყოფილებას ემსახურება, მჩაგვრელთა და ჩაგრულთა (გამარჯვებულთა და დამარცხებულთა) დიდ საზოგადოებებს წარმოშობს, რომელთა შორის რეალურად განვითარებული ანტაგონიზმის გადაწყვეტა გონების ძალით და ცივილურად შეუძლებელი ხდება.

აფხაზეთში კონფლიქტი აღნიშნულის მკაფიო დადასტურებაა, თუმცა გარეგნული ნიშნებით ყველა კონფლიქტი ერთმანეთისგან განსხვავდება.

ძნელია ისეთი მაგალითის მოხმობა ისტორიიდან, როცა ნებისმიერი კონფლიქტის ლია ან ფარული მონაწილე მესამე მხარე არ ყოფილიყო. ასეთებად დიდი და ძლიერი, როგორც წესი, მეზობელი და გეოპოლიტიკური დაინტერესების მქონე სახელმწი-

ფოები გვევლინებიან. ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, რაზეც კამათი უადგილოა, ისევე, როგორც უაზროა, დავუშვათ და სხვისი იმდით ყოფის გამართლება; მოულოდნელობისგან არავინ და არაფერია დაზღვეული, რადგან, როგორც იტყვიან, „არ არ-სებობენ მუდმივი მეგობრები, არსებობენ მუდმივი ინტერესები.“

საჯარო განცხადებების გაკეთება ძლიერი თუ უძლიერესი პატრონის პოვნაზე, რომელიც მძლევის მძლევი გახდება, რბილად თუ ვიტყვით, პოლიტიკური სიბეჭეა. როცა ასე ხდება, ტერიტორიებნართმეულ ქვეყანაში დუნდება ძალისამეგა საკუთარი პრობლემის საკუთარი ძალებით გადასაწყვეტად და მოსახლეობა, რომელიც დღედამ ტანგაუხდელი უნდა იწვეს მშობლიური მიწის დასაბრუნებლად, სულიერად დატაკდება. არა და, ჩვენს მიერ გა-საღებ სისხლს სხვა არ გაიღებს; თუ გაიღებს და გაიმარჯვებს, ნაყოფიც მისი იქნება.

ვინც ზედაპირულად მაინც იცნობს აფხაზეთიდან დევნილთა მდგომარეობას, ეს არ გაუკვირდება. ეს თითოეული ჩვენთაგანის სამწუხარო რეალობაა და მკაფიოდაა ასახული აფხაზეთში კონფლიქტის შესახებ გაეროს რეზოლუციებში. სამწუხაროდ, გაეროს ყოველი მუხლის შესრულებისთვის შეუპოვარი ბრძოლის ნაცვლად, სახეზეა ქირქილი გაეროს უშიშროების საბჭოს ყოველ მორიგ რეზოლუციასთან დაკავშირებით.

გაეროს დოკუმენტებისადმი ქართული მხარის ასეთი დამოკიდებულება კი სავსებით მისაღებია სოხუმში მრავალი თვალ-საზრისით. თუნდაც ეგრეთნოდებული ბოდენის დოკუმენტისადმი დამოკიდებულება რად ღირს: სოხუმმა, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებთან შეთანხმებული ეს დოკუმენტი განსახილველად მიღების ღირსადაც არ ჩათვალა, ჩვენ გაეროს წევრები არა ვართო!

ვისაც აქვს თვალი და ყური, ამ სიტუაციიდან „ოქროს თევზის“ დაჭერას უნდა ცდილობდეს, დაუინებით მოითხოვდეს რეზოლუციის ყოველი მუხლის შესრულებას, რადგანაც დოკუმენტი, სწორედ რომ, გაეროს წევრ სახელმწიფოებს უხსნის ხელ-ფეხს მოქმედებისთვის, თვითმარქვია სუბიექტს კი თავაზიანად

აფრთხილებს, რომ, როცა დადგება საამისო დრო, ამ რეზოლუციებს საბრალდებო სკამთან დაგილაგებთო.

ჩვენ საჯაროდ, ლიად, ყველა საშუალებებით, მათ შორის არაძალადობრივი იძულებით, გაეროსაგან უნდა მოვითხოვდეთ დოკუმენტში ჩადებული ყველა პუნქტის შესრულებას, რათა მივიძყროთ მსოფლიოს ყურადღება, პირველ რიგში კი ვაიძულოთ სოხუმის რეჟიმი დაფიქრდეს, რომ გაეროს მიმართ მისი ასეთი დამოკიდებულება ერთ დროს უთუოდ გახდება მათი თავხედობის დასასრულის დასაწყისი.

სოხუმის რეჟიმს ჰყოფნის თავხედობა კატეგორიულად ამტკიცოს, რომ აქვს უფლება დევნილები, თითქოსდა მათი ძველი თუ ახალი „დანაშაულობების“ გამო, არ დააბრუნოს მშობლიურ ადგილებში, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებიდან ცამეტი წლის შემდეგაც არ შეასრულოს გაერო 35 რეზოლუციის არცერთი მოთხოვნა, დათ-ს სახელმწიფოს მეთაურთა სამიტების არც ერთი გადაწყვეტილება. ომის წლებში და შემდგომ ვლადისლავ არძინბა თავხედურად აცხადებდა, რომ მისი მიზანია „ისტორიული სამართლიანობის აღდგენა“, ანუ სტალინისა და ბერიას მიერ აფხაზეთში უკანონოდ ჩასახლებული მთიელი მეგრელების, რაჭველებისა და ლეჩხუმელების თავიანთი წარმოშობის ადგილებში დაბრუნება, რასაც, სამწუხაროდ, რიგი უცხოელი ვოიაჟორი თავის კატუნით ეთანხმებოდა კიდეც.

პოლიტიკური ბრძოლა და შეიარაღებული დაპირისპირება სასტიკი და ულმობელია. იმარჯვებს ის, ვინც არ დაერიდება გონივრულ სისასტიკეს ქვეყნის დამაქცევართა მიმართ, და არა სიმღერებითა და კონცერტებით დანამუშების მცდელობით.

სახელმწიფოს შიდა კონფლიქტში შეუძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რომელიმე მხარე იყოს დამნაშავე. ცენტრი, თავისი სტატუსის გამო, ყოველთვის დამნაშავედ ჩანს, მაგრამ ეს ფორმულა არსად და არასოდეს ყოფილა აბსოლუტური; უეჭველია, რომ თავგასულობისა და განუკითხავი მოქმედების უფლებას არსად და არავის აძლევენ, ასე რომ არ იყოს, უძლიერესი სახელმწიფოებიც დაიშლებოდნენ რეგიონებად, რაიონებად, ქა-

ლაქებად და სოფლებად. სოხუმსა და ცხინვალში უნდა იცოდნენ საქართველოს სახელმწიფოს საჯაროდ გაცხადებული პოზიცია, რომ ხვალ იქნება თუ ზეგ, მეამბოხებს პასუხისმგება მოუწევთ.

დღემდე არავის გაუხდია საეჭვოდ, რომ ცენტრი ვალდებულია ქვეყნის კონსტიტუციის თუ ავტონომიური ერთეულის კონსტიტუციის ხელყოფას, მით უფრო მათ ფეხქვეშ გათელვას უბასუხოს მოქნილად, ადეკვატურად, ხოლო ვითარების შემდგომი ესკალაციის შემთხვევაში, განახორციელოს ქირურგიული ჩარევა ყველა გონიორული და კანონიერი საშუალებებით, რომელიც მას აქვს.

სამნუხაროდ, ამჟამად, ამ გადასახედიდან ბევრი რამ სხვანაირად ჩანს, მუშაობს გარკვეული კონიუნქტურაც, მაგრამ ისტორიისთვის მიუღებელია სიტყვა „იქნებ“, „რადგან ყველაფერი ხდება კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ სივრცეში და თუ რა იყო მაშინ მთავარი თუ უპირველესი, როგორი იყო აისტერგის ქვედა ნაწილში ძალა ბალანსი, ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. სწორედ ამიტომ, ჩვენი მხრიდან ფაქტებისა და მოვლენების მეცნიერული ანალიზის და განზოგადების გარეშე დამნაშავის ძიება და ზედაპირული რიტორიკა, მით უფრო ზღვარს გადასული თვითგვემა, მტრის ნისქვილზე ასხამს წყალს, ზურგს უმაგრებს მეამბოხეთა პოლიტიკას და იდეოლოგიას. სამისო დასტურია საქართველოს ბოლო სამშვიდობო ინიციატივაზე სოხუმის გაციფრებული ანგიქართული რეაქცია, რომლის ანალოგი ადრე არ ყოფილა. ისტორია იტყვის თავის დროზე სიმართლეს, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავინყდეს, რომ სამართლიანი დასკვნები იშვიათად თუ გაკეთებულა ისტორიის გაკვეთილებიდან.

აფხაზეთის პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა ახალმა თაობამ გულწრფელად უნდა ჩაიხედოს რეალურ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში. ძნელი მისახვედრი არ არის თუ რატომ სურთ „შეკვეთილ“ ისტორიკოსებს აფხაზეთის ისტორიის ფესვები ექვებონ შორეულ ათასწლეულებში და არ ჩაიხედონ თითქმის ახლახან, თუნდაც 1623 წლიდან 29 წელიწადი წიფურიაში მოღვაწე რომაელი მისიონერების წიგნებსა (ლამბერტი, კასტელი, სხვა) და

რუკებში, სადაც ნახავენ, რომ მდინარე კორაქსამდე (კოდორი) გადაჭიმულ სამეგრელოს ვრცელ ტერიტორიაზე აფხაზური, უფრო ზუსტად, აფსუური კვალი არ ჩანს.

ეს იმათ საყურადღებოდ, ვინც სოხუმიდან გაჰყვირის, რომ ქართველები მე-19 საუკუნემდე არ ჩანანო აფხაზეთის დღევანდელ ტერიტორიაზე და მოგვიანებით შემოიჭრნენ მაპაჯირობისგან დაცლილ აფხაზეთში; იქნებ იმითაც დაინტერესდნენ თუ რამდენჯერ განხორციელდა მთის გაღმამთიელთა მიერ ქართველთა აყრა აფხაზეთიდან; იქნებ იმითაც დაინტერესდნენ თუ რატომ ჰქვია დასავლეთ საქართველოში, —იმერეთში, სამეგრელოში 23 სოფელს ილორი, ნაბაკევი, ხუმუშქური, ზენი და ა.შ., და რატომ ცხოვრობენ ამ სოფლებში იმ გვარის მატარებელი ადამიანები, რომელთა ადგილწარმოშობის არეალი მხოლოდ აფხაზეთია.

არ არის ეს დანაშაული ქართველთა წინააღმდეგ? არის, მაგრამ იმდენი ხნის წინანდელი, რომ ამისთვის მოსთხოვო ვინმეს პასუხისმგებლობა, იყივე იქნება მოსთხოვო ამერიკელებს კონტინენტის დატოვება და ევროპაში ან აფრიკაში დაბრუნება.

მე აფხაზებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება მსურს, ისევე როგორც, მთელი დევნილ მოსახლეობას, მაგრამ ეს მშვიდობა უნდა იყოს მხოლოდ სამართლიანი, კონსტიტუციით გარანტირებული, ურთიერთმიტევებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული, სხვანაირად კვლავ ვულკანის კრატერზე აღმოვჩნდებით.

ბოლო დროს ჩეცნშიც გამოჩნდნენ პაციფისტები, რომლებიც ყველაფერში დამნაშავეს საქართველოსა და ქართველებში ხედავენ, ამიტომ მხარეთა ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით შევეცდები ზოგი რამის თქმას იმაზე, რაც 1989 წლიდან აფხაზეთში და მთლიან ქვეყანაში ხდებოდა:

—1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიული დაპირისპირება, საიდანაც საქართველოს სახელმწიფომ ჯეროვანი დასკვნები ვერ გააკეთა, აგრესიული სეპარატიზმის მიმდევრებმა კი შესანიშნავად გამოიყენეს საქართველოს დაქუცმაცების დასაწყებად;

– საქართველოში წეს-წყობილების შეცვლა სეპარატისტებმა ღიად და დაუფარავად მიიჩნიეს სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს კონსტიტუციური სივრციდან გასასვლელად და ყოველგვარ საშუალებას მიმართეს გაყალბებული ე.წ. რეფერენდუმის ჩათვლით;

– აფხაზურ ენას მიანიჭეს სახელმწიფო ენის სტატუსი, ქართულ ენას კი ჩამოართვეს ასეთი სტატუსი;

– საქართველოს უმაღლესი საბჭო ღებულობდა დადგენილებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას აფხაზეთში, მაგრამ მას არავინ იზიარებდა. უფრო მეტიც, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს და მის პრეზიდიუმს უმაღლე გამოჰქონდა დადგენილებები აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის და საკუთარი გადაწყვეტილებების უზენაესობის შესახებ;

– 1990 წლის 25 აგვისტოს, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს XI მოწვევის მეათე სესია, საქართველოს და აფხაზეთის კონსტიტუციების, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიის ჩატარების პროცესუალური ნორმების უხეში დარღვევით, ღებულობს დეკლარაციას, რომლითაც საზეიმოდ აცხადებს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტს, ანუ აფხაზეთს აყენებს საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს გარეთ;

– 1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის უზენაესი საბჭო (ვლადიმირ არძინბა უკვე აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს ხელისუფლების მორიგი დათმობის შედეგად), თბილისთან შეუთანხმებლად, ღებულობს კანონს აფხაზეთის კონსტიტუციაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე, რითაც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი თვითნებურად ისაკუთრებს აფხაზეთში ერთადერთი უმაღლესი სახელმწიფო, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს სტატუსს, პრეზიდიუმის შემადგენლობაში გზას უხსნის ეთნიკურად აფხაზთა კვალიფიციურ უმრავლესობას, მიიტაცებს

უფლებას ყველა საკითხზე გამოსცეს ბრძანებულებები და განკარგულებები;

– 1991 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენის თაობაზე, რომლის პირველი მუხლი „საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთის და აჭარის სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით,“ რაზედაც სოხუმში მაშინათვე დაიწყო სპეცულაცია;

– აფხაზეთის ახალი ხელისუფლება ფაქტიურად უკვე არ ცნობს საქართველოს კანონებს და ნორმატიულ აქტებს;

– საქართველო არ მონაწილეობს სსრ კავშირის 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმში, აფხაზეთი ასსრ ხელმძღვანელობა კი მანიპულაციებით „ახერხებს“ სსრ კავშირის შენარჩუნების მხარდაჭერას;

– საქმეს ვერ უშველა საქართველოს ხელისუფლების მორიგმა, პოლიტიკურად უმნიშვნელოვანესმა (ფაქტიურად აპარტეიდულმა), გადაწყვეტილებამ (აფხაზეთში დაძაბულობის მოსახსნელად და შეიარაღებული დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად) აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში 26 ქართველის, 28 აფხაზის და 11 სხვადასხვა ეროვნების დეპუტატის არჩევის შესახებ.

– 1991 წლის 29 დეკემბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოსკოვთან შეთანხმებით მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო და მილიციის ნაწილების აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის დაქვემდებარების და მათი საქმიანობის კოორდინაციის დროებითი სამხედრო საბჭოს შექმნის შესახებ.“ აღსანიშნავია, რომ სამხედრო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიყვანეს არც ერთი ქართველი. ამით შეიქმნა აფხაზეთის უკანონო შეიარაღებული

ძალები (გაძლიერებული რუსული სამხედრო შენაერთებით), ანუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთერთი უმთავრესი ატრიბუტი;

– სეპარატისტებმა აფხაზეთის შინაგან საქმეთა ქართველი მინისტრი ძალის გამოყენებით შეცვალეს, აფხაზეთის უშიშროების სამინისტრო აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დაუქვემდებარეს და უკანონო იარაღის ამოღების საბაბით განაიარაღეს ქართველი მოსახლეობა;

– აფხაზეთში შემოიღეს მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული წესები, მოქალაქეთა ჩანარის განსაკუთრებული ნორმა, რომლის ნამდვილი მიზანი იყო აფხაზეთში მონოეთნიკური (აფხაზური) ჯგუფის მიერ ხელისუფლების უზურპაციით უკმაყოფილო მოსახლეობის მზარდი წინააღმდეგობის ჩახშობა;

– 1992 წლის 2 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი იურიდიული ძალის არმქონედ მიიჩნევს და აფხაზეთში კრძალავს „შინაგანი ჯარის – ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის ამოქმედებას;

– 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ და გამოაცხადა აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუცია, რითაც საბოლოოდ გაემიჯნა საქართველოს კონსტიტუციას, შექმნა წინაპირობები საქართველოსა და მის ძირძველი ნაწილის – აფხაზეთს შორის არსებული და კონსტიტუციურად გარანტირებული სამართლებრივი ურთიერთობის გასაწყვეტად.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიითვისა რა აფხაზეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები და უხეშად დაარღვია საქართველოს ხელისუფლებასთან მორიგება მნიშვნელოვანი კანონების მიღებისას დამცავი მექანიზმის გამოყენების თაობაზე, აიძულა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიულ აფხაზეთი“ თავისი საქმიანობისთვის მიენიჭებინა საკანონმდებლო აქტების მიღების უფლებამოსილება.

ამით დასრულდა ქართველ და აფხაზ პოლიტიკოსთა ერთობა, აფხაზეთში დამყარდა მონოეთნიკური აფხაზური მმართველობა, ჩამოყალიბდა აფხაზური შეიარაღებული ძალები, ანუ აფხაზეთი გავიდა საქართველოს შემადგენლობიდან და მოამზადა ნიადაგი აფხაზეთში კონფლიქტის პროვოცირებისთვის.

არძინბა ნიშნის მოგებით აცხადებს, რომ „დიდი პოლიტიკა თეთრი ხელთათმანებით არ კეთდება, რომ მას სჭირდება დედაქალაქი და საზღვარი, და თუ ეს ასე არ მოხდა, იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა პირველი ქართველებმა ესროლონ აფხაზებს.“

არძინბა ასრულებს თავის სიტყვას და დიდი რეჟისორის დავალებას. აფხაზეთში დღითიდლე იძაბება ვითარება, ეწყობა პროვოკაციები, რათა აფხაზი და ქართველი მოსახლეობა დაუპირისპირონ ერთმანეთს, ამასთან ამუშავდა მძლავრი იდეოლოგიური მანქანა. აფხაზეთის ქართველობა დააყენეს ალტერნატივის წინაშე: ან ალიარონ აფხაზეთის დამოუკიდებლობა ან დატოვონ აფხაზეთი.

აფხაზეთის ქართველობამ ეს მიუღებლად მიიჩნია და უზარმაზარ იმპერიასთან ღირსეულად იბრძოლა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდა.

რას გააკეთებდა ამ სიტუაციაში ნებისმიერი ნორმალური სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს ღირსებას, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, საკუთარ კონსტიტუციას, საკუთარ დაწერილ თუ დაუწერელ ისტორიას, საერთაშორისო სამართლის ნორმებს?

ფაქტია, რომ გარდამავალი პერიოდის ქართულმა სახელმწიფომ, რომელიც ჩაბმული იყო ურთულეს პოლიტიკურ ბრძოლებში იმპერიიდან თავის დასახსნელად, შემდეგ სამოქალაქო დაპირისპირებაში, ვერ მოახერხა გარედან მართული სეპარატისტული განწყობილების შეჩერება, ვითარების ადეკვატური სახელმწიფო ღონისძიებების გატარება.

ქვეყნის ტერიტორიის და კონსტიტუციის ხელყოფა მის რომელიმე რეგიონში, მოსახლეობის გახლეჩა ეთნიკური ნიშნით, მათ შორის შუღლის ჩამოგდება და სისხლისღვრის დაწყებისთ-

ვის პროვოკაციული ხაფანგების მოწყობა, არის თუ არა დანაშაული სახელმწიფოს მიმართ?

მეამბოხებმა იცოდნენ რომ გაიმარჯვებდნენ, ამასთან აცნობიერებენ საკუთარ დანაშაულს ვითარების შეცვლის მაღალი ალბათობის პირობებში, ამიტომაც დასჭირდათ გარკვეული „კონსტიტუციური შეღავათები“ შეიარაღებული კონფლიქტის მათ სასარგებლოდ დამთავრებისა და ქართული მოსახლეობის აფხაზეთიდან გაძევების შემდეგ. მხედველობაში მაქვს ე.წ აფხაზეთის რესპუბლიკის 1994 წლის 26 ნოემბრის კონსტიტუციაში აფხაზეთის გამოცხადება არა „დამოუკიდებელ“, „არამედ „სუვერენულ“ სახელმწიფოდ (დამოუკიდებლობა, როგორც ეს მსოფლიო საკონსტიტუციო პრაქტიკაშია მიღებული, „გამორჩათ“). დაიჯერებს ვინმე, რომ კონსტიტუციის შემდგენლებს და მათ მოსკოველმა მრჩევლებმა არ იციან იურიდიულ-პოლიტიკურ კატეგორიებს შორის არსებული („დამოუკიდებლობა“ და „სუვერენიტეტი“) განსხვავება?

ჩემი აზრით, ეს კარგად გათვლილი უკანდასახევი ბილიკია, აფხაზეთის მომავლისადმი ის ფრთხილი მიღვომაა, რომელიც, შეცვლილ ვითარებაში, შესაძლებელია გახდეს კონფლიქტის მონესრიგების სასტარტო პოზიცია. მით უფრო, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობის თაობაზე 1999 წელს ჩატარებული რეფერენდუმში ერთადერთი შეკითხვა იყო აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მიერ ზემოაღნიშნული კონსტიტუციის აღიარება თუ არალიარება. ძნელი სათქმელია, ასეთი ფორმულირება გაკეთდა გონიერი აფხაზი მოსახლეობის შიშით თუ მეამბოხეთა გარკვეული ფანდია თვითგადასარჩენად. მიუხედავად კონსტიტუციის შექმნელთა სავარაუდო ჩანაფიქრისა, სახეზეა კონსტიტუციის ისეთი კონსტრუქცია, რომელზე დაყრდნობითაც, აფხაზური მხარისადმი პრინციპული დამოკიდებულების და გონივრული კომპრომისების შემთხვევაში, შესაძლებელია რეალური პროგრესის მიღწევა. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ჩემი ეს ვარაუდი მცდარი იყოს და „შეღავათის“ ვექტორი ჩრდილოეთის მიმართულებაზე იყოს გათვლილი.

და მაინც, ჩემს ვერსიაზე ვრჩები.

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ (რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია ძველი ხელისუფლების ქმედებებში) აფხაზეთის მიმართ სამშვიდობო ინიციატივა, გაჯერებული ზომიერად ხისტი პოლიტიკით, თანდათანობით შეცვლის სოხუმის წრეგადასულ ამბიციებს, რადგან აფხაზეთის ახალი დე-ფაქტო ხელისუფლებაც შედარებით ნაკლებად არის შებოჭილია მეამბოხეთა ცოდვებით.

მინდა ვირწმუნო, რომ კონფლიქტს მოწსრიგებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ახალი, მრავალ-ვექტორული და კომპლექსური ინიციატივები პროცესს გამოიყვანს გაყინვის მდგომარეობიდან და გზას გაუხსნის საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეგობარ სახელმწიფოებს იმოქმედონ უფრო თამამად, როცა დარწმუნდებიან, რომ ჩვენ უკუვაგდეთ საქმის სანახევროდ კეთების მანკიერი პრაქტიკა, ხელი მოვკიდეთ რადიკალურ რეფორმებს, აღმშენებლობას და ძალგვიძს ყოველი ჩვენი განცხადების უკან დადგეს რეალური პოლიტიკა და ძალა.

ჩვენმა და მომავალმა თაობებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ჩვენ ხშირად გვცემდნენ დაქსაქსულობის, ერთმანეთის გაუტანლობის, პოლიტიკური მერყეობის, სხვისი მოიმედობისა და დაუდევრობის გამო, როცა სათავეში ეროვნული სულის მატარებელი ხელისუფლება და ლიდერი არ გვყავდა.

საკითხის მშვიდობიანი მოვკარების შანსი ჯერ კიდევ არის, მაგრამ მშვიდობა უნდა დაეფუძნოს ისტორიულ და იურიდიულ სამართლიანობას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, დევნილთა უპირობო დაბრუნებას, აფხაზეთის აღჭურვას უპრეცედენტოდ ფართო უფლებებით და უსაფრთხოების შეუვალი გარანტიებით.

„საქართველოს რესპუბლიკა,“
26 სექტემბერი, 2004წ.

იქნებ რეალურად დაგვაცყო საქმე?

აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას გულწრფელად გვახარებს საქართველოს ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯები, რომელიც გვიღვიძებს იმედს, გვაწყნარებს, გვიმსუბუქებს რისხვას საკუთარი ხელისუფლებისა და კაცობრიობის „დემოკრატიული მამების“, მიმართ, რაც 12 წელიწადია დაბუდებულა ჩვენში მშობლიური ადგილებიდან ძალადობით გამოდევნის შემდეგ.

აფხაზეთში მშიდობიანი მოსახლეობის მიმართ გაუგონარი ძალადობა გრძელდება. გასაოცარია, რომ ყოველივე ეს ხდება დემოკრატიული მსოფლიოს თვალწინ, რომელსაც ადამიანი და მისი უფლებები უპირველეს ფასეულობად აქვს გამოცხადებული, მაგრამ რატომძაც არ აწუხებს სამას ათასზე მეტი ადამიანის ბედი, მისი ყველა უფლებისა და თავისუფლების გაუგონარი დარღვევა. და ეს მარტო გაეროს არ ეხება, რომლის გარდაცვალების შესახებ ცნობები, ვფიქრობ, გაზვიადებულა; გაეროს წესდება შიდა კონფლიქტების მოგვარებას არ ითვალისწინებს. ეს მისთვის დამატებითი და არაფორმალური ვალდებულებაა, რაც მას თავს მოახვიეს. არა და, კონფლიქტებთან დაკავშირებული ექსკლუზიური უფლებამოსილება რეალურად მსოფლიოს დიდ მოთამაშეებს აქვთ საკუთარ თავზე აღდებული. მაგალითების მოტანა საჭირო არ არის, მიმოიხედეთ ირგვლივ, -ვისაც დიდი პატრონი ჰყავს, მას ყველაფრის უფლებაც აქვს!

აფხაზეთში შეიძლება კონფლიქტის დასრულების პირველი დღეებიდანვე პრობლემის მშვიდობიანი მოგვარება ქართულმა მხარემ დაიწყო (მხედველობაშია უენევის მემორანდუმი; 30 ნოემბერი და 1 დეკემბერი, 1993 წელი) და მას რეალური შინაარსი მიანიჭა საქართველოს პრეზიდენტის საჯაროდ გაცხადებულმა სამშვიდობო ინიციატივამ, რომლის შესასრულებლად ქვეყნის ხელისუფლება მზადა გაიღოს ყოველგვარი პოლიტიკური და მატერიალური რესურსი.

აფხაზური მხარე, თუმცა დღემდე დგას თავისი ე.წ. დამოუკიდებლობის პოზიციაზე, მაგრამ, მისივე განცხადებით, მზადაა ქართულ მხარესთან ითანამშრომლოს ეკონომიკურ, სოციალურ და ჰუმანიტარულ საკითხებზე.

ამ თვალსაზრისით, როგორც ქართველებს, ისე აფხაზებს, გააჩინათ ათეულზე მეტი საინტერესო წინადადება, პროგრამა, პროექტი, მაგრამ პრობლემურია მათი დაწყება, პირველი ნაბიჯების გადადგმა.

ყოველი შემთხვევისთვის, თუ სურვილი რეალურია და მიზნად არ ისახავს დროის გაყვანას, რომელიც აშკარად მათი და მათი მფარველების სასარგებლოდ მუშაობს, დევნილებს, ქართველთა და აფხაზთა საერთო ისტორიიდან გამომდინარე, შეგვიძლია ერთი, ჩვენი აზრით, მეტად პერსპექტიული წინადადება შევთავაზოთ მხარებს, რომელიც უთუოდ სრულდებოდა მაშინაც კი, როცა აფხაზეთი და მისი მეზობელი ქართული სამთავროებიც ერთმანეთში ფეოდალური შინაომებით სისხლისაგან იცლებოდნენ, რადგანაც, რაც წინაპართაგან წმიდად და ხელშეუხებლად იყო გაცხადებული, უთუოდ უნდა ალსრულებულიყო; აფხაზებს და ქართველებს არასდროს დაურღვევიათ ეს წესი, რადგანაც ამ ტრადიციას და ადათ-წესს გააჩნდა დიდი მატერიალური და წარუვალი სულიერი ღირებულება.

მხედველობაშია აფხაზეთში, სამეცნიელოში, იმერეთში, გურიაში, აჭარაში დიდი ბაზრობების მოწყობის ტრადიცია, რომელშიც მონაწილეობდა არა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ ოსმალები, სპარსები, რუსები, სომხები, ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები. იქნებ ეს იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონის პირველი, იმ დროის კრიტერიუმების შესაბამისად დადგენილი მოდელი, რომელიც მაღლა იდგა ომსა და უთანხმოებაზე.

ეს, რომ მხოლოდ სიტყვები არ არის, შესანიშნავად იციან აფხაზეთშიც. ამის დასტურია არქანჯელო ლამბერტის საყოველთაოდ ცნობილი „სამეცნიელოს აღწერა“ (არქანჯელო ლამბერტი სხვა ცნობილ მისიონერებთან ერთად 1631 წელს ჩამოვიდა თბილისში,

16 წელიწადი იცხოვრა სამეგრელოსა და აფხაზეთში, შეისწავლა ადგილობრივი ენები, დამეგობრდა რეგიონის მთავრებთან, იყო იმ დროის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური მოვლენის საქმის კურსში და მონაწილე, მსოფლიო ისტორიულ მოვლენათა თვითმხილველი, თავად მოიარა შავი ზღვისპირეთი, ებმარებოდა მოსახლეობას, ქმნიდა რუკებს, მეგობრებთან ერთად აკეთებდა ლირსშესანიშნაობათა ჩანახატებს).

თუ რამდენად იყვნენ იმ დროსაც საქართველოს მეფე და მთავრები დაინტერესებული ევროპის სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებით, ევროპასთან ძველი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების აღდგენით, ადასტურებს თბილისში ქართლის მეფის, ვახტანგ შაჰანგაზად წოდებულის საუბარი ფრანგ მოგზაურ შარდენთან: „ძლიერ მიყვარს ევროპელები, ძლიერ მსურს ევროპელები დაბანაკდნენ საქართველოში. თუ აღებ-მიცემობისთვის მოვლენ ისინი, გავათავისუფლებ ყოველგვარი გადასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენ. ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისთვის ვერ იპოვიან ჩემს სახელმწიფოზე უკეთეს გზას. გარნებულებთ, რომ თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ დაადგებიან.“

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღნერაში“ აღნიშნავს: „ბაზრობა იმართება სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს. უმთავრესი ბაზრობა იმართება სექტემბრის პირველ კვირაში წითურიას, ეკლესიასთან. ამ ბაზრობაზე ძალიან ბევრი ხალხი იკრიბება; ზოგჯერ შეიყრება ოცი ათას კაცამდე. ხუთშაბათს მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით. სომხებს მოაქვთ ნაირ-ნაირი ტილოები, ირანული და თურქული შალები, რომლის საფასურად იღებენ ყოველნაირ საქონელს, ოღონდ კი დიდად სახეირო იყოს.“

ავტორს აღნერილი აქვს ვაჭრობის დეტალები, რომელშიც უცხოელებთან ერთად ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა მონაწილეობდა, თუმცა მეზობელი სახელმწიფოები ყოველთვის მოდიოდნენ თავიანთი გემებით და ქარავნებით. ვაჭრობას საქონლის გაცვლის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ფეხს იკიდებდა უც-

ხოური ფულიც, მაგალითად, უნგრული და იტალიური ოქროს ფული, ესპანური რეალები, ირანული აბაზები. ამ პერიოდში სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ადგილობრივი ფულის მოქრაც დაიწყო.

ავტორის გადმოცემით ბაზრობები, წითურიას (ადგილია გალის რაიონის სოფელ თაგილობრივი, სადაც იდგა ორი დიდი ეკლესია, რომლებშიც მისიონერები (ცხოვრობდნენ) გარდა, ეწყობოდა ილორში (გიორგობის დღეს), წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ასევე ბედიაში, კორცხელში, ანაკლიაში. ბაზრობებზე ხდებოდა ადამიანთა გაცნობა და დაახლოება, იმართებოდა ნადიმები, შეჯიბრებები. ბაზრობა, როგორც წესი, სახალხო ზეიმში გადაიზრდებოდა.

ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დამთავრებიდან რამდენიმე კვირაში ენგურს გალმა და გამოლმა განახლდა არალეგალური ვაჭრობა. აფხაზი და სხვა ეროვნების ადამიანები გაგრიდან და გუდაუთიდანაც კი, დღემდე სავაჭროდ ჩადიან ზუგდიდში, სენაკში, ქუთაისში, თბილისშიც კი. საიდუმლო არ არის, რომ რუსეთი, კრასნოდარის მხარე აფხაზეთის სერიოზული სავაჭრო პარტნიორია, ისევე, როგორც თურქეთი, რიგი სხვა ქვეყნები და ეს პროცესი გარდუვალია, რადგან ბლოკადით, ქვემეხით მას შეაყოვნებ, მაგრამ ვერ შეაჩერებ.

იქნებ აფხაზურ მხარეს შევთავაზოთ აფხაზეთში ტრადიციული ბაზრობების ალორძინება, ვთქვათ, გალის რაიონში, ენგურის ხიდთან, ან გამოლმა, საამისოდ შესაფერისი ადგილებია, სადაც უსაფრთხოების პირობების დაცვა არ გაჭირდება.

ცხადია, ბაზრობის ორგანიზაცია ადვილი არ იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი და მიუღწეველი; ცხოვრება გრძელდება და ადამიანებს უნდათ ადამიანური ცხოვრება! ამ საკითხთან დაკავშირებით გამოჩნდება ისიც, თუ რამდენად გულწრფელია აფხაზური მხარის განცხადებები ქართულ მხარესთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებისთვის მზადყოფნის თაობაზე. უფრო მეტიც, ეს იქნება ჰუმანიტარული აქცია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მართლაც საჭიროებენ პირველი მოხმარების სა-

გნებს, აქვთ გასაყიდი ან გასაცვლელი საქონელი. ცხადია, რომ ბაზრობა მიიზიდავს ბიზნესმენებს, ორივე მხრიდან გამოჩნდებიან ინიციატივანი ადამიანები, ჩამოვლენ სხვა ქვეყნებიდან, ნახავენ რეალურ სიტუაციას, დაიწყება ახალი იდეების და საქმეების გენერაცია.

იქნებ ღირდეს ამ საკითხზე დაფიქრება, უპირველეს ყოვლისა სოხუმში და თბილისში.

ერთი რამეც გამოჩენილი ქართველი და მსოფლიო მასშტაბის მეცნიერების და მკვლებარების აზრით, არქანჯელო ლამბერტს განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ ევროპელ მწერალთა შორის, რომელთაც ოდესმე რაიმე ცნობა დაუტოვებიათ საქართველოს ძველი და ახალი ისტორიის შესახებ. ამ ნიჭიერი და პატიოსანი მკვლევარის ნაშრომში არათერია შემთხვევითი და მოგონილი, რადგანაც თითქმის ორი ათეული წელინადი იყო იმდროინდელი ისტორიული ქარტებილების მოწმე და თვითმხილველი. უეჭველია, რომ წითურიას კომპლექსი, იქ წარსულში მოღვაწე ადამიანთა დანატოვარი სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, რაც ბევრი რამის ხელახლი გააზრების საშუალებას მოგვცემს ჩვენც და მომავალ თაობებსაც.

გაზეთი „ჩვენი გაზეთი“,
№3(56), 2004.

მოიხედვის დრო დამთავრდა, მოქმედების დროა

საპარლამენტო სკამებისთვის „ცივმა“ და „ცხელმა“ შინაომებმა, რომელიც „ხალხის და სამშობლოს“ სახელით მძღონარებს ქვეყანაში, გვერდზე გადაღო აფხაზეთთან დაკავშირებული საყურადღებო მოვლენები, რომელიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვან მუხტს შეიცავენ მოწესრიგების პროცესისათვის ბიძგის მისაცემად. დემოკრატიული ხელისუფლების ფორმირებისთვის ცივილიზებული ბრძოლა აუცილებელია და გარდაუვალი, მაგრამ აფხაზეთის (დაკარგული ტერიტორიების) მიჩუმათება, მით უფრო, დავიწყება, როცა დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს, ერისა და სახელმწიფოს წინაშე დანაშაულია.

განვლილი ათი წელიწადი ჩვენთვის უმძიმესი დრო იყო. მხედველობაში არ მაქვს ისინი, ვინც აფხაზეთისთვის „თავდადებულის“ მანტია მოირგო და სატელევიზიო კეკლუცობით დღემდე არ დაიღალა. არც ისინი, ვინც ვითარებას მოერგო და აფხაზეთიდან გამოყოლილი თანამდებობით საკუთარ ეზო-კარს იწყობს. იგპ-თა ცხოვრების (თუ მას ცხოვრება ჰქვია!) ასე გაგრძელება არ შეიძლება, არც იმათი დანდობა შეიძლება, ვინც დევნილთა გაჭირვებაზე გამდიდრდა, მიწებისა და ქონების უკანონო მოხვეჭით სახელი გაიტება, აფხაზეთით პარაზიტობს, ხალხის სახელით განდიდების და პატივმოყვარეობის მონა გახდა. ასეთი ხალხი წინამძღოლად და მეთაურად არ გამოდგება. დასანანია, რომ მათ ყოველგვარ სიკეთეზე მიუწვდებათ ხელი, მაშინ, როცა, ათეულ ათასობით დევნილი შიმშილობს, არაადამიანურ პირობებში ცხოვრობს, ფიზიკურად იშრიტება, ენგურს გაღმა კი მასობრივი მონობა და ტირანია მეფობს.

გასულ სექტემბერს სეპარატისტებმა სოხუმში დამოუკიდებლობის ათი წლისთავი აღნიშნეს, – სამხედრო აღლუმი ჩაატარეს, გვაჩვენეს ძალა, თავიანთი მორალურ-პოლიტიკური ერთო-

ბა, თანაც გაგვაფრთხილეს, თითო დაგვიქნიეს. ჩვენ? ჩვენ კი კვ-ლავაც გვმოძღვრავენ—მერე რა, ეს უკანონოა და სეპარატისტებს საერთაშორისო თანამეგობრობა არ აპატიებსო!

მერე რა? არაფერს ნიშნავს ის, რომ აფხაზეთი თანდათან ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო, საქართველოსგან მეზობელ სახელმწიფო აღიარებას მოითხოვს, მშობლიური ადგილებიდან მოსახლეობის იძულებით გაყრას არ აღიარებს („ისტორიული სამართლიანობის აღდგენის“ ფაქტად მიიჩნევს) და რუსეთით ზურგგამაგრებული აბუჩად იგდებს საერთაშორისო თანამეგობრობის მოთხოვნებს.

არ იყო საჭირო მსოფლიოს ყურადღება მიგვეპყრო სოხუმში დემონსტრირებულ უკანონტროლო შეიარაღებაზე, მძიმე ტექნიკასა და სხვა შეიარაღებაზე, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას კავკასიის რეგიონში? არ იყო საჭირო განგაში აგვეტეხა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების დადგენილი ნორმების უხეში დარღვევის ფაქტის გამო?

რამდენი ახალი ინიციატივის, წინადადებების, არაორდინალური პოლიტიკური მოდელის წამოწევა შეიძლება, მაგრამ არაფერი კეთდება იმის გამო, რომ ხელი ჩავიქნიეთ, სხვათა იმედზე ვართ, სხვებს შევციცინებთ თვალებში. სწორედ ეს არის ყოფილი ხელისუფლების მიუტევებელი შეცდომა თუ დანაშაული არა. მამულის დასაბრუნებლად დევნილთა ერთ მუშტად გაერთიანება წესით და რიგით აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეკუთვნის. სამწუხაროდ, ჩვენი უბედურება არის უმოქმედობა, დაქსაქსულობა, გამოკვეთილი („დაუნიშნავი.“) ლიდერის არყოლა, რაც აფხაზეთიდან გადმოგვყვა და დღემდე გრძელდება!

მშვიდობიან მოწესრიგებას ალტერნატივა არ აქვსო, მაგრამ დროც უნდა დაითქვას და ვადებიც განისაზღვროს, რათა სოხუმშიც კარგად იცოდნენ, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება, რომ დევნილთა მოთმინება უსაზღვრო არ არის და არც ჩვენი თავმოყვარეობაა ბოლომდე გათელილი.

ცნობილია, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა

ჯგუფთან შეთანხმებული ე.წ. ბოდენის დოკუმენტი წარუდგინა. სამწუხაროდ, ოფიციალურად გამოქვეყნებულ და სამუშაო ვა-რიანტად წოდებულ ამ დოკუმენტს ქართველმა პოლიტიკოსებმა და მედიამ ქვები დაუშინეს, ხოლო აფხაზურმა ოფიციოზმა განა-ცხადა, – ეს ჩვენ არ გვეხებაო!

ნუთუ ამით უნდა ამონტურულიყო ყოველივე, განსაკუთრებით ჩვენი მხრიდან? ნუთუ ვერ ვხვდებით, რომ აფხაზეთი ისეთი ჩი-ხია, რომ ჩვენ ისეთ ხაფანგში ვართ გამომნყვდეული და სოხუმს ისეთი ძალები უმაგრებენ ზურგს, რომ შეიძლება ეს მიწები სამუ-დამოდ დავკარგოთ? კაცმა რომ თქვას, განსაცვიფრებელია ჩვე-ნი პოლიტიკური ფანტაზიის სიმწირე და შეზღუდულობა, თუნდ-აც ფორმალური დიპლომატიური თვალსაზრისით.

გაეროს უშიშროების საბჭომ 2003 წლის 30 ივლისის რეზო-ლუციაში, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა აფხაზეთზე ბოლო წლებში მიღებულ რეზოლუციებს შორის, არა მარტო დააფიქსი-რა გაეროს წევრი სახელმწიფოების ურყევი პოზიცია საქართვე-ლოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, არამედ კატეგორი-ულად მოითხოვა საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა. უშიშროების საბჭომ გა-დაჭრით მოსთხოვა მხარეებს, განსაკუთრებით აფხაზურ მხარეს, „თბილისა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპების შესახებ“ დიალოგის დაუყოვნებლივ დაწყება, კომპრომისების გამონახვა. თავისი სულისკვეთებით დოკუმენტი სოხუმის და თბილისის ერთგვარი გაფრთხილებაა და სამშვიდობო პროცესში ჩართვას მოითხოვს ყველასგან, ვისაც ეს ხელენიფება, მათ შორის ენგურს გაღმა და გამოღმა მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. ასეთ ვითარებაში სრუ-ლიად გაუგებარია საქართველოს ოფიციოზის ინერტულობა!

პოლიტიკური მანევრირების დიაპაზონის თვალსაზრისით მე-ტად ტევადია აღნიშნული რეზოლუციის 9-12 მუხლები, როგორც მხარეებისთვის შეთავაზებული საბაზისო ფორმულა კონფლი-ქტის მოწესრიგებისთვის ენერგიული მოქმედების დასაწყებად. რეზოლუციის მიღებიდან რამდენიმე თვე გავიდა. რა გავაკე-

თეთ, რას მივაღწიეთ ამ ხნის განმავლობაში? პასუხი მარტივია—
არაფერს, ან თითქმის არაფერს!

დაუშვებლად მიმაჩნია საქართველოს სახელისუფლებო
წრეებისგან რეზოლუციის მე-14-15 მუხლების უყურადღებოდ
დატოვება. საინტერესო ფაქტია, რომ აფხაზეთში, გალის რაი-
ონში ლტოლვილთა და დევნილთა დაპრუნების ხელშეუხებელი
უფლება ასე მკაფიოდ ადრე არ გამოხატულა. ვფიქრობ, გაეროს
მიერ ამ საკითხში აფხაზური მხარისადმი პასუხისმგებლობის
დაკისრება მეტად საყურადღებო მომენტია და შორს გამიზნულ
ქვეტექსტებს შეიცავს. უფრო ზუსტად, მინდა ვირწმუნო, რომ ეს
გაფრთხილებაა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალ მსოფლიო-
ში გაეროს წესდების მე-7 თავი ბევრჯერ იქნა გამოყენებული
ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ხელყოფის
აღსაკვეთად, რაც სოხუმის რეჟიმის მიმართაც არაა შეუძლებე-
ლი.

ობივატელიც კი კარგად ხედავს, რომ არასაკმარისია მუშაო-
ბა სოჭის შეხვედრის მორიგებათა სარეალიზაციოდ. ყველაფერი
ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ რაც შეგვიძლია ვაკე-
თებთ კი?

სამწუხაროდ, არ ჩანს შეუპოვარი ძიება, ალტერნატიული მო-
დელების შემუშავების მცდელობა. ყყოყმანობა იმიტომ, რომ ვი-
ღაცების აზრით, ეს და ამრანგის სხვა შეხვედრები და მოლაპარა-
კებები იდუმალი საფრთხეების შემცველია და შესაძლოა მტრის
ხაფანგში ამოვყოთ თავი. იქნებ ასეც არის, მაგრამ ვის აქვს უფ-
ლება აფხაზეთისა და სამაჩაბლოსთვის ყოყმანი და უმოქმედობა
მხოლოდ შესაძლო რისკით გაამართლოს, ყოყმანი და ლოდინი
ამჯობინოს მოქმედებას? ძნელის სათქმელია თუ ვინაა და რა
მიზნები ამოძრავებს თბილისში დაბადებულ და გაზრდილ ევგე-
ნი პრიმაკოვს, რუსეთის არც თუ უმნიშვნელო სახელმწიფო მოღ-
ვანეს, საკმაოდ ცნობილ მეცნიერსა და პოლიტიკოსს, მაგრამ მან
მოინდომა და ვლადისლავ არძინბა თბილისში, როგორც ამბო-
ბენ, ლამის ძალის გამოყენებით ჩამოიყვანა. ახლა ეს პრიმაკოვი
აცხადებს, რომ რუსეთ—საქართველოს ურთიერთობების გაუმ-

ჯობესების პერსპექტივა მხოლოდ იმ შემთხვევაში იარსებებს, თუ საქართველო რაიმე ფორმით ყოფილ სამხრეთ ოსეთეთან და აფხაზეთან ძალის გამოუყენებლობის თაობაზე მორიგებას მიაღწევსო. როგორც იტყვიან, ფური სატანას, მაგრამ იქნებ არის ამ აზრში რაციონალური რამ ფიქრისა და განსჯისთვის, დიპლო-მატიური მანევრისა თუ პრაგმატული მოქმედების დასაწყებად? რაღაც ხომ უნდა გავრისკოთ, რაღაც გზა ხომ უნდა ვიპოვოთ ჩი-ხიდან გამოსასვლელად, სანამ უარესი არ მომხდარა და სოხუმთან და აფხაზებთან დიალოგის შანსი და რესურსი კიდევ არსებობს?

აფხაზეთის საკითხით დაინტერესებულ სახელმწიფო მოღვაწებს, რომელთაც აკისრიათ პასუხისმგებლობა ქვეყნის და ხალხის წინაშე (და არა ყოველგვარი საშუალებებით არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსებს!), უმოქმედობის უფლება არა აქვთ. მათვე, თუნდაც ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვონ „მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის შესახებ“ დსთ-ის სახელმწიფოების მეთაურთა აღმა-ათის 1995 წლის 10 თებერვლის სამიტის მემორანდუმის მოთხოვნები, ასევე მოსკოვის სამიტის (1996 წლის 19 იანვარი) გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სერიოზული მოქმედების საფუძველი უნდა გამხდარიყო. სხვა საკითხია თუ როგორც არღვევდა მას რუსეთის ფედერაცია და ჩვენ რა დავუპირისპირეთ მას. ამასთან დაკავშირებით ამჟამად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუ როგორ გამოვიყენებთ დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს იალტის განცხადებას, რომელიც „კვლავ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს და მოითხოვს ადრე მიღებული დოკუმენტების ყველა დებულების განუხრელ შესრულებას.“

მარტივად თუ ვიტყვით, დსთ-ს სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს ბოლოდროინდელი დოკუმენტების შესრულებამ უნდა უზრუნველყოს სეპარატიზმის რეალური იზოლაცია დსთ-ს სივრცეში, აგრესიული სეპარატიზმისა და ტერორიზმის აღკვეთა. მხედველობაშია აფხაზური მხარის მიერ ე.წ. ბლოკადად

მიჩნეული გადაწყვეტილება, რომელიც გამორჩეულია კატეგო-
რიულია სოხუმის რეჟიმის მიმართ და ზემოქმედების ძლიერი
მუხტის მატარებელია. ცხადია, რომ ბლოკადა რეალურად არც
არსებობს, ვინაიდან საქართველოს ხელისუფლება მზად არის
ფართოდ გააღოს კარი და საზღვრები აფხაზეთში საქონლისა
და ტვირთების შესასვლელად, აფხაზეთის მოსახლეობისთვის
ცხოვრების ჯეროვანი პირობების შესაქმნელად.

ვინც რა და როგორ არ ილაპარაკოს საქართველოს სახელმ-
წიფოს პირველი რიგის პრიორიტეტებზე, ჩვენი ქვეყნისთვის არ
არსებობს უფრო მნიშვნელოვანი და და გადაუდებელი, ვიდრე
მოქმედება ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, დევნილ-
თა და ლტოლვილთა უფლებების დასაცავად. რა შეიძლება იყოს
ქართველი ხალხისთვის უარესი, ვიდრე ტერიტორიების დაკარგ-
ვა? ვის ან რას უნდა ველოდიოთ, – საარჩევნო სასწაულს, ხელი-
სუფლებაში ბიბლიური გოლიათის გამოჩენას თუ კიდევ რას?

ჩვენი მამულიშვილები, ჭვევიანი, განათლებული და გამოც-
დილი ადამიანები, ასევე ჩვენი უცხოელი მეგობრები გვირჩევენ,
რომ გაღმელთა მოიმედობის, სხვის ხელებში ყურების დრო დას-
რულდა, რომ მოქმედების დროა.

გაზეთი „ჩვენი გაზეთი“,
№3(56), 2004.

ფინანსურიზაციის გაერთიანება თუ დაქუცხაცება?

„ვხედავ და მესმის, ცელის შრიალით როგორ მიახლოვდება სიკვდილი. მეშინია.“

სიკვდილისა კი არა, იმისი მეშინია, ვაითუ ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ჩემს შვილიშვილს ისე გავუპარტახო საქართველო, იის ძირ-თესლიც კი გავუწყვიტო და ორიათასოცდახუთ წელს, სხვა ქვეყანაში საყიდელი გავუხადო იების თაიგული.

მეშინია და თან იმედს ვიტოვებ, რადგან აქედან ვხედავ, რა გაღიმებული და ბედნიერი მოდის ჩემს საფლავთან ჩემი შვილიშვილი. საფლავზე ახალდამშრალ მზორეში მოკრეფილ იების კონას დადებს და მეუბნება: - აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები! ღმერთო, ნუ მომიშლი ამ იმედს!“

ფრაგმენტი გოდერძი ჩოხელის წერილიდან, რომელიც მან მომავალ – 2025 წლის საქართველოს გაუგზავნა.

საქართველოს სახელმწიფო იურიდიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე უმთავრეს პრობლემას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს.

პრობლემა უშუალო კავშირშია საქართველოს სახელმწიფო იურიდიკური ტერიტორიული მოწყობის საკითხთან, რაც საქართველოს ხელისუფლების მიერ პრინციპული პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს. სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის საკითხში საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში გარკვეული ვაკუუმის არსებობა (ე.წ. მოლოდინის რეჟიმში ყოფნა), ჩემი აზრით, გაუმართლებელია.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია კონსტანტინე კუბლაშვილის, არჩილ გეგეშიძის, იულიანე ხაინდრავას, პაატა ზაქარეიშ-

ვილის მიერ ამასწინათ გამოქვეყნებული დოკუმენტი „საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ.“

დოკუმენტის ავტორები აფხაზეთის საკითხს საქართველოს სახელმწიფოპრივი მოწყობის კონტექსტში განიხილავენ და მხარს უჭერენ ამ პრობლემის ქვეყნის ფედერალური მოდელის საფუძველზე მოწესრიგებას.

ცხადია, რომ ქვეყნის ფედერალიზაციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იქნება, ვინაიდან არსებობს საკითხთა და პრობლემათა ფართო წრე, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

სეპარატიზმის და ფედერალიზმის ურთიერთდამოკიდებულება აუცილებლად უნდა განიხილებოდეს კონკრეტულ ისტორიულ და პილიტიკურ კონტექსტში, და არა ზოგადი და აბსტრაქტული თეზისების მოშველებით. ცნობილია, რომ ვითარების თავისებრებიდან გამომდინარე, ფედერალიზმმა შეიძლება ხელი შეუწყოს სეპარატისტული მოძრაობების შენელებას, თუმცა შესაძლოა წაახალისოს კიდეც სეპარატისტული იდეოლოგია და გააღრმავოს ერთმანეთისგან გაუცხოების სინდრომი.

ფაქტია, რომ სეპარატიზმს მოაქვს თანაცხოვრების ტრადიციული წესების აკვატებული უარყოფა. აგრესიული სეპარატისტები ნებისმიერი საშუალებებით გამოდიან ერთიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მსოფლიო პრაქტიკა მეტყველებს, რომ სეპარატიზმი, მუდმივი დაპირისპირებები, სეცესიის მცდელობა უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს სტაბილურ განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. მეცნიერთა პროგნოზით, ბელგიაში სეპარატისტების გამარჯვება მოსახლეობის ცხოვრების დონეს 10-12 პროცენტით დასცემდა, ხოლო კანადის დაშლის შემთხვევაში – 26-30 პროცენტით.

ფედერალიზმის იდეისადმი სახელმწიფოს შედარებით ფრთხილი დამოკიდებულება განპიროვნებულია იმით, რომ ტერიტორიული მოწყობის ფედერალური მოდელი მოიცავს ცენტრიდანული მოძრაობის გაღვივების საფრთხეს. ეს იყო ერთ-

ადერთი არგუმენტი, რომლის გამოც სამხრეთ აფრიკაშ უარი თქვა ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე. ჭოდერალიზმის პრინციპების განხილვა მწვავედ მიმდინარეობდა ევროპის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის ცხოვრების ხარისხით გამორჩეულ ბელგიის სამეფოშიც. მართალია, საბოლოო ჯამში ბელგია ჩამოყალიბდა როგორც ფედერალური სახელმწიფო, მაგრამ ამით არ მოიხსნა მის შიგნით არსებული წინააღმდეგობანი. ბელგიის მაგალითი, მრავალი ძალზე საგულისხმო ასპექტის გამო, გასათვალისწინებელია ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების წესის პერსპექტივის პროგნოზირების პროცესში. მცდარია კატეგორიული მტკიცება იმის შესახებ, რომ ფედერალიზმი სრულად მოხსნის აფხაზთა სწრაფვას სეცესიისენ (გამოყოფა სრულ დამოუკიდებლობამდე).

ჩვენი აზრით, ზედმეტად პრეტენზიულია დოკუმენტის ავტორთა მტკიცება იმის შესახებ, რომ აფხაზებმა უარი უნდა თქვან თუნდაც დე-იურე არშემდგარ დამოუკიდებლობაზე საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის მომავლის სასარგებლოდ, რაც ავტორებს მიაჩინიათ მოწესრიგების დოკუმენტის შემუშავების დაჩქარების პოზიტიურ არგუმენტად. უფრო ზუსტად, აფხაზეთის გარანტირებული მომავალი მიჩნეულია კონფლიქტის მოწესრიგების მთელი კონსტრუქციის ერთადერთ რეალურ წინაპირობად; აფხაზური მხარე კი თავის პოლიტიკურ სტრატეგიას დღემდე აგებს აფხაზეთის უთუო სახელმწიფო-ბრივი აღიარების მოლოდინზე და ამ პოზიციის სასარგებლოდ მსოფლიოს უახლოესი ისტორიიდან უამრავ კონკრეტულ ფაქტებს იშველიებს.

ასე, მაგალითად, ნორვეგია 1905 წელს გამოეყო შვედეთს, ფინეთი – 1917 წელს რუსეთს, ირლანდია – 1918 წელს დიდ ბრიტანეთს, ბანგლადეში – 1971 წელს პაკისტანს, სენეგალი – 1960 წელს მალის ფედერაციას, სინგაპური – 1965 წელს მალაიზიას. როგორც ჩანს აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგები მსგავს მოლოდინზე აგებენ თავიანთ ვარაუდს, რაც ქართული მხარისთვის დამატებითი ფიქრის და კონფლიქტის მოგვარების არაორ-

დინარული გადაწყვეტილების შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს, რადგან დრო ქართული მხარის საწინააღმდეგოდ მუშაობს.

ჩვენის აზრით, უფრო მნიშვნელოვანია არა ის, არსებობს თუ არა სეცესიის მსოფლიო პრაქტიკა, არამედ, აქვს თუ არა აფხაზეთს გამოყოფის კანონიერი საფუძველი. საერთაშორისო სამართალი განმარტავს, რომ თვითგამორკვევის უფლების სუბიექტად შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ ე.ნ. სახელმწიფო ხალხი და ეს აღნიშნულია ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის 27-ე მუხლში, გაეროს დოკუმენტებში. კონცეფციაშიც სახელმწიფო ხალხად მიჩნეულია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო ბრივ წარმონაქმნებს მიეცემათ სეცესიის უფლება, მოსალოდნელია მსოფლიოში მოსახლე 700 მსხვილმა ეთნოსმა მოინდომოს დამოუკიდებლობა, რაც ძირს გამოიუთხრის საერთაშორისო წესრიგს, საფუძველს დაუდებს მსოფლიო ქაოსს.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ აფხაზურ ნაწილს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მაგრამ არა ისე, როგორც ეს აფხაზურ და რუსულ მხარეებს ესმით, არამედ ისე, როგორც ამას განმარტავს საერთაშორისო სამართალი, ანუ, თვითგამორკვევის უფლება მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზ ხალხს ჰქონდეს ისეთი პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს, დაიცავს და განავითარებს საკუთარი იდენტურობის განმსაზღვრელ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა ასპექტებს.

გაეროს და ეუთოს ამჟამად მოქმედი პრაქტიკის შესაბამისად (გაეროს დეკლარაცია №2625, ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო დოკუმენტი) არ არის სავალდებულო თვითგამორკვევის უფლება რეალიზებულ იქნას სეცესიაში. თვითგამორკვევის მიზანი შეიძლება იყოს ტერიტორიული ავტონომიის განსხვავებული ფორმები (მაგალითად, სეპარატისტული სტატუსის მქონე ესპანური პროვინციები, იტალიური სამხრეთ ტიროლი, ფარე-

რის კუნძულები და მრავალი სხვა) ან ფედერალურ სისტემაში მისი ნაწილის განსაკუთრებული სტატუსი (მაგალითად, კვებეკი კანადაში). ჩვენს შემთხვევაში თვითგამორკვევის უფლება უნდა გულისხმობდეს, რომ აფხაზებს (როგორც ეთნიკურ ჯგუფს) შეეძლებათ ილაპარაკონ და ასწავლონ თავიანთ ენაზე, განავითარონ საკუთარი კულტურა და თვითშეგნება, ტრადიციები, განავითარონ სახელმწიფოებრიობის ადრე მიღებული ნიშნები და უფლებამოსილებანი. და სხვა. ამდენად, აქ მთავარია ის, რომ თავისი წარმოშობისა და განსახლების ტერიტორიაზე მათ აქვთ უფლება მოუარონ, შეინარჩუნონ და განავითარონ გარკვეული, იქნებ ძალიან ფართო, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებამოსილებანი.

კონცეფციის ავტორები ემხრობიან საქართველოს ასიმეტრიული ფედერალიზმის პრინციპით მოწყობის მოდელს, მაგრამ, ჩემი აზრით, ავტორების მიერ შემოთავაზებული მოდელი მოიცავს როგორც ბიპოლარული, ისე ასიმეტრიული ფედერალიზმის ელემენტებს გაცილებით უფრო ფართო უფლებებით, ვიდრე ეს ამ სახეობების ტერიტორიული მოწყობისთვის არის დამახასიათებელი. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ როგორც პირველს, ისე მეორეს აქვს თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური ჩარჩო, რომლის არაკონსტიტუციური გაფართოება გამოიწვევს სეცესიისკენ სწრაფვის გაძლიერებას. ვფიქრობ, საქართველოსთვის მიუღებელია ორსუბიექტიანი ფედერალიზმის ტრადიციული მოდელი, ამასთან, ასიმეტრიულ ფედერაციას აქვს, როგორც იტყვიან, თავისი ახირებანი და თავისებურებანი. ასე, მაგალითად, ასიმეტრიულია შვედეთის ფედერაცია, სადაც არის ექვსი ე.წ. ნახევრად კანტონი, რომლებსაც ნაკლები უფლებები აქვთ, ვიდრე დანარჩენ კანტონებს, რაც განსაკუთრებით მკაფიოდაა გამოხატული ფედერალურ ორგანოებში გაწევრიანებისა და კონსტიტუციაში ცვლილების თაობაზე პროცედურაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

ასიმეტრიული ფედერალიზმით გამოირჩევა კანადა. ეს გამოწვეულია იმით, რომ, თუ ანგლო-კანადელები კანადას განიხი-

ლავენ როგორც თანასწორუფლებიანი პროვინციების გაერთიანებას, ფრანკო – კანადელებს (კვებეკელებს) ის მიაჩნიათ ორი ერის გაერთიანებად.

ასიმეტრიულ ფედერალიზმს თავისი ზღვრული ჩარჩო გააჩნია, რომელიც ფართო საზოგადოებრივ კონსენსუსზე უნდა გადიოდეს, ვინაიდან აფხაზეთისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებამ შესაძლოა სათავე დაუდოს პოლიტიკური და ეკონომიკური დეცენტრალიზაციის განწყობას სხვა რეგიონებში.

კონცეფციის 32-ე პუნქტში მითითებულია, რომ სწორედ „სახელმწიფოებრიობის“ ან სახელმწიფოებრიობის ხარისხის გამო აქვს აფხაზეთს არა ვინმესგან მინიჭებული, არამედ საკუთარი სუვერენიტეტი.

აღსანიშნავია, რომ ფედერაციის სუბიექტი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო, რეალურად ის არის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. იურიდიული მეცნიერება კლასიკური ფედერაციის სუბიექტებს წარმოაჩენს როგორც სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს. ტრადიციული ფედერაციული სახელმწიფოების კონსტიტუციებში საერთოდ არ გამოიყენება სახელმწიფოს ცნება, მაგრამ არსებობს (განსაზღვრულია) მისი სინონიმური სახელწოდებებით; კერძოდ, შტატების სახელწოდებით (აშშ, ინდოეთი), პროვინციები (კანადა), მიწები (გერმანია, ავსტრია).

კლასიკური უნიტარული სახელმწიფოსგან განსხვავებით, ფედერალურ სახელმწიფოში ფედერაციის სუბიექტების დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, უფრო ფართოა. ეს არის:

1) ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუციით განსაზღვრული დამოუკიდებელი პოლიტიკური სისტემა და ავტონომიური სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები;

2) ფედერაციის სუბიექტის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია საკუთარი კონსტიტუციით;

3) ფედერაციის სუბიექტები მონაწილეობენ ფედერალური ნების ფორმირების პროცესში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კონცეფციაში, ცხადია, აფხაზეთისა და ფედერაციის სხვა სუბიექტების მიმართ არის

მნიშვნელოვანი, მაგრამ ბოლომდე დაუზუსტებელი საკითხები.

კონცეფციის 34-ე მუხლში ავტორები განიხილავენ აფხაზეთის, როგორც ფედერაციის სუბიექტის წარმომადგენლობას საქართველოს პარლამენტში, აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევის წესს. ამ საკითხთან დაკავშირებით კონცეფციაში მოყვანილი არგუმენტაცია არასრულყოფილების შთაბეჭდილებას ტოვებს. სასურველი იყო აფხაზეთის უფლებამოსილებათა გაფართოების თვალსაზრისით ავტორებს ჩამოყალიბებინათ თავიანთი პოზიცია არა მხოლოდ წარმომადგენლობით ორგანოში, არამედ აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაშიც. გასათვალისწინებელია ე.ნ. არასტანდარტული საერთაშორისო საკანონმდებლო გამოცდილება, რომელიც არეგულირებს ტრადიციულად რთულად მიჩნეულ ურთიერთობებს ფედერაციის სუბიექტსა და ფედერალურ სახელმწიფოს შორის. ასე, მაგალითად, აშშ წარმომადგენლობით პალატაში ფედერაციის სუბიექტები წარმოდგენილი არიან მოსახლეობის პროპორციულად, მაგარამ თითოეულ შტატს წარმომადგენელთა პალატაში ჰყავს სულ ცოტა ერთი სენატორი მაინც. იგივეა შევიცარის პარლამენტის ეროვნულ საბჭოშიც, სადაც ადგილები კანტონების მოსახლეობის პროპორციულად არის განაწილებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ომამდე მოსახლეობის რიცხოვნობის შესაბამისად აფხაზეთს, შესაძლებელია, ჰყავდეს ფართო წარმომადგენლობა საქართველოს სენატში, რაც გარდუვალია ორპალატიანი პარლამენტის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს საკანონმდებლო ატრიბუტის ფორმირების პროცესში.

ნდობის მეტად მნიშვნელოვანი გარანტია უნდა გახდეს აფხაზეთის მონაწილეობა საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. საინტერესოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალი დონის ფედერალური მოხელეები წარმოდგენილი არიან ქვეყნის ყველა კუთხიდან. აუცილებელი იქნება აფხაზეთის უზრუნველყოფა შესაბამისი კვოტებით.

საინტერესოა, თუ როგორ აქვთ წარმოდგენილი ფედერაციის სუბიექტის წარმომადგენლობა მართლმსაჯულების სისტემაში; ამერიკის სენატი მონაწილეობს უმაღლესი ფედერალური მოხელეების და თანამდებობის პირების დანიშვნაში. უზენაესი სასამართლოს წევრების დანიშვნა ხდება ფედერაციის სუბიექტებს შორის შეთანხმების საფუძველზე. ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, იქნებ მიზანშეწონილი იყოს წინადადების განვითარება უზენაეს და საკონსტიტუციო სასამართლოებში აფხაზეთისთვის კვოტების გამოეყოფის შესახებ.

დიდი ეჭვით თუ შეიძლება ავტორთა პოზიციის გაზიარება იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის პრეზიდენტი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნებით აფხაზი პიროვნება. ეს ენინაალმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნდამენტურ ნორმებს, ფედერალურ სახელმწიფოში ცივილიზებული თანაცხოვრების მსოფლიო პრაქტიკას, თუმცა გარდამავალ პერიოდში ე.წ. პოზიტიურ დისკრიმინაციაზე დიდი დემოკრატიის ქვეყნებშიც დაუსუქავთ თვალი.

ფედერალურ სახელმწიფოს ფედერაციასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნისას აუცილებელი იყო კონცეფციის 42-ე მუხლში დაესაბუთებინათ ფედერალიზმის რომელი მოდელისკენ უფრო იხრებიან: ფრანგულის, გერმანულის თუ ამერიკულის. ამ კონტექსტში შესაძლებელი გახდებოდა განეხილათ აფხაზეთის, როგორც ფედერაციის სუბიექტის, განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები. ვფიქრობ, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს რესტიტუციის მექანიზმი. ასევე გაუგებარია, ავტორებმა თუ რატომ აუარეს გვერდი რუსეთის საოკუპაციო (ვთქვათ, სამშვიდობო) ჯარის აფხაზეთში ყოფნის პრობლემურობას.

მიუხედავად ამ შენიშვნისა, კონცეფცია არის მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომლის უპირველესი მიზანია ხელი შეუწყოს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში გარღვევის დაწყებას. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ღრმად შეისწავლეს კონფლიქტის წინა პერიოდში ქართულ-აფხაზური

ურთიერთობის მეტად რთული მონაკვეთი და, ჩემი აზრით, სავსებით ლოგიკური საფიქრალი შესთავაზეს საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ კონცეფციაზე მუშაობის ერთ-ერთ შუალე-დურ ეტაპზე (რომელსაც მეც ვესწრებოდი), ხაზი გაესვა აფხაზი ეთნოსის ტრაგიკულ ისტორიას და გამოცდილებას, რასაც ად-გილი ჰქონდა მეფის რუსეთში და შემდგომ საპჭოთა პერიოდ-ში. მხედველობაშია XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მიერ ადილეური მოდგმის ხალხთა, მათ შორის აფხაზთა მიმართ მოწყობილი გენოციდი, რომლის შემდეგ აფხაზთა უმთავრე-სი მიზანი გახდა ბრძოლა აფხაზური ეთნოსის გადასარჩენად. მიჩნეულია, რომ მთელი XX საუკუნე სწორედ ეს მიზანი აერთია-ნებდა, დიდი ანგარიშით, განსაზღვრავდა (და ამჟამადაც გან-საზღვრავს) აფხაზთა ქცევას. განსხვავება მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებშია; აფხაზთა ერთ, შედარებით მცირე ნაწილს, ამისთვის თბილისთან ურთიერთობის მოვარე-ბა მიაჩნდა საჭიროდ, ხოლო მეორე, რადიკალურ ფრთას, რუსე-თის მეშვეობით საქართველოსგან თავის დახსნა და მოკავშირე რესპუბლიკად გახდომა ენად (საბჭოთა აფხაზეთის ისტორია, ალბათ, ამიტომაც არის წინააღმდეგობრივი და ტრაგიკული). როცა საბჭოთა კავშირის დაშლა ცხადი გახდა, სეპარატისტ-თა ლიდერები ხელმძღვანელობდნენ არა მოსკოვის მითითებით (რომელიც დაინტერესებული იყო ქართულ-აფხაზური შეიარა-ლებული დაპირისპირებით, რაც დაადასტურა შემდგომმა მოვ-ლენებმა), არამედ და უფრო აფხაზთა ეროვნული ინტერესებით და წამოვიდნენ საქართველოს ხელისუფლებასთან გარიგებასა და საარჩევნო შეთანხმებაზე. მითუმეტეს, რომ ამ შეთანხმებით, აფხაზთა ეროვნული ინტერესები აფხაზეთის ავტონომიური რე-სპუბლიკის უმაღლეს საბჭოში გარანტირებული იყო (28-26-11), გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი იყო ხმათა 2/3, რაც მხოლოდ და მხოლოდ ქართველთა და აფხაზთა შეთანხმებით იყო შესაძლებელი. ეს კი მნიშვნელოვანი გარანტია იყო როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის. იყო სხვა შეთანხმე-ბაც, რომელიც ძირითადად აღმასრულებელ ხელისუფლებაში

ადგილების განაწილებას შეეხებოდა. ამგვარი ურთიერთდათ-მობა აფხაზეთში მცხოვრები ორი მკვიდრი ერის ძირეულ ინტე-რესეპს ასახავდა და უზრუნველყოფდა მშვიდობას. ცხადია, რომ ზემოაღნიშნული როგორც საბჭოთა, ისე რუსული იმპერიის ინ-ტერესების საწინააღმდეგო იყო. მიუხედავად ამისა, აფხაზური ელიტა წამოვიდა ამ შეთანხმებაზე და ამ ნაბიჯით დაამტკიცა, რომ შეუძლია იმპერიისგან დამოუკიდებლად მოქმედება. ეს იყო ისტორიული შანსი ორივე მხარისთვის, რაც მაშინ ხელიდან არ იქნა გაშვებული. სამწუხაროდ, შეთანხმების რეალიზაცია ვერ მოხერხდა მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო, მაგრამ ამაში მხოლოდ აფხაზების დადანაშაულება არ იქნება სწორი. არც იმისი დავიწყება შეიძლება, რომ 1992 წელს გაეროს მიერ საქართველოს სახელმწიფოს აღიარება საქართველოს სსრ ტერიტორიულ ფარგლებში, ეყრდნობოდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს. ამ აღიარებაში, ცხადია, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართულ-აფხაზურ საარჩევნო შეთანხმებას, რომელ-მაც არა მხოლოდ უზრუნველყო მშვიდობა, არამედ დამოუკიდე-ბელი საქართველოს სინამდვილეში სათავე დაუდო ახლებური პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებას.

ამით იმისი ხაზგასმა მინდა, რომ ქართველი და აფხაზი ხალის ცხოვრებაში არის საერთო, ორივე მხარისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერსეპტი, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ ერთადაა შესაძლებელი. სწორედ, რომ ამდაგვარი ფუნ-დამენტური ინტერსეპტის საუძველებელი არის შესაძლებელი საერ-თო ცხოვრების პრინციპების შემუშავება და კონფლიქტის მო-წესრიგების თაობაზე კონცეპტუალური გაწყვეტილების მიღება.

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ რთული კონ-ფლიქტები არსად გადაწყვეტილა თუნდაც საუცხოოდ დაწერი-ლი კონცეფციის დონეზე. კონფლიქტის მოწესრიგება მოითხოვს სახელმწიფოს და საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის მხრი-დან ხანგრძლივ, სისტემატურ და მიზანმიმართულ საქმიანობას, რომლის გადადება არ შეიძლება.

1945-1985 წლებში მსოფლიოში რეგისტრირებული იყო 127

ეთნიკური კონფლიქტი, რომელთა ძირითადი მიზეზი იყო სეცე-სია. 1993–1995 წლებში მსოფლიოში 50 ეთნოკონფლიქტი გან-ახლდა; ასე, რომ აფხაზეთის გარდა მსოფლიო თანამეგობრობას სხვა სერიოზული საზრუნავიც აქვს რეციდიული, შედარებით ახალი თუ პროგრესირებადი ეთნოკონფლიქტების სახით.

ნაკლებსაიმედოა მოლოდინი, რომ აფხაზეთის კონფლიქტი მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხ-მევით დარეგულირდება. უჭველია, რომ უპირველესი და გადამ-წყვეტია საქართველოს დაინტერესებული და სისტემური მიდ-გომა ამ საკითხისადმი. ამ თვალსაზრისითაც მისასალმებელია კონცეფციის ავტორთა მცდელობა ახალი იმპულსი მიენიჭოს აფხაზეთის პრობლემის ფუნდამენტური მოწესრიგების კონ-ცეფტუალური საფუძვლების ჩამოყალიბებას.

ძიება და სისტემატიური მუშაობა გარდუვალია, რათა მომზ-ადებული შევხვდეთ მოვლენათა ყოველგვარ განვითარებას, თუნდაც უფრო გართულებულ ვითარებას. აფხაზეთის კონ-ფლიქტი ამჟამად გაყინულია, მაგრამ რამდენ ხანს დარჩება იგი ასეთად, ძნელი სათქმელია. როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ფედერაციული მოწყობის საკითხი, ჩემი აზრით, აუ-ცილებლად დადგება დღის წესრიგში. ასეთი ტენდენცია ქვეყნის დემოკრატიის პროცესის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ გვჭირდება ისეთი ფედერალიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გაერ-თიანებას და არა დაქუცმაცებისთვის სამართლებრივი წინაპი-რობის შექმნას. მრავალ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო, ჩვენ სხვა ისტორიული ნარსულიდან მოვდივართ და ბე-ვრჯერ მოგვიწევს ახალი რეალობის აღიარება და ადეკვატური (იქნებ მეტად რთულ) ნაბიჯების გადადგმა.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ამჟამად არსებუ-ლი ვითარებიდან გამომდინარე, სანამ სახელმწიფო რეალურად მოჰკიდებს ხელს ქვეყნის ფედერაციულ მოწყობაზე ზრუნვას, საჭიროა შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაოების შესრუ-ლება. კერძოდ, ნდობის აღდგენა დაპირისპირებულ მხარეებსა და მოსახლეობას შორის, ომით გახლეჩილი ტერიტორიებისა და

მოსახლეობის ეტაპობრივი დაახლოებისა და თანამშრომლობის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება და ამოქმედება, სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით სისტემური და კონკრეტული მუშაობის წარმართვა.

მხედველობაში მაქვს ისეთი ფორმატის შექმნა და წამახალი-სებელი მექანიზმების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს სეცესი-რებული რეგიონების ჩართვას საერთო მნიშვნელობის სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში. ამ მიზნის მისაღწევად, ვფიქრობ, აუცილებელია:

ა) კონფლიქტების შედეგად განცალკევებულ თემებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის ხელშეწყობა; ორივე მხარის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეტაპობრივი მონაწილეობა საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში;

ბ) ისეთი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება (მათ შორის სარკინიგზო, საავტომობილო, საჰალვაო), რომელიც შესაძლებელს გახდის და წაახლის ე.წ. გამყოფ საზღვრებს შორის მოსახლეობის მიმოსვლას და საქონლის მოძრაობას;

გ) აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, მათ შორის აღმსარებლობის თავისუფლებისა და მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებების დაცვის მიზნით არსებული მექანიზმების და ინსტრუმენტები გაძლიერება;

დ) ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ყველა ფენის ჯანდაცვის და სოციალური მხარდაჭერის გაუმჯობესება, განათლების მიღებისთვის ფართო შესაძლებლობის შექმნა;

ე) ერთობლივი საქმიანობა ეკოლოგიური, ანთროპოგენური, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, სოციალური პრობლემების, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საკითხების მოსაგვარებლად;

ვ) საერთო ინტერესების განსაზღვრისა და საერთო ინტე-

რესეპტი დაფუძნებული ერთობლივი თემთაშორისი პროექტებისა და საქმიანობის მხარდაჭერის მეშვეობით თავისუფალი გადაადგილების, ადმინისტრაციული საზღვრების გაღმა-გამოღმა მცხოვრებთა შორის კონტაქტებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ზ) კულტურული მემკვიდრეობისა და თვითშეგნების შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ვფიქრობ, ასე უფრო მოიგებს ქვეყანა. ამგვარ მიღებომას აფხაზებიც გაითვალისწინებენ და ოსებიც, რადგან საერთო ინტერესები, ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრების და კეთილმეზობლობის ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხლობს თაობებში და შერიგების სურვილი საბოლოოდ არ გამქრალა.

გაზეთი „ჩვენი გაზეთი“,
№2, 2004წ.

თვითმმართველობა გაღმი

„თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარი საჭიროებისა. სად უნდა დარგო, იგი ყველან ხარობს“

„ყოველი სახელმწიფო, რიგიან წესზედ ცოტათი თუ დამდგარი, ნაწილნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს.“

ილია ჭავჭავაძე

„ისტორიულად იგი (თვითმმართველობა) წინ უსწრებდა საპაზრო ეკონომიკას და სახელმწიფოს წარმოშობასაც კი.“

კევინ კელი

„რასაც ცალ-ცალკე ვერ ვახერხებთ, ერთად კარგად გამოგვდის.“

გაღელთა მონათხრობი

აფხაზეთში შეიირალებულმა დაპირისპირებამ გალის რაიონი გააჩანავა. აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების (დსთ-ს ეგიდით) შესვლის შემდეგ, სოხუმის რეჯიმმა რაიონის „გატყევების“ სტრატეგია შეცვალა ე.წ. მცოცავი ანექსიის ტაქტიკით. ვინაიდან გალის რაიონი ოდითგან იყო აფხაზეთის ეკონომიკის საფუძველი და ბელელი, პოლიტიკური მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალეს მისი ტერიტორიის გადანაწილება ოჩამჩირისა და ახლად შექმნილი ტყვარჩელის რაიონებს შორის.

რაიონის მოსახლეობა (რომელზეც თბილისს ხელი არ მიუწვდებოდა, სოხუმს კი არ აინტერესებდა) პირისპირ დარჩა თავის ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული, პოლიტიკური პრობლემების წინაშე. 1994 წელს და შემდგომ წლებში გალში დაბრუნებული ადამიანების უპირველესი საზრუნავი გახდა გადამწვარი და განადგურებული სახლების აღდგენა, თავშესაფრების

გამართვა, საოჯახო მეურნეობის განახლება, პირუტყვის მოშენება, რაც მეტად ძნელი იყო.

სტიქიურად შეიკრიბნენ სოფელში დაპრუნებული ასაკოვანები და ახალგაზრდები: იმსჯელეს, იკამათეს და გადაწყვიტეს მცირე სახერხი საამქროს გამართვა. სახერხის მოწყობას ფული სჭირდებოდა. მოაწყვეს შეკრება და დაადგინეს ყოველი ოჯახიდან ერთი სულის მონაწილეობა ფიზიკურ სამუშაოთა შესრულებაში, საერთო სალაროში თანხის მოგროვება (ვისაც რამდენიც შეეძლო).

სამ თუ ოთხ თვეში, მრავალი წინააღმდეგობის გადალახვის შემდეგ, ზუგდიდში მცხოვრებ დევნილთა დახმარებით, სახერხი საამქრო გაიმართა. ეს იყო სოფლის თვითმმართველობის არაფორმალური ჩანასახი.

თავდაპირველად ხე-ტყეს (მორებს) საკუთარ ეზოებში ამზადებდნენ, შემდეგ კი შეთანხმებით, სოფლის მიმდებარე ტყეში, ცხენებით და კამეჩებით გადაჰქონდათ სახერხში. მოკლე დროში სოფელი საკუთარი ხე-ტყის მასალით მარაგდებოდა.

საქმემ მოითხოვა და ისევ შეიკრიბა სოფლი. გადაწყვიტეს სამშენებლო ბრიგადის შექმნა, რომელიც უსახლკარო ოჯახებისთვის ააშენებდა ოროთახიან ფიცრულ სახლებს და დამხმარენაგებობას.

მსგავსი ვითარება იყო რაიონის ბევრ სოფელში, გარკვეულ-ნილად რაიონულ ცენტრშიც.

მოინახა პრაქტიკული ჭუუის, მოხერხებული და დაუზარელი ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მოსახლეობამ „სოფლის უფროსობა“ შეარქვა, მაგრამ „უფროსობის“ ორგანიზაციულ გაფორმებამდე ჯერ კიდევ შორს იყვნენ.

ომის შემდგომ რაიონის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდება არ შეწყვეტილა, მაგრამ შიდარაიონული და შიდასასოფლო ქსელები განადგურებული იყო. ისევ შეიკრიბა მოსახლეობა „ხელმძღვანელობასთან.“ გადაწყვიტეს ელქსელების აღდგენა. მთელი სოფელი გამოვიდა ბოძების დამზადებისა და გამოცვლის სამუშაოთა მშესასრულებლად. მავთული ზუგდიდში

შეიძინეს. სპეციალისტის გარეშე საქმე არ გამოდიოდა და ყველა ოჯახი დათანხმდა თითო ლარის გაღებას რამდენიმე ელექტრიკოს-მონტიორის შესანახად.

სოფლის „ხელმძღვანელობაში“ ახალი ადამიანები გაჩნდნენ, უმეტესად ცნობილი მეურნეები და შეიქმნა ე.წ. აღმასრულებელთა ჯგუფი.

მაგალითი გადამდებია. ამ გზით და ამდაგვარად რაიონის თითქმის ყველა სოფლის მოსახლე უზრუნველყოფილ იქნა ელექტროენერგიით; ზამთარში პრობლემები შეიქმნა, კერძოდ, საჭირო გახდა ტრანსფორმატორების შეკეთება, ზეთით გამართვა, მონესრიგება. გააგზავნეს დელეგაცია რაიონულ ცენტრში, სადაც რაიონის ელექსელის სამსახურში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყვნენ სპეციალისტები (ხელმძღვანელი გოგი შაგიძე, მეტად განათლებული და კეთილშობილი ადამიანი, რომელიც რაიონში დაბრუნდა). შედგა გარიგება, რაიონის ელექსელების სპეციალისტებმა თბილისიდან შეიტანეს ზეთი, მოაწესრიგეს ტრანსფორმატორები და მკვებავი მოწყობილობები. სოფლის „ხელმძღვანელებსა“ და რაიონული ქსელის წარმომადგენლებს შორის „გაფორმდა“ ურთიერთვალდებულებათა ზეპირი გარიგება. მოგვიანებით, ასეთივე გარიგება შედგა მოსახლეობის წყალმომარაგების საქმეშიც. რაიონული ცენტრი და სოფლები გადაუდებელ საჭიროებათა გამო (ეკონომიკური ინტერესები) მიება ერთმანეთს.

მოუვლელობამ და, უპირველეს ყოვლისა, მუხლუხიანმა ჯავშანტექნიკამ საბოლოოდ გაანადგურა სოფლების ცენტრალური და შიდა სასოფლო გზები.

ყველაზე მეტად დაზიანებული გზების განაპირას მცხოვრებლებმა სოფლის ლიდერებთან დააყენეს გზების შეკეთების საკითხი. მოხერხდა გზების შეკეთება: ზუგდიდიდან გადმოიყვანეს ორი „პოვრუჟატელი“, თუმცა ერთი მათგანი „აფხაზმა მებაჟებმა“ წაართვეს, როგორც აფხაზეთის სახელმწიფოს საკუთრება; აუცილებელი გახდა სატვირთო მანქანებისა და ტექნიკური საშუალებების აფხაზეთში გადაყვანაზე ნებართვის მიღება. რა-

იონულ ცენტრში და სოხუმში, ასევე თბილისში გაიგზავნა „პეტიცია.“ როცა ამ საკითხით აფხაზური მხარე არ დაინტერესდა, საჭირო გახდა „დელეგაციის“ გაგზავნა სოხუმში, რაც ამ ადამიანებისთვის მეტად ძნელი და მიუღებელი იყო. საქმეში თბილისი ჩაერია და გაეროს დამკვირვებელთა მონაწილეობით ასეთი დროებითი სიტყვიერი ნებართვა გაიცა; აფხაზურ ადმინისტრაციას და რუსეთის სამშვიდობო ძალებსაც სჭირდებოდათ გამართული გზა.

ამ და მსგავს პრობლემებზე სოფლების კავშირი რაიონულ ცენტრთან, სოხუმთან და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებთან იძულებითი აუცილებლობა გახდა, თუმცა ამ ნაბიჯმა აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია. რიგ სოფლებში მოეწყო კრებები. ხმების უმრავლესობით გადაწყდა, რომ წინასწარი კონსულტაციები გაემართათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან (მიინვიეს ზუგდიდში), რათა სოხუმთან კავშირი გაგებულიყო არა როგორც უკანონო ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, არამედ, გარდაუვალი აუცილებლობა. რიგ სოფელში მიზანშეწონილად მიიჩნიეს მსგავსი საკითხებით რჩევა ეკითხათ გალის რაიონის აფხაზური საკრებულოს წევრებისთვის (მათ შორის ქართველებიც არიან), რომელთაც აფხაზები ფორმალურად მაინც უწევდნენ ანგარიშს, როგორც მათ წარმომადგენლებს.

სოფლის ლიდერთა ჯგუფი სტიქიურად გახდა მოსახლეობის ინტერესების გამომხატველი. ამ ჯგუფთან ურთიერთობების დამყარება დაიწყეს რაიონში მომუშავე საერთაშორისო და ეროვნულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც 1995–1998 წლებში, მაისის ტრაგიკულ მოვლენებამდე, ებმარებოდნენ მოსახლეობას, გაეროს, ეუთოს და სხვა პროგრამებით არემონტებდნენ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, საყოფაცხოვრებო ობიექტებს, შეჰქონდათ მედიკამენტები და სხვა; გაეროს მეთვალყურეები, როგორც წესი, უპირველესად სოფლის ლიდერებს ხვდებოდნენ მორიგი მკვლელობის, ყაჩაღობის ან სხვა ძალადობის ფაქტების მოკვლევასთან

დაკავშირებით. საქართველოში დიდი ბრიტანეთის მაშინდელი ელჩის ჯეგინისის მეუღლე (რომელიც საქართველოში მოღვაწე ერთერთ საერთაშორისო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა) დაეხმარა ქვემო ბარღებელებს მოზრდილი საამქროს მოწყობაში, რომელიც ციტრუსოვანთა ნაყოფის ყუთებს ამზადებდა.

1994-1995 წლიდან, დაპრუნებული მოსახლეობის ინიციატივით, რაიონის ცალკეულ სოფლებში დაიწყეს ქართული სკოლების აღდგენა, მაგრამ აფხაზური ადმინისტრაციის კატეგორიულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ჰედაგოგთა რისკითა და მათი გმირობის ფასად სწავლება (საქართველოს განათლების სამინისტროს პროგრამით) თანდათანობით ორგანიზებულ ფორმას იღებდა საამისოდ შერჩეულ რამდენიმე შემორჩენილ ძეგლებურ ოდა-სახლში. რიგი სოფლის საერთო კრების გადაწყვეტილებით სახერხი საამქროდან შემოსული მცირედი თანხები მასწავლებლებზე გაიცა სიმბოლურ ჯამაგირად.

აფხაზურმა ადმინისტრაციამ, იგრძნო რა, რომ სკოლებზე კონტროლი ხელიდან უსხლტებოდა, ნება დართო სასწავლო პროცესი ლეგალიზებული ყოფილიყო, ამასთან დაადგინა, რომ პირველი კლასიდან სწავლება სოხუმში შედგენილი პროგრამებით განხორციელებულიყო, ანუ, არსებითად რუსულად და აფხაზურად.

საჭირო გახდა კრების მოწყობა. სოხუმის მუქარის გამო ფორმალურ დათმობაზე წასვლა გადაწყვიტეს, სხვა გამოსავალი არ ჩანდა. სკოლების შენახვა ადვილი არ იყო, მასწავლებლებისა-მეტად სახიფათო. შეთანხმება შედგა: სკოლების უმეტესობა ფორმალურად აფხაზური და რუსული გახდა, რეალურად ქართული. უცხოურმა ორგანიზაციებმა და საქართველოს ხელისუფლებამ მცირეოდენ შეაშველეს ხელი სკოლებს რემონტის ჩატარებით და სასკოლო ნივთების გამოყოფით, თუმცა მშობლიურ ენაზე სწავლების ლეგალიზაცია ვერ მოხერხდა. მოგვიანებით გალის სკოლების ცალკეულ კლასებს სახელმძღვანელოები თბილისმა გამოყო უფასოდ, მასწავლებლებს დაენიშნათ მცირედი ხელფასი ერთჯერადი საჩუქრის სახით. საქართველოს პარლა-

მენტის რამდენიმე წევრის (ვახტანგ ყოლბაია, ფრაქცია „აფხაზეთი“, საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის საკითხთა კომისია და სხვა) თაოსნობით გალელ პირველასელებს და სხვა დევნილ ბავშვებს წლების განმავლობაში ურიგდებოდათ „დედა ენა“, სასკოლო ნივთები.

მოსახლეობისთვის მეტად რთული პრობლემა გახდა ჯანმრთელობის დაცვა. საქართველოს და აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ინიციატივით რიგ სოფლებში გახსნილი ამბულატორიები პრობლემებს ვერ უმკლავდებოდნენ, რაიონული საავადმყოფო კი შორს იყო, ამასთან არასათანადოდ აღჭურვილი, თანაც კომენდანტის საათის პირობებში ავადმყოფები ზუგდიდში ვერ გადაჰყვდათ. სოფლის ლიდერები დარწმუნდნენ, რომ საკუთარი შემოსავლების გარეშე ამ ურთულეს საკითხს ვერ გადაწყვეტდნენ. რამდენიმე სოფელში მოხერხდა მცირე და საშუალო საწარმოს ორგანიზაცია, რომლებმაც იყისრეს სამედიცინო საკითხების მოგვარებაში მოსახლეობის დახმარება. მათ შეიძინეს „რაფის“ ტიპის ორი ავტომანქანა, რომელიც სასწრაფო დახმარების მოვალეობასაც ასრულებდა.

აფხაზური ადმინისტრაციის მიერ რაიონის სოფლებში ფორმალური მმართველობის შექმნამდე, ადგილზე „არჩეული ხელმძღვანელები“ უმტკივნეულოდ მართავდნენ ვითარებას, რადგანაც მათ ენდობოდნენ, რჩევას თხოვდნენ; რაიონში აფხაზური სტრუქტურების მომდლავრებისა და „რეალური ორხელისუფლებიანობის“ პირობებში გაუჭირდათ მუშაობა, თუმცა არაერთი პრობლემის მოვარეს; კერძოდ, სოფლების უმეტესობიდან აღდგა ავტორეისები რაიონულ ცენტრში (კვირაში ორჯერ), მიმოსვლა ქალაქ ზუგდიდში, აღადგინეს რამდენიმე ხიდი, შეაკეთეს გზები, კეთილმოაწყვეს სასაფლაოები.

ამასთან ერთად, მოსახლეობისთვის ცხადი გახდა, რომ ცენტრის (რაიონული თუ უფრო მაღალი) დახმარების გარეშე ვერ გადაწყვეტდებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა კრიმინალებთან გამკლავება, მიწების სამართლიანი განაწილება, სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება, ჯანდაცვის და განათლების პრობლემე-

ბის მოგვარება, მთავარი გზების რეაბილიტაცია, უსაფრთხოება, ადამიანის უფლებათა დაცვა და სხვა.

გალში თვითმმართველობის სტიქიურად ფორმირებას მრავალი წელიწადი ვაკვირდებოდი, ზოგჯერ რჩევასაც მთხოვდნენ, მაგრამ ის უმთავრესი დასკვნა, რომლის შესაძლებლობაც მე მომეცა, ისაა, რომ ყოველ სოფელში, თემში (სასოფლო საბჭოში) არიან ადამიანები, რომელთაც სამართლებრივ და ორგანიზაციულ ჩარჩოში „ქვემოდან“ ჩაყენებით შეუძლიათ მოუარონ ისეთ პრობლემებს, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი მოსახლეობისთვის მინიმალური საარსებო პირობების შესაქმნელად.

თვითმოწესრიგებად სოფელში მაღალია მათი რჩეულებისადმი ნდობა და მხარდაჭერა, ალბათ იმიტომ, რომ გაჭირვების დროს მოსახლეობისთვის მიუღებელია მბრძანებლობა, პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით ადამიანთა დაყოფა, ზედმეტი ორგანიზებულობა და ფორმალიზმი. ამჟამად იქ არსებული სასტიკი რეალობის გამო, სავსებით ბუნებრივია ადგილობრივ მცხოვრებთა შორის სოლიდარობის უჩვეულოდ მაღალი დონე, თანადგომა, ტრადიციის, ადათ-წესების ძველებურად შესრულება; გადარჩენისთვის ბრძოლაში „გაიზარდნენ“ ე.ნ. მართვის სუბიექტები და ობიექტები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ თვითმმართველობის (თუმცა ასეთი სახელწოდება მეტად პირობითია) სასოფლო, სათემო და რაიონული დონე აუცილებელია, სხვანაირად ჩაკვდება სოფელი, რაიონი, როგორც სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ტერიტორიული ერთობა, ერთს გენისა და ადათ-წესების მატარებელი და შემნახველი. მათი აზრით, კონფლიქტის მოწესრიგების შემდეგ, გარდუვალია თვითმმართველობის მესამე დონე, თუნდაც შეზღუდული, მაგრამ მორგებული და შეხამებული სახელმწიფო მმართველობის ინტერესებთან და აღჭურვილი შესაბამისი უფლებამოსილებით; მათ შორის არსებობს გაუგებრობები, მაგრამ, როგორც წესი, ეს პიროვნულ ინტერესებს შორის წინააღმდეგობა უფროა (რომლის დაძლევა შესაძლებელია პატიოსანი არჩევნებით და მოქნილი სახელმწიფო პოლიტიკით),

ვიდრე ობიექტური რეალობით გამოწვეული შეუთავსებლობა; ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ შემოსავლების სწორი გადანაწილებით, მიზნობრივი სუპსიდირებით, უცხოელთა მატერიალური და ფინანსური დახმარებით ბევრი რამის მოგვარება შეიძლება. მათ საეჭვოდ არ მიაჩნიათ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის უმთავრესია მიწა, როგორც შემოსავლების უშრეტი წყარო, ადგილობრივი წარმოების გარანტი. შიმშილის საფრთხემ განაპირობა მესიმინდეობის ალდგენა, როგორც საკვებად, ასევე საოჯახო მეურნეობის შესანახად (მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა). მაღალმა ფასმა სტიმული მისცა ასეულობით ჰექტარი თხილის ახალი პლანტაციების გაშენებას, თუმცა იქაურთა ყოველდღიურ საქმიანობაში მესამინდეობას და მესაქონლეობას, შინამეურნეობას დღემდე უმთავრესი ადგილი უკავია, ვინაიდან თავს დამტყდარმა გაჭირვებამ ადამიანებს ერთხელ კიდევ ასწავლა, რომ ნებისმიერ ვითარებაში გადასარჩენად აუცილებელია მხოლოდ საკუთარი თავისა და საკუთარი მეურნეობის იმედით ყოფნა.

გალში, საყოველთაო გაჭირვების პირობებში დაბადებულ ადგილობრივ თვითმართვას (სახელმწიფო მართვის ორგანოები იქ არ არსებობს) ქაღალდზე გადატანილი სახელი არა აქვს (არც თვითმართველობა ჰქვია და არც მმართველობა), მაგრამ რეალურად ერთიც არის და მეორეც. რიგ საკითხებში ხალხსა და ლიდერებს შორის გაუგებრობებსაც აქვს ადგილი, მაგრამ ყველაფრის მოგვარება შეიძლება, როცა მსაჯულად საერთო კრებას მოიწვევენ, ადამიანებს ერთად თუ ცალ-ცალკე განუმარტავენ და საქმის კურსში ჩააყენებენ.

გალელებს მიაჩნიათ, რომ სამდონიანი მმართველობა, ორი თუ ერთი, მთავარი არ არის და არც უფლისგანაა დადგენილი; იქ იმდენი პრობლემაა, რომ ღმერთმა ქნას, სამი დონეც მოერიოს მათ. მხედველობაშია უფლებამოსილებათა იმგვარი გადანაწილება, როცა მეორე დონე აკეთებს იმას, რომლის გაკეთებას პირველი ვერ ახერხებს, მესამე კი იმას, რასაც მეორე ვერ მოერევა. მთავარია, რომ უფლებამოსილებათა გადანაწილების არსებითი

მიზანი იყოს ეკონომიკური და სოციალური უზრუნველყოფა, მყარი საოჯახო შემოსავალი. გალელთა აზრით (არიან იქ ასეთი ადამიანები!), არასწორია მტკიცება იმისა, რომ სანამ ქვეყანა ღატაკია და ბიუჯეტი მწირი, თვითმმართველობა ვერ გაამართლებს. სწორედ, რომ პირიქითაა, მხოლოდ ორგანიზებული თვითმმართველობა და ვითარების ადეკვატური ეკონომიკური მექანიზმები უზრუნველყოფენ ადგილებზე სიღატაკის დაძლევას, თვითუზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტისგან დამოკიდებულების შემცირებას, სახელმწიფოს „ხილული ხელის“ შემსუბუქებას და მისი ე.წ. უჩინარი ფეხის ნეიტრალიზაციას.

ადგილობრივი თვითმმართველობის უპირველესი საფუძველი ეკონომიკა, ეკონომიკური ინტერესებია. ალბათ, მართლებია არიან ადგილობრივი მმართველობის არაპოლიტიზირებული მკვლევარები, მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მთლად ბრმად, მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე მინდობით საზოგადოებას არასოდეს უარსებია, მით უფრო სოფელში, სადაც ვაჭრობა, ქალაქისგან განსხვავებით, ისტორიულად უფრო საქონელგაცვლა იყო და სასაქონლო წარმოება მოგვიანებით გაჩნდა. ცხადია ისიც, რომ თვითმმართველობა, თუნდაც სამართლებრივ და ორგანიზაციულ ფორმას მოკლებული, ყოველთვის არსებობდა მმართველობის სხვა (მონათმფლობელური, ფეოდალური) ფორმების გვერდით, მათ შორის სახელმწიფო მმართველობის პარალელურად. ისტორიულად იგი წინ უსწრებდა საბაზრო ეკონომიკას და სახელმწიფოს წარმოშობასაც. თავისი „ასაკით“ იგი პირველწარმოების ასაკისაა, ვინაიდან ის მაშინ იწყებს არსებობას, როცა თემის ეკონომიკა და მისი შეთანხმებული მმართველობის აუცილებლობა ჩნდება.

განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში თვითმმართველობის ბუმი განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის სრულიად კანონზომიერი მოვლენებით, რომლის ყოვლისშემძლეობა, თუმცა გაზვიადებულია, ისევე როგორც მისი მეორე უკიდურესობა, სახელმწიფოს ყოვლისმომცველი ჩარევის აუცილებლობა. ზომიერება გარდაუვალია სახელმწიფოს მდგრადი და სტაბილური

განვითარებისთვის, მაგრამ უეჭველია, რომ თვითმართველობა მეტად მოქნილი მექანიზმია საბაზრო ეკონომიკის „უჩინარი ხელის“ და „უჩინარი ფეხის“ შესაცემად, რომლის გარეშეც ქვეყნის ყველა რეგიონში ინვესტიციების სტიმულირება და გადანაწილება ისევე წარმოუდგენელია, როგორც წყლის აღმა დინება გარეგანი ზენოლის და სტიმულირების გარეშე.

გალელები მიყვებოდნენ, რომ ქალაქ ფოთის განვითარების ერთი ისტორიული მონაკვეთი თვითმართველობის პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის გასაოცარი ეროვნული მაგალითია და ნიკო ნიკოლაძის გაბედული ღვაწლი სერიოზულადაა შესასწავლი. მათი აზრით, ქალაქ თბილისის უძველესი თვითმართველობა, ასევე მე-19 საუკუნის სოხუმის თვითმართველობის გამოცდილება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

საბაზრო ეკონომიკამ ქალაქიდან სოფელში უნდა გადაინაცვლოს, რაც წარმოუდგენელია ადგილობრივი თვითმართველობის საკანონმდებლო, მატერიალური დაფინანსური მხარდაჭერისა და შესაბამისი ინსტიტუციური უზრუნველყოფის გარეშე. ამ საქმეში მეტისმეტი სიფრთხილე უადგილოა. სხვანაირად შეუძლებელია მოხდეს ის, რაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოხდა, ანუ აყვავდეს, გაძლიერდეს სოფელი, თემი, რაიონი, რეგიონი, დემოკრატიამ მოსახლეობას მოუტანოს ადამიანური ცხოვრება და ბედნიერება.

გაზეთი „რეგიონის დროით,“
1 დეკემბერი, 2005.

აკადემიკოსი ილია ვეკუა

2007 წლის 23 აპრილს სრულდება გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის დიდი ორგანიზაციონის, საზოგადო მოღვაწის ილია ნესტორის ძე ვეკუას დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 30 წლისთავი.

აფხაზეთში, გალის რაიონში (სამურზაყანო), ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ თავისი შრომის-მოყვარეობით და უდრევი ნებისყოფით გაარა გზა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რიგით სტუდენტიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიული მათემატიკური დაწესებულებების ხელმძღვანელის, საქვეყნო სამეცნიერო და საზოგადოებრივი აღიარების მწვერვალებამდე; მან, ნიკო მუსხელიშვილთან ერთად, საქართველოს მათემატიკურ სკოლას მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

აღსანიშნავია, რომ უსწავლელმა, მაგრამ ბუნებრივი სიბრძნით შემკულმა მამამ-ნესტორ ვეკუამ, ოჯახის მარჩენალი კამერი გაჰყიდა, რათა ნიჭიერ ახალგაზრდას თბილისში ჩასვლისა და რამდენიმე თვე თავის შენახვის საშუალება ჰქონდა.

ახალგაზრდა მეცნიერის განსაკუთრებული ნიჭიერება ღირსეულად განჭვრიტეს ქართული მათემატიკური მეცნიერების ისეთმა კორიფეულმა, როგორებიც იყვნენ ანდრია რაზმაძე, გიორგი ნიკოლაძე, არჩილ ხარაძე, ლევან გოკიელი, ხოლო ქართველ მათემატიკოსთა მამამ, ნიკო მუსხელიშვილმა ასპირანტურის გასავლელად მას რეკომენდაცია გაუწია მსოფლიო აღიარების მქონე აკადემიკოს კრილოვთან სანკტ-პეტერბურგში.

1939 წელს, 32 წლის ასაკში, ილია ვეკუა მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი ხდება, 1944-1947 წლებში იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორია სასწავლო დარგში. ამ დროისთვის ილია ვეკუა უკვე აღიარებული მეცნიერია არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. მისი მონოგრაფიები დებულობენ უმაღლეს სახელმწიფო პრემიებს, მისი შრომები ითარგმ-

ნება ინგლისურ, გერმანულ, იაპონურ და სხვა ენებზე, ლექციების წასაკითხად ინვევენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა მოსკოვში, სადაც ხელმძღვანელობდა მსოფლიო აღიარების მქონე სამეცნიერო ცენტრებს. უშუალოდ მის სახელთან არის დაკავშირებული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების შექმნა, აკადემიური ქალაქის და ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა, რომლის პირველი რექტორიც თვითონ გახდა. ამ უნივერსიტეტში აღიზარდა თანამედროვეობის მრავალი დიდი მათემატიკოსი.

1964 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შექმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემათა ლაბორატორია, მოგვიანებით გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომელიც მის სახელს ატარებს.

1972 წელს ილია ვეკუას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, სადაც მკაფიოდ გამოჩნდა მისი კიდევ ერთი ტალანტი, კერძოდ, შექმნა პირობები, რათა ხელი შეწყობოდა მეცნიერების ფუნდამენტური და პრაგმატული დარგის განვითარებას, ეროვნული კულტურის აყვავებას, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა-პატრონობას, მეცნიერებისა და კულტურის ერის სამსახურში ჩაყენებას. ამავე წლებში მეცნიერებათა აკადემიასთან იქმნება სვანეთის (საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების) შემსწავლელი ექსპედიცია. მის სახელთან არის დაკავშირებული გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების სახელთა უკვდავყოფა, საიუბილეო ღონისძიებების პირდაპირი დაკავშირება სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების ნიჭიერების წარმოჩნდასთან. აკადენიკოს ვეკუას ინიციატივით გრანდიოზული მასშტაბით აღინიშნა ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი. საზეიმო დღეებში საქართველო მსოფლიოს ელიტარულ მოღვაწეთა დიდი თავურილობის ცენტრად იქცა, ხოლო თბილისი მსოფლიოს აღიარებულ მეცნიერთა ოლიმპად.

ილია ვეკუას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ

აფხაზეთთან; მან მრავალი სახელოვანი მეცნიერი და მოღვაწე გაუზარდა აფხაზეთს, მუდამ აინტერესებდა მშობლიური აფხაზეთის ამბები, მისი ტკივილი და სიხარული, დიდი მოუცლეობის მიუხედავად ახერხებდა აფხაზეთში ჩასვლას, ამიტომაც მოიაზრებოდა იგი წმინდა ადამიანად აფხაზი მოსახლეობის თვალში; მას განსაკუთრებული ზეიმით ხვდებოდნენ სოხუმში, გუდაუთაში, გალში. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის უცვლელი დირექტორი აკადემიკოსი გიორგი ძიძარია წერდა: „ილია ნესტორის ძეს მშობლიურად მიაჩნდა აფხაზეთი, და რა თქმა უნდა, ჩვენი ინსტიტუტი. როცა ბატონი ილია ჩვენთან რეკავდა და ვსაუბრობდით, მას არასოდეს არ უკითხია როგორ გაქვთ საქმე, ან როგორ არის თქვენთან საქმეო, ის ყოველთვის მევითხებოდა: როგორ არის ჩვენთან საქმე, ან როგორ გვაქვს საქმე. დიახ, მან უდიდესი წვლილი შეტანა აფხაზეთის მეცნიერების და კულტურის განვითარებაში.“

1968 წელს, როცა უკვე მკაფიოდ იკვეთებოდა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების პროცესირების მორიგი მცდელობა, აფხაზეთის საზოგადოებამ ილია ვეკუას დიდი ზეიმი გაუმართა ქ. სოხუმში. აფხაზებმა იგი ერთ კვირით მიიწვიეს გუდაუთაში. ეს იყო დაუვიწყარი ყურადღების და ღვთიური პატივისცემის დღეებით, იხსენებდა ილია ვეკუა.

აფხაზთა აზრით, იგი იყო თავისი ხალხის ნამდვილი შვილი, ქართულ-აფხაზური ზნეობის და ტრადიციების დამცველი და გამტარებელი, პირდაპირი და რაინდი, რომელსაც ხალხისთვის მიცემული სიტყვა არასოდეს გაუტეხავს.

1985 წლის აპრილში აკადემიკოს ვეკუას მშობლიურ სოფელ შეშელეთში (გალის რაიონი) მისი სახლ-მუზეუმი გაიხსნა. მუზეუმის გახსნის ცერემონიალი, (მიუხედავად შემდეგ განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისა) ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის და ნათესაობის უპრეცედენტო გამოვლინება იყო, რომლის დავიწყება შეუძლებელია.

1977 წელს თბილისის უნივერსიტეტში გაიმართა ილია ვეკუას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო საბჭოს სხდომა. მან,

უკვე უკურნებელი სენით შეპყრობილმა, ვერ შეძლო საქართველოს ახალგაზრდებისადმი მიმართვის ტექსტის წაკითხვა, მაგრამ ათასობით სტუდენტმა და ათეულ ათასობით ადამიანმა მოისმინა ამ სიტყვის აუდიოჩანაწერი; მისი ეს მიმართვა დღემდე ითვლება აღმზრდელისა და აღსაზრდელის დამოკიდებულების, მამულიშვილობის, ეროვნული და მსოფლიო მეცნიერებისადმი ფანატიკური ერთგულების, ცოდნისა და განათლების მუდმივი განახლების აუცილებლობის, ეროვნული უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებაზე საყოველთაო ზრუნვის, აღზრდისა და განათლების ერთიანობის კლასიკურ მაგალითად.

იუბილეზე მოწვეულმა უცხოელმა სტუმრებმა იგი XX საუკუნის უდიდეს მეცნიერად და საზოგადო მოღვაწედ აღიარეს.

აკადემიკოსი ილია ვეკუა 1977 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია მთანმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მისი ბრძოლა სიკვდილთან მისივე მორიგი გამარჯვება იყო, რადგანაც მეცნიერის ბოლო შრომები, საერთაშორისო აღიარების თვალსაზრისით, იქცა მათემატიკური მეცნიერების ახალ, ურთულეს დარგებში ქართული სკოლის კიდევ ერთ გამობრწყინებად, რომლის სათავეებთან მისივე აღმზრდელი, უდიდესი ქართველი მათემატიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი იდგა.

„აფხაზეთის ხმა,“
17 აპრილი, 2006წ.

შეთქმულება ქართველთა და აფხაზთა ნინეალებებ

იანკოვსკის (კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი) 1881 წლის ცირკულარი საქართველოში ქართული ენის ნაცელად რუსული ენის სწავლებას აწესებდა. აიკრძალა ქართული უურნალ-გაზეთების გამოცემა. სკოლებში მშობლიური ენა გამოცხადდა არასავალდებულოდ და მას მხოლოდ დაბალ კლასებში ეთმობოდა მცირე დრო, ისიც გაკვეთილების ბოლოს.

იმავე იანკოვსკის 1885 წლის ცირკულარით ქართული ენა საერთოდ აიკრძალა სკოლებში და იგი „საოჯახო საზრუნვად“ გამოცხადდა; სამეცნიეროს, აჭარის, სვანეთის სკოლებში სწავლება შემოიღეს მეგრულ, თურქულ და სვანურ ენებზე იმ მომიზეზებით, რომ თითქოს მეგრელები, აჭარელები, სვანები არაქართველ ეროვნებებს ნარმოადგენენ.

წელიწადზე მეტია, რაც გალის რაიონში განაახლეს რაიონულ გაზეთ „გალ“-ის („გალი“) გამოცემა. გაზეთი თვეში ორჯერ გამოდის. ოთხგვერდიანი გაზეთის ორი მესამედი რუსულია. გაზეთს თითქოსდა საინფორმაციო ხასიათი აქვს, მაგრამ პოლიტიზირებულია და ე.წ. აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარებას ემსახურება.

გაზეთის პირველ გვერდზე თვალსაჩინოდ გამოტანილია ციტატა ადამიანის საყოველთაო უფლებათა დეკლარაციიდან: „ყველა ხალხი თანასწორუფლებიანია, ყველას აქვს უფლება ილაპარაკოს და წეროს მშობლიურ ენაზე.“

გაზეთის ერთ-ერთ ნომერში ავტორები ცდილობენ დასაბუთონ, რომ მეგრელები უძველესი ხალხია, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი დამნერლობა, რომელიც წაართვეს, ისევე როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფობრიობა, ენა, კულტურა, აპუარეს ღირსება და პატივი; აფხაზები დღენიადაგ ზრუნველ მხარში ამოუდგნენ სამურზაყანოელებს და „მილიონნახევარ მეგრელს

დამოუკიდებლობის აღდგენასა და თავისუფლების მოპოვებაში.“

მკითხველს არ გაუჭირდება გაიცნობიეროს ახალი იანკოვსკის შემკვეთის ვერაგული მიზნები, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ სხვათა მიბაძვით დაბრმავებული აფხაზები ვერ გრძნობენ უახლოეს მომავალში აფხაზეთში ქართული და აფხაზური ენების დასასრულს, მათ ეგრეთწოდებულ ინკორპორაციას რუსულ ენასა და რუსულ სახელმწიფოში.

აფხაზეთში ქართული ენის ბედის შესახებ საყოველთაოდ ცნობილია. ახლა იქ ოფიციალურად ყველა სკოლა რუსული და აფხაზურია, დაწყებით კლასებში ქართული ისწავლება როგორც ერთ-ერთ უცხო ენა, ისიც ბოლო გაკვეთილად. დღემდე ამამ გამოდგა ქვეყნის ხელისუფლების, გაეროს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობა ვითარების შესაცვლელად. მორიგი სატყუარა აღმოჩნდა აფხაზეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირება ქართული სკოლების აღდგენის შესახებ.

დაქუცმაცებულ, შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ და სხვა რაიონებისთვის გადანაწილებულ გალის რაიონში ქართული ენა ფაქტიურად აკრძალულია, თუმცა სოხუმის ოფიციალური მტკიცება (რაც დაფიქსირებულია მათსავე კონსტიტუციაში), რომ „ყველა ხალხს აქვს მშობლიურ ენით სარგებლობის უფლება“, რბილად თუ ვიტყვით, ბლეფია, რადგან, თუნდაც სოხუმის მონაცემებით, აფხაზეთის ამჟამინდელი მოსახლეობის 36% აფხაზია, 25% კი ქართველი.

ახლა ისევ „გალ“-ის შესახებ.

გაზეთი არ სჯერდება „ჩვეულებრივ“ ანტიქართულ თემებს და ახალი აღთქმის მეგრული სიტყვებით თარგმნას და პუბლიკაციას მიჰყო ხელი, მაგრამ, რადგანაც მყიდველი და მკითხველი არ ჰყავს, აქვე აქვეყნებს გალაკტიონ ტაბიძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ლექსებს, სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკებს, კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობებს, სხვა გამოჩენილი ქართველი მწერლების ნაწარმოებებს მეგრული კოლოკავების გამოყენებით (იქაურთა გადმოცემით, ერთი ფრიად განათლებული, მაგრამ, აფხაზთა მიერ მეტისმე-

ტად შეწუხებული ადგილობრივი ცეურნალისტის ხელშეწყობით), და რაღა თქმა უნდა, მათ საფარველმი ცალკეული რუსი და აფხაზი მწერლებისა და პოეტების ანტიქართულ ნაწარმოებებს.

გალის რაიონის მოსახლეობისთვის, ბუნებრივია, ძნელია მეგრულად შედგენილი წერილების წაკითხვა, ამიტომ ახალი აღთქმის წმინდა ფურცლებივით გადასცემენ ერთმანეთს ენგურს გამოღმიდან გადატანილ ან აფხაზეთში შემთხვევით მოხვედრილ ქართულ გაზეთებს ან მათ წაგლეჯებს. წატრობენ იმ დროს, როცა ქართული მხარე (გალის რაიონის ძეველი გამგეობა, ხელისუფლების ფინანსური დახმარებით) ახერხებდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ შეტანას და გავრცელებას.

გალის მოსახლეობა დებულობს რიგ ტელეგადაცემებს (ტელევიზორები თითქმის მთლიანად გაიტანეს ბოევიკებმა), მაგრამ აფხაზეთის სხვა რაიონებში მცხოვრები ქართველები სრულ საინფორმაციო ვაკუუმში არიან.

არსებობს აზრი, რომ „გალ“ თითქოსდა არ წარმოადგენს რამენაირ საფრთხეს ქვეყნისთვის, მაგრამ აფხაზეთის ისტორიაში ოდნავ ჩახედულისთვის ცნობილია თუ როგორ ჩაანაცვლა (XVI-XVII საუკუნეები) ჩრდილოეთიდან ჩამოსული რამდენიმე ასეული მეომრის და მათი მეთაურების ენამ, უძველესი ადგილობრივი აფხაზური ენა ამჟამინდელი (როგორც თვითონ ამბობენ) აფსუური ენით. აფხაზეთში დარჩენილი და, ამდენად, ცენტრალური ხელისუფლებისგან სრულიად დაუცველი მოზარდი, რომელმაც არ იცის საქართველოს (სეპარატისტების მიერ აკრძალულია) ისტორია, გეოგრაფია, არ იცნობს საქართველოს სახელმწიფოს წარმომასა და განვითარებას, აფხაზეთის საკითხებში ერთიანი საქართველოს სამეფოს, იმერეთის სამეფოს, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის ყოფილი სამთავროების როლს და ადგილს, შესაძლებელია თაფლაკვერად მიიღოს შხამი, რასაც მას კარგად შენიღბულად სთავაზობენ.

ამ ზაფხულს, არდადეგებზე, ერთი მეცხრე კლასელი გალელი მოსწავლე თავის თანატოლებთან ჩასულა ზუგდიდში. ყმაწვილებს შორის საკამათო გამხდარა გალელი სტუმრის მტკიცება

იმის თაობაზე, რომ, როგორც მათ ასწავლიან, აფხაზთა მეფეებს დაუპყრიათ საქართველოს მიწები, შეუქმნიათ „დიდი აფხაზეთი“ და ქალაქი ქუთაისი აუშენებიათ. მასპინძელმა თანატოლებმა თურმე არაფერი დაუთმეს გაცხარებულ სტუმარს და განუმარტეს, რომ გალში მას ცრუ ისტორიას ასწავლიან და დასტურად წინა საუკუნის 20-იან წლებში გამოცემული წიგნები დაუწყვიათ მაგიდაზე; გადმომცეს, ცნობისმოყვარე ყმაწვილი თუ როგორ ეძებდა პასუხებს მისთვის საინტერესო კითხვებზე და როგორი გაოცება გამოუხატავს, როცა წაუკითხავს: „მე-8 საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა აფხაზეთის სამთავრო. 735 წელს არაბებმა, მურვან ყრუს მეთაურობით სამცხეში იბერიელთა ჯარი დაამარცხა და გაილაშქრა ეგრისში, აიღო ციხე-გოჯი, შემდეგ კლისურის ციხეს და ცხუმს მიადგა. არაბები მოკლე ხანში გაეცალნენ ამ მხარეს... ბიზანტიის კეისარმა დააწინაურა აფხაზეთის ერისთავი, ტიტულად უბოძა ლეონ I და დაუმკვიდრა საგამოებლოდ აფხაზეთი კლისურიდან ვიდრე დიდი ხაზარეთის მდინარემდე..... ლეონ პირველის შემდეგ ერისთავი გახდა ლეონ II, იგი მეფედ იწოდებოდა, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს მეფე მემკვიდრეობით გახდა. ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) მეფე არჩილმა, რომლის გავლენა ეგრისზე ვრცელდებოდა და ბიზანტიის იმპერატორის ნებით აფხაზეთსაც მფარველობდა, ლეონს ცოლად შერთო თავი-სი დისწული, ეგრისის მეფის ასული, გადასცა სამეფო გვირგვინი და ამით იგი ეგრისის სამეფოს მემკვიდრედაც აღიარა. „მატიანე ქართლისა“ გვეუბნება, რომ ეგრისის უმემკვიდრო მეფის სიკვდილის შემდეგ ლეონმა მემკვიდრეობით მიიღო ტახტი. ქართლის მეფის სურვილით და ეგრისის ტახტის მემკვიდრეზე დინასტიური ქორნინების წყალობით, ლეონ II გახდა მთელი დასავლეთ საქართველოს კანონიერი მფლობელი. მას ეწოდა „აფხაზეთის მეფე“ თავისი პირვანდელი სამთავროს სახელნოდების მიხედვით და ასე იქცა დასავლეთ საქართველო „აფხაზეთად.“

დაფიქრებულ გალელ სტუმარს, რომელსაც ბევრი სხვა წიგნიც გააცნეს, ისიც აუხსნეს, რომ ქუთაისი ქართული ქალაქი

იყო და ასეა ახლაც, იმდროინდელი აფხაზები ქართულად საუბრობდნენ. დაბნეულ სტუმარს ასევე აუწყეს, რომ არაფერია გასაკვირი, ვინაიდან მსგავსი მაგალითები უამრავია კაცობრიობის ისტორიაში, თუნდაც ის, რომ არაბები ეგვიპტეში გადავიდნენ საცხოვრებლად და დღემდე ეგვიპტელებად იწოდებიან; ლეონ II დამპურობი აფხაზი მეფე კი არა, ისეთივე მეფე იყო, როგორც საქართველოს სხვა მეფეები; მან დიდი წვლილი შეიტანა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაში, ქართული კულტურის, ქართული მწიგნობრობის, ქართული პოლიტიკური კურსის გატარებაში, ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაში.

სტუმარის და მასპინძელთა კამათი მთელი ზაფხული გაგრძელებულა; მოგვიანებით, თურმე, სტუმარი უხსნიდა მასპინძლებს, რომ „აფხაზი მეფეების ძალისხმევით დასავლეთ საქართველოს ეკლესია გამოსულა ბიზანტიის გავლენისგან, გაუქმებულა ბიზანტიური ეპისკოპოსობა ფაზისში, გუდაყვაში; მეფე გიორგი მესამეს დაუარსებია მარტვილის ჭყონდიდელის კათედრა, ლეონ III დროს ჩამოყალიბებულა მოქვის ტაძრის კათედრა, დიდი საქართველოს გამაერთიანებელი მეფის ბაგრატ მესამის დროს, – ბედიის კათედრა...“

ცხადია, რომ ზემოაღნიშნული ერთერთი გამოძახილია იმ პოლიტიკისა, რასაც რუსეთი და აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ახორციელებს გალის რაიონის ქართული მოსახლეობის მიმართ. სამწუხარო, მაგრამ ფაქტია, რომ გალის რაიონის სკოლების ეზოებში ბავშვები რუსული და ქართული უარგონებით ჟივილ-ხივილობები ხანდახან, სოფლის შარაგზებზეც გაიგონებ საუბარს უცხო ენებზე.

აფხაზეთის მოსახლეობის გარუსების საფრთხე რეალურია, რაც, ჩემი აზრით, ადეკვატური საპირნონე ზომების დროულ გატარებას მოითხოვს.

გაზეთი „გალ“ სოხუმის დაფინანსებით, პირველ პოსტკონფლიქტურ წლებშიც გამოდიოდა, მაგრამ შეწყდა მოსახლეობის ღია და ფარული პროტესტის გამო. გაზეთი აღდგენილ იქნა და ამჟამად გამოიცემა აფხაზთა „სიძის“, ვინმე ინგლისელი მეცნიე-

რის, ე.წ. კავკასიოლოგი და აფხაზოლოგი ჰიუტის ფინანსური მხარდაჭერით.

გაზეთს სოხუმშიც ჰყავდა და ჰყავს მოწინააღმდეგები. ესენი აფხაზეთის ისტორიაში ჩახედული ადამიანებია, რომლებმაც შესანიშნავად იციან, რომ მეგრული დიალექტი იგივე ქართულია, რომ მეგრელები, უძველესი კოლხები, თუნდაც გააფხაზებულნი, სისხლით, ხორცით და სულით ქართველები არიან და მეტად უძნელდებათ აფხაზური (ადილურ-ჩერქეზული კონგლომერატი) ენის შესწავლა.

იქნებ საჭირო იყოს იმისი აღნიშვნაც, რომ ბოლო დროს ოკუპირებული აფხაზეთის საზოგადოებაში ცხარე კამათის საგანია აფხაზურ-რუსული ურთიერთობის ისტორიის საკითხებიც; უფრო ზუსტად, აფხაზეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს გამო, რომლის ავტორია სტანისლავ ლაკობა (ოლეგ ბლაზბასთან ერთად). ავტორებს დაუფარავად ადანაშაულებენ ანტირუსულ განწყობაში, კერძოდ იმაში, რომ აფხაზეთის ისტორიის გარკვეულ პერიოდს ისინი „რუსეთის ბატონობის შავბნელ პერიოდს“ უწოდებენ. „XIX საუკუნის გადმოცემა არ შემიძლია. ის აფხაზებისთვის (და არა მარტო მათთვის) ძალიან მძიმე და საშინელი საუკუნე იყო. თუმცა არ არის მართალი, რომ იმ დროს კარგი არაფერი ხდებოდა, რომ კულტურის, მშენებლობისა და არქიტექტურის სფეროებში მრავალი რამ არ გაკეთებულა. ამას არავინ უარყოფს,“ მიაჩნია სტანისლავ ლაკობას. „რუსეთისა და აფხაზეთის ურთიერთობის ისტორიაში ნათელი ფურცლებიც იყო და ბნელიც, მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთის გვერდიგვერდ მცხოვრები ერების ისტორიაში სხვაგვარად ვერც იქნებოდა,“ – ასევე იმართლებენ თავს რუსი მოხელეების წინაშე სოხუმის რეჟიმის მესვეურები.

ადრეულ პერიოდს თავი რომ დავანებოთ, ფაქტია, რომ გალის რაიონში მივლინებული გუდაუთელი მილიციონერებიც კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ქართულად საუბრობენ. მრავლისმეტყველია, რომ აფხაზი ისტორიკოსი სიმონ ბასარია, უკიდურესად ანტიქართულად განწყობილი მოაზროვნე (მაგრამ უდავოდ ნიჭიერი ადამიანი), 1925 წელს გამოცემული „აფხაზეთის ისტორი-

ის“ ავტორი, სამურზაყანოელთა დახასიათებისას აღნიშნავს, – სამურზაყანოელები აფხაზები იყვნენ, მაგრამ მეგრული ენის გავლენით გაქართველდნენ. უფრო მეტიც, ტკბილი და მელოდიური მეგრული ენა და სიმღერა აფხაზ პატარძალს ერთ წელიწადში იმდენად აქართველებს, რომ მეგრული ქალებისგან ვერ გაარჩევო!

ზემოაღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ თავი დავიმშვიდოთ. ადრე რამდენადმე განსხვავებული ვითარება იყო, ადმინსტრაციული საზღვარი მდინარე ენგურზე ჩაკეტილი არ იყო, რუსი და აფხაზი მესაზღვრეები და მებაჟები ნაკლებად აპრკოლებდნენ აფხაზეთში შესვლას და გამოსვლას.

ასე, რომ დროა საქართველოს სახელმწიფომ, ქართველმა მამულიშვილებმა, შეძლებულმა მოქალაქეებმა, ადამიანის უფლებათა დამცველებმა ხმა აღიმაღლონ და აკეთონ ის, რასაც ასეთ ვითარებაში გააკეთებდნენ საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურები და პატრიოტი მოქალაქეები.

საქართველოს უამრავი გამოჩენილი პოლიტიკოსი, ნიჭიერი შემოქმედი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ჰყავს, მაგრამ, რატომმაც ნაკლებად აქტიურობენ. თავის დროზე ილია, აკაკი, ვაჟა, მაჩაბელი, გალაკტიონი, ლეო ქიაჩელი, ნიკო ნიკოლაძე, პავლე ინგოროვება, შოთა ნიშნიანიძე, სხვები და სხვები არ დადუმებულან, მაშინაც კი, როცა არდადუმება, შესაძლოა, სამუდამო დადუმების ტოლფასი ყოფილიყო.

არის ახლა დუმილი ოქრო?

ჩვენდა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამჟამად ბევრი მხოლოდ იმისი იმედითაა, რომ ახალი ხელისუფლება ყველაფერს მოაგვარებს. ხალხს სჯერა რევოლუციით მოსული ახალგაზრდა და ენერგიული ხელისუფლების, მაგრამ რეალურია ისიც, რომ თუ ხელისუფლებას საზოგადოების ჯეროვანი მხარდაჭერა და აქტიური თანადგომა არ ექნა, უპირველესად იმ ხალხისა, ვინც უნდა დაბრუნდეს და იცხოვროს აფხაზეთში, როგორც იტყვიან, ალექსანდრე მაკედონელიც ვერაფერს გახდება.

„დილის გაზეთი,“
16 ივლისი, 2006.

გალი – რეპრესიები გრძელდება, ვითარება დაქაპულია

იმ ტრაგიკული დღიდან ცამეტი წელიწადი გავიდა, მაგრამ დღემდე თვალინ მიდგას 30 სექტემბერის დილის 3 საათი, როცა კოლხი დედების საზარელმა კივილ-მა შესძრა სამურზაყანო. სახელმწიფო საბჭოს ჯარის-კაცები უნდესრიგოდ ტოვებდნენ აფხაზეთს და გალის რაიონს. გალის საზღვრებს ცეცხლით და მახვილით მოადგა აფხაზური გვარდიისა და მოხალისე-ბოვევითა ავანგარდი. ხელისუფლებისაგან მიტოვებულ და გან-ნირულ ადამიანებს თავადვე უნდა გადაეწყვიტათ საკუთარი ბედი. გადარჩენის სხვა არჩევანი არ იყო, გარდა საკუთარი ეზო-კარის მიტოვებისა და გაქცევისა.

გათენებამდე ენგურს გაღმა უნდა გაელნიათ; და დაიძრნენ თავზარდაცემული ადამიანები ზუგდიდისა და წალენჯიხის მიმართულებით, თანაც ისე და იმგვარად, როგორც ეს შესაძლებელი იყო საყოველთაო ქაოსში. ბევრმა მოასწრო სამშვიდობოს გასვლა, ბევრს კი წამოენია მომხდური და დახოცა; ზოგიერთს გაუმართლა, ავტომანქანა, ტრაქტორი, ფული, ბეჭედი, ხელპარგი, სხვა ქონება წაართვეს და მდინარის გამოლმა გამოაძევეს.

აფხაზეთიდან გამოსულ ბავშვებს, რომლებიც უკვე დიდები არიან, ალბათ, წაკლებად ახსოვთ მშობლიური ადგილები, ამ შემთხვევაში, გალის რაიონი. გალის რაიონი ხომ აფხაზეთის უმდიდრესი და ულამაზესი წანილია, აფხაზეთის ბელელი და რეგიონში ქართული სულიერების უმთავრესი ბურჯი.

წარსულს ვიხსენებთ, აწმყოს ვხედავთ, მაგრამ მომავალი გაურკვეველია. რა იყო, რა იქნება ხვალ თუ ზეგ აფხაზეთში, თუნდაც გალში? გაზეთის ამ და სხვა კითხვებზე „ახალ 7 დღეს“ ესაუბრა „სამურზაყანოს“ ერთ-ერთი ლიდრი, გალის რაიონის მკვიდრი რაჭიელ გელანტია.

– შეიარაღებულ კონფლიქტამდე როგორი პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული ვითარება იყო გალის რაიონში?

– გალის რაიონი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და მთლიანად საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი ადმინისტრაციული და ეკონომიკური რეგიონი იყო, რომელიც გამოიჩინა და კარგად განვითარებული საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურით. მისი ტერიტორია 1000,3 კვადრატული კილომეტრია. 1992 წლის 1 ოქტომბრისათვის მოსახლეობის რიცხვი 80 ათასს აღწევდა, ანუ აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 15,8 პროცენტს. ეს ტერიტორია ოდითგანვე დასახლებული იყო აბორიგენი ქართველებით.

გალის რაიონი ადრე, ძირითადად აგრარული რეგიონი გახლდათ, სადაც განვითარებული იყო მეჩაიერება, მეციტრუსეება, მემარცვლეობა, სუბტროპიკული მეხილეობა, მებოსტნეობა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. 1993 წლის მონაცემებით რაიონში არსებობდა 56 სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია, 5 სამეურნეობათაშორისო გაერთიანება და 1780 ფერმერული მეურნეობა.

1970 წლის შემდეგ, როდესაც ევროპაში უმძლავრესი და უნიკალური ობიექტი, – ენგურჰესების თაღლოვანი კაშხალი და ძალოვანი კასკადი აშენდა, გალის რაიონი გადაიქცა აგრარულინდუსტრიულ რაიონად, სადაც გადამამუშავებელი მრეწველობა უახლოესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ობიექტებით შეიცვა.

რაიონის მოსახლეობას ემსახურებოდა 57 საშუალო, არასრული საშუალო და დაწყებითი სკოლა, 60-მდე სკოლამდელი დაწესებულება, სპორტული ობიექტები, 7 კულტურის სახლი, 46 სასოფლო კლუბი, 436 ბიბლიოთეკა (720 ათასი წიგნი), 2 მუზეუმი, 13 მუსიკალური სკოლა, ერთი სახალხო თეატრი, ცეკვისა და სიმღერის რაიონული ანსამბლი და ხალხური შემოქმედების 18 სასოფლო კოლექტივი.

რაიონში ფუნქციონირებდა საკავშირო ოლიმპიური სპორტული ბაზა ნიჩბოსნობაში, თანამედროვე სპორტული კომპლე-

ქსები და იპოდრომი. ყველა ოჯახი უზრუნველყოფილი იყო ელე-ქტროენერგიით, უწყვეტი წყალმომარაგებით, მოასფალტებული და კეთილმოწყობილი გზებით და შიდა გზებით. ყველა ოჯახს გააჩნდა მსუბუქი ავტომანქანა.

უცხოელ ექსპერტთა დაკვირვებით, რომლებიც 80-ანი წლების ბოლოს სტუმრობდნენ აფხაზეთს, რაიონში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი ევროპულ დონეს არ ჩამოუვარდებოდა.

გალის რაიონში პილიტიკური ვითარება ისეთივე იყო, როგორც თბილისში, საქართველოს სხვა რეგიონებში, თუმცა მრავალი მიზეზის გამო გალის რაიონში ვითარებაზე ბევრად იყო დამოკიდებული ვითარება მთლიანად აფხაზეთში; გალის რაიონის მოსახლეობა, როგორც ყოველთვის ისტორიულად, ცალსახად დადგა საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების სადარაჯოზე. 1991 წლის 17 მარტს, მთლიანად ქვეყნისა და საკუთრივ აფხაზეთისთვის რთულ დროში, გალის რაიონის მოსახლეობამ (თბილისის რეკომენდაციით) ბოიკოტი გამოუცხადა სსრ კავშირის შენარჩუნებასთან დაკავშირებით მოწყობილ საკავშირო რეფერენდუმს (რაც, როგორც შემდეგ გაირკვა, აფხაზეთში არსებული რეალობის გათვალისწინებით, გაუმართლებელი იყო).

– იქნებ, უფრო ფართოდ შევეხოთ აფხაზეთის დროებით დაკარგვით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებს საქართველოს ეკონომიკისთვის...

– საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის დასუსტებაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტროლის დაკარგვამ, ვინაიდან იგი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული რეგიონი იყო.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემებით (ხელმძღვანელი რომან გოცირიძე) 1989 წლიდან აფხაზეთის ეკონომიკა კრიზისმა მოიცვა. 1994 წელს წარმოების მოცულობამ შეადგინა 1988 წლის შესაბამისი მაჩვენებლის ხუთ პროცენტზე ნაკლები, რაც გამოწვეული იყო როგორც მეურნეობის ერთიანი კომპლექსის რღვევით, ასევე საომარი მოქმედებებით. აფხაზეთს დაკარგული აქვს თავისი ტრადიციული დარგობრივი ეკონომი-

კური სტრუქტურა. იგი არის ჩაკეტილი სამეურნეო ერთეული ავტორიტარულ-ადმინისტრაციული მართვის სისტემით, რომელსაც კურსი ალებული აქვს სამხედრო პოტენციალის ზრდაზე. აფხაზეთის ეკონომიკაში დომინირებს სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. მრეწველობა, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დანარჩენი სექტორები, უმძიმეს მდგომარეობაშია. საწარმოთა უმრავ-ლესობა კონფლიქტის დაწყების მომენტიდან გაჩერებულია, რაც განპირობებულია რამდენიმე მიზეზით, კერძოდ:

- აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი დევნილია, დეფიციტურია მუშახელი და სპეციალისტები;
- საწარმოებს არ გააჩნიათ ფინანსური რესურსები, არ ხორციელდება ინვესტიციები, განუვითარებელია საფინანსო და საბანკო სისტემა;
- საწარმოს აღდგენა შეუძლებელია, რადგან გაძარცულია, მოწყობილებისა და დანადგარების დიდი ნაწილი ჯართის სახით საზღვარგარეთ არის გაყიდული;
- აფხაზეთში ეკონომიკური რეფორმა არ ხორციელდება, გაურკვეველია მიწის საკუთრების საკითხი, პრივატიზაციას აქვს ფარული და, ამდენად, კრიმინალური ხასიათ;

სოხუმის მონაცემებით აფხაზეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2001 წელს 70 მილიონი დოლარის ექვივალენტი იყო, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დაახლოებით 350 დოლარია. ამ მაჩვენებლით იგი აფრიკის ყველაზე დაბალ-განვითარებული ქვეყნების დონეზეა და საქართველოს დანარჩენ ნაწილს ორჯერ ჩამორჩება.

– როგორია ომისშემდგომი ვითარება რაიონში?

– 1993 წლის 29-30 სექტემბერს აფხაზთა და უცხოელთა დაქირავებულმა რაზმებმა გალის რაიონის მოსახლეობა აიძულეს დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილები. შეიარაღებული ბანდები 1993 წლის ოქტომბერში, დეკემბერში და შემდგომ ძარცვავდნენ, წვავდნენ და ანადგურებდნენ ქართველთა სახლ-კარს, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს. გალის რაიონში ოკუპანტებმა დახოცეს ორი ათასამდე

ქართველი, ძირითადად მოხუცები და ქალები. გაძარცვეს და დაწვეს 4200 საცხოვრებელი სახლი, გაიტაცეს რამდენიმე ათა-სი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა, ტექნიკური მოწყობილა და სანარმოო საშუალებები. გააპარტაქეს ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები, საკომუნიკაციო საშუალებები, სკოლები, საბავშვო დაწესებულებები, კულტურის კერძები, საავადმყოფოები. გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს 12 მსხვილი დასახლებული პუნქტი. გავერანებულია ჩაისა და ეგზოტიკური სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების 70-80 პროცენტი, უნიკალური ტყეები, ბუნებისა და ისტორიის ძეგლები. ბოევიკებისა და აფხა-ზეთის სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან ჩამოსულთა მიერ გა-რეკოლ ან ადგილზე ლიკვიდირებულ იქნა 70 ათასზე მეტი მსხ-ვილფეხა პირუტყვი, ასევე შინაური ფრინველი.

- როგორ შეიცვალა დემოგრაფიული სურათი?

- აფხაზეთიდან ქართველი მოსახლეობის მასობრივა გან-დევნამ მკვეთრად შეცვალა დემოგრაფიული ვითარება რეგი-ონში. საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ქართ-ველთა განდევნის ხარჯზე აფხაზთა ხვედრითი წილი გაიზარდა 36,9 პროცენტამდე (კონფლიქტამდე იყო 17,8 პროცენტი), ქართ-ველთა წილი შემცირდა 23,7 პროცენტამდე. საგრძნობლად შემ-ცირდა სხვა ეთნიკური ჯგუფების – ბერძნების, უკრაინელების, ესტონელების, ებრაელების რიცხვი. ამჟამად გალის რაიონში დაბრუნებულია 31 ათასამდე მცხოვრები, მუდმივი მიგრაციის პროცესშია 21,7 ათასი ადამიანი.

- ცნობილია, რომ გალის რაიონი გახლიჩეს და მიუერთეს ოჩამჩირის რაიონს, შექმნეს ე.წ. ტყვარჩელის რაიონი...

- ქართველთა დისკრიმინაციის გაღრმავებისა და ასიმი-ლაციის დასაჩქარებლად გალის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრები შეცვალეს (1994წ.) და ტერიტორიის დაახლოებით ნახევარი მიუერთეს ოჩამჩირის რაიონს და ქალაქ ტყვარჩელს. აფხაზეთში, კერძოდ, გალის რაიონში, ეთნიკური წმენდა 1993 წლის ბოლოდან დღემდე გრძელდება. აფხაზური რეუიმის იდეო-ლოგიისა და პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა ადგილობრივი მო-

სახლეობის მიმართ ძალადობა, მასობრივი მკვლელობები, წამება, გაუპატიურება, მონურ შრომაში გამოყენება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებობა, საცხოვრებელი და საარსებო პირობების მოსპობა.

– რომელი პერიოდი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით და სისხლისლვრით?

– მოსახლეობის შევიწროება და დევნა დაიწყო 1993 წლის 30 სექტემბრიდან და სისტემატიური ხასიათი მიიღო 1994 წლის თებერვლიდან. 3-16 თებერვალს გუდაუთელმა და ჩრდილოავავკასიელმა ბოევიკებმა გადაწვეს გალის სოფლები და ქალაქური ტიპის დასახლებები, დახოცეს 400-ზე მეტი ქართველი, დაასახირეს ასობით ადამიანი, ხელახლა დევნილად აქციეს ათეული ათასი მოსახლე.

1995 და 1996 წლებში ე. წ. წმენდებს და განუკითხაობას კიდევ რამდენიმე ასეული ადამიანი შეიწირა.

1998 წლის მაისში აფხაზურმა მხარემ, პარტიზანული მოძრაობის დევნის საბაბით და სამშვიდობო ძალების მხარდაჭერით, გალის რაიონში კვლავ განახორციელა სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც შეენირა 71 ადამიანის სიცოცხლე, დაწვეს 2200-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, მათ შორის იმ სახლების უმრავლესობა, რომლებიც აშენდა ან აღდგენილ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით. ხელახლა დევნილად იქცა 40 ათასი ადამიანი.

– როგორია პოლიტიკური სიტუაცია რაიონში?

– გალში არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტია და მოძრაობა. არ არსებობს სამოქალაქო სექტორი, აკრძალულია შეკრებები, მიტინგები, ღამის საათებში გადაადგილება. რაიონში ერთხელაც არ ჩასულა აფხაზური რეჟიმის ლიდერი ვ. არძინბა. გალში არ არსებობს მოსახლეობის უსაფრთხოების არანაირი სისტემა. მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა რამდენიმე სამიტის გადაწყვეტილებებისა, აფხაზურმა მხარემ რაიონში არ დაუშვა გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველები, შეზღუდულია

საერთაშორისო მეთვალყურეთა მანდატი. A არ დაკმაყოფილდა ქართული მხარის მოთხოვნა კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო საპოლიციო რაზმების შეყვანის თაობაზე. აფხაზურმა მხარემ დაუშვებლად მიიჩნია გაეროს წინადადების შესაბამისად გალის რაიონში შერეული (გარდამავალი) ადმინისტრაციის შექმნა.

- რას გვეტყოდით მმართველობის მონოეთნიზაციის თაობაზე?

- გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის გამგებელია ეროვნებით აფხაზი, ოჩამებირის რაიონის მკვიდრი რ. ქიშმარია. აფხაზია ქალაქ გალის მერი ვ. ლომაია. ყველა საკვანძო თანამდებობა და სახელისუფლებო აპარატი აფხაზების ხელშია. გალის რაიონის პოლიციაში ომამდე 250 ადამიანი მუშაობდა. ამჟამად აფხაზური მილიციის განაყოფის შემადგენლობაში 43 კაცია, მათ შორის 27 აფხაზი, 9 სომები, 7 ქართველი. მილიციელთა უმრავლესობა ბოლევიკთა რიგებიდან მოიყვანეს. ისინი ეწევიან ნარკობიზნესს და, როგორც წესი, რომელიმე კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან. სოფლების გამგებელთა უმეტესობა ეთნიკური აფხაზია. რაიონში განხორციელდა ადმინისტრაციული მმართველობის სრული მონოეთნიზაცია (აფხაზური), რაც მოსახლეობაში ოკუპაციად და ანექსიად აღიქმება.

არის ფაქტები, როცა ქართველ მშობლებს აიძულებენ ახალშობილები აფხაზებად ჩაწერონ. აფხაზური ადმინისტრაცია კატეგორიულად მოითხოვს ახალგაზრდებმა სეპარატისტთა უკანონო სამხედრო ფორმირებებში იმსახურონ, გაწვევისგან კი გარკვეული თანხის გამოძალვის შემდეგ ათავისუფლებენ. აფხაზეთში განსაკუთრებული საპასპორტო რეჟიმია. რუსეთის მოქალაქის პასპორტს აქვს საშვის ფუნქცია. მდ. ენგურის ადმინისტრაციული საზღვარი გამოცხადებულია აფხაზეთის ე.ნ. დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზღვრად, რომლის გადასალახავად საჭიროა აფხაზური მხარის სანებართვო დოკუმენტი და ფულადი გადასახადი. აფხაზეთში შესვლისთვის ერთგვარი „შეღავათია“ ყოფილი სსრ კავშირის პასპორტი. სხვა დოკუმენტი, მაგალითად, საქართველოს ეროვნული პასპორტი თუ პირადობის

დამადასტურებელი მოწმობა, მიუღებელია. დაფიქსირებულია უამრავი ფაქტი, როცა საკუთარ სახლში დაპრუნებული მოქალაქე ცხადდება „პერსონა ნონ-გრატად.“ ადამიანებს აპატიმრებენ ყოველგვარი საბაბის გარეშე, როგორც წესი, იმიტომ, რომ ქართველია. ადგილი აქვს ე.ნ. მეგრელების თემით მანიპულირებას.

– როგორია კრიმინოგენური ვითარება რაიონში?

– ამჟამად იქ მოქმედებს 20-მდე შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც ძარცვავენ ადგილობრივ მოსახლეობას. როგორც წესი, ეს დაჯგუფებები ინტერნაციონალურია და აფხაზური მხარის პოლიტიკურ და საკუთარ მერკანტილურ მიზნებს ემსახურებიან. ფაქტია ისიც, რომ მილიციის მცირერიცხოვანი განყოფილება, რომელსაც ადამიანები არ ენდობან და მოსახლეობაში დასაყრდენი არა აქვს, თავს არიდებს შემთხვევის ადგილზე გასვლას და დამნაშავეთა დაკავებას, განსაკუთრებით ლამის საათებში. მასობრივი ხასიათი აქვს ადამიანის სიცოცხლისა და ქონების ხელყოფას. განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლაბერიაში მცხოვრებ დამნაშავეთა 60 კაციანი ჯგუფი, ვინმე ბატალ კეეკეესკირის მეთაურობით, რომელიც სისტემატიურად დათარებობს გალის რაიონში. ისინი ძარცვავენ ქალაქის ბაზარს, ადგილობრივ მცხოვრებლებს, ითხოვენ შავი და ფერადი ლითონის ნივთებს, სურსათს, თხილისა და ციტრუსოვანთა ნაყოფს.

აფხაზური ადმინისტრაცია ხელს უწყობს ნარკოტიკული საშუალებების ადგილზე წარმოებას და გავრცელებას. რაიონის სოფლებში მოჰყავთ ნარკოტიკების შემცველი მცენარეები (კანაფი, ყაყაჩო და სხვა), რომლის მიზანი მოგების მიღება და ახალგაზრდების გადავვარებაა. აფხაზეთში გადააქვთ სამეგრელოს და საქართველოს სხვა რეგიონებიდან გატაცებული ავტომანქანები.

– რამდენად არის დაცული იქაური მოსახლეობის უსაფრთხოება?

– ადგილობრივ მოსახლეობას რაიონის ადმინისტრაციის-ადმი არანაირი ნდობა არ გააჩნია და არც მიმართავს. რუსეთის

სამშვიდობო ძალები შეიარაღებულ შეტაკებებში თუ კრიმინალური განუკითხაობის აღკვეთაში არ ერევიან. აღრიცხულია რუსთის სამშვიდობო ძალების მოსამსახურეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ასეულობით ფაქტი. აღსანიშნავია, რომ გაეროს სამხედრო მეთვალყურები კარგად ფლობენ ვითარებას გალის რაიონში, თუმცა მხოლოდ ფაქტების დაფიქსირებით და გაეროს შესაბამისი სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდებით არიან დაკავებული. ბოლო პერიოდში, კრიმინალური ვითარების გამწვავების გამო, თავს არიდებენ დასახლებულ პუნქტებში შესვლას. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ რაიონის ტერიტორიაზე მიმოფანტულია 50 ათასზე მეტი ქვეითი და ტანკსანინააღმდეგო ნაღმი. 1993-2000 წლებში ნაღმზე აფეთქების შედეგად დაღუპული და დასახიჩრებულია 131 ადამიანი.

ფაქტია, რომ აფხაზური ხელისუფლება ახორციელებს ოკუპაციასა და ანექსიას, რომლის მიზანია დემოგრაფიული ვითარების შეცვლა, ქართველი მოსახლეობის ასიმილაცია.

ასეთია რეალური ვითარება. კონფლიქტის მშვიდობიანი მონესრიგებისთვის დღემდე უშედეგოა მსოფლიო თანამეგობრობის, გაეროს, გაეროს გენერალური მდივნის მევობარი ქვეყნების, ევროკავშირის, ეუთოს, დსთ-ს სახელმწიფოების მეთაურთა ძალისხმევა.

გაზეთი „ახალი 7 დღე“,
10-16 ნოემბერი, 2006.

ზემო აფხაზეთი

(ჟამი აღმშენებლობისა)

„დალი“ სვანეთში გავრცელებული სახელია და იგი მითიური ნადირობის ქალღმერთიდან მომდინარეობს. არავის ახსოვს თუ რა დროიდან ეწოდა იგი კოდორის ხეობის ზედა ნაწილს.

ზემო აფხაზეთის (დალის ხეობა, კოდორის ხეობა) ტერიტორია ამჟამად სვანურენოვანი ქართველებითაა დასახლებული, რომელთა გადმოსახლება სვანეთიდან XIX საუკუნის 80–90-იანი წლებიდან იწყება.

უცხოური ისტორიული წყაროების ცნობით, ანტიკური ხანი-დან VIII საუკუნემდე ამ ხეობაში (იქნებ უფრო ფართო არეალში), ცხოვრობდნენ მისიმიანები, რომლებიც ქართული ისტორიო-გრაფის მიხედვით სვანური მოდგმის ქართველურ ტომებად ითვლებიან; მიჩნეულია, რომ მისიმიანებმა სახელოვანი ფურცე-ლი ჩანს ქართველი ერის ისტორიაში. თავისუფლების მოყ-ვარე მისიმიანებს ქრისტეს აქეთ VI საუკუნეში დიდი ბრძოლები უწევდათ ბიზანტიის იმპერიის მრავალრიცხვან ჯარებთან. მა-მულის და ღირსების გადასარჩენად მთელი ხალხი ერთი კაცივით შეაკვდა უზარმაზარი სახელმწიფოს სამხედრო ძალას.

ზემო აფხაზეთში მისიმიანების უძველესი დროიდან გან-სახლების შესახებ კიდევ უფრო ადრინდელ ცნობას გვაწვ-დის რომაელი ისტორიკოსი სტრაბონი (ქრისტეს შობამდე 64 წელი): კავკასიაში სვანები „საუკეთესონი არიან სიმამაცითა და ძალით, ფლობენ ირგვლივ ყოველივეს და უპყრიათ კავკა-სიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის; ჰყავთ ბასილევსი და 300 მამაკაცისგან შემდგარი საბჭო და, როგორც ამბობენ, კრებენ ლაშქარს 200 000 კაცის შემადგენ-ლობით.“

მისიმიანთა აჯანყება 555 წელს მომხდარა. მართალია, ამ ბრძოლაში მისიმიანთა უმეტესობა (სვანები) შეაკვდნენ მომხ-დურებს, მაგრამ გადარჩენილი ნაწილი საუკუნეთა სილრმეში ისე გაუჩინარებულა, რომ ამის შესახებ წერილობითი ცნობები

არ შემონახულა; მე-8 საუკუნიდან ისტორიულ წყაროებში მისი-მიანები არ მოიხსენებიან, მაგრამ დღემდე შემორჩენილია მათი კულტურული კვალი. მეცნიერთა აზრით, დასაცლეთ კავკასიის დიდ სეგმენტებში, სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის უძველე-სი დროიდან დღემდე არსებობს ქლუხორის უღელტეხილის იმ მთავარი საკომუნიკაციო გზის ნაშთი, რომელიც მისიმიანთა კონტროლს ექვემდებარებოდა; ასევე საკმაოდ კარგადაა შემონ-ახული უძველეს დროში აშენებული და შემდგომ რუსეთის მეფის მიერ აღდგენილი ქლუხორის უღელტეხილზე გამავალი საქა-რავნო გზა. აქვეა ცეცხლის სანიშნებით ერთმანეთთან დაკავში-რებული ხუთი ციხე-სიმაგრე, განლაგებული უღელტეხილიდან დიოსკურიამდე. აგრეთვე შემორჩენილია ადრეული ქრისტიანუ-ლი სალოცავები, მათ შორის ერთ-ერთი უძველესია „შიყერის“ (სვანურად ზურგიანი) სალოცავი, რომელიც მდებარეობს დალის ხეობის შუაგულში, მაღალ მთაზე.

აფხაზური წყაროებით, რასაც ცალკეული ქართველი მკვ-ლევარებიც იზიარებენ, ადრეული შუა საუკუნეებიდან კოდო-რის ზედა წელის მთელი რეგიონი ასევე დასახლებული ყოფილა მეომარი აფხაზური ტომით (განსაკუთრებული წებელდური კი-ლოთი) და რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონიათ პირიქითა კავ-კასიელ მეზობლებთან. ამ ტომის სათავეში მდგარა მარშანების მრავალრიცხოვანი გვარი; მარშანები ბატონობდნენ არა მარტო დალის ხეობასა და წებელდაში, არამედ მედოვეასა და მთის ზო-გიერთ სხვა ტერიტორიაზე. ამჟამად მიკვლეულ წყაროებში ხაზ-გასმულია მარშანების მრავალრიცხოვნობა, უდრევი მეომრული სული და დამოუკიდებლობის სულისკვეთება.

ფ. ფ. ტორნაუ წერდა: „წებელდის მხარე, შედგება მხოლოდ ერთი და მეტად მრავალრიცხოვანი მარშანების გვარისგან. ისინი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არასდროს ემორჩი-ლებოდნენ მბრძანებელს. გადმოცემის თანახმად, თავისი დაუ-მორჩილებლობითა და ცხოვრების რაინდული წესით, მარშანები აფხაზეთის პირველ თავადებს წარმოადგენდნენ.“

მთა „მარშან-შხა,“ მარშანების მთას ნიშნავს. მსგავსი დასახე-ლება, ასევე ცნობილია ფსხუს მთაგრეხილის რაიონშიც. კოდო-

რის უკიდურეს ზედა დინებას „მარშან-კვარას“ (მარშანიების მდინარე) სახელი შემორჩა.

მეფის რუსეთის მიერ სოხუმის აღების შემდეგაც, რეალურად დამოუკიდებელი დარჩა აფხაზეთის მთიანი ნაწილი. წებელდა-დალის მფლობელებმა არ მიიღეს რუსეთის ქვეშევრდომობა, უარი თქვეს შერვაშიძეთა მორჩილებაზე.

1808 წელს სამურზაყანოში (ოქუმში) შედგა წებელდელი თავა-დების – მარშანიების და სამეგრელოს მთავრის წარმომადგენელ-თა შეხვედრა, ხოლო 1815 წლის 29 ნოემბერს ისინი ერთგულების ფიცს აძლევენ სამეგრელოს მთავარს და დებენ პირობას, რომ სურთ სამეგრელოსთან სიახლოვე და მეგობრობა, როგორც ეს ისტორიულად ჰქონდათ მათს წინაპრებს.

1837 წელს რუსები შევიდნენ წებელდაში. მიუხედავად ამისა, წებელდა-დალი მაინც რჩებოდა წინააღმდეგობის კერად, ამიტომ მათ მკაცრად უსწორდებოდა რუსული მმართველობა; 1840 წლის 1 აგვისტოსთვის რუსეთის სამხედრო მანქანამ მოახერხა წებელდის დამორჩილება.

ქართველ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ხეობის მოსახლოების დიდი წარმატების დევნისა და მაჟაჯირობის მსხვერპლი გახდა და ხეობა კვლავ დაცარიელდა.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულებში იწყება ზემო სვანეთის მოსახლეობის ბუნებრივი მიგრაცია კოდორის ხეობაში, რასაც სტიმულს აძლევდა ხეობის თავისუფალი მიწები და შედარებით რბილი კლიმატური პირობები. გადასვლას ინტენსიური ხასიათი მიეცა და რამდენიმე ათწლეულში ჩამოყალიბდა საკმაოდ მძლავრი, იმ დროისთვის ეკონომიკურად კარგად გამართული „დალის სვანეთის“ მოსახლეობა 8000 მცხოვრებით.

ხეობის მოსახლეობამ შეინახა რა ზემო სვანეთის მოსახლეობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური წეს-ჩვეულებები, ადათები, ურთიერთობები გვარტომებს შორის, თანდათანობით შეიძინა იმ დროისთვის უკვე საკმაოდ მრავალეროვან აფხაზეთში ჩამოყალიბებული თვითმყოფადი ფასეულობანი და ღირებულებანი.

კოდორის ხეობის მოსახლეობა, იყო და დარჩა ქვეყნისადმი ერთგულების, ვაუკაცობის და რაინდობის გენეტიკურად მა-

ტარებელ ხალხად, რაც მათ ღირსეულად გამოავლინეს კიდეც აფხაზეთში ტრაგიკული მოვლენების დღეებში. 1993 წლის სექტემბერში, სოხუმის დაცემის შემდეგ, კოდორის ხეობის გავლით სამშვიდობოს გადავიდა აფხაზეთიდან დევნილი ათეულ ათასობით ადამიანი („საკენი-ჭუბერის გოგლგოთა“). ხეობის მოსახლეობამ გაჭირვებაში მყოფი მოყვასისთვის თავისი სარჩო-საბადო და დანაზოგი არ დაიშურა, შეძლებისდაგვარად გაათბო და დააპურა, დაღუპულები გააპატიოსნა და სამუდამო განსასვენებელი მოუწყო. კოდორის ხეობის მოსახლეობამ ომის დროს და შემდგომ თავისი შვილების სისხლის ფასად გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს და ზემო აფხაზეთში დე-ფაქტოდაც შეინარჩუნა საქართველოს იურისდიქცია.

როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები შემდგომში, ზემო აფხაზეთი არის და იქნება საქართველოს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სამხედრო-სტრატეგიული ფორპოსტი, ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის სამხრეთის კარიბჭე, რომელიც გადაპყრობებს და აკონტროლებს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონებს, შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს სივრცეებს და აქ მოსახლე ხალხების უსაფრთხოებას.

ამიტომაც უჭირავთ თვალი ქვეყნის ამ ტერიტორიაზე საქართველოს მტრებსა და ავისმოსურნებს. უფლის ნებაა ზემო აფხაზეთზე საქართველოს გამგებლობა, მისი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დანიშნულების გაცნობიერება და აქედან გამომდინარე ხეობის და მისი მამაცი მოსახლეობის დედა საქართველოსთვის თავდადების ტრადიციების პატივისცემა. საქართველოს ამ ისტორიული პროვინციისადმი ფრთხილი, აწონილ-დაწონილი დამოკიდებულება, ამ მიწასა და ხალხზე ზრუნვა, მათი კეთილდღეობა უნდა იყოს ქვეყნის ხელისუფლების, ყველა ქართველის წმიდათაწმიდა საქმე და სამარადჟამო მოვალეობა.

* * *

ზემო აფხაზეთი მდებარეობს დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მდინარე კოდორის ხეობის სათავეებიდან 40 კილომეტრზე.

ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. საზღვარი გადის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, ჭუბერის უღელტეხილიდან მარჯხის უღელტეხილამდე, დაახლოებით 80–90 კმ. აღმოსავლეთით ესაზღვრება ოჩამჩირის რაიონი (საზღვარი კოდორის ქედს მიჰყვება), სამხრეთით კი – გულრიფშის რაიონის სოფელ ლათის ტერიტორია, შემდეგ საზღვარი აფხაზეთის ქედს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მიუყვება და უერთდება კავკასიონის ქედს.

ზემო აფხაზეთის ტერიტორია მოიცავს მდინარე კოდორის ოთხი (აძგარის, ყულუჩის, გვანდრის, საკენის) დიდი შენაკადების აუზებს.

მთლიანი ფართობის 650 ჰა საკარმიდამო და სახნავ-სათესი მიწებია, დანარჩენი კი ტყის მასივები და ალპური საძოვრები.

ტერიტორიის ყველაზე დაბალი წერტილი ზღვის დონიდან 600 მეტრზეა (სოფელი ჩხალთა), ხოლო უმეტესი ნაწილი – 1000-1500 მეტრის სიმაღლეზეა.

კლიმატი ტენიანია, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1800-2000 მმ-ს აღწევს.

ზამთარი გრძელდება ხუთ თვე, ნოემბრიდან მარტის ჩათვლით. თოვლის საფარი ზამთარში 1,5-2მეტრია. ამ პერიოდში საშუალო ტემპერატურა მინუს 6-9 გრადუსია.

ზაფხული შედარებით რბილია. ყველაზე თბილი თვის (ივლისი) საშუალო ტემპერატურა 15-20 გრადუსს შეადგენს.

კოდორის ხეობაში მოიპოვება ტყვია, ვერცხლი, თუთია; არალითონური წიაღისეულის – ბარიტის და დიაბაზის (სამშენებლო მასალა) საკმაოდ დიდი მარაგია საკენის მიდამოებში. ჩხალთის მიდამოებში შესწავლილია ქვიშაქვების 6,1 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის საბადო (სამშენებლო ლორლი), გვანდრის გაბროდიორიტის საბადო 3,6 მლ. კუბური მეტრი მოცულობით (გამოიყენება მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელი ფილების დასამზადებლად). არსებობს მოსაზრება ე. წ. მყინვარისნინა ლოდების, ანუ მარმარილოსა და გრანიტის უზარმაზარი ლოდების საწარმოო გამოყენების შესახებ, აგრეთვე რეგიონში არსებული ძვირფასი ქვების დამუშავებისა და სამ-

კაულების დასამზადებელი საწარმოს მოწყობის თაობაზე.

ხეობაში არის მინერალური წყლების ამოუნურავი მარაგი. საქართველოს კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასში შეტანილია: „ადანგე“, „აძგარა“, „ჩხალთა“, „ცაიში“, „ტვიში“, „ხეცქვარა“, „ალფსარი“, „თვიბრაშერი“, „ზემო აჟარა“, „აწაფარა“, „ყულუჩი“, „გვანდრა“, „ობურლვანი“, „საკენი“, „გენწვიში“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ადანგეს“, „აძგარას“, „გვანდრის“ და „საკენის“ მინერალური წყაროები.

აფხაზეთის ამ ტერიტორიის ძირითადი სიმდიდრეა ტყე. ტყის მასივებს უჭირავს მთელი ტერიტორიის 75 პროცენტზე მეტი. აქ გავრცელებული ჯიშებიდან აღსანიშნავია: წინვოვნები – ფიჭვი, ნაძვი, სოჭი; ფართოფოთლოვნები – ნიფელი, ცაცხვი, წაბლი, მუხა, თხმელა, რცხილა, იფანი, ნეკერჩხალი, თელა და სხვა. მერქნის მარაგი 18,5 მლ. კუბური მეტრია.

აქაური ტყე და ბუჩქები უძვირფასესი რესურსია მეფუტ-კრების განვითარებისთვის.

ტყეები მდიდარია ნაყოფის მომცემი მცენარეებით, მათ შორის გამორჩეულია პანტა, ვაშლი, ტყემალი, ქლიავი, წაბლი, კაკალი, წყავი, მოცვი მაჟალონ და შვინდი. ტყეებსა და ბუჩქნარებში უხვადაა სამკურნალო ბალახები.

რეგიონის ტერიტორია დასერილია ანკარა და ცივი პატარა მდინარეებით. აქაური ლანდშაფტი: მთები, თეთრად და ლილის-ფრად მოელვარე მყინვარები, ხეობები, ჩანჩქერები, ულამაზესი მწვანე საფარი, უძირო ცისფერი ტბები წარუვალ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

რეგიონის წყლებში უნიკალური პირობებია საკალმახე მეურნეობების მოსაწყობად; ცნობილია, რომ მდინარე კოდორი ერთ-ერთია აფხაზეთის მდინარეებიდან, სადაც კალმახი ბინალრობს და თითქმის ერთადერთი, სადაც შავი ზღვის ორაგული მრავლდება.

ხეობის ციცაბო კლდეებიდან დაქანებული მდინარეების პოტენციური ენერგია საშუალებას იძლევა რეგიონში აშენდეს რამდენიმე მცირე და მოზრდილი ჰესი, რომლებიც სრულად უზრუნველყოფენ ადგილობრივი მოსახლეობის, საწარმოე-

ბისა და დაწესებულებების მოთხოვნებს იაფი ელექტროენერგიით.

ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრის სიმაღლეზე ხეობაში ტყე უჩინარდება და იწყება ალპური ზოლი, რომელიც ჯერ კიდევ ხელშეუხებელია. ალპური ზოლი მდიდარია მცენარეული საფარით და საუკეთესოა მეცხოველეობის და მეფუტკრეობის განვითარებისთვის.

მცირე დანახარჯებით შესაძლებელია ალპური ზოლის ტურიზმის კერძად გადაქცევა; აქვე საუკეთესო ადგილები ზამთრის სპორტის მაღალი კლასის ბაზების მოსაწყობად.

ალპურ ზონაში ბინადრობს ჯიხვი, არჩვი, ხოხობი, გარეული ქათამი. ტყის ზოლში კი დათვი, მგელი, ტურა, მელა, გარეული ღორი, შველი, ჯეირანი, ციყვი, კურდელი, ქორი, მიმინო, ორბი, გარეული იხვი, ბატი, ყანჩა, წერო. მდინარეებში უხვადაა კალმახი და ორაგული.

ზემო აფხაზეთის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსია ადამიანი, მოსახლეობა; ლამაზი, ტანადი, ჯანსაღი, ღვთისმოსავი ქართველი, ისტორიულად ეროვნულად განწყობილი, მრავალშვილიანი, შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე, კაცთმოყვარე, რაინდული სულის მემკვიდრე, მატარებელი და გამგრძელებელი.

ომამდე „დალის ხეობაში“ ცხოვრობდა 583 კომლი (2200 სული). შრომისუნარიანი 800 ადამიანიდან სოციალურ სტრუქტურებში (სკოლა, ჯანდაცვა და სხვა) დასაქმებულ იყო 200-მდე, დანარჩენი შინამეურნეობას ეწეოდა.

როცა აფხაზეთი ქართველობისგან დაიცალა, ხეობის მცირერიცხოვანმა მოსახლეობამ ითავა მშობლიური ადგილების დაცვა და გადარჩენა.

თემთა საბჭო ისტორიულად იყო სვანეთის ბედის გამგებელი. სათემო საბჭო, როგორც თვითმმართველობის ისტორიული ფორმა, დემოკრატიული, ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული და ჰუმანური, უძველესი დროიდან არსებობდა. საბჭო თავის განმკარგულებელ, აღმასრულებელ და სასამართლო ფუნქციას ასრულებდა სოფლების არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით. მართლმსაჯულობა ეფუძნებოდა მოცი-

ქულთა და შუამავალთა მონაცემებს და იყო სამართლიანი, საყოველთაო და საბოლოო.

რწმენა ლვთისა მუდამ იყო მთის კაცის სულიერი საზრდო. აფხაზეთის ომის დროს ხეობაში დაიწყო ძველი ეკლესიების აღორძინება, მათ შორის „შიუერის“, „საკენის“, „აუარას“ უნმინდეს ადგილების რეაბილიტაცია. გადაწყვეტილია აუარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ხელახლა აშენება.

ზემო აფხაზეთში 150-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლია, ისინი, მეტ-ნაკლები სისრულით ასახავენ ხეობის ისტორიას უძველესი ქვის ხანიდან გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით. აღნიშნული ძეგლები წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის ღია სადგომებითა და ნამოსახლარებით, სამაროვნებით, საწარმოო უბნებით, საკულტო ობიექტებით.

მეცნიერებს საეჭვოდ არ მიაჩინათ პირიქითა და პირაქეთა კავკასიელი ხალხის უძველესი კავშირი „მაკოპ-მტკვარ-არაქ-სის“ და „ყობან-კოლხეთის“ კულტურათა ურთიერთობის არეალში. ფიქრობენ, რომ XIII–XIV საუკუნეებიდან პირაქეთა და პირიქითა კავკასიასა და საქართველოში გახშირდა ლაზ-მეგრ-სვანთა და ირანული და თურქული მოდგმის მომთაბარეთა როგორც მტრული, ასევე მეზობლური ურთიერთობა, რაც, საბოლოოდ ჩერქეზი (ადილე-ყაბარდო) ხალხის ჩამოყალიბებით დასრულდა, საკუთრივ აფხაზეთში სათავე დაედო პირიქითა კავკასიელთა დამკვიდრების პროცესს.

ზემო აფხაზეთის მოსახლეობა დღემდე ინარჩუნებს მეგობრულ ურთიერთობას პირიქითა კავკასიის მეზობლებთან, რაც აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების ერთერთ კომპონენტად შეიძლება იქნას მიჩნეული.

* * *

კოდორის ხეობაში 2006 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება შეუდგა აფხაზეთის ამ რეგიონის აღმშენებლობას. ამ მიზნით გამოიყო მნიშვნელოვანი მატერიალური და ფინანსური რესურსები.

27 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უნმინდესი და

უნეტარესი ილია II, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და სამთავრობო დელეგაცია კოდორის ხეობას ეწვია.

საქართველოს პრეზიდენტმა კოდორის ხეობის მოსახლეობას სიტყვით მიმართა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის მთავრობის, აფხაზეთის სამინისტროებისა და უწყებების, სხვა სტრუქტურების ზემო აფხაზეთში გადასვლის შესახებ.

2006 წელს და შემდგომ ზემო აფხაზეთის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება მთელი საქართველოს საზრუნავი გახდა. დაიწყო ქვეყნის ამ მაღალმთიანი რეგიონის უპრეცედენტო აღმშენებლობის პროცესი.

აფხაზეთის მთავრობის მუდმივი ადგილსამყოფელი (რეზიდენცია) გახდა ჩხალთის დასახლება. აფხაზეთის სამინისტროები, უწყებები, დაწესებულებები, ორგანიზაციები ზემო აფხაზეთში შეუდგნენ თავიანთი ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

ზემო სვანეთის სოფლები გენწვიში, აჟარა, ჩხალთა და სხვა სამშენებლო მოედნებად გადაიქცა. 2006 წლის ივლისიდან დეკემბრამდე აშენდა ბრამბის და ომარიშარის 250 კილოვატი სიმძლავრის ჰესები; ზემო ომარიშარში, ომარიშარში, გვანდრასა და საკენში დამონტაჟდა ელექტროგადამცემი ქსელები, მოეწყო 853 კილოვატი საერთო სიმძლავრის სატრანსფორმატორო მეურნეობები. კოდორის ხეობაში ენერგეტიკის სფეროს განვითარებას მოხმარდა 3 მილიონ 600 ათასი ლარი.

შპს „კომფორტმა“ დაიწყო 7 მილიონი ლარის ღირებულების საკენ-ჭუბერის ახალი, 42 კმ. სიგრძის საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც 2007 წლის ივლისში დასრულდა; აღდგენილ იქნა შიდა გზები.

შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრმა“ გენწვისში და ჩხალთაში ააშენა სატელევიზიო გადამცემი ხაზები; მოსახლეობას მიეცა სატელევიზიო და რადიოპროგრამების მიღების შესაძლებლობა.

შპს „საქართველოს რკინიგზამ“ აჟარაში ააშენა თანამედროვე ტიპის მრავალმიზნობრივი ნაგებობა, რომელშიც „საქართვე-

ლოს ფოსტამ“ გახსნა საფოსტო განყოფილება; ამავე შენობაში „სახალხო ბანკმა“ განათავსა თავისი ფილიალი და მოსახლეობას ბანკომატით სარგებლობის საშუალება მიეცა; აქვე ფუნქციონირებენ სოციალური დახმარების და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს ზემო აფხაზეთის განყოფილება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აფხაზეთის საგადასახადო ინსპექცია და კინოგაერთიანება „ამირანის“ კინოთეატრი, რომელიც აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტელე-ვიდეო-აუდიო პარატურით.

ხეობაში აშენდა ხე-ტყის სახერხი საამქრო, რომლის ბაზაზე შეიქმნა შპს „კარკო სერვისი.“

ბათუმის მერიის დახმარებით აუარაში და ჩხალთაში ჩაიდგა 19 კოტეჯი. თბილისის მერიამ მოაწყო ორი საფეხბურთო მოედანი და ატრაქციონი.

ზემო აფხაზეთში ამჟამად სამი საშუალო და ექვსი დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებს, რომლებშიც 334 ბავშვი სწავლობს. 2007 წელს ზემო აფხაზეთის სკოლებში აფხაზური ენის სწავლება დაიწყო.

ზემო აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელდა სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები; შეტანილ იქნა რენტგენის სტაციონარული დანადგარი, ექსკოპია, ულტრაბგერითი სკანერი, სტომატოლოგიური კაბინეტი, ქირურგიული კომპლექტი, ელექტროკარდიოგრაფი, საწოლები, მაცივრები, მედიკამენტები; ხეობაში რვა ექიმი და 30 ექთანი მუშაობს. უზუნველყოფილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადღელამისო მომსახურება.

2007 წელს დასრულდა თანამედროვე სათხილამურო ბაზის მშენებლობა, მოეწყო სათხილამურო მოედნები, გაიშალა ტურისტული ბაზებისა და სასტუმროების მშენებლობა.

**ნაწყვეტი რ. გელანტიას და რ. ცინდელიანის წიგნიდან – „ზემო აფხაზეთი, უამი აღმაშენებლობისა.“
თბილისი, 2007წ.**

აშენდება ხუდონაცესი?

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისში, ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ ხუდონაცესის ასაშენებლად დაახლოებით 500 მილიონი ლოლარია საჭირო, რომლის მოძიება სავსებით შესაძლებელია ქვეყანაში.

ადამიანის, ოჯახის კეთილდღეობა იმის მიხედვით იზომება თუ რა რაოდენობის ელექტროენერგია შედის მის მრიცხველში. უეჭველია, რომ ელექტროენერგიის გარეშე სრულად წარმოუდგენელია ქვეყნის თანამედროვე ეკონომიკის განვითარება, სოციალური ინფრასტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირება, კომუნიკაციების გამართული მუშაობა, ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, ერთი სიტყვით, ქვეყნის და ადამიანების კეთილდღეობა. უეჭველია, რომ დიდი ანგარიშით, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა არსებითად განაპირობებს სახელმწიფო ბრივ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს.

სალს სჯერა, რომ პრეზიდენტის ნათევამს საქმე მოჰყვება, ამიტომაც მშენებლები და სპეციალისტები უკვე შეუდგნენ სამზადისს.

უპირველესი მათგანია სააქციო საზოგადოება „ჰიდროსპეცგვირამბმშენი“, რომელიც აშენებდა ენგურჲესს, ლაჯანურის და ვარციხის ელექტროსადგურებს, ასევე უამრავ სამუალო და მცირე სადგურებს, სხვა ჰიდრონაგებობას. ამასწინათ სააქციო საზოგადოებამ (ჩინელ კოლეგებთან ერთად) ზემო აფხაზეთში დაასრულა სპეციფიკური ხადორჲესის მშენებლობა, მონაწილეობს ენგურჲესის სარეაბილიტაციო სამუშაოებში.

რას წარმოადგენს ხუდონაცესი?

მდინარე ენგურზე ხუდონის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი თავის დროზე შეიმუშავა „თბილჲიდროპროექტმა.“ ხუდონაცესი იქნება უნიკალური და ურთულესი ჰიდრონაგებობა რთული რელიეფის პირობებში. პროექტი იმდენად ინოვაციური

და გაბედულია, რომ საკუთარი რესურსებით მისი დაძლევა ბევრ ჩვენზე დიდ და ძლიერ სახელმწიფოსაც გაუჭირდება.

ხუდონჰესი, ენგურჰესის თაღოვანი კაშხალიდან დაშორებულია 32 კილომეტრით და მდებარეობს მდინარე ენგურის ძირითად კალაპოტში. მისი მშენებლობა 1989 წელს დაიწყო ენგურის ვიწრო ხეობაში, მრგვალ კლდეებს შორის, რომლებიც მდებარეობენ ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე მაღლა. ხუდონჰესის დაგეგმილი ოპტიმალური სიმძლავრე 638 მეგავატია, სარეზერვო ფაქტურის გათვალისწინებით – 700 მეგავატზე მეტი.

ნაგებობის ჰიდროკვანძის შემადგენლობაში შედის 170 მეტრი სიმაღლის კაშხალი, სამშენებლო გვირაბი, წყლის მიმდებები და ტურბინების წყალგამტარები, სადგურის შენობა, საექსპლოატაციო და დამხმარე გვირაბები, გამანაწილებელი მოწყობილობანი. სადგურში განლაგდება სამი ძალოვანი ჰიდროაგრეგატი.

ხუდონის ჰიდრონაგებობა, გარდა კაშხლსა, არსებითად მინისქვეშ განლაგდება.

ხუდონჰეზე ამჟამად შესრულებულია ძალოვანი კვანძის ქვაბულის ქანების დამუშავების სამუშაოთა 60%, მინისქვეშა სამუშაოთა 80%, ბეტონის სამუშაოთა 61%, მინისზედა გზების მშენებლობის 76%, ჩაძირვის ზონის სამუშაოთა 40%, მდინარე გადაგდებულია სამშენებლო გვირაბში. ჰიდროკომპლექსის ექსპლოატაციაში გასაშვებად საჭიროა 575 მილიონი დოლარი.

წინასწარი გაანგარიშებით, ხუდონჰესზე ერთი კვ.საათი ელექტროენერგიის წარმოების ლირებულება იქნება 3-3.5 ცენტი, მოხმარების და უცხოეთში გასაყიდი ფასი, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მაღალი, რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ქვეყნის ბიუჯეტს.

ხუდონჰესი 10-15 წელიწადში აანაზღაურებს მშენებლობაზე გაწეულ დანახარჯებს.

ჰესის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დასაქმდება უამრავი ადამიანი, პირველ ეტაპზე 1000-მდე მუშა და სპეციალისტი, შემდგომ 2500-მდე, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილები. სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე გამოვა ჩიხის მდ-

გომარეობიდან, რომელშიც დღემდე იმყოფება აფხაზეთის კონფლიქტის გამო, აფხაზეთიდან (უპირველესად გალის რაიონი) ჩამოვლენ მშენებლები და სპეციალისტები, პენდება ახალი გზები და ხიდები, ადგილობრივ მოსახლეობას გაუჩნდება შემოსავალი, გამოცოცხლდება კერძო ბიზნესი, ვაჭრობა და მომსახურება.

მეტად მნიშვნელოვანია ხუდონპესის მარეგულირებელი ფუნქცია. მხედველობაშია ხუდონისა და ენგურის ჰესების წყალსაცავებს შორის წყლის მარაგების გადანაწილება, რაც, ასევე, პოზიტიურად აისახება ენგურის ძირითადი სადგურისა და ვარდნილჰესების მუშაობაზე, კერძოდ, სადგურთა სისტემის ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრე გაიზრდება 20-25 პროცენტით, გაძლიერდება მათი საიმედობა, შემცირდება წყალდიდობებთან დაკავშირებული ტრადიციული პრობლემების აღპათობა.

ექსპერტებს, ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ხუდონპესის პოლიტიკური დატვირთვაც. აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით სოხუმის რეჟიმი ენგურპესის ფაქტორს სისტემატურად იყენებს ქართულ მხარესთან პოლიტიკური ვაჭრობისთვის, უფრო ზუსტად, მუქარად. ცხადია, რომ საჭიროების შემთხვევაში ხუდონპესი ჩაენაცვლება ენგურპესს და ქვეყანა საიმედოდ იქნება უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით.

გაზეთი „ახალი აფხაზეთის ხმა.“
თებერვალი, 2007 წელი.

თვითმმართველობა სოხუმი

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა-აგრესორი და ოკუპანტი რუსეთის ფედერაციაა, რომელმაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა და ამ გადაწყვეტილებით მსოფლიო თანამეგობრობას დაუპირისპირდა.

სოხუმი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესი ქალაქია, რომელიც დაარსებიდან 2500 წელიწადს ითვლის. არავისთვის და არასოდეს გამხდარა სადაც, რომ სოხუმი იღითგანვე ქართული ქალაქი იყო, ქართველთა გონით და ოფლით ნაშენი და ნალოლიავები, ქართული, ანტიკური და ევროპული არქიტექტურების ორგანული სინთეზი. სოხუმი და აფხაზეთი, ისევე როგორც საქართველოს დედაქალაქი და ისტორიული მხარეები, სისხლხორცეულად იზიარებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ ნებას, მის ძლევამოსილებასა და ისტორიულ ბედუკულმართობას. დარად დედა საქართველოსი, აფხაზეთსა და სოხუმსაც ჰქონდა დაცემისა და ფეხზე ნამოდგომის, ნგრევისა და შენების ბედნიერი და უბედური წლები, მაგრამ უფლის ნება და ნიშანი იყო, ალბათ, ის, რომ სწორედ აფხაზეთიდან დაედო სათავე ქართული სახელმწიფოს მეორე ძლევამოსილ გაერთიანებას და კავკასიასა და ნინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოდ გადაქცევას.

დღეს სოხუმის დაცემის დღეა, ტკივილის, წესილის, აფხაზეთისთვის დაღუპულთა ხსოვნის დღე, მაგრამ, ამასთანავე, გაერთიანების, იმედის, აფხაზთა და ქართველთა დიდი შერიგების დღე, რადგან უფლისგან ორივეს მხოლოდ ერთად და ერთმანეთით ცხოვრება გვაქვს ბოძებული. სწორედ ამიტომ ჩვენი გაზეთის ამ ნომერში ცნობილ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს რაფიელ გელანტიას და ძველი სოხუმის თვითმმართველობის თაობაზე მის წერილს დავუთ-

მეთ მოკრძალებული ადგილი, გახსენებად და იმედად, როგორც დიდი ილია ბრძანებდა, იმ წამლისა, საიდანაც იწყება ადგილობრივი და საყოველთაო თანხმობა ქვეყნისა და ადამიანების ტკივილების მოსაშუალებლად და უზენაესი ეროვნული მიზნებისთვის გასაერთიანებლად.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას საინტერესო ისტორია აქვს, რაც საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, თუმცა, მიჩნეულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ეროვნული თავისებურებანი შემდგომ სერიოზულ სამეცნიერო კვლევასა და გაზრდობადებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიურ და ევროპულ ცივილიზაციებთან სიახლოვისა და მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიის გავლენით, საქართველოში ისტორიულად არსებული მმართველობის სისტემების (მიუხედავად აღმოსავლეთის დესპოტიებისა და მეზობელი იმპერიების სარუკუნოვანი ძალმომრეობისა და ბატონობისა) განუყოფელი ნაწილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც ქვეყნის ისტორიულ მხარეებში და ქალაქებში, ასევე, თემებსა და სოფლებში. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის, თემის, უბნის, დასახლების წარმომადგენლობითი მმართველობის ქართული მოდელი უნიკალურია და დღემდე არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. ამ თვალსაზრისით, ორიოდე სიტყვით შევჩერდები დედაქალაქის – თბილისის თვითმმართველობის რამდენიმე ეპიზოდზე, რაც კარგადაა შემონახული ისტორიულ წყაროებში და, ბუნებრივია, ზეგავლენას ახდენდა თვითმმართველობის განვითარებაზე ქვეყნის სხვა რეგიონებში.

მემატიანე გვაუწყებს, რომ მე-11 საუკუნის დასასრულისთვის თბილისში ვაჭარ-ხელოსანთა დამოუკიდებელი ხელისუფლება – თვითმმართველობა ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში ედგნენ არჩეული თბილელი ბერები - ქალაქის უხუცესები. სწორედ უხუცესთა 12 კაცისგან შემდგარ საბჭოს ებარა „ქალაქის კლიტენი,“

თბილისის მცველთა რაზმის მეთაურობა, სამართალწარმოება, მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

თბილისის უკანასკნელი ამირას (ამირა-მუჰამედის შთამომავალთა თავდაპირველი ტიტულია, შემდგომ სხვა დატვირთვა შეიძინა, კერძოდ, წარჩინებული მმართველი, სახელმწიფო მოხელე, გუბერნატორი) გარდაცვალების შემდეგ ბერები 10-12 წლის მანძილზე მართავდნენ ქალაქს. ამ დროიდან 40 წლის მანძილზე თბილისი დამოუკიდებელი ქალაქი იყო და მას 12 ადამიანისგან შემდგარი საბჭო განაგებდა, რომლის წევრებიც თითო თვით, რიგრიგობით განაგებდნენ ქალაქს. ასეთ დროებით გამგებელს „ქალაქის თავადი“ ეწოდებოდა.

მოგვიანებით თბილისი დედაქალაქი გახდა და მისი მმართველობის სისტემა, როგორც „ქალაქი-რესპუბლიკა“ გაუქმდა, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებდა თვითმმართველობას. დედაქალაქის მეთაურს (მოურავს) მეფე ნიშნავდა, ის გარკვეულწილად დამოკიდებული ფიგურა იყო, მაგრამ ტრადიციით და გარდუვალი აუცილებლობით თავის საქმიანობაში საზოგადოების წარმომადგენლებს ეყრდნობოდა.

1840 წლიდან თბილისის მართავს ქალაქის თავი და 6 ხმოსანი (მსხვილ მესაკუთრეთა, ვაჭართა და ხელოსანთა წოდებიდან). ევროპის მონინავე სახელმწიფოთა გავლენით XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთში განხორციელებული რეფორმები საქართველოსაც შექმნა. 1874 წელს თბილისის სათათბიროში ახალი სისტემით არჩეული 72 წევრი შევიდა. ქალაქის სამი წოდება (მსხვილი მესაკუთრენი, ვაჭრები და ხელოსნები) 24-24 დეპუტატს ირჩევდა. მესამე წოდების დეპუტატები, ძირითადად, ქართული ბურუუაზისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ და ე.წ. ოპოზიციას ქმნიდნენ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნამდე თვითმმართველობის ეს სისტემა მეტნაკლებად მთლიანად მოიცავდა ჩვენს ქვეყანას და, ბუნებრივია, აფხაზეთსაც. დიდი ხნით ადრე და მე-19 საუკუნეშიც სოხუმი აფხაზეთის ერთადერთი ქალაქი იყო. სოხუმს რეალურად, რო-

გორც იმ წლებში თბილისში გამოცემული გაზეთები იუწყებიან, ძველებური წესით ე.წ. „გოროდიჩი“ მართავდა. თუმცა, ირკვევა რომ, ისევე როგორც თბილისში, სოხუმშიც 70-ანი წლებიდან ადგილობრივი საზოგადოება კენჭისყრით ირჩევდა დეპუტატებს, მაგრამ ისინი დაკისრებულ მოვალეობას გულაცრუებით ეკიდებოდნენ, რადგან ამ საქმიანობისთვის არანაირ გასამრჯელოს არ იღებდნენ. დეპუტატები, ძირითადად, ვაჭრები იყვნენ. მათ არც სათანადო განათლება ჰქონდათ, არც დიდი სიმდიდრით გამოირჩეოდნენ და საქმესაც ჯეროვნად ვერ ასრულებდნენ.

ცნობილია, რომ 1892 წელს სოხუმის საზოგადოებამ კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვს წარუდგინა თხოვნა ქალაქის თვითმმართველობის რეფორმის შესახებ, მაგრამ უარი მიიღო. მიზეზად კი მთავარმართებელმა ხარჯების გაზრდა დაასახელა, რასაც, მისი თქმით, სოხუმის საზოგადოება ვერ გასწვდებოდა. მაგრამ როგორც ირკვევა, ეს სიმართლეს არ შეეფერებოდა. „მართალია, ჩვენ, სოხუმელებს, იმედი გადაგვინყდა სიკეთის მოლოდინში, მაგრამ მაინც კიდევ ვსთხოვთ ღმერთს, მოგვხედოს და მოგვივლინოს მხსნელად თვით-მმართველობა, გაგვხადოს ჩვენის ქონების პატრონი ჩვენვე. თუ-კი ჩვენზე უფრო მცირე და ღარიბი ქალაქები გახდნენ ამ მოწყობილობის ღირსნი, ჩვენ რაღა დავამავეთ“, – წერდა „ივერია“ 1893 წელს.

სოხუმელთა მოთხოვნის მიუხედავად, ქალაქის თვითმმართველობის რეფორმა გაჭიანურდა. დეპუტატების ამარა, მაგრამ არჩეული და საზოგადოების მიერ უფლებამოსილი ქალაქის თავის (მოურავის) გარეშე დარჩენილი ქალაქელები ძლიერ შეწუხებულები იყვნენ. 1893-1895 წლებში ქალაქ სოხუმის წმინდა შემოსავალი ყოველწლიურად რამდენიმე ათეული ათასი მანეთის ფარგლებში მერყეობდა და ხაზინაში არსებული ეს თანხა სრულებით საკმარისი იყო, რომ ქალაქის სოციალური პრობლემები მოგვარებულიყო, მაგრამ არჩეული და ხალხზე მზრუნველი მოურავის გარეშე მდგომარეობა სოხუმში არ იცვლებოდა. „დეპუტატების არჩევით ქალაქს არაფერი შეეძინება, რადგან გამოც

დილებით ვიცით, რომ ეს დეპუტატები არიან მხოლოდ იმის მოწმენი, რომ ქალაქის ფული იხარჯება, ხოლო სად და როგორ, ეს არც კი იციან და არც ეკითხება მათ ვინმე იმათ. ამიტომაც არის, რომ ჩვენს ქალაქს, რომელსაც ყოველგვარი შემოსავალი 30000 მანეთი აქვს, არავითარი წარმატება არ ეტყობა. ქალაქის არჩევნებს თითქმის არც ერთი ინტელიგენტი არ ესწრება, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ეს დეპუტატთა არჩევანი თამაშობაა, დღეს ერთს აირჩევენ და დასვამენ დეპუტატებად, ხვალ მეორეს და არა გამოდის რა“ („ივერია“, 1894 წ.).

თვითმმართველობის შემოღებაზე მსჯელობასა და კამათს ბოლო არ უჩანდა. ამ ნატვრის ახდენა სოხუმს მხოლოდ 1896 წელს ელირსა. „პატარა ქალაქების ნატვრას შეადგენდა ქალაქის თვითმმართველობის შემოღება. სოხუმსაც მიენიჭა უფლება, თავის უფროს ძმათა მსგავსად, თვითონვე გასცეს პასუხი შინაურს თუ გარეულს გაჭირვებას და თვითონვე იღონოს მოქალაქეთა წარმატებისთვის“ („ივერია“, 1996 წ.). 1896 წელს სოხუმელებმა აირჩიეს 26 ხმოსანი და 6 მოადგილე. გუბერნატორის დამტკიცების შემდეგ ხმოსნები თავად აირჩევდნენ ქალაქის თავს ანუ მოურავს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ არჩეულთაგან 23 ქართველი იყო, 6 - ბერძენი, დანარჩენი რუსი და სომეხი. მიჩნეულია, რომ ამ არჩევნებით ქალაქ სოხუმში, მთლიანად აფხაზეთში, სათავე დაედო რეალური ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას, საზოგადოების მონაწილეობას ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სოხუმელი სანიტრების პრობლემა, რომელმაც მოულოდნელი თავსატეხი გაუჩინა ქალაქის იმუსამინდელ ხელისუფლებას. ვინ იყვნენ „სოხუმელი სანიტრები“? ცნობილია, რომ სოხუმის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდნენ რიგითი მოქალაქეები, უქონელი ადამიანები, მათ შორის, ე.ნ. სანიტრები, ძირითადად ქართველები, რომლებიც ქალაქის მახლობლად ცხოვრობდნენ, მაგრამ არც ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდ-

ნენ და არც სოხუმს ეკუთვნოდნენ. თვითმმართველობის შემოღების შემდეგ მათ მოითხოვეს ქალაქის სრულუფლებიან მოქალაქეებად აღიარება.

აი, რას წერს იმ წლების უურნალი „მოამბე“: სოხუმში გარშემო ადგილები ადრე უღრანი ტყით იყო დაფარული, შიგ სინესტე იყო და ციებ-ცხელების გავრცელებას უწყობდა ხელს. მმართველობამ დაიწყო ზრუნვა, რათა სოხუმის გარშემო ტერიტორია მავნე მცენარეებისგან გაეწმინდა. 1870 წლის დებულებით ტყით დაფარული ტერიტორია დაყვეს და მსურველებს დაურიგეს იმ პირობით, რომ 10 წლის განმავლობაში გაეწმინდათ, ჭაობი ამოეშროთ და მეურნეობა გაემართათ. თუ ამ პირობას პირნათლად შეასრულებდა, სანიტარი მიწას საშვილიშვილო საკუთრებად მიიღებდა. „სანიტარული“ ადგილების უმეტესი ნაწილი მდიდარი რუსების საკუთრება იყო, მათში მხოლოდ ხუთი თუ ექვსი იყო ქართველი. თავიდან ადგილობრივმა მმართველობამ არ იცოდა, ეს ტერიტორიები სოხუმისათვის მიეწერათ, თუ ცალკე დამოუკიდებელი ერთეული ყოფილიყო. კომისიამ მიიღო დადგენილება, რომლის საფუძველზეც „სანიტრები“ სოხუმის სრულუფლებიან მოქალაქეებად ჩათვალეს და თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მისცეს.

თვითმმართველობის შემოღების შემდეგ სოხუმელთა მთავარი საზრუნავი გახდა, თუ ვინ უნდა აერჩიათ ქალაქის თავად - მოურავად. „ვინ იქნება არჩეული ქალაქის თავად და სხვა წევრებად, ამას დაგვანახებს შემდეგი, ხოლო ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხმოსნები იმოქმედებენ თანხმობით და აირჩევენ იმ დიდ მნიშვნელოვან საქმისთვის კაცს, არა კერძო და საკუთარი ინტერესების მიმდევარს, არამედ საზოგადო მოღვაწეს, ხალხის გულშემატკივარს განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა და პატიოსნებით აღჭურვილს უანგარო მუშაქს“. სოხუმში არჩეულ ხმოსნებს შორის იყო ცნობილი მოღვაწე ანთიმოზ ჯულელი. ილია ჭავჭავაძის პირადი წერილებიდან ირკვევა, რომ მან ანთიმოზ ჯულელის თხოვნით რეკომენდაცია მისცა სოხუმელებს,

რომ ქალაქის თავად ალექსანდრე სარაჯიშვილი მოეწვიათ. იგი ყველაზე მისაღები კანდიდატი იყო სოხუმელებისთვის. იდეალური მოურავის სახე კი ადგილობრივი კორექტონდენტის, სევერიან ჯულელის აზრით, ასეთი იყო: „კაცი, აღჭურვილი ჯეროვანის განათლებით და ცოდნაგამოცდილებით, მოხერხებით, გამჭრიახის ინიციატორის ნიჭით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობითა და ენერგიით, სრულიად მოკლებული ყოველგვარს წვრილმანს პარტიას, სიძულვილს და სამარცხვინო მიდგომილებას-კაცი, საფუძვლიანად მცოდნე ადგილობრივ გამოცდილებათა და გულთ მოყვარული თავისის სამშობლო ქვეყნისა - აი, იდეალი ყოველის კაცის ქალაქის მოურავისა“ („ივერია“ 1896წ.).

სოხუმელთა დიდი მოთხოვნის მიუხედავად, ალექსანდრე სარაჯიშვილის აფხაზეთში ჩასვლა 1899 წლამდე ვერ მოხერხდა. უურნალი „კვალი“ წერდა: „სოხუმელთ განუზრახავთ ქალაქის თავათ გაიწვიონ ჩვენი ცნობილი მოღვაწე ალექსანდრე სარაჯიშვილი, რომელიც ამ უამად განჯაში მსახურობს. ალ. სარაჯიშვილი ცნობილია, როგორც მხნე, გამოცდილი და პირუთვნელი კაცი. სოხუმსაც ასეთი კაცი ესაჭიროება“ („კვალი“, 1899 წ. N18). გაზეთი „ივერია“ კი 1899 წელს იუნიება, რომ სოხუმის მოურავად 26 ხმით სამის წინააღმდეგ არჩეულ იქნა ალექსანდრე სარაჯიშვილი.

XIX საუკუნის ბოლოსთვის სოხუმი ნელ-ნელა ვითარდებოდა და რუსეთის იმპერიაში იმუამად არსებულ განვითარებულ ქალაქებს ემსგავსებოდა. ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით, ქალაქის ცხოვრება დღითიდლე უმჯობესდებოდა, ვითარდებოდა და ყველასათვის სასურველი ხდებოდა.

XX საუკუნის დასაწყისისთვის სოხუმი შავი ზღვის ერთერთი ყველაზე გამორჩეული ქალაქი გახდა თავისი განუმეორებელი სილამაზით, ევროპული და ადგილობრივი არქიტექტურისა და სახლმშენებლობის გამოცდილების ტრადიციული შერწყმით და მზარდი ურბანიზაციული პროცესით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან უხვად შემოტანილი და დამკვიდრებული უიშვიათესი სუბტროპიკული და ეგზოტიკური მცენარეული საფარით, უბადლო

დაგეგმარებითა და განვითარებული საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურით.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში რუსეთის მიერ საქართველოს განუყოფელი ნაწილის – აფხაზეთის ხელახალი ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ, ამ რეგიონშიც დიდხანს შეფერხდა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული გზით განვითარება. სამწუხაროდ, დამოუკიდებელ საქართველოში აფხაზეთის 1992-1993 წლების ტრაგიული მოვლენების გამო ადგილობრივი თვითმართველობის ახლებური აღორძინება შეუძლებელი გახდა.

აფხაზეთი ამჟამადაც რუსეთის იმპერიის ახალი აგრესიის მსხვერპლია.

გაზეთი „რეგიონის დროით.“
1 ოქტომბერი, 2010 წ.

აგვისტოს ომი – რა შეიცვალა გალში?

„აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აფხაზთა ტომის ცხოვრება დღეს ის აღარ არის, რაც ამ ათიოდე წლის წინათ იყო. სხვა რომ არა მოვიხსენიოთ რა, უკანასკნელი ომიანობის დროს ერთი წილი აფხაზთა იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვენილიყო, საიდანაც ნახევრად აღარ დაბრუნებულა; ზოგიერთი აქეთ-იქეთ გაიხიზნენ და გადასახლდნენ. ყოველივე ამის გამო აფხაზთა ერი იმდენად შემცირდა, რომ დღეს იმის მეოთხედიც არ არის, რაც ოდესმე იყო. რაკი ასე დატრიალდა ბედი აფხაზთა, რაკი ხალხი ასე შემცირდა, აქეთ-იქეთ გაიფანტა, წავიდ-წამოვიდა, ზოგი ვის შეეხიზნა და ზოგიც ვის, ზე-ჩვეულება, სარწმუნოება და ყოველივე წესი და ადათი თანდათან შეეცვალათ, გადაუსხვაფერდათ, გაუქრათ და დაეკარგათ... და თუ ამას ზედ დავურთავთ ეგრეთ წოდებული ცივილიზაციისა და საზოგადოდ განათლების ზემოქმედებასა და გავლენას, ადვილად მივხვდებით, რომ აფხაზეთში, თუ დღეს არა, ხვალ ბევრს ვეღარას ვნახავთ იმისას, რაც ოდესმე გვინახავს...“

პეტრე გიორგიძე (ჭარაია) („აფხაზეთი და აფხაზნი, „გაზეთი „ივერია“, №№ 165, 167, 169, 173, 175, 176, 179, 180, 183, 184, 185, 186, 1888 წ.).

საქართველოს მთავრობამ 2010 წლის 10 იანვარს მიიღო „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ (ჩართულობა თანამშრომლობის გზით), რომელიც გამოხატავს საქართველოს ხელისუფლების ნებას მიაღწიოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სრულ დეოკუპაციას და მშვიდობიანი გზით მოახდინოს ამ ტერიტორიებისა და მოსახლეობის რეინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში. ამ ინიციატივას ფართო მხარდაჭერა მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მეგობარ სახელმწიფოებში, თუმცა ცნობილი პოლი-

ტიკოსები და დიპლომატები იმასაც აღნიშნავენ, რომ აღსრულების უზრუნველსაყოფად გარდუვალია ისეთი გონივრული გეგმის შედგენა და მოქმედება, რომელიც შეიძლება შევადაროთ ბენზის ხიდზე გავლას. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოში ვიზიტისას მეტად პოზიტიურად შეაფასა სტრატეგია და იხუმრა, – ჩემს ქვეყანაში გონიერი დიასახლისები თაფლიანი თასმით მეტ ბუზებს ხოცავენ, ვიდრე ძმრიანით!

ამ ხუმრობაში არის სიმართლე.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულებიდან გალის რაიონში განლაგდნენ რუსეთის შეიარაღებული ძალები. ადგილობრივი მცხოვრებლები ყოველდღე ხედავენ რუსი სამხედროებისა და ტექნიკის გადაადგილებას რაიონის მთავარ გზატკეცილებსა და ენგურისპირეთში.

ქალაქ გალის ტერიტორიაზე მდებარე ყოფილი ჩაის პირველი ფაბრიკის ტერიტორია შემოკავებულია და შენდება საცხოვრებელი სახლები 3000 სამხედრო მოსამსახურისა და მათი ოჯახებისთვის.

ქალაქის ცენტრშია გალის რაიონის აფხაზური ხელისუფლება – საკრებულო, გამგეობა (გამგეობაში ამჟამად დასაქმებულია 30-მდე აფხაზი და ადგილობრივი ქართველი), ქალაქის მერია, რაიონული სასამართლო, პროკურატურა, მილიციის განყოფილება. რაიონის ხელმძღვანელები, როგორც წესი, აფხაზი ეროვნების ადამიანებია, ასევე სოფლების გამგებელთა უმეტესობა ეთნიკურად აფხაზია.

მეურნეობის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ფორმა არ არსებობს. მუშაობენ ცალკეული სავაჭრო ობიექტები, ჯიხურები, ქალაქში ცხვება პური, ლავაში; მუშაობს კაფე-სასადილო, აშენდა ახალი ბაზარი, ბაზრობისთვის გამოყოფილია ორი დღე კვირაში. გარდა ბაზრობისა და გასვენების დღეებისა, ქალაქის მოსახლეობა არ იკრიბება.

მოსახლეობის ინფორმირების ძირითადი წყაროა ქართული

ტელეარხები, ასევე რუსეთის ცენტრალურ საინფორმაციო არ-ხები, რომლებზეც მიბმულია „აფხაზეთის ახალი ამბები“ აფხა-ზურ ენაზე.

სამეგრელოსა და აფხაზეთის რეგიონებს შორის ადმინისტრა-ციულ საზღვარი კონტროლდება რუსი მესაზღვრეების, აფხაზი მებაჟეებისა და მესაზღვრეების მიერ. ეზორის ხიდზე (თბილი-სი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალი) მიმოსვლა ნებადარ-თულია მკაცრად განსაზღვრული წესების დაცვით.

მოსახლეობა აფხაზეთში შესვლას და გამოსვლას ცდილობს რუსებისგან მაღლად, მეტწილად აფხაზების ნებართვით და თანხმობით. გამყოფ ხაზზე, ცალკეულ შემთხვევაში, ადგილი აქვს სამგზავრო ავტობუსებისა და მსუბუქი ავტომანქანების გა-დაადგილებას.

სარეალიზაციო საქონლის მიმოქცევა დაუშვებელია, პირადი მოხმარების ნივთების, სურსათის შეტანა და გამოტანა ნებადარ-თულია ხელბარგის სახით.

აგვისტოს მოვლენების შემდგომ აფხაზებმა დაკარგეს არა-ლეგალური შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი, შეწყდა (რე-ალურად ამონურა) ჯართის გატანა, თუმცა ადგილობრივ მო-სახლეობასთან ლოიალობით ჯერ კიდევ ახერხებენ საქონლის და მგზავრთა მიმოქცევის გარკვეულ კონტროლს, რაც ადგი-ლობრივი მოსახლეობის ინტერესებშიც შედის.

მიუხედავად აკრძალვისა, ოკუპირებულ აფხაზეთში ყო-ველდღიურად შედის და გამოდის ასობით ადგილობრივი მც-ხოვეები. მოსახლეობის მოძრაობა აქტიურდება სასოფლო-სა-მეურნეო სეზონის შესაბამისად.

ბოლო 20 წელიწადი შიდა სარაიონო გზებზე არ ჩატარებულა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ცენტრალური გზის ენგური-ლა-ლიძების მონაკვეთი პრაქტიკულად დანგრეულია, განსხვავებით ღალიძგა-ფსოუს მონაკვეთისგან, რომელიც რამდენჯერმე შე-კეთდა კაპიტალურად და კეთილმოეწყო.

ქალაქ გალიდან რაიონის სოფლების მიმართულებით სრულ-დება სამარშრუტო რეისები კერძო ავტობუსებით.

რაიონის ტერიტორიაზე ტრანსპორტის და გადაადგილების ძირითადი საშუალებაა ცხენი, საზიდარი, ურემი, ასევე ველოსიპედი.

რკინიგზის ენგური-გალი-ოჩამჩირეს მონაკვეთი აყრილია, გაიყიდა ჯარად.

რამდენიმე მოსახლეს აქვს მოძველებული და გაუმართავი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა. სამარშრუტო ხაზების უმტესობა რეალურად ეკუთვნით ეთნიკურ აფხაზებს.

რაიონის ერთ დროს უძლიერესი ეკონომიკა განადგურებულია. აქ ორგანიზებული მეურნეობის ფორმა იშვიათი გამონაკლისია. ადგილობრივთა აზრით, რაიონის მიწები, შენობანა გებობებიანი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის არის გადაცემული, განხორციელებულია ფარული გასხვისებადა.

ჩაის პლანტაციები გატყევებულია, დაშრობილი მიწები ხელახლა დაჭაობდა, ქარსაფარი ზოლები გაიჩეხა.

ციტრუსოვანთა პლანტაციების უმეტესობა გატყევებულია. გამონაკლისია მახუნჯის მეციტრუსეობის ცნობილი მეურნეობა, რომელიც აფხაზი პიროვნების ხელშია; მას დაქირავებული ჰყავს ადგილობრივ მოსახლეობა და წარმართავს მეურნეობას.

თხილის პლანტაციების ფართობი ომისშემდგომ წლებში ხუთჯერ გაიზარდა, აგვისტოს მოვლენების შემდგომ თხილის ნაყოფის ფასმა მნიშვნელოვნად მოიმატა და ამჟამად გაცილებით მეტია ვიდრე ენგეურგამოლმა.

სასუქის და შესაბამისობაშია ზუგდიდის რეგიონის ფასებთან, ხოლო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ფასები, გაცილებით დაბალია.

დასახლებების მიმდებარე მიწები თვითნებურადაა დანაწილებული ადგილობრივ მოსახლეთა და ჩამოსულთა შორის, სახელმწიფო და ნაკრძალის ტყეები პრაქტიკულად გაჩეხილია.

ზღვისპირა მიწები განაწილებული აქვთ ანონიმურ მესაკუთრეებს, ადგილობრივთა აზრით, აფხაზი მესაკუთრეების უკან დგანან რუსი და უცხოელი ინვესტორები. (რეფის გამგებელმა კაციამ გუდავაში თვითნებურად შემოაკავა 100 ჰა მიწა და 10 ჰაზე გააშენე კომბოსტო, რასაც შეენირა კიდევ).

რაიონში მრავლადაა მიტოვებული სახლ-კარი, შენობა-ნაგებობანი, დაახლოებით ომამდე არსებულის 30-40 პროცენტი.

ბოლო წლებში რაიონში მოყვანილი ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ძირითადად იყიდება აფხაზეთში, თუმცა გამონაკლისია ენგურისპირა და ზღვისპირა სოფლები, რომლებიც ახერხებენ ენგურს გამოლმა გადმოტანას.

რაიონის მოსახლეობა, პრაქტიკულად ყველა ოჯახი, ენევა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას და ნატურალური წარმოებით იჩინებს თავს.

გალის აგრარული ბაზარი ყველაზე უხვი, მრავალფეროვანი და იაფია აფხაზეთში, სადაც საყიდლებზე ჩამოდიან სოხუმიდან, გუდაუთიდან, აფხაზეთის სხვა ქალაქებიდან, ასევე რუსეთის სამხრეთიდან.

ადგილობრივი ხელისუფლების და მათი წარმომადგენლების შემოსავლების მთავარი წყაროა აფხაზური ხელისუფლების მიერ დადგენილი გადასახადები და მათი ნდობით აღჭურვილ კრიმინალთა ე.ნ. წილებით თხილის და ციტრუსების მოსავლიდან, ასევე საკარმიდამო მიწის ნაკვეთებიდან (სოფელ რეფის გამგებელ კაციას თხილის პლანტაციის მესაკუთრე ყოველ ოჯახზე დადგენილი ჰქონდა 100 კგ გადასახადი და ძალის მუქარით აღწევდა მის ამოღებას).

მოსახლეობა საწვავს ყიდულობს ქალაქის ერთადერთ გასამართ სადგურში, ან ენგურს გამოლმა. ამჟამად საწვავით მომარაგების მთავარი წყაროა წყაროა რუსეთის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც შედარებით იაფად ყიდიან საწვავს ან ცვლიან სურსათზე.

რაიონის მწვანე საფარს უსაშველოდ ანადგურებს ამერიკული თეთრი პეპელა.

ბოლო წლებში მოსახლეობამ გარკვეულწილად აღადგინა მეღორეობა და საოჯახო მეფრინველეობა.

ყველა ოჯახი მისდევს სიმინდის მოყვანას, მესაქონლეობას და მეფუტკრეობას, რაც მცირედი, მაგრამ მყარი შემოსავლისა და საკვებით თვითკმარი უზრუნველყოფის ერთადერთი და სტაბილური წყაროა.

რაიონის მოსახლეობის ელმომარაგება შეფერხებულია ელქ-სელების ტექნიკური გაუმართაობისა და ამორტიზაციის გამო, ელექტრო ენერგიაზე ოჯახის გადასახადი (მოხმარების რაო-დენობის მიუხედავად) 100 მანეთია თვეში.

წყალმომარაგების სისტემა მთლიანად მოშლილია, როგორც წესი, შეწყვეტილია სოფლის მოსახლეობის ცენტრალური წყ-ალმომარაგება, სასმელი წყლით უზრუნველყოფის ძირითადი წყარო საოჯახო ჭები და ბუნებრივი წყაროები.

ფუნქციონირებს ენგურჰესის საბერიოს ძალოვანი სადგური და რეჩხის №1 სადგური. რეჩხის ელექტროსადგურმა (№1) პრა-ქტიკულად გაუძლო ომსა და განადგურებას, ასაქმებს რამდენი-მე ათეულ ადგილობრივ სპეციალისტს.

გალის რაიონის ეკონომიკის განვითარების, სოციალური პრობლემების მოგვარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის თუნდაც მინიმალური გაუმჯობესებისთვის სოხუმის რეჟიმის არ აქვს პოლიტიკური ნება ან შეზღუდულია სხვა ფაქტორებით.

რაიონში 32 სრული და არასრული საშუალო სკოლაა, აქედან შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ათია მეტნაკლებად ქართული, სხვები ლეგალურად რუსული ან რუსულ-აფხაზურია. ამ სკო-ლებში მხოლოდ ერთი საგანია ქართული. მასწავლებელთა ხელ-ფასს უზრუნველყოფს საქართველოს განათლების სამინისტრო, რიგი სკოლები ფინანსდება გალის რაიონის განათლების განყო-ფილების მიერ, ასევე მშობელთა შემოწირულობებით.

სწავლება, გარდა გამონაკლისისა, აფხაზეთის განათლების სამინისტროს პროგრამებით ხორციელდება. სასკოლო დოკუ-მენტაცია და საქმისწარმოება რუსულ ენაზეა. მასწავლებელთა უმრავლესობა და სასკოლო პერსონალი ასაკით სამოც წელი-წადს გადაცილებულია, თუმცა არიან სოხუმის და სხვა უმაღლე-სი სასწავლებლების ახალგაზრდა კურსდამთავრებულებები.

ბავშვების ოფიციალური სასაუბრო ენა არის რუსული, მცი-რედი გამონაკლისია აფხაზური, საოჯახო ენა ქართულია (ად-გილობრივი). სახეზეა ახალგაზრდა თაობის მზარდი გარუსება, რაც ქართულ მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს.

სკოლადამთავრებულთა უმეტესობა უმაღლეს განათლებას ღებულობს ენგურს გამოღმა, ასევე რუსეთის ქალაქებში. აფხაზეთის უმაღლეს სასწავლებლებში გალელი აბიტურიენტები გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ.

ნინა წლებში რეაბილიტირებული იქნა რაიონული საავადმყოფო საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და თბილისისა და სოხუმის ხელშეწყობით, თუმცა არ არსებობს რთული ქირურგიული ოპერაციების ჩატარებისა და ჯეროვანი სამედიცინო გამკვლევის პირობები. სამედიცინო პროცედურებს ძირითადში ახორციელებენ ადგილობრივი წარმომავლობის კადრები, რომლებიც მოღვაწეობენ ენგურგამოღმა საქართველოში, ასევე რუსეთში. ავადმყოფები გადმოჰყავთ (გადმოდიან) ქალაქ ზუგდიდში, თბილისში, ქუთაისში. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით ნაწილობრივ აღდგენილია ოქუმის, საბერიოს, ოტობაის საავადმყოფოები.

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება, მცირედ პენსიას (30 ლარის ექვივალენტი) გასცემს სოხუმი.

საქართველოს საშუალო მაჩვენებელთან შედარებით რაიონში მეტად მაღალია სიკვდილიანობა, ასევე დაავადებათა დონამიკა და სტატისტიკა.

გალის რაიონის რიგ სოფლებში ევროკავშირის და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით რამდენიმე სამშენებლო ორგანიზაცია ახორციელებს საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის სამუშაოებს, მონიტორინგს ატარებენ დონორთა წარმომადგენლები.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე პრაქტიკულად არავინ არის ვინმესგან ან რაიმესგან დაცული. მკვლელობები, ყაჩაღობა, ძარცვა, ადამიანთა გატაცება, მძევლებად აყვანა, ძალადობა ადგილობრივთა ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია.

რაიონის მილიციის განყოფილება სუსტია და არაოპერატიული, თავადაც დაუცველია ყოფილი ბოევიკების და სეპარატისტული ხელისუფლების თანამდებობის პირებისგან. რუს

სამხედროებს არ აკისრიათ სამართალდამცავი ფუნქცია. მაღალია მოსახლეობის, განსაკუთრებით ომისშემდგომი თაობის კრიმინალიზაციის დონე. ხშირ შემთხვევებში ყველაფერს და ყველას ბედს წყვეტენ ქურდული ავტორიტეტები და ინტერნაციონალური კრიმინალები, მაღალია ადგილობრივთა ყოფითი და ჯგუფური სამართალდარღვევები.

ნარკოტიკული მცენარეების მოყვანა, ე.ნ. სასაქონლო წარმოება და ადგილობრივი მოხმარება შეუზღუდავია.

დაქირავებული შრომის საბურველში მონური შრომის გამოყენება, ასევე ადგილზე და აფხაზეთის სხვა რეგიონებში მუშახელის და სპეციალისტების სამუშაოდ გაყვანა ჩვეულებრივი მოვლენაა, რასაც თან ახლავს სამართლებრივი დაუცველობა და ტრეფიკინგი.

ქალაქი გალში ომისშემდგომ წლებში არაფერი შეცვლილა, კვლავაც დანგრეული, გაძარცული და გაპარტახებულია. საზოგადოებრივი, კულტურული, სპორტული, სააღმზრდელო და გასართობი დაწესებულებები დახურულია.

საცხოვრებელი კორპუსები, როგორც წესი, უპატრონო და მიუხედავია, ბინების უმეტესობა ცარიელი.

ორგანიზებული კომუნალური მეურნეობა და მომსახურება არ არსებობს.

საზოგადოებრივი ცხოვრება ჩამკვდარია, თავყრილობები არ ტარდება, მოსახლეობის წარმომადგენლები იშვიათად თუ იკრიბებიან.

მოქმედი სავაჭრო და მომსახურების ობიექტები უპირატესად ეთნიკური აფხაზების საკუთრებაა.

საქართველოს ტელეარხების სიგნალები („რუსთავი-2“ და „იმედი“) ფარავენ გალის რაიონის უმეტეს ნაწილს, ასევე რამდენიმე რადიოარხი და რუსეთის ტელეარხები, მაგრამ ტელე და რადიომიმღებები მოსახლეობის უმეტესობას არა აქვს.

ენგურს გამოლმიდან პრესის ორგანიზებული შეტანა არ ხდება.

ნაწილობრივ აღდგენილია კავშირგაბმულობის კვანძი, ქალაქის სატელეფონო სადგური. აფხაზეთის ტერიტორიის გარკ-

ვეულ ნაწილში ვრცელდება „მაგთი“ და „ჯეოსელი“ (მათი გამოყენება აფხაზური მხარის მიერ აიკრძალა 2010 წლის დასაწყისიდან), ნებადართულია აფხაზურ-რუსული „აკვაფონი.“

რაიონული გაზეთი „გალ“ იშვიათად გამოდის, რედაქტორის განმარტებით, დაუფინანსების არქონის გამო.

რაიონის მოსახლეობის დიდი მცდელობით სოფელ ჭუბურ-ხინჯის ტერიტორიაზე მოხერხდა ეკლესის („ჩეოხვამე“) ამოქმედება, თუმცა ღვთისმსახურება ოფიციალურად ნებადართულია მხოლოდ რუსულ და აფხაზურ ენებზე.

ბოლო დროს სოხუმის ხელისუფლების, საჯარო მოხელეების, მოსამსახურების, უფროსი და საშუალო ასაკის აფხაზების მხრიდან შეინიშნება ქართული მოსახლეობისადმი ლოიალური (არც თუ ისე იშვიათად ტრადიციულად თბილი) დამოკიდებულება. მსგავსი ტენდენცია აფხაზეთის დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ადრე აფხაზეთის განცალკევებისთვის ადრე ყველაზე თავგამოდებული, ახლა კი აფხაზეთში არსებული ვითარებით საკმაოდ შეცბუნებული აფხაზები, ხუმრობენ თურმე, – გვინდოდა უკეთ, მივიღეთ როგორც ყოველთვისო!

გაზეთი „რეგიონის დროით,“
1 ოქტომბერი, 2010წ.

სარჩევი

საჭირო, ძალზე საჭირო წიგნი	3
რამდენიმე სიტყვა ავტორისგან	5
ქართული სკოლის ბედი აფხაზეთში	9
გალელები მაისის ტრაგედიამაც ვერ გატეხა	16
კონფედერანტები აფხაზეთში	22
აფხაზური მხარის სამიზნედ ქცეული ერთი დოკუმენტი	36
ეშმ-ას თვალით დანახული გალის რაიონი	48
ტერორიზმი – მსოფლიოს შავი ჭირი	57
ტერორიზმთან ბრძოლა უკრანტროლო ტერიტორიების	
მოწესრიგებით უნდა დაიწყოს	64
ადამიანის უფლებათა დაცვა აფხაზეთში	70
ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება-კრიზისიდან	
გამოსვლის მთავარი ფაქტორი	74
მიზანი – აფხაზეთის აღიარება	83
აფხაზეთის დაბრუნება ჩვენს ხელშია	90
„ვერასა გეტყვი, ენა სდუმს...“	97
რამდენი წლის შეიძლება იყოს პრეზიდენტი?	101
ვინ დებს არჩევნებში ფულს?	105
ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში?	111
ნუგზარ აშუბა – მტერი, მეგობარი	
თუ რეალისტი პოლიტიკოსი?	127
ღია წერილი გაზეთ „რესპუბლიკა აბხაზიას“	
რედაქტორს ვიტალი ჩამაგუას	134
სახალხო დიპლომატია	140
„ნავიდე, მეც იქ მივიდე...“	149
ძვირფასო გალელებო!	154

ინფორმაციული გარემო: თავისუფალთა კონკურენცია	
თუ გლობალიზაციონურად ბრძოლა?-----	156
საქართველოს არჩევანია ნატო, რუსეთი? -----	166
იზოლაცია თუ დისტანცირებული თანამშრომლობა?-----	176
სამშობლოზე მაღლა თვით ჭეშმარიტებაც ვერ დადგება--	181
ქართველები და აფხაზები ოსმალოთა წინააღმდეგ -----	188
„აფხაზეთის გზაც“ რომისკენ მიდის? -----	194
„რელიგიის შესახებ“ კანონია მისაღები-----	199
აქვს საქართველოს აფხაზეთში	
კონფლიქტის მოწესრიგების კონცეფცია?-----	205
როგორი პარტია სჭირდება საქართველოს? -----	211
თავდადება თუ ღალატი? -----	228
აფხაზეთის განსაკუთრებული რაიონი -----	235
საქართველოს პარლამენტი:	
როგორ გახდეს იგი უფრო ქმედითი? -----	241
ჭეშმარიტება საეჭვო როდია -----	252
გამარჯვება თუ დამარცხება?------	258
წარსულის ლანდები „კმარას“ მოწვევით? -----	261
მათოვის, ვისაც უკვე დაავიწყდა	
გალის 1994 წლის თებერვლის ტრაგედია -----	266
აქ ჩემი ბრეზიდენტია -----	271
გალის მაისის ტრაგედია – უსახელო თავდადება?-----	274
ბესლანი აფხაზეთში -----	280
მშვიდობა, დამოუკიდებლობა თუ	
კონსტიტუციური წესრიგის ძალით აღდგენა?-----	284
იქნებ რეალურად დაგვეწყო საქმე?-----	297
მოიმედეობის დრო დამთავრდა, მოქმედების დროა -----	302
ფედერალიზმი: ქვეყნის გაერთიანება თუ დაქუცმაცება? 308	

თვითმმართველობა გალში -----	321
აკადემიკოსი ილია ვეკუა-----	331
შეთქმულება ქართველთა და აფხაზთა ნინააღმდეგ -----	335
გალი – რეპრესიები გრძელდება, ვითარება დაძაბულია --	342
ზემო აფხაზეთი -----	351
აშენდება ხუდონპესი? -----	361
თვითმმართველობა სოხუმში -----	364
აგვისტოს ომი – რა შეიცვალა გალში? -----	372

საბამომცემლო უზრუნველყოფა:
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

დირექტორი: ზაშრ ნაჟიებია

ტექნიკური რედაქტორი:
ოპერატორი:

ლევან ბოჭორიშვილი
სოფო ქილიშვილი

წიგნი გამოიცა ავტორის ხარჯით


მისამართი:
თბილისი, მმები კაკაბაძეების ქ. №22.
ტელ: 210-26-28

Email: inovacia@caucasus.net

გარადიული ერთობა




თბილისი. წმიდა სამების საკათედრო ტაძარი



აფხაზეთი. ბიჭვინთის საკათედრო ტაძარი



აფხაზეთი. ლიხნის ტაძარი



აფხაზეთი. მოქვის ტაძარი

ომის შურისძიება



თბილისი, ძმათამკვლელი ომი.

სასტუმრო „თბილისი“;

საქართველოს ტელევიზიასთან





სოხუმი. მთავრობის სასახლე



გულრიფში. სამოთხიდან გაძევება



გალი. რკინიგზის სადგური




ოკუპაცია

მარადიული ქახილი



დედათა არჩევანი



გზა შინისკენ



მშობლიური სახლი



ნუგეშის გაკვეთილი



ღვიძლი ეზო



ძველი წიგნი